

ქიეზანი

საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის
ისტორიაში

Gotcha Djaparidze

RESEARCHES

**Into the History of Georgia
and the Near East**

Volume II

**Tbilisi
2023**

გონა ჯაფარიძე

ქ ი ე ზ ა ნ ი

საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის
ისტორიაში

II ტომი

თბილისი
2023

ნიგნში განხილულია საქართველოსა და ისლამური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხები. კვლევა ემყარება არაბულ ნარატიულ, ეპიგრაფიკულ და დოკუმენტურ წყაროებს, რომლებიც კრიტიკულადაა შეფერებული ქართული და სხვა აღმოსავლური (სპარსული, სირიული, სომხური) წყაროების მონაცემებთან. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი მრავალი მათიანე, სადაც მოიპოვება მნიშვნელოვანი ცნობები შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ.

რედაქტორები: ნანი გელოვანი
მამუკა წურნუშია

ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი SP-22-1122). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This book is published by the financial support of Shota Rustaveli national science foundation (Scientific Publication Grants SP-22-1122). All ideas expressed herewith are those of author and may not represent the opinion of the Foundation itself.

© საავტორო უფლებები დაცულია

ძიებანი

ISBN 978-9941-0-4626-1 (ყველა ტომის)

ISBN 978-9941-8-5192-6 (მეორე ტომის)

წინათქმა

„იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში „ძიებანის“ მეორე ტომიც გამოვა, რომელშიც შევა როგორც ადრე დაბეჭდილი, ისე – ახალი, გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც“, – წერდა 2012 წელს გოჩა ჯაფარიძე, თავის ნაშრომთა კრებულის პირველი ტომის წინასიტყვაობაში. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში, მის ამ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა...

ბოლო წლებში თავს შეუძლოდ გრძნობდა, ძველებური ენერგია აღარ მოსდგამდა, თუმცა ამ თემაზე ხშირად ვსაუბრობდით და თავადაც ხალისი ემატებოდა მომავალ გეგმებზე საუბრისას. 2020 წლის შემოდგომაზე დავპირდი, რომ მივაკითხავდი და ერთად შევადგენდით ძიებანის მეორე ტომს და შემდეგ მის გამოცემაზეც ვიზრუნებდით. სამწუხაროდ, იმხანად საქართველოში დამძიმებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, ეს ველარ მოხერხდა. სულ მალე ეპიდემიამ მისი სიცოცხლეც თან გაიყოლა.

მხოლოდ ახლა, გოჩა ჯაფარიძის ნაშრომების მეორე ტომის გამოცემით ვასრულებ მისთვის მიცემულ სიტყვას.

„ძიებანის“ II ტომში დაბეჭდილი ყველა ნაშრომი ერთ სისტემაშია მოყვანილი ნანი გელოვანისა და ჩემ მიერ, ჩასწორებულია კორექტურები და ტექნიკური ხარვეზები, ხოლო სამეცნიერო აპარატი ყველგან ჩიკაგოს აკადემიური სტილის მიხედვითაა გამართული.

„ძიებანის“ თემატიკა მოიცავს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს და დაწერილია ქართული და აღმოსავლური ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური და ნუმისმატიკური წყაროების საფუძველზე. აქ წარმოდგენილი კვლევები, რომლებზეც ავტორი მრავალი წელი მუშაობდა, ერთი ხაზითაა გაერთიანებული და თემატურად ასეა დაჯგუფებული: არაბობა საქართველოში, ეგვიპტის მამლუქები და საქართველო, ქართველები წმინდა მიწაზე, ისლამური და ქართული ნუმისმატიკა და მეტროლოგია, რეცენზიები.

აქვე იბეჭდება გოჩა ჯაფარიძის დაუმთავრებელი ნაშრომი „არაბთა პირველი ლაშქრობები საქართველოში“, სადაც ის აპირებდა გადაესინჯა არაბთა პირველი შემოსევების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. ხალიფა იბნ ხაიატის ცნობა გოჩა ჯაფარიძის თვალსაწიერში დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში მოექცა. როგორც სჩვეოდა, დინჯად და მეთოდურად აგროვებდა ინფორმაციას და უკანასკნელ ხანებში შეუდგა კიდევ

მის დამუშავებას, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ დასცალდა... მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ არსებული მასალის დაბეჭდვა, რომელსაც შეძლებისდაგვარად ფორმა მივეცით. სხვა რომ არა, ამით ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი და მნიშვნელოვანი წყარო შემოდის.

ამ ტომის გაცნობის შემდეგ მკითხველს წარმოუდგება გოჩა ჯაფარიძე როგორც არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სწორუპოვარი მკვლევარი, რომლის მასშტაბები და სამეცნიერო ინტერესები სცდება ჩვენი სამშობლოს ფარგლებს და რომლის ნაშრომებსაც მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ისტორიის ყველა მკვლევრისათვის.

მამუკა წურწუმია
თბილისი, 2022

სარჩევი

წინათქმა	5
შემოკლებები	9
არაბობა საქართველოში	
არაბთა პირველი ლაშქრობები საქართველოში	11
თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში	20
ტერმინ <i>ხიდმას</i> მნიშვნელობის შესახებ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის „მაიაფარიკინისა და ამიდის ისტორიაში“	53
X ს. ამიერკავკასიის არაბული რუკა	61
რას მოგვითხრობენ ტერმინები... საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღისა და გზების საკითხი	65
ეგვიპტის მამლუქები და საქართველო	
ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში	70
ლაზები ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში	74
The Fate of Georgian Students in the First Egyptian Student Mission Sent to France by Muhammad 'Ali	81
ქართველები წმინდა მიწაზე	
საქართველო XII-XIV საუკუნეების ევროპელთა თვალით	86
ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ	92
იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ 1516-17 ან 1527 წლებში	107

ისლამური და ქართული ნუმიზმატიკა და მეტროლოგია	
აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები	122
აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადები	
და ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტის ხელახალი ატრიბუცია	164
მალრიბული ოქრო XII-XIII სს ქართულ წყაროებში	187
ოქროს მონეტის ტერმინოლოგია	
XI-XIII საუკუნეების საქართველოში	196
თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ	209
Рудники благородных металлов на Ближнем и Среднем Востоке в VIII-X вв.	224
Золотые монеты в Ираке в VIII-XI вв.	239
Золотая монета в денежном обращении Закавказья в X в.	267
О термине “иперпир” в синодике Ивирского монастыря на Афоне	274
რეცენზიები	
როგორ იმსხვრევა მითები	277
სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა	
დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ	290
Черкесский эгоцентризм в трудах Самира Хотко	322

შემოკლება

- ენიმპის მოამბე – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
- თსუ შრომები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
- თსუსი შრომები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები
- თსუ სფსკ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრომათა კრებული
- იეიშ – ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები
- იჯიი მიმომხილველი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი
- იჯიი შრომები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები
- მაცნე (ელს) – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია
- მაცნე (იაეხის) – მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია
- მსპი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
- სმ მოამბე – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
- სმსმ მოამბე – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე
- სინ – საქართველოს ისტორიის ნარკვევები
- სრხ – საქართველო რუსთაველის ხანაში
- სფხის – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები
- სძ – სემიტოლოგიური ძიებანი
- ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
- ქც – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ
- ВВ – Византийский временник
- ВИСИД – Восточное источниковедение и специальные исторические дисциплины

ВО – Византийские очерки
ВОНАССР – Вестник Общественных наук Армянской ССР
ГАИМК – Государственная академия истории материальной культуры
НЭ – Нумизматика и эпиграфика
ОИГ – Очерки истории Грузии
ППС – Православный палестинский сборник
ЭВ – Эпиграфика Востока
AI – Annales Islamologiques
ANS MN – American Numismatic Society Museum Notes
BGA – Bibliotheca Geographorum Arabicorum
BS – Byzantinoslavica
BSOAS – Bulletin of the School of Oriental and African Studies
BSOS – Bulletin of the School of Oriental Studies
BZ – Byzantinische Zeitschrift
CHI – Cambridge History of Iran
DOP – Dumbarton Oaks Papers
EI1 – Encyclopaedia of Islam, 1st ed., Leiden, 1913-1938
EI2 – Encyclopaedia of Islam, 2nd ed., Leiden, 1954-2004
HJAS – Harvard Journal of Asiatic Studies
JA – Journal Asiatique
JAOS – Journal of the American Oriental Society
JESHO – Journal of the Economic and Social History of the Orient
JRAS – Journal of the Royal Asiatic Society
JSS – Journal of Semitic Studies
NC – The Numismatic Chronicle
NCirc – The Numismatic Circular
NZ – Numismatische Zeitschrift
RÉA – Revue des Études Arméniennes
RHC HO – Recueil des Historiens des croisades, Historiens occidentaux
RN – Revue Numismatique
RNB – Revue de numismatique Belge
TM – Travaux et Mémoires

არაბთა პირველი ლაშქრობები საქართველოში

საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობის შესახებ ქართული საისტორიო მწერლობა დუმს. ამის გამო, საკითხის შენაწილისათვის მკვლევრები ეყრდნობიან უპირატესად არაბულ, აგრეთვე სომხურსა და ბიზანტიურ წერილობით წყაროებს.

არაბული წყაროებიდან ტრადიციულად დამონმებულია ატ-ტაბარის, ალ-ბალაზურის და ალ-ია'კუბის თხზულებები. შემდეგ შემოვიდა იბნ ალ-ას'ამ ალ-ქუფის „დაპყრობათა წიგნი“. ალ-ქუფის ნაშრომის ნაკლია ის, რომ მასში არ არის თარიღები.

ამ წყაროებს იცნობდნენ და იყენებდნენ ქართველი მკვლევრები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე, ა. ბოგვერაძე, ე. სიხარულიძე, დ. ქასრაშვილი, ო. ცეციტიშვილი, ბ. სილაგაძე და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართლში არაბთა პირველ ლაშქრობის შესახებ შეფასებები განსხვავებულია. ეს მოხდა VII ს-ის 40-იან ან 50-იან წლებში. დასახელებულია 644-45 ან 654-55 წლები მცირე განსხვავებებით.

რომელია უფრო ზუსტი თარიღი?

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, რომელიც ეყრდნობოდა მ. ლაზარიანს,¹ „პირველად არაბები საქართველოს ეწვივნენ 643 წ. ქ.შ. მას შემდგომ, როდესაც ადარბაგანი უკვე საბოლოოდ დაპყრობილი ჰქონდათ. ამირამ რამდენიმე სარდალი შეჰყარა და თითოეული ცალკე ჯარითურთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ქვეყნის დასაპყრობად; საქართველოში ჰაბიბ იბნ მასლამა გამოისტუმრა, რომელიც საჩქაროდ თბილისისკენ გამოემართა.² ამ ჰაბიბს, ანუ აბიბოსს იხსენიებს ბიზანტიელი მემატინანე თეოფანეც.

645 წ. ქ.შ. არაბთა სარდალმა აბიბოსმა სომხეთში გაილაშქრა, შეეყარა ბიზანტიელ სარდალს მაგრიანოსს და კავკასიის უღელტეხილამდე სდია, ხოლო ქვეყანა დაიპყრა.³

გოჩა ჯაფარიძის არქივიდან.

¹ ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II (თბილისი, 1965), 72 (დასახელებულია 643-45 წლები მ. ლაზარიანის მიხედვით: M. Ghazarian, *Armenien unter der arabischen Herrschaft* (Marburg, 1903), 17).

² ივ. ჯავახიშვილმა, ლაზარიანის მიხედვით, იცოდა ატ-ტაბარისა და ალ-ბალაზურის ცნობების შესახებ.

³ *Theophanis Chronographia*, ed. Carl de Boor, vol. I (Lipsiae, 1883), 345.

მაშასადამე, არაბთა ლაშქრობა საქართველოში 643-645 წლებში უნდა მომხდარიყო“.⁴

ს. ჯანაშიას თანახმად, არაბთა დაპყრობითმა ომებმა გზა გაუხსნეს მათ ამიერკავკასიისკენაც: „სომხეთში, მაგ., არაბული პირველი რაზმები გაჩნდნენ, როგორც ჩანს, უკვე 640 წ. ზოგიერთი მკვლევარი უეჭველად სცნობს, რომ ამ წელს არაბებმა მოახერხეს სომხეთის დედაქალაქ დვინის აღებაც. ბუნებრივია ამიტომ ვიფიქროთ, რომ იმავე ხანებში არაბთა მარბიელს თავისი ყურადღება უნდა საქართველოსთვისაც მიექცყო.“⁵

მართლაც, ირკვევა, რომ არაბთა თარეში ქართლში გაჩენილა უკვე 642 თუ 643 წელს. არაბი ისტორიკოსი ატ-ტაბარი მოგვითხრობს, რომ ადარბადაგანის (ჩრდილოეთ ირანის) საბოლოო დაპყრობის წინ, რაც 643 წ. მოხდა, არაბთა მარბიელი რაზმები სხვადასხვა მიმართულებით მთელ ამიერკავკასიას მოედვნენ [...] ჰაბიბ იბნ მასლამა ტფილისისაკენ გაემურა. არაბები უკუქცეულ იქნენ ყოველი მხრიდან [...] პოლიტიკურად არაბთა ეს პირველი ლაშქრობა საქართველოში უშედეგოდ დამთავრებულა“.⁶

652 წ. კონსტანტინე კეისრის მიერ სომხეთის მმართველად დანიშნულმა მავრიანოსმა 654 წელს სომხეთი დაარბია. ამ წლის გაზაფხულზე არაბებმა სასტიკად დაამარცხეს მავრიანოსი, რომელიც ქართლში გაიქცა. არაბებმა მოარბიეს სომხეთი, ალბანეთი და როგორც წერს ს. ჯანაშია, ქართლის პირველი დამორჩილება მავრიანოსის დამარცხების შემდეგ მომხდარა.⁷ ჰაბიბი, რომელიც აპირებდა მავრიანოსის საბოლოო განადგურებას, ქართლისკენ დაიძრა. ამას შედეგად მოჰყვა ქართლის ერისმთავრის დამორჩილება და ჰაბიბის მიერ თბილისის მოსახლეობისადმი „დაცვის სიგელის“ მიცემა. ეს უნდა მომხდარიყო, ამბების განვითარების მიხედვით, 654 წლის დამლევს ან 655 წელს, ხალიფა ოსმანის დროს (მოკლეს 656 წ. 17 ივნისს).⁸

შემდეგი მკვლევარი, ვინც არაბთა პირველ შემოსევას შეეხო, იყო მ. ლორთქიფანიძე, რომელმაც მოვლენები ს. ჯანაშიას ქრონოლოგიის კვალდაკვალ დაათარილა.⁹

ე. სიხარულიძემ ეჭვი შეიტანა ამ დათარიღებაში. ის წერდა, რომ „არაბი

⁴ ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, 73.

⁵ ს. ჯანაშია, „არაბობა საქართველოში“, *შრომები*, II (თბილისი, 1952), 357; დამონმეზულაია ლაზარიანი, გვ. 17-18.

⁶ იქვე, 358.

⁷ იქვე, 363.

⁸ იქვე.

⁹ მ. ლორთქიფანიძე, *რჩეული ნაწერები*, I (თბილისი, 2016), 356.

ავტორები ჰაბიბ იბნ მასლამას საქართველოში ლაშქრობას უკავშირებენ ოსმანის გახალიფების პირველ წლებს და ათარიღებენ 25/647 წლით... გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 651 წელს არაბეთში იწყება პირველი სამოქალაქო ომი, რის გამოც არაბები იძულებულნი ხდებიან შეწყვიტონ დაპყრობითი ომები ყველგან, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. ამდენად, ჰაბიბ იბნ მასლამას საქართველოში ლაშქრობისა და „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღი 654 წელი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, გადასინჯვას საჭიროებს“.¹⁰

1973 წ. ა. ბოგვერაძე წერდა, რომ „640 წ. არაბთა რაზმები სომხეთში გამოჩნდნენ და ამ ქვეყნის დედაქალაქი დვინი დაიპყრეს. 642-643 წლებში არაბები უკვე ქართლსაც მოადგნენ, თუმცა ეს მარბიელი ლაშქრის თარეში უფრო იყო. ქართველებს ისინი მაშინ ადვილად გაურეკიათ, მაგრამ 50-იანი წლებიდან არაბებმა აქ უკვე შედარებით მკვიდრად მოიკიდეს ფეხი. 654 წ. არაბებმა სომხეთში სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელების სარდალი მავრიანოსი, რომელმაც თავს ქართლში გაქცევით უშველა. არაბები გაქცეულ მტერს კვალდაკვალ დაედევნენ და ქართლის საზღვრებში შემოვიდნენ“.¹¹ შემდეგ მოდის ქართლის ერისთავის დაზავება არაბთა სარდალთან – ჰაბიბ იბნ მასლამასთან და მის მიერ ქალაქის მოსახლეობისადმი გაცემული „დაცვის სიგელი“. დაახლოებით იგივეა გამეორებული არაბთა პირველ გამოჩენასთან დაკავშირებით ა. ბოგვერაძის 1979 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში.¹²

დ. ქასრაშვილის თანახმად, „ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც, არაბთა პირველი ლაშქრობები მომხდარა 637-643 წწ. ამ ლაშქრობებს ძირითადად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა და მიზნად ისახავდა ნადავლის მოპოვებას. ამ დროს არაბებმა ქართლის დაპყრობა ვერ მოახერხეს“ და რომ „ჰაბიბის მიერ ქართლის დამორჩილებას და მის მიერ თბილისის მცხოვრებთათვის „დაცვის სიგელის გაცემას არაბი ავტორები ერთხმად უკავშირებენ ოსმანის ხალიფობის პირველ წლებს და ათარიღებენ ჰიჯრის 24-25=646-647 წწ., არა უგვიანეს 650 წლისა. ასევე, „653-655 წწ., არაბები

¹⁰ ე. სიხარულიძე, „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, *სმა მოამბე*, 1 (1961), 194.

¹¹ ა. ბოგვერაძე, „არაბი დამპყრობლები და ბრძოლა მათ წინააღმდეგ VII-VIII საუკუნეებში“, *სინ*, ტ. II (თბილისი, 1973), 286; А.А. Богверадзе, „Арабские завоевания и борьба против арабов в VII-VIII вв.“, *ОИГ*, т. II (Тбилиси, 1988), 171-73.

¹² ა. ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში* (თბილისი, 1979), 90-91. საკითხთან დაკავშირებით დამოწმებულია ს. ჯანაშიას, ბ. სილაგაძის ნაშრომები და დამატებით, სომეხი მკვლევრის ა. ტერ-გევონდიანის მონოგრაფია – *Армения и Арабский халифат* (Ереван, 1977), 43.

ქართლში ვერ შემოდიან. ამიერკავკასიის ხალხები ბიზანტიის მხარეზე იბრძვიან და არაბები სასტიკად მარცხდებიან“.¹³

1984 წ. ო. ცქიტიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა წინამორბედ ქართველ მკვლევართათვის უცნობი, 1969-75 წწ. გამოცემული იბნ ალ-ქუფის (გარდ. 926 წ.) ნაშრომი *ქითაბ ალ-ფუთუჰ* („დაპყრობათა წიგნი“).¹⁴ ის შეიცავს სრულიად ახალ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ არაბ სარდალს სალმან იბნ რაბი‘ა ალ-ბაჰილის დაულაშქრავს არრანის ქალაქები: ბაილაკანი და ბარდავი და შემდეგ ჯურზანი/ქართლი. მან დააკისრა ჯურზანის მოსახლეობას ყოველწლიური გადასახადი. წყაროში თარიღი დასახელებული არ არის.

არაბთა პირველ შემოსევას თუ შემოსევებს შეეხო ბ. სილაგაძე 1996 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში *არაბთა საქართველოში*, რომელშიც შევიდა დამატებებით და ახალი მასალებით შევსებული სტატია ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის შესახებ.¹⁵ სილაგაძე წერს: „არაბი მწერლების ისტორიულ და გეოგრაფიულ თხზულებებში დაცული ცნობების თანახმად, არაბები საქართველოს დედაქალაქის დასაპყრობად წამოსულან 642/3 (22) წელს. როგორც ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი აღნიშნავენ, 22 (642/43) წელს ბაბ ალ-აბვაბის დაპყრობის შემდეგ, სურაკიმ ბუქაირ იბნ აბდალლაჰი, ჰაბიბ იბნ მასლამა... ჰუზაიფა იბნ უსაიდი და სალმან იბნ რაბი‘ა არმინის გარშემო მდებარე მთების მოსახლეობის წინააღმდეგ გაგზავნა“.¹⁶ მათგან ჰაბიბ იბნ მასლამა თბილისისაკენ დაიძრა. ცხადია, ჰაბიბი თბილისის ასაღებად უნდა წამოსულიყო 642/3 წელს. „ეს ლაშქრობა არაბებისთვის უიღბლო გამოდგა, მაგრამ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებაზე მათ ხელი მაინც არ აუღიათ. ატ-ტაბარის ცნობით, ჰაბიბს ისევ განუახლება საომარი მოქმედებები, თბილისი აუღია და მისი მოსახლეობისთვის „დაცვის სიგელი“ მიუცია. მაგრამ როდის მოხდა ყოველივე ეს? ამის შესახებ იგი გარკვევით არაფერს იტყობინება. მასთან ეს ლაშქრობა ქრონოლოგიურად 22 (642/3) წლების ამბებშია მოქცეული. ის უშუალოდ მოსდევს იმ ამბების თხრობას, რომლებშიც ბასრელ და ქუფელ მეომრებს შორის მათ მიერ დაპყრობილი მიწების გადასანაწილებლად გაშლილ დავას ეხებიან. ეს დავა კი ცნობილია, რომ ომარის ხალიფობის (634-44) დასასრულსა და უსმანის ზეობის (644-54) დასაწყისში გაჩაღდა. მამასადამე [...] 644-645 წლებში“.¹⁷

¹³ დ. ქასრაშვილი, „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ თარიღისათვის“, კრ. *მეგობრობა* (თბილისი, 1980), 131, 140.

¹⁴ ო. ცქიტიშვილი, „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, *მაცნე (იანვლის)*, 1 (1984), 92-104.

¹⁵ ბ. სილაგაძე, „ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის“, *მაცნე (იანვლის)*, 1 (1971), 68-83.

¹⁶ ბ. სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში* (თბილისი, 1991), 37.

¹⁷ იქვე, 38.

ამ უკანასკნელი ინფორმაციის შესახებ ატ-ტაბარის თხზულებაში გვერდები არ არის დასახლებული. სამაგიეროდ მკვლევარი ატ-ტაბარის ნაცვლად იმონებს ალ-ბალაზურის, ია'კუბისა და იბნ ალ-ასირის თხზულებებს. მკვლევრის დასკვნით ეს დაპირისპირება მოხდა ჰიჯრის 24/644-45 წელს.¹⁸ ამის შემდეგ ჰაბიბი მოდის ქართლზე და აძლევს „დაცვის სიგელს“.¹⁹

„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“, სადაც შეჯამებულია ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები 1980-იანი წლებისთვის, შეტანილია ორივე თარიღი – 644-45 და 654-55 წლები, თუმცა, არც თუ იშვიათად, უპირატესობა უკანასკნელს ენიჭება.²⁰

ახლა ვნახოთ, როგორ არის ასახული ჰაბიბ იბნ მასლამას შემოსვლა ქართლში სომხურ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში. მ. კანარი წერს, რომ ყველაზე დიდი შემოსევა არაბებისა სომხეთში, რომლის დროსაც პირველად ფაქტობრივად დაიქვემდებარეს ქვეყანა, მოხდა 24/645-46 წ.²¹ სირიის გამგებელმა მუავიამ არაბთა ლაშქრის სარდლად დანიშნა ჰაბიბ იბნ მასლამა. ბიზანტიის დიდი ლაშქრის დამარცხების შემდეგ მან დაიმორჩილა სომეხთა არაერთი ოლქი და ალყა შემოარტყა დვინს, რომელიც რამდენიმე დღეში დანებდა. ამის მერე მან არაბთა სიუზერენიტეტის აღიარების პირობით, დაცვის სიგელი მისცა თბილისის მოსახლეობას. იმავდროულად, სალმან იბნ რაბი'ამ ერასის ჯარებით დაიმორჩილა არრანი და დაიპყრო მისი დედაქალაქი ბარდავი.²²

სომხური ტრადიცია განსხვავდება არაბულისგან თარიღებით და სხვადასხვა დეტალით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არაბთა ლაშქრობის მარშრუტი სებეოსთან ემთხვევა ალ-ბალაზურისას. სომეხი ისტორიკოსების თანახმად, არაბები შეიჭრნენ აირარატის მხარეში 642 წ. დაიპყრეს დვინი და 35 ათასი ტყვიტ დატოვეს ქვეყანა იმავე გზით. მომდევნო წელს მუსლიმები ხელახლა შეიჭრნენ სომხეთში აზერბაიჯანიდან, მოაოხრეს აირარატი და მიაღწიეს საქართველოს, მაგრამ დამარცხდნენ თეოდორ რშტუნისთან და უკუიქცნენ. ბიზანტიის იმპერატორმა ცნო თეოდორ რშტუნი სომეხთა ჯარების მთავარსარდლად და სომხეთმა აღიარა ბიზანტიის სუვერენიტეტი. როცა 653

¹⁸ იქვე, 39.

¹⁹ ამავე თარიღს იზიარებს პ. ჭანტურიშვილი, რომელიც ბოლო ხანებში შეეხო არაბთა პირველ შემოსევებს. პ. ჭანტურიშვილი, „ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ ქართლის დაპყრობა VII საუკუნეში არაბული დაპყრობითი ომების ჩრილში“, *სპეკალი*, 12 (2018); Pavle Chanturishvili, “Early Period of Arab Occupation of Eastern Georgia,” *Pro Georgia*, 26 (2016).

²⁰ ამ თარიღს (მცირე განსხვავებით, 655-56) იცავდა მ. ლორთქიფანიძე. იხ. მისი, *რჩეული ნაწერები*, I, 356.

²¹ თუმცა პ. 24 წელი გრიგორიანული კალენდრით 644-45 წლებია.

²² M. Canard, “Arminiya,” *EI2*, vol. 1 (1960), 634-46.

წ. დასრულდა იმპერატორ კონსტანს II-ის სამწლიანი ზავი არაბებთან, ომები განახლდა. არაბთა შემოსევის თავიდან ასაცილებლად, თეოდორ რშტუნიმ ნებაყოფლობით დაუმორჩილა ქვეყანა არაბებს, დადო მუავიასთან უალრესად ხელსაყრელი ზავი, რაც აკისრებდა მათ მხოლოდ მუსლიმთა სიუზერენიტეტის აღიარებას. მაგრამ იმავე წელს იმპერატორი დიდი ლაშქრით შეიჭრა სომხეთში და მის გვერდით დადგა ბევრი ადგილობრივი გამგებელი. მან დიდი სიძნელეების გარეშე კიდევ ერთხელ დაიმორჩილა სომხეთი და საქართველო, მაგრამ როგორც კი კონსტანს II-მ დატოვა ქვეყანა (654 წ.), მას შემდეგ, რაც გამოიზამთრა დვინში, არაბთა არმია შევიდა სომხეთში და დაეუფლა ვანის ტბის ჩრდილოეთ რაიონებს. არაბთა ამ ძალების დახმარებით თეოდორ რშტუნიმ განდევნა ბიზანტიელები სომხეთიდან კიდევ ერთხელ და მუავიამ შემდეგ ის ცნო სომხეთისა და ალბანეთის გამგებლად. ბიზანტიელებმა სცადეს მავრიანოსის სარდლობით დაებრუნებინათ დაკარგული პროვინციები, მაგრამ წარუმატებლად. 655 წ. არაბებმა გაავრცელეს თავიანთი ბატონობა მთელ სომხეთზე. მათ აგრეთვე კარები გაუღო ბერძნულ-სომხურმა დედაქალაქმა კარინმაც.

...

ვნახოთ, რას ემყარება აღნიშნული თარიღები.

643-44 წწ. მომდინარეობს ატ-ტაბარის თხზულებიდან *თა'რიხ არ-რუსულ ვა ლ-მულუქ* („მოციქულთა და მეფეთა ისტორია“). ატ-ტაბარი გარდაიცვალა ჰიჯრით 310/923 წ. და VII ს-ის 40-იანი წლებს ის დაშორებულია 280 წლით. დაპყრობითი ომების ისტორიას ატ-ტაბარი წერდა თანამედროვეთა ჩანაწერების საფუძველზე, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია საიფ იბნ 'უმარის ცნობები.

საიფ იბნ 'უმარი ქუფაში ცხოვრობდა და ალბათ ეკუთვნოდა თამიმის ტომის 'ამრის შტოს. ის იყო ისლამის ადრეული ხანის შესახებ ისტორიული გადმოცემების ავტორი.

654-55 წწ. ემყარება უფრო სიტუაციურ ანალიზს.

...

არაბთა პირველ ლაშქრობებს იბნ ალ-ას'ამ ალ-ქუფის²³ მიხედვით შეეხო ო. ცქიტიშვილი. ის წერს, რომ სამხრეთ კავკასიაში არაბთა პირველი ლაშქრობა უკავშირდება არაბ სარდალს სალმან იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილის, რომელიც შეიჭრა არრანში და შეუვალობის თხოვნისა და გარკვეული თანხის გადახდის

²³ Abu-Muhammad Ahmad ibn A'tham al-Kufi, *Kitabu'l Futuh*, ed. by 'Abdu'l Mu'id Khan and Sayid 'Abdu'l Wahhab Bukhari (Hyderabad, 1389-1395 AH / 1969-1976 AD), vols. 1-8; Абу Мухаммад Ахмад ибн А'сам ал-Куфи, *Книга завоеваний (извлечения по истории Азербайджана VII-IX вв.)*, перевод с арабского З.М. Буниятова (Баку, 1981).

საფუძველზე დაუზავდა ბაილაკანის და ბარდავის მოსახლეობას. ამის შემდეგ სალმან იბნ რაბი'ა თავის მხედრებთან ერთად გაემართა ჯურზანს/ქართლს და დაუზავდა მის მოსახლეობას, ასევე გარკვეული გადასახადის პირობით, რომელსაც გადაიხდიდნენ ყოველწლიურად. სალმანის ლაშქრობა გაგრძელდა შარვანის და დარუბანდის მიმართულებით, სადაც დაიღუპა ხაზართა საფლობელოში ქალაქ ბალანჯართან. მისი დაღუპვით შეწუხებულმა ხალიფა 'უსმანმა არმინიაში ლაშქრობა უბრძანა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის. სწორედ მას, რომელიც დაუზავდა ჯურზანის მოსახლეობას და დაუდო მათ „დაცვის სიგელი“.

სალმანის დაღუპვის წელს ალ-ქუფი არ ასახელებს. ო. ცქიტიშვილი, რომელიც მის ცნობას შეეხო, წერს, რომ „ამ ლაშქრობას, ჩანს, 645-646 წწ. ჰქონდა ადგილი“²⁴ თუმცა არაბი მემატინის ცნობაში ეს არ ჩანს. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სალმან იბნ რაბი'ა ბალანჯართან მოკლეს ჰიჯრის 32/12.VIII.652-1.VIII.653 წ. და ამის მიხედვით ასკვნის, რომ შესაძლებელია „ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის „დაცვის სიგელი“ 653-654 წწ. დათარიღდეს“.²⁵ თუმცა კი სალმანის დაღუპვის შესახებ არსებობს განსხვავებული მონაცემები: ჰიჯრით 28-32 წლები.

სალმან იბნ რაბი'ას და ჰაბიბ იბნ მასლამას ქართლში ლაშქრობაზე უფრო ადრეული წყარო, რომელიც ალ-ქუფისგან განსხვავებით, ასახელებს თარიღებს, არის ბასრელი ისტორიკოსის ხალიფა იბნ ხაიატ ალ-‘უსფურის (გარდ. 240/854 წ.) „თა'რიხ“ / „ისტორია“. ის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოსცეს აქრამ დია' ალ-‘უმარიმ (ნაჯაფი, 1967; ბეირუთი, 1977) და სუჰაილ ზაქქარმა (დამასკო, 1967; ბეირუთი, 1993).²⁶

ხალიფა იბნ ხაიატი დღემდე ცნობილი და გამოცემული პირველი არაბი ისტორიკოსია, რომელიც გვთავაზობს ქრონოლოგიურ რიგზე განყოფილ არაბთა ისტორიას. ის იწყება მოციქულ მუჰამადის დაბადებით და შემდეგ მოიცავს პერიოდს მუჰამადის მედინაში გადასახლებიდან ჰიჯრით 232/846 წლამდე. კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ხალიფა იბნ ხაიატის მთავარი ინფორმატორი იყო მისი მასწავლებელი აბუ ხალიდ იუსუფ იბნ სა'იდ ალ-ბასრი (გარდ. 190/805-806 წ.). ის ეყრდნობოდა აგრეთვე ჰიშამ იბნ ალ-ქალბის (გარდ. 204/819-20 წ.), აბუ ალ-ხატტაბ ალ-ასადის და აბუ ლ-ბარა' ან-ნუმაირის (გარდაცვალების თარიღები უცნობია). თხზულების ის

²⁴ ცქიტიშვილი, „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, 99.

²⁵ იქვე, 97.

²⁶ S. Zakkar, "Ibn Khayyat al-'Ufuri," *EI2*, vol. III (Leiden, 1986), 838-39.

ნაწილი, რომელიც ომაიანთა სახალიფოს ეხება, თარგმნილია ინგლისურად.²⁷ წინა პერიოდზე, უპირატესად არაბთა ბრძოლებზე დალესტანში და ხაზართა წინააღმდეგ, გამოქვეყნებულია ტ. სიპენკოვას, ს. მარქარიანის, მ. გიზულაევის და სხვათა ნაშრომები.²⁸

ხალიფა იბნ ხაიატის ეს თხზულება არ არის უცნობი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას პირველად ყურადღება მიაქცია ნ. გელოვანმა.²⁹ მაგრამ სალმან იბნ რაბი'ას და ჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობები დღემდე განხილული არ ყოფილა.

ხალიფა იბნ ხაიატი, თავისი ინფორმაციების აბუ ხალიდის და აბუ ლ-ბარა'ს გადმოცემების საფუძველზე, ჰიჯრით 29 წ., რომელიც დაიწყო 649 წ. 14 სექტემბერს და დასრულდა 650 წ. 3 სექტემბერს, მოგვითხრობს, რომ ხალიფა 'უსმან იბნ 'აფჟანმა გადააყენა ქუფას გამგებელი ალ-ვალიდ იბნ 'უკბა და დანიშნა მის ნაცვლად სა'იდ იბნ ალ-'ასი, რომელმაც ილაშქრა სომხეთზე, ხოლო სალმან იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილი გაემართა მის ერთ-ერთ მხარისკენ (*მინ ნაჰიათ მინჰა*) – არრანისკენ.

„სალმან იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილიმ დალაშქრა ბაილაკანი და დაუზავდა მას; შემდეგ მივიდა ბარდავს (ბარზა'ა), დაუზავდა და დაეუფლა მას; მან გაგზავნა თავისი მხედრობის მეთაური ჯურზანში (ქართლში) და დაუზავდა მას. [შემდეგ] გაემართა ჰაიზანს³⁰ და დაუზავდა მას. მერე მიაღწია მასკუტს (მასკატ)³¹ და დაუზავდა მის მოსახლეობას. ის დაიღუპა ბალანჯარში. [მაშინ] მიწერა [ხალიფა] 'უსმანმა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის, რომ წასულიყო სირიიდან (აშ-შამ) [დასახმარებლად] ლაშქრით და წავიდა ჰაბიბი დარბ ალ-ჰადასის მხრიდან და დაუზავდა ჯურზანის (ქართლის) მოსახლეობას, მოელაპარაკა მათ მიწისქვეშა [ხაროებში] ხორბლის თაობაზე და მისცა მათ წერილობითი სიგელი“.³²

²⁷ Carl Wurtzel, *Khalifa ibn Khayyat's History on the Umayyad Dynasty (660-750)*, prepared for publication by Robert G. Hoyland (Liverpool, 2015).

²⁸ Т.М. Сипенкова, „История Халифы ибн Хайата как источник по истории арабских завоеваний на Кавказе и в Закавказье“, *Историография и источниковедение истории стран Азии и Африки*, вып. V (Ленинград, 1980), 76-80; С.А. Маркарян, „Сочинение Халифы ал-Усфури „Тарих“ в переводе В.М. Бейлиса и его значение для изучения арабо-хазарских войн“, *Східний світ*, 2-3 (2013), 2-3, 8-15; М.А. Гизбулаев, „Та'рих Халифы ибн Хай'ата как источник по истории Дагестана VII-VIII вв.“, *Вестник Санкт-Петербургского университета. Востоковедение. Африканистика*, 13/4 (2016), 22-27.

²⁹ ნანი გელოვანი, „ხალიფა იბნ ხაიატის ცნობები ომაიანთა ხანის არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ“, *ორიენტალისტური ძიებანი*, 3 (1995), 173-79.

³⁰ კასპიისპირეთის ხურსანის ოლქის ცენტრი.

³¹ იმავე სახელწოდების კასპიისპირა ოლქის ცენტრი.

³² ხალიფა იბნ ხაიფატ, *თა'რიხ ხილაფა ალ-ხაიფატ* (გამოცემულია აქრამ დიია' ალ-'უმარის მიერ). ბაიროუთ: მუ'ასსასათ არ-რისალა (1977), 163.

როგორც ვხედავთ, ხალიფა იბნ ხაიატის თანახმად, 649-650 წლებში ქართლი დაულაშქრავთ ჯერ სალმან იბნ რაბი'ას და მისი სიკვდილის შემდეგ, ჩვენთვის კარგად ცნობილ ჰაბიბ იბნ მასლამას, რომელიც დაუზავდა ქართლის მოსახლეობას.

ხალიფა იბნ ხაიატის ცნობა განსხვავდება სხვა არაბი ავტორების ინფორმაციისგან...

[გ. ჯაფარიძე წერდა, რომ „ამ ცნობების გულდასმით შესწავლა და ანალიზი მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი ბეჭდური სახით“. სამწუხაროდ, მას ეს არ დასცალდა.]

თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში

აბასიანთა ხალიფას ჰარუნ არ-რაშიდის გარდაცვალების (809 წ.) შემდეგ მისმა ვაჟებმა: ალ-ამინმა (809-813) და ალ-მა'მუნმა (813-833) ხალიფას ტახტისთვის დაიწყეს ბრძოლა. ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ალ-მა'მუნი, მაგრამ აშლილობის პერიოდმა ბიძგი მისცა სახალიფოს პროვინციულ გამგებლებს სეპარატიზმისკენ. ისინი ცდილობდნენ სამართავად მიცემული ოლქები მემკვიდრეობით საკუთრებად გადაექციათ. გამონაკლისს არც თბილისის ამირები წარმოადგენდნენ. მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილი. მის შესახებ ბევრი რამ არის დანერგილი ქართველი (ივ. ჯავახიშვილი,¹ ს. ჯანაშია,² მ. ლორთქიფანიძე,³ ე. სიხარულიძე,⁴ გ. ჯაფარიძე⁵ და სხვ.⁶) და უცხოელი მკვლევრების (ჟ. ლორანი,⁷ ი. მარკვარტი,⁸ მ. კანარი,⁹ ვ. მინორსკი¹⁰ და სხვ.) მიერ. წინამდე-

პირველად დაიბეჭდა – *საისტორიო კრებული*, 4 (2014), 11-43.

¹ ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II (თბილისი, 1983), 96-99, 115.

² ს. ჯანაშია, „არაბობა საქართველოში“, *შრომები*, II (თბილისი, 1952), 406-7.

³ მ. ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, *იჯი მიმომხილველი*, ტ. II (1951), 188-94; М.Д. Лордкипанидзе, „Возникновение новых феодальных государств. V. Тбилисский эмират“, *ОИГ*, том II, *Грузия в IV-X веках* (Тбилиси, 1988), 345-48; მისივე, *Тбилиси (IV-XII вв.)* (Тбилиси, 1991), 38-40.

⁴ ე. სიხარულიძე, „ერთი ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილის შესახებ“, *თსუ შრომები*, ტ. 180 (1976), 139-43.

⁵ გ. ჯაფარიძე, „ისჰაკ იბნ ისმა'ილი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, შემდგენლები კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე (თბილისი, 1999), 105-6.

⁶ ლიტერატურა დასახელებული იქნება ქვემოთ.

⁷ J. Laurent, *L'Arménie entre Byzance et l'Islam depuis la conquête Arabe jusqu'en 886* (Paris, 1919), Appendice III, 320-21 (Ishak de Tiflis).

⁸ J. Marquart, *Osteuropäische und ostasiatische Streifzüge* (Leipzig, 1903), 410-13.

⁹ M. Canard, „Les principautés Arabes d'Arménie. V. Ishaq de Tiflis“, *REÁ*, XI (1975-76), 201-4.

¹⁰ V. Minorski, „Tiflis“, *EII*, vol. VIII, 48-49.

ბარე ნაშრომი თბილისის ამ ამირას მოღვაწეობის ახალი დეტალებით შევსებას ისახავს მიზნად.

ისჰაკ იბნ ისმა'ილის წარმომავლობა. არაბული წყაროების აბუ ლ-‘აბბას ისჰაკ იბნ ისმა'ილ იბნ შუ‘აბ ათ-თიფლისი ალ-უმავი, როგორც ცნობილია, არის „მატიანე ქართლისას“ საჰაკ (სააკ) ისმაელის ძე.¹¹ ისჰაკის რთულ შედგენილ არაბულ-ისლამურ სახელში „აბუ ლ-‘აბბას“ არის ქუნია, რომელსაც ასახელებს არაბი ისტორიკოსი იბნ მისქავაჰი (გარდ. 421/1030 წ.).¹² ჩანს, ‘აბბასი ერქვა ამირას უფროს ვაჟს. ცნობილია მისი სხვა ვაჟიც – ‘ამრი, რომელიც დაატყვევა ბულა თურქმა (იხ. ქვემოთ). ისჰაკის ნასაბია „იბნ ისმა'ილ იბნ შუ‘აბი“ / „ძე ისმა'ილის, შუ‘აბის ძისა“.

ისჰაკის ორმაგი ნისბა (წარმომავლობის სახელი): ალ-უმავი¹³ ათ-თიფლისი¹⁴ მიუთითებს მის კავშირს, ერთი მხრივ, თბილისთან (არაბ. *თაფლის*, *თიფლის*), ხოლო მეორე მხრივ, – მის ანდა უფრო მისი წინაპრების კავშირს უმაიანთა საგვარეულოსთან.

ისჰაკ იბნ ისმა'ილის სოციალური და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ IX-X სს-ის არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა შორის არ იყო ერთსულოვნება. ალ-ია'კუბის (გარდ. არაუგვიანეს 905 წლისა) თანახმად, ისმა'ილ იბნ შუ‘აბი – ისჰაკის მამა, ჯურზანის, ანუ ქართლის მხარეში (ნაჰიდა), რომელიც მან მიიტაცა (ლალაბა),¹⁵ იყო მარვან იბნ მუჰამად იბნ მარვანის – უმაიანთა უკანასკნელი ხალიფას (744-750) – მავლა, კლიენტი.¹⁶

არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი ალ-მას'უდი (გარდ. დაახლ. 345/956 წ.), წერდა: „*მე ვფიქრობ, რომ ის იყო კურაიშელი, უმაიანთა საგვარეულოდან, ანდა მათთან შეკედლებული (ლაჰიკი) მავლა*“.¹⁷ ამრიგად, ისჰაკის არცთუ შორეული წინაპრების ეთნიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ თვალსაზრისი X ს-შიც კი არ იყო ერთგვაროვანი: ის არაბია (კურაიშთა

¹¹ ქც, ტ. I, 255-56.

¹² იბნ მისქავაჰი, *თაჯარუბ ალ-უმამ ვა თა'აკუბ ალ-ჰიმამ*, თაჰკიკ ქისრაფი ჰასან, IV (ბაჰრუთ, 1427/2003), 124.

¹³ ისჰაკის ამ ნისბის შესახებ იხ. ას-საფადი (გარდ. 1363 წ.), *ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაიჰათ*, VIII, რედ. ა. არნავუტი, თ. მუსტაფა (ბაჰრუთ, 1420/2000), 263, 1506.

¹⁴ ისჰაკს ათ-თიფლისის ნისბით პირველად იხსენიებს ალ-ია'კუბი. *თა'რიხ*, II, ბაჰრუთ (გამოცემის თარიღის გარეშე), 464; ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, 189.

¹⁵ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 435.

¹⁶ იქვე.

¹⁷ ალ-მას'უდი, *მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარ*, ტ. I, რედ. იუსუფ ას'ად დაღირ (ბაჰრუთ, 1978), 227; ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, 189.

ტომიდან), ანდა უმაიანთა (მარვან იბნ მუჰამადის) *მავლა*.¹⁸ თავად ისჰაკიც, არაბულ წყაროებში, არცთუ იშვიათად, დასახელებულია, როგორც უმაიანთა (*ბანუ უმაიია*) *მავლა*.¹⁹

ვინ იყო *მავლა*?

მავლა, კლიენტი ისლამამდელ არაბეთში იყო რომელიმე პიროვნების, ანდა ადამიანთა ჯგუფის მფარველობაში მყოფი პირი, უცხოელი, რომელიც შედიოდა ამა თუ იმ არაბული ტომის შემადგენლობაში არასრულფასოვანი ნევრის სახით და სარგებლობდა ტომის მფარველობით; არაბთა დაპყრობითი ომების დროს, ის ადამიანები, რომლებიც დაპყრობილ ქვეყნებსა და ოლქებში იღებდნენ ისლამს, იძულებულნი ხდებოდნენ დაეტოვებინათ თავიანთი რელიგიური თემი და ეძებნათ არაბული არისტოკრატიისა და არაბული ტომების მფარველობა, გამხდარიყვნენ მათი კლიენტები – არაბ. *მავლა*, მრ., *მავალი*. მფარველი პატრონის მეშვეობით, *მავლა* შედიოდა არაბულ საზოგადოებაში, კარიერას იკეთებდა პატრონის სამსახურში. კავშირი კლიენტსა და პატრონს შორის იყო მნიშვნელოვანი უმაიანთა სახალიფოს მთელ მანძილზე. არაარაბმა მუსლიმმა *მავლებმა* მალე მოიპოვეს გავლენიანი პოზიციები სახალიფოს ადმინისტრაციულ აპარატში, სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე.²⁰ უკვე ხალიფა მუავიას (660-680) დროს ისინი მონაწილეობდნენ ბრძოლებში ბიზანტიის წინააღმდეგ და ხალიფა ნიშნავდა მათ ხელმძღვანელ პოსტებზე არმიაში. ასევე იქცეოდა ხალიფა 'აბდ ალ-მალიქიც (685-705). *მავლებმა* მოიპოვეს დიდი გავლენა სახალიფოში და არაბებს აღარ შეეძლოთ ემართათ სახელმწიფო მათ გარეშე.

თუ ისმა'ილ იბნ შუ'აბი და მამამისი მართლაც უმაიანთა *მავლები* იყვნენ, ეს შეიძლება მათ არაარაბულ წარმომავლობაზეც მეტყველებდეს. ამ შემთხვევაში მამა-შვილი 2-3 თაობის მუსლიმები მაინც იქნებოდნენ. მა-

¹⁸ ალ-მას'უდი, *მურუჯ*, 227.

¹⁹ იბნ მისქაჯაჰი, *თაჯარუბ ალ-უმამ*, 124; Ibn al-Athir, *al-Kamil fi'l-Ta'rikh*, vol. VII (Beyrouth, 1965), 67-8; ას-საფადი, *ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაიათ*, 263; იბნ თალრი ბირდი (გარდ. 1470 წ.), *ან-ნუჯუმი აზ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ლ-კაჰირა*, II (ბაერუთ, 1413/1992), 350; ან-ნუჯაფარი (გარდ. 1333 წ.), *ნიჰაიათ ალ-არაბ ფი ფუნუნ ალ-ადაბ*, ინტერნეტრესურსი <http://www.alwaraq.net>, 2742; აზ-ზაჰაბი (გარდ. 1348 წ., ან 1352-3 წ.), *თა'რიხ ალ-ისლამ*, 231-40; ჰიჯრი, თაჰკიკ ად-დუქთურ 'უმარ 'აბდ ას-სალამ თადმური (ბაერუთ, 1411/1991), 26; აზ-ზაჰაბი, *ალ-იბარ ფი ხაბარ მან 'აბარ*, I, ჰაკკაკაჰუ აბუ ჰაჯრი მუჰამმად ას-სა'იდ ბ. ბასაუნი ზალლულ (ბაერუთ, 1405/1985), 334; აზ-ზაჰაბი, *დუვალ ალ-ისლამ* (ბაერუთ, 1405/1985), 129; იბნ ხალდუნ (გარდ. 1406 წ.), *თა'რიხ*, III (ბაერუთ, 1355/1936), 275-76.

²⁰ P. Crone, "Mawla," *EI2*, vol. VI (Leiden, 1991), 874-82; გოჩა ჯაფარიძე, „*მავლა*“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 121; მისივე, „ისჰაკ იბნ ისმა'ილი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 105-6.

გრამ ისჰაკის მამის (ისმა'ილ) და პაპის (შუ'აიბ) სახელები არაბულ-ისლამურ ტრადიციას ემყარება. ისმა'ილი ერქვა არაბთა მამამთავარს, ხოლო შუ'აიბი, ყურანის თანახმად – წინაისლამური ხანის ერთ-ერთ წინასწარმეტყველს, რომელიც მონოთეიზმს ქადაგებდა.²¹ ამ მონაცემებით, ის უფრო შესაძლებელია, არაბი იყო, რომელიმე არაბული ტომიდან და ისლამის ადრეულ ეტაპზე დაუკავშირდა უმაიანთა საგვარეულოს.²² რაც შეეხება ისჰაკის მავლობას (და ასევე ნისბასაც), ეს ძველი საგვარეულო ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს, რადგანაც მის დროს უმაიანთა დინასტია ახლო აღმოსავლეთში უკვე გადაშენებული იყო.

როგორც აღინიშნა, ისმა'ილ იბნ შუ'აიბმა მიიტაცა ჯურზანი. ზმნა „მიიტაცა“ არაბულად არის ღალაბა, რომლის მეხუთე თემიდან (თალალაბა) ნაწარმოებია მიმღეობა მუთალალლიბ. ალ-მას'უდი ისჰაკ იბნ ისმა'ილს უწოდებს სწორედ მუთალალლიბს.²³ ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ალ-ია'კუბის „ისტორიაში“, დამპყრობის, წამრთმევის, მიმტაცებლის, უზურპატორის მნიშვნელობით. ისჰაკი, მამის მსგავსად, იყო არა აბასიანი ხალიფას მიერ დანიშნული ლეგიტიმური გამგებელი (საამისო ცნობა არ მოიპოვება), არამედ მიმტაცებელი, უზურპატორი, რომელიც ძალით დაუფლა ხელისუფლებას.

პ. კ. ჟუზემ მუთალალიბებს სამხრეთ კავკასიაში მიუძღვნა საგანგებო ნაშრომი,²⁴ რომელიც ხშირად უგულებელყოფილია ორიენტალისტურ

²¹ A. Rippin, “Shu' aib,” *EI2*, vol. IX (Leiden, 1997), 491.

²² გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ისჰაკი წარმოშობით სომეხი, ეკუთვნოდა ვანანდის (ყარსის პროვინციის) სომეხ იზხანთა საგვარეულოს: Д.А. Кобяков, “Краткий исторический очерк Тифлиса,” *Сборник сведений о Кавказе*, ч. 274 (Тифлис, 1880), 273-74. კობიაკოვი არ ასახელებს წყაროს, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ ამ შემთხვევაში ის ეყრდნობოდა (გვ. 35, შენ.) ა. დ. ერიცოვის ინფორმაციას (ასევე წყაროს მიუთითებლად). ნალბანდიანი, რომელმაც დაიმონმა კობიაკოვის ნაშრომი (ვ. ს. ნალბანდიანი, *თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში* (თბილისი, 1959), 63) დამატებით ასახელებს სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) „ისტორიას“ (სანკტ-პეტერბურგი, 1885, სომხურ ენაზე), გვ. 144. ამ თხზულებაში, სულ რამდენიმე სტრიქონი ეთმობა ვანანდში ისჰაკის მიერ ბიზანტიელთა ჯარის დამარცხებას (იხ. ქვემოთ), ბუღას ლაშქრობას თბილისზე და ისჰაკ იბნ ისმა'ილის ჯვარზე გაკვრას, მაგრამ არა ისჰაკის წარმომავლობას. *Всеобщая история Степ'аноса Таронского, Асохика по прозванию – писателя XI века*, переведена с армянского и объяснена Н. Эминим (Москва, 1864), 79, 335. ნალბანდიანი იმონებს აგრეთვე, პ. აჭარაიანის „სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონს“ (ტ. IV (ერევანი, 1948, სომხურ ენაზე), 359), მაგრამ არც იქ არის საუბარი ისჰაკის სომხური წარმომავლობის შესახებ. ეს ინფორმაცია მომანოდა თსუ-ს პროფესორმა, არმენისტმა ნათია ჩანტლაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

²³ ალ-მას'უდი, *მურუჯ*, 227.

²⁴ П.К. Жузе, “Закавказье в IX-X вв.,” *მსკი*, ნაკვ. 3 (ტფილისი, 1937), 167-214.

გამოკვლევებში (უპირატესად დასავლეთში). ეს სიტყვა არ შევიდა მრავალტომეულ ავტორიტეტულ „ისლამის ენციკლოპედიის“ გამოცემებშიც.²⁵

მუთალაღლიბი არაბ გეოგრაფებთან და ისტორიკოსებთან სახალიფოს დაშლის პერიოდში ეწოდებოდა იმ პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ პოლიტიკური არეულობებით სახალიფოში, ანდა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით, ცდილობდნენ განდგომოდნენ ხალიფებს და შეექმნათ, უპირატესად, სახელმწიფოს განაპირა მხარეებში, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები. სეპარატიზმი საფრთხეს უქმნიდა სახალიფოს ერთობას, განაპირობებდა ხალიფების პოლიტიკური გავლენის დაცემას პროვინციებში და იმავდროულად სახალიფოს ხაზინაში შემოსული გადასახადების შემცირება-შენწყვეტას. შესაბამისად, ხალიფები ზრუნავდნენ სახალიფოს პოლიტიკური ერთიანობის დაცვაზე და საკუთარ ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებზე. შემოსავლების დაკარგვას ხალიფები ნებაყოფლობით არასოდეს თანხმდებოდნენ.²⁶ ასე იყო სამხრეთ კავკასიაშიც. პ. კ. ჟუზე აღნიშნავდა: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ IX-X სუკუნეებში ამიერკავკასიის მთელი ისტორია მიმდინარეობდა ბაღდადის ცენტრალურ ხელისუფლებასთან *მუთალაღლიბთა* მრავალრიცხოვანი ფენის ბრძოლის ნიშნით და ამ ბრძოლაში წარმატება არც თუ ისე ხშირად იყო ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე“.²⁷

სამხრეთ კავკასიაში *მუთალაღლიბთა* შორის იყვნენ თბილისის არაბი ამირებიც. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია ისჰაკ იბნ ისმა'ილი, რომლის დაპირისპირაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ცვლებადი წარმატებით მიმდინარეობდა და, საბოლოოდ, ამირასთვის ტრაგიკულად დასრულდა.

ისჰაკ იბნ ისმა'ილი და მისი ზეობა. ისჰაკის მამის – ქართლის მიმტაცებელ *მუთალაღლიბ* ისმა'ილის მმართველობა ალბათ გრძელდებოდა 198/813-14 წლამდე. სწორედ ამ წელს, ალ-ია'კუბის თანახმად, არმინიის პროვინციაში 'აბდ ალ-მალიქ იბნ ალ-ჯაჰჰაფ ას-სულამისთან ერთად, ძალაუფლებას იყოფდა *მუთალაღლიბი* მუჰამად იბნ 'ათთაბი.²⁸

ალ-ია'კუბის „ისტორიის“ ფურცლებზე მუჰამად იბნ 'ათთაბი ხელახლა გამოჩნდება 214/829-30 წ. ამ დროს ხალიფა ალ-მა'მუნმა არმინიის

²⁵ XVIII ს-ის დამდეგს ოსმალთა ისტორიკოსები ხშირად უწოდებდნენ *მუთალაღლიბებს* ან დერებეებს (დაბლობთა გამგებლებს) მცირე აზიის ზოგიერთ მმართველს, რომლებიც დამოუკიდებლები გახდნენ სტამბოლის ცენტრალური ხელისუფლებისგან. J. H. Mordtmann [B. Lewis], „Derebey,” *EI2*, vol. II (Leiden, 1991), 206-8.

²⁶ Жузе, „Закавказье в IX-X вв.,” 184.

²⁷ იქვე, 189.

²⁸ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 445.

ვალიდ დანიშნა 'აბდ ალ-ა'ლა იბნ აჰმად იბნ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამი, რომელსაც არ ჰქონდა საომარი გამოცდილება. ის შეებრძოლა მუჰამად იბნ 'ათთაბს, რომელსაც ამ დროს უკვე ჯურზანიც ჰქონდა მიტაცებული (თალ-ალლაბა) და რომელსაც შეუერთდნენ წანარები (ას-სანარიია). მოკავშირეებმა გაიმარჯვეს.²⁹ მაშინ მათ წინააღმდეგ ხალიფა ალ-მა'მუნმა გაგზავნა ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიადი, რომელიც არმინიის პროვინციის გამგებლად დანიშნა. ეს მოხდა არა უადრეს ჰიჯრის 212/2.IV.827-21.III.828 წლისა, რასაც მონმობს ამ წლიდან მისი სახელით ამ პროვინციაში მოჭრილი მონეტები (მა'დინ ბაჯუნაჰსი, მადინათ არრანი).³⁰ დაახლოებით ამ დროს, ხალიდმა დაამარცხა წანარები, ხოლო მუჰამად იბნ 'ათთაბმა მას მორჩილება გამოუცხადა.³¹ ნუმიზმატიკური მასალებით, ხალიდი არმინიის გამგებლი იყო 217/832 წლამდე.³² შესაძლებელია, მუჰამად იბნ 'ათთაბი ამ დრომდე რჩებოდა, როგორც ქართლის, ისე კონკრეტულად, თბილისის გამგებლად³³ და „მატიანე ქართლისა“-ს თანახმად, „ვითარ წარვიდა ხალილ (resp. ხალიდ) დაუტევა ამირად ალი შუაბის (resp. შუ'აიბის) ძე“,³⁴ რომელიც ისჰაკ იბნ ისმა'ილის ბიძა ჩანს. ამგვარად, ხალიდ იბნ იაზიდის მმართველობის წლების (827/828-832) გათვალისწინებით, ალის გაამირება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 832 წლისა, შესაძლოა უფრო ადრეც.

ხალიდ იბნ იაზიდის განწვევისთანავე, იმავე წელს („მას ჟამსა“) „შეთქუნეს გარდაბანელნი“ და ქორეპისკოპოსებად განაჩინეს ჯერ იოვანე ქვაბულის ძე დაჩი, შემდეგ კი – სამოელ დონაური.³⁵ არმინიაში მღელვარებას აღნიშნავს ალ-ია'კუბიც.³⁶

ხალიფამ არმინიის გამგებლად 217/7.II. 832-1.26.833 წ. დანიშნა ალ-ჰასან იბნ 'ალი ალ-ბაზლისი (ალ-მა'მუნის), რომელმაც ხარკი მოსთხოვა ისჰაკ იბნ ისმა'ილ იბნ შუ'აიბს და მიიღო ის.³⁷ **ეს არის ქრონოლოგიურად ისჰაკ იბნ ისმა'ილის პირველი გამოჩენა ალ-ია'კუბის „ისტორიაში“.** მაგრამ ეს

²⁹ იქვე, 463-64.

³⁰ А.Н. Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат* (Ереван, 1977), 282.

³¹ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 464.

³² Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат*, 282.

³³ ტერ-გევონდიანი წერს, რომ ხალიდმა იბნ 'ათთაბი ხალიფას გაუგზავნა. Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат*, 134. საამისო წყარო არ არსებობს, თუმცა თბილისის ამირად, ალი შუაბის (resp. შუ'აიბის) მოულოდნელი დანიშვნა, შეიძლება იმას მონმობდეს, რომ არასანდო მუჰამად იბნ 'ათთაბი იძულებით ჩამოაშორეს სამხრეთ კავკასიას.

³⁴ ქც, ტ. I, 254; ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, 190-91, 200.

³⁵ ქც, ტ. I, 254.

³⁶ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 464.

³⁷ იქვე.

უნდა მომხდარიყო არა 829-30, არამედ 832 წლისთვის. შეთანხმება არმინიის გამგებელთან იყო ტიპური და დამახასიათებელი ცენტრალურ ხელისუფლებასა და მუთალაღლიბებს შორის.

ამრიგად, ალ-ია'კუბის თანახმად, ისჰაკ იბნ ისმა'ილი ამირად ჩანს 214/829-30 წლიდან.³⁸ ამასთან, XI ს-ის ერთ არაბულ წყაროში, შარვანისა და დარუბანდის შესახებ,³⁹ რომელიც მიენერება შაიხ აბუ 'აბდ ალაჰ მამუს იბნ ალ-ჰასან იბნ მუჰამად ალ-ლაქზი ად-დარბანდის (გარდ. დაახლოებით 504/1110 წ.) და რომელიც შესულია XVII ს-ის ავტორის მუნეჯიმ-ბაშის ნაშრომში,⁴⁰ მითითებულია, რომ „ისჰაკ ბ. ისმა'ილის აჯანყება, დაწყებიდან – მისი სიკვდილით დასჯამდე (ე.ი. 853 წ. 5 აგვისტომდე – გ.ჯ.), გრძელდებოდა 35 წელი“.⁴¹ ამდენად, ისჰაკი ამირა იყო თუ ადრე (817 წ.) არა, უკვე 818 წელს.

აღნიშნული ცნობა უაღრესად საინტერესოა ისჰაკ იბნ ისმა'ილის მმართველობის ქრონოლოგიის დასადგენად. მაგრამ ალ-ია'კუბი არ უჩვენებს ისჰაკის ამირობას და მით უმეტეს, მის აჯანყებას 818-829/30 წლების შუალედში. როგორც ითქვა, 198/813-14 წლიდან არმინიის პროვინციაში 'აბდ ალ-მალიქ იბნ ალ-ჯაჰჰავ ას-სულამისთან ერთად ძალაუფლებას იყოფდა მუთალაღლიბი მუჰამად იბნ 'ათთაბი.⁴²

როგორ შევათანხმოთ ორი განსხვავებული ქრონოლოგიური ცნობა ისჰაკ იბნ ისმა'ილის ზეობის შესახებ? მ. ლორთქიფანიძე არ გამოორიცხავს 818-830 წლებში, სხვადასხვა დროს, ისჰაკის ორჯერ გაამიროებას.⁴³ საკონტროლოდ შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ისჰაკ იბნ ისმა'ილის თანამედროვის – აშოტ კურაპალატის გარდაცვალების თარიღი. თუ აშოტ კურაპალა-

³⁸ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 464; ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, 190-91, 200; Лордкипанидзе, *Тбилиси*, 38.

³⁹ ეს ნაშრომი ინგლისური თარგმანით გამოსცა ვ. მინორსკიმ – V. Minorsky, *History of Sharvan and Darband in the 10th-11th centuries* (Cambridge, 1958) და შემდეგ დაიბეჭდა რუსულ ენაზე: В.Ф. Минорский, *История Ширвана и Дербенда X-XI веков* (Москва, 1963).

⁴⁰ ამ ავტორის იდენტიფიკაცია ეკუთვნის დალესტენელ ისტორიკოსს ა. ალიკბეროვს. შეიხი აბუ 'აბდ ალაჰ მამუს იბნ ალ-ჰასან იბნ მუჰამად ალ-ლაქზი ად-დარბანდი იყო ისტორიკოსი და ჰადისების მცოდნე, ცნობილი ისტორიკოსის ალ-ხატბ ალ-ბაღდადის მოწაფე, დარუბანდის ჰაშიმიანთა დინასტიის ამირების კარის ისტორიკოსი. А. К. Алиқберов, *Эпоха классического ислама на Кавказе* (Москва, 2003), 266-68; 309-13.

⁴¹ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 46; სიხარულიძე, „ერთი ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ“, 139-43.

⁴² ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 445.

⁴³ Лордкипанидзе, „Возникновение новых феодальных государств. V. Тбилисский эмират“, 345-46, შენ. 429; მისივე, *Тбилиси*, 38.

ტის მკვლევლობა მართლაც მოხდა 826⁴⁴ ან 830⁴⁵ წელს (და არა 836 წ.⁴⁶), მაშინ ისჰაკის პირველად გაამირებას 818 წელს რეალური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. შემდეგ მან დაჰკარგა ძალაუფლება (მაგრამ როდის? უცნობია), შესაძლოა მუჰამად იბნ 'ათაბის წყალობით და ხელახლა გახდა ამირა 829-30⁴⁷ წლიდან, ანდა ჩემი აზრით, უფრო **ზუსტად**, 832 წლიდან. სწორედ ამის შემდეგ ჩანს თბილისის ამ ამირას სეპარატიზმი.

ალ-ია'კუბის თანახმად, აზერბაიჯანში ხალიფას წარმომადგენლის აფ-შინის მიერ არმინის გამგებელად ჰიჯრით 223/3. 12.II.837-1.1.14.838 წ. დაინიშნა მუჰამად იბნ ხალიდ ბუხარჰუზა. ის ებრძოდა წანარებს და დაუზავდა ისჰაკ იბნ ისმა'ილს.⁴⁸ დაზავება შეიძლება განაპირობა ბიზანტია-სახალიფოს ფრონტზე, სომხეთის მიმართულებით, ბიზანტიის იმპერატორის თეოფილეს (829-842) ლაშქრობამ, რაც ატ-ტაბარის ცნობით, ჰიჯრით 223/837-38 წ. დაიწყო.⁴⁹ თეოფილეს ლაშქარი ორი მიმართულებით შეიჭრა სომხეთში. ასოლი-

⁴⁴ M. Brosset, *Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX^e siècle*, Traduite du Géorgien, 1^{re} partie (S.-Petersbourg, 1849), 264; ა. ბოგვერადე, „ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ)“, *სფხის*, I (1970), 131-38; დავით ნინიძე, „ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიული ქრონოლოგიიდან – დათარიღება „მოჰამედის გამოჩინების“ მიხედვით“, *ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი*, II (1993), 12-14; მანანა ფხაკაძე, რაულ ჩაგუნავა, „როდის გარდაიცვალა აშოტ კურაპალატი“, *თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება*, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ქუთაისი, 2013), 244-48; გ. ლეგაშვილი, „აშოტ კურაპალატის მკვლევლობის საქმესთან დაკავშირებული საისტორიო ძიება“, *თსუსი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები*, I (2012), 70-81.

⁴⁵ C. Toumanoff, „Chronology of the kings of Abazgia and other problems. II. Date of the Death Curopalat Ashot the Great of Iberia,“ *Le Museon*, LXIX, 1-2 (1956), 83-85; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation* (Indianapolis, 1994), 29; გ. ალასანია, „ქართველების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ხაზართა როლი საქართველოს VIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის მოვლენებში („ქართველთა სამეფოს“ შექმნის სათავეებთან)“, *ქართველები და ისლამამდელი თურქები* (თბილისი, 2008), 160-61.

⁴⁶ კ. კეკელიძე, „აშოტ დიდი კურაპალატის ქრონოლოგიისათვის“, *ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა* (თბილისი, 1935), 101-9; იგივე იხ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, VIII (თბილისი, 1962); მისივე, „ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა. III. აშოტ დიდი კურაპალატი“, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, XIV (თბილისი, 1986), 51-60.

⁴⁷ თუ ასეა, ამ პერიოდში ჯდება ურთიერთობა დიაკონ ცქირის „ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისგან“, აშოტ კურაპალატისა და ამირა ისჰაკ იბნ ისმაილისა, რომლის დახმარებითაც, ცქირმა „მძღავრებით დაიპყრო ანჩის საყდარი“ კლარჯეთში. კეკელიძე, „აშოტ დიდი კურაპალატი“, 52-53.

⁴⁸ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 475.

⁴⁹ *Tarikh At-Tabari* par Abi Ja'far Mohammad ibn Jarir At-Tabari, vol. IX, édition critique par Mohammad Abul Fadl Ibrahim (Le Caire, 1967), 55-57.

კის ცნობით, ბიზანტიელთა ერთმა ნაწილმა მოაოხრა ხანძითი, ხარბერდი და პალინი. მეორე ნაწილი, თეოფილეს სარდლობით, შეიჭრა თეოდოსიუ-პოლსა და ბასიანში. იმპერატორმა დაატყვევა მრავალი სომეხი დიდებული და იმავდროულად პატრიკიოსის ტიტული უბოძა სპერის გამგებელს – აშოტ ბაგრატიუნის. ამის შემდეგ ის უკან დაბრუნდა, მაგრამ ბიზანტიელთა ჯარმა ვანანდისკენ გააგრძელა მსვლელობა, სადაც, სოფელ კაჭკაქართან ისინი დაამარცხა და უკუაგდო ისჰაკ იბნ ისმა'ილმა.⁵⁰ ყოველივე ეს, ა.შაგინიანის გაანგარიშებით, 838 წლის გაზაფხულ-ზაფხულში მოხდა.⁵¹

როგორც ვხედავთ, ისჰაკ იბნ ისმა'ილის აქტივობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქართლით და თბილისის საამიროს ფარგლებით. მუჰამად იბნ ხალიდ ბუხარჰუხასთან დაზავებამ შესაძლებლობა მისცა ამირას წარმატებით ჩაბ-მულიყო ბიზანტიელებთან ბრძოლაში და მოეპოვებია ხალიფას კეთილგან-წყობა. ფაქტია, მომდევნო 4 წლის მანძილზე ცენტრალურ ხელისუფლებას ის აღარ შეუწუხებია.

842 წლის პირველ ნახევარში, არა უგვიანეს ზაფხულისა, ხალიფა ვასი-კის ბრძანებით, ზღაპრული არსებების იაჯუჯისა და მაჯუჯის, ე.ი. გოგისა და მაგოგის მიერ აშენებული ზღუდის სანახავად, თბილისი გზად გაიარა ხალიფა ვასიკის მიერ წარგზავნილმა სალლამ ათ-თარჯუმანმა.

სალლამ ათ-თარჯუმანი თბილისში. ისლამური თვალსაზრისით, ია-ჯუჯი და მაჯუჯი, ბიბლიური გოგი და მაგოგი, ის არსებებია, რომლებიც ცხოვრობდნენ უკიდურეს აღმოსავლეთში, ავრცელებდნენ ბინიერებას დედამიწაზე და მტრობდნენ ადამიანებს. ყურანის თანახმად, ზუ ლ-კარ-ნაინმა, ე.ი. ალექსანდრე მაკედონელმა, იაჯუჯისა და მაჯუჯისაგან ადა-მიანთა დასაცავად, ორ მთას შორის ააგო ზღუდე,⁵² მისი ნაპრალები გამდ-

⁵⁰ *Всеобщая история Степ'аноса Таронского*, 335; *Histoire universelle*, 1re partie par Étienne Acogh'ig de Daron, traduite de l'armenienn et annotée par E. Dulaurier (Paris, 1883), 171; Marquart, *Osteuropäische und ostasiatische Streifzüge*, 421; Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат*, 138; T. W. Greenwood, "Armenian neighbours (600-1045)," *The Cambridge History of the Byzantine Empire, c. 500-1493*, ed. by Jonathan Shepard (Cambridge, 2008), 348-49 (ისჰაკის მოხსენიების გარეშე); Laurent, *L'Arménie entre Byzance et l'Islam*, 321; Canard, "Les principautés Arabes d'Arménie. V. Ishaq de Tiflis," 202; Minorsky, "Tiflis," 48.

⁵¹ Арсен Шагинян, *Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти* (Санкт-Петербург, 2011), 294-95.

⁵² ვინაიდან ზუ ლ-კარნაინი ხშირად გაიგივებული იყო ისქანდართან, ე.ი. ალექსანდრე მაკედონელთან, მუსლიმი ავტორები ამ ზღუდეს „ისქანდარის კედელსაც“ (არაბ. სადდ ალ-ისქანდარ, სპარს. სადდ-ი ისქანდარ) უწოდებდნენ და მიიჩნევდნენ სიმტიკიცისა და დაუძლელობის ეტალონად. გამოთქმულია ვარაუდები, რომ ის იყო ჩინეთის დიდი კედელი ან დარუბანდის კედელი. ამავე დროს, მუსლიმი ავტორები მას ხშირად ადარებდნენ ამა თუ იმ მძლავრ თავდაცვით ზღუდესა და ციხის გალავანს. ასეთი შედარებები გვხვდება აგრეთვე

ნარი რკინით შეავსო და იაჯუჯმა და მაჯუჯმა ველარ შესძლეს ზღუდის გადალახვა.

ზუ ლ-კარნაინის წინასწარმეტყველებით, სამყაროს დასასრულის წინ, აღნიშნული ზღუდე მტვრად იქცევა (ყურანი, 18:92/93-97/98) და იაჯუჯი და მაჯუჯი კვლავ გაემართებიან ადამიანებისკენ. მუსლიმური გადმოცემით, იაჯუჯი და მაჯუჯი ყოველ ღამეს ძირს უთხრიან აღნიშნულ ზღუდეს, მაგრამ დილით ალლაჰი მათ ნამოქმედარს ანადგურებს. სამყაროს აღსასრულის წინ იაჯუჯი და მაჯუჯი დაიპყრობენ მთელ სამყაროს და ბევრ ხალხს დახოცავენ, მაგრამ მათ ალაჰი მოსპობს.

იაჯუჯისა და მაჯუჯის სახე, რომელიც ყურანში სირიული ქრისტიანული ლეგენდების მეშვეობით მოხვდა, პოპულარული იყო არაბულ მწერლობაში და, რაც მთავარია, შეშფოთებას იწვევდა მოსახლეობაში, თვით მმართველ წრეებშიც კი. ხალიფა ვასიკმა სიზმრად ნახა, რომ იაჯუჯმა და მაჯუჯმა ზღუდე გაანგრიეს და შეშფოთებულმა დაიწყო ძიება ისეთი ადამიანისა, ვინც ამ ზღუდეს შეამონებდა. ასეთი აღმოჩნდა სალამ ათ-თარჯუმანი, პოლიგლოტი, 30 ენის მცოდნე. მისი ექსპედიცია დაკომპლექტდა, ჯეროვნად დაფინანსდა და დაახლოებით 842 წლის ივლის-აგვისტოში დატოვა სახალიფოს სატახტო ქალაქი – სამარა.

სალამ ათ-თარჯუმანმა გზად შეიარა თბილისში, სადაც შეხვდა „არმინის მფლობელს“ (საჰიბ), ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილს და გადასცა ხალიფას სარეკომენდაციო წერილი. ჩანს, ალ-ვასიკი თხოვდა ისჰაკს, ხელი შეეწყო სალამისთვის მოგზაურობაში. ამირამ, თავის მხრივ, ასეთივე წერილი მისწერა სარირის (სამხრეთ დაღესტანში, კოი-სუს შუა დინების დაბლობზე) გამგებელს,⁵³ რომელიც ისჰაკის სიმამრი იყო. შემდეგ სალამ ათ-თარჯუმანმა გზა გააგრძელა ხაზარეთისკენ, მერე – აღმოსავლეთით და, საბოლოოდ, 16 თვეში მიაღწია მიზანს – ჩინეთის დიდ კედელს. სულ ეს მოგზაურობა გაგრძელდა 2 წელი და 4 თვე. სამარაში დაბრუნებულმა სალამმა მოახსენა ხალიფას, რომ მისი შიში იყო უსაფუძვლო.

იმ ცნობებშიც, რომლებიც ეხება საქართველოს. ასე მაგალითად, XV ს. 80-იან წლების ამბებში სპარსელი პოეტი ჰოსეინ აბივერდი ახალციხის ციხის აღწერის დროს აღნიშნავს: „ესქანდარის გაღავანია მისი კედელი“. მ. თოდუა, „სპარსული წყარო საქართველოში თორქმანთა შემოსევის შესახებ“, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II (თბილისი, 1973), 190. ევლია ჩელების (XVII ს.) თანახმად, ალექსანდრეს მიერ არის აშენებული აწყურის ციხე. *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“*, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I (თბილისი, 1971), 296-97.

⁵³ Ибн Хордадбех, *Книга путей и стран*, перевод с арабского, комментарии, исследование, указатели и карты Наили Велихановой (Баку, 1986), 43-46 (§2. “О путешествии Саллама ат-тарджумана”).

საღვთისმეტყველების ან თარგმანის ამ თავგადასავალში, რომელიც პირველად მოგვითხრო არაბმა გეოგრაფმა იბნ ხორდადბეჰმა, ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი. ისჰაკ იბნ ისმა'ილი არმინიის გამგებლად, მფლობელად (საჰიბ) იხსენიება. შემდეგ ეს ცნობა გამეორებული აქვთ სხვა არაბ და სპარსელ ავტორებსაც.⁵⁴

ვ. მინორსკი ფიქრობდა, რომ ეს ხალიფა ვასიკმა (842-847) აღიარა ისჰაკ იბნ ისმა'ილი არმინიის გამგებლად (საჰიბ არმინია),⁵⁵ კაჭკაქართან ბიზანტიის ლაშქრის დამარცხების შემდეგ. მაგრამ ასეთი აღიარება რამდენადმე დაგვიანებული (ისჰაკმა ბიზანტიელები დაამარცხა 838 წ.) ჩანს და საეჭვოა. ამ შემთხვევაში დასაშვებად მიმაჩნია, რომ ისჰაკმა ეს ტიტული ისევე მიითვისა, როგორც მიიტაცა თბილისი და ხალიფამ, რომელიც საღვთისმეტყველების ექსპედიციის გასაგზავნად ემზადებოდა და ამირას ავტორიტეტის გამოყენებას საჭიროებდა, რეაგირების გარეშე დატოვა ისჰაკის ეს ნაბიჯი.⁵⁶ მაგრამ სა-

⁵⁴ აც-სული, აბუ ბაკრ მუხამად, *Китаб ал-ავრაқ (Книга листов)*, критический текст и перевод на русский язык В.И. Беляева и А.Б. Халидова, предисловие, примечания и указатели А.Б. Халидова (СПб, 1998), 65, არაბ. ტექსტი, 543; ალ-მუკადდასი, 362; ისჰაკ თბილისში არმინიის მფლობელს უწოდებენ: აც-სული, აბუ ბაკრ მუხამად, *Китаб ал-ავრაқ*, 65, არაბ. ტექსტი, 543; ალ-მუკადდასი, 362; იბნ ალ-ჯაუზი, 61 (ინტერნეტრესურსი: <http://www.alwaraq.net/Core/waraq/coverpage?Bookid=43&option=1>); იაკუთი, 938; ალ-იდრისი, 934; ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცეციტიშვილმა (თბილისი, 1975), 20, 61-62; *The Geographical Part of the Nuzhat-Al-Qulub composed by Hamd-Allah Mustawfi of Kazwin in 740 (1340)*, translated by G. Le Strange (Leyden, 1919), 236-37; ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუთურ-იძისა (თბილისი, 1937), 25.

⁵⁵ Minorsky, "Tiflis", 753. ემერი ვან დონზელი და ანდრეა შმიდტი აღნიშნავენ, რომ „როცა 842 წელს (?-გ.წ.) ისჰაკის ძმამ საჰაკმა (?-გ.წ.) გაანადგურა იმპერატორ თეოფილეს ლაშქარი ყარსის მახლობლად, ხალიფა ალ-ვასიკმა ხელახლა დანიშნა ისჰაკი არმინიის გამგებლად“. Emeri van Dozel, Andrea Schmidt, *Gog and Magog in Early Eastern Christian and Islamic Sources* (Leyde, 2010), 185. ამ აშკარა უზუსტობების კომენტირება ზედმეტად მიმაჩნია.

⁵⁶ XIV ს-ის სპარსელი გეოგრაფი და ისტორიკოსი ჰამდალლაჰ მუსტოფი ყაზვინი, იმდროინდელი რეალობიდან გამომდინარე, წერს რომ ისჰაკი იყო არმინიის (ამ შემთხვევაში – სომხეთის) და აზხაზის (საქართველოს) მფლობელი. *The Geographical Part of the Nuzhat-Al-Qulub composed by Hamd-Allah Mustawfi of Kazwin*, 236-37; ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, 25. კანარი თვლიდა, რომ იბნ ხორდადბეჰის აღნიშნულ ცნობაში „არმინიას“ ნაცვლად საქართველო (Georgia) უნდა ვიგულისხმოთ. ასევე, ემერი ვან დონზელი და ანდრეა შმიდტი აღნიშნავენ (Dozel, Schmidt, *Gog and Magog*, 184), რომ ამ ცნობაში „არმინია“ ფაქტობრივად იხმარება საქართველოს (Georgia) ნაცვლად და რომ ისჰაკი გახდა საქართველოს (არმინიას) გამგებელი აზხაზიანი ხალიფას ალ-ამინის (809-813) დროს (რაც არ დასტურდება). აშკარაა, რომ ეს მკვლევრები საქართველოში ქართლს/არაბ. ჯურზან გულისხმობენ.

კუთარი იურისდიქციის გაზრდის მცდელობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ისჰაკს ურჩობა არ შეუწყვეტია და რჩებოდა მუთალაღლიბად, რომლის სეპარატიზმს ხალისუფლება ვერ შეურიგდებოდა.

ახალი დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მას შემდეგ, რაც სალლამ ათ-თარჯუმანმა თბილისი დატოვა და თავისი მოგზაურობა გააგრძელა, ისჰაკ იბნ ისმა'ილის ხელახალმა აჯანყებამ, რამაც გამოიწვია მღელვარება არმინიაში,⁵⁷ განაპირობა ხალიფას მიერ ურჩი ამირას წინააღმდეგ ახალი დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა ხალიდ იბნ იაზიდის⁵⁸ სარდლობით. ეს ის ხალიდია, რომელიც უფრო ადრე, 829/30 წ. ებრძოდა აჯანყებულ მუჰამად იბნ 'ათაბას. ხალიდმა განაახლა ბრძოლა ისჰაკის დასამორჩილებლად. ქართველი მემატიანის თანახმად,

„კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელი გავაზს; გააქციეს ხალილ და მოსწყდა სიმრავლე ფრიად. კუალად დაჯდა ტფილისს საჰაკ ისმაელის ძე“.⁵⁹

ხალიდ იბნ იაზიდი მესამედაც დაიძრა ისჰაკის წინააღმდეგ, მაგრამ ავად გახდა, გარდაიცვალა და დაასაფლავეს დვინში.⁶⁰ „მატიანე ქართლისას“ თანახმად, ის მოკლეს ჯავახეთში.⁶¹ ამ ამბების ქრონოლოგიის დადგენა მარტივი არ არის, მით უმეტეს, რომ ხალიდის იმდროინდელი მონეტები არ არსებობს. ასოლიკის თანახმად, ხალიდი დაინიშნა სომხური ერით 290 ანუ 841-42,⁶² ხოლო ალ-ია'კუბის ცნობით – 230/844-45 წელს.⁶³ „შარვანისა და დარუბანდის ისტორიის“ ავტორი ამ დანიშვნას ათარილებს 230/844 წ., მაგრამ იმავდროულად აღნიშნავს, რომ „ამბობენ, ეს მოხდაო 228/842 წ“.⁶⁴

შაგინიანი ასოლიკის ცნობას ანიჭებს უპირატესობა. მაგრამ ვასიკი ტახტზე ავიდა 227 წლის რაბი' ალ-ავვალის თვის 18-ში, ე.ი. 842 წ. 5 იანვარს. ხოლო ხალიდის დანიშვნა, შაგინიანის თანახმად, მოხდა ამ წლის 28 აპრილამდე.⁶⁵ ამის შემდეგ ის დაიძრა სომხეთისკენ. თუ ხალიდის ხელით ხალიფას ისჰაკ იბნ ისმა'ილის დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, ძნელი დასაჯერებელია, ეს ამბავი

⁵⁷ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 45.

⁵⁸ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 481.

⁵⁹ ქც, ტ. I, 255-56.

⁶⁰ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 481.

⁶¹ ქც, ტ. I, 255.

⁶² *Всеобщая история Степ'аноса Таронского*, 77; Шагинян, *Армения и страны Южного Кавказа*, 296.

⁶³ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 481.

⁶⁴ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 45.

⁶⁵ Шагинян, *Армения и страны Южного Кавказа*, 296.

არ გახმაურებულყო. მაშინ გაუგებარია ამ გადაწყვეტილების შემდეგ სალ-ლამ ათ-თარჯუმანის (მან დატოვა სამარა 842 წლის ივლის-აგვისტოში) ვიზიტი თბილისში ხალიფას სარეკომენდაციო წერილით – ისპაკისადმი. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ხალიფა მანაც ვერ შეურიგდებოდა ისპაკის სეპარატიზმს. ხალიფი გარდაიცვალა სომხური ერით 291 წ. რომელიც მოიცავს პერიოდს 842 წლის 30 აპრილიდან – 843 წლის 29 აპრილამდე.⁶⁶ საფიქრებელია, რომ ხალიფ იბნ იაზიდის შემოსევა და მისი გარდაცვალება მოხდა 843 წ., გაზაფხულის პირველი თვის ბოლომდე.

შემდეგ ხალიფამ ისპაკის წინააღმდეგ ხალიფის ვაჟი მუჰამადი გაგზავნა. ქართული წყაროს თანახმად, მან ასევე მარცხი განიცადა,⁶⁷ ხოლო არაბი ისტორიკოსის ალ-ია'კუბის თანახმად, გაიმარჯვა.⁶⁸ მაგრამ, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ისპაკ იბნ ისმა'ილი ამირობას ვერ შეინარჩუნებდა და არც ბულა თურქი ილაშქრებდა მის წინააღმდეგ 853 წ.⁶⁹

843 წელს ისპაკ იბნ ისმა'ილმა კიდევ ერთხელ, 10 წლით აიცილა თავიდან ხიფათი და შეინარჩუნა ამირობა. ამით მისი ავტორიტეტი უფრო მეტად უნდა გაზრდილიყო. ისპაკს ცოლად ჰყავდა ქრისტიანული სარირის⁷⁰ (დალესტანში) მეფის ასული, მოკავშირედ – ნანარები და აფხაზთა სამეფო (რაც ჩანს ბულა თურქის ლაშქრობის დროს).

თბილისის ამირა, რომელიც ეფექტურად ახერხებდა თავი დაეღწია ხალიფას უზენაესობისგან, თავის მხრივ, აკონტროლებდა მეზობლებს და ცდილობდა მორჩილებაში მოეყვანა ისინი. X ს-ის არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ალ-მას'უდის ცნობით, ისპაკ იბნ ისმა'ილი

⁶⁶ C.J. Dowsett, “A Neglected Passage in the “History of the Caucasian Albanians,” *BSOAS*, vol. 19, no. 3 (1957), 457-58.

⁶⁷ ქც, ტ. I, 255-56.

⁶⁸ ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 481-82.

⁶⁹ ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, 94.

⁷⁰ ავართა სარირის ქრისტიანული სამეფო VI-XI სს-ში მდებარეობდა მთიან დალესტანში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა ხაზარეთი, დასავლეთით – ალანეთი, სამხრეთით – დარუბანდი და სამხრეთ-დასავლეთით – ქართული სამთავროები. სარირის ისტორიის შესახებ იხ. Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 132-37; А.Ю. Казанбиев, *Государство Сарир: проблемы становления и развития*, диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук (Махачкала, 2008). ქრისტიანობის შესახებ ავარებთან იხ. П.И. Тахнаева, *Христианская культура средневековой Аварии (VII-XVI вв.) в контексте реконструкции политической истории*, диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук (Махачкала, 2001); Г.Г. Гамбашидзе, “Вопросы христианской культуры и исторической географии Аварии в свете результатов Дагестано-грузинской объединенной археологической экспедиции АН ГССР и АН СССР,” *Материалы IV Международного симпозиума по грузинскому искусству* (Тбилиси, 1983).

„მასთან მყოფი მუსლიმების დახმარებით ბატონობდა მეზობელ ხალხებზე და ისინი ემორჩილებოდნენ მას და უხდიდნენ ჯიზიას“.⁷¹

იგივე ავტორი აბხაზებსა და ქურჯებს ასახელებს იმ ხალხებში, რომლებიც

„ხარაჯს უხდიდნენ სანაპირო ციხე თბილისის მფლობელს, მუსლიმთა მიერ თბილისის დაპყრობისა და აქ დასახლების შემდეგ – ალ-მუთავაქილის დრომდე“.⁷²

ჯიზია (სულადი გადასახადი) და ხარაჯი (გადასახადი მინაზე) ამ შემთხვევაში უბრალოდ ხარკს აღნიშნავს.⁷³ ეს ხარკი არ ეგზავნებოდა ხალიფას და რჩებოდა ამირას, რაც საშუალებას აძლევდა მას, ჰყოლოდა შეიარაღებული ძალები და გაემაგრებინა თავისი მთავარი საყრდენი – თბილისი. ასე გაგრძელდა 853 წლამდე.

ბულა თურქის ლაშქრობა თბილისზე

847 წლის 10 აგვისტოს აბასიანთა სახალიფოს სატახტო ქალაქ სამარაში უკურნებელი სენით გარდაიცვალა ხალიფა ვასიკი. მის ნაცვლად, ორმა თურქმა სარდალმა ვასიფმა და ითახმა ტახტზე აიყვანეს ვასიკის ძმა ჯა'ფარი, რომელმაც მიიღო საპატიო ტიტული ალ-მუთავაქილ 'ალა ლლაჰი.

მუთავაქილის წინამორბედების დროს სახალიფოში გაძლიერება დაიწყო თურქულმა გვარდიამ. ომაიანთა სახალიფოს დაცემისთანავე (750 წ.), შემცირდა არაბთა წილი სახალიფოს ლაშქარში. მურვან ყრუს წინააღმდეგ ბრძოლაში აბასიანებს გამარჯვება ხორასნელებმა მოუტანეს. ალ-მამუნმა ირანელ ფეოდალებზე დაყრდნობით სძლია თავის ძმას – ალ-ამინს, მაგრამ უკვე მაშინ გახდა აშკარა, რომ არც ირანული ელემენტი წარმოადგენდა საიმედო და საკმარის ძალას სახალიფოს დაპყრობილი ხალხების მორჩილებაში მოსაყვანად. სახალხო მოძრაობები, შუა აზიის, ირანისა და სამხრეთი კავკასიის ადგილობრივ ფეოდალთა და თავად არაბ ამირათა სეპარატისტული გამოსვლები ასუსტებდა სახალიფოს. ამ პირობებში გაჩნდა საჭიროება ისეთი სამხედრო ძალისა, რომელიც სულით და ხორციით თავისი ხელმწიფის ერთგული იქნებოდა და რომელსაც იმავდროულად არ ექნებოდა ფესვები ადგილობრივ მოსახლეობაში. საჭირო იყო ისეთი პროფესიული სამხედრო ძალა, რომელიც გააწონასწორებდა არაბთა და სპარსელთა მზარდ დაპირისპირებას და რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა საგარეო მტრების წინააღმდეგაც.

⁷¹ ალ-მას'უდი, *მურუჯ*, 227.

⁷² იქვე, 226.

⁷³ ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა“, 438.

სწორედ ასეთ ძალად იქცა თურქული ელემენტი. იმ დროისათვის არაბები კარგად იცნობდნენ მრავალრიცხოვან თურქულ ტომებს, ომობდნენ მათთან ვრცელ ტერიტორიებზე – კავკასიისა და შუა აზიის საზღვრებზე და ვაჭრობდნენ კიდევ. ომაიანთა შუა აზიაში გაბატონების შემდეგ ამ რეგიონიდან სახალიფოს ცენტრში დიდი რაოდენობით დაიწყეს დინება თურქმა მონებმა, რომლებსაც სხვადასხვა სამუშაოებზე იყენებდნენ. ასე გაგრძელდა აბასიანთა დროსაც. ხალიფა ალ-მუ'თასიმმა (833-837) ჩაატარა სამხედრო რეფორმა. ის პირველი ხალიფა იყო, რომელმაც თურქი მონებისგან – ლულამებისგან ჩამოაყალიბა პროფესიონალ მეომართა გვარდია. მისი ბრძანებით, ჯან-ლონით სავსე თურქ ქაბუკებს იძენდნენ ფერღანასა და ოსრუშნაში, მოჰყავდათ ერაცში და სპეციალურად წვრთნიდნენ. თანაც აღუთქვამდნენ, რომ ერთგული სამსახურისთვის მონობიდან გაათავისუფლებდნენ. უნდა ითქვას, რომ თურქები ხალისით სწავლობდნენ სამხედრო საქმეს. მაგრამ საკმარისი იყო მომრავლებულიყვნენ და მომძლავრებულყვნენ, რომ ბაღდადელებმა მათგან საშინელი საფრთხე იგრძნეს. დედაქალაქში დაიწყო გაუთავებელი კინკლაობა და შეტაკებები თურქებსა და არაბებს შორის. ალ-მუ'თასიმმა, რომლის დედა თურქი მხევალი იყო, სხვა გამოსავალი ვერ ნახა, იმის გარდა, რომ ბაღდადს გასცლოდა და რეზიდენცია ახლადაშენებულ სამარაში გადაეტანა. ამით მას სურდა, რომ არაბებისთვის თავიდან აეცილებინა თურქების ყოველგვარი გავლენა.

თურქ გვარდიელთა რიგებიდან დანინაურებულმა არაერთმა მეომარმა დაიკავა მაღალი თანამდებობა ხალიფას კარზე და ხალიფასგან სამართავად მიიღო სხვადასხვა ოლქი. სულ მოკლე ხანში თურქული ელემენტი, რომელიც მონობებული იყო ირანელთა და არაბთა დაპირისპირება გაენონასწორებინა, იმდენად გაძლიერდა, რომ დაჯაბნა ხალიფები და გაბატონებული პოზიციები მოიპოვა. ალ-მუ'თასიმის ვაჟი ალ-ვასიკი (842-847), ფაქტობრივად, თურქი ლულამების ტყვე გახდა. ის ველარ ტოვებდა სამარას, სადაც შეუზღუდავად პარპაშობდნენ ლულამები. სახელმწიფოს მართვაში დიდ როლს თამაშობდა ფერღანელი თურქი ფათჰ იბნ ხაკან ალ-ხაზარი და ორი თურქი სარდალი ვასიფი და ითახი.

ალ-მუთავაქილი ცდილობდა თავი დაეღწია თურქების გავლენისგან, მაგრამ ვერც მათ ელეოდა, რადგანაც მხოლოდ თურქების სამხედრო ძალაზე დაყრდნობით შეეძლო სახალიფოს მთლიანობისა და სიძლიერის დაცვა.

თურქი ლულამების წრიდან დანინაურდა ორი ბუღა. ერთმანეთისგან რომ გაერჩიათ, თანამედროვეები და შემდეგ კი არაბი ისტორიკოსები ერთს ალ-ქაბირს, ე.ი. უფროსს, ხოლო მეორეს ბუღა ას-სალირს, ე.ი. უმცროსს ან ბუღა აშ-შარაბის (მერიქიფეს)⁷⁴ უწოდებდნენ. მათგან ბუღა ალ-ქაბირი (და არა ბუღა

⁷⁴ D. Sourdel, “Bugha al-Kabir”, *EI2*, vol. I (Leiden, 1986), 1287.

ას-სალირი) იყო ის, რომელმაც თბილისი აიღო და რომელიც საქართველოს ისტორიაში ბუღა თურქის სახელით შევიდა.⁷⁵

ბუღა თურქის სრული სახელი არაბულ წყაროებში არის აბუ მუსა ბუღა ალ-ქაბირი (უფროსი) ათ-თურქი. ეთნიკურად ის თურქია არაბებისთვის და ქართველებისთვისაც, მაგრამ არის კიდევ ერთი ნიუანსი. ის, დიდი ალბათობით, იყო ხაზარი, თურქული მოდგმის ხაზართავან. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, რომ გარდაბანელთაგან მარცხის შემდეგ, ბუღა

„შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს... განალო კარი დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სამასი, და დასხნა იგინი შამქორს. დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულის შესვლა ოვსეთად, ხოლო ამირ-მუმმან ვითარ ცნა, ვითარმედ ხაზართა, ტომთა მისთა, ზრახავს (ე.ი. „ელაპარაკებოდა, მოლაპარაკებას აწარმოებდა“ – გ.ჯ.), მოუვლინა ბუღას, რათა დაუტევოს ქართლი ჰუმედს, ხალილის ძესა. და წარვიდა ბუღა“.⁷⁶

ბუღას მოლაპარაკება ხაზარებთან, რომლებიც „მისი ტომია“, გახდა იმის საფუძველი, რომ ცნობილ თურქოლოგს პ. გოლდენს⁷⁷ ბუღა მიეჩნია ხაზარად, თუმცა არსებობს სკეპტიციზმიც ამ საკითხზე, მ. ს. გორდონის მხრიდან.⁷⁸

გოლდენის თანახმად, ბუღა იყო ერთ-ერთ დიდი წარმომადგენელი ხაზარი ღულამებისა (ითახი, აშნასი, ისჰაკ ბ. კუნდაჯიკი), რომელთა შემოყვანა სახალიფოში დაიწყო ხალიფა ალ-მა'მუნის დროიდან და გახდა მნიშვნელოვანი ძალა მომდევნო ხალიფას – ალ-მუ'თასიმის (837-842) სამხედრო რეფორმის წყალობით. ახალ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში, დანარჩენი მოსახლეობისგან განცალკევებულებმა, მათ შესძლეს შეექმნათ დაჯგუფება ეთნიკურ ნიადაგზე. არის რამდენიმე ცნობა, რომ არსებობდა ხაზარული დაჯგუფებაც. ისინი იყვნენ სამხედრო ტყვეები, რომლებსაც ყიდულობდნენ ვაჭრობის გზით ხაზარეთში, ვოლგის ბულგარეთში, ხვარაზმში და სამანიანთა ვრცელ სამყაროში.⁷⁹

⁷⁵ ატ-ტაბარის თხზულებაში თბილისი აიღო ბუღა აშ-შარაბიმ და ასეა შესული გ. წერეთლის *არაბულ-ქართულ ლექსიკონში* (თბილისი, 1951), 29. ბოსვორსს და შაგინიანსაც მიაჩნიათ, რომ ბუღა ალ-ქაბირი (ათ-თურქი) არის ბუღა აშ-შარაბი. C.E. Bosworth, “Al-Kurdj,” *EI2*, vol. V (Leiden, 1986), 488; Шагинян, *Армения и страны Южного Кавказа*, 303, 310.

⁷⁶ ქც, ტ. I, 256-57.

⁷⁷ Peter B. Golden, “Khazar Turkic Ghulams in Caliphal Service,” *JA*, vol. 292, issue 1-2 (Paris, 2004), reprint in: *The Turks in the Early Islamic World*, ed. by C. Edmund Bosworth (Aldershot, 2007), 137; W. Barthold, P.B. Golden, “Khazars”, *EI2*, vol. IV (Leiden, 1997), 1175.

⁷⁸ Matthew S. Gordon, *The Breaking of a Thousand Swords. A History of the Turkish Military of Samarra (A.H.200-275/815-889 C.E.)* (Albany, N.Y., 2001), 21-22.

⁷⁹ Golden, “Khazar Turkic Ghulams in Caliphal Service”, 165.

ბუღას პატრონი იყო ალ-ფადლ იბნ საჰლი, რომელსაც გაექცა. ის დაიჭირეს და 204/819-20 წ. მომავალმა ხალიფამ ალ-მუ‘თასიმმა ბუღა და მისი შვილები შეიძინა ვეზირ ალ-ჰასან იბნ საჰლისგან 10 ათას დირჰამად. ბუღას ცოლს ან მხევალს ჰყავდა და, რომელიც გახდა ხალიფა ალ-მუთავაჯილის დედა. ამდენად ბუღას ვაჟი მუსა, ალ-მუთავაჯილის დეიდაშვილი გამოდის, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, შეთქმულება მოეწყო და მოექლა ხალიფა 861 წ.

ბუღა გახდა ხალიფა ალ-მუ‘თასიმის (833-842) ერთ-ერთი ჰაჯიბი და ყველაზე მნიშვნელოვანი სარდალი ალ-ვასიკის (842-847) და ალ-მუთავაჯილის (847-861) დროს.⁸⁰ დიდი ცოდნითა და განათლებით ის არ გამოირჩეოდა, მაგრამ იყო ერთგული, ჰქონდა სამხედრო ნიჭი, თავი გამოიჩინა ომებში და განთქმული იყო სიმამაცით. ბუღა მონაწილეობდა არაერთ სამხედრო ექსპედიციაში, ებრძოდა აჯანყებულ ხურამიტებს აზერბაიჯანში, 230/844 წ. მან ხალიფას დაუმორჩილა ჰიჯაზი და განმდგარი წმინდა ქალაქები მექა და მედინა, 857 წ. ებრძოდა ბიზანტიელებს. ცნობილი არაბი ისტორიკოსი ას-საფადი წერს, რომ „ბუღა მონაწილეობდა მრავალ შეტაკებასა და ომში, თავადაც ხელმძღვანელობდა ბრძოლებს. მაგრამ ერთხელაც არ აუსხამს აზჯარი და ერთი ჭრილობაც კი არ მიუღია ბრძოლებში“.⁸¹

861 წ., როდესაც ხალიფა მუთავაჯილი მოკლეს სამარაში, ბუღა იმ დროს იქ არ იმყოფებოდა. მან ხელი შეუწყო ალ-მუსთა‘ინის გახალიფებას 862 წ. და მალე გარდაიცვალა 90 წელს გადაცილებული, ჰიჯრით 248 წ. ჯუმადა II-ის თვის შუა რიცხვებში, ე.ი. 862 წლის შუა აგვისტოს. ბუღას ბევრი თანამედებობა ხალიფამ მის ვაჟს – მუსას უბოძა.⁸²

ბუღამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, ქართლი და ალბანეთი) დიდი ანტიხალიფური აჯანყების ჩაქრობის დროს. 852 წელს სომხეთში აჯანყებულებთან ბრძოლაში დაიღუპა ხალიფას სარდალი იუსუფ იბნ აბუ საიდი. მათ დასასჯელად ხალიფამ გაგზავნა ბუღა ალ-ქაბირი. მისი მოკავშირე გახდა სომეხი მთავარი სუმბატ ბაგრატიუნი, რომელიც თანამემამულეებს ებრძოდა. მოხრებულ იქნა სასუნი, ხუთი, ვანის ტბის სანაპიროები და სხვა მხარეები. მარტო სასუნში 30 ათასი სომეხი მოკლეს.⁸³

⁸⁰ Fukuzo Amabe, *The Emergence of the ‘Abbasid Autocracy. The ‘Abbasid Army, Khurasan and Adharbayjan* (Kyoto, 1995), 154.

⁸¹ ას-საფადი, *ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაიათ*, X, 109-110, №2313.

⁸² Golden, “Khazar Turkic Ghulams in Caliphal Service,” 302.

⁸³ 850-852 წწ. სომხეთის ანტიარაბული აჯანყებისა და ბუღა თურქის ლაშქრობის შედეგების შესახებ იხ. Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат*, 143-47; Agam Ter-Ghewondyan, *The Arab Emirates in Bagratid Armenia*, translated by Nina Garsoian (Lisbon, 1976), 41-44; Шагинян, *Армения и страны Южного Кавказа*, 297-305.

სომხეთიდან ბულა გაიგზავნა ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილის წინააღმდეგ. ბულას ლაშქარში იყო და იბრძოდა სპარაპეტი სუმბატ ბაგრატუნი (ატ-ტაბარის თანახმად, აბუ ლ-‘აბბას ალ-ვასი ან-ნასრანი).⁸⁴ ისჰაკ იბნ ისმა'ილის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა მუჰამად იბნ ხალიდ იბნ იაზიდი, რომელსაც 851 წ. ხალიფა ალ-მუთავაქილმა იკტად უბოძა დარუბანდი და მასზე დამოკიდებული მიწები.⁸⁵

ბულას თან ახლდა თურქი სარდალი ზირაქ ათ-თურქი. არაბული წყაროების ფურცლებზე ზირაქი პირველად გამოჩნდება 234/848 წ. და შემდეგ არაერთხელ ფიგურირებს სხვადასხვა ბრძოლასა და დამსჯელ ექსპედიციაში. 851 წ. ის გაიგზავნა სომხეთში, სადაც ბულას ხელმძღვანელობით ჩაახშო აჯანყება. 880-883 წლებში იბრძოდა აჯანყებული ზინჯუბის წინააღმდეგ, მათი დედაქალაქის მუხ-თარას აღებამდე.⁸⁶ ზირაქს იცნობს ქართული წყაროც (ატენის სიონის წარწერა).

ბულას ლაშქარში, თურქი გვარდიელების გარდა, იბრძოდნენ მალრიბელეზი (*მალარიბა*). ფიქრობდნენ, რომ ისინი იყვნენ ბერბერები ჩრდილოეთი აფრიკიდან, მაგრამ გორდონმა და კენედიმ უჩვენეს, რომ მალრიბელეზი იყვნენ ქვემო ეგვიპტეში, ნილოსის დელტის ორივე მხარეზე მდებარე ჰავფის ნახევრადუდაბნო ოლქის მცხოვრები არაბები, შთამომავლები არა არაბი დამპყრობლებლებისა, არამედ – უფრო გვიანდელი ხანის ემიგრანტებისა, რომლებიც გადასახლდნენ იქ ომაიანთა ხანაში, სირიიდან. ისინი ხშირად აწყობდნენ აჯანყებას ხელისუფლების წინააღმდეგ, უარს ამბობდნენ გადაეხადათ გადასახადები და მათ დასაშორებლად 214/829-30, 215/83 წ და 217/832 წლებში ხალიფამ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიციები. ჩანს, მალრიბელეზი იყვნენ ფაქტობრივად ამ კამპანიებიდან წამოყვანილი ტყვეები. ისინი იხსენიებიან, თურქებთან ერთად, ალ-მუ'თასიმის ჯარში, რომელმაც შეუტია ამორიონს 223/838 წ., თურქი ითახის სარდლობით. ზოგიერთი იყო თავისუფალი (*ჰურრ*), მაგრამ სხვები – მონები. ჩანს, მალრიბელეზი იყვნენ უფრო მცირერიცხოვანნი, ვიდრე თურქები და თანაც – ქვეითნი, ჰქონდათ უფრო დაბალი სტატუსი, ვიდრე თურქებს, იღებდნენ უფრო მცირე ხელფასს და მათგან არ გამოსულა რომელიმე მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერი.⁸⁷

⁸⁴ ამას ხელი არ შეუშლია ბულასთვის, დაეტყვევებინა ის და სხვა მემბოხე სომეხ ნაპარაგებთან ერთად წაეყვანა სამარაში, სადაც ტყვეობაში მოკვდა 861 წ. Nina Garsoian, *The Arab Invasions and the Rise of the Bagratuni. The Armenian People from Ancient to Modern Times*, vol. I, *The Dynastic Periods: From Antiquity to the Fourteenth Century* (New York, 1997), 141.

⁸⁵ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 46.

⁸⁶ Amabe, *The Emergence of the 'Abbasid Autocracy*, 164, №23.

⁸⁷ Gordon, *The Breaking of a Thousand Swords*, 37-40; Hugh Kennedy, *The Armies of the Caliphs. Military and Society in the Early Islamic States* (London, 2001), 125-26.

ისპაკის მხარეზე იბრძოდნენ სასუნელი სომხები ხუთის (ხუვაისია) მთიანეთიდან (ბითლისის სამხრეთ-დასავლეთით),⁸⁸ რომელთა აჯაყების მსხვერპლიც გახდა არმინის გამგებელი იუსუფ იბნ აბი საიდი. ბუღას ლაშქარმა მოაოხრა ხუთი და ხუვაისიელებმა ისპაკ იბნ ისმა'ილს შეაფარეს თავი.⁸⁹ შემდეგ ბუღამ, რომელიც თბილისს შემოეწყო, იარაღის დაყრის პირობით *ამანი/შეუვალობა* უბოძა მათ და ნება მისცა წასულიყვნენ, სადაც სურდათ.⁹⁰ ისპაკს გამაგრებულ სოლდაბილში სხვა მეომრებიც ჰყავდა,⁹¹ შეიძლება დავუშვათ, სარირიდან, რომლის მეფეც მისი სიმამრი იყო.

თბილისის გადაწვა. ბუღა მიუახლოვდა თბილისს, რომელიც ისპაკს საგულდაგულოდ ჰქონდა გამაგრებული, განსაკუთრებით სოლდებილი – მტკვრის მარცხენა ნაპირზე და აღმოსავლეთიდან მიადგა ქალაქს. ბუღამ შეუთვალა „ისპაკ იბნ ისმა'ილს, რომელმაც მიიტაცა (ალ-მუთალალობ) თბილისი, მეახლეო. მან უპასუხა: „მე არ გამოვსულვარ სულტნის მორჩილებიდან. თუ უნდა ფული და ხალხი, გამოვგზავნი, მაგრამ მოსვლა არ შემიძლიაო“.⁹² ამირამ იცოდა, რას ნიშნავდა ბუღასთან მისვლა. დაპატიმრება და სამარაში გაგზავნა არ აცდებოდა. იქ კი უეჭველად სიკვდილით დასჯიდნენ. ამიტომაც უარზე დადგა და ომისთვის მოემზადა. მან საგანგებოდ გაამაგრა თავისი რეზიდენცია სოლდებილში – დღევანდელი მეტეხის ადგილზე, ჯარიც საკმაოდ ჰყავდა და იმის იმედიც ჰქონდა, რომ ქართველი მოკავშირეები დაეხმარებოდნენ. ხანგრძლივი ალყა არ აშინებდა, რადგანაც სურსათ-სანოვაგე უხვად ჰქონდა მომარაგებული. დარწმუნებული იყო, რომ ხიფათს თავიდან აიცილებდა. მაგრამ ამჯერად აღარ გაუმართლა. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო.

ბუღა თურქის მიერ თბილისის აღების შესახებ ახალ საინტერესო დეტალებს გვანვდის აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ იაჰია ას-სული აშ-შატრანჯი (დაახლ. 873/74-946/47 წწ.) თხზულებაში „ფურცლების წიგნი“ (*ქითაბ ალ-ავრაკ*), რომელიც გასული საუკუნის მიწურულს გამოიცა სანკტ-პეტერბურგში.⁹³

⁸⁸ V. Minorsky, “Transcaucasica,” *JA*, t. CCXVII (1930), 60-61, შენ. 3.

⁸⁹ ნალბანდიანის ვარაუდით, როცა ისპაკმა გაიგო ხუთელების ვაჟკაცობის ამბავი, შესაძლოა თავად დაუძახა მათ და მოიყვანა ისინი თბილისში, რათა გამოეყენებინა ბუღას მოსალოდნელი თავდასხმის დროს; და რომ ამ ვარაუდს კიდევ უფრო მეტი საფუძველი ექნება, თუ სწორი აღმოჩნდება ზოგიერთი მკვლევრის აზრი იმის შესახებ, რომ ამირა საჰაკი ტომით სომეხი იყო. ნალბანდიანი, *თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში*, 63. მაგრამ საჰაკის სომხური წარმომავლობა არ დასტურდება. იხ. ზემოთ, შენ. 22.

⁹⁰ *Tarikh At-Tabari* par Abi Ja'far Mohammad ibn Jarir At-Tabari, vol. IX, 193.

⁹¹ იქვე.

⁹² ალ-ია'კუბი, *თა'რიხ*, II, 489-90.

⁹³ Абу Бакр Мухаммад ас-Сули, *Китаб ал-аврак*, критический текст, пер. на рус. яз. В.И. Беляева и А.Б. Халидова (СПб, 1998). ას-სულის წიგნის აღნიშნული გამოცემა ეფუძნება პეტერ-

ას-სულიმ სახელი გაითქვა, როგორც ლიტერატორმა და ისტორიკოსმა, ბიბლიოფილმა და დაუმარცხებელმა მოჭადრაკემ (აქედან მისი ნისბა აშ-შა-ტრანჯი/მოჭადრაკე). ის იყო დაახლოებული ხალიფებთან ალ-მუქთაფისთან (902-908) და ალ-მუკთადირთან (908-932), მომავალი ხალიფას არ-რადის (934-940) აღმზრდელი, მაგრამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მისი პოზიციები შეირყა. „ფურცლების წიგნი“, რომელიც მოიცავს პერიოდს ხალიფა ალ-ვასიკის (842-847) დროიდან – ალ-მუჰთადიმდე (869-870), ითვლება სანდოდ ადრეულ აბასიანთა ისტორიისათვის.⁹⁴

ას-სულის თანახმად, როდესაც ბულამ შეუთვალა ალ-მუთავაქილს ისპაკ იბნ ისმა'ილის წინააღმდეგობის ამბავი, ხალიფამ მოთხოვა მას აღენერა ქალაქი. როდესაც ბულამ შეატყობინა, რომ თბილისი ფიჭვის ხისგან იყო ნაგები, ალ-მუთავაქილმა ურჩია, გამოეყენებინა ცეცხლი. ბულა ასე მოიქცა, რაც გახდა გამარჯვების მიზეზი.⁹⁵ რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს? ას-სულის თხზულების მთარგმნელს, ა. ხალიდოვს ეს ცნობა ნაკლებსარწმუნოდ მიაჩნია⁹⁶ და მეც ასე ვფიქრობ. მანძილი სამარამდე, იმ დროს ხალიფების სატახტო ქალაქამდე (არდაბილის გავლით), იყო 410 კმ,⁹⁷ უკანა გზის ჩათვლით, სულ 820 კმ. შიკრიკს, რომელსაც ორჯერ მაინც უნდა დაფარა ეს მანძილი, იმდროინდელი მონესრიგებული გზებისა და საფოსტო სადგურების გათვალისწინებით, დღეში შეეძლო გაევილო 1 მარჰალა, 6-7 ფარსახი, 36-42 კმ,⁹⁸ საშუალოდ – 40 კმ-მდე. ამდენად მის წასვლა-მოსვლას, 20 დღეზე მეტი მაინც დასჭირდებოდა. ჰქონდა კი ამდენი დრო თბილისზე შემონყობილ ბულას ხალიფას რჩევის გასათვალისწინებლად? საეჭვოა, აბასიანთა მხედართმთავარი ასე ვერ დააყოვნებდა ქალაქზე შეტევას. მაგრამ ას-სული, თუ მას მაინც დავუჯერებთ, აღნიშნავს, რომ ეს ალ-მუთავაქილმა უბრძანა ბულას, ცეცხლისთვის მიეცა ქალაქი, რაც მან შეასრულა კიდევ.

ბულას არმიაში იყო ნაფფატუნების, ნავთის მტყორცნელთა საგანგებო ნაწილი, რომელიც ომებში თან ახლდა ხოლმე ჯარის მშვილდოსანთა კორპუსს. არაბ. ნაფტ, ჩვეულებრივ არის ნავთი და გარდა ამისა, საგანგებოდ მომზადებული აალებადი სითხე. მას ასხამდნენ ბოთლებში, ქოთნებში და სპეციალური

ბურგის უნიკალურ ნუსხას (ცნობილი მოგზაურისა და დიპლომატის ნ. ხანიკოვის კოლექციიდან), რომელიც XIX ს-დან დაცულია რუსეთის ეროვნულ (ყოფილ საიმპერატორო, შემდგომი კი სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო) ბიბლიოთეკაში.

⁹⁴ იქვე, 9, 13.

⁹⁵ იქვე, 65.

⁹⁶ იქვე, შენიშვნები, 225, №99.

⁹⁷ Donzel, Schmidt, *Gog and Magog*, 233.

⁹⁸ (Ed.) “Marhala,” *EI2*, vol. VI (Leiden, 1991), 558-59.

სატყორცნი მოწყობილობით (ნაფთაცა) იყენებდნენ ქალაქების ალყის დროს და ინვევდნენ ხანძარს.⁹⁹ თბილისის გარშემო სიმაღლეებიდან ნავთის მტყორცნელებმა აალებადი სითხით ცეცხლი გაუჩინეს თბილისს. ფიჭვის ხისგან ნაგებ სახლებს ცეცხლი სწრაფად მოედო. ამოვარდნილმა ქარმა ხანძარი მთელი ძალით გააჩალა. ამის შემხედვარე ისპაკმა ბუღას სარდალთან – ზირაქთან ბრძოლა შეწყვიტა და ქალაქს მიაშურა. საზარელი სურათი წარმოუდგა. მისი სასახლე და შემოგარენი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ხანძარმა დაზაფრა ქალაქის დამცველები და წინააღმდეგობის უნარი დაუკარგა მათ. შედრკა ამირაც. ერთი პირობა უნდოდა სამშვილდეში გახიზნულიყო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ზირაქს შეუთვალა – მოდი და შემიპყარო. ზირაქმა არ დაიჯერა და მხოლოდ მაშინ გაეშურა მისკენ, როცა მესამედ ეახლა ამირას მოციქული. ისპაკი და მისი ვაჟი ამრი გაბანრულები მიჰგვარეს ბუღას. ახლა ბუღას გაცეცხლის ჯერი დადგა. თომა არწრუნის ცნობით, მას ისპაკის აჯანყება ისე არ გაჰკვირვებია, როგორც მისი უაზრო დანებება.¹⁰⁰

როცა ისპაკის დატყვევების ამბავი გაიგო, ისპაკის ცოლმა მიატოვა სოლდებილი და ბუღასთან მივიდა. ულამაზესი ქალი იყო სარირის მეფის ასული. იფიქრა, მოხიბლავდა მხედართმთავარს და დიდძალი ფულით დაიხსნიდა ქმარ-შვილს, მაგრამ სწორედ ამ სილამაზემ დაღუპა ამირა. ხანდაზმულმა ბუღამ ქალის დასაკუთრება განიზრახა და ბრძანა, სასწრაფოდ მოეკვეთათ თავი მისთვის. ისპაკის სასონარკვეთილმა ცოლმა სოლდებილი დატოვა, მანდილი მოიხადა და კივილით დაიწყო სირბილი ბუღას ბანაკში, მაგრამ ამაოდ.¹⁰¹ ატ-ტაბარი წერს, რომ განაჩენი აღასრულა ბუღას მოადგილემ (ხალიფა) ლამუშმა (ბარლამუშმა).¹⁰² ისპაკის უსულო სხეული გააკრეს ჯვარზე – მტკვრის

⁹⁹ V. Christides, "Naft," *EI2*, vol. VI (Leiden, 1991), 884-86; ამ აალებად სითხეს და მის გამოყენებას საგანგებო ტრაქტატი მიუძღვნა რამდენიმე არაბმა ავტორმა. მათ შორის დავასახელებ მურდა იბნ ტარსუსის (XIII ს.), რომელიც წერს, თუ როგორ უნდა მომზადდეს საუკეთესო ნაფტი, რათა ის სტყორცნონ ლოდსარტყოცნების – მანჯანიკების საშუალებით. იხ. Кэрол Хилленбранд, *Крестовые походы. Взгляд с Востока. Мусульманская перспектива* (Москва, 2008), 501.

¹⁰⁰ ელენე ცაგარეიშვილი, „თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ“, *მრავალთავი*, IV (1975), 269.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² თბილისის ალების შესახებ ატ-ტაბარის ცნობის ფრანგული და ინგლისური თარგმანები იხ. Minorsky, "Transcaucasica," 61-62; *The History of al-Tabari (Ta'rikh al-rusul wa'l-muluk)*, vol. XXXIV, *Incipient Decline*, translated and annotated by Joel L. Kraemer (Albany, N.Y., 1989), 121-23; ქართულად ატ-ტაბარის ეს ცნობა რამდენჯერმე ითარგმნა. კუპიურებითაა ნათარგმნი ა. მენთეშაშვილის მიერ. მაგალითად, მან გამოტოვა ისპაკის გარეგნობა, მისი სასიკვდილო განაჩენის აღმსრულებელის სახელი – ლამუშ/ბარლამუშის. იხ. ა. მენთეშაშვილი, „ბუღა თურქის ლაშქრობა საქართველოში“, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული*,

ნაპირზე. თავი მიუტანეს ბუღას და ის ჯერ ჰასაქის კარებთან აღმართეს,¹⁰³ ხოლო მერე ხალიფას გაუგზავნეს.¹⁰⁴ მთელი ღამე იწვოდა თბილისი, სადაც, ატ-ტაბარის, ალბათ გადაჭარბებული ცნობით, 50 ათასამდე მცხოვრები დაიღუპა. დილით მალრიბელები შეესიენ ქალაქის ქუჩებს, გაძარცვეს დახოცილები და დაატყვევეს ცოცხლები.

თბილისის გადაწვის თარიღისათვის. ატენის სიონის ცნობილი წარწერით, ბუღამ თბილისი აიღო 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათს.¹⁰⁵ დიდი ხნის მანძილზე მკვლევრები ამ წარწერაში კითხულობდნენ „ისმაიტელთა ნელსა სლთსა“, მაგრამ, როგორც ვ. სილოგავამ გაარკვია, მის ნაცვლად, აქ იკითხება „[ზ] (ედ)ა ნელსა“. მკვლევარი, სხვა მასალების საფუძველზე ასკვნის, რომ „ზედა წელი“ ძველ საქართველოში მუსლიმურ, ჰიჯრის თარიღს აღნიშნავდა.¹⁰⁶ **სლთ**, ანუ 239 წელი ჰიჯრით დაიწყო 853 წ. 12 ივნისს და დასრულდა 854 წ. 1 ივნისს. ქორონიკონის და ჰიჯრის ნელთაღრიცხვით მოცემული თარიღებით, თბილისი დაეცა 853 წლის 5 აგვისტოს. მაგრამ ამის თაობაზე განსხვავებულია მთავარი არაბული წყაროს, არაბი მემატინის ატ-ტაბარის (გარდ. 912 წ.) „მოციქულთა და მეფეთა ისტორიის“ (*თა'რიხ არ-რუსულ ვა ლ-მულუქ*) ინფორმაცია. აქ თარიღად დასახელებულია ჰიჯრის 238 წ., რომელიც დაიწყო 852 წ. 23 ივნისს და დასრულდა 853 წ. 11 ივნისს. 238 წლის 10 რაბი' I-ში/852 წ. 30 აგვისტოს, ბუღას ბრძანებით, ზირაქ ათ-თურქიმ გადალახა მტკვარი, თბილისის მაიდნის კართან.¹⁰⁷

7 (1965), 127-34. ხარვეზებია ო. ცქიტიშვილისა და ბ. სილაგაძის თარგმანებში: ო. ცქიტიშვილი, „ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის)“, *სმსმგ მოამბე*, 5 (1963), 152-53; ბ. სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით)* (თბილისი, 1991), 149. მათგან აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ისჰაკის სასჯელი თითქოსდა აღასრულა ხალიფას მოადგილემ (?) – ბუღამ.

¹⁰³ *The History of al-Tabari*, 122; ამ კარების შესახებ იხ. ლევან ჭილაშვილი, *ტოპონომიკური შენიშვნები* (თბილისი, 2001), 59-61; ჯაბა სამუშია, „ბუღა თურქის თბილისზე ლაშქრობის ისტორიიდან (ატ-ტაბარის ცნობის მიხედვით)“, *ქართული დიპლომატია*, 10 (2003), 382-83, შენ. 382.

¹⁰⁴ იაკუთის თანახმად, ბუღამ წაიღო ისჰაკის თავი სამარაში (სურრა მან რა'). სამარიდან მისი გამოსვლის შემდეგ, ვიდრე ის უკან არ დაბრუნდა ისჰაკის თავით, განვლო ოცდაათმა დღემ. *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, 71. ეს საკმაოდ მცირე დროა და დაუჯერებელიც, თუ გავითვალისწინებთ ბუღას ლაშქრობას სომხეთში და მერე მის ბრძოლებს საქართველოში.

¹⁰⁵ И. Джавахов, “К вопросу о времени построения грузинского храма в Аteni,” *Христианский Восток*, т. 1, вып. 3 (1912), 279; ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. II, 98-99.

¹⁰⁶ დაწვრილებით იხ. ვალერი სილოგავა, „ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან („ზედა წელი“)“, *მაცნე (ელს)*, 4 (1974), 113-21.

¹⁰⁷ *The History of al-Tabari*, 121 და შმდ.

ჰიჯრით 238 წელს, უეჭველია ატ-ტაბარის მიხედვით, ასახელებს ბევრი სხვა არაბი ავტორიც,¹⁰⁸ თუმცა გვხვდება ჰიჯრით 237/851-2 წელიც.¹⁰⁹ ეს თარიღები შეუსაბამობაშია ატენის სიონის წარწერის თარიღებთან, რაც აღნიშნულია ქართულ გამოკვლევებში და რომელთა უმეტესობა, სავსებით **მართებულად**, 853 წელს აძლევს უპირატესობას.¹¹⁰ ამ საკითხს ეხებიან ვ. მინორსკი და კ. ბოსვორსი.¹¹¹ ო. ცქიტიშვილი, ატ-ტაბარის ქრონოლოგიის გავლენით, თვლის, რომ ბულა თურქმა თბილისი აიღო 852 წ. აგვისტოში.¹¹²

ამ შეუსაბამობას საბოლოო ნერტილს უსვამს ზემოხსენებული აბუ ბაქრ მუჰამმად ას-სული. ჯერჯერობით, ის ჩემთვის ცნობილი **ერთადერთი** არაბი ავტორია, რომელიც ამ ამბავს ჰიჯრის **239** წლით ათარიღებს. მუსლიმური წელთაღიწვით ეს წელი კი, როგორც ზემოთ ითქვა, იწყება 853 წ. 12 ივნისს და

¹⁰⁸ იბნ მისქაჟაჰ, IV, 124.

¹⁰⁹ ას-საფადი, *ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაიჰათ*, VIII, 263. იმავე თარიღს იძლევა სირიელი ქრისტიანი ავტორი იბნ ალ-‘იბრი, იგივე ბარ ჰებრეუსი (გარდ. 1286 წ.) არაბულად შედგენილ თხზულებაში „კაცობრიობის მოკლე ისტორია“ (*თა’რიხ მუხთასარ ალ-ბაშარ*), (გამოცემის ადგილის და თარიღის გარეშე), 143. ლათინურ ენაზე შედგენილ „ქრონოგრაფში“, მისი არაბული თხზულებისგან განსხვავებით, იბნ ალ-‘იბრი (ბარ ჰებრეუსი) წერს, რომ ბულამ თბილისზე აჯანყებულ ზირაქ თურქის (! – გ.ჯ.) წინააღმდეგ ილაშქრა, მოჰკლა მეამბოხე და გადაწვა ქალაქი. *The Chronography of Gregory Abu'l Faraj Commonly Known as Bar Hebraeus*, translated from Syriac by E.A.W. Budge, vol. I (London, 1932), 142.

¹¹⁰ მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ „საფიქრებელია, ტაბარი ცდება ერთ წელში და უნდა იყოს არა 238 წ. 1 რაბი, არამედ 239 წ. 1 რაბი, რაც კარგად ეთანხმება სხვა წყაროების ჩვენებებსაც“. ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, 194, შენ. 4.

¹¹¹ ვ. მინორსკი ნაშრომში „Transcaucasica,“ 61, აღნიშნავს, რომ 238 წლის რაბი I-ის შუა ხანებში/852 წ. შემოდგომაზე ბულამ გაგზავნა (თბილისისკენ) ავანგარდი თურქი ზირაქის ხელმძღვანელობით, რომელმაც გადალახა მტკვარი, მარცხენა ნაპირზე. „ისლამის ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაში მინორსკი წერს, რომ 853 წლის რაბი I-ს თვეში/852 წ. შემოდგომაზე ბულამ დატოვა დვინი და გაემართა თბილისისკენ და ამის შემდეგ ეხება მის მიერ თბილისის აღებას. ამავე დროს მან იცის ატენის სიონის წარწერის თარიღიც ჰიჯრით – 239/853 წ., თუმცა არ უკეთებს ამ ცნობას კომენტარს. Minorsky, „Tiflis,“ 754. ასეა აგრეთვე „ისლამის ენციკლოპედიის“ ახალ გამოცემაშიც, სადაც სტატიას თბილისის შესახებ ჰყავს თანავტორი კ. ბოსვორსი. (V. Minorsky, [C.E. Bosworth]), „Tiflis,“ *EI2*, vol. X (Leiden, 2000), 478; (V. Minorsky, [C.E. Bosworth]), „Al-Kurdj,“ *EI2*, vol. V (Leiden, 1986), 488. სხვა ნაშრომში, „შირვანისა და დარუბანდის ისტორიის“ კომენტარებში (გვ. 82) მინორსკი ისპაკის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 238/852 წ.

¹¹² ო. ცქიტიშვილი აღნიშნავდა: „ცნობილია, რომ ატ-ტაბარის თავისი ისტორიული თხრობა თარიღების მიხედვით აქვს გადმოცემული... ამდენად არაბულენოვანი მემკვიდრე ქრონოლოგიას ერთ-ერთ ძირითად ყურადღებას აქცევს და ამიტომ ძნელად დასაშვებია, რომ ჰიჯრით 239 წლის ამბები ბულას ლაშქრობის შესახებ (ატენის სიონის წარწერის მიხედვით) ატ-ტაბარის შეცდომით, ჰიჯრით 238 წელს გადმოეთანა“. ცქიტიშვილი, „ძველი თბილისის ისტორიიდან“, 149, შენ. 26.

მთავრდება 854 წ. 1 ივნისს და ამდენად, თანხმობაშია ატენის სიონის წარწერის თარიღებთან.¹¹³ ორი წყაროს – არაბულისა და ქართულის მონაცემების საფუძველზე, მცირე ეჭვიც კი არ რჩება იმის თაობაზე, რომ ბუღამ თბილისი აიღო 853 წლის 5 აგვისტოს.

ისჰაკ იბნ ისმა'ილის მოღვაწეობის და მისი აჯანყების გამოძახილი ისლამურ საყაროში

სალამ ათ-თარჯუმანის თბილისში შეჩერება იყო ის ეპიზოდი, რომლის წყალობითაც ისჰაკ იბნ ისმა'ილის სახელი პოპულარული გახდა ისლამურ სამყაროში. ასევე ფართოდ გახმაურდა მისი აჯანყება და სიკვდილით დასჯა. ყოველივე ეს აისახა სხვადასხვა ჟანრის არაბულ მწერლობაში: გეოგრაფიულ-კოსმოლოგიური, ისტორიული, ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებებში, არაბულ პოეზიასა და სხვადასხვა თემატიკურ ანთოლოგიებში.

გეოგრაფიული და კოსმოლოგიური ლიტერატურა. სალამ ათ-თარჯუმანის თბილისში შეჩერების შესახებ პირველად მოგვითხრო იბნ ხორდადბეჰმა, რომელმაც ეს ამბავი თავად სალამ ათ-თარჯუმანისგან შეიტყო.¹¹⁴ მის ინფორმაციას იმეორებენ სხვა არაბი (და არაბულენოვანი) ავტორები: იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი¹¹⁵ (IX ს.), იბნ რუსთაჰი¹¹⁶ (წერდა 903-13 წწ.), ალ-მუჰადდასი (გარდ. დაახლოებით 1000 წ.),¹¹⁷ ალ-იდრისი (გარდ. 1165),¹¹⁸ იაკუთი (გარდ. 1229 წ.),¹¹⁹ ზაქარია ალ-კაზვინი (გარდ. 1283

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ И. Ю. Крачковский, “Арабская географическая литература,” *Избранные сочинения*, т. IV (Москва-Ленинград, 1957), 138. ეს მოხდა 844-845 წ. დეკემბერ-იანვარში. Donzel, Schmidt, *Gog and Magog*, 152.

¹¹⁵ დე გუეს მიერ იბნ ალ-ფაკიჰისა და იბნ რუსთაჰის თხზულებების კრიტიკულ გამოცემებში: *Mukhtasar Kitab al-buldan by Ibn al-Fakih al-Hamadani*, ed. M.J. De Goeje (Leiden, 1885, Repr., 1967); *Abrege du Livre des Pays*, tr. H. Masse (Damascus 1973).

¹¹⁶ Ibn Rusta, *Kitab al-a' lak al-nafisa*, ed. De M.J. Goeje (Leiden, 1892; Repr., 1967), *Ibn Rusteh. Les atours precieux*, tr. par G. Wiet (Cairo, 1955). სალამ ათ-თარჯუმანის მოგზაურობა, რომელიც იმეორებს იბნ ხორდადბეჰს, რედაქტორმა დე გუემ ამოიღო. იხ. Donzel, Schmidt, *Gog and Magog*, 159, 161.

¹¹⁷ *Ahsan al-taqāsīm fī ma'rifat al-aqālīm by al-Muqaddasī*, ed. M.J. De Goeje (Leiden, 1906), 362.

¹¹⁸ ალ-იდრისი, *ქითაბ ნუზჰათ ალ-მუშთაკ ფი იხთირაკ ალ-აფაკ*, I (ალ-კაჰირა, 1422/2002), 934-35.

¹¹⁹ იაკუთ ალ-ჰამავი, *მუ'ჯამ ალ-ბულდან*, III, დარ ალ-ქუთუბ ალ-'არაბი, (ბაჰრუთ, უთარილო), 197-200, 199 (საჰიბ არმინია ვა ჰუვა ბი-თიფლის). ცნობა სალამ ათ-თარჯუმანის თბილისში ყოფნის შესახებ არ არის შეტანილი ე. სიხარულიძის ქართულ თარგმანში: *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, ნაკვ. 1, არაბული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ (თბილისი, 1964).

ნ.),¹²⁰ ნუჟაჲარი (გარდ. 1332 წ.),¹²¹ ჰამდალაჰ მუსტოუფი ყაზვინი (გარდ. 1340 წ.),¹²² და სხვ.

ისტორიული თხზულებები. ორიგინალური ცნობები ისჰაკ იბნ ისმა'ილის შესახებ მოეპოვებათ IX-X სს-ის არაბ ისტორიკოსებს: ალ-ია'კუბის (გარდ. არაუგვიანეს 905 წლისა), ალ-ბალაზურის (გარდ. 892 წ.), ატ-ტაბარის (გარდ. 923 წ.), ალ-მას'უდის (გარდ. დაახლ. 956 წ.), იბნ მისქავაჰის (გარდ. 1030 წ.). ატ-ტაბარის თხზულების გამგრძელებელი 'არიბ იბნ სა'დ ალ-კურტუბი (გარდ. 980 წ.) ისჰაკის მკვლევლობის თაობაზე ასახელებს ჩვენამდე მოუღწეველ „ტრაქტატს“ (რისალა), რომელიც დაწერა ხალიფას კარის მოხელემ და პოეტმა იბრაჰიმ იბნ ალ-'აბბას ას-სულიმ¹²³ (გარდ. 857 წ.), ისტორიკოს აბუ ბაქრ ას-სულის ბიძამ. ალ-მას'უდი, როცა მოგვითხრობს ისჰაკ იბნ ისმა'ილის შესახებ, მცირედით კმაყოფილდება და წერს, რომ

„მის და სხვა ქვეყნების ხალხებში, რომლებიც ყურადღებას აქცევდნენ ამ სამყაროს ისტორიას, ცნობილია გადმოცემები [ამ ისჰაკზე], მაგრამ მათ მოტანას დიდი დრო უნდა“.¹²⁴

ბულა თურქის მიერ თბილისის აღებაზე და ისჰაკ იბნ ისმა'ილის სიკვდილით დასჯის შესახებ წერდნენ მოგვიანო ხანის არაბი ისტორიკოსები, თავიანთი თხზულებების იმ ნაწილში, რომელიც **კომპილაციაა**, რაიმე სიახლის გარეშე: აზ-ზაჰაბი (გარდ. 1348 ან 1352-53 წ.)¹²⁵, ან-ნუჟაჲარი (გარდ. 1332 წ.),¹²⁶ იბნ ხალდუნი (გარდ. 1406 წ.),¹²⁷ იბნ თაღრი ბირდი (გარდ. 874/1465 ან 1469 წ.)¹²⁸ და სხვ.

ბიოგრაფიული ლიტერატურა. ისჰაკ იბნ ისმა'ილის მოკლე ბიოგრაფია აქვს XIV ს-ის ცნობილ ეგვიპტელ ისტორიკოსს და ბიოგრაფს ას-საფადის

¹²⁰ ზაქარიჲა ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი ნაუმიძვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა (თბილისი, 1975), 40.

¹²¹ ან-ნუჟაჲარი, ნიჰაიჲათ ალ-'არაბ ფი ფუნუნ ალ-ადაბ, I (ალ-კაჰირა, 1923), 374-76. ეს პირველი ტომი ან-ნუჟაჲარის ენციკლოპედიური ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილია.

¹²² *The Geographical Part of the Nuzhat-Al-Qulub composed by Hamd-Allah Mustawfi of Kazwin*, 236-37; ისთახრი, *ჰოდუდ ალ-ალემი*, ჰამდალაჰაჰ ყაზვინი, 25.

¹²³ Dhoyoul Tarikh At-Tabari, vol. 11, edition critique par Mohammad Abul Fadl Ibrahim (Cairo, 1977), 132.

¹²⁴ ალ-მას'უდი, მურუჯ, 210.

¹²⁵ იბ. შენ. 19; აზ-ზაჰაბი, *დუჟალ ალ-ისლამ* (ბაჲრუთ 1405/1985), 129; მისივე, *ალ-'იბარ ფი ხაბარ მან 'აბარ*, I, რედ. აბუ ჰაჯირ მუჰამმად ას-სა'იდ ბ. ბასჲუნი ზა'ლულ (ბაჲრუთ, 1405/1985), 334. მისივე, *თა'რიხ ალ-ისლამ ვა ვაფაიჲათ ალ-მასჰაჰირ ალ-ა'ლამ*, 231-420, თაჰკიკ ად-დუქთურ 'უმარ 'აბდ ას-სალამ თადმური (ბაჲრუთ, 1411/1991), 26.

¹²⁶ იბ. შენ. 118.

¹²⁷ იბნ ხალდუნ, *თა'რიხ*, III (ბაჲრუთ, 1936), 275-76.

¹²⁸ იბ. ზემოთ, შენ. 19.

(გარდ. 1363 წ.) „ბიოგრაფიულ ლექსიკონში“ (*ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაია*).¹²⁹

არაბული პოეზია და ანთოლოგიები. როდესაც ისჰაკ იბნ ისმა'ილის მოკვეთილი თავი მიაღწევს ხალიფა ალ-მუთავეილს, ცნობილმა არაბმა პოეტმა 'ალი იბნ ალ-ჯაჰიმმა (გარდ. 249/863 წ.) მაცნეს პატივსაცემად და თბილისში გამაჯვების აღსანიშნავად, ექსპრომტად შეთხზა ვრცელი კასიდა (რაჯაზის პოეტური საზომით), რისთვისაც ხალიფამ მას 30 ათასი დირჰამი უბოძა.

კასიდა სრული სახით შეტანილია 'ალი იბნ ალ-ჯაჰიმის ლექსების „დივანში“,¹³⁰ სადაც ყველაზე საინტერესო მისი საწყისი სტროფებია:

„კეთილი იყოს შენი მოსვლა, ვითარცა დესპნის,
 ის მოიტანე, შურისგების რომ მოკლავს წყურვილს,
 და განმარტებას რომ არ ითხოვს საერთოდ იგი,
 თავი ისჰაკის, ისმა'ილის ძის,
 ძღვევა თბილისის და სულდაბილის“.

ეს სტროფები მოტანილია ზემოხსენებული არაბი ისტორიკოსის ას-სულის „ფურცლები ნიგნიში“.¹³¹ ასევეა ას-საფადის ბიოგრაფიულ და სრულად – იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონებში.¹³² ისინი დასახელებულია სხვადასხვა ტიპის ანთოლოგიებშიც, როგორცაა ანდალუსიელი იბნ 'აბდ რაბბიჰის (გარდ. 940 წ.) „უნიკალური ყელსაბამი“ (*'იკდ ალ-ფარიდ*),¹³³ აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანის (გარდ. 967 წ.) „სიმღერათა ნიგნი“ (*ქითაბ ალ-ალანი*),¹³⁴ იბნ ზაფირ ალ-აზდის (გარდ. 1216, ან 1226 წ.) იმპროვიზაციების ანთოლოგია (*ბადა'ი' ალ-ბადა'იჰ*);¹³⁵ აბუ ჰილალ ალ-'ასქარის (გარდ. 1010 წ. შემდეგ) არაბული პოეტური მოტივების სისტემატური კატალოგი – „მოტივთა დივანი“ (*დივან ალ-მა'ანი*)¹³⁶ და სხვ.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ 'ალი იბნ ალ-ჯაჰიმ, დივან. 'ანა ბი-თაჰკიკიჰი ხ. მარდამ ბიქ (დიმაშკ, 1369/1949), 84, 174-76.

¹³¹ ას-Сули, Абу Бакр Мухаммад, *Китаб ал-авრაқ*, 106.

¹³² ას-საფადი, ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაიათ, VIII, 232; *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, 71.

¹³³ იბნ 'აბდ რაბბიჰ, *ქითაბ ალ-'იკდ ალ-ფარიდ*, II (ალ-კაჰირა, 1389/1979), 231. იბნ 'აბდ რაბბიჰის შესახებ იხ. C. Brockelmann, "Ibn 'Abd Rabbih," *EI2*, vol. III (Leiden, 1986), 676-77.

¹³⁴ აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანი, *ქითაბ ალ-ალანი*, X (ალ-კაჰირა, 1883), 231. აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანის შესახებ იხ. M. Nallino, "Abu 'I-Faradj al-Isbahani," *EI2*, vol. III (Leiden, 1986), 118.

¹³⁵ იბნ ზაფირ ალ-აზდი, *ბადა'ი' ალ-ბადაი'ჰი*, რედ. მუსტაფა 'აბდ ალ-კადირ 'ატა (ბაზრუთ, 1428/2007), 232. იბნ ზაფირ ალ-აზდის შესახებ იხ. [Ed.] "Ibn Zafir al-Azdi," *EI2*, vol. III (Leiden, 1986), 970-71.

¹³⁶ ალ-'ასქარი, აბუ ჰილალ, *დივან ალ-მა'ანი*, შარაჰაჰუ ვა დაბატა ნასსაჰუ აჰმად ჰასან

დავასახელებ აგრეთვე ას-სა'ლაბის (გარდ. 1035 წ.) თხზულებას წინაისლ-ამური ხანის მოციქულთა ამბებისა და ლეგენდების შესახებ ('არა'ის ალ-მაჯა-ლის ფი კისას ალ-ანბია') რომელშიც საგანგებო თავი ეთმობა ალექსანდრეს (ზულ-კარნაინ) მიერ აშენებულ კედელს და მოხსენიებულია სალლამ ათ-თარ-ჯუმანის თბილისში ყოფნაც.¹³⁷

თბილისის საამირო ისჰაკ იბნ ისმა'ილის შემდეგ

ბულა თურქმა ისჰაკის თავი, მოციქულის ხელით, ხალიფა მუთავაქილს გაუგზავნა სამარაში. ხალიფას კარზე გაიგზავნა ისჰაკის მეუღლე და შვილებიც ('აბბასი და 'ამრი),¹³⁸ რომელთა შემდგომი ბედი უცნობია.

როგორც შირვანისა და დარუბანდის ისტორიკოსი შეიხი აბუ 'აბდ ალაჰ მამუს იბნ ალ-ჰასან იბნ მუჰამად ალ-ლაქზი ად-დარბანდი იუწყება, ისჰაკის „ურჩობის გამო მისმა შვილებმა დაკარგეს მმართველობა ქვეყნისა“.¹³⁹ ალ-მას'უდი უფრო ტრაგიკულ სურათს ხატავს:

„ისჰაკ იბნ ისმა'ილი, მასთან მყოფი მუსლიმების დახმარებით ბატონობდა მეზობელ ხალხებზე, ისინი ემორჩილებოდნენ მას და უხდიდნენ სულად გადასახადს (ჯიზია). ის მბრძანებლობდა ყველაზე, ვინც იქ იყო, ვიდრე მუთავაქილმა არ გაგზავნა ბულა... იმ დროიდან – დღევანდელ დღემდე თბილისის სასაზღვრო ოლქში შიში მუსლიმების მიმართ გაჰქრა, მეზობელი სამფლობელოები გამოვიდნენ მორჩილებიდან და ჩამოაჭრეს მას თავიანთთვის თბილისის მამულების (დიია') დიდი ნაწილი. გზები თბილისის სასაზღვრო ოლქში ისლამის ქვეყნებიდან გადაიჭრა, რადგანაც ისინი გადიოდა ამ ურწმუნო ტომების მიწებზე, ვინაიდან ისინი გარს ერტყმოდნენ სასაზღვრო ოლქს“.¹⁴⁰

მართალია, ალ-მას'უდი იმასაც წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიწები გაშემორტყმულნი იყვნენ [„ურწმუნოთგან“], ამ სასაზღვრო ოლქის მცხოვრებნი [ე.ი. მუსლიმები] აღსავსენი იყვნენ ძალითა და გამბედაობით.¹⁴¹

ისჰაკ იბნ ისმაილის სიკვდილის შემდეგ თბილისის ამირობა შაიბანიანთა

ბასაჯ, II (ბაჲრუთ, 1414/1994), 566. ციტატა შეტანილია ამ თხზულების XII თავში. ალ-'ასქარის შესახებ იხ. J. W. Füek, "Al-'Askari, Abu Hilal al-Hasan b. 'Abda Allah b. Sahl," *EI2*, vol. I (Leiden, 1986), 712; А.Б. Куделин, *Средневековая арабская поэтика (Вторая половина VIII-XI века)* (Москва, 1983), 73.

¹³⁷ ას-სა'ლაბი, 'არა'ის ალ-მაჯალის ფი კისას ალ-ანბია' (ტაბა'აჰუ მატბა' ალ-ჰადავი, 1295/1878), 502-3. ას-სა'ლაბის შესახებ იხ. A. Rippin, "Al-Tha'labi, Ahmad b. Muhammad b. Ibrahim," *EI2*, vol. X (Leiden, 2000), 434; T. Nagel, "Kisas al-Anbiya'," *EI2*, vol. V (Leiden, 1986), 180.

¹³⁸ Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 46.

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ ალ-მას'უდი, *მურუჯ*, 227; Минорский, *История Ширвана и Дербенда*, 209-10.

¹⁴¹ ალ-მას'უდი, *მურუჯ*, 227.

სახლის ხელში გადავიდა. საბოლოოდ, თბილისის ამირების სეპარატიზმი სახალიფოს ცენტრიდან ჩამოშორებით და თბილისის საამიროს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებით დასრულდა.

საერთოდ კი, ბუღას რეპრესიებმა ვერ შეაჩერეს არაბთა ბატონობის შესუსტება საქართველოში. მართებულად წერს პროფ. მარიამ ლორთქიფანიძე, რომ მუთავაქილი დაცემის ეპოქის პირველი ხალიფა იყო, რომელსაც კიდევ შეეძლო ბუღას ლაშქრობის მსგავსი დიდი სამხედრო ექსპედიციის მოწყობა. მაგრამ ეს იყო უკანასკნელ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების ცდა.¹⁴² არაბთა ბატონობა დასასრულს უახლოვდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ქართული პოლიტიკური ერთეულები იწყებენ ბრძოლას პირველობისათვის და საქართველოს გაერთიანებისთვის, რაც ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა.

ისჰაკ იბნ ისმა'ილის სიკვდილით დასჯა ისლამურ მხატვრობაში

ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილი, ისევე როგორც ბუღა თურქის მიერ თბილისის აღება, როგორც იტყვა, ცნობილი და პოპულარული თემა იყო სხვადასხვა ჟანრის არაბულ მწერლობაში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ამ თემამ გაგრძელება ჰპოვა ისლამურ მხატვრობაშიც.

993/1585 წ. ინდოეთის დიდ მოგოლთა სახელმწიფოს იმპერატორმა აქბარმა (1542-1605) ბრძანა დაენერათ მთელი ისლამური სამყაროს ისტორია მოციქულ მუჰამადის სიკვდილის შემდეგ (ე.ი. ჰიჯრით მე-11/632 წლიდან) – ათასი წლის მანძილზე – ჰიჯრით 1000/1591წლამდე, რის გამოც მას ეწოდა „ათასწლეულის ისტორია“/თა'რიხ-ი ალფი. აქბარმა მისი შედგენა დაავალა 7 მეცნიერს, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს 1585 წ. და მოამზადეს პირველი 35 წლის ისტორია. 36/666 წლიდან „ათასწლეულის ისტორიის“ შედგენაზე ერთადერთ პასუხისმგებელ პირად დაინიშნა მოლა აჰმად ბ. ნასრალლაჰ დაიბული თათთავი, რომელმაც მოასწრო დაენერა დიდი მონაკვეთი ილხან ყაზან ყაენის მმართველობამდე. 996/1587-88 წ. თათთავი მოკლეს და ნაშრომის დასრულება დაევალა ასაფ-ხანს (ჯა'ფარ ბეგს), რომელმაც ის მიიყვანა 997/1577-89 წლამდე. 1000/1591-92 წ. აქბარის ბრძანებით, ეს თხზულება გადაამუშავეს 'აბდ ალ-კადირ ბადა'უნიმ და ასაფ-ხანმა.¹⁴³

¹⁴² ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა“, 502.

¹⁴³ Ч. Стори, *Персидская литература. Био-библиографический обзор*, часть 1 (Москва, 1972), 416-19, №277; M. Mahfuzul Haq, “Discovery of a Portion of the Original Illustrated Manuscript of Tarikh-I-Alfi Written for the Emperor Akbar,” *Islamic Culture*, vol. V (Hyderabad-Deccan, 1931), 462-71; Nabi Hadi, *Dictionary of Indo-Persian Literature* (New York, 1995), 45-46; E. Sreedharan, *A Textbook of Historiography, 500B.C. to A.D. 2000* (New Dehli, 2004), 359; *Historical Sources of the*

„ათასწლეულის ისტორიაში“ მოკლედ, მკაცრად ქრონოლოგიურ რიგზე, მოთხრობილია ისლამის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები. ამ თხზულებას, რომლის არასრული ნუსხები (ჰიჯრით 997/1588-89 წლის წინარე ხანისა) დაცულია ინდოეთისა და ევროპის არქივებში, უნდა შეეცვალა ყველა სხვა ისტორია. „ათასწლეულის ისტორია“ (თარის-ი აღფი: თარის-ი ჰაზარ სალაჰ-ი ისლამ) 1969 წ. 8 ტომად გამოიცა ისფაჰანში, მეცნიერებისა და ლიტერატურის დისტიბუციის კომპანიის (*შირქათ-ი ინთიშარათ-ი ილმი ვა ფარჰანგი*) მიერ, კადი აჰმად თათავის და ასაფ ხან კაზვინის ავტორობით.¹⁴⁴

„ათასწლეულის ისტორიის“ იმ ნაწილში, რომელიც მოლა თათავიმ შეადგინა, III ტომში, მოკლედ შევიდა ბულა თურქის მიერ თბილისის დალაშქვრაც (გვ. 43). სიახლე ამ ინფორმაციაში არაფერია. თარიღიც არანორად არის მოტანილი – 228/842-43 წ. ამდენად, ამ თხზულებაზე არც შევაჩერებელი განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ არა ერთი გარემოება. ესაა მისი ილუსტრაციები.

იმპერატორ აქბარს დიდად უყვარდა მხატვრობა. მის კარზე მუშაობდა ასობით ინდოელი და მუსლიმი მხატვარი, რომლებიც ამზადებდნენ განსაკუთრებული სილამაზის მშვენიერ ხელნაწერებს.¹⁴⁵ ილუსტრირებული იყო „ათასწლეულის ისტორიაც“. დასრულების შემდეგ მასში უნდა ყოფილიყო 1500-დან 2 000-მდე მინიატურა. მართალია, მისი ზემოდასახელებული გამოცემა ილუსტრაციების გარეშეა, მაგრამ მინიატურები ამ თხზულების ნუსხებიდან დაცულია სხვადასხვა მუზეუმში. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ისჰაკ იბნ ისმა‘ილის სიკვდილით დასჯაც. ეს უნიკალური მინიატურა ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა 1934 წ. და დასახელებულია ნორა ტიტლეს სპარსული ხელნაწერების მინიატურების კატალოგში.¹⁴⁶ მე ის მოვიპოვე 2008 წ., იმ დროისთვის მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეების – ელეონორა სიმსისა და ვალენტინა ტალიანის დახმარებით და პროფ. ზაზა სხირტლაძის შუამდგომლობით.¹⁴⁷

Islamic World. Selected Entries from Encyclopaedia of World of Islam, ed. by Gholamani Haddad Adel, Mohammad Jafar Elmi, Hassan Taromi-Rad (London, 2013), N45, 207-8.

¹⁴⁴ ნაშრომის მოპოვებაში დახმარება აღმოგვიჩინა პროფ. გრიგოლ ბერაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

¹⁴⁵ M. Mahfuzul Haq, “Discovery of a Portion of the Original Illustrated Manuscript,” 469.

¹⁴⁶ Norah M. Titley, *Miniatures from Persian Manuscripts. A Catalogue and Subject Index of Paintings From Persia, India and Turkey in the British Library and the British Museum* (London, 1977), 12, N23A.

¹⁴⁷ ესარგებლობ შემთხვევით და მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებ. ბრიტანეთის მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეებთან მოლაპარაკება დაემთხვა რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში. ე. სიმსის და ვ. ტალიანის ძალისხმევით,

მინიატურა, რომელიც მიეკუთვნება აქბარის კარზე მოღვაწე ყველაზე ნიჭიერ მხატვარს – ბასავანს,¹⁴⁸ სამი ნაწილისგან შედგება. პირველზე, ფურცლის ზემო ნაწილში, ასახულია არმინიის გამგებლად დანიშნული იუსუფის მკვლელობა აჯანყებული სომხების მიერ; მესამეზე, ფურცლის ქვედა ნაწილში – დამიეტას მხრიდან ეგვიპტეში ფრანკების შეჭრა, მიმდებარე მხარის მოხრება და დიდძალი ტყვის წაყვანა, რომელთა ნაწილი ზღვაში დაიხრჩო. მეორე მინიატურას, შუა ნაწილში, ასეთი კომენტარი ახლავს:

„ბუღამ ალყა შემოარტყა ქალაქ თიფლისს. მისი ლაშქრის მეთაური იყო ზირაქ თარი (sic. თურქი). იმ ქალაქის ვალი ისჰაკ იბნ ისმა'ილი ქალაქიდან გამოვიდა და დიდი ბრძოლა გამართა. ბოლოს იგი ბუღას ჩაუვარდა ხელთ, რომელმაც მყისვე მოჰკვეთა მას თავი და ქალაქი გადაწვა“.¹⁴⁹

მინიატურაზე ჩანს ისჰაკ იბნ ისმა'ილი, ფეხშიშველა, დაჩოქილი და ხელებშეკრული. მის უკან ღამეში აღმართულა გაშიშვლებული ხმლით, მზადყოფნაში – მოკვეთოს თავი თბილისის ამირას (იხ. სურ. 1).

ასე შევიდა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისის ტრაგიკული აღსასრული ისლამურ მხატვრობაში.

ბრიტანეთის მუზეუმმა მინიატურის ფოტო უფასოდ მოგვანოდა.

¹⁴⁸ ბასავანის შესახებ იხ. Som Prakash Verma, *Art and Material Culture in the Paintings of Akbar's Court* (New Delhi, 1978), 36; Amina Okada, *Imperial Mughal Painters: Indian Miniatures from the Sixteenth and Seventeenth Centuries* (Paris, 1992), 77, 80, 89.

¹⁴⁹ განმარტებები სპარსულად, რომლებიც ახლავს მინიატურას, გვითარგმნა პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. მინიატურაზე გამოსახული სიკვდილმისჯილი ამირას პოზა, ჩანს, გავრცელებული იყო ისლამურ სამყაროში და დღემდე მიღებულია საუდის არაბეთში.

TBILISI EMIR ISHAK IBN ISMA‘IL AL-UMAWI AL-TIFLISI IN
 MEDIEVAL ORIENTAL WRITTEN SOURCES AND ISLAMIC PAINTING

Ishaq b. Isma‘il b. Shu‘aib (in Georgian sources – Sahaq or Saaq son of Ismael) is recorded to be emir of Tbilisi from 829-30, according to other sources – not later than the year 818 until 853. His father Isma‘il b. Shu‘ayb, like his brother ‘Ali, were Tbilisi emirs before Ishaq. Isma‘il b. Shu‘ayb was *mawla* (client) of the Umayyads, namely of the Caliph Marwan b. Muhammad (744-750) or he was of Quraish origin. Ishaq b. Isma‘il carried two *nisbas* (noun of relation) – al-Umawi al-Tiflisi. The first indicates his connection to the Umayyads, the second – to Tbilisi (Arabic Tiflis), which he ruled for a long period of time. Ishaq b. Isma‘il was an important political figure in the South Caucasus of the middle of the 9th century. He fought for independence and ceased sending taxes to the caliph. Abbassid caliphs unsuccessfully tried several times to bring him under subordination. With struggle and employing diplomatic maneuvers, he managed to keep authority until the year 853. At the end, Ishaq b. Isma‘il was defeated by the Caliph al-Mutawakkil’s military commander Bugha al-Kabir (the Elder) al-Turki, the same Bugha the Turk of Georgian sources. The disobedient Emir was captured; by the order of Bugha he was beheaded in Tbilisi on Saturday, August 5, 853 and his head was sent to Caliph al-Mutawakkil in Samarra.

The main Arabic source describing the capture and burning down of Tbilisi by Bugha is the “History of the Prophets and Kings” (*Ta’rikh al-rusul wa l-muluk*) by the Arab historian al-Tabari (d. 912). According to him this happened in year 238AH, which started on June 23, 852AD and ended on June 11, 853AD. It does not correspond to the Georgian inscription on the church of Ateni, which gives the Muhammadan date 239 and marks this day as Saturday, August 5, 853AD. The majority of Georgian scholars give priority to the year 853; on the other hand, some scholars (V. Minorski, K. Bosworth, and O. Tskitishvili) on the ground of al-Tabari’s chronology think that this happened in August 852. However, the new Arabic source of Abu Bakr Muhammad al-Suli’s (ca. 873/74-946/47) *Kitab al-Awraq* (published in St.-Petersburg, in 1998), which contains new details about the capture of Tbilisi by Bugha, dated this event to the year 239AH, which does not oppose the inscription on the church of Ateni. Based in two – Georgian and Arabic – sources, there is no doubt that Bugha captured Tbilisi on August 5, 853.

Ishaq b. Isma‘il’s person, his rebellion and his capital punishment were well known

in the history of the Caliphate and of Islam, in general. This emir is mentioned by the Arab historians and geographers of the 9th-10th centuries Ibn Khurdadhbih, al-Ya'qubi and al-Mas'udi. 'Arib b. Sa'd al-Qurtubi (d. 980), continuing al-Tabari's work, in relation to Ishaq's death, mentions the treatise (*risalah*), written by Ibrahim b. al-'Abbas al-Suli (d. 857), probably Abu Bakr as-Suli's uncle, which has not survived. His short biography is provided in the *Kitab al-wafi bi-l-wafayyat* by the historian and biographer al-Safadi (d. 1363). Ishaq b. Isma'il is mentioned in many other Oriental (Arabic, Syrian, Persian, Armenian) sources. His name also became part of Arabic poetry. As his head was delivered to Caliph al-Mutawakkil, the famous poet 'Ali b. Jahm impromptu created a vast *qasida* in honor of the messenger for which he received 30 thousand dirhams as a gift from the caliph. The beginning of this *qasida* ("Welcome as a messenger, you brought what would kill the thirst of vengeance and does not require explanation at all, the head of Ishaq Ibn Isma'il, conquest of Tbilisi and Sughdabil") is recorded in Abu Bakr al-Suli's *Kitab al-Awraq*, in poetic anthologies such as: "Unique necklace" (*'Ikd al-farid*) by Ibn 'Abd Rabbih (d. 940), "Book of Songs" (*Kitab al-aghani*) by Abu l-Faraj al-Isfahani (d. 967), in the "Geographic Dictionary" (*Mu'jam al-buldan*) by Yakut (d. 1229), which abounds in poetic citations.

The capital punishment of Ishaq b. Isma'il is reflected in Islamic art. In the Great Mughal State of India the Emperor Akbar (1542-1605) in 883/1585 ordered to compose a history of the entire Muslim world from the date of the Prophet Muhammad's death (i.e. 10AH) down to the thousandth year after his death. It was for this reason that the work was entitled "History of the Millennium" (*Tarikh-i-Alfi*). Incomplete copies of this work (before the year 997AH) are preserved in the archives of India and Europe. It was to replace all other historical works. The Emperor Akbar himself was fond of painting. Hundreds of Indian and Muslim artists were employed by him, producing manuscripts of particular beauty and quality. "History of the Millennium" is also illustrated. Its first volumes were written by Ahmad Tattawi and included the story of the capture of Tbilisi by Bugha and Ishaq b. Isma'il's capital punishment as an important event in Islamic history, accompanied by colored illustration. A copy of this miniature, kept in the British Museum (N^o23B) and listed in Norah Titley's "Miniatures from Persian Manuscripts" (1977, p. 12), was acquired by the present author with the kind assistance of art historians Ms. Eleanor Sims and Ms. Valentina Talian (British Museum) through the intermediacy of Professor Zaza Skhirtladze (Javakishvili State University, Tbilisi). The miniature depicts the Tbilisi emir with his hands tied and on his knees down; the executioner stands ready to behead him. Such posture of a sentenced person seems to have been spread in the Islamic world, being followed in Saudi Arabia to the present day.

ტერმინ *ხიდმას* მნიშვნელობის შესახებ იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკის „მაიაფარიკინისა და ამიდის ისტორიაში“

1122წ., თბილისის აღების შემდეგ, დავით IV აღმაშენებელმა მიიღო ზომები სახელმწიფოში მუსლიმებთან ურთიერთობების დასარეგულირებლად. მეფის საგადასახადო, სამართლებრივი, რელიგიური და სამონეტო პოლიტიკა და ის ყოფილი პრივილეგიები, რომლებიც დავითმა ქვეშევრდომ მუსლიმებს უბოძა, ქმნიდა პირობებს თბილისში და, ალბათ, საქართველოს სხვა ქალაქებშიც, ქრისტიანებისა და მუსლიმების თანაცხოვრებისა და თანაარსებობისათვის.¹

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი (გარდ. 1181 წ. შემდეგ), რომელიც დანვრილებით მოგვითხრობს დავითის პოლიტიკის შესახებ, იმ საგადასახადო შეღავათთა შორის, რომლებიც მეფემ დაუწესა მუსლიმებს, ასახელებს *ხიდმას*. მემატინე წერს, რომ მეფემ დადო პირობა (*შარატა*) და განსაზღვრა (*ვასაფა*), რომ ქართველის, ებრაელისა და მუსლიმის *ხიდმა* წელიწადში (*ფი ს-სანა*)² იქნებოდა, შესაბამისად, 5, 4 და 3 დინარი.³

ჰ. ამედროზი, რომელმაც პირველად გააანალიზა ალ-ფარიკის ცნობა, *ხიდმას* მიიჩნევდა ფულად გადასახადად (“payment due”).⁴ ასევე ესმოდათ ის ვ. ფუთურიძეს⁵ და ვ. მინორსკის.⁶ ქართველ მკვლევართა⁷ გამოკვლევებში

პირველად დაიბეჭდა – *აღმოსავლეთი და კავკასია*, 7 (2011), 217-24.

¹ გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 234-42.

² და არა „ამ ნელს“, ე.ი. 1122 წ. ე. სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, *სდ*, II (1985), 89.

³ იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი, „მინ თა’რიხ ალ-მაიაფარიკინ“, გ. წერეთელი, *არაბული ქრესტომათია* (თბილისი, 1949), 71; სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, 89; V. Minorsky, „Caucasica in the History of Mayyafariqin“, *BSOAS*, vol. XIII, pt. I (1949), 34; C. Hillenbrand, *Muslim Principality in Crusader times. The Early Artuqid State* (Istanbul, 1990), 42.

⁴ H. Amedroz, „Three Arabic MSS on the History of the City of Mayyafariqin“, *JRAS* (1902), 792, n. 1.

⁵ ვ. ფუთურიძე, „არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ“, *ენიმკის მოამბე*, XIII (1942), 141.

⁶ Minorsky, „Caucasica in the History of Mayyafariqin“, 34.

⁷ ლ. ალექსიძე, „უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოში (შედარებითი საერთაშორისო სამართლებრივი გამოკვლევა)“, *თსუ შრომები*, ტ. 125 (1968), 159-61; შ. მესხია, *ძლევაჲ საკვირველი* (თბილისი, 1972), 134-35; М.Д. Лордкипанидзе, *История Грузии XI – начала XIII века* (Тбилиси, 1974), 115.

ხიდება, ჩვეულებრივ, განიხილებოდა გამოსაღებად, გადასახადად. ალ-ფარიკის ცნობის რუსულ თარგმანში, რომელიც ა. მამედოვს ეკუთვნის, ხიდება არის “ИМАТ”.⁸ სიხარულიძემ, ალ-ფარიკის ცნობის ხიდება თარგმნა როგორც სამსახური,⁹ მაგრამ არ განუმარტავს, თუ რა ტიპის სამსახური იყო ის. ალ-ფარიკის თხზულების ნაწილობრივ ინგლისურ თარგმანში კ. ჰილენბრანდმა თავი აარიდა ხიდმას კომენტირებას და აღნიშნა, რომ მისი ზუსტი მნიშვნელობა არ იყო ნათელი.¹⁰

ამ საკითხს 1995 წ. ჩვენც შევეხეთ. უპირატესად ორენოვანი (არაბულ-ფრანგული და არაბულ-ინგლისური) ლექსიკონების¹¹ და ზოგიერთი ნარატიული წყაროს (ან-ნასავი) საფუძველზე გამოვთქვით ფრთხილი ვარაუდი, რომ ალ-ფარიკის ხიდება იყო საჩუქრის, ძღვენის ტიპის გამოსაღები. ხიდება – ძღვენი მეფის სასარგებლოდ ეკისრებოდა მოსახლეობის გარკვეულ (თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა?) ჯგუფებს; დასაშვებია ისიც, რომ მის ნაცვლად ისინი იღებდნენ მეფის მფარველობას თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში.¹²

2005 ხიდება განიხილა გ. ჩიქოვანმა. შუა აზიის კაშკადარიული არაბული დიალექტის საფუძველზე ის წერს, რომ „სამხედრო სამსახური ხიდმას ერთ-ერთი მნიშვნელობა არაბულში. იგი აღნიშნავს აგრეთვე სამსახურს, მომსახურებას“ და რომ „სამხედრო სამსახურის მნიშვნელობით ის გვხვდება თანამედროვე არაბულ დიალექტებშიც“.¹³ შემდეგ მკვლევარი წერს: ხიდმას „აღნიშნული მნიშვნელობა საინტერესოდ გვეჩვენება ალ-ფარიკის მიერ დასახელებულ იმ საგადასახადო შეღავათთან დაკავშირებით, რომელიც დავით IV დაუნესა არაბებს...“¹⁴ არაბული ტექსტის მიხედვით, ქართველმა მეფემ დაანესა ხიდება (გადასახადი). ქართველის, ებრაელისა და მუსლიმის ხიდება წელიწადში შეადგენდა შესაბამისად 5, 4 და 3 დინარს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ წლიურ სამხედრო გადასახადზეა

⁸ Ахмед ибн Лютфуллах (Мунадджим-баши), “Джами ад-дувал” Ибн ал-Азрака ал-Фарики “из “Истории Майяфарикина,” пер. с арабского А.Дж. Мамедова, *Труды Института истории*, X (Баку, 1957), 223-24.

⁹ სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, 89.

¹⁰ Hillenbrand, *Muslim Principality in Cursader times*, 42.

¹¹ R. Dozy, *Supplement aux dictionnaires Arabes*, t. 1 (Leyde, 1881), 354-55; F. Steingass, *Arabic-English Dictionary* (New Delhi, 1985), 316.

¹² ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 236-37. ამ ტიპის გამოსაღების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ვრცლად საუბრობს ვ. ნოზაძე. იხ. მისი, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება (სანტიაგო დე ჩილე, 1958), 133-34.

¹³ გ. ჩიქოვანი, „შუა აზიის კაშკადარიული არაბული დიალექტი (მეტყველების ნიმუშები თარგმანით და კომენტარებით)“, კრ. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, IV (თბილისი, 2005), 289, კომენტ. 39.

¹⁴ ეს საგადასახადო შეღავათი დავითმა დაუნესა არა მხოლოდ თბილისელ არაბებს, არამედ, საერთოდ, თბილისელ მუსლიმებს.

საუბარი“.¹⁵ ამავე დროს, სქოლიოში ის მიუთითებს, რომ *ხიდმა* „შეიძლება აღნიშნავდეს აგრეთვე წლიურ გადასახადს, რომელსაც მოსახლეობა უხდიდა მეფეს, ხელისუფლების მიერ ქვეყნის (ქალაქის) მცხოვრებლებისათვის განეული სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის (უსაფრთხოება, წესრიგის დაცვა და ა.შ.)“.¹⁶

გ. ჩიქოვანის თვალსაზრისთან დაკავშირებით რამდენიმე შენიშვნა ჩნდება.

ჯერ ერთი – ხიდმა, როგორც სამხედრო სამსახური, **დამოუკიდებლად არ გვხვდება** არც შუა საუკუნეებისა და არც თანამედროვე არაბულ განმარტებით (იბნ მანზურის *ლისან ალ-‘არაბ*, მურთადა აზ-ზაზიდის *თაჯ ალ-‘არუს*, *კამუს ალ-ვასიტ*, *ალ-მუნჯიდი*..), ან ორ და მრავალენოვან არაბულ ლექსიკონებში, რომლებიც ეყრდნობა შუა საუკუნეების ანდა თანამედროვე არაბულის ლექსიკას.

არაბული სალიტერატურო ენის ორენოვან ლექსიკონებში *ხიდმა* სამხედრო სამსახურია იმ შემთხვევაში, როცა მას ახლავს სიტყვა *ალ-‘ასქარიია/სამხედრო*.¹⁷ მხოლოდ არაბულ-რუსულ და რუსულ-არაბულ სამხედრო ლექსიკონში *ხიდმას* ერთ-ერთი მნიშვნელობაა *ვალდებულება* (სამხედრო) და შემდეგ ცალკეა გამოტანილი *ალ-ხიდმა ალ-იჯბარიია/სამხედრო ვალდებულება*,¹⁸ მერე კი – *ხიდმა ალ-‘ასქარიია/სამხედრო სამსახური*.¹⁹

გ. ჩიქოვანმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სპარსულში *ხედმათ*, ბ. მილერის ლექსიკონის მიხედვით, მხოლოდ *ვაზიფესთან* ერთად აღნიშნავს სავალდებულო სამხედრო სამსახურს.²⁰ ი. რუბინჩიკის ლექსიკონში მოქმედ [სამხედრო] სამსახურს შეესაბამება *ხედმათე ფერჩამ*.²¹ დავუმატებთ, რომ სამხედრო სამსახურის მნიშვნელობით ეს სიტყვა არ არის მოჰამად მოინის სპარსულ ლექსიკონში. აქ, სხვადასხვა მნიშვნელობასთან ერთად, *ხედმათ* საჩუქარი, ფეშქაშია.²²

¹⁵ დამონმებულია სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, 89.

¹⁶ ჩიქოვანი, „შუა აზიის კაპადარიული არაბული დიალექტი“, სქოლიო 6.

¹⁷ X. K. Баранов, *Арабско-русский словарь*, издание пятое, переработанное и дополненное (Москва, 1977), 213; Elias A. Elias, Edward E. Elias, *Elias' Modern Dictionary, Arabic-English* (Cairo, 1970), 181; Samouhi Fawq El-‘Adah, *A Dictionary of Diplomacy and International Affairs. English-French-Arabic* (Beirut, 1986), 393; H. Wehr, *A Dictionary of Modern Written Arabic*, ed. J. Milton Cowan (Beirut, 1980), 229.

¹⁸ И. С. Данилов, В. И. Рыжков, М. Г. Анисимов, *Арабско-русский и русско-арабский военный словарь* (Москва, 1965), 131.

¹⁹ იქვე, 132. სხვადასხვა კონტექსტში *ხიდმამ* დღეს მიიღო განსხვავებული, სრულიად მოულოდნელი მნიშვნელობაც კი. ასე, მაგალითად, ცნობილია *მაქთაბ ალ-ხიდმათ* – ავღანური ოფისი, მილიცია, რომელიც სსრ კავშირ-ავღანეთის ომის დროს შექმნა დრ. აბდულაჰ აზამმა 1984 წ. უსამა ბინ ლადენის დახმარებით; რუსეთის მურაბიტუნ-ის საზოგადოების სუფიურ ლექსიკონში *ხიდმა* არის ალლაჰის სამსახური. http://sunnizm.blogspot.com/2008/01/blog-post_9461.html.

²⁰ Б. В. Миллер, *Персидско-русский словарь* (Москва, 1953), 188.

²¹ *Персидско-русский словарь*, под редакцией Ю. А. Рубинчика (Москва, 1970), 541.

²² M. Mo'in, *An Intermediate Persian Dictionary*, vol. I (Tehran, 1996), 1402. ვისარგებლეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ქ-ნ ლილი ჟორჯოლიანის კონსულტაციით.

მეორე – რაც შეეხება არაბული დიალექტების ლექსიკონებს, გ. ჩიქოვანი არ ასახელებს, კონკრეტულად რომელს ეყრდნობა. ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვემონებინა ნაშრომები ეგვიპტის, ერაყის, სირიის, ლიბანის, იერუსალიმის, კვიპროსის მარონიტთა, ალჟირის, მაროკოს და ანდალუზიური დიალექტების შესახებ.²³ *ხიდება* ჩვეულებრივ *სამსახურია*. ერაყისა და ეგვიპტის არაბულ დიალექტში ის სამხედრო სამსახურია მაშინ, როცა მას მოსდევს სიტყვა *’ასქარიჰა*. ეგვიპტის დიალექტში *ხადამა ფი-გეეშ* ნიშნავს „იმსახურა არმიაში“.²⁴

კაშკადარიის არაბული დიალექტის მსგავსად, *ხიდება*, შესაძლოა, მართლაც გამოიყენება სამხედრო სამსახურის მნიშვნელობით არაბულის სხვა, ჩვენთვის უცნობ დიალექტებში და გ. ჩიქოვანისთვის, როგორც არაბული დიალექტების სპეციალისტისთვის, ეს ცნობილია, მაგრამ ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლის დროს, აუცილებელი იყო მათი სათანადო დამონება.

მესამე – თავისი ნაშრომის სულ რაღაც ნახევარ გვერდზე, ძირითად ტექსტსა და სქოლიოში, გ. ჩიქოვანი დიამეტრულად განსხვავებულ ორ მოსაზრებას გვთავაზობს: *ხიდება*, რომელიც კაშკადარიულ დიალექტში სამხედრო სამსახურია, ალ-ფარიკისთან ან წლიური სამხედრო გადასახადია, ანდა წლიური გადასახადი, რომელსაც მოსახლეობა უხდის მეფის ხელისუფლებას ქვეყნის (ქალაქის) მცხოვრებთათვის განეული სხვადასხვა სახის მომსახურებისთვის.

თუ *ხიდება* სამხედრო სამსახურია (კაშკადარიული დიალექტის მიხედვით), გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ის ალ-ფარიკისთან სამხედრო გადასახადი და რის გამო იხდიდნენ მას – ლაშქრის სასარგებლოდ თუ სამხედრო სამსახურიდან გასათავისუფლებლად. რაც შეეხება გ. ჩიქოვანის მეორე თვალსაზრისს (*ხიდება* წლიური გადასახადია, რომელსაც მოსახლეობა უხდის მეფის ხელისუფლებას...), ის გარკვეულად ეხმიანება ჩვენს მოსაზრებას, რომელიც ზემოთ აღინიშნა, მაგრამ ის დაუმონებელი დარჩა.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ალ-ფარიკის ცნობაში *ხიდება* ისეთი სამსახურია, რომელიც ქართველებს, მეფის თვალში, უპირატესობას აძლევდა მუსლიმებთან და ებრაელებთან შედარებით და რომ ქართველის სამსახური უფრო მეტად იყო

²³ El-Said Badawi, M. Hinds, *A Dictionary of Egyptian Arabic: Arabic-English* (Beirut, 1986), 4; R. H. McGuirk, *Colloquial Arabic of Egypt* (London, 1993), 158; *A Dictionary of Iraqi Arabic: Arabic-English*, eds. D. R. Woodhead and W. Beene, under the technical direction of K. Stowasser (Washington, 1967), 130; A. Barthélemy, *Dictionnaire Arabe-Français. Dialects de Syrie: Alep, Damas, Liban, Jérusalem*, premier fascicule (Paris, 1935), 195; М. Эль-Массарани, В.С. Сегаль, *Арабско-русский словарь сирийского диалекта* (Москва, 1978), 179; A. Borg, *A Comparative Glossary of Cypriot Maronite Arabic (Arabic-English): with an Introductory essay* (Leiden, 2004), 218-19; B. Tedjini, *Dictionnaire Arabe-Français [Maroc]* (Paris, 1932), 67; R. S. Harrell, *A Basic Course in Moroccan Arabic* (Washington, 1965), 391; N. Tapiéro, *Manuel d'Arabe Algérien* (Paris, 1957), 128; F. Corriente, *A Dictionary of Andalusí Arabic* (Leiden, 1997), 151.

²⁴ Badawi, Hinds, *A Dictionary of Egyptian Arabic*, 4; *A Dictionary of Iraqi Arabic*, 130.

შეფასებული. მაგრამ ალ-ფარიკის ცნობა მოტანილია იმ კონტექსტში, რომელშიც საუბარია მუსლიმთათვის მინიჭებულ შეღავათებზე, მათ შორის – გადასახადების გაუქმებაზე. ამკარაა, რომ საუბარია არა იმაზე, რომ ქართველის ან ებრაელის სამსახური უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე მუსლიმისა, არამედ იმაზე, რომ მუსლიმთა *ხიდმა*, სხვებისგან განსხვავებით, იყო უფრო მსუბუქი და შეღავათიანი. შემთხვევითი არ არის ალ-ფარიკის სიტყვები, რომლებიც მოსდევს *ხიდმას* ოდენობის განსაზღვრას:

„მეფემ მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი. მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ (თვით) მუსლიმებთანაც კი“.²⁵

შუა საუკუნეების არაბულ წყაროებში ხშირია მითითება, როცა ესა თუ ის პიროვნება ჩადგა ამა თუ იმ მმართველის სამსახურში (*ფილ-ხიდმათი*). სამხედრო თუ სამოქალაქო ელიტის (ამირები, ექიმები, ლიტერატორები, პოეტები...) წარმომადგენლები თავიანთი სამსახურის – *ხიდმას* – სანაცვლოდ იღებდნენ გარკვეულ გასამრჯელოს მმართველისგან. ამ სამსახურის ხასიათი აიუბიანთა და მამლუქთა ხანის (1190-1350 წწ.) დამასკოს მაგალითზე გააანალიზა მ. ჩემბერლენმა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის სამხედრო და სამოქალაქო ელიტას ესმოდა, რომ მათი კავშირები, ერთგულება, დამოკიდებულება და საპასუხო ვალდებულება იყო ნებაყოფლობითი სამსახური, ანუ *ხიდმა*, მაგრამ მის მიერ მოტანილი მასალის²⁶ საფუძველზე ალ-ფარიკის ცნობა ვერ აიხსნება. სამაგიეროდ, ამის შესაძლებლობას იძლევა XV ს. სირიისა და ეგვიპტის მამლუქთა ეპოქის ეპიგრაფიკული და დოკუმენტური წყაროები, რომლებიც, მართალია, დაშორებულია დავით IV-ის ეპოქას, მაგრამ უაღრესად საინტერესოა *ხიდმას*, როგორც გამოსაღების არსის გასაგებად.

– ჰიჯრის 853/1449 წ. ეგვიპტის მამლუქთა სულტნის ჯაკმაკის ბრძანებულება (იერუსალიმში, ჰარამის დასავლეთ კედელში ფილაზე ამოკვეთილი წარწერა) ადგენს, რომ იერუსალიმის *ზიმეებზე* (მუსლიმთა მფარველობის ქვეშ მყოფ არამუსლიმებზე) უქმდება *ხიდმა* სულტნის ახალი *ნა'იბის* (ნაცვლის) ჩამოსვლის დროს, როცა მას სულტნის სახელით, ქვეშევრდომთა წინაშე, საპატიო ხალათით (*ხილ'ა*) მოსავდნენ.²⁷

– 871/1467 წ. ბრძანებულებით, რომელიც ამოკვეთილია ჰალაბის დიდ მეჩეთზე, *ამირ-უსთადარი* ნასირ ად-დინ მუჰამადი აუქმებს *ხიდმას*, რომელსაც

²⁵ სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, 89.

²⁶ M. Chamberlain, *Knowledge and Social Practice in Medieval Damascus, 1190-1350* (Cambridge, 1994), 116-17.

²⁷ Max van Berchem, *Matériaux pour un Corpus inscriptionum Arabicarum, Deuxième partie, Syrie du sud, tome deuxième, Jérusalem "Haram" (Le Caire, 1927), 150-51.*

ეგვიპტური ქსოვილების სახით მოსახლეობისგან მოითხოვდნენ უსთადარების საპატრიო ხალათით შემოსვის დროს.²⁸

– დივრიგის (მცირე აზია) ერთ-ერთი აკლდამის მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი მამლუქი სულტნის ნაცვალის კანსავაჰ ალ-აშრაფის 891/1486-87 წ. დადგენილება მოითხოვს, რომ იქნას აღებული სხვადასხვა ოდენობის *ხიდმა* მმართველის დანიშვნასთან, მისი საპატრიო ხალათით შემოსვისა და ქორწინებასთან დაკავშირებით.²⁹

– მამლუქთა სულტნის კანსავაჰის 904 წ. 22 მუჰარამის/1498 წ. 9 სექტემბრის ბრძანებულებიდან³⁰ ირკვევა, რომ იერუსალიმის ქართველ ბერებს ევალებოდათ *ხიდმა* აღდგომისა და ხუთშაბათის დღესასწაულის დროს სულტნის ნაცვლის (ნა'იბ), ზედამხედველის (ნაზირ), ყადიებისა და ქალაქის სხვა მოსახლეობის სასარგებლოდ, ხოლო ახალი ნაცვლის დანიშვნისას – მოსვლის *ხიდმა* (*ხიდმა კუდუმი*).

მ. ვან ბერშემი და ჟ. სოვაჟე, რომლებმაც გამოსცეს აღნიშნული ეპიგრაფიკული წარწერები,³¹ თვლიან, რომ *ხიდმა* ქვეშევრდომის მიერ ზემდგომისათვის მიერთებული საჩუქარია, თუმცა არა ნებაყოფლობითი, არამედ – იძულებითი. ამასთან, *ხიდმა* შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე – ნატურით. ის საჩუქარი, ძღვენია სულტან კანსავაჰის 904/1498 წ. ბრძანებულებაშიც.

ისლამურ სამყაროში, ზემომოტანილი მასალით, ჩანს, *ხიდმა* იყო ის ძღვენი, რომლის გადახდითაც ზიმიები აკმაყოფილებდნენ ახლად დანიშნული მუსლიმი მმართველის და სხვა რანგის მოხელეების ამბიციებს. უარის თქმა, ალბათ, გამოიწვევდა შესაბამის მკაცრ სანქციებს მათ მიმართ. ვინაიდან *ხიდმა* არ იყო კანონიერი ისლამური გადასახადი, მოსალოდნელია, რომ ზიმიები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას და მოითხოვდნენ მის გაუქმებას. სწორედ ამას ადგენს სულტან ჯაკმაკის 853/1449 წ. ბრძანებულება.

მამლუქთა ხანის ხსენებულ დოკუმენტურ და ეპიგრაფიკულ წყაროებში *ხიდმა* ზიმიების – მუსლიმთა იურისდიქციისა და მათი მფარველობის ქვეშ მყოფ არამუსლიმთა ხვედრია. თბილისში კი ის ეკისრება როგორც ქრისტიანებს, ისე არაქრისტიანებსაც – ებრაელებსა და მუსლიმებს, რომლებიც, მუსლიმური

²⁸ J. Sauvaget, “Décrets Mamelouks de Syrie (Deuxieme article),” *Bulletin d'Études Orientales*, III (1934), 18-20, N32.

²⁹ J. Sauvaget, “Décrets Mamelouks de Syrie,” *Bulletin d'Études Orientales*, XII (1947-48), 52-55, N62.

³⁰ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, N VII. B.1.10, სტრ. 6-10.

³¹ 1995 წელს, როცა პირველად შევეხეთ *ხიდმას* საკითხს, მ. ვან ბერშემისა და ჟ. სოვაჟეს დასახელებული ნაშრომები, იმდროინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, როცა პრაქტიკულად შეწყდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ბიბლიოთეკებთან კავშირები, ვერ მოვიპოვეთ.

კანონმდებლობის ანალოგიით,³² საქართველოში ზიმიების, ანუ მფარველობის ქვეშ მყოფი სხვა რჯულის აღმსარებელთა პოზიციაში იყვნენ. იმავე წყაროების ანალოგიით, ძნელია, რომ ალ-ფარიკის *ხიდმა* დავუკავშიროთ თბილისში მხოლოდ სხვადასხვა ახალი ხელისუფლის გამოჩენას. ის მეფის მიერ არის ყოველწლიურად განსაზღვრული და, ჩანს, განკუთვნილია მის სასარგებლოდ.

ალ-ფარიკის ცნობაში დასახელებული *ხიდმა* ერთ-ერთი რგოლია დავით IV-ის საგადასახადო პოლიტიკაში, რომელიც განსაზღვრავდა მის დამოკიდებულებას მუსლიმი ქვეშევრდომებისადმი. უნინდებურად ვფიქრობთ, რომ *ხიდმა* იყო გამოსაღები – აუცილებელი, დადგენილი ძღვენი მეფის სასარგებლოდ. ის თბილისში (და, შესაძლოა, სხვაგანაც – საქართველოს სამეფოში) ყოველწლიურად ეკისრებოდა ქართველებს, ებრაელებსა და მუსლიმებს თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში ხელისუფლების მფარველობის სანაცვლოდ. ამასთან, მუსლიმთა *ხიდმა* იყო უფრო მცირე (3 დინარი), ქართველებთან და ებრაელებთან შედარებით (შესაბამისად 5 და 4 დინარი), რაც ორგანულად ჯდება იმ საერთო შეღავათებში, რომლებიც დავით IV-მ მუსლიმებს უბოძა და რომლებსაც ჩამოთვლის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი.

³² ის, რომ მუსლიმთა მდგომარეობა და მათი სტატუსი საქართველოში მოგვაგონებს ზიმიებისას ისლამის ქვეყნებში, აღნიშნულია ჩვენ მიერ. იხ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 251.

ON THE MEANING OF THE TERM *KHIDMA* IN THE *HISTORY OF MAYYAFARIQIN AND AMID* OF IBN AL-AZRAQ AL-FARIQI

In the first quarter of the 12th century, David IV the Builder, King of Georgia (1089-1125) completed the political unification of the country. In 1122 he liberated Tbilisi from Muslim domination. Afterwards the king took measures to improve his relations with the Muslim subjects. He granted a number of privileges to the Muslim population of Tbilisi embracing the fiscal, religious and legal spheres, coinage and other problems concerning the everyday life. His policy of tolerance towards Muslim population created favorable conditions in Tbilisi and most likely in other towns of Georgian Kingdom as well for peaceful co-existence and cooperation between Christians and Muslims.

The 12th c. Arab historian Ibn al-Azraq al-Fariqi (d. after 1181), who described in details Georgian king's policy of tolerance towards his Muslim subjects in his *Ta'rikh Mayyafariqin wa Amid* ("History of Mayyafariqin and Amid"), stated that in 1122 King David removed some taxes imposed on the population of Tbilisi and "assessed the *khidma* of a Georgian (Kurji) at a rate of five dinars per annum, that of a Jew at four dinars and that of a Muslim at three dinars."

There is discussion among the scholars on the exact meaning of al-Fariqi's *khidma*, which means service in Arabic. It may be conjectured that any service rendered by a Muslim was valued less than that of a Georgian or a Jew, but then it would have been discriminating for the Muslims, whereas Ibn al-Azraq speaks of "David's good treatment of the Muslims." H. Amedroz, who was the first to analyze this information of Ibn al-Azraq al-Fariqi, considers *khidma* to be "payment due." V. Minorski had the same view. Many Georgian scholars voice the opinion that *khidma* is an annual tax, even *per-capita* tax. C. Hillenbrand who translated a big portion of al-Fariqi's work concerning Artuqid dynasty wrote that meaning of *khidma* is unclear. Recently G. Chikovani suggested on the ground of Kashka-Daria Arabic dialect of Central Asia that *khidma* was military service and presumably, al-Fariqi's data could have referred to the annual military tax.

The present author suggests that al-Fariqi's *khidma* referred to necessary, fixed, annual present to the Georgian king (or superior), from his Christian and Muslim subjects, a gift of homage. This meaning of *Khidma* (in cash or in commodity) is observed in the 15th c. epigraphic and documentary sources of Syria and Palestine of Mamluk period.

It is quite possible that certain layers of the Tbilisi population (Georgians, Jews and Muslims) were obliged to offer annual fixed gifts to the king. As the gift was not one-sided, it may be presumed that those who offered it enjoyed the king's favours in their professional pursuit. In this respect the Muslims were granted more allowances than the Jews and Georgians.

X ს. ამიერკავკასიის არაბული რუკა

არაბ კარტოგრაფებს შუა საუკუნეების კარტოგრაფთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ. არაბთა ინტერესი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ომაელთა სახალიფოს არსებობის წლებში (661-750 წწ.) შეინიშნება. თავდაპირველად დიდი იყო ბერძნული კარტოგრაფიის გავლენა. უკვე IX ს-ში ალ-ხვარაზმიმ გადაამუშავა პტოლემეს მსოფლიო რუკა.

X ს-ში იქმნება არაბული გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული სკოლა, რომელსაც კლასიკურ გეოგრაფიულ სკოლასაც უწოდებენ. ამ სკოლის ფუძემდებელი იყო აბუ ზაიდ ალ-ბალხი (გარდ. 934 წ.), ხოლო მისი გამოჩენილი წარმომადგენლები ას-ისტახრი, იბნ ჰაუკალი და ალ-მუკადასი.

ალ-ბალხიმ პირველმა შექმნა „დედამინის სარტყელთა რუკები“, რომლებიც ჩვენამდე არ შემონახულა, მაგრამ საფუძვლად დაედო სხვა არაბ გეოგრაფთა რუკებს. ისინი სრული სახით პირველად წარმოდგენილია აბუ-ლ-ისჰაკ ალ-ფარისი ალ-ისტახრის წიგნში „ქითაბ ალ-მასალიქ ვალ-ლ-მამალიქ“ („წიგნი გზებისა და სახელმწიფოების შესახებ“), რომელიც X ს-ის 30-იან წლებში დაიწერა.

ალ-ისტახრის ეკუთვნის 20 რუკა, რომლებიც ქმნის ისლამის ატლასს. ატლასი იწყება მსოფლიოს ოვალური რუკით და მთავრდება მავერანაჰრის (შუა აზიის) რუკით. გეოგრაფიული მასალა წიგნში დალაგებულია ამ რუკების მიხედვით. თითოეულ რუკას მოსდევს მასზე ასახული ქვეყნის დეტალური აღწერა. მოცემულია ამა თუ იმ ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწევრება, ქალაქები, მათი გარეგნული სახე, ვაჭრობა, მდინარეები, ტბები, მთები, სავაჭრო-სამარშრუტო გზები და მანძილები ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს შორის.

ისლამის ატლასი ემიჯნება ბერძნულ ტრადიციას. ბევრი რუკა ასახავს ირანის ცალკეულ რაიონს. ამის გამო მკვლევართა (კ. მილერი, ი. კრაჩკოვსკი, ტ. შუმოვსკი) აზრით, მას საფუძვლად უნდა დასდებოდა უფრო ძველი ირანული ატლასი, რომელმაც გადაამუშავება განიცადა. საერთო აღიარებით, ისლამის ატლასი უფრო მეტად ასახავდა რეალურ სინამდვილეს, ვიდრე იმდროინდელ ევროპაში შექმნილი გეოგრაფიული რუკები.

ისლამის ატლასი არაბისტთა ვიწრო წრისათვის დიდი ხანია ცნობილია. სრული სახით ისინი გერმანელმა მკვლევარმა კ. მილერმა გამოსცა. გარდა ამისა, რუკები დაბეჭდილია ალ-ისტახრისა და იბნ ჰაუკალის გეოგრაფიული თხზულებების სხვადასხვა გამოცემაშიც.

ფართო საზოგადოებისათვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენ მიერ წარმოდგენილი ისლამის ატლასის ერთ-ერთი რუკა, რომელიც შესულია ალ-ისტახრის ნიგნში (კაიროს 1962 წ. გამოცემა) და მცირე ცვლილებებით გამეორებულია იბნ ჰაუკალის თხზულებაში (დაინერა X ს. 50-იან წლებში).

რუკას ეწოდება „არანის, აზერბაიჯანისა და არმენიის გამოსახულება“. მასზე ფართოდ არის წარმოდგენილი არანის (ამჟამად საბჭოთა აზერბაიჯანი), ირანის აზერბაიჯანისა და სომხეთის გეოგრაფიული პუნქტები, ძირითადად აღმოსავლეთ ამიერკავკასია და მისი მომიჯნავე ტერიტორია.

რუკა, ერთი შეხედვით, შეიძლება გაუგებრად მოგვეჩვენოს, მაგრამ ყურადღებით დაკვირვების შემდეგ მასზე მშვენივრად ისახება კონტურები. ორ-ორი პარალელური ხაზებითაა წარმოდგენილი მდინარეები მტკვარი და არეზი, რომლებიც ერთმანეთს ერთვის. აქ აღნიშნულია კავკასიონის მთები და საბალანის მთა აზერბაიჯანში; ოვალებითა და წრით კასპიის ზღვა, ურმიისა და სევანის ტბები, მრავალკუთხედებით – ქალაქები და დასახლებული პუნქტები; პირდაპირი სწორი ხაზებით ის სავაჭრო-სამარშრუტო გზები, რომლებითაც ერთმანეთს უკავშირდებოდა სხვადასხვა ქალაქი.

რუკა სხვა მხრითაც არის საინტერესო. ის ერთ-ერთი უძველესია იმ რუკებს შორის, რომლებზედაც დატანილია ჩვენი დედაქალაქი – თბილისი.

თბილისის გარდა, საქართველოს ქალაქებიდან რუკაზე აღნიშნულია კალა და ხუნანი. კალა, ანუ კალა იბნ ქანდმანი, მკვლევართა (მარკვარტი, ე. სიხარულიძე) აზრით, ქართულ გარდაბანს შეესაბამება. ალ-ისტახრის ცნობით, ის თბილისიდან 12 ფარსახზე (72 კმ) მდებარეობდა. ხუნანი, ქართული წყაროების თანახმად, ქართლის სასაზღვრო ქალაქი იყო. ის ლოკალიზდება დღევანდელი აღსტაფის რაიონში, მდ. აღსტაფურას მტკვართან შეერთების მიდამოებში (ლ. ჭილაშვილი).

რუკაზე კარგად ჩანს, რომ კალას (გარდაბნის) და ხუნანის გავლით თბილისს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა ქალაქებთან (შამქორთან, განჯასთან, ბარდავთან და სხვ.) სპეციალური გზა აკავშირებდა. ბარდავიდან გზა მიდიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით დარუბანდისკენ (არაბ. ბაბ ალ-აბვაბი), სამხრეთით კი – სომხეთისა და ირანის აზერბაიჯანის

ქალაქებისაკენ. ამ გზებით თბილისს დიდი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა, ერთი მხრივ, მახლობელ აღმოსავლეთთან, მეორე მხრივ კი – ჩრდილოეთთან (კერძოდ, ხაზარებთან და რუსებთან). ამ ურთიერთობათა ფართო მასშტაბებს ადასტურებს რუსეთის სამონეტო განძებში აღმოჩენილი თბილისური ვერცხლის მონეტები – დირჰამები.

X ს. თბილისი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იყო. მას ორი გალავანი ერტყა და სამი კარი ჰქონდა. ქალაქში იყო მრავალი წყლის ნისქვილი და აბანო. თბილისი გამოირჩეოდა პროდუქტების სიუხვითა და სიიაფით. უკვე ამ დროს თბილისელთა დამახასიათებელი თვისება იყო სტუმართმოყვარეობა, რაც აღტაცებით აღწერა იბნ ჰაუკალმა.

აღ-ისტახრის წიგნში თბილისი, კალა და ხუნანი ადმინისტრაციულად არანის ფარგლებშია შეტანილი. ისლამის ატლასი არ იცნობს ქრისტიანული საქართველოს ქალაქებს თბილისის დასავლეთით. ამის მიზეზი ის იყო, რომ აღ-ისტახრი და, საერთოდ, არაბული კლასიკური გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლები დაინტერესებულნი იყვნენ ძირითადად ისლამის ქვეყნებით და აღწერდნენ მხოლოდ იმ ქვეყნებს, სადაც ისლამის გავლენა იყო. ისლამის ატლასიც ამიტომ ძირითადად ისლამის სამყაროს ასახავდა. თბილისი აღნიშნულ პერიოდში წარმოდგენდა არაბთა უკანასკნელ დასაყრდენს საქართველოში. აქ არსებობდა არაბთა დამოუკიდებელი საამირო, რომელსაც ჯაფარიანთა საგვარეულოს არაბი ამირები განაგებდნენ.

მართალია, რუკაზე ვხედავთ სომხეთის ქალაქებს (დვინს, ხლათს და სხვ.), მაგრამ ამ ქალაქებში უაღრესად ძლიერი იყო მაჰმადიანთა გავლენა. ბევრი მათგანი მაჰმადიან მმართველს ემორჩილებოდა და ამის გამო აღ-ისტახრი მათ ისლამის სამყაროდ აღიქვამდა.

არაბული კარტოგრაფიის ბევრ ნიმუშს ახასიათებს ორიენტირების შეცვლა: ჩრდილოეთი – სამხრეთით, ხოლო აღმოსავლეთი დასავლეთით არის მოქცეული. ამ მხრივ აღწერილი რუკა გამონაკლისია.

არაბული კარტოგრაფიის სხვა რუკების მსგავსად ამ რუკასაც არ აქვს გრადუსთა ბადე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაბებმა არ იცოდნენ კოორდინატების ათვლა. 829 წ. ხალიფა მამუნის ბრძანებით საკამო სიზუსტით განისაზღვრა დედამიწის მერიდიანის გრადუსის სიდიდე. უფრო გვიან კი, XIII ს-ში, არაბი ავტორი იაკუთი იძლევა თბილისის კოორდინატების (გრძედის 62° და განედის 42°) განსაზღვრასაც.

დღეისათვის აღ-ისტახრის რუკა ისტორიული თვალსაზრისით არის საინტერესო. თავის დროზე კი ის ზოგადად სწორ წარმოდგენას იძლეოდა მასზე აღნიშნული ქვეყნების შესახებ.



ისლამის ატლასის ერთ-ერთი რუკა. 1 – თბილისი, 2 – კალა (გარდაბანი), 3 – ხუნანი, 4 – შამქორი, 5 – განჯა, 6 – ბარდავი, 7 – ბაილაკანი, 8 – შუმახია, 9 – მდ. მტკვარი, 10 – ბაქო, 11 – კასპიის ზღვა, 12 – დარუბანდი, 13 – მდ. არეზი, 14 – სევანის ტბა, 15 – საბალანის მთა, 16 – დვინი, 17 – მანასკერტი, 18 – მარანდი, 19 – არზანი, 20 – ბითლისი, 21 – მაიფარეკინი, 22 – ხლათი, 23 – არჭეში, 24 – ბერქერი, 25 – ურმიის ტბა, 26 – ურმია, 27 – მარაღა.

რას მოგვითხრობენ ტერმინები... საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღისა და გზების საკითხი

XI საუკუნიდან მოკიდებული, ჩვენმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახა ფრაგმენტული ცნობები ქართული ჭადრაკისა და საჭადრაკო ტერმინოლოგიის შესახებ.

ქართველმა მკვლევრებმა (მ. კეკელიძემ, მ. ვაძბოლსკიმ, თ. გიორგაძემ, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოზიამ და სხვ.) გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ მემკვიდრეობის გამოვლენისა და შესწავლისთვის. კვლევის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ჩვენში ჭადრაკს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და მუდამ დიდი პოპულარულობით სარგებლობდა.

ჭადრაკის ისტორიის შემსწავლელნი ინტერესს იჩენენ ჩვენში ამ თამაშის გავრცელების სავარაუდო თარიღისა და გზების მიმართ. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების ერთ-ერთ პირობად ჩვენ მიგვაჩნია ქართული საჭადრაკო ტერმინების შედარებითი შესწავლა ჭადრაკის აღმოსავლური ტერმინოლოგიის ფონზე.

ცნობილია, რომ ინდოეთში შექმნილ ჭადრაკის პირველსახეობას, ე.წ. ჩატურანგას (ოთხთა თამაში) VI საუკუნეში გაეცნო სასანელთა ირანი. ირანელებმა შეცვალეს არა მარტო თამაშის წესები, არამედ მისი სახელწოდებაც. ინდური ჩატურანგას ადგილი ირანულმა ჩატრანგმა დაიკავა.

ფალაურ ენაზე (საშუალო სპარსული, სასანელთა ირანის სახელმწიფო ენა) საჭადრაკო ტერმინოლოგია ასეთი იყო: ჩატრანგი – ჭადრაკი, შაჰი – მეფე, რუხი – ეტლი, ფილი (სპილო) – კუ, ფარზი ან ფარზანი – ლაზიერი, ასფი – მხედარი, პიადაკი (ქვეითი მეომარი) – პაიკი.

VII საუკუნის 40-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ირანი დაიპყრეს, ამ თამაშს არაბებიც გაეცნენ. VIII საუკუნის II ნახევრიდან კი ჭადრაკი, რომელიც ორის თამაშად გადაიქცა, არნახულად გავრცელდა მათში. გაჩნდნენ პირველი საჭადრაკო კომპოზიტორები და დიდოსტატები (ალიები), შეიქმნა სახელმძღვანელოები, ამოცანების და ეტიუდების კრებულები. არაბებმა გაავრცელეს

ჭადრაკი უზარმაზარ ტერიტორიაზე, ირანიდან ესპანეთამდე. მათი მეშვეობით ამ თამაშს გაეცნო დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ბევრი ქვეყანა.

არაბებმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს საჭადრაკო ტერმინოლოგიაში. მათ ანბანში „გ“ და „ჩ“ არ არის და ამიტომ ჩატრანგმა მიიღო შატრანჯის სახე. პიადაკი ბაიდაკად იქცა, ფალაური ასფი ითარგმნა არაბულ ფარასად, ფარზ-ფარზანის ადგილი კი ვაზირმა დაიკავა.

ირანულ და არაბულ ტერმინოლოგიაში თითქმის საერთოა მუქარის აღმნიშვნელი ტერმინები. შაჰით და ქიშით მეფის მიმართ მუქარას გამოხატავდნენ, ხოლო შაჰ მათ (ფალაურად) ანდა, იშვიათად, შაჰ ვა მათ (არაბულად) დაშამათებას ნიშნავდა.

მუქარას უცხადებდნენ ნებისმიერ სხვა ფიგურას, ან პაიკსაც კი. ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ: შაჰ ფილ, შაჰ რუხ და ა.შ.

ჭადრაკის დაფის არაბული სახელწოდება რუკა იყო.

თუ რუსული და ევროპის ქვეყნების საჭადრაკო ტერმინოლოგიას გადავავლებთ თვალს, შევამჩნევთ, რომ დასახელებული ტერმინების გარკვეული ნაწილი დღემდე შემორჩა მცირე ცვლილებებით, ნაწილი კი ითარგმნა.

მსგავს მოვლენას აქვს ადგილი ქართულშიც. ქართულად თარგმნილ, ანდა ქართულ ნიადაგზე შექმნილ ტერმინებთან ერთად (მეფე, მხედარი, კუ, ეტლი) უცვლელად ან მცირე სახეცვლილებით შემოგვრჩა ირანულ-არაბული ტერმინებიც (ჭადრაკი, ლაზიერი, რუხი, შამათი, ქიში და რუკა).

უპირველესად გვსურს ყურადღება მივაქციოთ თვით „ჭადრაკს“.

ქართულ წყაროებში დამონშემებულია ამ სიტყვის სხვადასხვა ფორმა: ჭადრიგი, ჭანდრაკი და ჭანდრიკი. XI-XII საუკუნეებში „ჭადრიგი“, „ჭადრაკი“ მტკიცედ იყო დამკვიდრებული, თუმც მისი სათავეები უფრო შორს არის საძიებელი.

„ჭადრაკი“ არ ამჟღავნებს სემანტიკურ სიახლოვეს ინდურ „ჩატურანგასთან“, ანდა არაბულ „შატრანჯთან“, მაგრამ ნათელია მისი კავშირი ირანულ „ჩატრანგთან“, უფრო მეტიც, „ჭადრაკი“ უშუალო მემკვიდრეა „ჩატრანგისა“.

საქმე ისაა, რომ ფალაურში არსებობდა „ჩატრანგის“ სხვა ფორმებიც, კერძოდ, „ჩატრაკი“. სწორედ ეს ფორმა გავრცელდა საქართველოში „ჭადრაკის“ სახით.

როდის შეიძლება ეს მომხდარიყო?

რა თქმა უნდა, არა XI-XII საუკუნეებში, როცა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში იხმარებოდა „შატრანჯი“ და არა ძველი ფალაური ფორმა „ჩატრანგი“ (ან „ჩატრაკი“).

ეს არც არაბთა ბატონობის ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ. როგორც ცნობილია, არაბთა შემოსევები ჩვენში VII საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება, მა-

გრამ მტკიცედ საქართველოში არაბები მხოლოდ VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან გაბატონდნენ და ისიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

არაბულმა „შატრანჯმა“ ვერ დაიკავა ქართული „ჭადრაკის“ ადგილი. ეს კი მეტყველებს, რომ თამაშიცა და მისი სახელიც ჩვენში საკმაოდ ფეხდადგმული იყო არაბთა გაბატონებამდე.

ირანიდან საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღად VI საუკუნის II ნახევარი და VII საუკუნის პირველი მესამედი უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულ ხანაში ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი მყარ საფუძველს უქმნის ამგვარ ვარაუდს.

საქართველო გამონაკლისი როდია. ირანელთა მეშვეობით გაცნობილი ჭადრაკის ბიზანტიაც. ამ თამაშის ბერძნული სახელწოდება – ძატრიკიონი – სწორედ ფალაური „ჩატრანგიდან“ (ან „ჩატრაკიდან“) წარმოდგება (ბერძნულს არ გააჩნდა ფალაური „ჩ“-ს შესატყვისი ასო და ის ასო ძ-თი შეიცვალა). ამის საფუძველზე ჭადრაკის ისტორიის მკვლევარმა ფორბსმა ბიზანტიაში ჭადრაკის გავრცელების საწყის პერიოდად VII საუკუნის I ნახევარი მიიჩნია.

უშუალოდ ირანიდან უნდა გავრცელებულიყო ჭადრაკი სომხეთშიც, სადაც ქართულის მსგავსად, სწორედ თამაშის ფალაური სახელწოდება დამკვიდრდა. გამოჩენილ სომეხ მეცნიერს აჭარიანს სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში მოჰყავს ამ ენაში დადასტურებული ფორმები: ჭანტრაკ, ჭატრაკ, ჭარტრაკ და ჭატრკუც.

არაბთა ბატონობის მანძილზე მათ შატრანჯს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაზე. რომ არაფერი ვთქვათ რუკაზე, რომელიც ქართულსა და არაბულში ჭადრაკის დაფას აღნიშნავდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი „ლაზიერი“.

არაბულ შატრანჯში ირანული „ფარზანის“ პარალელურად გაჩნდა და მისი ადგილი დაიკავა „ვაზირმა“. ამ ტერმინის დამკვიდრება ანარეკლი იყო დიდი სახელწიფოებრივი მოვლენისა, კერძოდ, VIII საუკუნის II ნახევრის სახალიფოში ვაზირის სამოხელეო ინსტიტუტის შექმნისა, რომელმაც უდიდესი გავლენა და ძალაუფლება მოიპოვა.

ქართული „ლაზიერი“ „ალ-ვაზირის“ („ალ“ განსაზღვრული არტიკლია არაბულში) სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს. იგი ჩვენში ამ ფორმით უნდა დამკვიდრებულიყო სწორედ VIII საუკუნის II ნახევარში, ანდა IX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდის საქართველოში როგორც ეს ტერმინი, ისე მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენდა. უფრო გვიან X-XIII საუკუნეებში ქართულ წერილობით წყაროებში „ვაზირი“, როგორც სამოხელეო ტერმინი, სავსებით სწორი ფორმით გვხვდება, მაგრამ ეს გასაკვირი არაა. ვაზირის ინსტიტუტი უკვე მთელს მახლობელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული.

ძველ საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ „ლაზიერი“ ჭადრაკში „ვაზირის“ სინონიმი იყო. ამას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები: ლაზიერი ჭადრაკის მეფის ვეზირი არისო („სიტყვის კონა“, თბილისი, 1949, გვ. 178).

ირანულ-არაბული ტერმინოლოგიიდან მომდინარეობს ქიში და შამათი. ეს უკანასკნელი ქართულმა მცირე ცვლილებებით შეითვისა: „შაჰ მათში“ ჰაე დაიკარგა და მივიღეთ „შამათი“.

პაიკი (ან ფაიქი) არ არის ირანულ-არაბული. ქართულმა ის, შესაძლოა, პიადაკ-პიადაკის ანალოგიით აიღო სპარსულიდან. მაშინ, როცა პიადაკი ქვეითი მეომრის სახელი იყო, პაიკი, ფაიქი შიკრიკს იშნავდა.

ქართულ ნიადაგზე შექმნილ, ანდა ქართულად თარგმნილ ტერმინებს (მეფე, მხედარი, კუ) ამჯერად ჩვენ არ შევხვებით.

ქართველმა მკვლევრებმა რამდენჯერმე გამოთქვეს აზრი, თითქოს ჩვენში ჭადრაკი უშუალოდ ინდოეთიდან იყოს შემოტანილი. კერძოდ, თ. გიორგაძე ამას წინათ გამოცემულ „შახმატნი სლოვარში“ წერს, რომ ეს თამაში ქართველებს ინდოელმა ვაჭრებმა გააცნეს VII-VIII საუკუნეებშიო.

მ. ვადბოლსკი ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში ინდური ჩატურანგას პირდაპირ გავლენასაც ხედავს. ამის საბუთად მას მიაჩნია ინდური „რატჰას“ და ქართული „ეტლის“, უფრო ადრე კი „რუხის“ (მ. ვადბოლსკის აზრით „შარუხის“) იგივეობა. ამ მოსაზრებას საფუძვლად შემდეგი გარემოება ედო. ირანულ-არაბული „რუხი“ მითიურ ფრინველს ნიშნავდა, ესე იგი, განსხვავდებოდა ინდური „რატჰასგან“ (ეტლისგან). ამდენად, მკვლევრის აზრით, ქართულ „რუხს“, რომელიც შემდეგ „ეტლით“ შეიცვალა, საერთო აღარაფერი უნდა ჰქონოდა ირანულ-არაბულ ტერმინთან.

ჩვენ ვერ ვიზიარებთ ამ შეხედულებას.

ჭადრაკის ისტორიის უდიდესმა სპეციალისტმა ჩ. მარეიმ სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ „რუხი“ ირანულ-არაბულ ჭადრაკში მითიური ფრინველის გარდა შინაარსობრივად სწორედ ეტლს გამოხატავდა.

ქართულში ეს ტერმინი („რუხი“) წინ უსწრებს „ეტლს“. „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „წავიდა იგი ჟამი და დღე, ოდეს ერთმან კუმან ორი შარუხი დასცეს“. ეს ნიშნავს: წავიდა ის დრო, როცა ერთმა კუმ ორ რუხს (ეტლს) მუქარა (შაჰი) გამოუცხადაო. შარუხი აქ ერთ ფიგურას კი არ ნიშნავს, როგორც ფიქრობენ, არამედ ორი ტერმინისაგან „შაჰ“ და „რუხ“ შედგება (ე.ი. შაჰი, მუქარა რუხს). „ვისრამიანის“ მთარგმნელმა, რომელმაც კარგად იცოდა ქართული საჭადრაკო ტერმინოლოგია, „რუხი“ არ შეცვალა. როგორც ჩანს, მან ვერ მოძებნა ამ ტერმინის ქართული შესატყვისი. „რუხის“ შეცვლა „ეტლით“ უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნეში,

თეიმურაზ II დროს, ეს უკანასკნელი ტერმინი უკვე დამკვიდრებული იყო.

ამრიგად, „რუხის“ შესწავლასაც ირანულ-არაბული საჭადრაკო ტერმინოლოგიისკენ მივყავართ. ეს გარემოება კი უარყოფს ქართულ ჭადრაკზე ჩატურანგას უშუალო გავლენასა და ჩვენში ამ თამაშის პირდაპირ ინდოეთიდან გავრცელების შესაძლებლობას.

ჭადრაკმა განვითარების დიდი გზა განვლო და უაღრესად დინამიკურ თამაშად იქცა. მაგრამ ადამიანის ემოცია პარტიის წაგება-მოგებისას, ალბათ, მუდამ ერთნაირი იყო. შუა საუკუნეებში ჭადრაკმა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აზარტული ხასიათი მიიღო და ეს ბევრგან გახდა მისი აკრძალვის მიზეზი. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში კი ასე არ უნდა ყოფილიყო. მუსლიმურ ქვეყნებში საკმაოდ ბევრი აზარტული თამაში (ნარდი, ყომარი და სხვ.) იცოდნენ და ყოველ თამაშს თავისი თაყვანისმცემლებიც ჰყავდა. მუსლიმური სამართალი კრძალავს კამათლის თამაშს, მაგრამ ჭადრაკის მიმართ მას სანინალმდეგო არა ჰქონდა რა. ასევე არ შეიძლებოდა ჭადრაკი აზარტულ თამაშად ქვეუღიყო საქართველოში. ჩვენშიც, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თავისი მიმდევრები ჰყავდა ნარდს, ყომარს, ბანქოსა და განჯაფას. გავიხსენოთ თეიმურაზ II ერთი ლექსი, რომელსაც ჩვენი ჭადრაკის ისტორიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ:

„ნარღითა და განჯაფითა, ბანქოთ ბევრ ფულს მოიგებენ,
ვინც აჯობებს, გამოართმევს, მოგებულს წინ დაიდებენ,
ყუმარბაზნი ხალისით დაღალვას აღარ გაიგებენ,
ორი-სამი დღე მოებას, ყუმარს აღარ აიღებენ.

ჭადრაკსა ითამაშებენ ისე თეთრზედა (ფულზე – გ.ჯ.) ძვირადა,
მას კარგი ცოდნა, უყუფი (დაფიქრება, მოთმინება – გ.ჯ.) უნდა
არვის სჭირს ხშირადა.

რომელსაც უზმენ შამათსა, მას მიაჩნია ჭირადა,
აჯობებს, თუმცა ძმა იყოს, ეწყინოს გასაკვირადა“.

ფიქრობთ, ეს სიტყვები საკმაოდ ნათლად გამოხატავს ქართველი კაცის დამოკიდებულებას აზარტული თამაშების და ჭადრაკის მიმართ.

ქართული ჭადრაკის შესახებ, ალბათ, კიდევ ბევრი დაინერება. ლიტერატურული წყაროების სათანადო შესწავლა კი უფრო მეტ მასალას გამოავლენს.

ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში

შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მრავალი ქართული ეკლესია და მონასტერი არსებობდა. ეს სავანეები სინას მთაზე, პალესტინასა და ანტიოქიაში ქართული კულტურის მძლავრ კერებსაც წარმოადგენდნენ.

ქართველთა მოღვაწეობა დადასტურებულია ეგვიპტეშიც. ეროვნებით ქართველად არის მიჩნეული ცნობილი ბიზანტიელი მწერალი ევაგრე პონტოელი, რომელიც IV ს-ში ცხოვრობდა ეგვიპტეში. ქართული ტრადიციით V საუკუნეში პეტრე იბერს აუგია ეკლესია ეგვიპტის უდაბნოში. ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ქართული ტიპის ეკლესია, რომელიც თებეს ნეკროპოლზე გათხარა პროფ. მონერე დე ვილარმა.

სხვა რაიმე მითითება ეგვიპტეში ქართული ეკლესია-მონასტრების არსებობის შესახებ მკვლევრებს არ მოეპოვებათ. ამდენად, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს XIV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსის საიფ ად-დინ აბუ ბაქრ იბნ აბდ ალლაჰ იბნ აიბაქ ად-დავადარის ერთი ცნობა, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება.

მოკლედ იბნ არ-დავადარის შესახებ. მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. მაგრამ ვიცით, რომ ის იყო ეგვიპტის სულტნის ნასირ ად დინ იბნ კალაუნის (1294-1295, 1299-1309, 1309-1340) თანამედროვე, მისი მოხელე და კავშირი ჰქონდა საფოსტო სამსახურთან.¹

იბნ ად-დავადარის ეკუთვნის ცხრატომიანი ისტორია „ქანზ ად-დურარ ვა ჯამი ალ-დურარ“ („მარგალიტების განძი და რჩეული კრებული“), რომელიც 1309-1336 წლებში დაიწერა. ამ თხზულების პუბლიკაცია 1960 წ. დაიწყო გფრ-ს არქეოლოგიის ინსტიტუტმა ქ. კაიროში. გამოიცა „ქანზ ად-დურარის“ ის ნაწილები, რომლებშიც მოთხრობილია ეგვიპტის ფატიმიანთა, აიუბიანთა და მამლუქთა ისტორია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულების უკანასკნელი, IX ტომი, რომელიც სულტან ნასირ ად-დინ მუჰამმადის მოღვაწეობას ეძღვნება. იბნ ად-დავადარი თვითმხილველი და მომსწრე იყო ამ ტომში აღწერილი ამბებისა. ის სარგებლობდა თანამედროვეთა სანდო ინ-

პირველად დაიბეჭდა – მნათობი, 6 (1988), 157-59.

¹ B. Lewis, "Ibn al-Dawādārī," *EI2*, vol. III, 744.

ფორმაციითა და სახელმწიფო დოკუმენტებით, რაც ზრდის მისი ნაშრომის, როგორც ისტორიული წყაროს, ღირებულებას.

იზნ ად-დავადარის თხზულების უკანასკნელი ტომი საყურადღებოა XIV საუკუნის I მეოთხედის ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისთვისაც. არაბი ისტორიკოსი რამდენჯერმე ასახელებს ქართველებს (ალ-ქურჯ), ეხება ქართველთა ელჩობას ეგვიპტეში 1311-12 წ. და ქართველთა მონაწილეობას ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქრობაში 1312-1313 წწ. (რაც სპეციალურად შეისწავლა დ. გორილეიშვილმა). გარდა ამისა, იზნ ად-დავადარი იხსენიებს, აგრეთვე, ქართველთა ეკლესიას ეგვიპტეში, რომლის დასანგრევადაც სულტან ნასირ ად-დინ მუჰამმადის სპეციალური ბრძანება გამოსულა.

იზნ ად-დავადარი მოგვითხრობს, რომ 1321 წელს კაიროსა და მის მიმდებარე ფუსტატში, რომელიც ეგვიპტის დედაქალაქი იყო 969 წლამდე „გაჩნდა საშინელი ხანძარი. ეს იყო ქრისტიანთა ნამოქმედარი და მისი მიზეზი (კი გახდა) ის, რომ გამოიცა მაღალი ბრძანება (ალ-მარსუმ აშ-შარიფ), რათა დაეწვრიათ ქართველთა ეკლესია (ქანისათ ალ-ქურჯ), რომელიც ცნობილი იყო ალ-ჰამრას სახელით. მდაბიო ხალხი თავს დაესხა დასანგრევად რამდენიმე ეკლესიას. ესენია: აზ-ზუჰრის, წმ. მინას, შვიდი წყაროს, მწვრთნელთა, ბარჯავანის უბნის, რამლა ალ-ჰუსაინიას და კაიროს ეკლესიები. სულ შვიდი ეკლესია. მდაბიოებმა დაანგრიეს ისინი და ძლიერ გაძარცვეს. (ამის საპასუხოდ) ქრისტიანებმა დაიწყეს ცეცხლის გაჩენა მისრსა (ფუსტატში, გ.ჯ.) და კაიროში, სხვადასხვა ადგილზე“.²

1321 წლის ანტიქრისტიანულმა გამოსვლებმა და ქრისტიანული მოსახლეობის მღელვარებამ დიდი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი გამოიწვია ქვეყანაში. მაგრამ იზნ ად-დავადარი ყოველივე ამის შესახებ უაღრესად მოკლედ მოგვითხრობს. უფრო ვრცლად და დანვრილებით გადმოგვცემს ამ ამბებს XV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსი ალ-მაკრიზი. მისი ცნობით ანტიქრისტიანული გამოსვლები დაიწყო კაიროს ერთ-ერთ უბანში წყალსაცავის მშენებლობის დროს. მშენებლობის ზონაში მოყვა აზ-ზუჰრის ეკლესია. 1321 წ. 8 მაისს, პარასკევს, როცა ეგვიპტის ხელისუფალნი კაიროს საკრებულო მეჩეთში ლოცულობდნენ, მდაბიო ხალხი თავს დაესხა ამ ეკლესიას, დაარბია და გაძარცვა ის. ამის შემდეგ კაიროში, ფუსტატში, ალექსანდრიასა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში მუსლიმებმა თითქმის ერთდროულად დაარბიეს ქრისტიანთა სხვა სავანეებიც.³ ალ-მაკრიზის თანახმად, სულტნის ხელისუფლებამ

² Die Chronik des Ibn ad-Dawadari, Neunter Teil, Der Bericht über den Sultan al-Malik an-Nasir Muhammad ibn Qalaun, Hrsg. H. R. Roemer (Kairo, 1960), 306.

³ ალ-მაკრიზი, ქითაბ ალ-მავაიზ ვა-ლ-ითიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ასარ, ტ. IV (მისრ,

ამის შესახებ თითქოსდა არაფერი იცოდა და ანტიქრისტიანული გამოსვლები მდაბიოთა ინიციატივით დაიწყო. მაგრამ იბნ ად-დავადარის ზემომოტანილი მოკლე ცნობა საინინაალმდეგოს მეტყველებს. ის ბრძანება, რომელიც ქართველთა ეკლესიის დასანგრევად გამოიცა, მონშობს, რომ 1321 წლის ანტიქრისტიანული გამოსვლები სულტნის მიერ იყო სანქცირებული.

იბნ ად-დავადარის ცნობაში ჩვენთვის მთავარი და საყურადღებოა ქართველთა ეკლესიის მოხსენიება. სამნუხაროდ, არაბი ისტორიკოსის თხზულებაში ეს ეკლესია მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული და არ ჩანს, სად მდებარეობდა ის, კაიროში თუ ფუსტატში, ანდა შესრულდა თუ არა სულტნის ბრძანება მისი დანგრევის თაობაზე. დანგრეულ ეკლესიათა შორის ის აღარ იხსენიება. მაგრამ იბნ ად-დავადარი აღნიშნავს, რომ ქართველთა ეკლესია ცნობილი იყო ალ-ჰამრას სახელით. ეს მითითება კი საშუალებას გვაძლევს, რომ მის შესახებ დამატებითი ცნობები სხვა არაბულ წყაროებში მოვიძიოთ.

აბუ სალიჰ ალ-არმანი, რომელმაც XIII საუკუნის დასაწყისში დაგვიტოვა დიდი ნაშრომი ეგვიპტის ეკლესია-მონასტრების შესახებ, მიუთითებს, რომ ალ-ჰამრა აშენებული იყო ფუსტატში.⁴ ალ-მაკრიზის თანახმად, ის მდებარეობდა ალ-ჰამრა ად-დუნისას უბანში,⁵ რომელიც ქრისტიანებით დასახლებულ ალ-ჰამრას დიდ რაიონში შედიოდა.⁶

აბუ სალიჰ ალ-არმანის ცნობით ალ-ჰამრას ეკლესია იგივე ნმ. გიორგის ეკლესიაა. XI საუკუნეში ის საკმაოდ დანგრეული ყოფილა და განუახლებიათ ფატიმიანთა ხალიფას ალ-მუსთანსირის (1086-1094) დროს.⁷ ნმ. გიორგის ამ ეკლესიას (*ქანისათ აბი ჯირჯე*) იხსენიებს იბნ დუკმაკიც (XIV ს.), რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს მის ადგილმდებარეობას. ეს ეკლესია ფუსტატში აშენებული იყო კაიროს არხის დასავლეთით, ნილოსთან, ბუსთან ას-სუქქარას (სუქქარას ბაღის) მახლობლად.⁸ მინიშნება ამის თაობაზე აქვს აბუ სალიჰსაც, ხოლო ალ-მაკრიზი ერთ შემთხვევაში ალ-ჰამრას ბუსთან ას-სუქქარას ეკლესიასაც კი უწოდებს.⁹

ზემოდასახელებულ ეგვიპტელ ავტორთა შორის იბნ ად-დავადარი

1326), 426; ალ-მაკრიზი, *ქითაბ ას-სულუქ ლი-მარიფათ დუვალ ალ-მულუქ*, მ. მ. ზიადას რედ., ტ. II, ნან. I (ალ-კაჰირა, 1971), 216-20.

⁴ *The Churches and Monasteries of Egypt and Some Neighbouring Countries Attracted to Abu Salih the Armenian*, trans. from the Original Arabic by T. A. Evetts (Oxford. 1895), 87-88.

⁵ ალ-მაკრიზი, *ქითაბ ალ-მავაიზ ვა-ლ-ითიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ასარ*, ტ. III (მისრ, 1325), 188.

⁶ ალ-მაკრიზი, *ქითაბ ალ-მავაიზ ვა-ლ-ითიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ასარ*, ტ. II (მისრ, 1325), 60, 79-80.

⁷ *The Churches and Monasteries of Egypt*, 87-88, 97.

⁸ Ibn Doukmak, *Description de l'Égypte* (Le Caire, 1893), 108.

⁹ ალ-მაკრიზი, *ქითაბ ას-სულუქ ლი-მარიფათ დუვალ ალ-მულუქ*, 216.

ერთადერთია, რომელიც ალ-ჰამრას ქართველთა ეკლესიას უწოდებს. მისი ამ ცნობის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვაჩნია. „ქანზ ად-დურარის“ ერთადერთი შემონახული ნუსხა, რომელიც სტამბოლში თოფტაფის ბიბლიოთეკაში ინახება, ავტორის ხელით არის დაწერილი. იბნ ად-დავადარიმ კარგად იცოდა ვინ იყვნენ ქართველები, მომსწრე იყო 1321 წლის ამბებისა და ნაკითხული ექნებოდა სულტნის ბრძანებაც.

ამკარაა, რომ 1321 წლისათვის ალ-ჰამრას ეკლესია ფუსტატში ქართველებს ეკუთვნოდათ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ის უეჭველად ქართველებმა ააშენეს. იმ მცირერიცხოვანი ცნობებიდან, რომლებიც ალ-ჰამრას შესახებ არსებობს, ჩანს, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის დასაწყისამდე (როცა წერდა აბუ სალიჰ ალ-არმანი) ის კოპტების (იაკობიტების) ხელთ იყო. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ხელისუფალთა მიერ ეკლესიების დახურვა, ერთი რელიგიური თემისათვის მათი ჩამორთმევა და მეორესთვის გადაცემა, არც თუ იშვიათად ხდებოდა ეგვიპტესა და სირია-პალესტინაში. შესაძლებელია, რომ ალ-ჰამრას ეკლესია ქართველებს გადაეცა XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა საქართველოსა და აიუბიანთა ეგვიპტეს შორის კარგი ურთიერთობები არსებობდა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო XIV საუკუნის დასაწყისშიც, როცა ქართველებმა დაიხსნეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. აღსანიშნავია, რომ როცა 1310 წ. კაიროში ჯვრის მონასტრის დახსნის მისიით ჩავიდნენ საქართველოსა და ბიზანტიის ელჩები, სულტნის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მათთვის გაეხსნათ და გადაეცათ ორი ეკლესია: მელქიტებისა (ე.ი. მართლმადიდებლებისა) – ფუსტატში და იაკობიტებისა – კაიროში.¹⁰ ამ ცნობაში, რომელიც ალ-მაკრიზის ეკუთვნის, სამწუხაროდ, ეკლესიების სახელები აღნიშნული არ არის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ალ-ჰამრა, რომელიც ითვლებოდა „ქრისტიანთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმდიდრეს ეკლესიად“,¹¹ 1321 წლის ანტიქრისტიანული გამოსვლების დროს დაინგრა.¹² თითქმის მთლიანად განადგურდა ამავე დასახელების – ალ-ჰამრას ქრისტიანული უბანიც. მართალია, მომდევნო ხანებში მოხერხდა ზოგიერთი ეკლესიის (მაგ. წმ. მინას) აღდგენა, მაგრამ ალ-ჰამრა, იგივე ქართველთა ეკლესია არ აღუდგენიათ. XV საუკუნის I ნახევარში მის ადგილზე შეიხ იუსუფ ალ-აჯამის ზავია (სუფიების სავანე) იყო აშენებული.¹³

¹⁰ იქვე, 90.

¹¹ იქვე, 217.

¹² იქვე; ალ-მაკრიზი, *ქითაბ ალ-მავაიზ ვა-ლ-ითიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ასარ*, ტ. IV, 426, 433.

¹³ ალ-მაკრიზი, *ქითაბ ალ-მავაიზ ვა-ლ-ითიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ასარ*, ტ. III, 188.

ლაზები ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში

1517 წელს ოსმალეთმა დაიპყრო და გააუქმა მამლუქთა დამოუკიდებელი სასულტნო. ამიერიდან ქვეყანას განაგებდა ოსმალ სულტნის მიერ დანიშნული ფაშა. ის განასახიერებდა უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ნომინალურად მაინც, ხელმძღვანელობდა, ეგვიპტეში დისლოცირებულ გარნიზონებს – 7 სამხედრო კორპუსს (თურქ. *ოჯაკ/„კერა“*), რომელთა შორის იყო იენიჩრებისა და მამლუქთა კორპუსებიც. მათი ეთნიკური შემადგენლობა იყო საკმაოდ ჭრელი. ამას ხელს უწყობდა მიგრაცია ოსმალეთის ცენტრალური რაიონებიდან სხვადასხვა ეთიკური ჯგუფების მეომრებისა, რომლებიც აღნიშნული სამხედრო კორპუსების წევრები ხდებოდნენ.

ოსმალთა დაპყრობის შემდეგ, ეგვიპტეში თანდათან გაიზარდა ხვედრითი წონა ქართველი მამლუქებისა,¹ რომლებიც XVIII ს-ის შუა ხანებიდან მთავარ როლს თამაშობდნენ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. იმ ეთნიკური ჯგუფებიდან, რომლებიც ოსმალთა ბატონობის ხანაში ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ, ნაკლებად, მაგრამ მაინც იყვნენ გამუსლიმებული ლაზებიც.

თუ ადრე არა, XVIII ს-დან მაინც, ლაზები იკავებენ ადგილს ეგვიპტეში დისლოცირებულ სამხედრო კორპუსებში. საამისო ცნობა მოიპოვება სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში (*Maliyeden Müdevver 7069*). 1737-38 წლის იენიჩართა კორპუსის სახელფასო რეესტრში დასახელებულია ერთი ლაზი.² ის შეიძლება გავაიგივოთ თურქეთიდან ემიგრირებულ ლაზ იბრაჰიმთან, რომელიც 1739/40 წ. შიდაპოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა.³

პირველად დაიბეჭდა – *თსუ აღმოსავლეთმცოდნეობა*, 4 (2015), 350-58.

¹ უახლესი ლიტერატურიდან დავასახელებ: ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე, *ახალი მასალები XVIII საუკუნის ეგვიპტის ეპიგრაფიკიდან* (თბილისი, 2002); G. Djaparidze, D. Crecelius, “Relations of the Georgian Mamluks of Egypt with their Homeland in the Last Decades of the Eighteenth Century,” *JESHO*, vol. 45, pt. 3 (2002), 320-41; G. Djaparidze, D. Crecelius, “Georgians in the Military Establishment in Egypt in the Seventeenth and Eighteenth Centuries,” *AI*, 42 (2008), 313-37.

² Jane Hathaway, *The Politics of households in Ottoman Egypt* (Cambridge, 1997), 43.

³ Al-Damurdashi's *Chronicle of Egypt, 1688-1755. Al-Durra al-Musana fi Akhbar al-Kinana*, translated and annotated by Daniel Crecelius and ‘Abd al-Wahhab Bakr (Leiden, 1991), 335; ‘Abd

საერთოდ ლაზური ელემენტის როლი ამ პერიოდის ეგვიპტეში დისლოცირებულ სამხედრო კორპუსებში, ეგვიპტის არქივების საფუძველზე, ჯერ კიდევ შესასწავლია. თუმცა შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მამლუქთა ბელიქათში/მამლუქთა ოლიგარქიაში, რომელიც XVIII ს-ის შუა ხანებიდან ფაქტობრივად განაგებდა ქვეყანას, ლაზები არა გვხვდება.

ვითარება შეიცვალა XIX ს-ის დამდეგიდან.

1799 წელს ოსმალეთის სულტანმა ეგვიპტეში ფრანგებთან საბრძოლველად გაგზავნა ალბანელი რაზმების მეთაური მუჰამედ ალი, რომელიც 1805 წ. გახდა ეგვიპტის ფაშა. მისი დაპირისპირება მამლუქთა ოლიგარქიასთან 1811 წ. 1 მარტს ამ უკანასკნელის განადგურებით დასრულდა. მუჰამედ ალიმ საკუთარი დინასტია დაამკვიდრა ეგვიპტეში. მისმა საგვარეულომ იარსება 1952 წლამდე, ვიდრე არ დაამხო ახალგაზრდა ოფიცერთა რევოლუციამ.

თანამედროვე და მძლავრ ეგვიპტეს უყრიდა საფუძველს მუჰამედ ალი, მაგრამ მის გარემოცვაში იშვიათობას წარმოადგენდნენ საკუთრივ ეგვიპტელები. მის ინტერესებს იცავდნენ ალბანელები და თურქები, ბერძნები და ქურთები, სომხები და ჩერქეზები, ბოსნიელები და ქართველები, ლაზები და სხვ. მათი საურთიერთო ენა იყო თურქული და საკანცელარიო ენასაც თურქული წარმოადგენდა. მაგრამ თითოეული კარგად აცნობიერებდა თავის ეთნიკურ წარმომავლობას. შემთხვევითი არ არის ის, რომ მუჰამედ ალი ფაშას სამხედრო-ადმინისტრაციული ელიტის წარმომადგენელთა შორის ხშირი იყო სახელები: არნაუტი (ე.ი. ალბანელი), ჩერქეზი, ქურთი, ანდა გურჯუოლლუ და რაც ჩვენთვის საინტერესოა, ლაზოლლუ – ეგვიპტურ ყაიდაზე ლაზ-ოლლი, ანუ ქართულად რომ ვთქვათ, ლაზიშვილი.

გამოჩენილი ეგვიპტელი ისტორიკოსის 'აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართის (გარდ. დაახლ. 1826 წ.)⁴ თანახმად, მუჰამედ ალის სამსახურში დაწინაურდა ორი ლაზი. ერთია აჰმედ-ალა ლაზ-ოლლი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ზემო ეგვიპტეში კუნას და კუსას რაიონებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე.

al-Rahman al-Jabarti's *History of Egypt*. 'Aja'ib al-Athar fi'l-Tarajim wa'l-Akhbar, edited by Thomas Philipp and Moshe Perlmann, vol. I (Stuttgart, 1994), 282.

⁴ ალ-ჯაბართის მთავარი თხზულება ეგვიპტის ისტორიის შესახებ, რამდენჯერმე არის გამოცემული არაბულად. ქვემოთ დამონშებულია 1998 წლის კაიროს ოთხტომიანი გამოცემა: 'აბდ არ-რაჰმან ბ. ჰასან ალ-ჯაბართი, 'აჯა'იბ ალ-ასარ ფი თ-თარაჯიმ ვა-ლ-ახბარ (ალ-კაჰირა, 1998). ეს ნაშრომი ნათარგმნია ინგლისურად, სრული სახით: 'Abd al-Rahman al-Jabarti's *History of Egypt*, edited by Thomas Philipp and Moshe Perlmann, vols I-IV (Stuttgart, 1994); ნაწილობრივ, რუსულად: 'Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в период экспедиции Бонапарта (1798-1801)*, перевод, предисловие и примечания И.М. Фильштинского (Москва, 1963); 'Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в канун экспедиции Бонапарта (1776-1798)*, перевод, предисловие и примечания Х.И. Кильберг (Москва, 1978); 'Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет под властью Мухаммада 'Али (1806-1821)*, перевод, предисловие и примечания Х. И. Кильберг (Москва, 1963).

ის იყო ერთ-ერთი მეთაური იმ სამხედრო ექსპედიციისა, რომელიც 1811 წ. მუჰამედ ალი ფაშამ გაგზავნა ვაჰაბიტთა წინააღმდეგ ჰიჯაზში. 1812 წ. მან დააშოშმინა ზემო ეგვიპტე და განწინდა ის მამლუქი ამირების რაზმებისგან.⁵ აჰმედ-ალას შემდეგ უსიამოვნება მოუვიდა მუჰამედ ალის ვაჟთან – იბრაჰიმთან, რომელიც ზემო ეგვიპტის გამგებლად დაინიშნა და განიზრახა მუჰამედ ალის წინააღმდეგ გამოსვლა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა. 1812 წ. 4 ოქტომბერს ფაშამ ის შეიტყუა კაიროს ციტადელში, სადაც დაცვა – 50 მხლებელი ჩამოაშორა და ანგარიში გაუსწორა მას.⁶

ალ-ჯაბართი აღნიშნავს, რომ აჰმედ-ალა ლაზის მკვლევლობაში, შეიძლება უნებურად, მაგრამ მაინც, გარკვეული მონაწილეობა მიიღო მისმა თანამემამულემ, ფაშას მოადგილემ – ქათხუდამ, მუჰამედ-ბეი ლაზ-ოღლიმ. მან დაამშვიდა აჰმედ-ალას მცველები, რომლებსაც არ უნდოდათ პატრონის დატოვება, იმის შიშით, რომ მას რამე არ დამართნოდა: „ის ხომ ჩემი ქვეყნიდანაა, ჩემი ამხანაგი. თუ ვინმე დაემუქრება, მე ხომ მის გვერდით ვარო“.⁷

1812 წლის 3 ოქტომბერს, განთიადზე, მუჰამედ ალი-ფაშამ თავისთან დაიბარა აჰმედ-ალა ლაზი და როცა ის გამოვიდა თავისი ოთახიდან, დააკავეს, თავი მოკვეთეს და დილის 6 საათზე მიაბარეს მინას.⁸ ფაშამ დაუყოვნებლივ გაგზავნა საგანგებო მოხელე კინაში, სადაც აჰმედ-ალას სახლი დაბეჭდეს. მისი ოჯახის წევრები აიძულეს გამოეჩინათ გადამალული ქონება, რომელიც მთლიანად იქნა კონფისკირებული. ერთადერთი შეღავათი იყო ის, რომ აჰმედ-ალა ლაზის ცოლებსა და სახლს ზიანი არ მიაყენეს.⁹

მუჰამედ-ბეი ლაზ-ოღლიმ არ, ან ვერ დაიცვა თავისი თანამემამულე, სამაგიეროდ შეინარჩუნა მუჰამედ ალის კეთილგანწყობა და საკუთარი კეთილდღეობა.

მუჰამედ-ბეი ლაზ-ოღლი ეგვიპტის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა XIX ს-ის დამდეგს. იყო ეგვიპტის ოსმალთა გამგებლის, მუჰამედ ხუსრევ-ფაშას (1801-1803 წწ.) სილაჰდარი (საჭურველმტვირთელი)¹⁰ აღას რანგში. 1806 წლის სექტემბერში ის უკვე მუჰამედ ალი-ფაშას ვაჟთან – იბრაჰიმთან თანამშრომლობდა, ხოლო მოგვიანებით მუჰამედ ალის ქათხუდა, ე.ი. მოადგილე გახდა და ბეის ტიტულით იხსენიება; იყო კა'იმ მაკამი, რომელსაც ფაშას არყოფნის დროს ევალეობოდა შეეცვალა ის; ხელმძღვანელობდა (ალ-მუთასადდირ) ფაშას

⁵ ალ-ჯაბარტი, *Egypt под властью Мухаммада 'Али*, 341.

⁶ იქვე, 342.

⁷ იქვე; al-Jabarti's *History of Egypt*, III, 207.

⁸ ალ-ჯაბარტი, *Egypt под властью Мухаммада 'Али*, 342.

⁹ იქვე, 343.

¹⁰ იქვე, 69.

დივანს (საბჭოს), გამოჰქონდა კერძო და ზოგადი გადაწყვეტილებები, აგვა-რებდა სადავო საკითხებს სათანადო ავტორიტეტითა და ღირსებით.¹¹

1813 წელს, როცა მუჰამედ ალი ჰიჯაზში გაემგზავრა სალაშქროდ ვა-ჰაბიტების წინააღმდეგ, კაიროში დაიწყო ოსმალეთის მიერ ეგვიპტის გამგე-ბლად დანიშნული, მუჰამედ ალის ყოფილი მამლუქის, ლატიფ-ფაშას ამბოხი. მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლიმ ენერგიული ზომებით ჩაახშო ეს გამოსვლა. ამბოხე-ბული შეიპყრეს და 1813 წ. 16.XII თავი მოჰკვეთეს ციტადელთან.¹² უკანდაბ-რუნებულ მუჰამედ ალის ქვეყანა დაშოშმინებული დახვდა.

1818 წელს მუჰამედ ალი-ფაშამ მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი დანიშნა ჯერ ასუანში სამხედრო სკოლის ხელმძღვანელად, ხოლო 1821-22 წლებში ახლად შექმნილი სამხედრო უწყების/სამინისტროს – დივან ალ-ჯიჰადიას დირექ-ტორად. ეს უწყება იყო ერთ-ერთი ქვეყნის მმართველი შვიდი უმაღლესი ორ-განოდან.

მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი გარდაიცვალა 1828 წელს, მაგრამ ის მივიწყებას არ მისცემია. მუჰამედ ალი ფაშაც და მისი შთამომავლებიც პატივს მიაგებდნენ მის სახელს. გაივლის თითქმის ნახევარი საუკუნე და ეგვიპტის გამგებელი, ხე-დივი ისმაილი გადაწყვეტს, რომ ეგვიპტეში აღიმართოს ძეგლები, რომლებიც უკვდავყოფენ მუჰამედ ალი ფაშას, მისი საგვარეულოს და გარემოცვის ცნო-ბილ სახელებსაც. სხვა მოქანდაკეებთან ერთად, შეკვეთა მიიღო გამოჩენილმა ფრანგმა მოქანდაკემ ანრი-ალფრედ ჟაკმარმა (გარდ. 1896 წ.). მის მიერ ბრინ-ჯაოში ჩამოსხმული მუჰამედ ალი-ფაშას ძეგლი 1872 წ. დაიდგა ალექსანდრი-აში. მანვე შეასრულა წარმოშობით ფრანგი ოფიცრის სულეიმან ფაშას (გარდ. 1860) და მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის ქანდაკებებიც.

კაიროს ქუჩების ისტორიის ავტორი ლესლი ლაბაბიდი მოგვითხრობს, რომ მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის ქანდაკების შექმნამ ჟაკმარს თავსატეხი გაუჩინა. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ გარდაცვლილი ქათხუდას სურათი არ არსე-ბობდა. მაშინ ხელისუფლებამ დახმარებისთვის თხოვნით მიმართა ეგვიპტელ მაღალჩინოსნებს, ლაზ-ოღლის თანამედროვეებს საბით და დარამალი ფაშებს, რომელთა ოჯახები ახლოს იყვნენ ლაზ-ოღლისთან და კარგად ახსოვდათ მისი გარეგნობა. პრობლემა იყო, როგორ აეხსნათ ეს მოქანდაკისთვის, მაგრამ შემთხვევა დაეხმარა მათ. ერთხელ, როცა ისინი კაიროს ხან-ხალილის სახელ-განთქმულ აღმოსავლურ ბაზარში ყავას სვამდნენ, მეთულუხჩემ ჩამოიარა. — შეხედე, ზედგამოჭრილი ლაზ-ოღლი არ არისო? შესძახა საბითმა. დარამალიმ

¹¹ იქვე, 629; ალ-ჯაბართი, 'აჯა'იბ ალ-ასარ, III, 444.

¹² ал-Джабарты, *Egypt под властью Мухаммада 'Али*, 414; Khaled Fahmy, *All the Pasha's men* (Cambridge, 1997), 52.

ხანგრძლივი მზერა მიაპყრო მეთულუხჩეს და დაეთანხმა მეგობარს. მეთულუხჩე ოსმალურ ყაიდაზე შემოსეს და ანრი ჟაკმარს მოდელად წარუდგინეს.¹³ მოქანდაკემ 1875 წ. ჩამოასხა მუჰამედ ბეგ ლაზ-ოღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც დღემდე დგას კაიროში მისივე სახელობის ქუჩაზე, ეგვიპტის პარლამენტის წინ. ძეგლის კვარცხლბეკზე წარწერები არაბულად (წრეში) და ლათინური ანბანით (წრის ქვეშ, სამ სტრიქონად) იუნყება, რომ ის წარმოადგენს მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის, რომელიც გარდაიცვალა 1243/1828 წელს.

თურქეთში, მშობლიურ ლაზეთში, მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის ძეგლი კაიროში უცნობი არ დარჩენილა. რამდენიმე წლის წინათ, ამის თაობაზე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა ინტერნეტით.

მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ეგვიპტის ახალ ისტორიაში. მუჰამედ ალი-ფაშასთან ერთად ის ქმნიდა ახალ ეგვიპტეს. ამ პროცესში, რომელშიც ბევრი არაარაბი, მათ შორის ქართველიც, მონაწილეობდა, ჯერ კიდევ მცირე იყო ადგილობრივი, ეგვიპტური ელემენტის როლი. ის მოგვიანებით, XIX ს-ის 80-იან წლებში ეგვიპტის ბურჟუაზიის შექმნასთან და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად გამოვიდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. მუჰამედ ალის გარემოცვის შთამომავლები, რომელთაც თურქებს უძახდნენ, თანდათანობით გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და დღეს ჩვეულებრივი ეგვიპტელი არაბები არიან.

მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი არ იყო ერთადერთი ლაზი არამარტო ეგვიპტის, არამედ ჩრდილოეთი აფრიკის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. ლაზ გამგებლებს – დეი-ს ტიტულით ვხედავთ XVII საუკუნეში, ოსმალთა ბატონობის დროინდელ თუნისშიც, მაგრამ მათი მოღვაწეობა ჯერ კიდევ შესასწავლია.

¹³ Leseli Lababidi, *Cairo's Street Stories: Exploring the City's Statues, Squares, Bridges, Gardens and Sidewalk Cafés* (Cairo, 2007), 53. ამ ამბის წყაროდ ავტორი იმონმებს ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტის, "Al-Ahram Weekly"-ს ერთ-ერთი ფუძემდებლის ფაიზა ჰასანის (გარდ. 2009 წ.) ნაშრომს "Once they were kings", რომელიც ვერ მოვიპოვე.

THE LAZIAN ON THE MILITARY AND POLITICAL ARENA OF EGYPT
IN THE 18TH – FIRST THIRD OF THE 19TH CENTURY

The article discusses the role of the Lazians in the military and political life of Egypt in 1730-1740s and the first third of the 19th century. Particular attention is drawn to two Lazians, who held important positions during the reign of Albanian Muhamed Ali, who became the Governor of Egypt in 1805 and established his own dynasty. One of them, Ahmad-Agha Laz (d. 4 October 1812) who governed the cities of Kina and Kusa in upper Egypt and its surrounding territories, was the Commander of the military expedition sent by Muhamed Ali Pasha in 1811 to fight against the Wahhabis in Hijaz. He calmed down the upper Egypt and cleaned it from the troops of Mamluke Amirs. Afterwards, Ahmad-Agha Laz defied Pasha, who in turn, executed him in Cairo Citadel. The second – his countryman Muhamed Bey Laz (d. in 1828), initially was Muhamed Kusrew Pasha's (1801-1803) *silahdar*, i.e. the swordbearer. Later he joined Muhammad Ali Pasha, and according to the famous Egyptian chronicler al-Jabarti (d. 1825), became his deputy – *kathuda* and *qa'im maqam* – who exercised all the authority of Pasha in his absence. He was head of *Divan*- principal executive and legislative council, arbitrating disputes and regulating affairs, with due authority and dignity. In 1818 he was appointed as the Head of the military school in Aswan and during 1821-22 as the Director of War Department. Later, in 1875, Khedive Ismail commissioned the famous French sculptor Henri Alfred Jacquemart to make the statue of Muhamed Bey Laz; it was erected near Egyptian parliament of Cairo and still stands there to this day.



მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი

THE FATE OF GEORGIAN STUDENTS IN THE FIRST EGYPTIAN STUDENT MISSION SENT TO FRANCE BY MUHAMMAD ‘ALI

After Russia had extended its influence to the South Caucasus region as of the beginning of the 19th century, the slave trade and, accordingly, the flow of Georgian slaves to the Ottoman Empire,¹ including Egypt,² was significantly reduced, although not entirely

პირველად დაიბეჭდა – *Papers from the third Conference for Ottoman studies in Egypt*, eds. Dr. Daniel Crecelius and Dr. Muhammad Husam al-Din Ism‘ail (Cairo, 2004), 55-60.

¹ This subject is widely discussed by Georgian scholars. See P. Gugushvili, *Saqartvelos da amierkavkasiis ekonomikuri ganvitareba* [The Economic Development of Georgia and Transcaucasia], vol. I (Tbilisi, 1949), 259-350; *Saqartvelos istoriis narkvevebi* [Essays on the History of Georgia], vol. IV (Tbilisi, 1973), 158, 183, 219-20, 400, 472, 482, 484, 525, 528, 642, 662-63; M. Rekhviasvili, *Imeretis samefo XVI saukuneshi* [The Kingdom of Imereti in the 16th century] (Tbilisi, 1978), 108-21; Id., *Imereti XVIII saukuneshi* [Imereti in the 18th Century] (Tbilisi, 1982), 311-29; A. Kilasonia, “Tkveebit vachrobis organizacia da centrebi gviani shua saukuneebis dasavlet Saqartveloshi [Organization of the Slave trade and its Centers in Western Georgia in the Later Middle Ages],” *Macne (Herald), Series of History, Archaeology, Ethnography, and the History of Art*, vol. 3 (1982), 107-14; V. Gabashvili, “Tkvis skidva shua saukuneebis saqartveloshi. qartvel tkveta evropuli masalebi [Slave trade in Medieval Georgia. According to the Materials of the European Sources],” *Macne (Herald), Series of History, Archaeology, Ethnography, and the History of Art*, vol. 4 (1983), 29-48; T. N. Beradze, *Moreplavanie i morskaiia torgovlia v srednevekovoi Gruzii* [Navigation and Sea Trade in Medieval Georgia] (Tbilisi, 1989), 118-39.

² From the 16th century, Georgians started to fill the ranks of various military corps stationed in Egypt. Starting in the 18th century they began to play a prominent role in these military corps and to occupy positions in the Beylicate. Georgians such as Ibrahim Katkhuda (1749-1754), his mamluk ‘Ali Bey al-Kabir (1768-1772), and then Ibrahim Bey al-Kabir and Murad Bey (from 1775 until Napoleon’s invasion in 1798) dominated the Egyptian political scene in the second half of the 18th century (See the lists of beys predominantly of Georgian origin in S. Lusignan, *A History of the Revolt of ‘Aly Bey against the Ottoman Porte* (London, 1783), 81-82; V. G. Macharadze, *Gruzinskie dokumenty iz istorii rusско-gruzinsko-egipetsko-efiopskikh otnoshenii 80-kh godov XVIII veka* [Georgian Documents from the History of Russian-Georgian-Ethiopian Relations of the 1780s] (Tbilisi, 1967), 22-23. On Georgians in the Qazdaghli household, see Sabry Ahmed al-‘Adl ‘Aly, *The Supremacy of the Qazdaghli Household in Egypt (1662-1768)* (In Arabic), M.A. Thesis, ‘Ain Shams University, Faculty of Arts, History Department (Cairo 1995), 211-18; J. Hathaway, *The Politics of Households in Ottoman Egypt: The Rise of Qazdaghli* (Cambridge, 1997), 15, 44, 47, 101-6; Apolon Silagadze and Gotcha Djaparidze, *New Materials for the Epigraphy of 18th-Century Egypt: The Inscription of the Grave of Ibrahim Katkhuda* (Tbilisi, 2002). On the ethnic origins of Mamluks see: D. Crecelius, “The Mamluk beylicate of Egypt in the last decades before its destruction by Muhammad ‘Ali Pasha in 1811,” in *The Mamluks in Egyptian Politics and Society*, ed. by Thomas Philipp and Ulrich Haarmann (Cambridge, 1998), 128-49, 134-39, 147. On the relations of

eliminated.³ One can still find a number of Georgian slaves in Egypt and in the service of Muhammad ‘Ali during the first half of the 19th century.⁴ For instance, among 44 students of Egyptian and other nationalities who were sent by Muhammad ‘Ali to acquire education in France in 1826,⁵ there were three Georgians.⁶

The authors who dedicated their works to the history of Egyptian education noted that one of the Georgians, Muhammad Taymur Efendi Khusraw al-Kurji,⁷ who studied civil administration, died soon after his return to Egypt.⁸ The second Georgian, Salim Efendi al-Kurji, studied civil administration and upon his return began working in the Egyptian education system.⁹ He often visited France together with Egyptian students and

Georgian mamluks with their homeland see D. Crecelius and G. Djaparidze, “Relations of the Georgian Mamluks of Egypt with their Homeland in the Last Decades of the Eighteenth Century,” *Journal of the Economic and Social History of the Orient*, 45/3 (2002), 321-41.

³ Bernard Lewis, *Race and Slavery in the Middle East. A Historical Enquiry* (New York, 1990), 12; Ehud R. Toledano, *The Ottoman Slave Trade and its Suppression, 1860-1890* (Princeton, 1982), 14-17, 47, 115-23, 138-43; Id., *Slavery and Abolition in the Ottoman Middle East* (Seattle, 1998), 11-12, 31; Suzanne Miers, “White Slavery,” *Macmillan Encyclopedia of World Slavery*, vol. 2, edited by Paul Finkelman and Joseph C. Miller (New York, 1998), 957.

⁴ Dar al-Watha’iq al-Qawmiyyah (Cairo), Bitaqat al-Dar, Raqam 206, 16 Rabi’ II, 1239/ December 20, 1823; Ramadan 24, 1240/ May 24, 1825; Sha’ban 4, 1239/ May 4, 1824; ‘Imad Ahmad Hilal, *al-Raqiq fi Misr fi qarn al-tasi’ ashara* (al-Qahira, 1999), 18, 400, 401, 402, 411.

⁵ B. Lewis, *The Middle East and West* (1964), 39; Alain Silvera, “The First Egyptian Student Mission to France under Muhammad Ali,” *Middle Eastern Studies*, vol. 16 (May 1980), 1-22; Adnan Şişman, “The First Ottoman Students in France at the Beginning of the 19th Century,” in *The Great Ottoman-Turkish Civilization*, t. 2, *Economy and Society*, ed. Çiçek (Ankara, 2000), 669-73.

⁶ Jomard, “L’École Égyptienne de Paris,” *Nouveau Journal Asiatique*, t. II (Paris, 1828), 109-10; ‘Umar Tusun, *al-Ba’that al-‘ilmiyah fi ‘ahd Muhammad ‘Ali, thumma fi ‘ahd ‘Abbas al-awwal wa Sa’id* (Iskandariyya, 1353/1934), 26-27; J. Heyworth-Dunne, *An Introduction to the History of Education in Modern Egypt* (London, 1939), 159, N3, N4, 160, N6. Among these students is mentioned also Rashid Efendi who was born in Abazia, i.e. Apkhazeti, in the north-western part of Georgia (Jomard, “L’École Égyptienne,” 109). He may also have been Georgian as well. Rashid Efendi studied military administration and returned to Egypt in August 1832. His further fate is unknown to me. In his *Ta’tikh al-haraka al-qawmiyya wa tatawwur nizam al-hukm fi Misr: ‘Asr Muhammad ‘Ali*, t. III (al-Qahira, 1349/1930), ‘Abd al-Rahman al-Rafi’i noted another Georgian, Amin Bek al-Kurji, who studied metallurgy and arms-making in France in 1826-1832. But according to Jomard (“L’École Égyptienne,” 111), he was born in Constantinople, and according to ‘Umar Tusun (*al-Ba’that*, 42) and Heyworth-Dunne (*An Introduction*, 161) he is the same ‘Umarzadah Efendi Amin al-Islambuli.

⁷ al-Kurji was the accepted *nisba* to denote Georgians in both Egypt and the Arab world.

⁸ Heyworth-Dunne, *An Introduction*, 159.

⁹ Yacoub Artin Pacha, *L’Institution Publique en Égypte* (Paris, 1890), 195, N117, 450; Ahmad ‘Izzat ‘Abd al-Karim, *Ta’rikh al-Ta’lim fi ‘asr Muhammad ‘Ali* (al-Qahira, 1938), 220, 235, 324-25; Ahmad ‘Izzat ‘Abd al-Karim, *Ta’rikh al-ta’lim fi Misr fi nihayat hukm Muhammad ‘Ali ila awa’il hukm Tawfiq: 1848-1882*, t. I (al-Qahira, 1945), 44-45.

received the nickname of Salim “al-Fransawi” on account of his long stays in France. He became a supervisor (*nazir*) of the Egyptian student mission to France in 1862 and his son Salim Bey was among the Egyptian students sent to France during the period 1864-1867.¹⁰

The third student, ‘Ali Efendi al-Kurji, who studied military engineering in France, disappeared on his way back to Egypt in 1831 and nothing has been heard about him since then.¹¹ What actually happened to ‘Ali Efendi? The subsequent history of ‘Ali Efendi provides us the opportunity to demonstrate how outside (Georgian and Russian) sources can help us solve a problem that the Arabic archives cannot resolve. After ‘Ali’s disappearance from the Egyptian scene, we can trace his further activities back to his homeland of Georgia. The 27-year ‘Ali made a decision to go back to his home country. On his way back from France to Egypt, ‘Ali requested from the Russian embassy in Istanbul permission to return to Georgia. His appeal was granted and after returning to his homeland he restored his Georgian name, Ioseb Tsilosani, and returned to the Christian religion.¹²

The personal records of Ioseb Tsilosani reveal some important episodes of his life. He was born in 1804, in Lanchkhuti, Guria, West Georgia, in the family of Lazare Tsilosani and Mariam Urushadze. In 1812, at the age of 8, robbers kidnapped and brought him to the Georgian Black Sea port of Poti, which at that time was under the Ottoman control. A slave trader by the name of Hasan Misir-Oghli bought him along with other Georgian slaves, sold part of the slaves in Istanbul, and brought another part, that included Ioseb along with another like-age boy from Samegrelo (Western Georgia), to Egypt. In Egypt, these Georgian slaves were acquired by the Amir Akhur Muhammad Agha Kapici Bashi, who was then in the service of Muhammad ‘Ali.

Ioseb and his companion converted to Islam, adopted Muslim names, ‘Ali and Salim respectively, and received an elementary Islamic education. In about 1818 their patron manumitted them and shortly before their trip to France in 1826, they graduated from Cairo’s Qasr al-‘Aini military school.

In Egypt ‘Ali learned Arabic and Turkish, some Italian and in Paris French. At the same time he retained his native language, Georgian, along with a memory and love of

¹⁰ Umar Tusun, *al-Ba‘that*, 174, 493; Ahmad ‘Izzat ‘Abd al-Karim, *Ta’rikh*, t. I, 272; Id., *Ta’rikh al-ta’lim fi Misr min nihayat hukm Muhammad ‘Ali ila awa’il hukm Tawfiq: 1848-1882*, t. II (al-Qahira, 1945), 707; Heyworth-Dunne, *An Introduction*, 324.

¹¹ Umar Tusun, *al-Ba‘that*, 41; Heyworth-Dunne, *An Introduction*, 161.

¹² Iv. Ardjevanidze, “Ioseb Tsilosanis/Ali-Amedi-Efendis sabiografio masala [Biographical materials of Ioseb Tsilosani/Ali Amed Efendi],” *Masalebi Saqartvelosa da Kavkasiis Istoriisatvis* [Materials for the History of Georgia and the Caucasus], vol. I (Tbilisi, 1947), 24-95; A. Avaliani, “Samshoblo Kartvelisa” [Georgian’s Homeland], in the newspaper “*Komunisti*,” 11 January (1987), 3.

his homeland of Georgia. It is perhaps difficult to imagine such a phenomena, considering the fact that he had left Georgia at a very young age, but it is a fact.

In Paris ‘Ali/Ioseb received the news of his patron’s death, which affected him strongly because he loved him very much. He decided to start a new life in Georgia instead of returning to Egypt and fulfilling his deceased master’s will, to marry his daughter Zaynab and thus inherit his master’s wealth.

It is quite possible that his final decision was strongly influenced by an extraordinarily warm and melancholy letter sent to him by his mother. It is unknown how his mother managed to trace his son, or where and how the letter reached him. But the fact is that he ultimately received the message from his mother.

It is impossible that at the age of eight a kidnapped child from Georgia had knowledge of Georgian writing, so most likely the letter reached him with the help of someone who could translate it for him. It is possible that ‘Ali managed this in Paris through a help of Marie Brosset (died in 1880), a famous French scholar, a specialist in Georgian culture and Georgian history. Such a conclusion is based on a letter that is still retained in Brosset’s archive at the Institute of Oriental Studies in Petersburg. Here is the text:

“You, my great inextinguishable hope, my son and lord, Iesika¹³ Tsilosani, I hope you are still alive. This letter is written by your poor, miserable, crucified, crying mother, who is blinded by misery, your Mariam Urushadze. I am sending you my best/sweet regards, and I long to hear any news that you are still alive and safe. I wish to kiss the hair on your head, my beloved son. If you are still alive and if you write me a letter, I will know that you are alive and well. Up to present I have not heard anything from you, neither in written nor in oral form. Thousands of people vanished, oh, my son, but they have sent letters home and if you are alive, and if you send to me a letter, I will consider that I have seen you. As for other matters, if you would like to know what is going on here, my son, here everything is in order, though if anything is lacking here it is you. It will be God’s kindness if this letter reaches you in the country where you reside.”¹⁴

Unfortunately, the mother was unable to kiss her beloved son’s forehead, for by the time Ioseb Tsilosani returned home, his parents were no longer alive.

What became of Ioseb Tsilosani’s life in Georgia? Already in November 1832, he began to work as a translator of Oriental languages at the Chancellery of Russia’s Viceroy in Tbilisi, Georgia. He fought in Russia’s wars in the Caucasus, reached the rank of colonel in the Russian army, and died in 1873.

Ioseb Tsilosani had two daughters and one son. His son Niko Tsilosani (1847-1893)

¹³ Iesika is the diminutive form of Ioseb.

¹⁴ A. Avaliani, “Dedis cerili [The Mother’s letter],” in the newspaper “*Komunisti*,” 8 January (1989), 3.

was a well known Georgian military topographer and archeologist. His grandson Ioseb became a Russian military officer and died in 1917 during the Russian-Turkish war in the Caucasus.

Ioseb Tsilossani published two books: *Nouveux Dialogues Russes, Français, Turcs et Tartares avec la prononciation des deux derniers langues en Russe*, which was published in Russian with a French title (Tiflis, 1856) and another in Russian *Self-Study Book of the Muslim Alphabet* (Tiflis, 1862). He composed a third book sometime during the 1830s, a composition of over 500 pages entitled *Dialogues français et arabes: exercice ou familier pour apprendre à parler la langue arabe*. This work was never published and the manuscript has been lost, but thanks to his two publications he can be considered one of the first Orientalists of Georgian nationality.

Unlike Salim Efendi and a number of young people kidnapped in Georgia and sold abroad, who ultimately were lost for their own home country, Ioseb Tsilossani not only came back to Georgia but also made a significant contribution to Georgian culture. He was quite popular among nineteenth century Georgian society. A poem of “The Mtiuli (Mountainer)” by the Georgian poet David Machabeli (died in 1873) is partly based on the life of Ioseb Tsilosani.¹⁵

Thus, the story of ‘Ali Efendi, or Ioseb Tsilossani, demonstrates the psychology of a Georgian slave sold in Egypt and his deep feelings towards his lost homeland.

¹⁵ S. Khucishvili, “Adamianta bedi [The Fate of People],” in the newspaper “*Komunisti*,” 3 March, 1988.

საქართველო XII-XIV საუკუნეების ევროპელთა თვალით

XI ს. მიწურულში მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. სირია-პალესტინა ჯვაროსანთა ლაშქრობების ობიექტი გახდა. წარმატება თავდაპირველად ევროპელი რაინდების მხარეზე იყო. მათ დაიპყრეს ქრისტიანთა წმინდა ქალაქი იერუსალიმი. სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროები ჩამოყალიბდა. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. XII ს. 70-იან წლებში სალადინმა მოახდინა მაჰმადიანთა ძალების კონსოლიდაცია. ქრისტიანებმა დაკარგეს იერუსალიმი (1187 წ.) და სამფლობელოების დიდი ნაწილი. ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებს კი ადრინდელი ძლევამოსილება აკლდა. ასეთ პირობებში დასავლეთის ქრისტიანებში გაძლიერდა ინტერესი აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების მიმართ. ისინი ეძიებენ პოტენციურ მოკავშირეებს საერთო მტრის – მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ერთ-ერთ ასეთ მოკავშირედ ესახებათ ქრისტიანული საქართველო – უძლიერესი სახელმწიფო იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში.

სირია-პალესტინაში „წმინდა ადგილებში“ ბევრი პილიგრიმი მოდიოდა ევროპიდან. იერუსალიმსა და სხვა ქალაქებში ისინი ხვდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს. ბევრი პილიგრიმი მარტო მოგზაურობით არ კმაყოფილდებოდა და ჩანაწერებს უტოვებდა შთამომავლობას. ასე იქცეოდა მრავალი სასულიერო და საერო მოხელეც. ეს ჩანაწერები უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ევროპელ მეცნიერთა კვლევა-ძიების ობიექტი გახდა, არაერთი მათგანი გამოიკა ლათინურად და ითარგმნა ევროპულ ენებზე. ამ ნაშრომებში აისახა ევროპელთა წარმოდგენები აღმოსავლეთის ქრისტიანებზე. ევროპელი კათოლიკენი გაცეზულნი იყვნენ აღმოსავლეთის ქრისტიანებით, რომლებიც რომის პაპს არ ემორჩილებოდნენ. ამჩნევდნენ საეკლესიო რიტუალის განსხვავებულ ფორმებს, რომელთაც ხან აქებდნენ და ხან აძაგებდნენ და ის საკითხი, თუ როგორ უყურებდა და იმეცნებდა დასავლეთი ქრისტიანულ აღმოსავლეთს, გახდა დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსის ანა დოროთე ფონ დენ ბრინკენის მონოგრაფიის თემა. მისი „აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხე-

ბი ლათინური ისტორიოგრაფიის გაგებით XII ს. შუა წლებიდან – XIV ს-ის II ნახევრის ჩათვლით“ 1973 წ. დაისტამბა ვენასა და კიოლნში, კიოლნის ისტორიული შრომების სერიაში (ტ. 22) ბოლანუს გამომცემლობის მიერ, თეოდორ შიფერის საერთო რედაქციით.

ნაშრომი, რომელიც დაწერილია დიდძალი წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, არ არის ორიენტალისტური გამოკვლევა. ავტორის განცხადებით, საქმე ეხება დასავლეთის სულიერი ისტორიის საკითხს. მისი მიზანია, შეაგროვოს დასავლეთის ისტორიკოსთა ცნობები აღმოსავლეთის ქრისტიანთა შესახებ და ახსნას სხვადასხვა წარმოდგენები. ამის საფუძველზე დახასიათებული ბერძნები და სომხები, სირიელები და ეთიოპელები, ცენტრალური აზიის ქრისტიანები და, რაც ჩვენთვის მთავარია, ქართველები. ამ თვალსაზრისით, გერმანელი მკვლევრის მონოგრაფიამ არ შეიძლება ქართული ისტორიოგრაფიის ინტერესი არ გამოიწვიოს. ქართველებს ეთმობა ნაშრომის მე-3 პარაგრაფი (გვ. 103-125). გარდა ამისა, ნაშრომში სხვადასხვა ადგილზე კიდევ არაერთხელაა მოტანილი ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ. მის მიერ მოწოდებული ცნობების გარკვეული ნაწილი არ არის ასახული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაზე (კ. თუმანოვი, მ. თამარაშვილი, მ. თარხნიშვილი და სხვ.) დაყრდნობით ანა ბრინკენი თავდაპირველად ეხება საქართველოს ადრეული ისტორიის ძირითად მომენტებს (სადაც ის, სამწუხაროდ, უზუსტობებს უშვებს), რელიგიას, ქვეყნის სახელწოდებას, როგორც ადგილობრივ, ისე ბერძნულ და ირანულ სამყაროში და შემდეგ გადადის თემის ძირითად საგანზე.

გერმანელი მკვლევრის აზრით, უკვე XII ს. დასაწყისიდან ქართველების ურთიერთობა ლათინებთან კარგი უნდა ყოფილიყო და ამ ერის მჭიდრო საეკლესიო კავშირს ბიზანტიასთან (1054 წელს მოხდა საეკლესიო განხეთქილება რომსა და ბიზანტიას შორის) მათი მეგობრობისათვის ჩრდილი არ უნდა მიეყენებინა. ასეთ დასკვნას ის აკეთებს იმ წერილიდან, რომელიც 1108/09 წ. იერუსალიმის წმინდა საფლავის კანტორმა ანსელუსმა გაუგზავნა პარიზის ეპისკოპოსს ქრისტეს ჯვრის ნაწილთან ერთად. ეს წერილი შეიცავდა პირველ დაწვრილებით ცნობებს ჯვაროსანთა დროის იერუსალიმში მყოფი ქართველების შესახებ (ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ცნობა დაწვრილებით აქვს განხილული ზ. ავალიშვილს). გარდა ამისა, ანა ბრინკენი გამოდის იმ მრავალრიცხოვანი ევროპელი ავტორების შრომებიდან, რომლებშიც გამოსჭვივის უაღრესად დიდი კეთილგანწყობა ქართველების მიმართ. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მსგავსი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი სხვა თანადროულ უცხოურ (აღმოსავლურ, ბიზანტიურ...) წყაროებში არ შეინიშნება.

გერმანელი მკვლევრის ნაშრომში შესულია ინფორმაცია ერთი ანონიმი პილიგრიმისა, რომელსაც „მეხუთე ანონიმი“ ეწოდება. „მეხუთე ანონიმი“, რომელიც 1198 წ. შემდეგ წერდა, ქრისტიან ქართველებზე ამბობს: „გეორგიტანები“ დიდი მონინებით სცემენ პატივს წმ. გიორგის და უვლიან წვერ-ულვაშს, რაც ასე არ ეჭაშნიკებათ ლათინებს. ატარებენ ერთი წყრთის სიგრძის ქუდს. ერისკაცებსა და სამღვდელოებას აქვთ ტონზურა (საქოჩრეზე ამოჭრილი თმა). მაგრამ ერისკაცის ტონზურა კვადრატულია, სასულიერო პირისა კი – მრგვალი. საეკლესიო რიტუალით ქართველები ყველაფერში ბაძავენ ბერძნებს, მაგრამ აქვთ საკუთარი დამწერლობა.

საინტერესოა გერმანელი პილიგრიმის თიტმარის ცნობა. მას 1217 წ. ქართველი ბერის ანაფორა აურჩევია, რათა შეძლებისდაგვარად მშვიდად დაეტოვებინა ქ. აკრა და მოხვედრილიყო სინას მთაზე – წმ. ეკატერინეს მონასტერში, სადაც მრავალი ქართველი იყო. მან დაიტოვა გრძელი წვერ-ულვაში, რაც იძლეოდა უშიშროების გარანტიას და აიხსნებოდა მაჰმადიანთა შიშით ქართველთა საბრძოლო თვისებების წინაშე. თიტმარიც იხსენიებს ქართველების მჭიდრო კავშირს წმ. გიორგის კულტთან და ახასიათებს მათ, როგორც ომში ძლიერებსა და სარკინოზთათვის მეტად საშიშებს.

ქართველებს იცნობს ქ. აკრის ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი, რომელიც XIII ს. 20-იან წლებში წერდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში შესულია მისი ცნობა, რომ ქართველები გაშლილი დროშებით შედიოდნენ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მოსანახულებლად და არავის არ უხდიდნენ ხარკს. ჟაკ დე ვიტრის ცნობებს, სხვათა შორის მექანიკურად იმეორებენ XV-XVI სს სხვა ევროპელი ავტორები, თუმცა ამ საუკუნეებში საქმის ვითარება ისე აღარ იყო, როგორც XIII ს.-ში.

1218-1219 წწ. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ჯვაროსნებმა ალყა შემოარტყეს ეგვიპტის საზღვაო ქალაქს დამიეტას. 1219 წელს დამიეტა დაეცა და ამის შესახებ ნაშრომი დაგვიტოვა ოლივერუსმა (მისი „დამიეტას ისტორია“ 1924 წ. დაიბეჭდა ტიუბინგენში). ოლივერუსი გვაცნობებს, რომ ქართველებმა დახმარება შესთავაზეს დამიეტას მოალყეებს და მოგვითხრობს მათი დიდი ძალის შესახებ: ისინი ქრისტიანები არიან და ცხოვრობენ სპარსელთა მეზობლად წმინდა ქვეყნის მოშორებით. მათი ადგილსამყოფელი, ოლივერუსის წარმოდგენით, აღწევს კასპიის კარამდე, სადაც ანტიქრისტემ 10 ტომი დაამწყვდია. ქართველები ბრძოლაში მედგარნი არიან და საბრძოლო თვისებებით ქალები მამაკაცებს არ ჩამორჩებიან. შესვამენ რა ღვინოს, მუშტისოდენა გოგრის სასმისით, ისინი ისე ებმებიან ბრძოლაში. საეკლესიო რიტუალით ჰგვანან ბერძნებს, თუმცა აქვთ თავისი დამწერლობა. სიმონ სტილათის მთაზე, ქართულ ეკლესიაში ოლივერუსს უნახავს ქართულ ენაზე ძველი და ახალი აღთქმა, პავ-

ლენი და ქართულის უცოდინრობის გამო მათ მრწამსს თარჯიმნის მეშვეობით გაცნობია.

ინტერესი ქართველების მიმართ ევროპაში არა ქრება მონღოლების გამოჩენისა და საქართველოს დაპყრობის შემდეგაც. მონღოლები გამოდიან ჯვაროსანთა ბუნებრივ მოკავშირეებად სირია-პალესტინაში მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ამ ბრძოლებში მონღოლთა მხარეზე იბრძვიან ქართველებიც.

გერმანელი მკვლევარი ეხება რომის პაპის კურიის დაინტერესებას ქართველი ქრისტიანებით, ფრანცისკელი და დომინიკელი ბერების მოღვაწეობას საქართველოში. ნაწილი ამ ცნობებისა ჯერ კიდევ მ. თამარაშვილმა შემოიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში. განხილულია პლანო კარპინისა და მარკო პოლოს ცნობებიც, რომლებზედაც აღარ შევჩერდებით. მაგრამ სიახლის თვალსაზრისით საინტერესოა პლანო კარპინის თანამგზავრის ბენედიქტუს პოლონუსის „რელაციონი“, რომელიც 1291 წ. გამოსცა ანასტას ვან დენ ვინგერტმა. ბენედიქტუსი უაღრესად შთამბეჭდავად ახასიათებს ქართველებს, როგორც ქრისტიანებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ მონღოლებთან და რომლებსაც ფრანცისკელები თვლიდნენ შუამავლად მონღოლებსა და ევროპელებს შორის. აქებს მათ საბრძოლო ნიჭსა და შესაძლებლობებს და ისევ იხსენიებს ქართველთა დიდ პატივისცემას წმ. გიორგისადმი. მისი ცნობით ქართველთა ეკიპაჟებსა და ბანაკებზე თავისი ეროვნების მისანიშნებლად ჯვრები ყოფილა აღმართული.

გერმანელი მკვლევარი ასახელებს სიმონ-სანტ-ქვენტინს, რომელმაც პირველად ამცნო ევროპელებს საქართველოს აოხრება მონღოლთა მიერ 1221 წ. მან იცის, რომ ერთ დროს ქართული ეკლესია ანტიოქიაზე იყო დამოკიდებული. ავტოკეფალიისთვის ქართველებს ანტიოქიის პატრიარქისთვის 100 მამული მიუციათ, რომლებიც მან მოგვიანებით იერუსალიმის პატრიარქებსა და წმინდა საფლავის გაღარიბებულ კაპიტულს უანდერძა.

ანა ბრინკენი ეხება პაპ ნიკოლოზ მეოთხის სამხედრო მოწოდებებს დემეტრე და დავით მეფეებისადმი (შდრ. მ. თამარაშვილი) 1291 წ. მერე კი აღნიშნავს, რომ მონღოლთა გაბატონების შემდეგ ქართველებმა დაკარგეს საბრძოლო და პოლიტიკური ბრწყინვალება, რაც საგრძნობი ხდება ჯვაროსანთა პროპაგანდისტებთან.

ფიდენტიუს პადუელი 1291 წ. ქართველებს ასახელებს წმინდა ქვეყნების ქრისტიან პილიგრიმთა შორის, რომლებიც სხვების მსგავსად იხდიდნენ გადასახადებს და რომელთაგანაც, ისევე როგორც სომხებისგან, ლათინებს არ შეეძლოთ ომში დახმარება მიეღოთ. „დიდება ქართველთა უსაზღვრო მამაცობისა გამკრთალდა“ – წერს ანა ბრინკენი.

გერმანელი მკვლევარი მოკლედ ეხება ჰეთუმის და კიდევ სხვა მრავალი ავტორის ცნობებს, რომელთაც მეტ-ნაკლები ღირებულება აქვთ. საინტერესოა ვილჰელმ ადამის მითითება (1316/18 წ.), რომ მხოლოდ ქართველების საშუალებით შესძლო სპარსეთის იმპერატორმა (ილხანმა) ბაღდადის მაჰმადიანებზე გამარჯვება. ქართველები წინა რიგებში იბრძოდნენ და მათ მოკლეს ხალიფა. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ვ. ადამი პირველი ევროპელია, რომელიც ადასტურებს ქართული, სომხური, სირიული და არაბული წყაროების ცნობებს 1258 წ. ბაღდადის აღებაში ქართველების მონაწილეობის შესახებ. XIV ს. ფრანგი მემკვიდრე ვიქტორი წერს, რომ 1300 წ. ხმა გავრცელდა დასავლეთში, როცა მონღოლთა გამგებელმა ყაზანმა სომხებთან და ქართველებთან ერთად კაიროსთან და დამასკოსთან სულტანზე გაიმარჯვა, სირია და იერუსალიმი სომხებსა და ქართველებს დაუთმო. ისე, რომ წმინდა ქვეყნების დიდი ნაწილი ქრისტიანთა ხელში აღმოჩნდა. ერთი წელი დაჰყვეს აქ ქრისტიანებმა, ვიდრე არ განდევნეს (ქართულ ისტორიოგრაფიაში ამის შესახებ იხ. ა. ცაგარელი, გ. ფერაძე და სხვ.).

საყურადღებოა იაკობ ვერონელის (XIV ს.) მითითება კვიპროსზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ. ნიკოლო პოჯიბონსის (XIV ს. I ნახევარი) ქართველები კაიროშიც უნახავს. სხვათა შორის, კაიროს მცხოვრებთა შორის ქართველებს ასახელებს იტალიელი ლიონარდო დი ნიკოლო ფრესკობალდიც XIV ს. მიწურულში. ამ ავტორს გერმანელი მკვლევარი იცნობს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში არ იმონმებს. ამ ცნობების საფუძველზე კი სავარაუდოა ქართული კოლონიის არსებობა ეგვიპტის დედაქალაქში.

ზოგიერთი ევროპელი ავტორის ცნობა კურიოზული ხასიათისაა. ასე მაგ., იოჰან ფონ ჰილდესჰაიმის თანახმად ქართველები ცხოვრობენ მექის მახლობლად, იქ სადაც მუჰამედი მარხია და სხვ.

აჯამებს რა მრავალ წყაროთა ცნობებს და ლათინთა მიერ სხვა ხალხების შეფასებას, ანა დოროთე ფონ დენ ბრინკენი წერს: „ერთმანეთს რომ შევუღაართოთ ლათინთა მიერ ბერძნებისა და ქართველების შეფასება, განსხვავება გასაოცარია. დასავლეთისთვის ორივენი ქალკედონიტი ერეტიკოსები არიან, მაგრამ ყოველი ლათინი კარგად აფასებს ქართველებს. უკვე ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროიდან გამოჩნდნენ ისინი ღვთისმოსაობის იდეალად. პირველად „მეხუთე ანონიმთან“ არის საუბარი ქართველთა შორის წმ. გიორგის კულტზე, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. თიტმარიდან მოყოლებული ნაქებია მათი საბრძოლო შესაძლებლობანი... მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ბრძოლისუნარიანობა XIII ს. პირველ ნახევარში მონღოლთა წყალობით მნიშვნელოვნად დაქვეითდა, ლათინებს ჯერ კიდევ სჯერათ საოცრებისა: არსებითად ქართველებს უნდა დაეპყროთ ბაღდადი 1258 წ. და წმინდა ქვეყნის

ნახევარი 1300 წ. სრულიად აშკარად ქართველები შეესაბამებიან ქრისტიანულ რაინდულ იდეალს. ისინი არიან მეზრძოლნი, მამაცნი და შეურიგებელნი მაჰმადიანთა მიმართ. მათ ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, როგორც დასავლეთს და წმ. გიორგი, როგორც პატრონი დასავლეთსაც გამოადგებოდა დამხმარედ. ახლობელი საზოგადოებრივი სტრუქტურა ლათინებს კარგად განაწყობდა. ისინი ოცნებობდნენ იდეალურ მოკავშირე ძმაზე, რომლის ბატონობაც გოგსა და მაგოგზე აღწევდა და რომლის ბატონობამაც მოიცვა წმინდა სამყარო...“

ასეთია ძალზე მოკლედ შინაარსი ანა ბრინკენის მონოგრაფიის ჩვენთვის საინტერესო თავისა. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ცნობის გადმოცემით დავკმაყოფილდით. მრავალთა შორის გამოვყავით ყველაზე საინტერესო. მომავალში სასურველი იქნება ამ ცნობების ორიგინალში დაძებნა – გერმანელი მკვლევარი ხომ მათ ძალზე შეკუმშულად და გარკვეული თვალსაზრისით გადმოგვცემს – თარგმნა და სათანადო მეცნიერული ანალიზი. მოსალოდნელია ახალი წყაროების გამოჩენაც. ყოველ შემთხვევაში, არსებული წყაროებისა და ლიტერატურის ზღვაში ანა დოროთე ფონ დენ ბრინკენის ნაშრომს შეუძლია კარგი ორიენტირის როლი შეასრულოს.

ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ

ზურაბ ავალიშვილმა 1929 წ. გამოცემულ ნაშრომში „სხივი დასავალისა“, რომელიც ფრანგი რაინდის დე ბუას წერილს ეხება, დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით შენიშვნაში მოკლედ აღნიშნა, რომ ზოგჯერ წყაროებში მის „შესახებ მცდარი ცნობებიც გვხვდება, მაგალითად, 1136 წ. ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში შემდეგი, ჯვაროსან რაინდთაგან გაგონილი შეუტანია: 1123–1124 წლებში დავით ქართველთა მეფეს და თოროს კილიკიის მთავრის ძმას ერთ სულთანთან ტყვედ დაჭერილი რაინდები მათ სახლში ანტიოქიაში წამოეყვანათ“.¹ თავის წყაროდ ზ. ავალიშვილმა დაასახელა ორდერიკ ვიტალისის „საეკლესიო ისტორია“, მაგრამ შემდეგ კვლევა აღარ გააგრძელა.² გაურკვეველი დარჩა, რა კონტექსტში გვხვდება ეს ცნობა, რატომ იყო ის მცდარი, ვინ იყო თავად ეს სულთანი და როგორ აღმოჩნდნენ მასთან ტყვე რაინდები. წინამდებარე წერილი სწორედ ამ საკითხებს ეხება.

ინგლისელი მემატრიანე ორდერიკ ვიტალისი, რომელიც დაიბადა 1075 წ. 16 თებერვალს, შრუსბერის (უელსში) მახლობლად, იყო ინგლისელი დედისა და ნორმანი მამის (ოდელერიუს ორლენელის) უფროსი ვაჟი. მამამისი, რომელიც ინგლისში შრუსბერის პირველი გრაფის როჯერ მონტგომერის სამსახურში იყო, იმავე ქალაქში გახდა ერთ-ერთი ეკლესიის მღვდელი. 1085 წ. მან პატარა ორდერიკი გაგზავნა ნორმანდიაში – ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, წმ. ევრულის (Saint-Évroul) მონასტერში,³ სადაც ის გახდა მორჩილი, დიაკვანი (1093 წ.) და მღვდელი (1107 წ.).

პირველად დაიბეჭდა – *თსუ აღმოსავლეთმცოდნეობა*, 2 (2013), 219-25.

¹ ზ. ავალიშვილი, „სხივი დასავალისა“, *ჯვაროსანთა დროიდან* (თბილისი, 1929), 107, შენ. 3.

² ამ საკითხზე საგანგებოდ არც სხვა ქართველ მკვლევრებს გაუმახვილებიათ ყურადღება, მაგრამ ავალიშვილის ინფორმაცია დამონშეზღუდი და მოკლედ განხილულია რამდენიმე ნაშრომში: მაგალითად, იხ. თ. ნატროშვილი, „მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა“, *მაშრიყით მალრიბამდე* (თბილისი, 1974), 21-22; Т.Г. Натрошвили, „Прибыл тайно в Грузию,“ *От Маширика до магриба* (Москва, 1978), 21-22; შ. მესხია, „ძლევა საკვირველი“, *სახსტორიო ძიებანი*, ტ. III (თბილისი, 1986), 70. მესხია აღნიშნავდა, რომ ნორმანდიელი ქრონისტის ცნობაში აშკარად იგრძნობა იმ ურთიერთობების ანარეკლი, რომელიც იმდროინდელ საქართველოს და აღმოსავლეთის მეფე-მთავართა შორის არსებობდა.

³ მას სხვაგვარად ეძახდნენ წმინდა ევრულს – უშზე (Saint-Évroul-sur-Ouche), დღეს მას ეწოდება Saint-Evroult-Notre-Dame-du-Bois.

დაახლოებით 1099–1122 წლებში, წმ. ევრულის მონასტრის წინამძღვრის დავალებით, ორდერიკ ვიტალისმა დაიწყო წერა მონასტრის ისტორიისა, რომელიც გადაიზარდა ვრცელ მატრიანეში – „საეკლესიო ისტორიაში“ (*Historia Ecclesiastica*). ეს თხზულება, რომელშიც უფრო მეტი ადგილი ეთმობა ნორმანთა დაპყრობით ომებსა და სხვა პოლიტიკურ მოვლენებს, ვიდრე წმ. ევრულის მონასტერს, შედგება სამი ნაწილისა და 13 ნიგნისგან. I-II ნიგნები, რომლებიც დაიწერა ალბათ „საეკლესიო ისტორიის“ დასრულების შემდეგ, 1136-1141 წლებში, ქრისტიანობის მოკლე ისტორიაა ქრისტეშობიდან 1140-იან წლებამდე; III ნიგნში, რომელიც იწყება 1114 წ. და სრულდება 1123/24 წწ. – შედის წმ. ევრულის ადრეული ისტორია და ინფორმაცია ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობის შესახებ; IV ნიგნი, რომელიც დაიწერა ალბათ 1125 წ., ეხება ინგლისისა და ნორმანდიის ამბებს 1067-1075 წლებში; V ნიგნი, რომელიც დაიწყო და დასრულდა დაახლოებით 1127 წ., მოგვითხრობს რუენის საარქიეპისკოპოსოს ისტორიას; VI ნიგნი, V-სთან და III ნიგნის სექციებთან ერთად, წარმოადგენს მთავარ ბირთვს, რომელიც ეხება წმ. ევრულის სააბატოს შიდა ისტორიას და დაიწერა დაახლ. 1130-1141 წლებში. VII-XIII ნიგნები ქრონოლოგიურად დალაგებული მსოფლიო ისტორიაა 1141 წლამდე.⁴ აქედან XI ნიგნში მოთხრობილია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ამბებიც. ორდერიკ ვიტალისი, რომელიც, ალბათ, არასდროს შეხვედრია მუსლიმებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანწილად ემყარება ბოდრი დოლელის (გარდ. 1130 წ.) და ფულხერიუს შარტრელის (1058? – გარდ. 1127 წ. შემდეგ) ისტორიულ თხზულებებს,⁵ რომელთაგან, წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებით, საყურადღებოა მეორე.⁶ „საეკლესიო ისტორია“ წყდება 1141 წ. ორდერიკ ვიტალისის სიკვდილის თარიღი უცნობია. ჩანს, ეს მოხდა, იმავე ან არაუგვიანეს მომდევნო წლისა.

„საეკლესიო ისტორია“ დიდი ხანია ინვევს მკვლევართა ინტერესს. პირველად ის სრული სახით გამოსცა ანდრე დუჩესნემ (Duchesne) 1619 წ.⁷; შემდეგ

⁴ ორდერიკ ვიტალისის ცხოვრების და მისი „საეკლესიო ისტორიის“ სტრუქტურის შესახებ იხ. *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. I, ed. by Marjorie Chibnall (Oxford, 1980), 1-28, 45-48.

⁵ Penny J. Cole, “O God, The heathen have come into your inheritance” (Ps. 78.1): The Theme of Religious Pollution in Crusade Documents, 1095-1188,” in *Crusaders and Muslims in 12th Century Syria*, ed. by Maya Shatzmiller (Leiden, 1993), 100.

⁶ Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem, 1095-1127*, translated by Frances Rita Ryan, ed. with an introduction by Harold S. Fink (New York, 1973). ბოდრი დოლელის თხზულება (Baldericus Dolensis, “Jerolimitana,” *RHC HO*, t. quatrieme (Paris, 1898, 1-111) შედგენილია 1108-1110 წლებში. М.А. Заборов, “Современники-хронисты и историки крестовых походов,” *ВВ*, 51 (1965), 139.

⁷ *Historiae Normannorum scriptores antiqui* (Paris, 1619), 321-925.

– 1838-55 წლებში ო. ლე პრევოსტმა 5 ტომად⁸ (ლ. დელისლეს დახმარებით), სქოლიოებში კომენტარებით – ფრანგულ ენაზე, და ზ. ავალიშვილმა სწორედ ამ გამოცემით ისარგებლა. 1825-27 წლებში მისი პირველი ფრანგული თარგმანი 4 ტომად შეასრულა მ. გიზომ.⁹ ამ თხზულების პირველი ინგლისური თარგმანი, ლე პრევოსტის გამოცემიდან, ეკუთვნის თომას ფორესტერს 1853-56 წლებში.¹⁰ დაბოლოს, „საეკლესიო ისტორიის“ სრული კრიტიკული გამოცემა – ინგლისური თარგმანით და საფუძვლიანი გამოკვლევით, 1968-1980 წლებში, 6 ტომად განახორციელა მ. ჩიბნოლმა.¹¹ წინამდებარე სტატიაში გამოყენებულია ჩიბნოლის გამოცემა. ამავე დროს გათვალისწინებულია ლე პრევოსტის გამოცემა (ძირითადად, მისი კომენტარები ფრანგულ ენაზე) და გიზოსა და ფორესტერის ფრანგული და ინგლისური თარგმანებიც.

ცნობა დავით ქართველთა მეფის შესახებ შესულია „საეკლესიო ისტორიის“ ჩიბნოლის გამოცემის XI წიგნში, სადაც მოთხრობილია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ამბები და ის უკავშირდება ედესის გრაფის ჟოსელენ და კურტენეს (1118- 1131) და იერუსალიმის მეფის ბალდუინ II-ის (1118-1131) დატყვევებას ხარპუტის ციხეში.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ეს მწვავე ეპიზოდი, ქართველთა მეფის მოხსენიების გარეშე, კარგად არის ცნობილი არაბული (იბნ ალ-კალანისი,¹² იბნ ალ-ადიმი,¹³ იბნ ალ-ასირი¹⁴ და სხვ.), სირიული (მიხეილ სირიელი,¹⁵ აბუ

⁸ *Orderici Vitalis Angligenae Historiae Ecclesiasticae libri tredecim*, ed. Augustus le Prévost, t. I-V (Parisiis, 1838-55).

⁹ Orderic Vital, *Histoire de Normandie*, publiée pour la première fois en français par M. Guizot, t. I-IV (Paris, 1825-27).

¹⁰ Ordericus Vitalis, *The Ecclesiastical History of England and Normandy*, vols. I-IV, translated, with notes, and the introduction of Guizot, by Thomas Forester (London, 1853-56).

¹¹ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vols. I-VI, edited and translated by Marjorie Chibnall (Oxford, 1968-1980).

¹² იბნ ალ-კალანისი, *თა'რიხ დიმაშკ*, 360-555 ჰ. თაჰკიკ სუჰაილ ზაქქარ, 1983, 330 (ჟოსლენის დატყვევება), აქ გამომცემელი იმონმებს სირიელ ანონიმს: ბალაქი შეუბრდა ჟოსლენს, როცა ის ხარპუტის ციხეში ჩაამწყვდია, მეფე ბალდუინსაც მოგისვამ გვერდზეო, რაც მოხდა 1 წლის შემდეგ; 332 (ბალდუინის დატყვევება), 333 (ბალდუინის მიერ ხარპუტის დაუფლება), 334-35 (ბალაქის მიერ ხარპუტის აღება და შურისძიება); Г. Гинн, *Дамасские хроники*, пер. с английского Е.Б. Межевитинова (Москва, 2009), 119 (ჟოსლენის დატყვევება), 120 (ბალდუინ I-ის დატყვევება), 121 (ხარპუტის დაბრუნება).

¹³ Kamal ad-Din Ibn al-'Adim, *Histoire d'Alep*, t. II, 457-569/1064-1173, ed. Sami Dahan (Damas, 1954), 212-13.

¹⁴ Ibn al-Athir, *al-Kamilfi'l-Ta'rikh*, vol. X, editeurs Dar Sader (Beyrouth, 1966), 593 (ჟოსლენის დატყვევება), 613 (ბალდუინის დატყვევება, ხარპუტის დაუფლება და მისი დაბრუნება ბალაქის მიერ).

¹⁵ *Chronique de Michel le Syrien, Patriarche Jacobite d'Antioche* (1166-119), tr. par J.-A. Chabot, t. III (Paris, 1905), 210-12.

ლ-ფარაჯ ბარ ჰებრეუსი¹⁶), სომხური (მათე ურჰაელი¹⁷) და ლათინური (უილიამ ტიროსელი,¹⁸ ფულხერიუს შარტრელი¹⁹) წყაროებიდან. ის განხილულია მრავალ გამოკვლევაში ჯვაროსნების ომების ისტორიის შესახებ.²⁰ ხარპუტის ციხიდან ბალდუინისა და ჟოსელენის დახსნის საგანგებო ოპერაცია შეისწავლა ი. ჰარარიმ.²¹

აღნიშნული ეპიზოდის გადმოცემისას, ჯვაროსანთა ცნობილი ხელმძღვანელების გარდა, „საეკლესიო ისტორიაში“ დასახელებულია ბალადი, ის მუსლიმი ამირა, რომელმაც დაატყვევა ჟოსელენი და ბალდუინ II. ბალადი არის იგივე ნურ ად-დავლა ბალაქ ბ. ბაჰრამ ბ. ართუკი,²² საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ნაჯმ ად-დინ ილლაზის ძმისშვილი, რომელიც ბიძის სიცოცხლეში (1113 ან 1115 წლიდან) ფლობდა ხარპუტს²³ (ედესის ჩრდილო-აღმოსავლეთით), ხანძითის ოლქში. ბალაქი შეუპოვრად ებრძოდა ჯვაროსნებს. მან სახელი გაითქვა სწორედ იმით, რომ დაატყვევა ჯვაროსანთა ორი დიდი მეთაური, ჯერ ედესის გრაფი ჟოსელენი 1122 წლის 13 სექტემბერს,²⁴ ხოლო შემდეგ, 1123 წლის

¹⁶ *The Chronography of Gregory Abu'l Faraj, The Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus*, translated from the Syriac by Ernest A. Willis Budge, vol. I (Oxford, 1932), 251.

¹⁷ *The Chronicle of Matthew of Edessa*, translated from the Original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian (Lanham, 1993), 228-30, კომენტარები, 347-48.

¹⁸ William of Tyre, *A History of deeds done beyond the sea*, vol. I (New York, 1943), 539-45.

¹⁹ Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem* (New York, 1973).

²⁰ მაგალითად, R. L. Nicholson, “The Growth of the Latin States, 1118-1144,” *A History of the Crusades*, General ed. Kenneth M. Setton, vol. I, *The First Hundred Years*, ed. Marshall W. Baldwin (Madison, 1969), 418-23; S. Runciman, *A History of the Crusades*, vol. 2 (Cambridge, 1957), 161-64; C. Cahen, *La Syrie du Nord à l'époque des croisade et la principauté franque d'Antioche* (Paris, 1940), 294-99; Jean Richard, *The Crusades*, c. 1071 – c. 1291 (Cambridge, 1994), 137.

²¹ Yuval Noah Harari, “Saving King Baldwin: Khartpert, 1123,” *Special Operations in the Age of Chivalry, 1100-1550* (Woodbridge, 2007), 75-90.

²² მის შესახებ იხ. C. Cahen, “Balak,” *The Encyclopaedia of Islam*, new ed., vol. I (Leiden, 1986), 983.

²³ ხარპუტის (იგივე, ხარტპერტი, ხარბერდი, ქართ. ხალფერდი) მტკიცედ გამაგრებული ციხე-ქალაქი მდებარეობდა ციცაბო მთაზე, 350 მ სიმაღლეზე, რომელიც, ერთი მხრივ, გადაჰყურებდა ხანძითის ველს და ხაზარის ტბას, ხოლო მეორე მხრივ, ევფრატის დაბლობს. სტრატეგიულმა მდებარეობამ და ბუნებრივმა პირობებმა ხარპუტი საუკუნეების მანძილზე აქციეს მნიშვნელოვან ადგილად. ის გახდა ბალაქის სამფლობელოების დედაქალაქი. ხარპუტი პრაქტიკულად დაცული იყო პირდაპირი შეტევისგან, ხოლო მუდმივი ალყა ფრანკებისთვის იყო უაზრო, ვინაიდან საკომუნიკაციო ხაზი ედესამდე იყო გრძელი და საშიში თავდასხმების გამო. ეს აძლევდა ბალაქს, ხარპუტში არყოფნისა და საჭიროების შემთხვევაში, საკმაო დროს, სწრაფად დაბრუნებულყო უკან და გაენადგურებინა მტერი. Harari, “Saving King Baldwin,” 77.

²⁴ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 110, n. 1.

18 აპრილს – იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-ც,²⁵ რომელიც ჟოსელენის დასახსნელად მიემართებოდა და გაუფრთხილებლობის მსხვერპლი გახდა. ბალაქმა იერუსალიმის დატყვევებული მეფე ხარპუტის ციხეში გამოკეტა ჟოსელენთან და ბალდუინის ბიძაშვილ, ბირას გამგებელ გრაფ გალერანთან (ორდერიკის თანახმად, ვალერანი) ერთად. მათთან ერთად ტყვეობაში იყო რამდენიმე ათეული ფრანკი რაინდი, სომეხი და სირიელი ქრისტიანი.

ჟოსელენისა და ბალდუინის დატყვევების შემდეგ ფრანკების მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა. ლევანტში ისინი ფაქტობრივად თავიანთი ლიდერების გარეშე დარჩნენ. ედესისა და ანტიოქიის საგრაფოების სამხედრო რესურსები უაღრესად გამოიფიტა, მათი მორალური სული დაეცა და ვერც დახმარება მიიღეს ტრიპოლიდან და იერუსალიმიდან.

ბალაქმა თავდაპირველად თავის მუსლიმ მეტოქეებს გაუსწორა ანგარიში. უკვე 1123 წ. მაისში მან თავის ბიძაშვილს – ართუკიან ბადრს წაართვა ჯერ ჰარანი, ხოლო 29 ივნისს – ჰალაბიც. ამის შემდეგ ბალაქმა დალაშქრა და მოაოხრა ედესის სანახები და გაემართა ანტიოქიისკენ. ივლისის შუა რიცხვებში მან აიღო სამთავროს რამდენიმე ქალაქი და აგვისტოს დამდეგს შემოეწყო ქაფარტაბის მნიშვნელოვან ციხეს²⁶ (ხარპუტის სამხრეთით, რამდენიმე ასეულ კილომეტრზე), რომლის დაცემაც გარდუვალი იყო. ბალაქი გახდა მუსლიმთა მთავარი ლიდერი „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ ომში, მაგრამ **სწორედ ამ დროს** მოხდა ის, რასაც ბალაქი არ ელოდა.

ორდერიკი ვიტალისი მოგვითხრობს, რომ ხარპუტში დატყვევებულმა ჯვაროსნებმა, ბალდუინმა და ჟოსელენმა თავიანთი კარგი ქცევით დაიმსახურეს გუშაგთა პატივისცემა და მოადუნეს მათი ყურადღება. მცველები, რომლებიც ხშირად არღვევდნენ ბალაქის ბრძანებას, გულუხვად უმასპინძლებოდნენ ხოლმე მათ. ერთ კვირა დღეს, ფრანკებმა დაათვრეს მცველები და როცა მათ დაიძინეს, აყარეს იარაღი, სირიელი და სომეხი ქრისტიანების დახმარებით დახოცეს ისინი და ხელთ იგდეს ხარპუტის ციხე-ქალაქი. ნორმანდიელი მემსტიანიე წერს, რომ „წარმართთა“ ხოცვა მეორე დღესაც გაგრძელდა და ფრანკებმა დაიკავეს ციტადელიც. დაახლოებით ამ დროს, იერუსალიმის დედოფალმა, ბალდუინის სომეხმა მეუღლემ, ქმრის დასახმარებლად, ხარპუტში გაგზავნა თურქულ სამოსში გამოწყობილი და თურქული იარაღით აღჭურვილი 100 სანდო სომეხი. მათი შესვლა ხარპუტში იყო დიდი დახმარება ფრანკებისთვის, რადგანაც იცოდნენ თურქთა ენა და ხრიკები.²⁷

²⁵ იქვე.

²⁶ Harari, “Saving King Baldwin,” 77.

²⁷ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 113-15 (ანონიმური სირიული ქრონიკა, ფულჰერი, უილიამ ტიროსელი, მათეოს ედესელი).

ორდერიკ ვიტალისის აღნიშნული ინფორმაცია მკვლევართა სკეპტიციზმს იწვევს. უფრო სანდოდ მიიჩნევენ იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც, ეს გლეხის სამოსში გადაცმულმა სომეხმა მეომრებმა ბეჰსენის (ფრანკთა ციხე-სიმაგრე ხარპუტის მახლობლად, ედესის საგრაფოს ჩრდილოეთ საზღვართან) გარნიზონიდან შეცდომაში შეიყვანეს ხარპუტის მეციხოვნეები, შევიდნენ ციხეში, დახოცეს ისინი და სხვა გუშაგები, გაათავისუფლეს ბალდუინი და სხვა რაინდები.²⁸ ამ ვერსიას მეტ-ნაკლებად ეთანხმება სხვა წყაროების ინფორმაციაც (ანონიმური სირიული ქრონიკა, ფულხერიუსი, უილიამ ტიროსელი, მათეოს ედესელი), რაც საბოლოო შედეგს (ბალდუინის მიერ ხარპუტის დაუფლებას) არ ცვლის.

ქამალ ად-დინ იბნ ალ-ადიმის ცნობით, ჟოსელენმა ურჩია ბალდუინს თავისი თანამებრძოლებით რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა ხარპუტი, რაზედაც ბალდუინმა უარი თქვა. ჯვაროსანთა მცირე ჯგუფების გადაადგილება თურქმენებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და მათ ადვილად დაიჭერდნენ.²⁹ მაგრამ მეფე აცნობიერებდა, რომ მცირერიცხოვანი ძალებით ხარპუტის შენარჩუნება შეუძლებელი იყო და ამიტომ ჟოსელენი წარგზავნა ედესაში, რათა „დახმარება ეთხოვა მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის“.³⁰ სახიფათო მოგზაურობის შემდეგ გრაფმა ედესას მიაღწია და დახმარებისთვის „სანდო მოციქულები დაუგზავნა ბერძნებს, სომეხებს და ბიზანტიის იმპერატორ იოანეს (კომნენს).“³¹

ორდერიკ ვიტალისი და სხვა წყაროები არ იუწყებიან, ზუსტად როდის დაეუფლა ბალდუინი ხარპუტს. მაგრამ ქამალ ად-დინ იბნ ალ-ადიმის თანხმად, ეს ამბავი ბალაქს შეატყობინეს 7 აგვისტოს,³² ქაფარტაბის ალყის დროს, რომელიც, როგორც ითქვა, აგვისტოს დამდეგს დაიწყო. ორდერიკის ცნობით, ფრანკებისთვის უცნობი დარჩა, რომ ხარპუტის ციტადელში ორი კვირის მანძილზე იმალებოდა ბალაქის სამი ცოლი („მედას მეფის“, ჰალაბისა და ჯაბარის ციხის მფლობელთა ასულები³³). ერთმა მათგანმა საფოსტო მტრედს გაატანა წერილი ბალაქთან და ხარპუტში მომხდარი ამბავი შეატყობინა.³⁴

ბალაქმა ალყა მოხსნა ქაფარტაბს და მათე ურჰაელის თანახმად, „არწივის სისწრაფით“ გაემართა ხარპუტისკენ, სადაც თავისი ჰარემისა და სხვა ქალების გარდა, ხაზინაც ჰქონდა დატოვებული. ვიდრე ჟოსელენი იერუსა-

²⁸ Harari, “Saving King Baldwin,” 77-80.

²⁹ Ibn al-‘Adim, 213; Harari, “Saving King Baldwin,” 83.

³⁰ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 115.

³¹ იქვე, 123; Nicholson, “The Growth of the Latin States,” 420.

³² Ibn al-‘Adim, 213.

³³ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 117.

³⁴ იქვე, 117. ისლამურ მახლობელ აღმოსავლეთში საფოსტო მტრედების ფართო გამოყენების შესახებ იხ. G. Vajda, “Hamam,” *EI2*, vol. III (Leiden, 1986), 109-10.

ლიმში დამხმარე ჯარს შეკრებდა, ართუკიანი 15 დღეში ხარპუტს მიადგა³⁵ და შემოენყო მას.

ორდერიკი წერს, რომ ბალაქი დაჟინებით ითხოვდა ბალდუინისგან თავისი ცოლების დაბრუნებას და სანაცვლოდ სთავაზობდა თავისუფლებას. საბოლოოდ, ბალდუინმა გაუშვა ისინი და თან გააყოლა 5 რაინდი: გუი ბრეტონელი, გერვას დოლელი, რობერტ კაენელი, მუშედ ლე მანსი და რუალონ დინანელი,³⁶ რომლებიც ბალაქმა დააკავა. მოგვიანებით, ორდერიკის ცნობით, სწორედ ამ რაინდების ანტიოქიაში გადაყვანაში მიიღო მონაწილეობა დავით ქართველთა მეფემ.

ჟოსელენის დახმარებამ დააგვიანა. ბალაქმა არაერთგზის მოსთხოვა ბალდუინს დანებება და როცა უარი მიიღო, იერიშით აიღო გამაგრებული ქალაქი, რომელსაც ბალდუინის მცირერიცხოვანი მომხრეები იცავდნენ. ხარპუტი დაეცა 1123 წლის 16 სექტემბერს.³⁷ ართუკიანის შურისძიება სასტიკი იყო. ორდერიკის თანახმად, მისი ბრძანებით თავი მოჰკვეთეს 24 რაინდს და 40 სირიელსა და სომეხს. სხვა ცნობებით, ზოგიერთი ტყვე შუაში გაკვეთეს, ზოგიც ცოცხლად დამარხეს და ტყავი გააძრეს, ისრის სასროლ სამიზნედ გამოიყენეს, ანდა ციხის წვეროდან გადაყარეს ძირს.³⁸ ართუკიანმა დაინდო მხოლოდ ბალდუინი, გალერანი და მეფის დისშვილი. მან ბალდუინი ჰარრანში გადაიყვანა და ის, მხოლოდ ბალაქის სიკვდილის შემდეგ, 1125 წელს გამოისყიდეს.

დავუბრუნდები იმ ზემოხსენებულ ხუთ რაინდს, რომლებიც, ორდერიკის თანახმად, ბალაქის ცოლებს გაჰყვნენ და ართუკიანის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. რაინდების მონაყოლით, ბალაქმა ისინი „მედესის“ (Medes) მეფესთან გაგზავნა, შემდეგ ტყვეები ბალდადში (Baldac) ხალიფასთან გადაიყვანეს და მეორე დღეს სულტანს (Soldanum) მიჰგვარეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი კლ. კაენი ხუთი რაინდის თავგადასავლის საოცარ მსგავსებას ხედავდა ჯვაროსნული ომების ძველი ფრანგული ეპიკური ციკლის „ტყვეების“ (Les Chetifs) სიმღერების ცენტრალურ თემასთან,³⁹ სადაც ასევე ფიგურირებს ხუთი ჯვაროსანი რაინდი. ისინი ანტიოქიასთან ბრძოლის დროს 1097 წ. დაატყვევა ანტიოქიის გამგებელმა კორბარანმა (კირ-ბულამ). მათ მოახერხეს თავი დაეღწიათ ტყვეობისთვის, ებრძოდნენ და დამარცხეს ზღაპრული არსებები: გოლიათები და დრაკონი, გიგანტური მაიმუნები, ლომები,

³⁵ *The Chronicle of Matthew of Edessa*, 230.

³⁶ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 121.

³⁷ Harari, “Saving King Baldwin,” 86.

³⁸ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 125; Harari, “Saving King Baldwin,” 86.

³⁹ Cahen, *La Syrie du Nord à l’époque des croisades*, 574.

ბანდიტთა ბანდა და სხვ. დაბოლოს, იერუსალიმს მიმავლებმა, სძლიეს სარკინოზ კორნუმარანს.⁴⁰

ჩიბნოლი თვლის, რომ პირდაპირ „ტყვეთა“ ადრეული სიმღერებიდან მოდის თავგადასავალი ახალგაზრდა რაინდის გერვასის და მისი ბრეტონელი და ნორმანდიელი თანამგზავრებისა, რომელთაც ეს ამბავი უნდა ჩამოეტანათ სახლში.⁴¹ მაგრამ, ამასთან, მიიჩნევენ, რომ „ტყვეთა“ სიუჟეტს არა აქვს არავითარი ისტორიული საფუძველი⁴² და ამით განსხვავდება ხსენებული ეპიკური ციკლის ორი სხვა შემადგენელი ნაწილისგან: „სიმღერა ანტიოქიაზე“ და „სიმღერა იერუსალიმზე.“⁴³ მათი ავტორია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე რიშარ პილიგრომი XII ს-ის დასაწყისში⁴⁴ და დაახლოებით 1180 წლისთვის ისინი გადაამუშავა გრენდორმა დუედან.⁴⁵

„ტყვეთა“ ცენტრალური თემისგან განსხვავებით, ორდერიკ ვიტალისის თხრობას აქვს არა ზღაპრული, არამედ ისტორიული საფუძველი – ჟოსელენისა და ბალდუინის ტყვეობა ხარპუტში. მართალია, ჩიბნოლის თანახმად, „ხარპუტში ჟოსელენის და ბალდუინის ტყვეობის ეპიზოდი, მიუხედავად მცირე სანდო დეტალებისა, მიეკუთვნება ეპიკურ სამყაროს“,⁴⁶ მაგრამ ქარგა ამ ეპიზოდისა, მთლიანობაში, რეალურად მომხდარ ამბავს ასახავს.

რაც შეეხება ხუთი რაინდის თავგადასავალს ტყვეობაში. ამ ეპიზოდში არის ქრონოლოგიური შეუსაბამოებები, ზღაპრული ელემენტები (მაგრამ არა გამარჯვებები, არარსებულ არსებებზე) და ბევრი ბუნდოვანი ადგილიც. თუნდაც ის, თუ ვინ არის „მედესის“ მეფე, რომელსაც „საეკლესიო ისტორიის“ მთარგმნელები არ განმარტავენ. მედეს, მადა, მიდია⁴⁷ ისლამური ხანის ჯიბალია, სპარსეთის ერაცი, რომელიც ერაციის სელჩუკთა სულტანს მაჰმუდ II-ს (1118-1131) ექვემდებარებოდა. მედესის მეფის სახელი „საეკლესიო ისტორიაში“ არის ვინმე ჰალისი, ან ჰალი, ინგლისურ თარგმანში – ალი.⁴⁸ ვინ უნდა იყოს ის? შესაძლოა, ერაცთა სულტნის რომელიმე ქვეშევრდომი ამირა ჯიბალში.

⁴⁰ А.Д. Михайлов, *Французский героический эпос. Вопросы поэтики и стилистики* (Москва, 1995), 87-88, 326-327.

⁴¹ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, XXIII.

⁴² Михайлов, *Французский героический эпос*, 87, 326-327.

⁴³ იქვე. ვრცლად იხ. *The Chanson D'Antioche: An Old-French Account of the First Crusade*, translated by Susan B. Edgington, Carol Sweetenham (Ashgate, 2011), 24-97.

⁴⁴ Михайлов, *Французский героический эпос*, 87.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, XXIII.

⁴⁷ G. Le Strange, *The Lands of the Eastern Caliphate* (Cambridge, 1939), 185, 190.

⁴⁸ *Orderici Vitalis Angligenae Historiae Ecclesiasticae*, t. IV, 255; *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 120-21.

რაინდების ტყვეობის სხვა ადგილებია ნინევია (Nineue), ბალდადი და ბაბილონი (Babilonia). ნინევია ძვ. წ. VIII-VII სს-ში ასირიის დედაქალაქი, მდ. ტიგროსის აღმოსავლეთ ნაპირზე, აღ-ჯაზირას მთავარი ქალაქის – მოსულის (მდ. ტიგროსის დასავლეთ ნაპირზე) მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა.⁴⁹ ნინევიაში რაინდები გულისხმობდნენ ალბათ მოსულს, რომელსაც განაგებდა ბალაქის მოკავშირე აკსონკურ აღ-ბურსუკი.⁵⁰

ბალდადი – აბასიანთა ხალიფების სატახტო ქალაქია. ბაბილონის ნანგრევები ბალდადის სამხრეთით, 90 კმ-ზე მდებარეობდა. არის კიდევ ერთი ბაბილონი ეგვიპტეში, მაგრამ საჭვოა, სუნიტ ართუკიანებს ჯვაროსანი ტყვეები შიიტ ფატიმიანებთან გაეგზავნათ. რჩება ერაცის ბაბილონი და ორდერიკის ცნობაში ის ბალდადის სინონიმი ჩანს.

ბალდადის ხალიფა ამ დროს იყო აღ-მუსთარშიდი (1118-1135), ხოლო სულთანი – ზემოსენებული მაჰმუდ II, რომელსაც რეზიდენცია, გარდა ჰამადანისა (ჯიბალში),⁵¹ ბალდადშიც ჰქონდა. ჩანს, რაინდების მიერ დასახელებული სულთანი, ერაცის სელჩუკთა სულტანია. ორდერიკის თანახმად, „სულტანი ასე იმიტომ ეწოდებოდა, რომ ისაა ერთადერთი ხელმწიფე, რომელიც მბრძნებელს აღმოსავლეთის ყველა სხვა მმართველზე“.⁵² თუ დასახელებული ხუთი რაინდი მართლაც გაგზავნეს ხალიფასთან და სულტანთან, მათი ტყვეობის ადგილი ბალდადი იქნებოდა.

ორდერიკის ცნობით, რაინდები, რომლებმაც თავიანთ მეთაურად აირჩიეს გუი ბრეტონელი, სამნახევარი წელი დარჩნენ სულტანთან. მან ისინი უხვად დაასაჩუქრა და დიდი პატივი მიაგო. ამასთან, მათთვის არ დაუძალეობათ დაეტოვებინათ თავიანთი სარწმუნოება. სულტანი რაინდებს სთავაზობდა თავის ყველაზე ძლიერ დიდებულთა ასულებს, დიდძალ სიმდიდრესა და სამფლობელოებს, თუ დათანხმებოდნენ მასთან დარჩენილიყვნენ, მაგრამ რადგანაც უარი თქვეს, ანახა მათ თავისი უზარმაზარი საგანძურები, ყველა სახის სიმდიდრე, მეოთხე წელს მისცა მათ თავისუფლება და უფლება (ლათ. licentiam, ინგლ. license) შინ დაბრუნებულიყვნენ; უბოძა ოქროს ისარი, როგორც ნიშანი, სამეფო შეწყალებისა. ოთხი წლის შემდეგ ანტიოქიაში უკანდაბრუნებული რაინდები თავიანთ მეგობრებს კმაყოფილებით უყვებოდნენ, როგორც ხოვრობდნენ ნინევიაში, ბალდადასა და ბაბილონში, და აღწერდნენ ჩვენთვის საოცარ მრავალ

⁴⁹ P. Sluglett, “Al-Mawsil,” *EI2*, vol. VI (Leiden, 1991), 899 და შმდ.

⁵⁰ Nicholson, “The Growth of the Latin States,” 420.

⁵¹ Le Strange, *The Lands of the Eastern Caliphate*, 186.

⁵² *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 123.

რამეს, რაც მათ ნახეს აღმოსავლეთის ქვეყნებში“.⁵³ ნორმანდიელი მემატიანე აგრეთვე იუწყება, რომ ტყვე რაინდების დაბრუნება ანტიოქიაში მოხდა **დავით ქართველთა მეფის** (ლათ. Daud Georgiensis regis) **და მთების ტუროლდის** (ლათ. Turolidi de Montanis) **შეუვალობის სიგელით** (ინგლ. თარგმანში: safe-conduct)⁵⁴.

ანტიოქიაში რაინდებმა შეიტყვეს, რომ ბალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული მანბიჯისთვის და ბალდუინი ჯერ კიდევ ტყვეობაში (ჰარანში) იმყოფებოდა. შეიტყვეს, როგორ აიღო ბალაქმა მანამდე ხარბუტი და რა სასტიკად გაუსწორდა ჯვაროსნებს. 1124 წლის 6 მაისს ბალაქი დაიღუპა მანბიჯის გარემოცვისას. ორდერიკის თანახმად, ის ბრძოლაში მოკლა მარაშის გრაფმა ჟოფრუამ,⁵⁵ რასაც სხვა წყაროები არ ადასტურებენ. ბალაქი სასიკვდილოდ დაიჭრა მანბიჯის ციხიდან გასროლილი ისრით.⁵⁶ ამ დროს ჯვაროსანი რაინდები თავისუფლები იყვნენ.

ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ ორდერიკის ქრონოლოგიური მონაცემები არაზუსტია. რაინდთა ტყვეობაში ყოფნის ოთხი წელი არ შეეფერება სინამდვილეს. ის 8 თვე თუ გრძელდებოდა. რაც შეეხება მათ თავგადასავალს „მედას“ მეფესთან, ბალდადსა და ნინეციაში, მემატიანის ინფორმაციაში ხალიფას და სულთნის გარდა, სხვა ზუსტი ისტორიული რეალიების მოძიება ძნელია. ჭარბობს ეგზოტიკა, რითაც რაინდებს სურდათ თანამედროვეთა გაოცება. როგორც ჩიბნოლი წერს, ამ ინფორმაციაში არის ჭეშმარიტების სუბსტრატი, რომელსაც ძლიერ ფარავს ეპიკური გამონაგონი.⁵⁷

ცხადია, შესანიშნავი ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი ნორმანდიელი მემატიანის თხრობაში კარგად ხედავდა არარეალურ ელემენტებსა და უზუსტობებს რაინდთა თავგადასავალში და ამან, უეჭველია, განაპირობა, მისი სკეპტიციზმი ორდერიკ ვიტალისის ინფორმაციისადმი. მაგრამ დატყვევებულ რაინდთა ამბავში შეიძლება მოვიძიოთ ჭეშმარიტების მარცვლები. გადმოცემაში იხსენიებიან ხალიფა და სულტანი, რომლებიც რეალურად არსებობდნენ. იგივე ითქმის „მთების ტუროლდიზე“ და დავით ქართველთა მეფეზე.

„საეკლესიო ისტორიის“ ლათინური ტექსტის მთარგმნელები „მთების ტუროლდის“ უყოყმანოდ აიგივებენ თოროს I-თან, კილიკიის სომხეთის მთავართან (1100/1103-1129/30).⁵⁸ თოროსი ახლო კავშირში იყო ჯვაროსნებთან,

⁵³ იქვე, 122-23.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 125.

⁵⁶ ბალაქის დაღუპვის შესახებ წინააღმდეგობრივი ცნობები იხ. М.В. Нечитайлов. Битва при Манбидже (5 мая 1124 г.), ინტერნეტრესურსი <http://deusvult.ru/15-bitva-pri-manbidzhe.html>.

⁵⁷ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 111, n. 6.

⁵⁸ *Orderici Vitalis Angligenae Historiae Ecclesiasticae*, t. IV, 257, n. 4 (“Nous n’avons rien à dire sur

მისი და ცოლად ჰყავდა ედესის გრაფს – ჟოსელენს და ამის გამო, თუნდაც ჟოსელენის თხოვნით, თოროსი შეიძლება ჩართულიყო ტყვე ჯვაროსანი რაინდების ანტიოქიაში დაბრუნების პროცესში.

დავითი – ქართველთა მეფე არის დავით IV. საოცარია, მაგრამ ლე პრევოსტმა და შემდეგ ფორესტერმა, ვერ მოიძიეს რაიმე ცნობა ორდერიკის მიერ მოხსენიებული ქართველთა მეფის შესახებ,⁵⁹ სამაგიეროდ ის უკვე ცნობილია ჩიზნოლისთვის, რომელიც მხოლოდ იმას ნერს, რომ დავითი გვხვდება 1121-1125 წლებში.⁶⁰

რამდენად შესაძლებელია, დავითის ჩართვა ჯვაროსანი რაინდების ანტიოქიაში გადაყვანაში? თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობდა გარკვეული პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირები ჯვაროსნებსა და დავითს შორის,⁶¹ ეს შესაძლებელი იყო. ჟოსელენს, რომელსაც დახმარებისთვის უნდა მოეწოდებინა „მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის“, შეეძლო იმავე თხოვნით მიემართა დავითისთვის.

რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად დავითის და თოროსის ჩართვა? ორდერიკის თხულებაში არ ჩანს, მაგრამ ჩიზნოლი თვლის, რომ ისინი, შესაძლოა, მონაწილეობდნენ სულთანთან ამ ტყვეების გამოსყიდვისა და გაცვლის შეთანხმებებში. მამასადამე, მიუხედავად ჯვაროსანი ტყვეების ზოგჯერ დაუჯერებელი თავგადასავლისა, ჩიზნოლი, ჩვენი აზრით, მართებულად, მაინც უშვებს დავითისა და თოროსის მიერ ტყვეთა გამოსყიდვის რეალობას.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ჰქონდა კი დავით IV-ს ისეთი ურთიერთობა ერაცის სელჩუკთა სულტანთან, რომ მასთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა?

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იუნცება, რომ 1123-1124 წლებში შარვანსა და ჩრდილოეთ სომხეთში ქართველთა დიდი სამხედრო წარმატებების

le roi de Géorgie dont parle notre auteur, ne possédant aucun renseignement sur les souverains de cette contrée”); Ordericus Vitalis, *The Ecclesiastical History*, vol. III, tr. by Forester (London, 1854), 402; *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 122, n. 1.

⁵⁹ Orderici Vitalis *Angligenae Historiae Ecclesiasticae*, t. IV, 257, n. 4; Ordericus Vitalis, *The Ecclesiastical History*, vol. III, 402; გიზოს ფრანგულ გამოცემაში დავით ქართველთა მეფე საერთოდ არ არის კომენტირებული – Orderic Vital, *Histoire de Normandie*, livre dixième, t. IV, par M. Guizot (Paris, 1827), 226.

⁶⁰ *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, vol. VI, 122, n. 1.

⁶¹ ზ. ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან* (პარიზი, 1929); ვ. კოპალიანი, „საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა)“, *ოსუ შრომები*, ტ. 125, VI; XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები (თბილისი 1968), 83-121; მესხია, „ძლევაჲ საკვირველი,“ 72-81; შოთა ბადრიძე, „საქართველო და ჯვაროსნები“, *საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.)* (თბილისი, 1984); როინ მეტრეველი, *დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი* (თბილისი, 2002), 89-109; მისივე, „ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო“, *სამეცნიერო პარადიგმები* (თბილისი, 2000), 394-404.

შემდეგ, მაჰმუდ II საკმაოდ დაშინდა: „თვთ სულტანი, მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისგან მისისა, და არცალა თვთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებოდა თვსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორის იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღჳძარსა სიკუდილი“. ეს, თუნდაც გადაჭარბებული ცნობა, არ უშლის ხელს დავითსა და მაჰმუდს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესაძლებლობას. ამას ადასტურებს მემატიანის შემდეგი ინფორმაცია: სულტანი დავითთან „წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშკდებად პირსა მისსა, რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძკრად საპოვნელნი, და ეძიებნ მშკდობასა და სიყვარულსა და ყივჩაღთაგან არა რბევასა. ამისთვისცა არა-რას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ თვთ, სადა იყვის, იპოვის მშკდობა და სიცოცხლე თავისა თვისისა“.⁶²

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 1124 წლისთვის მოხდა ურთიერთობის ნორმალიზება დავით IV-სა და ერასის სელჩუკთა სულტანს შორის. ეს გარემოება ხელს შეუწყობდა დავითს, თუნდაც ჟოსელენის თხოვნის საფუძველზე, ეწარმოებინა მაჰმუდთან მოლაპარაკება ჯვაროსანი ტყვეების გათავისუფლების თაობაზე.

ორდერიკის თანახმად, ერთი მხრივ, რაინდები გაათავისუფლა და უკან დააბრუნა სულტანმა, ხოლო მეორე მხრივ, ისინი ანტიოქიაში დაბრუნდნენ დავით ქართველთა მეფისა და თოროსის შეუვალობის სიგელით. შეუვალობის სიგელს თავად დავით IV ვერ გასცემდა, რადგანაც მტრის ტერიტორიაზე ის არ იმოქმედებდა. გზები, რომლებიც უნდა გაევიდნენ ტყვეებიდან გათავისუფლებულ ჯვაროსნებს მნიშვნელოვანწილად გადიოდა მუსლიმთა კონტროლს დაქვემდებარებულ მიწებზე, ალბათ – ჩრდ. მესოპოტამიაზე, მოსულის გავლით, ვიდრე არ მიაღწევდნენ ედესის საგრაფოს, ანდა ჰალაბს, საიდანაც ახლო იყო ანტიოქიის სამთავრო. ძნელი წარმოსადგენია, რომ რაინდებს დავით IV-ის ესკორტი გაჰყოლოდა. უფრო საფიქრებელია, რომ სწორედ **დავით IV-ისა** და თოროსის **შუამდგომლობით**, რაინდებმა ოქროს ისართან ერთად, **დამატებით** მიიღეს სულტნის წერილობითი შეუვალობის სიგელიც, რომელიც თან ექნებოდა სულტნის ბადრაგს. ეს იმისთვის, რომ ადგილობრივ გამგებლებს ხელახლა არ დაეკავებინათ რაინდები და ვნება არ მიეყენებინათ მათთვის.

საბოლოოდ, ჩემი აზრით, მიუხედავად არაერთი უზუსტობისა, დავითის დასახელება „საეკლესიო ისტორიის“ ზემოგანხილულ ეპიზოდში, არ შეიძლება ორდერიკის მიერ იყოს შეთხზული.

⁶² ქც, ტ. I, 346.

ნმ. ევრულის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა ორდერიკ ვიტალისი, იყო სიმდიდრისა და წარჩინებულთა სახლი. წმინდა მინაზე ომებით გამოფიტული რაინდები თავიანთი ცხოვრების ბოლო წლებში მას ირჩევდნენ დასასვენებელ ადგილად. ის მუდმივად უმასპინძლებოდა სტუმრებს სამხრეთ იტალიიდან, სადაც იყო ბერების კოლონიები, ინგლისიდან და სადაც მათ ჰქონდათ ვრცელი სამფლობელოები. ამრიგად, ორდერიკ ვიტალისს, რომელიც თავად არ იყო თვითმხილველი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისა, ამ ლაშქრობის შესახებ ზემოდასახელებული წყაროების (ბოდრი დოლეელი, ფულხერიუს შარტრელი) გარდა, მათგან შეეძლო მიეღო დამატებითი ცნობები. ვფიქრობ, რომ დავით IV-ის მონაწილეობა ბალაქის მიერ დაკავებულ და ბაღდადიდან ანტიოქიაში ტყვე ჯვაროსან რაინდთა დაბრუნების ამბავი, ნორმანდიელ მემატიანეს სწორედ ამ რაინდებმა, შესაძლოა ახალგაზრდა გერვასმა და მისმა თანამგზავრმა ბრეტანელმა და ნორმანდიელმა რაინდებმა უამბეს. ეს იყო ის ინფორმაცია, რომელიც დატყვევებული და შემდეგ გათავისუფლებული ჯვაროსანი რაინდების მიერ მონათხრობ ზღაპრულ ამბავთა შორის, შეიძლება რეალურად იქნას მიჩნეული და ამრიგად, წარმოადგენს დავით აღმაშენებელსა და ჯვაროსნებს შორის არსებული კავშირ-ურთიერთობის კიდევ ერთ საბუთს.

ABOUT ONE REPORT OF ORDERIC VITALIS

1. In Zurab Avalishvili's work, issued in 1929, entitled "Skhivi Dasavalisa" ("Ray of the West"), the author observed in a brief note that occasionally errors occur in sources about David the Builder, e.g. in 1136, a writer residing in Normandy entered the following piece of evidence, heard from crusader knights, in his chronicle: "in 1123-1124 David, King of the Georgians, and Thoros the brother of the prince of Cilicia, had brought knights held captive by one sultan to their own house in Antioch". Z. Avalishvili named Orderic Vitalis' (1075 – ca. 1142) "the Ecclesiastical History" as his source. But he failed to continue further research. It remained to be ascertained whether the cited evidence was erroneous, and if so, why and specifically, who was the sultan in the liberation of whose captured crusader knights David had taken part. Neither has this question been discussed in detail by other Georgian historians.

2. A study of Orderic Vitalis' *Ecclesiastical History* (*The Ecclesiastical History of England and Normandy* by Ordericus Vitalis, translated with notes by Th. Forester, vol. III, London, 1854, 393-402; *The Ecclesiastical History of Orderic Vitalis*, volume VI, books XI, XII, and XIII, edited and translated by M. Chibnall, Oxford, 1978, 109-123) shows that the cited episode is linked to the capture on 18 April, 1123 of the King of Jerusalem Baldwin II by the cousin of Najm al-din Il-Ghazi the Artukid Balak. He shut up the king in the fortress of Kharput with other crusader knights, captured earlier, including Joscelin Count of Edessa. Early in August of the same year, Baldwin managed to disarm and massacre the guard and seize Kharput.

3. Balak invested Kharput and took it by storm. He sent the imprisoned Baldwin to the fortress of Harran, executing most of his attendants. This story has entered the history of the crusades not only on the basis of the "Ecclesiastical History" but other European and Oriental sources as well. As reported by Orderic Vitais, before taking Kharput, Balak repeditly demanded from Baldwin to release his wives held in Kharput. Finally, Baldwin agreed to release them; he sent with them the five knights whom Balak had taken prisoner and sent them to various Muslim governors. Later they found their way to the caliph and the sultan. According to Vitalis, the Sultan, who must have been the Iraqi Seljuk Sultan Mahmud II (1118-1131), released the prisoners: "he gave them licence to return home, and presented them with a golden arrow, which was a token indicating royal pardon."

4. According to Vitalis, "The knights returned to Antioch with the safe-conduct of David IV, the Georgian king (*Dauid, Georgiensis regis*)" the same David IV the Builder and "Thoros of the Mountains (*Tuoldi de Montanis*)", the same Thoros I – Prince of Cilicia. It seems that both of them took part in the release of the captives, and M. Chibnall sug-

gests that they may have been involved in arrangements for ransoming and exchanging prisoners. The involvement of Thoros in the release of the captive knights is accounted for by his close links with Baldwin II, the latter being the husband of his sister. As to David IV, there exist direct and indirect reports on his contacts with the crusaders. Therefore, he could have performed the role of an intermediary between the leaders of the crusaders (in this case Count Joscelin of Edessa) and the Seljuk Sultan (Mahmud II). According to David's historian, by 1124 the relations of the Georgian King with Mahmud II were settled, which would help him in carrying out his mission successfully. David and Thoros must have received this safe conduct as a result of negotiations with the Sultan for the captive crusaders to pass safely through areas subject to Muslim control and to reach Antioch.

5. The story told by Vitalis basically reflects the reality. However, there are elements of chronological inaccuracy and hearsay in it and modern western scholars perceive a resemblance of the information about the five knights with the old French epic crusading cycle "Les Chetifs." Other Oriental and European sources say nothing about the Georgian King David, yet this cannot give ground for skepticism. To be sure, Vitalis was not an eye-witness of the events of the first Crusade, but he was aware of them. He received information from the knights, who, exhausted in the war for the Holy Land, were taking rest in the monastery of St. Evroul (in Normandy), where Vitalis was writing his "Ecclesiastical History." He must have received information about David from them. This minor report of Orderic Vitalis is another proof of the good relations that existed between David the Builder and the crusaders, which prompted the king to take part in the return to Antioch of the captured crusader knights.

იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ 1516-17 ან 1527 წლებში

ქართული ეკლესიის, საქართველოს სამეფო კარისა და ქართული ფეოდალური საზოგადოების ძალისხმევა პალესტინაში ქართული სავანეების აშენების, მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის გასაოცარი იყო. პატარა საქართველოს სამონასტრო თემი საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა წამყვან პოზიციებს წმინდა მიწაზე და წარმატებით უწევდა კონკურენციას ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, კათოლიკური ევროპის წარმომადგენელ ფრანცისკელებს, სხვა ქრისტიანულ თემებს (მაგალითად, სომეხ გრიგორიანებს) და იცავდა თავს ადგილობრივ მუსლიმ ხელისუფალთა და მუსლიმი კლერიკალების ძალმომრეობისაგან.

სამწუხაროდ, ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ ეს დიდი ძალისხმევა ადეკვატურად არ ან ვერ ასახა. უფრო მეტიც, ზოგჯერ ის მცდარ და არარეალურ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს წმინდა მიწასთან ქართველების ურთიერთობის შესახებ და ამით ჩვენს დროშიც კი ასაზრდოებს ზოგიერთი მკვლევრის ნაშრომს. ეს ეხება ქართულ საისტორიო მწერლობაში (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, თეიმურაზ ბაგრატიონი)¹ დაცულ ცნობებს იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ. ოსმალეთის სულთნის, სულეიმან II-ის (1520-1566), მონოდებით (სულთნის ვინაობას ასახელებენ მხოლოდ ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონი), ქართლის მეფემ, გიორგი IX-მ (1525-1527), კახეთის მეფემ, ლევანმა (1520-1574), იმერეთის მეფემ, ბაგრატმა (1510-1565) – „იმერთა და დადიან-გურიელთა“ სპით და სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ (1516-1535), წარმატებით ილაშქრეს (თარიღის დაუსახელებლად) იერუსალიმზე, „ხმლით აიღეს“ ის და სანაცვლოდ მადლიერმა სულთანმა მათ უბოძა „ხალათი და წყალობა მრავალი“, „მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი“ (მათ შორის იაკობ ალფესისა)... სიგლითა მტკიცითა“. ზემოხსენებულ ავტორთაგან განსხვავებით, ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც იმოგზაურა წმინდა მიწაზე, იერუსალიმში

პირველად დაიბეჭდა – *ქართველოლოგია*, 3 (2011), 5-19.

¹ ქც, II, 253-54; ქც, IV, 400-1; თეიმურაზ ბატონიშვილი, *ისტორია დაწყებითიდან ივერიისა* (სპბ, 1848), 286-87.

მოსმენილი ზეპირი გადმოცემის საფუძველზე, თავდაპირველად წერდა, რომ სულთან სელიმს ეგვიპტის დაპყრობის დროს, ე.ი. 1516-17 წლებში, თან ახლდა ქართლის მეფე გიორგი. მისი „მიმოსლვის“ ძირითადი ტექსტის ორ: B და C რედაქციაში ეს ამბავი მცირე განსხვავებით არის მოთხრობილი:

B რედაქცია: „სულთან სელიმ წარვიდა რა დასაპყრობად მისირ-ეგვიპტისა, იტყვიან მას იახლავო მეფე საქართველოსი გიორგი. და მადლობასა უბრძანებდა რა სულთანი, ეტყოდა: რა გნებავს ჩემგან, ხოლო იგი სთხოვდა მამულსა თვისსა სამკვიდროსა იერუსალიმს. და უბოძა. და მას აქეთ ორმოცდაათი წელი კვალად მათ ეპყრათ“.²

C რედაქცია: „ხოლო ოდეს სულთან სელიმ მისირ-ეგვიპტე აღილო, თან ახლდაო, იტყვიან, ქართველი ბატონი გიორგი, და სულთანი მადლობასა უბრძანებდა ქართველთა და ეტყოდა: რა გნებავსთ ჩემგან? მაშინ ქართველი ბატონი მოახსენებდა, ვითარმედ: წყალობა გვიყავ სამკვიდროსა ჩემისა იერუსალიმისა“. მაშინ სულთანმა კითხა, ვითარმედ ძველისა ანუ ახლისა მთხოვნელი ხარ? ძველად, ტადარი სოლომინისა ითქმოდა. მაშინ მიუგეს ქართველთა, ვითარმედ: ახალი გვიბოძეთ. და მოსცეს ახლად იერუსალიმი“.³

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გიორგი IX გამეფდა 1525 წელს, იგი ვერ შეძლებდა მონაწილეობა მიეღო სელიმ I-ის ლაშქრობაში ეგვიპტის მამულუქთა წინააღმდეგ. დასაშვებია, ტიმოთემ გააცნობიერა ეს და ზეპირი გადმოცემა შეცვალა ვახუშტის მონაცემებით, რომლებიც შეამოკლა: სულთანმა სულეიმანმა 1529 წელს მისწერა ქართლის მეფეს – გიორგი დავითის ძეს:

„ვითარმედ არს იერუსალი(მი) ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდროცა არს თქვენი, პირველისა ვახტანგ გორგასლანის დაჭერის გამო. ვინაცა ფრიად სთნდა მეფესა ესე და შემოიკრიბნა ლაშქარი და ათაბაგი ყვარყვარე და წარვიდა იერუსალიმს და აღილო იერუსალიმი და დაიმკვიდრეს. და განწმიდეს ეკლესია და საფლავი უფლისა და გოლგოთა და მონასტერნი, და ეპყრათ ორმოცდარვა წელი ქართველთა კვალად“.⁴

მართალია, ვახუშტი იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის წელს არ ასახელებს, მაგრამ იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის გადმოცემის შემდეგ აღნიშნავს, რომ 1529 წ. სულთანმა სულეიმანმა აიღო ერევანი. ე. მეტრეველის დასკვნით, „სხვა თარიღის უქონლობის გამო, ტიმოთემ ეს უახლოესი თარიღი გამოიყენა“.⁵

² ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსლვა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი, 1956), 0225.

³ იქვე, 0225.

⁴ იქვე, 79-80.

⁵ იქვე, 0228.

1830 წ. პალესტინაში იმყოფებოდა ა. ნ. მურავიოვი, რომლის წიგნიც წმინდა ადგილებში მისი მოგზაურობის შესახებ რამდენჯერმე გამოიცა. მურავიოვი იცოდა ტ. გაბაშვილის ინფორმაცია ქართველთა ხსენებული ლაშქრობის შესახებ და დაიმონმა ის (“Выписка из путешествия ко святым местам грузинского архиепископа Тимофея”).⁶

1881 წ. იერუსალიმში ბერძნულ ენაზე და 1882 წ. მოსკოვში რუსულად გამოიცა ნაშრომი კატამონის სავანის შესახებ,⁷ რომელიც ზეპირ გადმოცემებთან ერთად, ზოგჯერ იმეორებს ტიმოთე გაბაშვილის ინფორმაციას; აქ აღნიშნულია, რომ „1527 წელს იბერიელთა მეფენი დავით და ლეონ შეუერთდნენ სულთან სელიმს და დაამხვეს სულტანი“ (ვიმონმებთ ლ. მენაბდის მიხედვით).⁸

ზემომოტანილი ცნობებით, იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის ასეთი სურათი იკვეთება:

1. ქართლის მეფე გიორგი თან ახლდა სულთან სელიმს ეგვიპტის დაპყრობის დროს; სულთანმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა და უბოძა „ახალი იერუსალიმი“ (იერუსალიმის ის ნაწილი, სადაც ქრისტიანული სინამდევებია) 48-50 წლით.

2. 1527 ან 1529 წელს, სულთან სულეიმანის თხოვნით, ქართველმა მეფე-მთავრებმა ილაშქრეს იერუსალიმზე. მტერია „უსჯულონი“, „რომელთა შეაბილწეს იერუსალიმის წმინდა ადგილები“, ანდა „ფრანგნი“, ე.ი. კათოლიკური თემი წმინდა ქალაქში, რომელსაც წარმოადგენდნენ ფრანცისკელები.

ანაქრონიზმები აშკარაა, რაც აღნიშნა ჯერ კიდევ მ. ბროსემ.⁹ მეფე გიორგი IX 1516 წელს ვერ წაჰყვებოდა სელიმს ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობაში იმიტომ, რომ ამ დროს ის არ იყო მეფე; ასევე ვერ ილაშქრებდა იერუსალიმზე 1527 ან 1529 წელს, ვინაიდან ტახტზე უკვე დავითი იჯდა; ოსმალთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის წინ ქართველებს იერუსალიმში რაიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სავანე არ დაუკარგავთ და არც ისეთი ცნობა მოიპოვება, რომლის თანახმადაც, ოსმალებმა ქართველებს რაიმე დაუბრუნეს და შემდეგ ისინი 48 ან 50 წელი ფლობდნენ მას; „კატამონის ისტორიაში“ სელიმის მიერ იერუსალი-

⁶ А.Н. Муравьев, *Путешествие ко святым местам в 1830 году* (СПб, 1840), 342-52.

⁷ Κύριλλος (Ἀθανασιάδης), ἀρχιμ., *Τὸ Καταμόναξ: Ἦτοι σύντομος περιγραφή τοπογραφικῆ Μονδρίου Καταμόνας* (Ἱεροσόλυμα, 1881); Кирилл (Афанасиадис), архим. *Краткое топографическое описание обители Святого Симеона Богоприимца, называемой “Катамонас”* (Москва, 1882).

⁸ ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II (თბილისი, 1980), 345-46.

⁹ M. Brosset, *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle*, p. 2 (S.-Petersbourg, 1856), 25, შენ. 2.

მის დაპყრობის თარიღი მცდარია. ქართლის მეფე დავით გიორგის ძის, კახეთის მეფის ლეონისა და სელიმის ზეობის წლები არ ემთხვევა ერთმანეთს. და, რაც მთავარია, ის გარემოება, რომ 1529 (ტიმოთე გაბაშვილი – ვახუშტის მიხედვით) ან 1527 („კატამონის ისტორია“) წელს იერუსალიმი სრულად ექვემდებარებოდა ოსმალთა კონტროლს, გამორიცხავს ამ ქალაქზე ქართველთა ლაშქრობას.

ქართველთა ლაშქრობა იერუსალიმში XIX ს. ბოლო ორ ათწლეულში ქართველ მკვლევართა მსჯელობის საგანი იყო. ვახუშტის და ტიმოთე გაბაშვილის ცნობების საფუძველზე მას 1888 წ. შეეხო ა. ცაგარელი: „იმ სახით, როგორც ამას მხატვრულად მოგვითხრობენ ვახუშტი და ტიმოთე, ეს ექსპედიციები, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მონყობილიყო. და არა მარტო შეუძლებელია, რომ რომელიმე დასახელებული მეფე იარაღით ხელში წასულიყო იერუსალიმში, არამედ თვით მათი მშვიდობიანი პილიგრიმოზაც კი ძალზე საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, იერუსალიმში აღმოჩენილი წარწერები და ხელნაწერები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. რა თქმა უნდა, ჩვენამდე ყველაფერს არ მოუღწევია და წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ყველაფერი არ არის ცნობილი, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ოსმალებს, რომლებიც დაეუფლნენ სირიას, პალესტინას და ეგვიპტეს 1516-1517 წლებში, არ შეეძლოთ, შეეთავაზებინათ ქართველებისთვის ისეთი წინადადებები, რომელთა შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი“.¹⁰

ამასთან, ა. ცაგარელი უშვებდა იმის შესაძლებლობასაც, რომ ქართველთა ჯარები მონაწილეობდნენ ოსმალთა პირველ ლაშქრობებში სირიასა და პალესტინაში ისე, როგორც ლაშქრობდნენ იქ მონღოლებთან ერთად XIII-XIV საუკუნეებში. შესაძლოა ისიცო, აღნიშნავდა ა. ცაგარელი, რომ ოსმალებს, რომლებიც მეტოქეობას უწევდნენ სპარსეთს, სურდათ ქართველების მიმხრობა და დასუსტება ლათინებისა, რომელთა შიში ჰქონდათ, რადგან ჯერ კიდევ ახსოვდათ ჯვაროსანთა ლაშქრობები. ისინი ჰპირდებოდნენ ქართველებს მათი გავლენის გაძლიერებას იერუსალიმში, როგორც ამას აკეთებდნენ მონღოლები.¹¹ იმ დროს ა. ცაგარელი, სამწუხაროდ, ვერ ხედავდა განსხვავებას მონღოლთა ლაშქრობებსა და ოსმალთა ბატონობას შორის.

ქართველთა ლაშქრობა იერუსალიმში 1527 წელს რეალურად მიიჩნია თ. ჟორდანიამ ჯერ 1893 და შემდეგ 1897 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში.¹²

¹⁰ А.А. Цагарели, “Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае,” *ИПС*, вып. 10 (1888), 63.

¹¹ იქვე.

¹² თ. ჟორდანიას, „მოკლე ცნობები ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს“, *ივერია*, 13 (1893); *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (ტფილისი, 1897), 357-63.

მისი თვალსაზრისი გააკრიტიკეს ა. ცაგარელმა,¹³ რომელმაც უკვე მართებულად აღნიშნა, რომ თურქებს, რომლებმაც 1516-17 წლებში დაიპყრეს პალესტინა იერუსალიმითურთ, არ შეეძლოთ შეეთავაზებინათ ქართველებისთვის, 1527 წელს განედევნათ იერუსალიმიდან სპარსელები, რომლებიც მაშინ არც კი იყვნენ იერუსალიმში, აგრეთვე გ. წერეთელმა¹⁴ და ს. ლოლობერიძემ, ქართულ ენაზე გამოცემული მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ შენიშვნებში.¹⁵ ჩვენს დროში თ. ჟორდანიას თვალსაზრისის ობიექტური კრიტიკა მოცემული აქვს ლ. მენაბდეს.¹⁶

ის მკვლევრები (ე. მეტრეველი, ლ. მენაბდე), რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ ქართველთა მიერ იერუსალიმის „ხმლით აღებას“, ამასთან, საჭიროდ მიიჩნევდნენ ძველი ქართველი ისტორიკოსების წყაროების დაძვინა-გარკვევას.¹⁷ არარსებული წყაროების დაძვინა შეუძლებელია, მაგრამ, რადგანაც საქართველოს ისტორიის ეს „გმირული“ ეპიზოდი დროდადრო აღვივებს მკვლევართა ფანტაზიას, საჭიროდ მიგვაჩნია, ერთხელ და სამუდამოდ სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში.

იერუსალიმზე 1516-17 წლებში ქართველთა ლაშქრობის რეანიმაცია, ტ. გაბაშვილის მიერ მოტანილი ზეპირი ინფორმაციის (რედ. B და C) საფუძველზე, სცადა ე. მამისთვალიშვილმა. მას მიაჩნია, რომ ამ

„ცნობაში არის სინამდვილის ელემენტი. კერძოდ ის, რომ ქართველები მონაწილეობდნენ სულთან სელიმის პალესტინაში ლაშქრობაში. ეს აისახა ფრანგულ დოკუმენტურ წყაროებში. მაგრამ იქ ლაპარაკია არა ქართლის მეფე გიორგი IX-ზე (1525-1527), არამედ სამცხის ათაბაგობის მოსურნე მანუჩარზე (1516-1518), რომელიც ებრძოდა თავის ძმისშვილს ყვარყვარე III-ს (1516-1535)“.¹⁸

დინასტიურ ბრძოლაში დამარცხებულმა მანუჩარმა ბაიბურდის ბეგის ყიზილ აჰმედ ოღლის (ან მირზა ბეგის) მეშვეობით დახმარებისთვის ოსმალეთის სულთანს მიმართა:

„მართალია, 1516 წლის 16 მარტს სტამბოლში მანუჩარის თხოვნა მიიღეს, მაგრამ ოსმალეთის მაშინდელი საგარეო ვითარება საშუალებას არ აძლევდა

¹³ А.А. Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, т. I, вып. 3 (СПб, 1894), IX, შენ. 1.

¹⁴ ვიკონწმებთ მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 116, 345.

¹⁵ მ. ბროსეს, *საქართველოს ისტორია*, ნაწ. მეორე, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ (თფილისი, 1900), 7.

¹⁶ მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 117.

¹⁷ ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსლვა*, 0230; მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 118.

¹⁸ ე. მამისთვალიშვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო* (გორი, 1998), 106; მისივე, *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.)* (თბილისი, 2008), 12.

მაშინვე ჩარეულიყო სამცხე-საათაბაგოს საქმეებში. სელიმ I მამლუქების წინააღმდეგ საომრად მიდიოდა. მანუჩარს სხვა არაფერი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ სულთნის ჯარს გაჰყოლოდა მამლუქების წინააღმდეგ ომში.¹⁹ სირიის მამლუქთა განადგურებისა და მათი სატახტო დამასკოს აღების შემდეგ, 1516 წლის 23 ოქტომბერს სულთანმა მიიღო „საქართველოს ბეგი მანუჩარი და საქართველოს სხვა წარჩინებულები“.

ე. მამისთვალიშვილის დასკვნით,

„მამლუქთა წინააღმდეგ ომში ოსმალებთან ერთად ქართველების მონაწილეობაზე რადგან სხვა რაიმე ცნობა არ გაგვაჩნია, ამიტომ, შეიძლება ვარაუდი, რომ იმ ზეპირი გადმოცემის საფუძველი, რომელიც ტიმოთე გაბაშვილმა იერუსალიმში ჩაინერა, იყო მანუჩარისა და მასთან ერთად სხვა ქართველი დიდებულების ოსმალთა ბანაკში ყოფნა. ისიც უნდა ითქვას, რომ 1516 წ. 23 ოქტომბერს, როცა სელიმ I-მა მანუჩარი და სხვა ქართველები მიიღო, იერუსალიმი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. ამდენად გამორიცხული არ არის, რომ ქართველებს სულთნისათვის მართლაც რამე ეთხოვათ იერუსალიმის სინმინდეების შესახებ“.²⁰

საბოლოოდ კი მივიღეთ ის, რომ

„ტ. გაბაშვილის... ცნობა ასახავს რეალობას, მხოლოდ მასში, ათაბაგ მანუჩარის ნაცვლად, ფიგურირებს ქართლის მეფე გიორგი IX, რომელიც აღწერილი ამბებიდან 9-10 წლის შემდეგ გამეფდა. [ტ. გაბაშვილის] მოყვანილ ციტატაში სხვა ყველაფერი სიმართლეს წარმოადგენს: სულთან სელიმის მიერ მამლუქთა სახელმწიფოს განადგურება, ქართველი ბატონის, მანუჩარის, მასთან ყოფნა“.²¹

ე. მამისთვალიშვილი არ ასახელებს იმ ფრანგულ დოკუმენტურ წყაროებს, რომლებიც დაადასტურებდა ქართველების მონაწილეობას პალესტინაში სულტან სელიმის ლაშქრობაში, თუმცა მეცნიერული სიზუსტე ამას ავალდებულებდა. ასეთი წყაროები კი არ არსებობს. სამაგიეროდ არსებობს ოსმალთა ფერიდუნ ბეგის *მეჯმუ'ა-ი მუნშა'ათ-ი სელატინ* („სულთნების მიმოწერის კრებული“), სპეციალურ ლიტერატურაში ფერიდუნ ბე-

¹⁹ დამონმებულია: ვ. ჩოჩიევი, „მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI-XVIII საუკუნეებში (ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებების მიხედვით)“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი (თბილისი, 1972), 75.

²⁰ მამისთვალიშვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 106-7; მისივე, *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან*, 12.

²¹ მამისთვალიშვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 106-7; მისივე, *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან*, 13.

გის²² კრებულის სახელწოდებითაც ცნობილი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოიტანა ვ. ჩოჩიევმა.²³ სწორედ ეს წყარო, რომელსაც არ ასახელებს ე. მამისთვალიშვილი, მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ოსმალეთის სულტანმა დამასკოში მიიღო მანუჩარი. მაგრამ ვნახოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ოსმალთა ექსპანსია მამლუქთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

1516 წლის 24 აგვისტოს, ჰალაბის ჩრდილოეთით, მარჯ დაბიკთან, სელიმ I-მა სასტიკად დაამარცხა მამლუქები. ბრძოლაში დაიღუპა მამლუქთა სულთანნი კანსავჰ ალ-ღავრი. 5 დღის შემდეგ, 29 აგვისტოს, ოსმალთა ძლევამოსილი სულთანი შევიდა ჰალაბში და 5 დღის განმავლობაში დაბანაკდა მის იპოდრომზე. ჰალაბში მან ხელთ იგდო კანსავჰ ალ-ღავრის საგანძური, რამაც საშუალება მისცა, დაეფინანსებინა თავისი ლაშქრობა.²⁴

მანუჩარი რომ „სულთნის ჯარს გაჰყოლოდა მამლუქების წინააღმდეგ ომში“ (ე. მამისთვალიშვილი), მაშინ მონაწილეობა უნდა მიეღო ბრძოლაში მარჯ დაბიკთან. ამის შემდეგ, ერთგული სამსახურისთვის, მას უეჭველად ექნებოდა შანსი, შეხვედროდა ძლევამოსილ სულთანს უკვე ჰალაბში, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ დამასკოში და, თანაც, საკმაოდ მოგვიანებით.

16 სექტემბერს სულთანი სელიმი დაიძრა დამასკოს მიმართულებით, 19-22 სექტემბერს დაიკავა ჰამა, ჰომსი და ტრიპოლი, 28 სექტემბერს მიაღწა დამასკოს კედლებს და 9 ოქტომბერს შევიდა ქალაქში, პრაქტიკულად რაიმე წინააღმდეგობის გარეშე.²⁵

²² აჰმედ ბ. აბდ ალ-კადირ ფერიდუნ ბეგი (გარდ. 991/1538 წ.) იყო დიდი ვეზირის, მეჰმედ ფაშა სოკოლუს (1565-1579) პირადი მდივანი და ოსმალეთის კანცელარიის უფროსი (1570-76 და 1581-83 წლებში). J. H. Mordtmann, V. L. Ménage, "Ferīdūn Beg," *EI2*, 881-82. მისი ნაშრომი *მუნშე'ათუ ს-სელატინ*, რომელიც მან 982/1575 წ. დაასრულა და ნარუდგინა სულთან მურად III-ს, შედგებოდა 250 ტომისა (*ჯუზ'*) და 11 სექციისგან 11 ოსმალ სულთნის მიხედვით (სელიმ II-მდე) და შეიცავდა 1800 დოკუმენტს, თუმცა დღეისათვის ამ ნაშრომის ცნობილი ნუსხები ამ მოცულობის არ არის. *მუნშე'ათუ ს-სელატინ* – კრებული ოფიციალური დოკუმენტებისა (წერილები, ფირმანები, ბერათები, დღიურები/რუზ-ნამე ლაშქრობებისა და სხვ.) ორჯერ დაიბეჭდა სტამბოლში 1264-5/1848-9 და 1274-5/1858 წლებში (შესაბამისად 735 და 840 დოკუმენტი) და ძირითადად სანდო წყაროდ ითვლება. ჩოჩიევი, „მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი“, 3-7.

²³ იქვე, 75.

²⁴ მ. ტიკაძე, „იბნ იასის ცნობები ოსმალეთის მიერ სირიის ქალაქების დაპყრობის შესახებ“, *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, II (1973), 46-58; მ. სვანიძე, *თურქეთის ისტორია* (თბილისი, 2007), 103-4; Н.А. Иванов, *Османское завоевание арабских стран, 1516-1574* (Москва, 1984), 28-34; M. Winter, "The Ottoman occupation," *The Cambridge History of Egypt*, vol. I, *Islamic Egypt*, ed. Carl F. Petry (Cambridge, 1998), 499; B. Lellouch, *Les Ottomans en Egypte. Historiens et conquérants au XVIe siècle* (Paris, 2006), 9-11.

²⁵ ტიკაძე, „იბნ იასის ცნობები“, 56; Иванов, *Османское завоевание арабских стран*, 33; N. Eliseeff, "Dimashk," *The Encyclopaedia of Islam*, *EI2*, vol. II, 276; Lellouch, *Les Ottomans en Egypte*, 9-10.

სელიმი დამასკოში გაჩერდა თითქმის 2.5 თვე. აქ ის იღებდა დელეგაციებს ტრიპოლიდან, ბერუთიდან, საიდიდან და სირიის სხვა ქალაქებიდან, რომლებიც უდასტურებდნენ მას თავიანთ ლოიალობას.²⁶ მან სწორედ აქ მიიღო მანუჩარი მხლებლებთან ერთად, 922 წლის 26 შავვალს, ე.ი. 1516 წლის 23 ნოემბერს, და არა 23 ოქტომბერს, როგორც ეს ზოგჯერ არასწორადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში.²⁷ მანუჩარს ის შეხვდა მარჯვ დაბიკთან გამარჯვებიდან 3 თვის შემდეგ. ეს აჩვენებს, რომ მანუჩარი მხოლოდ დამასკოში წამოენია ოსმალეთის სულთანს.

ე. მამისთვალიშვილი, რომელიც (ვ. ჩოჩიევის მიხედვით) წერს, რომ „მანუჩარს სხვა არაფერი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ სულთნის ჯარს გაჰყოლოდა მამლუქების წინააღმდეგ ომში“²⁸ სხვაგან აღნიშნავს, რომ დოკუმენტური წყაროს (როგორც ითქვა, სინამდვილეში ეს არის არა ფრანგული წყარო, არამედ ფერიდუნ ბეგის კრებული – გ.ჯ.) მიხედვით, „ქართველები ოსმალთა ბანაკში იმყოფებოდნენ, მაგრამ სამხედრო ოპერაციებში არ მონაწილეობდნენ“.²⁹

ამრიგად, ე. მამისთვალიშვილი, რომელიც ეძებს სიმართლის მარცვლებს ძველ ქართველ ისტორიკოსთა შრომებში, მანუჩართან დაკავშირებით, თავისდა უნებურად, აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრივ, მანუჩარი სულთნის ჯარს გაჰყვა მამლუქების წინააღმდეგ ომში, და მეორე მხრივ, სამხედრო ოპერაციებში არ მონაწილეობდა, თუმცა ოსმალთა ბანაკში იმყოფებოდა. განა რით დაიმსახურა ათაბაგობის მოსურნე მანუჩარმა ეს პატივი, მაშინ როცა სხვები ომობდნენ და სისხლს ღვრიდნენ? განა ასე ძვირად უღირდა მისი სიცოცხლე

²⁶ Lellouch, *Les Ottomans en Egypte*, 9-11; Иванов, *Османское завоевание арабских стран*, 33.

²⁷ ვ. ჩოჩიევმა არასწორად გადაიყვანა მუსლიმური წელთაღრიცხვის თვე და რიცხვი (26 შავვალი) ქრისტიანულზე, როგორც 23 ოქტომბერი (ჩოჩიევი, „მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი“, 75) და შემდეგ ეს გადაუმონწმებლად გაიმეორეს ე. მამისთვალიშვილმა (იხ. ზემოთ), ც. ღვაბერიძემ და მ. სვანიძემ. იხ. ც. ღვაბერიძე, „1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ“, *იეიშ*, VIII (2008), 121; *საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე)*, მ. სვანიძის რედ. (თბილისი, 2008), 54; სწორად აქვს დასახელებული თარიღი ჟ.-ლ. ბაკე-გრამონს. J.-L. Bacqué-Grammont, „Notes et documents sur les Ottomans, les Safavides et la Géorgie, 1516-1521,“ *Les Ottomans, les Safavides et la Géorgie, 1514-1524* (Istanbul, 1991), 58; ნოემბერს გულისხმობს ც. აბულაძეც. *თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის*, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ (თბილისი, 1983), 12. უკანასკნელ ხანებში ე. მამისთვალიშვილმა სწორად დასახელა თარიღი – 23 ნოემბერი. ე. მამისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, I, (XV-XVI სს.) (თბილისი, 2009), 128.

²⁸ ე. მამისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში* (თბილისი, 1981), 125.

²⁹ მამისთვალიშვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 108.

სულთანს? ან თვით მანუჩარმა როგორ გადადო თავი, როცა „მამლუქების წინააღმდეგ ომში“ მიჰყვებოდა სელიმს, რა გარანტია ჰქონდა, რომ ერთგულების დასამტკიცებლად სულთანი მას მოწინავეთა შორის არ დააყენებდა? ამ კითხვებზე პასუხი იოლია. დამასკოში ჩასვლამდე მანუჩარი საომარი ოპერაციების საზღვრების გარეთ იმყოფებოდა, ხოლო დამასკოში ყოფნისას, ნოემბერსა და დეკემბრის პირველ ნახევარში, მამლუქებთან ბრძოლები არ მიმდინარეობდა.

ფერიდუნ ბეგის ზემოხსენებული კრებულის თანახმად, 922 წ. 15 ზუ ლკა'დას, ე.ი. 1516 წ. 10 დეკემბერს, დივანი შეიკრიბა და სელიმმა მანუჩარს „საქართველოს ბეგობა“ უბოძა.³⁰ ამავე დივანზე, საქართველოს მოსაზღვრედ ძლიერი საბეგლარბეგოს შექმნის მიზნით, ზემოხსენებულ ყიზილ აჰმედ მირზა ბეგს ბაიბურდის, თერჯანისა და ერზინჯანის ბეგლარბეგობა ებოძა.

სულთანმა 22 დეკემბერს მანუჩარის სახელზე ბარათი გასცა, ყიზილ აჰმედ მირზა ბეგსაც შეხვდა და ადგილზე დაბრუნება უბრძანა.³¹ ჟ.-ლ. ბაკე-გრამონის თანახმად, დეკემბრის ბოლო კვირებში მანუჩარი და მისი კომპანიონი ყიზილ აჰმად მირზა ბეგი უკან დაბრუნდნენ, პირველი – ტაოში, მეორე – ბაიბურდში.³² ყოველივე ეს მოხდა მაშინ, როცა სელიმი პალესტინისკენ მიემართებოდა.

ე. მამისთვალიშვილის თანახმად, როცა (1516 წ. 23 ოქტომბერს) სულთანმა დამასკოში მანუჩარი მიიღო,

„იერუსალიმი ოსმალებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ქართველებს იერუსალიმის სინმინდებთან დაკავშირებით სულთნისთვის მართლაც რაიმე ეთხოვათ“.³³

როგორც ზემოთ ითქვა, სულთანმა მანუჩარი მიიღო 23 ნოემბერს. არც მაშინ და არც მომდევნო თვის დიდ მანძილზე პალესტინა მას ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა. არც იერუსალიმი იყო დაპყრობილი. დამასკოში მანუჩარი იმიტომ ეახლა სულთანს, რომ მისგან წყალობად „საქართველოს ბეგობა“, ანუ სამცხის ათაბაგობა მიეღო, რაც შეძლო კიდევ. ძალზე საეჭვოა, რომ მას დამასკოში სულთნისთვის დამატებით მოეთხოვა „ახალი იერუსალიმი“, მით უმეტეს, რომ პალესტინა ჯერ კიდევ არ იყო ოკუპირებული ოსმალთა მიერ (როგორც წერს ე. მამისთვალიშვილი) და ამ თხოვნისთვის³⁴ არც დრო და არც პირობები არსებობდა.

³⁰ თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, 12.

³¹ იქვე.

³² Bacqué-Grammont, “Notes et documents,” 59.

³³ მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, 106-7.

³⁴ ამ თხოვნის შესაძლებლობა წმინდა მიწაზე ქართული სინმინდების დაცვის საქმეში სამცხის ათაბაგების დამსახურების შესხენებით, როგორც ამას აკეთებს ე. მამისთვალიშვილი, ამ შემთხვევაში უადგილოა.

სელიმმა დამასკო დატოვა 922 წ. 20 ზუ ლ-კადას/15 დეკემბერს. 26 ზუ ლ-კა'დას/21 დეკემბერს, ხან იუნესთან, ლაზას მახლობლად, ოსმალებმა მეორედ დაამარცხეს მამლუქები.³⁵ წინააღმდეგობისა და მამლუქთა მხარდაჭერისთვის სულთანმა გააძარცვინა ლაზა და რამლა. შემდეგ შევიდა იერუსალიმში, სადაც ილოცა ალ-აკსას მეჩეთში და მოახლოებული მსხვერპლთშენირვის დღესასწაულთან (რომელიც დაიწყო 1517 წლის 4 იანვარს) დაკავშირებით გამოყო სამსხვერპლო საქონელი. ის მოკლე ხნით ეწვია ხებრონსაც, სადაც მოინახულა მუსლიმთა სათაყვანებელი იბრაჰიმის საფლავი.³⁶ 1516-1517 წლების მიჯნაზე, პალესტინაზე კონტროლის დამყარების შემდეგ, სელიმი დაიძრა ეგვიპტისკენ. 1517 წლის 23 იანვარს, კაიროს ჩრდილოეთით – რაიდანიასთან, ისევ სასტიკად დაამარცხა მამლუქები და დაიკავა მათი სატახტო ქალაქი – კაირო.³⁷ მამლუქთა სასულთნომ არსებობა დაასრულა.

ამრიგად, მანუჩარის მონაწილეობა არ ჩანს პალესტინისა და, კონკრეტულად, იერუსალიმის დაპყრობაშიც. თუმცა პალესტინის დიდი ნაწილის იარაღით დაპყრობა არც მომხდარა. ოსმალეთის სულთანმა დამასკო და სირიის დიდი ნაწილი, პალესტინის ჩათვლით, სამართავად უბოძა მამლუქ ამირას – ჯანბირდი ლაზალის, რომელმაც უღალატა მამლუქებს და ოსმალთა მხარეზე გადავიდა.

ე. მამისთვალისშვილის თანახმად, თუ ტიმოთე გაბაშვილის ციტატაში (რომელიც ზემოთაა მოტანილი) შევცვლით მეფე გიორგის მანუჩარით, სხვა ყველაფერი სიმართლეს წარმოადგენს.

რა არის ეს „სხვა ყველაფერი“? სულთან სელიმის მიერ მამლუქთა სახელმწიფოს განადგურება, რასაც დამტკიცება არ ესაჭიროება? მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ განუელი სამსახურისთვის „ქართველთა ბატონმა“ თითქოსდა მიიღო ქართული სინმინდებები იერუსალიმში 48-50 წლით? მსგავსი რამ არ მომხდარა.

ფერიდუნ ბეგის ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, რეალობაა მხოლოდ და მხოლოდ ათაბაგობისა და ძალაუფლების მოსურნე მანუჩარის ურთიერთობა ოსმალეთის სულთანთან. ქართველ რენეგატთა ისტორიაში ის ერთ-ერთი (და არა უკანასკნელი) ეპიზოდია, რასაც დღემდე აქვს რეციდივები. ის სრულიადაც არ ადასტურებს ტიმოთე გაბაშვილის ცნობის ჭეშმარიტებას, მით უმეტეს, რომ ტიმოთემ არც კი იცოდა მანუჩარის თავგადასავალი. და, საერთოდ, გაუგებარია, რატომ და როგორ უნდა შეცვლილიყო მოგვიანებით ქართულ წყაროებში ათაბაგი მანუჩარი მეფე გიორგით, თუმცა გასაგებია, თუკი ტიმოთე გაბაშვილის მიერ მოტანილი ზეპირი გადმოცემა ყალბია.

³⁵ Lellouch, *Les Ottomans en Egypte*, 11.

³⁶ იქვე, 11-12.

³⁷ Winter, “The Ottoman occupation,” 500-2.

იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ 1980 წლამდე გამოთქმული თვალსაზრისები შეაჯამა ლ. მენაბდემ, მაგრამ მან არ გაითვალისწინა 1976 წ. დაბეჭდილი იცხაკ დავითის „ქართული პალესტინიანა“. ალბათ იმიტომ, რომ იმ დროს თბილისის რამდენიმე ბიბლიოთეკის სპეცსაცავებში დაცული ამ ნაშრომის გაცნობა იოლი არ იყო მკითხველისთვის.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ი. დავიდი წერს:

„1520 წელს თურქ-ოსმანებს განუცხადებიათ ოფიციალურად, რომ ჯვრის მონასტერი ქართველების საკუთრებაა, რომ ქართველებმა ვერ გაუძლეს არაბთა თავდასხმებსა და ძალმომრეობას, დატოვეს იგი და მონასტერი იერუმ. პატრიარქების ხელში გადავიდა, ტიმოთეს ვერსიის თანახმად – კათოლიკე ფრანკების ხელში. ეტყობა, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში სულთანს, როცა, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, ელჩები გაუგზავნა საქართველოს სამ მეფეს: ქართლის მეფე გიორგი მე-9-ს (1525-1535), იმერეთის მეფე ბაგრატს (1510-1564) და კახეთის მეფე ლევანს (1520-1574) წინადადებით, მოეწყოთ გაერთიანებული ლაშქრობა იერუმ.-ზე და გაენთავისუფლებინათ იგი უსჯულოთაგან“.³⁸

ი. დავიდი არ ასახელებს წყაროს, რომელიც დაადასტურებდა ოსმალთა „განცხადებას“. ასეთი წყარო ჩვენ არ გვევლინება. გარდა ამისა, არ შეეფერება სინამდვილეს ის, რომ ქართველებმა XVI ს. 20-იან წლებში დატოვეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და ის პატრიარქების (იგულისხმება ბერძენი მართლმადიდებელი პატრიარქები), ხოლო ტიმოთეს ვერსით – კათოლიკე ფრანკების ხელში გადავიდა. ამდენად, ვარაუდი, რომ „ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში სულთანს“, როცა ქართველ მეფეებს იერუსალიმზე ლაშქრობისკენ მოუწოდა, უსაფუძვლოა.

ე. მენაბდის ნაშრომის პუბლიკაციის შემდეგ, 1987-2002 წლებში, რ. ფირცხალაიშვილმა XVI ს-ის 20-იანი წლების დამდეგს ქართველთა ლაშქრობას იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის, ანდა ჯვრის მონასტრის გასათავისუფლებლად, დაუკავშირა XVI ს. I ნახევრის ქართველი პოეტის, ათაბაგ ყვარყვარე III-ის (1516-1535), თანამედროვის, სვიმეონ შოთაძის 16-შაირიანი მარცვლით დანერილი წმ. გიორგისადმი მიძღვნილი 25-სტროფიანი ოდის შექმნა.³⁹ უფრო მეტიც, მისი აზრით, ამ ოდაში ალეგორიულად არის გააზრებული ეს კონკრეტული ისტორიული ფაქტი, რომელიც ასოცირდება მაცხოვრის მიერ ჯოჯოხ-

³⁸ ი. დავიდი, „ქართული პალესტინიანა“, ნაწერები, ტ.1 (თელ-ავივი, 1976), 300.

³⁹ ამ ოდის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, „პოეტი შოთაძე“, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, 4 (თბილისი, 1957), 32-34; И.В. Абуладзе, X.Г. Шарашидзе, “К вопросу об имени и родине Руставели,” *სმა მოამბე*, II/7 (1941), 681-88; ა. ჩხარტიშვილი, *მამნე ოქრომჭედელი* (თბილისი, 1978), 11-13.

ეთის დალაშქვრასა და „ბნელიდაღმან“ სინმინდის დახსნასთან, რაც ბოლო ჟამს წმინდა გიორგის „თანმიყოლილმა“ და „თანწამებად იერუსალიმში ხლებულმა“ ლაშქარმა უნდა აღასრულოს.⁴⁰ რ. ფირცხალაიშვილის თვალსაზრისს რეალური საფუძველი არა აქვს. ოდამი არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე ნართული მითითება ხსენებულ არარსებულ ლაშქრობაზე, მით უმეტეს მისი – ალეგორიული გააზრება.

იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობას, ბერი ეგნატაშვილის ინფორმაციის საფუძველზე, 2004 წ. შეეხო ალ. თვარაძე:

„იერუსალიმისთვის ბრძოლის იდეა ქართველ მეფეებთან დასაბამს იღებს ვახტანგ გორგასალთან და უწყვეტ ხაზად გასდევს ჩვენს ისტორიას მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში... იერუსალიმისათვის სამხედრო ბრძოლის იდეა კიდევ ერთხელ იფეთქებს XVI ს-ის დასაწყისში. ამ დროს ქართლის მეფე გიორგის, იმერეთის მეფე ბაგრატისა და კახეთის მეფე ლევანის შეერთებულ ძალებს პოლიტიკური ვითარება საშუალებას მისცემს, რომ თურქეთის სულთანის ნებართვით დაიპყრონ იერუსალიმი და იქიდან გააძევიონ ეგვიპტელები. ამდენად, დაშლილი საქართველოს ხანაში კიდევ ერთხელ ხერხდება იერუსალიმის დაპყრობა. ქართველებს ძლევას აძლევს ღმერთი და ქრისტეს საფლავი“.⁴¹

სამწუხაროდ, მოყვანილი ციტატა ალ. თვარაძის სერიოზულ ნაშრომში ამ საკითხის ასევე სერიოზული კვლევით არ არის შემადგენელი. დიდი ხანია ცნობილია, რომ იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის სავარაუდო და მცდარ 1527 წელს იერუსალიმიდან ეგვიპტის ადმინისტრაცია კარგა ხნის გაძევებული იყო.

ქართველთა ლაშქრობას იერუსალიმზე 2006 წ. გვერდი არ აუარა ს. მასხარაშვილმა. ის წერს:

„1520-იან წლებში, როდესაც ოსმალეთის სულთანი სულეიმან კანუნი ავსტრიას და უნგრეთს ანადგურებდა, ქართველ მთავრებს სპეციალური სიგელით საკუთრებაში დაუმტკიცა იერუსალიმი (ცხადია, სულეიმან კანუნი ქართველთა გულის მოგებას ცდილობდა, **ეშინოდა ზურგში არ ჩაეცათ ივერიელებს მახვილი** (ხაზგასმა ჩვენია – გ. ჯ.)... ქართველმა მეფე-მთავრებმა იერიშით აიღეს და ურჯულოთაგან გაათავისუფლეს ქრისტიანთა უწმინდესი იერუსალიმი“.⁴²

⁴⁰ რ. ფირცხალაიშვილი, *ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის* (თბილისი, 1987), 49; მისივე, *კვლავ რუსთაველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო* (თბილისი, 1991), 27; მისივე, „პირველი მეცნიერული სიტყვა რუსთაველის შესახებ“, *ლიტერატურული ძიებანი*, XXIII (2002), 113.

⁴¹ ა. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე* (თბილისი, 2004), 135.

⁴² ს. მასხარაშვილი, *მატიანე ქართველთა, შტრიხები ფიქრისა და განსჯისათვის* (თბილისი, 2006), 213.

სულიემან კანუნის შიში, რომ ქართველებს შეეძლოთ მისთვის ზურგში მახვილი ჩაეცათ და ამის გამო არარსებული სპეციალური სიგელით ასე მარტივად დაუმტკიცა (!) მათ იერუსალიმი (ქალაქი, რომლის დაუფლებაზე მრავალი სისხლი დაღვარეს როგორც მუსლიმებმა, ისე ქრისტიანებმა), ხოლო შემდეგ ქართველებმა იერიშით აიღეს ის და გაათავისუფლეს ანონიმ „ურჯულთაგან“, მხოლოდ ს. მასახარაშვილის სურვილია და არა შედეგი სერიოზული „ფიქრისა“ და „განსჯისა“, რასაც მიზნად ისახავს მისი წიგნი.

უკანასკნელ ხანებში ქართველ მეფე-მთავართა ერთობლივ ლაშქრობას იერუსალიმზე (1527ან 1529 წლებში) ორ სტატიაში შეეხო ც. ღვაბერიძე, ჯერ გაკვრით, ხოლო შემდეგ – დანვრილებით.⁴³ მკვლევრის განცხადებით, „დღეს ახალი მასალებისა და გამოკვლევების საფუძველზე ბევრი სადავო საკითხი ზუსტდება“. თავისი მოსაზრების წარმოდგენას ის გვპირდება „საისტორიო წყაროების, დოკუმენტური მასალის, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე“.⁴⁴ ახალი წყაროები და ორიგინალური მასალა მის ამ სტატიაში ჩვენ ვერ ვნახეთ, ხოლო უკვე ცნობილი – უკრიტიკოდაა მიღებული. ეს ეხება არამარტო „კატამონის ისტორიას“, არამედ ა.ნ. მურავიოვის ზემოხსენებულ ნაშრომსაც, რომელიც, ვფიქრობთ, არც უნახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეცოდინებოდა, რომ მურავიოვი ეყრდნობოდა ტიმოთე გაბაშვილის ინფორმაციას (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ჯვრის მონასტრის, გოლგოთის, ფილოთეოსის და გელათის მონასტრობასა და ფრესკულ ნარწერებს,⁴⁵ ისინი არაფერს გვეუბნებიან აღნიშნული ლაშქრობის შესახებ.

ც. ღვაბერიძე თვლის, რომ „იერუსალიმში გავრცელებულ და იმ დროსათვის შემორჩენილ ზეპირ გადმოცემებში გამოყენებულია და არეულია ერთმანეთში ორი ლაშქრობის (1516-1517 წწ. და 1527 წ.) მონაწილე პირები“,⁴⁶ რომ „ყველა წყაროს ჩვენებით გამორიცხულია მამლუქთა წინააღმდეგ ომში ოსმალებთან ერთად ქართველი მეფეების მონაწილეობა“,⁴⁷ „საჭიროა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან წყაროების ცნობები 1516-1517 წწ. ოსმალთა ეგვიპტეში ლაშქრობისა“ 1527

⁴³ ც. ღვაბერიძე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ“, *ნარკვევები* (საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი), X (2005), 83-96; მისივე, „1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ“, 116-25.

⁴⁴ ღვაბერიძე, „1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ“, 116.

⁴⁵ ღვაბერიძე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის“, 83 და შემდგომ.

⁴⁶ ღვაბერიძე, „1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ“, 118.

⁴⁷ იქვე, 122.

წლის ლაშქრობისაგან.⁴⁸ მკვლევარი დარწმუნებულია, რომ „იერუსალიმში ქართველი მეფე-მთავრების მონაწილეობით ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 1527 წელს“.⁴⁹ აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ ასე ფიქრობდნენ უფრო ადრე თ. ჟორდანიას⁵⁰ და „კატამონის ისტორიის“ ავტორი (იხ. ზემოთ), მაგრამ ც. ღვაზბერიძის მიერ მოხმობილი წყაროები ამ დასკვნის საფუძველს არ იძლევა.⁵¹

ც. ღვაზბერიძე, ისევე როგორც 1897 წ. თ. ჟორდანიას,⁵² წერს, რომ ქართველთა ლაშქრობა მიმართული იყო სპარსელების წინააღმდეგ, რომლებმაც აიღეს იერუსალიმი; ცდილობს დაასაბუთოს, რომ სპარსეთის მიერ იერუსალიმის დაპყრობა უნდა მომხდარიყო 1520-იან წლებში, შაჰ-ისმაილის დროს, როცა ოსმალთა ჯარი ევროპაში იბრძოდა,⁵³ რომ „ყველა წყარო ერთხმად აღნიშნავს იერუსალიმის ლაშქრობაში **სპარსელებზე** (ხაზგასმა ჩვენია – გ. ჯ.) გამარჯვების შემდეგ იბერიელ მეფეთა (გიორგი, ბაგრატ, ლეონი...) დანინაურებას“.⁵⁴ ეს მაშინ, როცა აღნიშნული წყაროები თავად ვერ გარკვეულან, ვინ იყო მტერი, რომლებიც არიან „უსჯულონი“ „ფრანგები“, „სპარსელები“ (უკანასკნელი სიტყვა აშკარად მუსლიმთა აღსანიშნავად იხმარება) თუ თურქები (?!).⁵⁵

⁴⁸ იქვე, 119.

⁴⁹ იქვე, 122.

⁵⁰ *ქრონიკები და სხვა მასალა*, 361-62.

⁵¹ მამისთვალისძვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, 139, შენ. 1.

⁵² თ. ჟორდანიას თანახმად, „XVI საუკუნის დამწყებს უნდა საბოლოოდ გადაწყვეტილიყო ის დიადი კითხვა, თუ რომელ ერს, ყიზილბაშებს (სპარსებს) ანუ სუნნიტებს (ოსმალებს) უნდა მოეხვეჭათ პირველობა მცირე აზიაში, სასწორი თითქმის სპარსეთისკენ გადაინა, როდესაც მათ აიღეს იერუსალიმი“ (*ქრონიკები და სხვა მასალა*, 363) და იერუსალიმი დაუჭერიათ „სპარსთა დავითის მეფობაში“ (იქვე, 362), ე.ი. 1525-27 წლებში. სპარსელთა მიერ იერუსალიმის დაპყრობამ და ოსმალეთის სულთანის თხოვნით ქართველთა ლაშქრობამ იერუსალიმზე „ერანელთა“ წინააღმდეგ გზა გაიკვალა თანამედროვე სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაშიც“. ლ. სანიკიძე, *უქარქაშო ხმლები*, წიგნი II (თბილისი, 1984), 318-21.

⁵³ ღვაზბერიძე, „1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ“, 122.

⁵⁴ იქვე, 119.

⁵⁵ ბერი ეგნატაშვილის ცნობით, სულთანმა შეატყობინა ქართველ მეფეებს, რომ „საფლავი ქრისტესი და ადგილი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა“. *ქც*, II, 353. მაგრამ არ არის განმარტებული, ვინ არიან ეს „უსჯულონი“. „უსჯულოებს“, დაკონკრეტების გარეშე, ასახელებს ვახუშტი. *ქც*, IV, 400. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, იერუსალიმში „იძლივნეს მტერნი ქართველთაგან“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, *ისტორია დანყებითგან ივერიისა*, 286), მაგრამ ვინ არის ეს მტერი, არ ჩანს. ტიმოთე გაბაშვილის ძირითადი ტექსტის მინაწერში ოსმალეთის სულთანი ასე მოუწოდებს ქართველებს: „განყარენით ფრანგნი (იგულისხმებიან კათოლიკე ფრანცისკელები – გ.ჯ.) მუნით“ (ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსლვა*, 79-80). ისევ ტიმოთე გაბაშვილის თანახმად, „მეფეთა საქართველოსათა სახელოვანთა ხმლით მათ ძლიერთა აღიმაღლეს ხმანი მათნი და ტყვედქმნილი ქრისტეს საფლავი სპარსთა და თურქთა წარუხვნეს, გამოიხსნეს და დაიპყრეს, და აღა-

ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა, განსაკუთრებით, ვალერიან გაბაშვილმა, წარმატებით აჩვენეს ქართული წყაროების მნიშვნელობა აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად.⁵⁶ ასეთი მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ საამისოდ საჭიროა დიდი სიფრთხილე და თავად აღმოსავლეთის ისტორიის ღრმა ცოდნა. როცა ქართულ წყაროებს აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად ვიყენებთ, ნებისმიერი მკვლევარი ვალდებულია, თავი შეინუხოს და წაიკითხოს უფრო მეტი, ვიდრე ქართულ საისტორიო მწერლობაშია მოთხრობილი და, გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა, ერთმანეთს შეუღალოს ქართული და აღმოსავლური წყაროების მონაცემებიც.

სამწუხაროდ, ც. ღვაბერიძე (და არა მარტო ის) ასე არ მოიქცა. ვრცელი ექსკურსები ისტორიაში, რითაც ცდილობს საკუთარი თვალსაზრისის განმტკიცებას, კარგავს აზრს, ვინაიდან მკვლევარი არ იცნობს მთავარს – სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის ურთიერთობას XVI ს. 20-იან წლებში. იერუსალიმის დაპყრობა სპარსელთა მიერ, რაშიც დარწმუნებულია ც. ღვაბერიძე, ნიშნავდა ორ იმპერიას შორის ომს, რაც ამ დროს არ მომხდარა და არც დაუპყრიათ არასდროს იერუსალიმი სეფიანებს.

ვინაიდან სეფიანებს იერუსალიმი არ დაუპყრიათ, ბუნებრივია, 1527 წ. ქართველები ოსმალეთის სულთნის თხოვნით, მას სპარსელთაგან ვერ დაიხსნიდნენ. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ უსაფუძვლოა იმის მტკიცებაც, თითქოს ოსმალეთის სულთნის მოწოდება და ქართველთა ლაშქრობა განაპირობა კათოლიკე ფრანკების ძალმომრეობამ (ი. დავიდი). უსაფუძვლოა ასევე ის თვალსაზრისებიც, რომ ამ დროს, სულთნის ნებართვით, მიზანი იერუსალიმის დაპყრობისა იყო ქალაქიდან ეგვიპტელთა გაძევება (ალ. თვარაძე) ანდა სულთანის შიში, რომ ქართველებს მისთვის ზურგში არ ჩაეცათ მახვილი (ს. მასხარაშვილი).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამასკოს ბეგლარბეგის ჯანბირდი ალაზალის მარცხიან ხანმოკლე ანტიოსმალურ აჯანყებას (1520 წ. ნოემბერი – 1521 წ. თებერვალი),⁵⁷ ოსმალთა ბატონობა პალესტინაში სულტან სელიმის სიკვდილის შემდეგ ალი ბეგი ალ-ქაბირის აჯანყებამდე (1768-1772 წწ.) არავის დაურღვევია. მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქართველებმა ილაშქრეს პალესტინაში 1517 ან 1527 წელს, არარეალური და უსაფუძვლოა.

შენეს“ (ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსლვა*, 84). მაშასადამე, ქართველებს იერუსალიმი არა მარტო „სპარსთაგან“ და „ფრანგთაგან“, არამედ თურქთაგანაც დაუხსნიათ! თუ ასეა, ვის თხოვნას ასრულებდნენ ქართველი მეფეები? ნუთუ სულთანი სულეიმანი ქრისტეს საფლავის თურქთაგან გამოხსნას სთხოვდა მათ?

⁵⁶ ვ. გაბაშვილი, „აღმოსავლეთი XI-XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე“, *ოსტუ შრომები*, ტ. 125 (1968), 271-308.

⁵⁷ Иванов, *Османское завоевание арабских стран*, 42-43.

აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები

აბასელთა სახალიფოს ზარაფხანების საკითხში ნუმისმატიკოსებისთვის დიდი ხანია მთავარი ორიენტირის როლს ასრულებს ო. კოდრინგტონის ნაშრომში *A manual of musulman numismatics* (London, 1904) მოცემული მუსლიმური ქვეყნების ზარაფხანების სია. ო. კოდრინგტონი ასახელებდა იმ დროისათვის ცნობილ ყველა აბასურ ზარაფხანას და იძლეოდა მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრას ხშირად გეოგრაფიული კოორდინატების მითითებითაც. ო. კოდრინგტონისეული ზარაფხანების სია ასახავდა წინამორბედ ნუმისმატიკოსთა (ხ. ფრენის, ფ. სორეს, ვ. ტიზენგაუზენის, ს. ლენ-პულის, ჰ. ნუტცელის, ე. ლეჯჯეტის, ჰ. ლაჟუას და მრავალი სხვ.) მთელ მიღწევებს, მაგრამ დღეისათვის აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ო. კოდრინგტონის ნაშრომის გამოსვლიდან დღემდე განვილილ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა. ნუმისმატიკოსებმა (ე. ცამბაურმა, ჯ. ალლანმა, ჰ. პორტერმა, აჰმედ ზიამ, რ. ფასმერმა, გ. მაილსმა, ნ. ნასსარმა, ნ. ნაკშაბანდიმ და სხვ.) ბევრი ახალი ზარაფხანა გამოავლინეს. დაზუსტდა და გადაისინჯა ძველი შეხედულებები. ამისდა მიუხედავად განმაზოგადებელი ნაშრომი აბასელთა ზარაფხანების შესახებ არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ ჯერ არ შექმნილა.¹

ვინაიდან სახალიფოს სამონეტო საქმის ისტორიისათვის მონეტების მჭრელი ცენტრების რაც შეიძლება სრული სახით გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ შევეცდებით ნუმისმატიკური მასალების და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე წარმოვადგინოთ მათი განლაგების სურათი. აგრეთვე ვუჩვენოთ აბასელთა ზარაფხანების ორგანიზაციის და მოქმედების ხასიათიც, რასაც აღწერილი სამუშაოებით დაინტერესებული არაბული ნუმისმატიკის მკვლევრები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები ომაელთა მსგავსად ჭრიდნენ მხოლოდ დინარებს, დირჰემებს და ფელსებს. აბასური ვერცხლისა და ოქროს

პირველად დაიბეჭდა – *მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები* (თბილისი, 1968), 71-118.

¹ ცალკეულ არაბულ ქვეყნებში აბასელთა დროს მოქმედ ზარაფხანებს ეხებიან: N. Nassar, "The Arabic mints in Palestine," *Quarterly of Department of Antiquities in Palestine*, № 3-4, XIII (1948), და J. Kirkmann, "The mints of Iraq during the Omayyad and Abbasid periods," *Sumer*, 1 (1945). ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის წიგნთსაცავებში ჩვენ ვერა ვპოვეთ.

მონეტები – დირჰემები და დინარები – საერთაშორისო ვალუტას წარმოადგენდნენ და დიდი რაოდენობით გადიოდა საზღვარგარეთ. ეს განსაკუთრებით დირჰემებზე ითქმის, რომლის დიდი მასაც აღარ უბრუნებოდა სახალიფოს და საუკუნეების მანძილზე მიმოქცევას განაგრძობდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. სამაგიეროდ ბილონურ მონეტებს – ფელსებს ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი იშვიათად თუ სცილდებოდნენ მოქრის ადგილს ან ოლქს.² უნდა აღინიშნოს, რომ აბასური ფელსები განსაკუთრებით IX საუკუნიდან შედარებით მცირე რაოდენობით არიან ცნობილნი.³ მათი ჭრა ჩანს ერთგვარად შეზღუდული იყო.

სახალიფოს ბუნებრივი რესურსები ხელს უწყობდა მონეტების დიდი რაოდენობით ჭრას. ვერცხლის უმდიდრესი საბადოები იყო ხორასანში: ანდარაბას, ნისაბურის და ტუსის რაიონებში, აგრეთვე არაბეთის ნახევარკუნძულზე: ნეჯდში, შამამსა და იემენში. ოქროს მდიდარი საბადოების მოიპოვებოდა თიჰამაში, შამამში, ნეჯდში და ეგვიპტეში.⁴ ზოგიერთი ზარაფხანა სწორედ ძვირფასი ლითონებით მდიდარ რაიონებში მდებარეობდა.

ზარაფხანაში (არაბ. *دار الضرب*) ხდებოდა საბადოებში მოპოვებული ძვირფასი ლითონების ქიმიური დამუშავება და მომზადება მონეტების მოსაჭრელად. ზარაფხანას ჰყავდა თავისი შტატი. გარდა ზედამხედველისა (*متولى دار الضرب*) ზარაფხანაში იყვნენ სხვა მოხელენიც. ბალაზური ასახელებს სინჯის შემომონებლებს (*اصحاب العيار*); აგრეთვე სიქის დამრტყმელებს (*طبايعين*) და რიგით მუშებს (*صناع*).⁵

იბნ ხალდუნის ცნობით ზარაფხანაში მონეტას განსაზღვრული საწონით წონიდნენ როგორც სიქის დარტყმამდე, ისე მის შემდეგაც და თუ ის შეესაბამებოდა მიღებულ სტანდარტს, შეიძლებოდა მისი მიმოქცევაში გაშვება.⁶

ცხადია, სახელმწიფო ყოველთვის არ დაიცავდა ამ პრინციპს. შემოსავლის გადიდების მიზნით ხალიფას ხელისუფლება არც თუ იშვიათად მიმართავდა მონეტის წონის და სინჯის დაკლებას. გარკვეული პროცენტი ზარაფხანაში მოჭრილი მონეტებისა – ლალლა (*غلة* მრ. *غلات*) მიდიოდა სახელმწიფო ხაზინაში

² ამას ადასტურებენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი მონეტების განძები. იხ. მაგ. А.А. Быков, “Новый клад медных куфических монет из Таджикистана,” *Гос. Эрмитаж, Труды отдела нумизматики*, I (1945), 97.

³ A.L. Udovitch, “Fels,” *EII*, II (1963), 768.

⁴ D. Dunlop, “Sources of gold and silver in Islam according to al-Hamdani,” *Studia Islamica*, VIII (1957), 38-39, 40-41.

⁵ Al-Beladsocki, *Liber expugnationis regionum*, ed. M. J. de Goeje (Lugduni Batavorum, 1866), 468-69.

⁶ P. Anastase Marie de St. Élie, *An-Nuqud al-Arabiat wa'-Ilm an-Nmyat* (Cairo, 1939), 103.

– ბაით ალ-მალში. ლალლა ზარაფხანიდან სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო.⁷

ასე მაგ., იბნ ხორდადბეჰის მიხედვით ბაღდადის ბაზრებიდან, წისქვილებიდან და ზარაფხანებიდან წლიური შემოსავალი 1 500 000 დირჰემს შეადგენდა,⁸ ხოლო 306 (918–19) წლის სახალიფოს ცნობილ ბიუჯეტში ბაღდადის, ბასრას, ქუფას, სურა მანრას და ვასიტის ზარაფხანებიდან შემოსული თანხა 60 370 დინარს უდრიდა.⁹

ზარაფხანები მონეტებს კერძო პირებსაც უჭრიდნენ, აქედან მიღებული გარკვეული საფასური ხმარდებოდა ზარაფხანის მოთხოვნილებებს.¹⁰

ზარაფხანების დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. მაკრიზის ცნობით ჰარუნ არ-რაშიდამდე ხალიფები თვით ახორციელებდნენ კონტროლს მონეტების სინჯზე. ჰარუნ არ-რაშიდი პირველი ხალიფა იყო, რომელმაც ეს მოვალეობა თავისი ვეზირს ჯაფარ იბნ იაჰია ბარმაქელს გადააბარა. ჯაფარის სიკვდილით დასჯის შემდეგ ეს ფუნქცია და ზარაფხანების კონტროლი ას-სინდი იბნ შაჰიქის, ხოლო ალ-ამინის დროს კი ალ-აბბას იბნ ფადლ იბნ არ-რაბიას განკარგულებაში გადასულა.¹¹

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სპეციალურ სამოხელეო შტაბის შექმნასთან, რომელსაც ზარაფხანების და მონეტების სინჯის მეთვალყურეობა ევალებოდა. ამ მოხელეს A. Ehrenkreutz-ი ნაზირ ას-სიქქას უწოდებს.¹²

გარდა ამისა, ზარაფხანების კონტროლი ევალებოდა მუჰთასიბს¹³ და ზარაფხანების დივანს (الضرب دار ايوان), რომლის არსებობა სახალიფოში დადასტურებულია კუდამა იბნ ჯაფარის¹⁴ და ალ-ჯაჰშიარის¹⁵ თხზულებებში.

ადგილებზე ზარაფხანების მეთვალყურეობას ამირები ახორციელებდნენ.

⁷ Al-Istakhri, *Via regnorum, Descriptio ditonis moslemicae*, ed. M. J. de Goeje, BGA 1 (Lugduni Batavorum, 1870), 158.

⁸ Ibn Khordadbeh, *Kitāb al-masālik wal-mamālik*, ed. M. J. de Goeje, BGA, 6 (Lugduni Batavorum, 1889), 125.

⁹ A. Von Kramer, *Über das einnahmebudget des Abbasiden-Reiches vom jahre 306 H. (918-919)* (Wien, 1887), 27.

¹⁰ ეს კარგად დასტურდება ისლამის პირველი საუკუნეების მასალებით. იხ. ბალაზური, *Liber expugnationis*, 468-69.

¹¹ Anastase Marie de St. Élie, *An-Nuqud al-Arabiāt*, 48.

¹² A. Ehrenkreutz, “Dar al-Darb,” *EII*, II (1961), 117.

¹³ A. Мец, *Мусульманский ренессанс*, пер. с немецкого Д.Е. Бертельса (Москва, 1966), 327.

¹⁴ ქითაბ ალ-ხარაჯი, ხელნაწერი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, არაბული ფონდი № 5907, V მანზილი, VIII თავი, გვ. 23 (ჩვენ ვისარგებლეთ ამ ხელნაწერის ფოტოპირებით).

¹⁵ Fr. Lokkegaard, *Islamic taxation in the classic period* (Copenhagen, 1950), 160.

ვიდრე ისინი პროვინციებში ხალიფას წარმომადგენლები იყვნენ, მათ მოვალეობას შეადგენდა მოეჭრათ დაკანონებული ტიპის და წონის მონეტები. მაგრამ სახალიფოს დაშლის და ამირების პოლიტიკურად გაძლიერების პირობებში, IX ს. II ნახევრიდან ზარაფხანებზე სრული კონტროლის დაწესება და საკუთარი სახელით მონეტების მოჭრა ამირების დამოუკიდებლობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ნიშანი ხდება.

ზარაფხანის მოქმედების დამადასტურებელ უპირველეს საბუთს თვით მონეტა წარმოადგენს. წერილობით წყაროებში, მართალია, ხშირად შევხვდებით მითითებას ამა თუ იმ ზარაფხანის მოქმედების შესახებ, მაგრამ მათ შესახებ მსჯელობა, თუ ამ ზარაფხანის პირდაპირი შედეგი – მონეტა სახეზე არ არის, ძნელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ აბასურ მონეტებზე, როგორც წესი, ზარაფხანა ავერსზე – პირველ გარშემოვლებულ ზედწერილშია მოთავსებული (დინარებზე მხოლოდ ჰიჯრის 198 წლიდან). ზარაფხანის ადგილმდებარეობად მიითითება გარკვეული ქალაქი, არც თუ იშვიათად კი მთელი პროვინცია და ოლქიც. ასეთ შემთხვევაში ნუმიზმატიკოსები ფიქრობენ, რომ ზარაფხანა ამ პროვინციის (ან ოლქის) მთავარ ქალაქში მდებარეობდა.¹⁶

ზოგჯერ მონეტაზე ზარაფხანის ორ მითითებას ვხვდებით. ერთია ავერსზე, მეორე კი რევერსზე – ცენტრალური ზედწერილის თავზე, ანდა მის ქვემოთ. პირველი ზარაფხანა უფრო ხშირად მთელი პროვინციის სახელწოდებაა და რევერსზე მოთავსებული ზარაფხანა ჩვეულებრივ განმარტავს მოჭრის ადგილს.

მრავალრიცხოვანი აბასური ზარაფხანების განლაგება სახალიფოს პროვინციების მიხედვით ასეთი სახისაა:

ცენტრალური – სავადის ზარაფხანები

სავადში (ერაყში) სახალიფოს ამ უმდიდრეს ოლქში VIII-X სს. მანძილზე აღნუსხულია ბასრას, ჰულვანის, დაშთის, ას-სამნაას, ჯარჯარის, ალ-‘ირაკის, კანდისნაას, კასრ ას-სალამის, ქუჰას, მუთავაქქილნაას, მადა’ინის, მაღნათ ას-სალამის, მაღნათ ალ-მუვაჰჰაკნაას, მაჰსანის, ვასიტის და ჰამიმნაას ზარაფხანები.

بصرة ბასრა¹⁷

სახალიფოს უდიდესი კომერციული ცენტრი ბაჰრეინის და ომანის მთავარი ქალაქი გარკვეულ პერიოდში.¹⁸

¹⁶ G. Miles, *The Coinage of the Umaayyad of Spain* (New-York, 1950), 33.

¹⁷ მონეტების ზედწერილებს ჩვეულებრივ დიაკრიტული ნიშნები არა აქვთ.

¹⁸ P. Hitti, *History of the Arabs* (London, 1961), 330.

ბასრას ზარაფხანა სახალიფოს რეგულარულად მოქმედ ზარაფხანთა რიცხვს მიეკუთვნება. 237 (848–849) წლიდან აქ იჭრება დინარები.¹⁹ მისი უკანასკნელი აბასური მონეტები 333 (944–945) წლით თარიღდება.²⁰

حلوان ჰულვანი

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი სავადში, ჰულვანის ზარაფხანა X საუკუნიდან მოქმედებდა და ჭრიდა დირჰემებს.²¹

داشت დაშთი

დაშთი ანუ დაშთ მაისანი შაზ ბაჰმანის ასთანის ერთ-ერთი ქვერაიონი იყო. დაშთის ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. II ნახევარში მოქმედებდა. მისი უნიკალური 147 (765) წ. დირჰემი გამოაქვეყნა ჯაფარ აბდ ელ-კადირმა.²²

السامية ას-სამიდა

ქალაქი შატ-ელ-არაბზე. მისი უძველესი სახელწოდებაა ბეასამსა.²³ ას-სამიდას ზარაფხანაც მხოლოდ VIII ს. II ნახევარში მოქმედებდა. აქ მოჭრილი უნიკალური აბასური დირჰემი აღწერა აჰმედ ზიამ, რომელიც ზარაფხანად კითხულობდა ამ-შამიდას²⁴ (სირიას), თუმც უფრო ადრე Otto Blau-მ სავსებით სწორედ განსაზღვრა ამ ქალაქის ლოკალიზაცია.²⁵

صرصر სარსარი

ქალაქი ბაღდადის დიდი სამხრეთი უბნის ქარხის მახლობლად, ამავე სახელწოდების სანაოსნო არხზე. სარსარის ზარაფხანაში მოჭრილი 306 (918-919) და 308 (920-921) წწ. დირჰემები არის ცნობილი.²⁶

¹⁹ H. Lavoix, *Catalogue des monnaies Musulmanes*, I (Paris, 1887 (შემდეგში Lavoix), № 941.

²⁰ В. Тизенгаузен, *Монеты восточного Халифата* (СПБ, 1873 (შემდეგში Монеты), № 2460.

²¹ Lavoix, № 1090; P. Lemaire, “Muhammadan coins in the convent of the Flagellation, Jerusalem,” *NC*, 5th ser. 18 (1938), შემდეგში Lemaire, 298; J. Allan, “Unpublished coins of the Caliphate,” *NC*, 19 (1919), შემდეგში Allan, 197.

²² “Monnaies musulmanes et poids en verre inédits,” *Mélanges Syriens offerts à Monsieur René Dussaud* (Paris, 1939), 409.

²³ J. Walker, *A Catalogue of the Arab-Byzantine and Post-reform Umayyad coins* (London, 1956), LXXXI.

²⁴ Ahmed Ziya, *Catalogue of Islamic coins* (Constantinople, 1910 (შემდეგში - Ahmed Ziya), 19.

²⁵ Walker, *A Catalogue of the Arab-Byzantine and Post-reform Umayyad coins*, LXXXI.

²⁶ H. Porter, “Unpublished coins of the Caliphate,” *NC*, 1 (1921), 326.

سُرْمَانِ رَايَ **სურა მან რა'ს**

აბასელთა სატახტო ქალაქი ჰიჯრის 221-279 წლებში, ბაღდადის ჩრდილოეთით 100 კმ-ზე. ამ ქალაქის სახელწოდების გამოთქმის მრავალი ფორმა არსებობდა. ყველაზე გავრცელებული იყო სამარა. მონეტებზე ჩვეულებრივ სურა მან რა'ს გვხვდება.

სურა მან რა'ს ზარაფხანა 224-330 (838-941/42) წწ. მოქმედებდა. 226 (840-41) წლიდან აქ იჭრება დინარები.²⁷

العراقِ اَل-‘ირაკი

ალ-‘ირაკის (ერაყის), ანუ სავადის დამლით 199 (814-15) – 204 (819-20) წწ. იჭრებოდა დინარები.²⁸

ომეღთა დროს იშვიათი გამონაკლისის გარდა ოქროს მონეტებზე მოჭრის ადგილი არ აღინიშნებოდა. აბასელთა ხანაში პირველად ზარაფხანა 198 (813-14) წ. მისრის დინარებზე ჩნდება,²⁹ ამდენად ალ-‘ირაკი მეორე ზარაფხანა მისრის შემდეგ, რომელიც მონეტებზე აღინიშნება.

სახალიფოს ამ უდიდრესი ცენტრალური ოლქის ქვეშ მონეტების მოჭრის ადგილად მისი მთავარი ქალაქი ბაღდადი უნდა ვიგულისხმოთ.

قَادِسِيَّةِ كَادისინა

ქალაქი ქუფას სამხრეთ-დასავლეთით. მისი ზარაფხანა მხოლოდ 300-320 (912-932) წწ. შუა მოჭრილი გაურკვეველი თარიღის დირჰემებით არის ცნობილი.³⁰

قَصْرِ اَس-سَالَمِي **კასრ ას-სალამი**

ბ. ფრენის განსაზღვრით კასრ ას-სალამი იყო ციხე-დარბაზი ქ. რაკკაში. ეს განსაზღვრა მიიღო მრავალმა ნუმისმატიკოსმა (ფ. სორემ, ე. ტიზენგაუზენმა, ს. ლენ-პულმა, ო. კოდრინგტონმა).³¹

რ. ფასმერმა დაადგინა, რომ კასრ-ას-სალამი (მშვიდობის ციხე-დარბაზი)

²⁷ G. Miles, “The Samarra mint,” *Art Orientalis*, I (1954), 189-90.

²⁸ Lavoix, № 872; G. Miles, *Numismatic history of Rayy* (New-York, 1938), 119; (الدینار الإسلامي في المتحف العراقي، جزء الاول، بغداد، 1953، ناصر النفشيندي الدينار الإسلامي في المتحف)، 116-17.

²⁹ Miles, *Numismatic history of Rayy*, 119.

³⁰ Монеты, № 2898.

³¹ დამონებული გვაქვს რ. ფასმერის მიხედვით, P. Фасмер, “К нумизматике халифов,” *Записки коллегии востоковедов*, V (1930), 462.

ბალდადის ერთ-ერთ გარეუბანში – ისააბადში მდებარეობდა.³² ტაბარის ცნობით ის 780-81 წ. გაუშენებია ხალიფა მაჰდის, რომელიც უკვე მომდევნო წელს აქ გადმოსახლებულა და დაუწყია მონეტების ქრა.³³ კასრ-ას-სალამის დამლით, როგორც ფასმერმა დაადგინა, ღირებულებები იჭრებოდა 167-169 (783/84-785/86 წლებში).³⁴

كوفة ქუფა

სავადის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი, მისი ზარაფხანა რეგულარულად მოქმედებდა სახალიფოს დაშლამდე. 241 (855-56) წლიდან აქ იჭრება დინარები.³⁵

متوكية მუთავაქილია

დააარსა ხალიფა მუთავაქილმა სამარას მახლობლად და იქ გადაიტანა კიდეც თავისი რეზიდენცია, მაგრამ მისი მოკვლის შემდეგ (861) წ. ქალაქი მალე გაუკაცრიელდა. მისი ზარაფხანა მხოლოდ 247 (861) წ. ქრიდა ოქროს და ვერცხლის მონეტებს.³⁶

مدائن მადა'ინი

მადა'ინი მდებარეობდა ბალდადიდან ქუფაში მიმავალ გზაზე ბალდადის სამხრეთ-დასავლეთით 30 კმ-ზე და ეკავა ტიგროსის ორთავე ნაპირი. მისი ზარაფხანა 215 (830-31) წ. მოჭრილი დინარებით³⁷ არის ცნობილი.

مدينة السلام მადნათ ას-სალამში

მადნათ ას-სალამში (ბალდადში), სახალიფოს ამ უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრში მონეტები ქალაქის დაარსებიდან ორი წლის შემდეგ (763-64) იჭრება.³⁸ დინარებზე მადნათ ას-სალამში როგორც ზარაფხანა მხოლოდ 212 (827-28) წლიდან³⁹ აღინიშნება, თუმცა აქ უნდა იყოს მოჭრილი მრავალრიცხოვანი აბასური ოქროს მონეტები ზარაფხანის დამლის გარეშე და აგრეთვე ალ-ირაკის მითითებითაც.

³² Фасмер, “К нумизматике халифов,” 462.

³³ იქვე.

³⁴ იქვე, 457.

³⁵ E. Zambaur, “Nouvelles contribution à la numismatique Orientale,” *NZ*, XLVII (1914), 120.

³⁶ Монеты, № 1932; الدينار الاسلامي, 135.

³⁷ S. Lane-Poole, *Catalogue of Oriental coins in the British Museum*, vol. IX (London, 1889, შემდეგში Lane-Pool, *Catalogue*, IX), 54, № 263^m.

³⁸ Монеты, № 751.

³⁹ იქვე, № 1810.

იბნ ხორდადბეჰის ცნობას თუ ვენდობით ქალაქში რამდენიმე ზარაფხანა ყოფილა.⁴⁰

مدينة الموقية მადინათ აღ-მუვაფჰაკია

ეს ქალაქი, უფრო სწორედ სამხედრო ბანაკი აჯანყებული ზინჯების წინააღმდეგ სამოქმედო ბაზად მდ. ევფრატზე გაუშენებია ხალიფა მუთამიდის ძმას მუვაფჰაკს.⁴¹ ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილია აქ მოჭრილი ოქროს მონეტები 270 (883-84) წლისა.⁴²

ميسان მაისანი

მაისანი დაშთ მაისანთან ერთად შაზ ბაჰმანის ქვერაიონი იყო. მისი ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. II ნახევარში მოქმედებდა. მაისანის 166 (782-83) წ. უნიკალური დირჰემი აღწერილი აქვს აჰმედ ზიას.⁴³

هاتمية ჰაშიმიია

ქალაქი ქუფას მახლობლად, რომელიც გააშენა აბუ ლ-აბბას ას-საფვაჰმა და ასრულებდა მისი თავდაპირველი რეზიდენციის როლს. 138 (755-56) და 139 (756-57) წწ. აქ იჭრება ვერცხლის მონეტები.⁴⁴

واسط ვასიტი

ქასქარის ასთანის მთავარი ქალაქი და სავადის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. ვასიტის ზარაფხანაში უკვე VIII ს. 80-იანი წლებიდან იჭრება ფელსები,⁴⁵ ხოლო 90-იანი წლებიდან კი დირჰემებიც,⁴⁶ მაგრამ ამ ხანებში ვასიტის ზარაფხანის მოქმედება სპორადულ ხასიათს ატარებდა. რეგულარულად ვასიტი მხოლოდ 253 (867) წლიდან ჭრის მონეტებს. მისი პირველი დინარები 225 (839-40) წლით თარიღდება.⁴⁷

მაკრიზის გადმოცემით აბუ ლ-აბბას ას-საფვაჰს მონეტები მოუჭრია აღ-ანბარშიც (الانبار),⁴⁸ მაგრამ ჯერჯერობით ნუმიზმატიკოსებისთვის ისინი უცნობია.

⁴⁰ BGA VI, 125.

⁴¹ *Numismatic literature*, № 49 (New-York, 1959), 626.

⁴² ناصر النقشبندي, *كنز حضر الياس*, سومر, 1954, №1 (შემდეგ), 185.

⁴³ Ahmed Ziya, 21.

⁴⁴ Монеты, № 694, 701.

⁴⁵ Монеты, № 1035-40.

⁴⁶ იქვე, № 1264.

⁴⁷ الدينير السلامي, 127.

⁴⁸ Anastase Marie de St. Élie, *An-Nuqud al-Arabiāt*, 46.

პროვინციული ზარაფხანები

აბასელთა სახალიფო ტერიტორიულად გაცილებით ჩამორჩებოდა ომეელთა სახალიფოს და ამდენად აბასური მონეტების ქრის გეოგრაფიული არე გარკვეულად შეზღუდული იყო. უკვე VIII ს. 50-იან წლებში აბასელებმა დაკარგეს ანდალუსია, ხოლო VIII ს. მიწურულისთვის სახალიფოს ჩამოშორდა ჩრდ. აფრიკის პროვინციები (იფრიკია).

იფრიკიაში აბასური ზარაფხანების იქრეკიდას (أفريقية), ბიდ'ას (بغدادة), ტანჯას (طنجة) 'აბბასიდას (أبباسية), ლაბდას (لابد), მუბარაქას (مباركة), ალ-მაჰდიდას (المهدية) მოქმედების დრო მცირე ხნით შემოიფარგლება. ისინი სახალიფოს სამონეტო საქმეში დიდ როლს არ ასრულებდნენ.

აბასური მონეტების ქრა კონცენტრირებული იყო მისრში (ეგვიპტეში), ალ-ჯაზირაში, შამში (სირია-პალესტინაში), ჯიბალში, ხუზისთანში, ფარსში, ხორასანში, მავერანნაჰრში და არმინიაში. ფრამენტული ხასიათი ჰქონდა მას არაბეთის ნკ-ზე, ქირმანში, სეჯესთანში, ტაბარისტანში, ჯურჯანში, გილანში, კუმისში და აზერბაიჯანში.

მისრი (ეგვიპტე)

აბასელთა ხანაში მისრში მონეტები იჭრებოდა აბგანის, ფარამას და მისრის (მისრ ალ-ფუსტატის და მისრ ალ-მალრიბის) დამლით.

ابوان აბგანი

ვ. ტიზენგაუზენი ამ სახელწოდების ზარაფხანის წაკითხვას (გამოავლინა გ. კრელმა) ეჭვქვეშ სვამდა.⁴⁹ მაგრამ რ. ფასმერი ერმიტაჟის მუსლიმური მონეტების ხელნაწერ კატალოგში აღწერს 202 (817-18) წ. აბგანის ფელსს, ისე რომ ზარაფხანის წაკითხვის სისწორე არავითარ ეჭვს არ იწვევს.⁵⁰ აბგანის სახელწოდებით ეგვიპტეში სამი პუნქტი იყო, აქედან ერთი ქალაქი დამიეტას მახლობლად.

الفرما ალ-ფარამა

იაკუთის ცნობით ქ. ფარამა არიშა და ფუსტატს შუა მდებარეობდა.⁵¹ ნუ-მიზმატიკოსებისთვის ცნობილია ფარამაში მოჭრილი 147 (764-65) წ. ფელსები.⁵²

⁴⁹ Монеты, № 1787.

⁵⁰ P. Фасмер, “Каталог собрания восточных монет Гос. Эрмитажа” (Рукопись), ч. II, 202, კოლექცია № 101, საინვენტარო № 2950.

⁵¹ Jacut's Geographisches Wörterbuch: aus den Handschriften zu Berlin, St. Petersburg, und Paris, herausgegeben von F. Wustenfeld, band III (Leipzig, 1868), 882-83.

⁵² Lavoix, № 1597.

مصر მისრი

ამ სახელწოდების ქვეშ მონეტების მოჭრის ადგილად ქ. ფუსტატი უნდა ვიგულისხმობთ. მისრის ზარაფხანა ჭრიდა როგორც დირჰემებს, ისე ფელსებს და დინარებს. ამ უკანასკნელზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისრი ზარაფხანად მხოლოდ 198 წლიდან ჩანს.

IX ს. 70-იანი წლებიდან ეგვიპტეში დამოუკიდებლობა მოიპოვეს ტულუნიანებმა, რომლებიც 266 (879-80) წლიდან ჭრიან საკუთარ მონეტებს.

905 წ. აბასელებმა აღადგინეს აქ თავიანთი ხელისუფლება და განაახლეს თავიანთი მონეტების ჭრა.

ცნობილია ეგვიპტეში მოჭრილი ორზარაფხანიანი მონეტებიც. ასეთებია: 204 და 203-206 (818-822) წწ. მისრ ალ-ფუსტატის (مصر الفسطاط) და მისრ ალ-მალრიბის (مصر المغرب) დინარები და დირჰემები.⁵³

არაბეთის ნახევარკუნძული

არაბთა ისტორიის გამორჩენილი მკვლევარი ფ. ჰიტტი არაბეთის ნახევარკუნძულს აბასელთა ხანაში სამ პროვინციად ჰყოფს. ესენია: 1. ჰიჯაზი და იამამა, 2. იემენი, 3. ბაჰრეინი და ომანი.⁵⁴

ამ პროვინციებში VIII-X სს. მანძილზე მონეტები იჭრებოდა ჰან'ა'ს, მადნას, მაქქას, ამამას და ამანის დამლით.

صنعاں ہان'ا' (სანა)

იემენის მთავარი ქალაქი – ჰან'ა' აბასელთა დროს მონეტების ჭრის მთავარი ცენტრი იყო მთელ არაბეთის ნახევარკუნძულზე. მისი ზარაფხანის პირველი მონეტები VIII ს. 90-იანი წლებით თარიღდება,⁵⁵ უკანასკნელი კი 315 (927-28) წლით.⁵⁶ ამ შუალედში, განსაკუთრებით კი 185 (801) წლიდან ჰან'ა' რეგულარულად უშვებს ოქროს და ვერცხლის მონეტებს.

ჰან'ა'ს უნდა დავეუკავშიროთ აგრეთვე ამანის (يمان) დამლით მოჭრილი 157 (773-74) წ. ფელსიც, რომელიც გამოსცა გ. მაილსმა.⁵⁷

⁵³ H. Nützel, *Catalog der Orientalischen Münzen*, bd. I (Berlin, 1898 (შემდეგ Nützel) № 1385; Lavoix, 216-17. გარდა ამისა 258 (871-72) წ. მისრის ზოგიერთი დინარის რევერსზე, ხალიფას სახელის ქვემოთ, ჰ. ლავუა ზარაფხანად კითხულობდა ნაჯრანს - نجران. სხვა ნუმისმატიკოსები: ე. როჯერსი და გ. მაილსი არ იზიარებენ ამ შეხედულებას და ლიად ტოვებენ ნაჯრანის ზარაფხანის საკითხს. G. Miles, *Rare Islamic coins* (New-York, 1958, შემდეგ Miles, *Rare*), 40.

⁵⁴ Hitti, *History of the Arabs*, 330.

⁵⁵ Монеты, № 1265.

⁵⁶ Lavoix, № 1122.

⁵⁷ Miles, *Rare*, № 403.

مدينة მადინა

მუსლიმური სამყაროს ამ წმინდა ქალაქის ზარაფხანა მხოლოდ 189 (804-5) წ. მოჭრილი ფელსებით არის ცნობილი.⁵⁸

مكة მაქქა (მექა)

მუსლიმთა ამ უდიდესი რელიგიური ცენტრის ზარაფხანა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, ჭრიდა ოქროს და ვერცხლის მონეტებს. ცნობილია მაქქას 253 (867),⁵⁹ 282 (895),⁶⁰ 289 (901-2)⁶¹ წწ. დირჰემები და 325 (936-37)⁶² წწ. დინარები.

إمامة დამამა

დამამას დამლით მონეტები მხოლოდ VIII ს. II ნახევარში 165-169 (781-786) წწ. იჭრებოდა.⁶³ ამ მონეტების (დირჰემების) ნაწილზე რევერსის ცენტრალური ზედწერილის თავზე ანდა ბოლოში აღნიშნულია მეორე ზარაფხანაც, დამამას მთავარი ქალაქი ჰაჯჯარი.⁶⁴

بمان დამანი ის. 'ჰან'პ'**შამი (სირია-პალესტინა)**

აბასელთა დროს სირია-პალესტინა იყოფოდა ფილისტინის (პალესტინის), ჰიმსის, დამასკოს, კინნასრინის, ურდუნის (იორდანის) სამხედრო ოლქებად, აგრეთვე ალ-ავასიმის და სულურის სასაზღვრო ოლქებად.

VIII-X სს. მანძილზე მონეტები აქ იჭრებოდა: ადანას, ანტაქქიას (ანტიოქიის), ბაირუთის (ბეირუთის), ჰალაბის (ალეპოს), ჰიმსის, ხაზინათ ჰალაბის, დიმიშკის (დამასკოს), არ-რამლას, სალამიას, ზურის, ზურ ალ-მა'მუნიას, საფდას, ტაბარიას, ტარსუხის, ლაზზას, კუდსის, კინნასრინის, ფილისტინის და ალ-მასსინას დამლით.

⁵⁸ Ahmed Ziya, № 510.

⁵⁹ Miles, *Rare*, № 287.

⁶⁰ كنج 186.

⁶¹ Nützel, № 1639.

⁶² O. Codrington, "Some rare oriental coins," *NC*, II (1902), 273.

⁶³ Монеты, №№ 970, 1029-1030, 2775-2777, 1073-1074.

⁶⁴ იქვე, №№ 970, 990, 1029.

أندلس

ქალაქი სულურის სასაზღვრო ოლქში, მდ. საროსზე, დღევანდელი ედანა. მისი ზარაფხანა მხოლოდ 806-815 წწ. შუა მოჭრილი ფელსით არის ცნობილი.⁶⁵

انطاكية

მთავარი ქალაქი ავასიმის სასაზღვრო ოლქისა. აქ მოჭრილი პირველი ფელსები 138 (755-56) წლით თარიღდება, მაგრამ ხ. ფრენი მათზე კითხულობდა დაღიქანს – **كلىان**.⁶⁶ ამგვარადვე შევიდა ის ო. კოდრინგტონის ზარაფხანების სიაში.⁶⁷ გ. მაილსის პალეოგრაფიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ სწორი ნაკითხვა არის ანტაქია და არა დაღიქან.⁶⁸ ანტიოქიის ზარაფხანა რეგულარულად მოქმედებდა 301-322 (913/14-933/34) წწ. და ჭრიდა დინარებს და დირჰემებს.

بيروت ბაღრუთი (ბეირუთი)

დამასკოს სამხედრო ოლქის ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი, თანამედროვე ლიბანის დედაქალაქი. ბაღრუთის ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. II ნახევარში ჭრიდა ფელსებს.⁶⁹

حلب ჰალაბი (ალეპო)

კინნასრინის სამხედრო ოლქის მთავარი ქალაქი. ჰალაბის ზარაფხანის პირველი ფელსები 138 (755-56) წ. თარიღდება.⁷⁰ დიდი შუალედის შემდეგ 286 (899) წლიდან X ს. 30-იან წლებამდე ჰალაბში რეგულარულად იჭრება ოქროს და ვერცხლის მონეტები.

ჰალაბს უკავშირდება, ვფიქრობთ, VIII ს. II ნახევარში მოჭრილი ის ფელსებიც, რომლებზედაც ზარაფხანად აღნიშნულია ხაზნათ ჰალაბი **حلب خزنه**.⁷¹

حمص ჰიმსი

მთავარი ქალაქი ჰიმსის სამხედრო ოლქისა. მისი ზარაფხანის პროდუქ-

⁶⁵ Miles, *Rare*, № 363.

⁶⁶ დამონებული გვაქვს გ. მაილსის მიხედვით, Miles, *Rare*, 56.

⁶⁷ A manual, 156.

⁶⁸ Miles, *Rare*, 56.

⁶⁹ Lavoix, 425.

⁷⁰ Miles, *Rare*, № 371.

⁷¹ Lane-Poole, Catalogue, IX, 94, № 90 k.

ცია იშვიათია. ცნობილია ჰიმსში მოჭრილი 306 (918-19),⁷² 322 (933-34)⁷³ და 323 (934-5)⁷⁴ წწ. დირჰემები, აგრეთვე 295 (907-8) წ. დინარები.⁷⁵

بخنة حلب ხაზანათ ჰალაბი (ჰალაბის საგანძური) ის. ჰალაბი.

دمشق დიმიშკი (დამასკო)

შამის და ამავე სახელწოდების სამხედრო ოლქის მთავარი ქალაქი. აბასელთა ხანაში დამასკოს ზარაფხანა მისრის ზარაფხანასთან ერთად მონეტების ჭრის ერთ-ერთი აქტიური ცენტრი იყო დასავლურ პროვინციებში. აქ იჭრებოდა როგორც დინარები, ისე დირჰემები და ფელსები. დამასკოს უკანასკნელი აბასური დირჰემები 313 (925-26) წლით თარიღდება⁷⁶, ხოლო ფელსები კი 322 (933-34) წლით.⁷⁷

الرملة, فلسطين არ-რამლა, ფილისტინი

რამლა ფილისტინის (პალასტინის) სამხედრო ოლქის მთავარი ქალაქი იყო. სხვანაირად მას ფილისტინიც ეწოდებოდა.

მონეტები გვაქვს როგორც რამლას, ისე ფილისტინის დამლით მოჭრილი.

რამლას მითითებით ცნობილია 210 (825-26),⁷⁸ 217 (832)⁷⁹ და 218 (833)⁸⁰ წწ. ფელსები, ფილისტინის დამლით მონეტების პირველად 264 (877-78) წ. იჭრება,⁸¹ რეგულარულად კი 291 (903-4) წლიდან. ჯერ დირჰემები, ხოლო შემდეგ დინარებიც.⁸²

سلمية სალამინა

ამავე სახელწოდების რაიონის (اقلية) მთავარი ქალაქი ჰიმსის სამხედრო ოლქში. სალამინას ზარაფხანის პირველი დირჰემები 166 (782-83) წ. თარიღდება.⁸³ დიდი შუალედის შემდეგ 309 (921-22) წ. აქ კვლავ იჭრება დირჰემები.⁸⁴

⁷² ერმიტაჟი, კოლექცია №1072, საინვენტარო № 2515.

⁷³ Lavoix, № 1238.

⁷⁴ Nützel, № 1815.

⁷⁵ Porter, 324.

⁷⁶ იქვე, 325.

⁷⁷ Монеты, № 2383.

⁷⁸ იქვე, № 1806.

⁷⁹ Nützel, № 2211-12.

⁸⁰ Nassar, "The Arabic mints in Palestine," 126.

⁸¹ იქვე, 124.

⁸² Miles, *Rare*, № 163.

⁸³ Монеты, № 1003.

⁸⁴ Lavoix, № 1174.

صيدا ساهد

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი დამასკოს სამხედრო ოლქში. საადს ზარაფხანა მხოლოდ 276 (889-90) წ. უნიკალური დინარით არის ცნობილი, რომელიც აჰმედ ზიამ გამოაქვეყნა.⁸⁵

صور سوري

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი ურდუნის (იორდანის) სამხედრო ოლქში. ძველი ტიროსი. ცნობილია სურის ზარაფხანაში მოჭრილი 196 (811-12) წლის ფელსები.⁸⁶

შესაძლოა, რომ სურს უკავშირდებოდა სურ ალ-მა'მუნნიას صور المامونية ზარაფხანაც. ამ დამლით მოჭრილი 200 (815-16) წ. ფელსები აღწერა ნუტცელ-მა.⁸⁷ წყაროებში სურ ალ-მა'მუნნიას ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენ ვერა ვპოვეთ რა.

طبرية تبارند

ურდუნის სამხედრო ოლქის მთავარი ქალაქი. ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილია ტაბარნდას 319 (931),⁸⁸ 323 (934-35)⁸⁹ წწ. დინარები, 329 (940-41) წ. დირჰემები⁹⁰ და უთარილო ფელსები.⁹¹

طرسوس تارسუსი

სულურის მთავარი ქალაქი. ბიზანტიის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სამხედრო კამპანიების ბაზა. IX ს. 80-იანი წლებიდან აქ იჭრება ფელსები. ზოგიერთ მათგანზე ზარაფხანად მიითითება: الثغور الشامية طرسوس „შამის სულური-ტარსუსი.“⁹² 302 (914-5) წლიდან ტარსუსში იჭრება დინარები და დირჰემები.⁹³

⁸⁵ Ahmed Ziya, № 558.

⁸⁶ А. Марков, *Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа* (СПБ, 1896), 38, № 651.

⁸⁷ Nützel, № 2213-2214.

⁸⁸ Nassar, "The Arabic mints in Palestine," 126.

⁸⁹ Lavoix, № 1229.

⁹⁰ Монеты, № 2444.

⁹¹ იქვე, № 2599-2602.

⁹² G. Miles, "Islamic coins from the Tarsus excavations of 1935-37," *The Aegean and Near East, Studies presented to Hetty Goldman* (New-York, 1956), 304-5.

⁹³ Porter, 326; J. M. Johntson, "Mohammedan coins," *NC*, 19 (1899), 266; Miles, *Rare*, № 353; Nützel, № 1708; Lemaire, 297.

غزة ლაზზა

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი ფილისტინის სამხედრო ოლქში. 217 (832) წ. ლაზზაში იჭრება ფელსები.⁹⁴

قدس კუდსი

კუდსი იერუსალიმის არაბული სახელწოდებაა. კუდსის ზარაფხანა 217 (832) წ. ფელსებით არის ცნობილი, რომლებიც წ. ნასარმა გამოავლინა.⁹⁵

قنسرين კინნასრინი

ქალაქი ამავე სახელწოდების სამხედრო ოლქში. მისი ზარაფხანა მხოლოდ VIII წ. II ნახევარში ჭრიდა სპილენძის მონეტებს – ფელსებს.⁹⁶

المصيبة ალ-მასსისა

უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ქალაქი სულურში. X საუკუნის დასაწყისიდან აქ იწყება როგორც ოქროს და ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტების ჭრა.⁹⁷

ალ-ჯაზირა (ზემო მესოპოტამია)

ეს პროვინცია მოიცავდა ტიგროსსა და ევფრატს შორის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილს, აგრეთვე რაიონებს ტიგროსის აღმოსავლეთით და ევფრატის დასავლეთით.

აბასელთა დროს ალ-ჯაზირაში მოქმედებდა: ამიდის, ბალადის, ჰარრანის, ალ-ჯაზირას, დინაფირის, არ-რაჰაბას, რა'ს ალ-‘აფის, არ-რაჰიკას, რაკკას, რუჰანს, სინჯარის, მარდინის, მავსილის და ნისიბინის ზარაფხანები.

أمد ამიდი

დიარ-ბექრის ოლქის⁹⁸ მთავარი ქალაქი. ამიდის პირველი ფელსები 186

⁹⁴ Монеты, № 2849.

⁹⁵ Nassar, “The Arabic mints in Palestine,” 126.

⁹⁶ Монеты, № 870.

⁹⁷ Марков, Инвентарный каталог, 49, № 898, 907; Lavoix, № 1104; كز, 186; الدينير الاسلامي, 157. გარდა ზემოთ დასახელებული ზარაფხანებისა ო. კოდრინგტონის წუსხაში აბასურად არის მოხსენიებული ბაით ჯიბრინის, საფურიას, ასკალანის, ლუდდის, აქქას და ბაალბექის ზარაფხანებიც (A manual, 140, 143, 168, 171), მაგრამ არსებული ნუმიზმატიკური მასალების შემონახვამ გვაჩვენა, რომ დასახელებულ ქალაქებში მონეტები მხოლოდ ომაელთა დროს იჭრებოდა.

⁹⁸ ალ-ჯაზირა შედგებოდა დიარ-რაბიას, დიარ-მუდარის და დიარ-ბექრის ოლქებისაგან.

(802) წ. თარიღდება,⁹⁹ მაგრამ რეგულარულად მონეტები აქ მხოლოდ X საუკუნიდან იჭრება. მისი უკანასკნელი მონეტები 323 (934-5) წლისაა.¹⁰⁰

بلد ბალადი

ქალაქი დიარ-რაბიას ოლქში, ნისიბინ-მოსულის გზაზე, მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე. მისი ზარაფხანა VIII ს. II ნახევარში ჭრიდა ფელსებს.¹⁰¹

حاران ჰარანნი

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი დიარ-მუდარის ოლქში. ჰარანნის პირველი მონეტები (დინარები) თარიღდება 284 (897) წლით.¹⁰² შემდეგ სახალიფოს დაშლამდე აქ რეგულარულად იჭრება როგორც დინარები, ისე დირჰემები.

الجزيرة აღ-ჯაზირა

ამ სახელწოდების ქვეშ ნუმიზმატიკოსები ჩვეულებრივ ჯაზირათ იბნომარს, მდ. ტიგროსზე მდებარე მნიშვნელოვან პორტს გულისხმობენ.¹⁰³ მონეტები აქ VIII ს. II ნახევარში იჭრებოდა.¹⁰⁴

دينايسير დინაისირი

პატარა ქალაქი დიარ-რაბიას ოლქში, ქ. მარდინის სამხრეთ-დასავლეთით. დინაისირის ზარაფხანა მხოლოდ 192 (807-8) წ. ჭრიდა ფელსებს.¹⁰⁵

الرحبة არ-რაჰაბა

ქალაქი დიარ-მუდარის ოლქში, მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირზე. გ. მაილსის აზრით დღევანდელი აღ-მიადინი.¹⁰⁶ არ-რაჰაბას ზარაფხანა 280 (893-94) და 333 (944-45) წწ. დირჰემებით არის ცნობილი.¹⁰⁷

⁹⁹ Lavoix, 418.

¹⁰⁰ Монеты, № 2402.

¹⁰¹ იქვე, № 851; Ghalib Edhem, *Catalogue des Monnaies des Khalifes* (Constantinople, 1894), № 765.

¹⁰² Miles, *Rare*, № 160.

¹⁰³ Монеты, XXV.

¹⁰⁴ Lavoix, 427.

¹⁰⁵ Miles, "Islamic coins from the Tarsus excavations," 299.

¹⁰⁶ Miles, *Rare*, 104.

¹⁰⁷ იქვე; ერმიტაჟი, კოლექცია № 980, საინვენტარო № 2399.

راس العين **რა'ს ალ-'აინი**

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი დიარ-რაბიას ოლქში, მდ. ჰაბურის სათავესთან. პირველი ფელსები რა'ს ალ-'აინში 202 (817-18)¹⁰⁸ წელს იჭრება, რეგულარულად კი ამ ქალაქის ზარაფხანა მხოლოდ 283 (896-97) – 329 (940-31) წლებში მოქმედებს.

الرافقة **არ-რაფიკა**

ქალაქი გააშენა ალ-მანსურმა 772 წ. დიარ-მუდარის მთავარი ქალაქის, სირიის საზღვართან მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის, რაკკას და-საცავად. ბაღდადის ცხელ კლიმატს გამოქცეული ჰარუნ არ-რაშიდი ხშირად აქედან მართავდა სახალიფოს.¹⁰⁹ 161 (777-78) წლიდან არ-რაფიკაში იჭრება ფელსები,¹¹⁰ ხოლო 173 (789-90) წლიდან კი რეგულარულად – დირჰემები.¹¹¹ 270 (883-84) წლიდან გვხვდება არ-რაფიკას დინარებიც.¹¹²

الرقية **არ-რაკია**

დიარ-მუდარის ოლქის მთავარი ქალაქის ზარაფხანის მხოლოდ 199 (814-815) და 247 (861-62) წწ. მოჭრილი დირჰემები და ფელსები¹¹³ არის ცნობილი.

الرها **არ-რუჰა**

კლასიკური ხანის ედესა. რუჰას ზარაფხანა მხოლოდ 182 (798-99) წელს ჭრიდა ფელსებს.¹¹⁴

سنجار **სინჯარი**

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი დიარ-რაბიას ოლქში. სინ-ჯარის ზარაფხანა მოქმედებს 299 (911-12) წლიდან.¹¹⁵ მისი ბოლო მონეტები 322 (933-34) წლით თარიღდება.¹¹⁶

¹⁰⁸ S. Lane-Poole, *Catalogue of Oriental coins in the British Museum*, I (London, 1876, შემდეგ Lane-Poole, *Catalogue*, I), 214, № 138.

¹⁰⁹ G. Le Strange, *The lands of the Eastern Caliphate* (Cambridge, 1905), 101.

¹¹⁰ Lane-Poole, *Catalogue*, I, 202, № 107.

¹¹¹ Монеты, № 1175.

¹¹² Porter, 323.

¹¹³ Монеты, № 1688-89; Lavoix, № 1583.

¹¹⁴ Монеты, № 1334.

¹¹⁵ Miles, *Rare*, № 315.

¹¹⁶ Allan, 197.

ماردين მარდინი

ქალაქი დიარ-რაბიას ოლქში, რა'ს ალ-'აფსა და ნიჰბინის შორის გზაზე. ცნობილია მარდინში მოჭრილი 312 (924-25) წლის დინარები.¹¹⁷

موصل მავსილი (მოსული)

ალ-ჯაზირას მთავარი ქალაქი, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. მავსილის ზარაფხანა 145 (762-63) წლიდან ჭრის ფელსებს,¹¹⁸ ხოლო 157 (773-74) წლიდან კი დირჰემებს.¹¹⁹ რუგულარული ხასიათი მის მოქმედებას მხოლოდ IX ს. 70-იანი წლებიდან ეძლევა. 263 (876-77) წლიდან აქ იჭრება ოქროს მონეტა.¹²⁰

نصيبين ნიჰბინი

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი მდ. ჰირმასზე. ნიჰბინის ზარაფხანა რეგულარულად მოქმედებდა IX ს. 60-70-იანი წლებიდან¹²¹ სახალიფოს დაშლამდე. 285 (898) წლიდან¹²² აქ იჭრება ოქროს მონეტა.¹²³

ჯიბალი (სპარსეთის ერაცი)

ჯიბალში მოქმედებდნენ თაიმარას, ჯაფს იგივე ისბაჰანის, რაფს იგივე მუჰამადიფას, კაზინის, კუმის, მანჰის, მანჰ ალ-ბაჰრას იგივე ნიჰვანდის, მანჰ ალ-ქუფას და ჰამაჰანის ზარაფხანები.

تيمراة თაიმარა

თაიმარა ანდა შაკკ ალ-თაიმარა ისფაჰანის ოლქის ერთ-ერთი რაიონი იყო.¹²⁴

¹¹⁷ Монеты, № 2304.

¹¹⁸ იქვე, № 2762, 2763; Miles, Rare, 120.

¹¹⁹ იქვე, № 865.

¹²⁰ الدينار الاسلامي, 147.

¹²¹ Монеты, № 1964, 1970, 1971.

¹²² ერმიტაჟის კოლექცია № 972, საინვენტარო № 482.

¹²³ ჩვენ გვსურს მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ზარაფხანა, რომელიც შესაძლოა აგრეთვე ჯაზირაში მდებარეობდა. ესაა *ქინქივარი* كينكجاري, ან *ქანქარი* كنجار. კ. ტორნბერგი კითხულობდა ქინქივარს, ა. ბიკოვის აზრით კი უფრო სწორი წაკითხვაა ქანქარი (А.А. Быков, “Восточные монеты Дебтярского клада,” *Тр. Гос. Эрмитажа*, 2 (1961), 30-31). ქინქივარი იაკუთის ცნობით იყო გამაგრებული ციხე ჯაზირათ იბნ ომარის მახლობლად და ეკუთვნოდა მოსულის მფლობელს (bd IV, 312). რაც შეეხება ქანქარს, იაკუთი მას თუმცა კი იხსენიებს, მაგრამ არ განსაზღვრავს მის ადგილმდებარეობას. ქანქარის ლოკალიზაციას ვერც ა. ბიკოვი ახერხებს. ამ დამლთ მოჭრილი დირჰემები 313, 319 და 323 წწ. თარიღდება (Монеты, №№ 2319, 2356, 2409).

¹²⁴ J. Walker, *A Catalogue of the Arab-Sassanian coins* (London, 1941), CXXXVI.

ცნობილია თაფმარას დამლით მოჭრილი მხოლოდ 166 (782-83) წ. დირჰემი.¹²⁵

جي, اصبهان ჯაჲ, ისბაჰჰანი

ჯაჲ ანუ ისბაჰჰანი (ისფაჰანი) ჯიბალის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის უდიდესი ქალაქი იყო. მის ოლქში შედიოდა 17 რუსთაკი, ხოლო თითო რუსთაკში – 360 სოფელი.¹²⁶ მონეტები იჭრებოდა როგორც ჯაჲს (185 წლამდე), ისე ისბაჰჰანის (ისფაჰანის) დამლითაც 196-326 (811-937/8) წწ. შუა. ოქროს მონეტა აქ 293 (905-906) წლიდან იჭრება.¹²⁷

ري, محمدية რაჲ, მუჰამმადიჲ

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი. რაის (რეის) მუჰამმადიჲ ეწოდა ხალიფა მუჰამმად ალ-მაჰდის საპატივსაცემოდ, რომელმაც აქ დიდი მშენებლობები ჩაატარა. რაის დამლით მონეტები იჭრებოდა 179 (795-96) წლამდე.¹²⁸ მუჰამმადიჲ მონეტებზე პირველად ჩნდება 148 (765-66) წლიდან.¹²⁹ 234 (848) წლიდან აქ იჭრება დინარები.¹³⁰

غز قزوين სულრ კაზვინი

მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჯიბალის და დეილამის საზღვართან. სულრ კაზვინის (ყაზვინის სასაზღვრო ციხის) დამლით მოჭრილი მხოლოდ 268 (881) წ. დინარი არის ცნობილი.¹³¹

قم კუმმი

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი ჯიბალში, ყაზვინსა და ისფაჰანს შორის. მონეტები აქ IX ს. 50-იან წლებიდან იჭრება. ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილი კუმმის პირველი დირჰემი 241 (855-56) წლისაა,¹³² დინარი კი 282 (895-96) წლის.¹³³ კუმმის უკანასკნელი აბასური მონეტები 382 (995-96) წ. თარიღდება.¹³⁴ ამ ხნის განმავლობაში კუმმის ზარაფხანა რეგულარულად მოქმედებდა.

¹²⁵ Монеты, № 995.

¹²⁶ Ibn al-Fakih al-Hamadani, *Kitab al-Boldan*, BGA, 5, 363.

¹²⁷ Miles, *Rare*, № 165-6.

¹²⁸ Монеты, №№ 743, 755, 756, 769, 774, 1260.

¹²⁹ Miles, *Numismatic history of Rayy*, 30.

¹³⁰ იქვე, 188.

¹³¹ Lavoix, № 1106.

¹³² C. Tornberg, *Numi cufici (Upsaliae, 1848)*, 140, № 76.

¹³³ Miles, *Rare*, № 159.

¹³⁴ جز, 187.

حک چاراهي

ბევრი ნუმიზმატიკოსი (ჰ. ნუტცელი, ჰ. ლაფუა, ო. კოდრინგტონი, რ. ფას-მერი და სხვ.) კითხულობდა ქარხს **حک** და მას ბალდადის ცნობილ სამხრეთ გარეუბანთან აიგივებდა, თუმცა ამის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი არ არსებობდა. გარეუბნები ქარხის სახელწოდებით გარდა ბალდადისა ჰქონდათ ბასრას, ქუფას, სამარას და სავადის სხვა ქალაქებს.

ჩვენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია გ. მაილსის მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს ჯიბალის ქარაჯთან,¹³⁵ რომელიც აბუ დულაფიანთა დამოუკიდებელი დინასტიის სატახტო ქალაქი იყო, ვიდრე აბასელებმა არ აღადგინეს აქ თავისი ხელისუფლება და დაიწყეს საკუთარი მონეტების ჭრა.¹³⁶ ქარაჯი მდებარეობდა ისფაჰანსა და ჰამადანს შორის. მისი პირველი დინარები 292 (904-905) წლიდან გვხვდება,¹³⁷ ხოლო დირჰემები კი 293 (905-906) წლიდან.¹³⁸ ქარაჯის უკანასკნელი მონეტები 321 (933) წლით თარიღდება.¹³⁹

ماهي مہمہ

სასანელთა ეპოქაში მჰმჰს ოლქს ქმნიდა არდელანი და მისი მთავარი ქალაქი დინავარი, აგრეთვე ნეჰავენდი და მისი რაიონი. არაბებმა დაპყრობის შემდეგ შუაზე გაყვეს ამ ოლქის შემოსავალი. არდელანიდან და დინავარიდან გადასახადებს იღებდა ქუფა, რის გამოც დინავარს ეწოდა მაჰ ალ-ქუფა, ხოლო ნეჰავენდიდან და მისი რაიონიდან კი – ბასრა, რის შედეგადაც ნეჰავენდს ეწოდა მაჰ ალ-ბასრა¹⁴⁰.

მჰმჰს დამლთ მოჭრილი მხოლოდ 299 (911-12) წ. დირჰემი არის ცნობილი.¹⁴¹

نہاوند, ماه البصرة نيشاناندي, مہمہ ال-بہسرا

მონეტები იჭრებოდა როგორც ნიჰანანდის (ნეჰავენდის), ისე მჰმჰ ალ-ბასრას დამლთ. ნიჰანანდის ფელსები გვაქვს 154 (770-71) წლიდან,¹⁴² ხოლო მჰმჰ ალ-ბასრას აღნიშვნით 262 (875-76) წლიდან ჯერ იჭრება დირჰემები,¹⁴³

¹³⁵ Miles, *Rare*, 45.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ ერმიტაჟი, კოლექცია № 996 k საინვენტარო № 488.

¹³⁸ Berdrich Augst, "Inedita ražeb Umajjovoskych a Abbasovskych ze sbirky autorovy," *Numismaticky Sbornik*, VII (1962), 66.

¹³⁹ Марков, *Инвентарный каталог*, 54, № 1025.

¹⁴⁰ В.В. Бартольд, *Историко-географический обзор Ирана* (СПБ, 1903), 129.

¹⁴¹ Монеты, № 2230.

¹⁴² იქვე, № 835.

¹⁴³ იქვე, № 2016.

შემდეგ კი 273 (886-87) წლიდან დინარებიც.¹⁴⁴ მისი ბოლო მონეტები 321 (933) წლით თარიღდება.¹⁴⁵

ماء الكوفة მანკ ალ-ქუფა

მანკ ალ-ქუფას ზარაფხანა პირველად 233 (847-48) წ. ქრის მონეტებს¹⁴⁶ და რეგულარულად მოქმედებს 262 (875-76) წლამდე. 286 (899) წლიდან აქ იჭრება ოქროს მონეტაც.¹⁴⁷

همنان ჰამაზანი

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი ჯიბალში. ჰამაზანის პირველი ფელსები 135 (752-53) წ. იჭრება,¹⁴⁸ ხოლო დირჰემები 235 (849-50)¹⁴⁹ წ., რეგულარულად ჰამაზანის ზარაფხანა მხოლოდ 270 (883-84) წლიდან ქრის დინარებს და დირჰემებს. მისი ბოლო მონეტები 326 (937-38) წლით თარიღდება.¹⁵⁰

ხუზისტანი

სავადის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ამ პროვინციაში აბასელთა ხანაში მოქმედებდნენ: აჰვანის იგივე სუკ ალ-აჰვანის, თუსთარ მინ ალ-აჰვანის, ჯუნდნ საბურის, რამ ჰურმუზის, 'ასქარ მუქარამის, სურრაკის, სუსის, მანაზირის და ნაჰრ თინას ზარაფხანები.

اهواز, سوق الاهواز აჰვანი, სუკ ალ-აჰვანი

აჰვანი იგივე სუკ ალ-აჰვანი ხუზისტანის მთავარი ქალაქი, სახმელეთო და სამდინარო ვაჭრობის დიდი ცენტრი იყო. სუკ ალ-აჰვანის დამლით მონეტები პირველად 134 (751-52) წ. ხოლო რეგულარულად 240-327 (854-938/9) წლებში იჭრება,¹⁵¹ აჰვანის დამლით კი 291-328 (903 – 939-940) წლებში. ხშირად ერთმანეთის პარალელურად გვაქვს, როგორც აჰვანის, ისე სუკ ალ-აჰვანის მონეტები. 255 (868-69) წლიდან აქ იჭრება დინარები.¹⁵²

¹⁴⁴ იქვე, № 2077.

¹⁴⁵ იქვე, № 2371.

¹⁴⁶ Allan, 196.

¹⁴⁷ كز, 186.

¹⁴⁸ Монеты, № 682.

¹⁴⁹ Tornberg, 137, № 55.

¹⁵⁰ كز, 188.

¹⁵¹ Монеты, № 670.

¹⁵² P. Casanova, *Inventaire sommaire de la collection des monnaies Musulmanes de S. A. la Princesse Ismail* (Paris, 1896, (შემდეგ Casanova), № 617.

تستر من الاهواز **თუსთარ მინ ალ-აჰვანი**

ხუზისტანის მეორე მთავარი ქალაქი, შემოკლებით თუსთარი. ეს უკანასკნელი ფორმა 165 (781-82) და 167 (783-84) წწ. ფელსებზე გვხვდება.¹⁵³ თუსთარ მინ ალ-აჰვანის დამლით კი მონეტები რეგულარულად მხოლოდ 285 (898) წლიდან იჭრება,¹⁵⁴ ჯერ დირჰემები, ხოლო შემდეგ 309 (921-22) წლიდან დინარებიც.¹⁵⁵ მისი უკანასკნელი მონეტები 325 (936-37) წლით თარიღდება.¹⁵⁶

جندي سبور **ჯუნდი საბური**

ქალაქი თუსთარის მახლობლად, მონეტები აქ მხოლოდ VIII ს. II ნახევარში იჭრება.¹⁵⁷

سرق **სურრაკი**

ხუზისტანის ერთ-ერთი სამხრეთი ოლქი. სურრაკის აბასური ზარაფხანა გამოავლინა ქართველმა ნუმიზმატიკოსმა თამარ ლომოურმა.¹⁵⁸

სურრაკის დამლით არის მოჭრილი 135 (752-53) წ. უნიკალური დირჰემი.¹⁵⁹

السوس **ას-სუსი**

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი ხუზისტანში. სუსის ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. 50-იან წლებში მოქმედებდა.¹⁶⁰

عسكر مكرم **‘ასქარ მუქარამი**

ქალაქი მდ. მესრაქანზე, თუსთარიდან ერთი დღის სავალზე.¹⁶¹ 299 (911-12) წელს აქ იჭრება ვერცხლის მონეტა.¹⁶²

¹⁵³ Miles, *Rare*, 110.

¹⁵⁴ E. Zambaur, “Contribution a la numismatique Orientale, I,” *NZ*, 36 (1904 (შემდეგ Contribution, I), 53.

¹⁵⁵ Miles, *Rare*, № 184.

¹⁵⁶ الدينار الاسلامي, 160.

¹⁵⁷ Монеты, № 668, 679, 2761, 1206.

¹⁵⁸ თ. ლომოური, „სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი“ (ხელნაწერი), № 410.

¹⁵⁹ მონეტა დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში. განძების ფონდი, № 410.

¹⁶⁰ Lavoix, № 758.

¹⁶¹ Монеты, XXVIII.

¹⁶² იქვე, № 2232.

رام هرمز რამ ჰურმუზი

სასანელთა ხანის რამ ჰორმიზდ არდაშირი,¹⁶³ ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი. აქ მოჭრილი დირჰემები 134 (751-52) წლით თარიღდება.¹⁶⁴

منادر მანაზირი

სახელწოდება ორი ნაყოფიერი რაიონისა აჰვაზის ჩრდილოეთით, მთავარი ქალაქებითურთ, რომლებსაც დიდი და პატარა მანაზირი ეწოდებოდათ. მანაზირის დამლთ მონეტები (დირჰემები) ასევე 134 წ. იჭრება.¹⁶⁵

نهر تيرى ნაჰრ თირა

ქალაქი აჰვაზიდან ერაცის მთავარ ქალაქებისკენ მიმავალ დიდ გზაზე. მისი ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. II ნახევარში მოქმედებდა.¹⁶⁶

ფარსი

ფარსში VIII-X სს. მანძილზე მონეტები იჭრებოდა: არდაშერ ხურრას, არრაჯანის, ისტახრის, ბირამკუბაზის, თავვაჯის, ჯანნაბას, ჯურის, სპაურის, სნრაჰის, შნრაზის, ჭარისის, ჭასსას და ქურათ ალ-მაჰდინა მინ ჭარისის დამლთ.

اراشير خرة არდაშერ ხურრა

ფარსის ერთ-ერთი ოლქი, არდაშერ ხურრას დამლთ VIII წ. II ნახევარში იჭრებოდა დირჰემები და ფელსები.¹⁶⁷

ارجان არრაჯანი

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი ფარსში. არრაჯანის დამლთ მოჭრილი ფელსები უკვე VIII ს. 90-იანი წლებიდან გვაქვს,¹⁶⁸ ხოლო X ს. დასაწყისიდან კი – დირჰემებიც.¹⁶⁹ რეგულარულად ის 274-323 (887-934/5) წწ. მოქმედებს. ცნობილია არრაჯანის 303 (915-16) წ. დინარიც.¹⁷⁰

¹⁶³ Walker, *A Catalogue of the Arab-Sassanian coins*, CXXXVIII.

¹⁶⁴ Монеты, № 671.

¹⁶⁵ იქვე, № 669.

¹⁶⁶ იქვე, № 672.

¹⁶⁷ Ghalib Edhem, № 295, 296; Монеты, № 1336.

¹⁶⁸ G. Miles, *Excavation coins from the Persepolis region* (New-York, 1959), 52.

¹⁶⁹ Casanova, № 437.

¹⁷⁰ سز, 186.

არრაჯანის სხვა სახელწოდება იყო ბირამკუბაჰი (برمقباد). ეს ფორმა 141 (758-59) წ. ფელსებზე გვხვდება.¹⁷¹

اصطخر ისტახრი

ისტახრის ოლქის მთავარი ქალაქი (ძველი პერსეპოლისი). მისი ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. II ნახევარში მოქმედებდა და ჭრიდა ფელსებს.¹⁷²

برمقباد ბირამკუბაჰი, იხ. არრაჯანი

ج ت თავვაჯი

ქალაქი არდაშირ ხურრას ოლქში, მდ. რატინზე, ქაზირუნის მახლობლად. თავვაჯის ზარაფხანა 132 (749-50) წ. ჭრის ფელსებს.¹⁷³

جنابا ჯანნაბა

მნიშვნელოვანი პორტი სპარსეთის ყურეში. მისი ზარაფხანა დირჰემებს ჭრიდა 299 (911-12) – 314 (926-27) წლებში.¹⁷⁴

جور ჯური

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი არდაშირ ხურრას ოლქში. VIII ს. II ნახევარში ჭრიდა ფელსებს.¹⁷⁵

سيراف სირაფი

უმნიშვნელოვანესი კომერციული ცენტრი სპარსეთის ყურეში. 305 (917-18) წელს აქ იჭრება ვერცხლის მონეტები.¹⁷⁶

¹⁷¹ Miles, *Excavation coins*, 64.

¹⁷² Монеты, № 710, 1037.

¹⁷³ Miles, *Excavation coins*, 66.

¹⁷⁴ Miles, *Rare*, № 314; Nützel, № 1679; E. Zambaur, “Contribution a la numismatique orientale, II,” *NZ*, 37 (1906), 192-94; ზოგიერთი ნუმიზმატიკოსი მონეტებზე ჯანნაბას ნაცვლად კითხულობდა جناباჰა ან جنابا — ჯაბალათას (ადგილია ბალდადის მახლობლად). ასევე შევიდა ის კოდრინგტონის ზარაფხანების სიაში (*A manual*, 151). შემდეგში ე. ცამბაუერმა დაადგინა, რომ ერთადერთი სწორი წაკითხვა იყო ჯანნაბა. *Contribution*, II, 192-94.

¹⁷⁵ Miles, *Excavation coins*, 64.

¹⁷⁶ Монеты, № 2262.

سابور სპურნი

ფარსის ერთ-ერთი ოლქი. ამ დამლით იჭრებოდა ფელსები 165 (781) – 168 (784-85) წლებში¹⁷⁷ და IX ს. დასაწყისში.¹⁷⁸

شیراز შირაზი

მთავარი ქალაქი ფარსისა. ეს დამლა პირველად 192 (807-808) წ.¹⁷⁹ ფელსებზე გვხვდება, ხოლო რეგულარულად 270 (883-84) – 322 (933-34) წლებს შუა მოჭრილ დირჰემებზე.

შირაზის უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე მთელი პროვინციის – ფარსის **فارس** (ფარსის არაბ. ფორმა) მითითებით მოჭრილი მონეტები 202 (817-18)¹⁸⁰ წლიდან 299 (911-12) წლამდე.“

فارس ქარისი იხ. შირაზი

فسا ფასსა

ქალაქი დარაბჯირდის ოლქში, დარაბჯირდსა და შირაზს შუა. მისი ზარაფხანა მონეტებს ჭრიდა 166 (782-83) და 169 (785-86) წლებში.¹⁸¹

كورة المهديّة من فارس ქურათ ალ-მაჰდიდა მინ ფარისი

ჯურის რაიონის დროებითი სახელწოდება. ფ. სორე მის ნაცვლად კითხულობდა ქურათ ალ-მუ‘აზზამს და მას მექასთან აიგივებდა.¹⁸² ასევე შევიდა ის ო. კოდრინგტონის ზარაფხანების სიაშიც.¹⁸³ სწორი წაკითხვა და ლოკალიზაცია ეკუთვნის გ. მაილსს.¹⁸⁴

ამ დამლით ხოლო 161 (777-78) წელს იჭრება ფელსები.¹⁸⁵

¹⁷⁷ G. Miles, “A brief report on the coins found in the excavation at Istakhr (1935-1937),” *Congress International de numismatique, rapports II* (Paris, 1953), 495; მისივე, *Excavation coins*, 68.

¹⁷⁸ G. Miles, “A brief report on the coins found in the excavation at Istakhr (1935-1937),” *Congress International de numismatique, rapports II* (Paris, 1953), 495; მისივე, *Excavation coins*, 68.

¹⁷⁹ Miles, “A brief report,” 495.

¹⁸⁰ *Catalogue of the coins of the numismatic cabinet belonging to J. Gerson da Cunha*, I (Bombey, 1888), 32, № 770.

¹⁸¹ Miles, *Excavation coins*, 74.

¹⁸² იქვე.

¹⁸³ A manual, 182.

¹⁸⁴ Miles, *Excavation coins*, 61.

¹⁸⁵ იქვე.

სეჯესთანი და ქირმანი

აბასური მონეტები ამ ორ პროვინციაში იჭრებოდა ზარანჯის, სიჯისთანის, სარვანჯის, ფარრას და ქირმანის დამლით.

سجستان ზარანჯი

სეჯესთანის მთავარი ქალაქის ზარაფხანა რეგულარულად VIII ს. 70-იანი წლებიდან 204 (819-20) წლამდე მოქმედებდა.¹⁸⁶ ხანგრძლივი შუალედის შემდეგ 301 (913-14) წ. აქ კვლავ იჭრება აბასური მონეტები.¹⁸⁷

ზარანჯს უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე მთელი პროვინციის – სიჯისთანის – سجستان დამლით მოჭრილი ფელსები და ღირჰემები 191 (806-807), 194 (809-10), 204 (819-20) და 305 (917-18) წლებისა.¹⁸⁸

سجستان სიჯისთანი (სეჯესთანი) იხ. ზარანჯი

ساروان სარვანი

იაკუთის ცნობით მდებარეობდა სეჯესთანში, ქ. ბუსთის მახლობლად.¹⁸⁹ 283 (897-97) წ. აქ იჭრება ვერცხლის მონეტა.¹⁹⁰

فارسე ფარრა

ქალაქი სეჯესთანში მდ. ფარრა-დურზე (თანამედროვე ავღანეთში). ჯერ-ჯერობით ცნობილია ფარრას უნიკალური დინარი, რომელიც გამოავლინა ე. როჯერს ბეიმ.¹⁹¹

كرمان ქირმანი

რეგულარულად ამ დამლით აბასური ღირჰემები 165 (781-82) – 192 (807-808) წლებში იჭრება.¹⁹²

ხორასანი

ამ უდიდეს აღმოსავლურ პროვინციაში მოქმედებდნენ აბარშაჰრის იგივე

¹⁸⁶ Монеты, 330.

¹⁸⁷ Nützel, № 1687. მანამდე კი ზარანჯში 884-85 და 907-908 წწ. საკუთარ ღირჰემებს ჭრიან საფარიანები. Марков, *Инвентарный каталог*, 105, № 6; 106, № 28.

¹⁸⁸ Монеты, № 1497, 2362; Lavoix, № 1593, 1596, Porter, 325.

¹⁸⁹ *Jacut's Geographisches Wörterbuch*, bd, III, 84.

¹⁹⁰ Porter, 324.

¹⁹¹ E. T. Rogers Bey, "Catalogue of the collection of Mohammadan coins," *NC*, III (1883), № 152.

¹⁹² Монеты, № 991, 971, 1048, 1061, 1082, 2788, 1442, 1496, 1512.

ნისაბურის, ანდარაბას, ბაზლნისის, ბალხის, ბანჯჰჰირის, სურადიკ აბარშაჰრის მარვის (მერვის) და ჰარათის (ჰერათის) ზარაფხანები.

ابره شهر, نيسابور აბარშაჰრი, ნისაბურ

მთავარი ქალაქი ამავე სახელწოდების ოლქისა, რომელიც განსაკუთრებით თაჰირიანთა¹⁹³ დროს დანიშნაურდა.

აბარშაჰრის და განსაკუთრებით მისი მეორე სახელწოდების – ნისაბურის დამლით მონეტები რეგულარულად IX ს. I მეოთხედამდე იჭრება.¹⁹⁴ მასვე უნდა დაეუკავშიროთ სურადიკ აბარშაჰრის – سرادق ابره شهر დამლით 206 (821-22) წ. მოჭრილი დირჰემებიც.¹⁹⁵

اندرابه ანდარაბა

ქალაქი ჰინდიკუმის მთავარ ქედთან, ბალხსა და ლაზნას შორის. აქ ხდებოდა ბანჯჰჰირში მოპოვებული ვერცხლის მადნის გადამუშავება. ანდარაბას ზარაფხანა მოქმედებდა 258 (871-72) წლიდან.¹⁹⁶ მისი უკანასკნელი დირჰემები 293 (905-906) წლით თარიღდება.

بازغيس ბაზღისი

რაიონი ჰერათსა და სერახს შორის. დღევანდელი ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ბაზღისის დამლით მოჭრილი მხოლოდ 271 (844-85) წლის დირჰემები არის ცნობილი.¹⁹⁷

بلخ ბალხი

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი, ინდოეთთან ვაჭრობის უდიდესი ცენტრი უძველესი დროიდან, მონეტები ბალხში სისტემატურად

¹⁹³ თაჰირიანები, რომლებიც 821 წლიდან ბატონდებიან ხორასანში, არ ფლობდნენ საკუთარი სახელით ვერცხლის და ოქროს მონეტის მოჭრის უფლებას (სიქქას). თაჰირიანთა სამფლობელოში მოჭრილი მონეტები წმინდა აბასური ტიპისაა და ამიტომაც, ხორასანის ზოგიერთი ზარაფხანა, რომელთა მოქმედება ქრონოლოგიურად თაჰირიანთა ბატონობის ხანას ემთხვევა, ჩვენ აბასელთა ზარაფხანების რიგში შევიტანეთ. ამ შემთხვევაში ვემყარებით მუსლიმური მონეტების იმ კლასიფიკაციას, რომელიც შეიმუშავა რ. ფასმერმა ნაშრომში “Два клада куфических монет,” ГИИМК, Труды нумизматической комиссии, IV (Ленинград, 1925).

¹⁹⁴ Монеты, №№ 1476, 1517, 1540, 1548, 1583, 1627, 1641, 1657, 1681, 2833, 1711, 1724, 2837.

¹⁹⁵ B. Dorn, *Inventaire des monnaies des khalifes orientaux et de plusieurs autres dynasties*, t. 2 (St. Pt., 1881), 77, № 2.

¹⁹⁶ ერმიტაჟი, კოლექცია № 939 r, საინვენტარო № 2324.

¹⁹⁷ Монеты, № 2073.

181-197 (797-812/3) წლებში იჭრება.¹⁹⁸ ხანგრძლივი შუალედის შემდეგ 253 (867) წ. კვლავ გვხვდება ბალხის აბასური დირჰემები.¹⁹⁹

بند بانه‌شیر

ახლანდელი ფიანჯშირი. განთქმული იყო მუსლიმურ სამყაროში უმდიდრესი ვერცხლის საბადოებით. პირველი აბასური მონეტები (დირჰემები) აქ 251 (865) წ. იჭრება,²⁰⁰ უკანასკნელი კი 278 (891-92) წელს.²⁰¹

بوشن بوشمانجی

ამავე სახელწოდების რაიონის მთავარი ქალაქი ჰერათის ოლქში. მისი ზარაფხანა მხოლოდ 190 (805-806) წლის ფელსებით არის ცნობილი.²⁰²

مر ماری (میری)

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი ხორასანში. მერვის ზარაფხანა ყველაზე აქტიურად მოქმედებდა ხორასანში. მისი პირველი დირჰემები VIII ს. 50-ან წლებში იჭრება,²⁰³ დინარები კი 226 (840-841) წლიდან.²⁰⁴ მერვის უკანასკნელი მონეტები 270 (883-884) წლით თარიღდება.²⁰⁵

هرات هزاراتی (ჰერათი)

ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქი ხორასანში (ამჟამად ავღანეთის ფარგლებშია). მისი ზარაფხანა მოქმედებდა 192-206 (807-822) წლებში და ჭრიდა ვერცხლის მონეტებს.²⁰⁶

მავერანნაჰრი

აბასელთა ბატონობის ხანაში მავერანნაჰრში მოქმედებდნენ ახსიქათის, ბუხარას, სამარკანდის, აშ-შაშის, ჭარლანას, და მა'დინ აშ-შაშის ზარაფხანები.

¹⁹⁸ ამ მონეტების კორპუსი მოცემული აქვს ვ. ტიზენგაუზენს, *Монеты*, 327.

¹⁹⁹ Марков, *Инвентарный каталог*, 102, № 104.

²⁰⁰ G. Miles, "Trésor de dirhems du IXe siècle," *Memoires de la Mission Archeologique en Iran*, t. 38 (Paris, 1960), 90.

²⁰¹ Монеты, № 2107.

²⁰² Contribution, I, 70-71.

²⁰³ Монеты, № 702.

²⁰⁴ Rogers Bey, "Catalogue of a collection," № 114.

²⁰⁵ Монеты, № 2066.

²⁰⁶ Монеты, 340.

اخصيكت ახსიქათი (ახსიქეთი)

ფარღანას ოლქის მთავარი ქალაქი მდ. სირ-დარიის მარჯვენა ნაპირზე, მდ კასან-საის შესართავთან. ცნობილია ახსიქათის 144 (761-62) წ. ფელსები.²⁰⁷ მასვე უნდა დაუკავშიროთ ასევე მთელი ოლქის – ფარღანას فرغان დამლით 204 (819-20) წ. მოჭრილი ფელსებიც.²⁰⁸

بخارا ბუხარა

მავერანნაჰრის უმნიშვნელოვანესი ქალაქი მდ. ზერავშანის ქვემო დინებაზე. დიდი სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციული ცენტრი. აბასური მონეტები აქ 138 (755-56) წლიდან იჭრება, ჯერ ფელსები,²⁰⁹ ხოლო შემდეგ 193 (808-809) წლიდან დირჰემებიც.²¹⁰ მისი უკანასკნელი მონეტები 211 (826-27) წლით თარიღდება.²¹¹

سمرقند სამარკანდი

სოლდის მთავარი ქალაქი, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. IX ს. მანძილზე აქ რეგულარულად იჭრება აბასური მონეტები. ჯერ დირჰემები, ხოლო 247 (861-62) წლიდან დინარებიც.²¹² სამარკანდის (სამარყანდი) უკანასკნელი აბასური მონეტები 279 (892-93) წლით თარიღდება.²¹³

الشاش აშ-შაში

ოლქი სირ-დარიის მარჯვენა ნაპირზე. მის ქვეშ ესმოდათ მდ. ჩირჩიკის დაბლობი.²¹⁴ შაშის მონეტების მოჭრის ადგილად ამ ოლქის მთავარი ქალაქი ბინქეტი უნდა მივიჩნიოთ. აშ-შაშის დამლით აბასური მონეტები (დირჰემები და ფელსები) VIII ს. 80-იანი წლებიდან IX ს. 90-იან წლებამდე იჭრებოდა, 251 (865) წლიდან გვხვდება შაშის დინარებიც.²¹⁵

²⁰⁷ იქვე, № 732.

²⁰⁸ Lavoix, № 1596.

²⁰⁹ Монеты, № 696.

²¹⁰ იქვე, № 1544-1545.

²¹¹ Марков, *Инвентарный каталог*, 99, № 31.

²¹² Allan, 196.

²¹³ Lane-Poole, *Catalogue*, IX, 70, № 372¹.

²¹⁴ В. Бартольд, “Туркестан в эпоху монгольского нашествия,” *Сочинения*, I (Москва, 1963), 226.

²¹⁵ 𐰽𐰺, 185.

فرغانة **ქარლანა იხ. ახსნიქათი**
معادن الشاش **მა'დინ აშ-შაში**

არაბი ავტორები ამ სახელწოდების პუნქტს შაშის ოლქში არ ასახელებენ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მის ქვეშ იგულისხმებოდა „ვერცხლის საბადო“ (ან ვერცხლის მთა). ამ ადგილს ბინქეტიდან ერთი დღის სავალზე, ანდა 7 ფარსახზე იხსენიებენ არაბი ავტორები (იბნ ხორდადბეჰი, კუდამა, მუკადდასი).²¹⁶ მა'დინ აშ-შაშის (შაშის საბადოს) დამლით მოჭრილი 180 (796-97), 189 (804-805), 190 (805-806), 194 (809-810) და 218 (833) წწ. დირჰემები არის ცნობილი.²¹⁷

ტაბარისტანი და გილანი

ამ კასპიისპირა პროვინციებში მონეტები იჭრებოდა აშულის, ტაბარისტანის და ფირიმის დამლით.

آمل აშული

ტაბარისტანის მთავარი ქალაქი. ცნობილია აშულის დამლით მოჭრილი მხოლოდ 168 (784-85) წლის ფელსები.²¹⁸

მასვე უნდა დაეუკავშიროთ აგრეთვე VIII ს. II ნახევარისა და IX ს. პირველი ათეულ წლებში მთელი პროვინციის ტაბარისტანის آمل – მითითებით მოჭრილი დირჰემები და ფელსებიც.²¹⁹

طبرستان **ტაბარისტანი იხ. აშული**

فريم ფირიმი

ქალაქი გილანის მთიან ნაწილში, დეილამში – კარინის მთებში.²²⁰ ცნობილია ფირიმის დამლით მოჭრილი მხოლოდ 225 (839-40) წ. დირჰემები.²²¹

ჯურჯანი და კუმისი

ამ პროვინციებში მონეტების ჭრას მეტად იშვიათი ხასიათი ჰქონდა. ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილია საკუთრივ ჯურჯანის جرجان დამლით 187

²¹⁶ Баргольд, “Туркестан,” 228-29.

²¹⁷ Монеты, № 1281, 1462, 1478, 2820; Tornberg, 132, № 18.

²¹⁸ Rogers Bey, “Catalogue of a collection,” № 509.

²¹⁹ Lane-Poole, Catalogue, IX, 43, № 56^d; Монеты, № 1477, 1511, 1495.

²²⁰ Jacut's Geographisches Wörterbuch, bd III, 890.

²²¹ Марков, Инвентарный каталог, 100, № 66.

(802-803) წ. მოჭრილი დირჰემები²²² და კუმისის قوسم მითითებით მოჭრილი უთარილო ფელსები ჰარუნ არ-რაშიდის ხანისა.²²³

ერაყში, ხორასანში, ქირმანში, ფარსში, ჯიბალში, და მავერანნაჰარში ზოგჯერ მონეტები იჭრებოდა ორი ზარაფხანის მითითებითაც. ამ მონეტებზე (ჩვეულებრივ დირჰემებზე) ავერსზე ცენტრალური ზედწერილის ქვემოთ აღნიშნულია *მაშრიკი* مشرق – აღმოსავლური პროვინციების კრებითი სახელი. ასეთებია: ბასრას (204 წ.),²²⁴ სამარკანდის (193, 199, 200, 202 და 203-205 წწ.),²²⁵ ისბაჰანის (200, 202, 203 და 204 წწ.),²²⁶ მუჰამადიას (198, 203-204 წწ.),²²⁷ ნისაბურის (200-201 წწ.),²²⁸ ზარანჯის (199 წ.),²²⁹ ფარისის (203 წ.)²³⁰ და მარვის (199 წ.) დირჰემები.²³¹

აზერბაიჯანი

აბასელთა დროს აზერბაიჯანში მონეტები იჭრებოდა აზარბაიჯანის, არდ-აბილის, მარაღას და ხუნას დამლით.²³²

ازبيجان აზარბაიჯანი ის. არდაბილი

اردييل არდაბილი

აზერბაიჯანის მთავარი ქალაქი არდაბილის დამლით მოჭრილი 286 (899), 322 (933-34) და 323 (934-35) წწ. დირჰემები,²³³ აგრეთვე 311 (923-24), და 318 (930) წწ. დინარები²³⁴ არის ცნობილი.

²²² Монеты, № 1417.

²²³ S. Lane-Poole, *Catalogue of the collection of Arabic coins in the Khedivial library at Cairo* (London, 1897), 121, № 865.

²²⁴ Монеты, № 1417.

²²⁵ იქვე, № 1535, 1696, 1725, 1730, 1673, 1743, 1762, 1776.

²²⁶ იქვე, № 1707, 1720, 1731-1732, 1746, 1767.

²²⁷ იქვე, № 1762, 1745, 1756.

²²⁸ Lavoix, 227; Монеты, № 1724.

²²⁹ Монеты, № 2839.

²³⁰ იქვე.

²³¹ იქვე, № 1698.

²³² შესაძლებელია რომ ზარაფხანა მოქმედებდა ქ. ურმიაშიც, მაგრამ ურმიას გრაფიკული მოხაზულობა *არამია* იმდენად წააგავს არმინიას — *არმინია*, რომ იმ შემთხვევაშიც კი როცა მონეტაზე აშკარად იკითხება ურმია (მაგ. 293 წ. ერთ დირჰემზე, Монеты, № 2194), მაინც ფიქრობენ, რომ ის შესაძლოა დამახინჯებული არმინია იყოს. ჯერჯერობით უეჭველი საბუთი ურმიას ზარაფხანის მოქმედების შესახებ არ გავაჩნია.

²³³ Lane-Poole, *Catalogue*, IX, 72, № 381¹; Ahmed Ziya, № 604, 605.

²³⁴ Lavoix, № 1115; Miles, *Rare*, № 190.

არდაბილსვე უნდა დაფუკავშიროთ ის მონეტებიც, რომლებზედაც აზარბაიჯანი انبيجان არის აღიშნული. ასეთებია: 166 (782-83), 167 (783-84), 169 (785-86), 238 (852-53), 244 (858-59), 258 (871-72), 316 (928-29) ნ. დირჰემები²³⁵ და 272 (885-86) ნ. დინარები.²³⁶

خونه سُنْ

ქალაქი მარალა-არდაბილის გზაზე. ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილია ხუნს 301 (913-14) ნ. ფელსი, რომელსაც დინარის დამლა არტყია.²³⁷

مرغ مარالا

აზერბაიჯანის მეორე ქალაქი თავისი მნიშვნელობით. მისი ზარაფხანა მხოლოდ VIII ს. II ნახევარში მოქმედებდა. მარალას 176 (792-93) ნ. ფელსი გამოქვეყნებული აქვს აჰმედ ზიას.²³⁸

ზემოთ განხილული ზარაფხანების განლაგებაზე და მათი მოქმედების ხასიათზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხანგრძლივად და რეგულარულად მოქმედებდნენ მხოლოდ მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრებში, ანდა უფრო იშვიათად დიდ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში განლაგებული ზარაფხანები. სხვა რიგის ქალაქებში ზარაფხანების მოქმედება და მონეტების ჭრა მცირე ხნით შემოიფარგლება.

ძირითადად ადმინისტრაციულ ცენტრებთან ზარაფხანების დაკავშირება შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც აღნიშნული გვექონდა, ადგილებზე მონეტების ჭრა ამირების კომპეტენციაში შედიოდა. ისინი პასუხისმგებელი იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე მოეჭრათ დადგენილი ტიპის და წონის მონეტები. ამიტომაც ამირები ამჯობინებდნენ ზარაფხანების გამართვას სარეზიდენციო ქალაქებში.

არმინია

ამიერკავკასიაში არაბთა დაპყრობით ომებს, როგორც ცნობილია, შედეგად მოჰყვა აქ ვრცელი ადმინისტრაციული ერთეულის არმინიის შექმნა, რომელმაც გააერთიანა სომხეთის უდიდესი ნაწილი, არრანი და აღმოსავლეთ საქართველო (არაბ. ჯურზანი).

არმინიაში აბასელთა ხანაში მონეტები იჭრებოდა არრანის ან მადინათ

²³⁵ Монеты, № 993, 1028, 1063-1064, 1897, 1924, 1997, 2334.

²³⁶ Lavoix, № 995.

²³⁷ Монеты, № 2240.

²³⁸ Ahmed Ziya, № 2065.

არრანის, არმინიას, ბაბ ალ-აბვაბის (დარუბანდის), ბაჯუნაისის, ბადლსის (ბითლისის), ბარზა'ას (ბარდავის), თაფლსის (თბილისის), დაბნლის (დვინის), მა'დინ ბაჯუნაისის, ჰარუნაის ან ჰარუნაბადის და ალ-აზიდნას დამლით.²³⁹

ارمينيا არმინია

ცნობილია, რომ გამოჩენილმა საბჭოთა ნუმისმატიკოსმა ე. პახომოვმა მონეტები „არმინიას“ დამლით შეიტანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქრილი მონეტების რიცხვში.

ე. პახომოვი მონეტების არმინიას გეოგრაფიულ არედ მთელ პროვინციას მიიჩნევდა.

მონეტების ჭრის იმდროინდელი იოლი ტექნიკის გათვალისწინებით ე. პახომოვი ვარაუდობდა, რომ ამ დამლით მონეტების ჭრა შესაძლოა სავლეთ პირობებშიც ხდებოდა და პროვინციის მმართველის ადგილგადანაცვლებასთან, მის დროებით ადგილსამყოფელთან იყო დაკავშირებული.²⁴⁰ ამდენად მათი მოჭრის ადგილი შეიძლება ყოფილიყო არა მარტო დვინი, პროვინციის თავდაპირველი მთავარი ქალაქი, არამედ სხვა პუნქტებიც. ეს განსაკუთრებით ბარდავზე ითქმის,²⁴¹ რომელიც დაახ. 789 წლიდან არმინიის ვალიების მთავარი რეზიდენცია გახდა.

ზარაფხანების სავალე პირობებში მოქმედების შესაძლებლობას ე. პახომოვის ვარაუდით ადასტურებენ ორ-ზარაფხანანი, კერძოდ კი ჰიჯრის 168-169 წწ. ჰარუნაბად-არმინიას და 267-270 წწ. და 277 წ. ბარზა'ა-არმინიას დირჰემები.²⁴² ეს უკანასკნელი ე. პახომოვის აზრით მიუთითებდნენ იმას, რომ „არმინიას“ დამლით მონეტები ბარდავში იჭრებოდა, მაგრამ რა დროიდან, ამას განსვენებული მეცნიერი ვერ საზღვრავდა.²⁴³

ე. პახომოვის ეს შეხედულება გაიზიარა სომეხმა ნუმისმატიკოსმა ხ. მუშელიანმა.

მას მართალია მიაჩნია, რომ: “В географическом смысле наличие такого штампа (ე.ი. “Армения” – გ.ჯ.) на монетах Халифата указывает на общепризнан-

²³⁹ აღმ. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოქმედებდა როგორც ჩანს 233 (837-837) წ. არდ ალ-ხაზარის (ارض الخزر) ზარაფხანაც. მაგრამ, ვინაიდან ამ დამლით მონეტებს ჭრიდა არა ცენტრალური ხელისუფლება, არამედ კერძო პირები, ანდა როგორც ე. პახომოვი აღნიშნავს „საზოგადოებრივი ორგანიზაციები“ (*Монеты Азербайджана*, т. 2 (Баку, 1963), 130-32), აბასელთა ზარაფხანების საერთო სიაში ის ჩვენ არ შეგვაქვს.

²⁴⁰ Е. Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. I (Баку, 1959), 40.

²⁴¹ იქვე, 41.

²⁴² იქვე.

²⁴³ Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 2, 142.

ный центр Армении, которым был Двин”,²⁴⁴ ამავე დროს ფიქრობს, რომ “При Абасидах дирхемы с обозначением “Арминия” могли чеканиться не только в Двине, но и в городе Берда’а, главном центре Аррана, а также в других городах области Арминия...”²⁴⁵

ე. პახომოვის და ხ. მუშელიანის მოსაზრება „არმინიას“ დამლით მონეტების სხვადასხვა ადგილზე ჭრის შესახებ გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

ცხადია ორ-ზარაფხანიანი მონეტები მონმოებენ, რომ გარკვეულ შემთხვევაში არმინიას დამლით მონეტები დვინის გარდა სხვადასხვა ქალაქებშიც იჭრებოდა, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს იგივე დავუშვათ მხოლოდ არმინიას დამლით მოჭრილი მონეტების მიმართაც.

ზარაფხანების საველე პირობებში მოქმედების შესაძლებლობა საყურადღებოა, მაგრამ ის არაბთა ბატონობის ხანაში არც მონეტებზე და არც წერილობით წყაროებში არ დასტურდება.²⁴⁶ მართალია მონეტებს ჭრიდნენ სახელდახლოდ შექმნილ სამხედრო ბანაკებში (მაგ. მადინათ ალ-მუვაფფაკიაში), მაგრამ ამ პრაქტიკას ხანგრძლივი ხასიათი არ ჰქონია.

მხოლოდ არმინიას დამლით მონეტები ხანგრძლივი დროის მანძილზე (VIII-X სს.) სისტემატურად იჭრებოდა. ზარაფხანების ხანგრძლივი და რეგულარული მოქმედება კი გარკვეულ ქალაქებთან, უფრო ხშირად მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრებთან იყო დაკავშირებული.

არაერთხელ აღვნიშნეთ ისიც, რომ მონეტებზე მთელი პროვინციის ან ოლქის მითითების დროს მოჭრის ადგილად მისი მთავარი ქალაქი უნდა ვიგულისხმოთ.

ამრიგად არის საფუძველი, რომ მონეტები მხოლოდ არმინიას დამლით ერთ გარკვეულ ქალაქს დავუკავშიროთ.

ე. პახომოვის და ხ. მუშელიანის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ქალაქი დვინის გარდა შეიძლება იყოს არმინიის ნებისმიერი პუნქტი და განსაკუთრებით კი ბარდავი, რომელიც პროვინციის მთავარ ქალაქად გადაიქცა.

საკითხის სწორად გადაჭრისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გაირკვეს, თუ რა გეოგრაფიულ არეს მოიცავს მონეტებზე აღნიშნული არმინია.

²⁴⁴ X. Мушегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным* (Ереван, 1962), 22.

²⁴⁵ იქვე.

²⁴⁶ ამის მაგალითები გვაქვს ოქროს ურდოს, ირანის და ოსმალეთის ისტორიიდან, მაგრამ არა სახალიფოში. ორ-ზარაფხანიანი მონეტები ამის დამადასტურებლად არ გამოდგება. ზემოთ ჩვენ ჩამოვთვალეთ ერთი და იმავე წლის ორ-ზარაფხანიანი ბასრა-მასრიკის, სამარკანდ-მასრიკის, ისბაჰან-მასრიკის, მუჰამმადია-მასრიკის და სხვ. მონეტები. ეს ქალაქები სხვადასხვა მმართველებს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ერთი მმართველის შემთხვევაშიც ძნელი საფიქრებელია, რომ მათი ჭრა მმართველის მუდმივ გადაადგილებასთან ყოფილიყო დაკავშირებული ასეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე (ბასრადან-სამარყანდამდე).

ამისათვის საჭიროა გაიმიჯნოს ორ-ზარაფხანიანი მონეტები (არმინნა ბარჯა'ა და არმინნა ჰარუნაბადი) და მონეტები მხოლოდ არმინნას დამლით.

პირველ შემთხვევაში არმინნა უეჭველი პროვინციის მნიშვნელობით იხმარება, ვინაიდან როგორც ბარდავი ისე ჰარუნაბადი სომხეთის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ, მაგრამ მეორე შემთხვევაში მონეტებზე მხოლოდ „არმინნას“ დამლის ქვეშ ვფიქრობთ მარტო სომხეთი იგულისხმება.

ჩვენი მოსაზრება შეიძლება დავასაბუთოთ მონეტების და წერილობითი წყაროების მონაცემებით.

არმინნას გეოგრაფიული არე რომ სომხეთია, ეს კარგად საჯიანთა მონეტებზე ჩანს. სომეხი ბაგრატუნების წინააღმდეგ მეზობლ იუსუფ იბნ აბუ საჯის სახელი არმინნას მონეტებზე მხოლოდ 298 (910-11) წლიდან ჩნდება,²⁴⁷ საჯი ამირას მიერ სომხეთის მორბევის და დვინის დაკავების შემდეგ.²⁴⁸

საყურადღებოა არმინნას დამლით მოჭრილი იუსუფ იბნ აბუ საჯის სარდლის დაისამ იბნ იბრაჰიმ ალ-ქურდის 330 (941-42) წ. დირჰემიც.²⁴⁹ ცნობილი საბჭოთა ნუმიზმატიკოსი ა. ბიკოვი ამ შემთხვევაში არმინნას გეოგრაფიულ არედ სამართლიანად გულისხმობს სომხეთს, ვინაიდან პროვინცია არმინია ამ პერიოდში ფაქტიურად აღარ არსებობდა და მოჭრის ადგილს ქ. დვინს უკავშირებს.²⁵⁰

მით უმეტეს 961-963 წლებში, როცა ბუვეიჰელი გამგებლის რუქნ ადდავლას სახელით კვლავ იჭრება დინარები არმინნას დამლით,²⁵¹ არმინიის პროვინციაზე საუბარი აღარ შეიძლება. როგორც წინა შემთხვევაში, აქაც არმინნას გეოგრაფიულ არედ სომხეთი უნდა მივიღოთ.

არაბულ წერილობით წყაროებშიც არმინნა არა მარტო დიდი პოლიტიკური ერთეულია, ის სომხეთსაც აღნიშნავს. ამ მნიშვნელობით ხმარობენ მას მაგ., ალ-ისტახრი²⁵² და იბნ ჰაუკალი.²⁵³

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მონეტებზე მხოლოდ არმინნას დამლა გულისხმობდა არა პროვინციას, არამედ

²⁴⁷ P. Фасмер, “О монетах саджидов,” *Известия общества обследования и изучения Азербайджана*, № 5 (1928), 32; ҟ, 189.

²⁴⁸ ამ ხანის პოლიტიკური ვითარების შესახებ იხ. З. Буниатов, *Азербайджан в VII-IX вв.* (Баку,), 213.

²⁴⁹ А. Быков, “Дайсам ибн Ибрахим ал-Курди и его монеты,” *ЭВ*, X (1955), 15.

²⁵⁰ იქვე.

²⁵¹ ҟ, 191-92. ეს მონეტები საბჭოთა ნუმიზმატიკოსების ნაშრომებში ჯერჯერობით არ ასახულა.

²⁵² BGA, I, 188.

²⁵³ Ibn Haukal, *Opus Geographicum*, II, 155.

სომხეთს. აქედან გამომდინარე არმინიას მონეტების მოჭრის ყველაზე შესაძლებელ ადგილად ქ. დვინი გვევლინება და არა სხვა რომელიმე პუნქტი პროვინციისა (მაგ., ბარდავი).

მოჭრის ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში სცილდება დვინს, როცა არმინიას მონეტებზე აღნიშნულია მეორე ზარაფხანაც.

აბასური მონეტები არმინიას დამლით (მხოლოდ და მხოლოდ დირჰემები) რეგულარულად VIII-IX ს. მანძილზე იჭრებოდა, შედარებით ფრაგმენტულად კი X ს. I ნახევარში. ამ ხანებში არმინიას დამლით მონეტებს საჯიანთა საგვარეულოს ამირებიც ჭრიან. აბასური და საჯი ამირების მონეტები ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან და ეს კარგად მიუთითებს ამ ორი ფეოდალური დაჯგუფების დაპირისპირებაზე ამ ოლქში.

არმინიას უკანასკნელი აბასური მონეტები 332 (943-44) წლით თარიღდება.²⁵⁴

بيلى دابىلى (დვინი)

არმინიის პროვინციის ამ თავდაპირველ მთავარ ქალაქს ვალიების რეზიდენციის ბარდავს გადატანის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ირკვევა, რომ დიდი ხნის მანძილზე ის მეორე რეზიდენციის როლს ასრულებდა.²⁵⁵

IX ს. უკანასკნელ მეოთხედში ქალაქს ხელი დაადვეს სომეხმა მეფეებმა, მაგრამ ეს ხელს არ უნდა უშლიდეს აქ აბასური მონეტების ჭრას არმინიას მითითებით. ბაგრატიუნებს სრული დამოუკიდებლობა არ ჰქონდათ მოპოვებული. ისინი საკუთარ მონეტას არ ჭრიდნენ, ხოლო ქვეყანას ფულის ნიშნები ესაჭიროებოდა.

საკუთრივ დაბილის (დვინის) დამლით ცნობილია 182 (798-9), 185 (801), 187 (802-803), 189 (804-805), 194 (809-810),²⁵⁶ 250 (864-65)²⁵⁷ წწ. მოჭრილი ფელსები და 240 (854-55) წ. უნიკალური დირჰემი, რომელიც ჯ. ალლენმა გამოსცა.²⁵⁸

مدينة اران, اران არრანი, მადინათ არრანი

ე. პახომოვი ამ შემთხვევაშიც ყურადღებას აქცევდა ზარაფხანების საველე პირობებში მოქმედების პრინციპს. მას არრანის მონეტების მოჭრის

²⁵⁴ Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 2, 155.

²⁵⁵ А. Тер-Гевондян, “К вопросу о возникновении Двинского Эмирата в Армении,” *Исследования по истории культуры народов Востока* (Ленинград, 1960), 134.

²⁵⁶ Мушегян, *Денежное обращение*, 70-75, № 45-46, 52, 58, 69.

²⁵⁷ Berdrich Augst, “Inedita razeb,” 66.

²⁵⁸ Allan, 195.

შესაძლებელ ადგილად ერთნაირად მიაჩნდა განჯა, ბაილაკანი ანდა ბარდავი, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებდა.²⁵⁹

მონეტის საველე პირობებში ჭრისა და ზარაფხანების რეგულარულად ხანგრძლივი მოქმედების შესახებ ჩვენი შეხედულება ზემოთ უკვე იყო ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე არრანის, ისევე როგორც მადნათ არრანის (არრანის ქალაქი) მონეტებს ჩვენ ვუკავშირებთ ამ ოლქის მთავარ ქალაქს ბარდავს.

არრანის და მადნათ არრანის დამლით იჭრებოდა მხოლოდ დირჰემები და ფელსები. არრანი მონეტებზე იკითხება 197 (802-803) წლამდე, ხოლო შემდეგ კი 220 (835) წლამდე მონეტებზე აღინიშნება მადნათ არრანი.²⁶⁰

بازا بزرگ (ბარდავი)

არრანის მთავარი ქალაქი და არმინიის ვალების რეზიდენცია – ბარდავი საერთაშორისო ვაჭრობის უდიდესი საკვანძო ცენტრი იყო ა/კავკასიაში.

ბარდავი პირველად VIII ს. ფელსებზე აღინიშნება ზარაფხანად.²⁶¹ 267 (880-881) წლიდან ბარდავის მითითებით იჭრება ვერცხლის მონეტებიც. თავდაპირველად ამ მონეტებზე აღნიშული იყო აგრეთვე მთელი პროვინცია – არმინია²⁶².

318 (930-31) წ. ბარდავის ზარაფხანა, პირველად ა/კავკასიაში, ჭრის აბასურ ოქროს მონეტას. ამ წლის უნიკალური დინარი გამოაქვეყნა გ. მაილსმა.²⁶³ აბასელ ხელისუფლებთან ერთად IX ს. მიწურულიდან და X ს. I ნახევარში ბარდავი მონეტებს ჭრიან საჯიანთა საგვარეულოს ამირებიც.

الباب ال-بازي (დარუბანდი)

ბარდავის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქი აღმ. ამიერკავკასიაში, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო და სტრატეგიული ცენტრი.

დარუბანდი ომაელთა დროს მონეტების ჭრის ერთ-ერთი აქტიური ცენტრი იყო. აბასელთა ხანაში მან დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა. ნუმისმატიკოსებისთვის ცნობილია მხოლოდ VIII ს. II ნახევრის დარუბანდის ფელსები.

²⁵⁹ Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 1, 41, 44, 45.

²⁶⁰ ამ მონეტების შესახებ იხ. Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 1 და 2.

²⁶¹ Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 1, 60, 61, 72, 73, 76.

²⁶² Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 2, 142, 144, 146.

²⁶³ Miles, *Rare*, № 191.

باجنيس ბაჯუნაისი

معنن باجنيس მა'დინ ბაჯუნაისი

მონეტების ქრის ამ ორ ცენტრს, რომელთა ადგილმდებარეობა ზუსტად დაუდგენელია, ჩვენ ერთად მოვიხსენიებთ.

ბაჯუნაისის ზარაფხანა მხოლოდ 160 (776-77) წ. მოჭრილი დირჰემებით არის ცნობილი,²⁶⁴ მა'დან ბაჯუნაისის ზარაფხანა კი მოქმედებდა 199-214 (814-829/30) წწ. და ქრიდა აგრეთვე ვერცხლის მონეტებს.

იაკუთის ცნობით ბაჯუნაისი იყო ძველი ქალაქი ხლათის ოლქში. აქ მოიპოვებოდა ანდარანის მარილი, მაგნიუმი, სპილენძი და სხვ. მადნები.²⁶⁵ საბადოებით მდიდარ რაიონად წარმოგვიდგენს ბაჯუნაისის X ს. გეოგრაფი აბუ დულაფი.²⁶⁶

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა ამ პუნქტის შესახებ. სომეხი მეცნიერი ლაზარიანი ამტკიცებდა, რომ არაბული ბაჯუნაისი იყო იგივე ვაჯუნუნიკის ოლქი ტურუბერანში, მანასკერტის დასავლეთით და ხლათის ჩრდილოეთით.²⁶⁷ რ. ფასმერის მიერ გამოქვეყნებულ 192 (807-808) წ. ერთ დირჰემზე იკითხება (باجنيس) – ბაჯუნაისი (ანდა ბაჯუნისი), ეს უკანასკნელი კი შეესაბამება სომხურში ვაჯუნუნიკის ბრალდებით ბრუნვას – ვაჯუნისის და ამდენად ეთანხმება ლაზარიანის აზრს ამ ორი სახელწოდების იდენტურობის შესახებ. თვით რ. ფასმერი მონეტაზე ამ ფორმის გაჩენას მონეტის მჭრელი ოსტატის სომხურ წარმოშობას მიაწერდა.²⁶⁸

ვ. მინორსკი ფიქრობდა, რომ ბაჯუნაისის ქვეშ შეიძლებოდა ორი ოლქი გვეგულისხმა: აპაჰუნუნიკი, რომლის ცენტრი იყო მანასკერტი და ბზუნუნიკი, რომელიც ხლათის ოლქის სომხური სახელწოდება იყო.²⁶⁹ ამ უკანასკნელ მოსაზრებას იზიარებენ პ. ბულგაკოვი და ა. ხალიდოვი.²⁷⁰

არაბ გეოგრაფთა სამარშრუტო გზებზე და მით უმეტეს მა'დინ ბაჯუნაისი (ბაჯუნაისის საბადო) არ მოიხსენიება.²⁷¹ ჩვენ ჯერჯერობით ღიად ვტოვებთ მათი ლოკალიზაციის საკითხს.

²⁶⁴ Lavoix, № 697.

²⁶⁵ *იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ*, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ (თბილისი, 1964), 25.

²⁶⁶ *Вторая записка Абу Дулафа*, изд. текста, пер., введение и комментарии П.Г. Булгакова и А.Б. Халидова (Москва, 1960), 39.

²⁶⁷ Фасмер, “Два клада Куфических монет,” 29.

²⁶⁸ იქვე.

²⁶⁹ *Abu Dulaf Mis'ar Ibn Muhallil's travels in Iran*, Arabic text with an English translation and commentary by V. Minorsky (Cairo, 1955), 77.

²⁷⁰ *Вторая записка Абу Дулафа*, 80, შენიშვნა 113.

²⁷¹ აკად. გ. წერეთლის აზრით ბაჯუნაისი ბიჯნისია (არაბულ-ქართული ლექსიკონი (თბილისი, 1951), 24). ბიჯნისი მდებარეობდა დვინის ჩრდილოეთით, მდ. ზანგის შუა დინებაზე (დღევანდელი ახტის რაიონში).

بديس ბადლისი (ბითლისი)

ქალაქი ხლათის მახლობლად. მისი ზარაფხანა მხოლოდ 301 (913-14) წელს მოჭრილი დირჰემებით არის ცნობილი.²⁷²

تفليس თაფლისი (თბილისი)

თბილისი, რომელიც VIII ს. 30-იანი წლებიდან არაბთა საამიროს ცენტრს წარმოადგენდა, აბასელთა ხანაში აღმ. ამიერკავკასიის მესამე ქალაქი იყო თავისი სიდიდით. ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილი პირველი აბასური მონეტა თბილისში 210 (825-26) წ. იჭრება, მაგრამ შედარებით რეგულარულად თბილისის ზარაფხანა მხოლოდ 248-331 (862-942/3) წწ. მოქმედებდა.²⁷³

342 (953-54) წლიდან თბილისში მონეტებს ჭრიან ჯაფარიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი დამოუკიდებელი ამირები.²⁷⁴

الهرون اباد, هرونية, ჰარუნია, აღ-ჰარუნაბადი

ნუმიზმატიკოსებისთვის ცნობილია 168-171 (784/5-787/8) წწ. მოჭრილი დირჰემები, რომლებზედაც ზარაფხანად ჰარუნია ანდა ჰარუნაბადი არის აღნიშნული.²⁷⁵ ეს ორი სახელწოდება, როგორც ხ. ფრენმა დაადგინა, ერთმანეთის იდენტურია.²⁷⁶

ამ მონეტების ნაწილზე, რევერსზე იკითხება მეორე ზარაფხანა არმინია.²⁷⁷

არაბი გეოგრაფები ამ დასახელების ადგილებს არმინიის პროვინციაში არ იხსენიებენ. ჰარუნია იყო ქალაქი სირიის სასაზღვრო ოლქში – ავასიმში, მარააშის მახლობლად, ლუქქამის მთასთან.²⁷⁸ წერილობით წყაროებში უცნობია, რომ არმინიის ვალის ხელისუფლება ასე შორს, ამ რაიონზეც გავრცელებულიყო, მაგრამ გასათვალისწინებელია მონეტების მონაცემებიც. არ არის გამორიცხული, რომ ჰარუნია-ჰარუნაბადის სახელწოდებით არმინიაშიც იყო რაიმე პუნქტი, მაგრამ არ აისახა არაბ ავტორთა ცნობებში. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ სირიაში აბასელთა ბატონობის ასე ადრეულ ხანაში, დამასკოს გარდა სხვა ზარაფხანები მეტად იშვიათად ჭრიან ვერცხლის მონეტას.

²⁷² Монеты, № 2898.

²⁷³ Е. Пахомов, *Монеты Грузии*, т. 1 (СПБ, 1910), 41-49; დ. კაპანაძე, „თბილისური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“, *თბილისის სახ. მუზეუმის მოამბე*, XII (1944).

²⁷⁴ Пахомов, *Монеты Грузии*, 49.

²⁷⁵ Монеты, № 1051, 1076-1077, 1088-1090.

²⁷⁶ დამონებული გვაქვს ვ. ტიზენგაუზენის მიხედვით, Монеты, XXXI.

²⁷⁷ Монеты, № 1051, 1076.

²⁷⁸ *Jacut's Geographisches Wörterbuch*, bd IV, 945.

اليزيدية **ალ-აზიდია**

ალ-აზიდიას დამლთ მოჭრილი მხოლოდ VIII ს. II ნახევრის ფელსები არის ცნობილი.²⁷⁹

იაკუთი გადმოგვცემს, რომ იაზიდია ქ. შემახია²⁸⁰ იყო (შირვანში). „დერ-ბენდ-ნამე“ მის დაარსებას არმინიის ვალის იაზიდ იბნ უსეიდს მიაწერს.²⁸¹ ეს უკანასკნელი კი მმართველად 751-753 წლებში ჩანს.²⁸²

ე. პახომოვი შენიშნავდა, რომ შემახიის რაიონში არქეოლოგიურმა დაზვერვამ არაბული ქალაქის ნაკვაღევი არ გამოავლინა და თუ იაკუთის ცნობა სწორია, იაზიდია შემახიიდან 1 1/2 კმ-ზე, გულისტანის ციხის ნანგრევების რაიონში უნდა ვეძიოთ.²⁸³

აბასელთა სახალიფოს ზარაფხანების განხილვის შემდეგ შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ მათი განლაგების და მოქმედების ხასიათი დიდად განსხვავდებოდა ომაურისაგან.

ომაელთა ხანაში ოქროს მონეტის ჭრა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩრდ. აფრიკას და ესპანეთს, ძირითადად კონცენტრირებული იყო დამასკოში. სახალიფოს აღმოსავლურ პროვინციებში იჭრებოდა ვერცხლის და ბილონური მონეტები, ხოლო სირია-პალესტინის და ეგვიპტის ქალაქების ზარაფხანებში დამასკოს გარდა ჭრიდნენ მხოლოდ ფელსებს.

ხალიფა ჰიშამის დროიდან (724-743), სამონეტო საქმეში ცენტრალისტურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, მკვეთრად შემცირდა იმ ზარაფხანების რიცხვი, რომლებიც დირჰემებს ჭრიდნენ. დაახ. 105-107 (723/4-725/6) წლიდან რეგულარულად მოქმედებდნენ მხოლოდ დამასკოს, ვასიტის, არმინიას (109 წლამდე), ბაბ ალ-აბვაბის (114 წლამდე), იფრიკიას, მუბარაქას და ალ-ანდალუსის ზარაფხანები.²⁸⁴ სხვა ქალაქებში დირჰემების და საერთოდ მონეტების ჭრას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.²⁸⁵

ზარაფხანების მოქმედებას გამოცოცხლება დაეტყო ომაელთა სახალიფოს უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით აბასელთა ხანაში.

ზარაფხანების რიცხვი მკვეთრად იზრდება, როგორც ცენტრალურ ოლქში – სავადში, ისე მრავალრიცხოვან პროვინციებში.

²⁷⁹ Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 1, 60, 65, 66.

²⁸⁰ იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, 90.

²⁸¹ დამონებული გვაქვს ე. პახომოვის მიხედვით; Пахомов, *Монеты Азербайджана*, т. 1, 60.

²⁸² იქვე.

²⁸³ იქვე.

²⁸⁴ Walker, *A Catalogue of the Arab-Byzantine and Post-Reform Umayyad coins*, LXII, LX.

²⁸⁵ იქვე.

გაფართოვდა ოქროს და ვერცხლის მონეტების წრის გეოგრაფიული საზღვრებიც.

ომავლთაგან განსხვავებით სირია-პალესტინის და ეგვიპტის ქალაქებში აბასელები ფართოდ წრიან ვერცხლის და ოქროს მონეტებს. დინარი იჭრება აღმოსავლურ პროვინციებშიც.

IX-X საუკუნეებში ოქროს მონეტა იჭრებოდა: აზარბაჯანის, არდაბნლის, არრაჯანის, აჰვანის (სუკ ალ-აჰვანის), ბარჯა'ას, ბასრას, დიმიშკის, ვასიტის, თუსთარ მინ ალ-აჰვანის, ალ-'ირაკის, ისბაჰანის, კაზვინის, კუმმის, მადა'ინის მადინათ ას-სალამის, მადინათ ალ-მუვაჰჰაკიას, მარდინის, ალ-მასნისას, მაქქას, მანჰ ალ-ბასრას, მანჰ ალ-ქუქას, მიხრის, მუთავაქქილიმას, მუჰამმადილას, ნისბინის, არ-რნაჰიკას, სამარკანდის, ზაიდას, ზან'ანის, სურა მანრა'ანს, ტაბარმას, ტარსუსის, ქარრას, ქარაჯის, ჭილისტინის, შანის, ჰარ-რანის, ჰალაბის, ჰიმის და ჰამაზანის დამლით.

თუ ომავლთა და პირველ აბასელთა დროს ოქროს მონეტის წრა ხალიფას პრეროგატივას წარმოადგენდა, IX-X საუკუნეებში ის ამირების კომპეტენციაში გადადის, თუმცა მათზე, ისევე როგორც დირჰემებზე, უკვე ხალიფა მუთასიმის ხანიდან (833-842), მმართველთა სახელები აღარ აღინიშნება.

IX-X სს. მანძილზე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა მუდმივ ცვლილებას განიცდის. სახალიფო თანდათან იშლება და წარმოიქმნება დამოუკიდებელი სამფლობელოები.

დამოუკიდებელი ამირები იწყებენ საკუთარი სახელით მონეტის წრას.

დრო და დრო აბასელები ახერხებდნენ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას და სწორედ ამ დროს ჩვენ ვამჩნევთ ერთ საინტერესო მოვლენას. აბასელები აგრძელებენ მონეტის წრის იმ კურსს, რომელსაც დამოუკიდებელი ამირები ახორციელებდნენ.

ასეთ შემთხვევას, კერძოდ, ადგილი აქვს სირია-პალესტინაში. ტულუნინანთა გაბატონებამდე (877-78 წლამდე) აქ მხოლოდ დამასკოს ზარაფხანა მოქმედებდა რეგულარულად. ტულუნინანები იწყებენ ოქროს და ვერცხლის მონეტების წრას ჰიმსში, ჰალაბში, ანტიოქიაში და რამალაში (ჭილისტინის დამლით).²⁸⁶ აბასელთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ (IX ს. ბოლო და X ს. დასაწყისი) ეს ქალაქები დარჩნენ მონეტების წრის აქტიურ ცენტრებად.

მსგავს მოვლენას ვხედავთ ა/კავკასიაშიც. აქ ოქროს მონეტებს პირველად დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საჯი ამირები წრიან²⁸⁷ (903-904, 904-905, 905-906 წწ. და ა.შ.) და, ამდენად, 318 (930) წელს აბასელთა მიერ ბარდავში

²⁸⁶ O. Grabar, *The coinage of the Tulunids* (New York, 1957), 10-24.

²⁸⁷ Фасмер, "О Монетах Саджидов," 31.

დინარების მოჭრა არ შეიძლება საჯიანთა პოლიტიკის გამოძახილი არ იყოს.

სახალიფოს ტერიტორიული შემცირება ინვევდა მონეტებს ჭრის ახალი ცენტრების გაჩენას იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ხალიფას ხელისუფლება. ამასთან უნდა იყოს სწორედ დაკავშირებული IX ს. უკანასკნელ მეოთხედსა და X ს. პირველ ნახევარში ახალი ზარაფხანების ამოქმედება სავადში (ჰულვანი, სარსარი, კადისნა), ჯაზირაში (ამიდი, არ-რაჰაბა, რა'ს ალ-აფნი, სინჯარი, მარდინი), შამში (ტაბარნა, ტარსუსი, ალ-მასსინა), ფარსში (არრაჯანი, სირაფი) და სხვ.

ზარაფხანების განლაგებაზე თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ VIII-X საუკუნეთა მანძილზე ისინი სახალიფოს მეტ ნაკლებად მნიშვნელოვანი მრავალი ქალაქის დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენდნენ.

ამასთან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იმდროინდელი არაბი გეოგრაფები თავიანთ თხზულებებში ამა თუ იმ ქალაქის ხშირად დეტალურად აღწერის დროსაც კი ზარაფხანებს არ მოიხსენიებენ. მაგრამ როგორც ზემოთ ვნახეთ, ამას გვიდასტურებენ თვით არაბული მონეტები, რომელთა მიხედვით დგინდება ზარაფხანების არსებობა აბასელთა სახალიფოს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ პროვინციებში.

აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადები და ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტის ხელახალი ატრიბუცია

აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადები

ქართულ ნუმისმატიკაში უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა არაბული დირჰემების ქართული მინაბადების პრობლემა. მინაბადები გარეგნულად აბასიანთა ხანის დირჰემების მსგავსია, ატარებენ მათთვის დამახასიათებელ არაბულ, მაგრამ დამახინჯებულ ზედწერილებს. მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე, მკვლევართა აზრით, მეტყველებს ის, რომ მინაბადები აღმოჩენილია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ისინი ზოგიერთ მონეტაზე შესაძლებლად მიიჩნევენ დაინახონ ქართული ასოებიც (ასომთავრულით). მიუხედავად იმისა, რომ მინაბადების გარშემო უკვე საკმაო ლიტერატურა არსებობს, გვაქვს საფუძველი ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მათ და წარმოვადგინოთ ზოგიერთი დაკვირვება, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ამ მონეტების შემდგომ შესწავლას.

მინაბადებს პირველად 1910 წ. შეეხო ე. პახომოვი. მან გამოაქვეყნა ორი ასეთი მონეტის ფოტო და აღწერა ერთი მათგანი.¹ მის შუბლზე, ცენტრალური ზედწერილის (მუსლიმური რწმენის სიმბოლოს პირველი ნაწილი) პირველი სტრიქონის თავზე და მესამე სტრიქონის ქვემოთ, მოთავსებულია დამახინჯებული, სრულიად გაურკვეველი სიტყვები, ხოლო ირგვლივ – ასევე დამახინჯებული მუსლიმური ლეგენდა, გარშემორტყმული ორმაგი წერტილოვანი ანდა ხაზოვანი რკალით. ზურგზე, სამსტრიქონიანი ცენტრალური ზედწერილის (მუსლიმური რწმენის სიმბოლოს მეორე ნაწილი) გარშემო, წერტილოვანი რკალის გარეთ, დამახინჯებული ზედწერილია და კვლავ რკალი.

ე. პახომოვი აღნიშნავდა, რომ მინაბადებზე მუსლიმური (*resp.* არაბული – გ.ჯ.) წერა-კითხვის უცოდინარი ხელოსნების მიერ ამოკვეთილ წარწერებში გვხვდება მრავალი ნიშანი, რომლებიც მათ გადააკეთეს ქართულ ასოებად (⌈, ⌋, ⌌ და სხვ.), რასაც ხელოსანთა ეროვნების მაჩვენებლად თვლიდა.²

პირველად დაიბეჭდა – *საისტორიო კრებული*, 2 (2012), 197-219.

¹ Е.А. Пахомов, *Монеты Грузии*, ч. 1 (С-П., 1910); მისივე, *Монеты Грузии*, т. 1-2 (Тбилиси, 1970), 56-57, таб. III, №38-39.

² Пахомов, *Монеты Грузии*, 57.

მინაბადების ქართული წარმომავლობის სხვა დამამტკიცებელ საბუთად პახომოვს მიაჩნდა ის, რომ მათი დიდი ნაწილი აღმოჩნდა საქართველოში. მისი აზრით, მინაბადების გაჩენა განაპირობა X ს-ის ბოლოს მუსლიმური დირჰემების ძლიერმა დინებამ ჩრდილოეთში ამიერკავკასიიდან, სადაც ისინი უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება. მიმოქცევაში ფულის ნიშნების ნაკლებობამ გამოიწვია საქართველოში მუსლიმური მონეტების მინაბადების მოჭრა³. ჩანს, პახომოვი მინაბადებს X ს-ით ათარილებდა.

პახომოვმა აღნიშნა, რომ ეს არაბული მინაბადები დაცული იყო სანკტ-პეტერბურგში – საიმპერატორო ერმიტაჟსა და ს. ა. ჩუმაკოვის კოლექციებში, აგრეთვე მოსკოვში – პ. მ. ზუბოვის კოლექციაში,⁴ მაგრამ არ დაუკონკრეტებია, თუ სად ინახებოდა მის მიერ გამოქვეყნებული მინაბადები.

1955 წ. დ. ლანგმა გამოსცა ამერიკის ნუმიზმატთა საზოგადოების მუზეუმის (შემდეგ: ანს) კოლექციაში დაცული სამი მინაბადიდან ორის ფოტო და აღწერა ერთი მათგანი, რომლის ზურგზე, ცენტრალური ზედწერილის ქვემოთ, წაიკითხა „თიფლის“ (თბილისი).⁵ მონეტა, რომელიც ატარებდა თბილისის ზარაფხანის დამახინჯებულ სახელს ზურგის ცენტრალური ზედწერილის ქვემოთ, იყო უნიკალური⁶ ლენგისთვის. იმ დროს უცნობი დარჩა, რომ მსგავსი ეგზემპლარი ინახებოდა პეტერბურგის ერმიტაჟშიც (იხ. ქვემოთ).

ლენგმა ეს მონეტა მიაკუთვნა ბაგრატ III-ს. მან, ცხადია, იცოდა, რომ ბაგრატ III არ ახორციელებდა კონტროლს თბილისზე. მეორე მხრივ, თუ მინაბადები მოჭრეს ჯაფარიანმა ამირებმა, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მათ წარწერებში წიგნიერების (არაბულის ცოდნის) უფრო მაღალი დონე. მკვლევარს მხედველობაში ჰქონდა შეცდომები მონეტის ზედწერილებში. საბოლოოდ, ლენგი მაინც თვლიდა, რომ მინაბადები საქართველოში მიმოქცევაში იყო უეჭველად ბაგრატ III-ის დროს, რომლის მმართველობისთვის მათი მიკუთვნება ყველაზე შესაფერისად მიაჩნდა.⁷

ლენგის პუბლიკაციას გამოეხმაურა შ. მესხია. ის თვლიდა, რომ მინაბადები მოიჭრა თბილისში ჯაფარიანთა ხელისუფლების გადაშენებისა და აქ

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ D. M. Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New York, 1955), 18-19, pl. I, 11-12. მათ დ. ლენგმა უწოდა „უბრალო მონური ქართული იმიტაციები აბასიანთა დირჰემისა“, რომელიც იშვიათი გახდა ამიერკავკასიაში ახლო აღმოსავლეთიდან რუსეთსა და სკანდინავიაში ვერცხლის მონეტის დინების გამო. ამ შემთხვევაში ლენგის თვალსაზრისი პახომოვის მსგავსია.

⁶ იქვე, 19.

⁷ იქვე.

დამოუკიდებელი საქალაქო თვითმმართველობის დამყარების შემდეგ, XI ს-ის 80-იანი წლებიდან – XII ს. 20-იან წლებამდე. მისი აზრით, ამ დროს მონეტის მოჭრა შეეძლო არა რომელიმე ამირას, ან სხვა მმართველს, არამედ მხოლოდ საქალაქო საბჭოს, ქალაქის კომუნალურ მმართველობას.⁸

მინაბაძებს რამდენჯერმე შეეხო დ. კაპანაძე. ის წერდა, რომ თავიანთი გარეგნული სახითა და წარწერების განლაგებით, მინაბაძები ძალზე მოგვაგონებენ საყოველთაოდ ცნობილ არაბულ დირჰემებს, მაგრამ, ყურადღებით შესწავლის შემდეგ, ისინი ამჟღავნებდნენ თავიანთ ამკარა ქართულ წარმომავლობას⁹. ის იზიარებდა პახომოვისა და ლენგის თვალსაზრისს და თვლიდა, რომ არაბული „გაუხეშებელი ზედწერილების ზოგიერთი ნიშანი შეცვლილია ქართული ასომთავრულით“.¹⁰ კაპანაძეს საეჭვოდ მიაჩნდა, რომ ისინი იჭრებოდა თბილისში და ფიქრობდა, რომ ეს ხდებოდა სადღაც, სხვა ქართულ სამფლობელოებში.¹¹ კაპანაძე ასევე გამოეხმაურა ლენგის პუბლიკაციას და მესხიას ზემოხსენებულ მოსაზრებას, რომელსაც არ დაეთანხმა. მინაბაძების დაბალი წონის ანალოგიას ის ხედავდა XI ს-ის მცირეწონიან ქართულ მონეტებში;¹² რაც შეეხება სინჯადობას, კაპანაძე წერდა, რომ „სადავო მონეტები ჯერ შედარებით მაღალი ხარისხის ვერცხლისაა“¹³ (X ს-ის მიწურულის ალი იბნ ჯაფარის დირჰემების მსგავსად).

კაპანაძის არგუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „კომუნისდამაგვარი წყობილების“ დროინდელ თბილისში მუსლიმური მოსახლეობა ჭარბობდა და აქ მოჭრილი მონეტების ზედწერილებს, განსაკუთრებით კი ალაჰისა და მაჰმადის სახელებს, რა თქმა უნდა, არ დაამახინჯებდნენ“;¹⁴ კაპანაძე, ლენგის მსგავსად, ანს-ის მინაბაძს X-XI სს-ის მიჯნით (ე.ი. ბაგრატ III-ის ეპოქით – გ.ჯ.) ათარილებდა.¹⁵

კაპანაძის მოსაზრებას არ დაეთანხმა ი. ჯალალანია, რომელმაც, მესხიას კვალდაკვალ, მინაბაძების მოჭრის თარიღად მიიჩნია XI ს-ის 80-იანი – XII ს-ის 20-იანი წლები, დავით IV-ის მიერ თბილისის აღებამდე.¹⁶ მოგვიანებით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მან დათარიღებაში კორექტივი შეიტანა.

⁸ შ. მესხია, *საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში* (თბილისი, 1962), 77-79.

⁹ Д. Капанадзе, *Грузинская нумизматика* (Москва, 1955), 51.

¹⁰ დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969), 58.

¹¹ Капанадзе, *Грузинская нумизматика*, 51.

¹² კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 58.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ И.Л. Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V- XIII вв.* (Тбилиси, 1979), 69-70.

მინაბაძების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი გახდა 1977 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე – ნებელდაში აღმოჩენილი არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების დიდი განძი, რომელიც შევიდა სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში და ის 1982 წ. გამოსცეს ირ. ჯალალანიამ, ო. ბლაჟბამ და ი. ვორონოვმა.¹⁷ განძში, მინაბაძებთან ერთად, იყო 163/779-80 წ. ხალიფა ალ-მაჰდის ნამდვილი დირჰემიც. ამან საფუძველი მისცა ავტორებს, საეჭვოდ მიეჩნიათ „მინაბაძების გამოშვების თარიღის გადატანა XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში“. მათი აზრით, მინაბაძები მოიჭრა X-XI სს-ის მიჯნაზე.¹⁸ ეს დათარიღება 1992 წ. საეჭვოდ ჩათვალა თ. დუნდუამ. იმის გამო, რომ განძში არის ხალიფა ალ-მაჰდის ხსენებული დირჰემი, მისი აზრით, „ეს საშუალებას იძლევა ქართული მინაბაძების უფრო ადრეული ეპოქით დათარიღებისა“. ¹⁹ 2006 წ. თ. დუნდუა, იმავე დირჰემის საფუძველზე, უკვე თვლიდა, რომ ალ-მაჰდის დირჰემი „ასე თუ ისე ათარიღებს განძის დაფლობას... ეს შეიძლება მომხდარიყო ბაგრატ III-ის ეპოქაზე ადრე, IX საუკუნის მეორე და X საუკუნის პირველ ნახევარში“.²⁰

უკანასკნელად, გ. დუნდუას და ი. ჯალალანიას ავტორობით გამოცემულ ქართულ ნუმიზმატიკურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „სავარაუდოდ განძი IX-X საუკუნეების მიჯნას შეიძლება მიეკუთვნოს“.²¹

მიუხედავად მოტანილი მოსაზრებებისა, განძის დაგროვებისა და დაფვლის დრო არ არის დასაბუთებული. განძის ყველაზე ადრეული მონეტა გვაძლევს განძის დაგროვების მხოლოდ საწყის თარიღს, ხოლო დაფვლის მიახლოებითი თარიღი განისაზღვრება განძის ყველაზე გვიანდელი მონეტით.

ალ-მაჰდის დირჰემი ნებელდის განძში გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რომ მისი დაგროვება დაიწყო არაუადრეს 163/779-80 წლისა, მაგრამ არა იმას, თუ როდის მოხდა, დაახლოებით მაინც, მისი დაფვლა. ამის გასარკვევად საჭიროა მინაბაძთა პროტოტიპების, მათი ზარაფხანების, მოჭრის თარიღისა და სხვა მახასიათებლების შესწავლა, რაც არ ჩატარებულა და რის გაკეთებასაც ქვემოთ შევეცდები.

ამ ისტორიოგრაფიული შესავლის შემდეგ დავუბრუნდები უშუალოდ მინ-

¹⁷ И.Л. Джалагания, О.Х. Бгажба, Ю. Воронов, “Клад подражаний арабским дирхемам из Цебельды,” *Археологические исследования в Цебельде (результаты раскопок 1977 г.)* (Тбилиси, 1983), 10-26, таб. 1-106.

¹⁸ იქვე, 25; ავტორებმა დასვეს კითხვა: „ხომ არ იყო ეს მინაბაძები პროდუქტი არაოფიციალური, არასახელმწიფოებრივი ემისიისა, რომელიც წინ უსწრებდა მონეტების გამოშვებას ქართველი მეფის ბაგრატ III-ის სახელით?“ იქვე, 26.

¹⁹ თ. დუნდუა, „X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, *თსუ შრომები*, ტ. 310 (1992), 22-23.

²⁰ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, ნაწ. I (თბილისი, 2006), 180.

²¹ გ. დუნდუა, ი. ჯალალანია, *ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი* (თბილისი, 2009), 177.

აბაძებს. 1986 წელს ლენინგრადში ერმიტაჟში მივლინების დროს საშუალება მომეცა გავცნობოდი ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულ არაბული დირჰემების მინაბაძებს. ისინი სულ 11 ცალია: 1364, 11614, 11615, 11616, 14210, 14211, 14212, 14213, 14214, 14215 და 14216. შვიდ მათგანს იხსენიებს ი. ჯალალანია.²² ერმიტაჟის მინაბაძებს, რომელთა მსგავსი მონეტები გვხვდება ნებელდის განძშიც, ასევე შევხები ქვემოთ. პირველად ქვეყნდება მათი ფოტოებიც (იხ. ტაბულები).

როგორც ზემოთ ითქვა, ე. პახომოვმა არ მიუთითა, თუ სად იყო დაცული მის მიერ გამოცემული ორი მინაბაძი. ფოტოების მიხედვით შეიძლება ვთქვა, რომ ისინი არ არის ერმიტაჟის ეგზემპლარები, ვინაიდან მათგან განსხვავებული სიქით არიან მოჭრილნი.²³

ნებელდის განძის წყალობით, მინაბაძთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ერმიტაჟში დაცულ მინაბაძებთან ერთად შეიქმნა უკეთესი პირობები მათი სათანადო შესწავლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

ნებელდის განძის გამოცემაში არაბული ზედწერილები არცთუ იშვიათად შეცდომითაა წაკითხული. არ იქნა ამოკითხული ზოგიერთი პროტოტიპის ზარაფხანა და მოჭრის წელი. არ იქნა გათვალისწინებული ადრეული არაბული დირჰემების მახასიათებლები, რომლებიც, მიახლოებით მაინც, იძლეოდა განძის დაფვლის დათარიღების საშუალებას და, საერთოდ, გაუგებარია, რა არგუმენტების საფუძველზე მოხდა განძის დათარიღება X-XI სს-ის მიჯნით.

ნებელდის განძის ფოტო-ტაბულები წარმოდგენას გვიქმნის მინაბაძთა თავისებურებებზე, მაგრამ ისინი დაბალი ხარისხისაა. მათი საშუალებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ მხოლოდ განძის მონეტების ნაწილზე.

ნებელდის განძის პუბლიკაციის (1982 წ.) დროს მე ხანგრძლივ მივლინებაში ვიყავი საზღვარგარეთ და მას გავეცანი მხოლოდ მოგვიანებით, 1986 წელს. ამ დროს სოხუმში ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა უპასუხოდ დატოვა ჩემი წერილი, რომელშიც ვთხოვდი, მოეცა განძის ხელახალი შესწავლის შესაძლებლობა.²⁴

უშედეგო აღმოჩნდა ჩემი ცდა, მომეპოვებინა განძის მონეტების ფოტოების ნეგატივები, ანდა უკეთესი ფოტორეპროდუქციები თბილისში. ისინი არ აღმოაჩნდა არც ფოტოგრაფ ნ. არჩვაძეს, რომელმაც გადაიღო ეს მონეტები და არც ორ ავტორს სამიდან, რომლებმაც გამოსცეს განძი – ი. ჯალალანიასა და ი. ვორონოვს.

²² ესენია: 14210, 14211, 14212, 14213, 14214, 14215 და 14216. Джалагания, *Иноземная монета*, 70.

²³ იხ. Пахомов, *Монеты Грузии*, таб. III, №38-39.

²⁴ აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ, ამ განძის ბედი ჩემთვის უცნობია.

იმის მოლოდინმა, რომ რაიმე ახალი აღმოჩენა საშუალებას მომცემდა უფრო გულდასმით შემესწავლა მინაბადები, მათზე მუშაობა საკმაოდ გამიხანგრძლივა და ახლა, საკმაოდ მოგვიანებით, მინდა წარმოვადგინო მინაბადების კვლევის ზოგიერთი შედეგი. იმედია, რომ მათ საფუძველზე და მათი გათვალისწინებით, მომავალში ახალი მინაბადების აღმოჩენის შემთხვევაში, სხვა მკვლევრებს საშუალება მიეცემათ, მეტი სინათლე მოჰფინონ მათი ემისიისა და მიმოქცევის პრობლემებს.

მინაბადთა არაბული ზედწერილებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი შეცდომა. მინაბადებზე არაბული ზედწერილების დიდი ნაწილი დამახინჯებულია, ნაკლებია და შეცდომებითაა. არაბულ ١٢ (მოციქული) ხშირად წერია ბოლო ასოს ”ل”-ს („ლამ“-ის) გარეშე: ١٢ (ნებელდის განძი, №№ 3-9, 11-12, 14-17, 28-29, 44, 85 და ერმიტაჟი, №№ 11616, 14210, 14211 და 14215 ტაბ.). სიტყვაში كشر პირველ ასოს „შინ“-ს (თავზე სამი წერტილის გარეშე, რასაც განაპირობებს ქუფური შრიფტის თავისებურება), სამი ფეხის ნაცვლად, ხშირად აქვს ორი (№№ 30, 35, 39 40, ...), ანდა დაკარგულია ასოები “ر” („რა“) და “ذ” („ო“).

მინაბადების ნაწილის შუბლზე ზედწერილები ამოკვეთილია უკულმა, სარკისებურად (ნებელდის განძი, №№ 36, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 70, ერმიტაჟი, №14216, ტაბ.). იშვიათად ეს ორივე მხარეზეა (ნებელდის განძი, №№ 46, 47; ერმიტაჟი, №14214 ტაბ.). ასევე იშვიათად, შუბლისა და ზურგის ცენტრალური ზედწერილები ერთი და იგივეა (ნებელდის განძი, №34, სადაც შუბლის ზედწერილი უკულმაა და № 79).

ქართული ასოები მინაბადებზე? როგორც აღინიშნა, ზოგიერთ მინაბადზე მკვლევრები (პახომოვი, ლენგი, ჯალალანია) ხედავენ ქართულ ასოებს. თუ ასეა, ქართული ასოები, საბოლოო ჯამში, რაღაც სიტყვას, ან სიტყვის ფრაგმენტს მაინც უნდა გვაძლევდეს, მაგრამ ასე არ არის და, ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს არა ქართულ, არამედ დამახინჯებულ არაბულ ასოებთან, ქუფური შრიფტით. ფაქტობრივად, მინაბადების ქართული წარმომავლობის ერთადერთი და გადამწყვეტი საბუთია მათი აღმოჩენები საქართველოს ტერიტორიაზე. ანალოგიური მინაბადები მე არ მეგულება რუსეთისა და აღმ. ევროპის ტერიტორიებზე, სადაც, საერთოდ, იშვიათი არ არის არაბული დირჰემების მინაბადთა აღმოჩენები.

მინაბადების მეტროლოგია. დღემდე ცნობილი 119 მინაბადის (ანს-ის, ერმიტაჟის, ნებელდის განძისა და ჭერემის ეგზემპლარები) მონეტის წონითი მაჩვენებლები მერყეობს 1.2-დან – 2.31 გრამებს შორის. გამონაკლისია ჭერ-

ემში აღმოჩენილი ეგზემპლარი – 2.78 გ.²⁵ ძირითადი მასივის ერთი ჯგუფი მოდის 1.41-1.50 (20 ეგზ.) და 1.51-1.60 (19 ეგზ.) გრამებზე; მეორე ჯგუფი – 1.61-1.70 (15 ეგზ.) და 1.71-1.80 (17 ეგზ.) გრამებზე.

სრულწონიანი დირჰემები (2.97 გ) განძში არ არის. თვით ხალიფა აღმაშდის აღნიშნული დირჰემის წონაა 2.25 გ. მინაბაძების წონით მაჩვენებლებს საერთო არა აქვთ XI ს. დაბალწონიან ქართულ მონეტებთან. განძის ნაწილი მაინც, ფაქტობრივად, ნახევარდირჰემიანი მონეტებია. მაგრამ, საერთოდ, ფიქსირებული წონითი სტანდარტი მათ არა აქვთ. ამ მინაბაძებს, ჩანს, იღებდნენ წონით და არა ცალობით.

სინჯადობა. მიუხედავად იმისა, რომ კაპანაძე აღნიშნავდა მინაბაძების მაღალ სინჯადობას, ეს იყო ზეპირი განცხადება და მათი ანალიზი არც მას და არც სხვას არ ჩაუტარებია.

პირველად, 1987 წ., ერმიტაჟის მინაბაძთა სინჯადობა რენტგენულ-ფლუორესცენტული მეთოდით, ჩემი თხოვნით, ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ან განსვენებულ იგორ დობროვოლსკის დახმარებით, გამოკვლეულ იქნა ერმიტაჟის ფიზიკურ ლაბორატორიაში და მრავალი წლის დაგვიანებით მხოლოდ ახლა ქვეყნდება:²⁶

ერმიტაჟის მინაბაძების ლითონის შემადგენლობა²⁷

№№	Cr	Mn	Fe	Co	Ni	Cu	Zn	Au	As	Pb	Ag	Sb
1364	0.00	0.00	0.04	0.00	0.01	1.77	0.00	0.17	0.00	0.24	97.72	0.04
11614	0.01	0.00	0.02	0.00	0.01	9.23	0.00	0.09	0.00	0.46	90.19	0.00
11615	0.00	0.00	0.05	0.00	0.00	22.03	0.00	0.10	0.07	0.22	77.54	0.00
11616	0.00	0.01	0.01	0.00	0.00	4.06	0.00	0.04	0.09	0.24	95.53	0.02
14210	0.01	0.00	0.03	0.00	0.01	5.50	0.00	0.00	0.00	0.53	93.87	0.03
14211	0.00	0.00	0.03	0.00	0.03	15.26	0.00	0.00	0.00	0.16	84.52	0.00

²⁵ ჭერემში ნაპოვნი ეს მონეტა (დ. 25-26 მმ), ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პარიზიდან დაბრუნებული საგანძურისაა. ის შემონიშნული ყოფილა ივ. ახმეტელაშვილის მიერ. ინფორმაცია მომანოდა მაია პატარიძემ.

²⁶ ამ მეთოდის შესახებ იხ. Г. Джапаридзе, “О некоторых методах и итогах анализа пробы восточных монет,” *ВИСИД*, вып. I (Москва, 1989), 223-24.

²⁷ Cr – ქრომი, Mn – მარგანეცი, Fe – რკინა, Co – კობალტი, Ni – ნიკელი, Cu – სპილენძი, Zn – თუთია, Au – ოქრო, As – დარიშხანი, Pb – ტყვია, Ag – ვერცხლი, Sb – სურმა.

14212	0.00	0.00	0.12	0.00	0.02	4.11	0.00	0.18	0.00	0.41	95.16	0.00
14213	0.00	0.03	0.08	0.00	0.01	2.54	0.00	0.00	0.00	0.49	96.82	0.03
14214	0.00	0.00	0.06	0.00	0.00	5.48	0.00	0.02	0.00	0.20	94.25	0.00
14215	0.00	0.00	0.07	0.00	0.00	6.26	0.00	0.04	0.02	0.07	93.55	0.00
14216	0.00	0.00	0.03	0.00	0.00	4.33	0.00	0.00	0.00	0.13	95.50	0.00

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ვერცხლის შემცველობა მონეტებში მაღალია. 11 მინაბაძიდან მხოლოდ ორის სინჯადობაა 90-ზე ნაკლები: 11615 – 77.54 და 14211 – 84.52. ამ მონაცემებით ვერ ვიტყვი, რომ ისინი მოიჭრა ვერცხლის კრიზისის დროს, X–XI სს. მიჯნაზე.

ზარაფხანები და მოჭრის თარიღი მინაბაძთა პროტოტიპებზე. ნებელდის განძის 106 მონეტიდან, როგორც აღნიშნავდნენ განძის გამომცემლები, მხოლოდ ერთია ნამდვილი არაბული დირჰემი – ხალიფა ალ-მაჰდისა. ამასთან, განძის მინაბაძების რამდენიმე ცალზე: 44, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53 და 54, ლენგის მიერ გამოცემული ანს-ის მინაბაძის ანალოგიით,²⁸ მათ მოჭრის ადგილად წაიკითხეს თბილისი:



ნებელდის განძის და ანს-ის დასახელებული ეგზემპლარების მსგავსია ერმიტაჟის მინაბაძები 11616, 14214 და 14216 (ტაბ.).

ლენგს არ აღუნიშნავს, რომ ანს-ის მინაბაძის ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზე იყო კიდევ ერთი წარწერა, რომელიც გაუშიფრავი დარჩა. იგივე წარწერა გვხვდება ერმიტაჟისა და ნებელდის განძის ზემოდასახელებულ მინაბაძებზე:



როგორც ამერიკის ნუმისმატთა საზოგადოების მუზეუმის, ისე ერმიტაჟის ხსენებულ ეგზემპლარებზე, წარწერა, რომელსაც თბილისად მიიჩნევენ, სარკისებურად, უკუღმაა ამოკვეთილი. სწორი იქნება:

²⁸ Lang, *Studies*, pl. I, 12.

ფუკ

ეს სიტყვა ამგვარად და, ზოგჯერ, ბოლო ასოს მოხაზულობის მცირე ცვლილებით, სწორადაა ამოკვეთილი ერმიტაჟის №№ 11614, 11615 ტაბ. და ნებელდის განძის №№ 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 68, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80-81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106 მინაბაძებზე.

ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ამ ტიპის (მხედველობაში გვაქვს მონეტები სწორად ამოკვეთილი წარწერით) მინაბაძის მცირე სახესხვაობას წარმოადგენენ ერმიტაჟის №1364 (ტაბ.) და ნებელდის განძის №№ 66, 67 და 69 ეგზემპლარები. ეს სიტყვა უკეთ ჩანს ზურგის სამსტრიქონიანი ზედწერილის ქვემოთ:

ფას

ასევე, უკეთ ჩანს წარწერაც ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზეც:

ფასე

მსგავსი მინაბაძები არის ნებელდის განძშიც (№№ 66, 67, 69).

ლენგის წაკითხვას, რომელიც გაიზიარეს სხვა ნუმისმატიებამაც (კაპანაძე, ჯალალანია), ვერ დავეთანხმები. აბასიანთა დირჰემებზე ზარაფხანა მოთავსებულია მხოლოდ შუბლის ცენტრალურ ზედწერილში და მინაბაძები არსებითად იმეორებენ პროტოტიპებს. ერმიტაჟის № 1364 (ტაბ.), და ნებელდის განძის №№ 66, 67 და 69 ეგზემპლარებზე (რომელთა ზურგზე ცდილობენ ნაიკითხონ თიფლის/თბილისი), შუბლის წრიულ ზედწერილში აშკარად იკითხება მოჭრის ადგილი მაღინათ ას-სალამი (ბალდადი) და მოჭრის თარიღიც – 157/773-74 წ. აბასიანთა ადრეული დირჰემების ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზე და ბოლოში, ჩვეულებრივ, თავსდებოდა მმართველის – პროვინციის გამგებლის სახელები. სამწუხაროდ, მაღინათ ას-სალამის აღნიშნულ და მომდევნო წლების დირჰემებზე, როგორც სხვადასხვა სამონეტო კატალოგის გაცნობამ მიჩვენა, მსგავსი სახელი არ გვხვდება.

მან, ვინც მოჭრა ეს მინაბაძი, მართალია, პროტოტიპად აიღო სახალიფოს სატახტო ქალაქში მოჭრილი დირჰემები, მაგრამ მასზე დაამატა ისეთი სახელიც, რომელიც არა გვხვდება მაღინათ ას-სალამის ზარაფხანის არცერთ ვერცხლის მონეტაზე.

მინაბაძზე ცენტრალური ზედწერილის ბოლო სტრიქონში თითქოს პირვე-

ლი ორი ასოა ۲ – „ბნ“/ძე. თუ ასეა, მაშინ ეს პიროვნება არის ძე ცენტრალური ზედწერილის პირველ სტრიქონში დასახელებული პირისა. მაგრამ, მთლიანობაში, წარწერის წაკითხვა, მიუხედავად ეგვიპტის, სირიისა და დასავლეთის ნუმიზმატიკთან არაერთი კონსულტაციისა, არ მოხერხდა.²⁹ იმედი მაქვს, რომ ამას შეძლებენ სხვები, თუნდაც ახალგაზრდა ქართველი არაბისტები.³⁰

როგორც ზემოთ ითქვა, კაპანადის თანახმად, ლენგის მიერ გამოცემული მინაბაძი „ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით ... ენათესავება X ს. მიწურულის არაბულ დირჰემებს“. ეს თვალსაზრისი არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც დ. ლენგის მიერ გამოცემული, ისე ყველა სხვა ცნობილი მინაბაძი, თავიანთი მახასიათებლებით შორს დგანან X ს-ის არაბული ვერცხლის მონეტებისგან.

ჯალალანია აღნიშნავდა, რომ მინაბაძების მოჭრის დათარიღების დროს „გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის, რა თქმა უნდა, მინაბაძის დათარიღებულ ეგზემპლარს“.³¹

დათარიღებული მინაბაძის გამოვლენა არარეალურია. ვინც ჭრიდა მინაბაძს, არ ფიქრობდა აღენიშნა მოჭრის ახალი თარიღი. სხვა საქმეა, რომ მინაბაძზე ის მექანიკურად იმეორებდა როგორც მოჭრის თარიღს, ისე – ზარაფხანას. სწორედ პროტოტიპის თარიღი და სხვა მახასიათებლები, მიახლოებით მაინც, განსაზღვრავენ მინაბაძების მოჭრის დროს.

ნებელდის განძის გამომცემლები წერენ, რომ ეს მონეტები ქუფუური დირჰემების მინაბაძებია³² – დაკონკრეტების გარეშე. ქუფუური შეიძლება იყოს როგორც ომაიანთა, ისე აბასიანთა მონეტებიც. ნებელდის განძის, ანს-ის და ერმიტაჟის აბსოლუტურად ყველა მინაბაძის ზურგის ცენტრალური სამსტრიქონიანი ზედწერილი (محمد/سول/الله – მუჰამადი/მოციქული/ალაჰისა) მონეტებზე პირველად შემოიტანეს აბასიანებმა. ამდენად, ნებელდის განძის მინაბაძების პროტოტიპები უეჭველად აბასიანთა დირჰემებია.

აბასიანთა ადრეული მონეტები 750 წლიდან აგრძელებდნენ წმინდა აღ-

²⁹ 1999 წ. 6 აგვისტოს ცნობილმა ამერიკელმა ნუმიზმატმა, ამერიკის ნუმიზმატთა საზოგადოების ისლამური მონეტების კურატორმა მ. ბეიტსმა პირად წერილში მომწერა: „ცენტრალური ზედწერილის თავზე წარწერა შეიძლება იყოს „ალ-ჰასან“, ან „ალ-...“ რაც შეეხება ბოლო სტრიქონს, რომელსაც მიიჩნევდნენ თბილისად, „მე ვეკითხები საკუთარ თავს, ხომ არ არის ის „იზნ ისჰაკი“?

³⁰ ლენგის მიერ გამოცემული მეორე მინაბაძი (ტაბ. I, 11), ფოტოების მიხედვით, შესაძლოა, პახომოვის მიერ გამოცემული მინაბაძის (ტაბ. III, 39) მსგავსია. ის არ არის ერმიტაჟის მინაბაძთა შორის. ერმიტაჟის №1364 ეგზემპლარზე იგივე ზედწერილი რამდენადმე განსხვავებული სახით არის დანერგილი.

³¹ Джалагания, *Иноземная монета*, 70.

³² Джалагания, Бгажба, Воронов, „Клад“, 10.

წერილობითი ტიპის ომაიანთა მონეტების ტრადიციას, ყურანის აიებით და ხალიფას, ანდა მმართველის სახელის მოუხსენიებლად. ეს პრაქტიკა გრძელდებოდა ხალიფა ალ-მანსურის (754-775) დრომდე. ალ-მანსურმა პირველად შემოიტანა დირჰემების ზურგზე თავისი ვაჟისა და მემკვიდრის – ალ-მაჰდის სახელი აღმოსავლურ პროვინციებში, სადაც ის მმართველად დაინიშნა. მოგვიანებით, ალ-მაჰდი იყო პირველი, რომელიც დირჰემებზე (ბასრა და არ-რაი/ მუჰამმადია) იხსენიება ხალიფად.

როდის დაიწყო ნებელდის განძის შეგროვება? განძის ერთადერთი ნამდვილი მონეტის, 163/779-80 წლის ხალიფა ალ-მაჰდის (775-785) დირჰემის მიხედვით, ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ 779-80 წლის შემდეგ, მაგრამ შეიძლება ამ თარიღის რამდენადმე დაზუსტება.

განძის №24-ე მინაბადზე, რომელზედაც თარიღს ვერ ვკითხულობ, შუბლის ცენტრალურ ზედწერილში აღნიშნულია, რომ მინაბადის პროტოტიპი მოიჭრა **მართლმორწმუნეთა ამირას (ხალიფას) ვაჟის, ალ-მაჰდის** ბრძანებით (*მიმმა ამარა ბიჰი ალ-მაჰდი მუჰამმად იბნ ამირ ალ-მუ'მინინ*) და ეს მოხდა ამ უკანასკნელის გახალიფებამდე (775 წ.). ცნობილია, რომ მან ალ-მაჰდის ტიტული (ლაკაბ) მიიღო მას შემდეგ, რაც მამამ, ხალიფა ალ-მანსურმა დაინიშნა ხორასნის გამგებლად 141/758-59 წ., მაგრამ ამ ტიტულით ის პირველად იხსენიება მხოლოდ 145/762 წლიდან, არ-რაის ზარაფხანაში მოჭრილ დირჰემებზე, 155/771-72 წლამდე.³³ ამრიგად, ნებელდის განძის №24 მინაბადის ყველაზე ადრეული პროტოტიპის გათვალისწინებით, განძის შეგროვება შეიძლება დაეწყოთ **არა უადრეს 762 წლისა და მომდევნო ხანებში.**

უხარისხო ფოტორეპროდუქციებმაც კი საშუალება მოგვცა, წაგვეკითხა ზარაფხანა და მოჭრის თარიღი ნებელდის განძის 10 მონეტაზე. ესენია: **მადინათ ას-სალამის** 157/773-74 წ. შვიდი (№№ 21-22, 65-69), **ბასრას (№23)** და **ვასიტის** 156/772-73 წ. (№17) დირჰემების თითო-თითო მინაბადი. ამავე წლისა და მადინათ ას-სალამის ზარაფხანისაა ერმიტაჟის კოლექციის №1364 მინაბადიც. დასახელებულ მინაბადებზე ნაკითხული თარიღები საშუალებას იძლევა დავასკვნა, რომ **მათი პროტოტიპები იყო VIII ს-ის 70-იანი წლების აბასიანთა დირჰემები.**

ნებელდის განძში მე ვერ ვნახე ვერცერთი მინაბადი, რომლის პროტოტიპიც დათარიღებული იქნებოდა VIII საუკუნის ბოლო წლებით, ან IX ს. დამდეგით. შესაძლოა ამის მიზეზი ისაა, რომ მინაბადების უმრავლესობაზე ზარაფხანები,

³³ Michael L. Bates, “Khurāsānī Revolutionaries and al-Mahdī’s Title,” in *Culture and Memory in Medieval Islam: Essays in Honour on Wilfred Madelung*, ed. by Farhad Daftary and Josef W. Meri (London, 2003), 219-73, 286-92.

და, რაც მთავარია, წლები იმდენადაა დამახინჯებული, რომ შეუძლებელია მათი პროტოტიპების იდენტიფიკაცია. მაგრამ გვაქვს აბასიანთა ადრეული დირჰემების მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მახასიათებლები: **წრიული ზედწერილების რაოდენობა მონეტების შუბლზე და პალეოგრაფიული თავისებურებები**, რომლებიც მიახლოებით დათარიღების საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ ხალიფა ალ-მამუნის ზეობის (813–833) დროს, 206/821-22 წლისთვის სახალიფოში განხორციელდა სამონეტო რეფორმა, როცა შეიცვალა ვერცხლისა და ოქროს მონეტების გარეგნული სახე.³⁴

1. რეფორმის შედეგად მოხდა დირჰემებისა და დინარების ზედწერილების უნიფიცირება. ამ მონეტებზე ერთნაირად დალაგდა ზედწერილები.

აბასიანთა ადრეული დირჰემების (და დინარების) შუბლის ცენტრალური ზედწერილის (მუსლიმური რწმენის სიმბოლოს პირველი ნაწილის) გარშემო იყო ერთი წრიული ზედწერილი, რომელშიც აღინიშნებოდა მოჭრის ადგილი და წელი. 198/813 წ., მას შემდეგ, რაც ალ-ამინთან ტახტისთვის ბრძოლაში გამარჯვებული ალ-მამუნი ხალიფად გამოცხადდა, ქ. მერვეში, სადაც იყო მისი რეზიდენცია, პირველად მოიჭრა დირჰემები, რომელთა შუბლზე ამ ერთი წრიული წარწერის გარშემო გაჩნდა მეორე ზედწერილი ყურანიდან (XXX, 3(4)-4(5)):

الله الامر من قبل و من بعد و يومئذ يفرح المؤمنون بنصر الله

ალაჰისაა ბრძანება ამაზე უწინ და ამის შემდგომაც
და იმ დღეს იხარებენ მორწმუნენი ალლაჰის შეწევნით

ამ ზედწერილმა, რომელსაც გამარჯვების აიას უწოდებენ და რომელსაც უნდა უკვდავეყო ალ-ამინზე ალ-მამუნის გამარჯვება, შეცვალა აბდ ალ-მალიქის (685–705) რეფორმის შემდეგ ისლამური მონეტებისთვის დამახასიათებელი წერტილოვანი რკალები ცენტრალური ზედწერილის გარშემო. ამიერიდან, ეს მეორე ზედწერილი აბასიანთა მონეტების დირჰემებისა და დინარების შუბლზე აღინიშნებოდა მონღოლთა მიერ ბაღდადის აღებაამდე (1258 წ.).³⁵

მეორე წრიული ზედწერილი ჩნდება 201/816-17 წ. ისფაჰანის, 203/818-19 წ. სამარკანდის, 208/823-24 წ. ჰერათის და 210/825-26 წ. ზარანჯის მონეტების შუბლზე.³⁶ ბაღდადში მონეტები მეორე წრიული წარწერით მოიჭრა 204/819-20

³⁴ Tayeb El-Hibri, “Coinage Reform Under the Abbasid Chaliph al-Ma’mun,” *JESHO*, vol. 36 (1993), 59-83.

³⁵ იქვე, 65.

³⁶ იქვე.

წ. სატახტო ქალაქში ალ-მამუნის დაბრუნებისას.³⁷ იგივე გაიმეორეს ბასრას და ქუფას, ხოლო შემდეგ, თანდათან, სხვა პროვინციულმა ზარაფხანებმაც.³⁸ სამხრეთ კავკასიაში მაღინათ არრანის ზარაფხანაში მოჭრილი ამ ტიპის ცნობილი მონეტა, რამდენადმე გვიან, 217/832 წლით თარიღდება.³⁹

ღირებულების ზურგზე, ცენტრში უცვლელად დარჩა რწმენის სიმბოლოს მეორე ნაწილი (მუჰამადი/მოციქულია/ალაჰისა), რომლის თავზე აღინიშნება ხოლმე სიტყვა **الله** – ალლაჰს. გარშემო ასევე დარჩა **ერთი** წრიული ზედწერილი (ყურანი IX₃₃), რომელიც გარშემოვლებულია ხაზოვანი და არა წერტილოვანი რკალით.

2. ეგვიპტიდან შუა აზიამდე აბსოლუტურად ერთფეროვანი გახდა ახალი მონეტების ეპიგრაფიკული სტილიც. 206/821-22 წ. კუთხოვანი ქუფური შრიფტი მონეტების შუბლზე და ზურგზე ამ წელს მოულოდნელად შეცვალა უფრო მოხდენილმა მრუდხაზოვანმა არაბულმა შრიფტმა.⁴⁰

ამგვარად, თუ IX ს-ის 20-იან წლებამდე აბასიანთა ღირებულების შუბლზე გვქონდა **მხოლოდ ერთი წრიული ზედწერილი**, ამიერიდან მათზე ჩნდება **მეორე წრიული ზედწერილიც**. წებელდის განძის, ანს-ის და ერმიტაჟის ნუმიზმატიკური კოლექციის ყველა მინაბადის შუბლზე არის მხოლოდ **ერთი წრიული ზედწერილი**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი პროტოტიპები, მიუხედავად იმისა, იკითხება თუ არა მინაბადზე მოჭრის წელი, იყო აბასიანთა ადრეული ღირებულები VIII ს-ის ბოლო ოთხი ათწლეულისა და არა უგვიანეს IX ს-ის 20-იანი წლებისა. საყურადღებოა ისიც, რომ პალეოგრაფიულად ზედწერილები იმ მინაბადებისა, რომლებმაც შემოგვინახეს პროტოტიპების მოჭრის წლები, იმ პერიოდისაა, რომელიც წინ უსწრებდა ალ-მამუნის სამონეტო რეფორმას.

მინაბადთა მოჭრის და მიმოქცევის დრო და ადგილი. წებელდის განძის მინაბადების ემისია IX-X სს-ების მიჯნაზე ახლოსაა რეალობასთან, მაგრამ არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, ხოლო X-XI სს-ის მიჯნა მიუღებელია. ამ დროისთვის მათი მომჭრელებისთვის უფრო მოსახერხებელი და ადვილი იყო გამოეყენებინათ არა აბასიანთა ადრეული ღირებულები, არამედ სხვა, მოგვიანო ხანის პროტოტიპები, თუნდაც თბილისში მოჭრილი ღირებულები. და თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მინაბადების ერთი ნაწილის ემისია, არაბული პროტოტიპებისა და, შესაბამისად, მინაბადების მახასიათე-

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე.

³⁹ Aram R. Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia, I, Early 'Abbasid Period (142_277/759_891)* (Yerevan, 2011), 82, №178-179.

⁴⁰ Tayeb El-Hibri, "Coinage Reform," 62.

ბლების მიხედვით, ძირითადად განხორციელდა გაცილებით ადრე, სახელდობრ, უწინარეს IX ს-ის 20-იანი წლებისა.

მომდევნო ხანებში, IX ს-ის მანძილზე, საფიქრებელია, მიმდინარეობდა **მინაბაძთა მინაბაძების** ემისიაც. მათზე დამახინჯებულია პროტოტიპების ზარაფხანების სახელები და მოჭრის თარიღი, ხოლო ცენტრალური ზედწერილის თავზე, ანდა ბოლოში, გვხვდება ამოუკითხავი სიტყვები, ალბათ, პირთა სახელები. მაგრამ, საერთოდ, ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა მათი გამოშვება, ამის თქმა შეუძლებელია. უფრო მოსალოდნელია, რომ ის გრძელდებოდა IX ს-ში და ნებელდის **განძი დაფლეს არა უგვიანეს ამ საუკუნისა.**

ნებელდის განძი მაძლევს უფლებას ვიფიქრო, რომ მინაბაძების ემისია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოშიც (ჭერემში), ხორციელდებოდა **აფხაზთა სამეფოში**. მინაბაძები მონოდებული იყო, დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნები ვერცხლის მონეტაზე, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში, სადაც ამ მხრივ, განძების მონაცემებით, ამ საფასის ნაკლებობა შეინიშნება.

არაბული დირჰემების მინაბაძები და ბაგრატ III-ის ვერცხლის საფასის ხელახალი ატრიბუცია (საკითხის დასმის წესით)

ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტა (დრამა? დირჰემი?), არაბული და ქართული ზედწერილებით, დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის. ის 1863 წ. აღმოჩნდა თბილისში და ერმიტაჟისთვის შეიძინა გენერალმა ბართოლომეიმ. მონეტა 1864 წ. აღწერა ვ. ლანგლუამ.⁴¹ შემდეგ ის არაერთ ნუმისმატიკურ ნაშრომში შევიდა.

მონეტის (ერმიტაჟის ნუმისმატიკის განყოფილება, № 14209, დ. 23 მმ, მასა – 1.78 გ) გარეგნული სახე ასეთია:

შუბლი. ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილია, მუსლიმური რწმენის სიმბოლოს პირველი ნაწილი:

لا اله الا الله – არა არს ღვთაება
الله وحده – გარდა ალლაჰისა ერთისა,
لا شريك له – არა ჰყავს მას მონაწილე

⁴¹ Victor Langlois, “Lettre à M.R.Chalon sur une monnaie d’argent inédite de Bagrat III, Roi des Apkhazes,” *RNB*, 4-e série, t. II (Bruxelles, 1864), 202-5. ერმიტაჟში დაცული ბაგრატ III-ის მონეტა დიდი ხნის მანძილზე უნიკუმიდ ითვლებოდა. ბოლო ხანებში აღმოჩნდა მისი სხვა ეგზემპლარი, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს გერმანელი ნუმისმატიკ სტ. ჰეიდემანი.

ზედნერილის მესამე სტრიქონის სიტყვა شريك (მონანილე, მოზიარე) დამახინჯებულია. პირველ ასოს – არაბ „შინ“-ს (ش) აქვს ორი და არა სამი ფეხი. დაკარგულია „რა“/“ر“ და „ი“/“ي“. წრიულ ზედნერილში შეიძლება ნავიკითხვით მხოლოდ الله [الله] – [სახელი]თა ალაჰისა. მას უნდა მოსდევდეს არაბული დირჰემებისთვის დამახასიათებელი მოჭრის ადგილი და წელი. მათ ნაცვლად გვაქვს დამახინჯებული არაბული ასოები ქუფურის შრიფტით და არა ქართული ასომთავრულით.

გარშემო ორი რკალია, შიდა – ნერტილოვანი და გარე – ხაზოვანი.

ზურგი. ცენტრში სამსტრიქონიან არაბულ ზედნერილში იკითხება რწმენის სიმბოლოს მეორე ნაწილი:

محمد – მუჰამადი
[ل]سول – მოციქულ[ია]
الله – ალაჰისა

ზურგის მეორე სტრიქონის სიტყვას رسول (მოციქული) – აკლია ბოლო ასო „ლამ“/ل.

ორ წრიულ ხაზს შორის მოთავსებულია დაქარაგმებული ზედნერილი (ასომთავრულით):

ქრისტე, ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე.



ნუმიზმატები აღნიშნავენ სიახლოვეს არაბულ დირჰემებს, მინაბაძებსა და ბაგრატის მონეტას შორის.

პახომოვის აზრით, ბაგრატ III-ის სამონეტო ტიპი ალბათ, ერთბაშად არ იქნა შემუშავებული. გარდამავალ საფეხურს წმინდა მუსლიმური დირჰემებიდან წარმოდგენდა არაბული დირჰემების ქართული მინაბაძები.⁴²

ლენგს ბაგრატის ეს მონეტა მიაჩნდა აბასიანთა ადრეული დირჰემების მონურ იმიტაცციად.⁴³

⁴² Пахомов, *Монеты Грузии*, 56.

⁴³ Lang, *Studies*, 18.

კაპანაძე თვლიდა, რომ ბაგრატის მონეტა იყო არსებითად, ან ერთგვარად, ლენგის მიერ გამოქვეყნებული მინაბაძის სახესხვაობა.⁴⁴ ამავე დროს, ეს მინაბაძი „ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით“ „ენათესავე-ბა X ს-ის მიწურულის არაბულ დირჰემებს“ და „რაც მთავარია, ბაგრატ III მონეტის თითქმის სრული ასლია“.⁴⁵

თ. დუნდუას თანახმადაც, ბაგრატის ეს მონეტა „არსებითად არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სახესხვაობაა“.⁴⁶

ლანგლუა წერდა, რომ ბართოლომეიმ, რომელმაც შეამოწმა ბაგრატის მონეტა, ის მიაკუთვნა აშოტ კურაპალატის ძეს, ადარნასეს ძმას ბაგრატ I-ს (826-876).⁴⁷ მაგრამ ბაგრატ I-ს არასდროს ეჭირა აფხაზთა სამეფოს ტახტი. ლანგლუა არ დაეთანხმა ბართოლომეის და მონეტაზე დასახელებული ბაგრატი მიიჩნია ბაგრატ III-დ (975–1014).⁴⁸

ლანგლუას ატრიბუცია მართებულად ჩათვალა პახომოვმა.⁴⁹ მისი არგუმენტები იყო შემდეგი: რამდენიმე მეფიდან ბაგრატის სახელით ბაგრატ IV გამოირიცხა, რადგანაც მისი მონეტები იყო სრულიად სხვა ტიპის, ზომისა და წონის. ბაგრატ II რეგვენს არ შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა აფხაზთა მეფის ტიტულზე, ხოლო ბაგრატ I აფხაზთა მეფე (887–906), თუ ის გადანყვეტდა მოეჭრა მონეტა, ნიმუშად აიღებდა არა მუსლიმურ დირჰემს, არამედ ბიზანტიურ ტიპს.

კაპანაძის აზრით, მონეტა „ბაგრატის მეფობის სულ უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნის; ე.ი. ეს მონეტა უკვე XI საუკუნის დასაწყისში უნდა მოჭრილიყო, როდესაც... ვერცხლის ქართული მონეტის წონამ კატასტროფულად დაიკლო“.⁵⁰ თ. დუნდუამ არ გაიზიარა ეს თვალსაზრისი: „ბაგრატი მონეტაზე მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულითაა მოხსენიებული. მისი დათარიღება XI ს-ით შეუძლებელია, რადგან ამ ხანებში იგი უკვე „აფხაზთა“, „ქართველთა“, „კახთა“ და „რანთა“ მეფეცაა“. მკვლევარი თვლის, რომ მონეტის ემისია მოხდა მას შემდეგ, რაც ბაგრატი ქართლში გამეფდა (978 წ.), მერე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ბოლოს იარაღის ძალით მოუხდა ქართლში თავისი

⁴⁴ Капанадзе, *Грузинская нумизматика*, 51; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 58.

⁴⁵ კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 58.

⁴⁶ დუნდუა, *დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა*, 181.

⁴⁷ Langlois, “Lettre à M.R.Chalon,” 203-4. ლანგლუა არ ასახელებს და ჩემთვისაც უცნობია, დაბეჭდა თუ არა ბართოლომეიმ თავისი მოსაზრება.

⁴⁸ Langlois, “Lettre à M.R.Chalon,” 204-5.

⁴⁹ Пахомов, *Монеты Грузии*, 56.

⁵⁰ კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 59.

უფლებების აღდგენა.⁵¹ მონეტის მოჭრის სავარაუდო ლოკალიზაცია დ. კაპანაძისა და თ. დუნდუას აზრით, არის უფლისციხე.⁵²

ამრიგად, ქართული ნუმისმატიკის მკვლევართა ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტაზე აღნიშნული „აფხაზთა მეფე“ არის ბაგრატ III. თვალსაზრისთა გარკვეული განსხვავებაა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა ბაგრატის ვერცხლის საფასე: აბასიანთა დირჰემების მინაბაძს (მათ შორის „მონურ მინაბაძს“), თუ არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სახესხვაობას.

ჩემი აზრით, ბაგრატის ვერცხლის მონეტის ატრიბუცია უნდა მოხდეს ზემოგანხილული **არაბული მინაბაძების შუქზე**. ბაგრატის მონეტა ბაძავს არაბულ დირჰემებს, მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს მათ უბრალო სახესხვაობად, იმ მიზეზით, რომ მის ზურგზე არის წრიული ქართული ზედწერილიც. ბაგრატის მონეტის პროტოტიპი, ცხადია, ზოგადად იყო აბასიანთა დირჰემები. მაგრამ აბასიანთა დირჰემების გარეგნული სახე დროთა მანძილზე იცვლებოდა ახალი ზედწერილების დამატებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, IX ს. 20-იანი წლებიდან მათთვის დამახასიათებელია მეორე წრიული ზედწერილი შუბლზე. სწორედ ერთი, მაგრამ დამახინჯებული წრიული არაბული ზედწერილია ბაგრატის მონეტის შუბლზეც. ბაგრატის **მონეტის პროტოტიპები აშკარად იყო ზემოგანხილული არაბული მინაბაძები და ამ მინაბაძების მინაბაძებიც, რომლებიც იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო IX ს-ის მანძილზე**.

ბაგრატის მონეტა არის არა უბრალოდ აბასიანთა ადრეული დირჰემების მინაბაძი. ის არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების ჯგუფს მიეკუთვნება და შემოიძლია დავეთანხმო თ. დუნდუას, რომ მათი სახესხვაობაა. **მაგრამ ვინ არის ეს ბაგრატი?**

თუ მონეტა ბაგრატ III-ს ეკუთვნის, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ იქნა აღებული მის პროტოტიპად X–XI სს-ის მიჯნაზე მაინცადამაინც აბასიანთა ადრეული დირჰემები. ამის ახსნა ადვილი არ არის. უფრო მეტიც, შეუძლებელია.

ბაგრატის მონეტის არაბულ ზედწერილებში ქართული მინაბაძების ანალოგიური შეცდომებია. კერძოდ, ეს ეხება სიტყვებს كشر (მონანილე) და سوس (მოციქული) მონეტის შუბლზე და ზურგზე, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. **პალეოგრაფიული** თვალსაზრისით, ბაგრატის მონეტების არაბული წარწერები საკმაოდ **ახლოსაა** იმ არაბულ მინაბაძებთან, რომლებიც ზემოთ იყო განხილული.

⁵¹ დუნდუა, „X–XII სს. ქართული მონეტები“, 21.

⁵² იქვე.

მსგავსებაა **მეტროლოგიაში**. ბაგრატის მონეტის წონა (1.78 გ) არაბული მონეტების ქართული მინაბაძეების წონითი მაჩვენებლების ჯგუფში ჯდება. რაც შეეხება **სინჯს**, ერმიტაჟის ფიზიკურ ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზით, ის 97.18-ია, ხოლო სხვა ლითონების შემადგენლობა ამ მონეტაში ასეთი სახისაა:

N	Cr	Mn	Fe	Co	Ni	Cu	Zn	Au	As	Pb	Ag	Sb
14209	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	2.04	0.17	0.06	0.00	0.50	97.18	0.01

ბაგრატის მონეტისა და ერმიტაჟის მინაბაძეების ლითონის შემადგენლის **უალრესი სიახლოვე და იდენტურობაც კი, ეჭვს არ იწვევს**. ამის გამო, მათი მოჭრის თარიღებს შორის შეუძლებელია არსებობდეს ორსაუკუნოვანი შუალედი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, არაბული მინაბაძეების საფუძველზე მოჭრილი ბაგრატის მონეტის გადატანა ბაგრატ III-ის ეპოქაში ჩემს დიდ ეჭვს იწვევს. საკითხის დასმის წესით, მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ეს „მეფე აფხაზთა“ IX საუკუნეში ვეძიოთ. ასეთია **ბაგრატ I – აფხაზთა მეფე**, რომლის ზეობის წლები, წყაროთა განსხვავებული მონაცემების გამო, სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული: 887-906 წწ. (მ. ბროსე),⁵³ 861-873 წწ. (ე. თაყაიშვილი),⁵⁴ 887-899 წწ. (კ. თუმანოვი),⁵⁵ 881-893 წწ. (პ. ინგოროყვა),⁵⁶ მ. ლორთქიფანიძე,⁵⁷ ა. ბოგვერაძე⁵⁸ და სხვ.), 80-იანი წლების ბოლო – 893 წწ. (ზ. ანჩაბაძე)⁵⁹.

ამგვარ შესაძლებლობას გამორიცხავდა პახომოვი. ის, როგორც აღინიშნა, წერდა, რომ „ბაგრატ I აფხაზთა მეფე (887-906), თუ ის გადაწყვეტდა მოეჭრა მონეტა, ნიმუშად აიღებდა არა მუსლიმურ დირჰემს, არამედ ბიზან-

⁵³ M. Brosset, *Additions et éclaircissements a l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.-G.* (St.-Pét., 1851), 175.

⁵⁴ ე. თაყაიშვილი, *ძველი საქართველო*, II (თბილისი, 1911), 53.

⁵⁵ C. Toumanoff, “Chronology of the Kings of Abazgia and other Problems,” *Le Museon*, LXIX, 1-2, (1956), 82.

⁵⁶ პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე* (თბილისი, 1954), 193.

⁵⁷ მ. ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა (ეგრის-აფხაზეთი)“, *სინ, ტ. II, საქართველო IV-X საუკუნეებში* (თბილისი, 1973), 429-31; М. Лордкипанидзе, “Возникновение новых феодальных государств, Абхазское царство (Егрис-Абхазети),” *ОИГ*, т. II, *Грузия в IV-X веках* (Тбилиси, 1988), 293-94.

⁵⁸ ა. ბოგვერაძე, „ბაგრატ I, აფხაზთა სამეფოს მეფე“, *ქსე*, II, (თბილისი, 1977), 128.

⁵⁹ З. Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.)* (Сухуми, 1959), 123.

ტიურ ტიპს“. ⁶⁰ პახომოვი ალბათ ითვალისწინებდა ბაგრატ I-ის კავშირს ბიზანტიასთან, სადაც ის ერთხანს თავს აფარებდა კიდეც. მაგრამ საქართველოში დაბრუნებული ბაგრატი, როგორც მეფე, უკვე სხვა პოლიტიკურ რეალობაში ცხოვრობდა. იმ პერიოდის საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ჩართული იყო არაბული ვერცხლის მონეტის მიმოქცევის სფეროში და აფხაზთა სამეფოში ვერცხლის საფასის ნაკლებობა, ჩანს, უბიძგებდა მეფეს, მის სამფლობელოში მიმოქცევაში არსებული არაბული მონეტების მინაბადების საფუძველზე, მოექჩრა ახალი საფასე, როგორც იმ დროს **მიღებული არაბული** (მაგრამ დამახინჯებული), ისე – **ქართული წარწერებით, იმ ენაზე, რომელზედაც ის მეტყველებდა, წერდა და რომელიც იყო ოფიციალური სამწერლობო ენა მის სამფლობელოში.** ⁶¹

⁶⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 56.

⁶¹ თუ ჩვენი თვალსაზრისი სწორეა, მაშინ ბაგრატ I და არა ბაგრატ III, იქნება პირველი მეფე, რომელიც ატარებდა ტიტულს „მეფე აფხაზთა“. ჩვეულებრივ, ლ. ახალაძის დაკვირვებით, ბაგრატ III-მდე აფხაზთა მეფეები მხოლოდ „მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ლია ახალაძე, *აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო*, I (თბილისი, 2005), 149-53.

ტაბულები
ერმიტაჟის მინაბაძები

შუბლი

№1364



№11614



№11615



№11616



№14210



№14211



№14212



№14213



№14214



№14215



№14216



GEORGIAN IMITATIONS OF ABBASID DIRHAMS AND REATTRIBUTION
OF THE SILVER COIN OF BAGRAT III

The present paper consists of two parts. The first “The Georgian imitations of Arabic dirhams” considers the local imitations of Abbasid dirhams about whose minting, belonging and the time of circulation various views have been expressed by researchers (E. Pakhomov, D. Kapanadze, D. Lang, Sh. Meskhia, I. Jalaghania, D. Dundua, T. Dundua and others). The Tsebelda hoard of imitations (I. Djalaghania, O. Kh. Bghazhba, Yu. Voronov, ‘A hoard of imitations of Arabic dirhams from Tsebelda’, *Archaeological Studies in Tsebelda (results of the excavations in 1977)* (Tbilisi, 1983, 10-26), pls. 1-106 and the 11 imitations preserved at the Numismatic Department of the Hermitage (Nos. 1364, 11614-11616, 14210-14216) have been studied and analyzed, on the basis of which the author concludes that their prototypes were minted in the last four decades of the 8th c. and in the first two decades of the 9th c., earlier than the AH/821-22AD monetary reform, carried out by the caliph Al-Mamun. The imitations were in circulation throughout the 9th c.

The second part of the paper “The imitations of Abbasid dirhams and the reattribution of Bagrat III’s silver coin” discusses the so-called Bagrat III (978-1014) silver coin. Its obverse bears the first part of the symbol of Islamic faith in Arabic – with spelling errors, and round it an illiterately written, illegible legend in Arabic. In the centre of the reverse is the second part of the symbol of Islamic faith, in three lines, in faulty Arabic; around it runs a legend in Georgian asomtavruli: “O Christ, exalt Bagrat, king of the Abkhazians.” According to D. Lang, this coin is simply a slavish imitation of early Abbasid dirhams. Actually it is a variety of Georgian imitations of Abbasid dirhams. A resemblance was found between the paleography of the Arabic legends of Bagrat’s coin and the imitations, and the same mistakes (e. g. Arabic “*rasu*” (messenger) on the reverse, instead of “*rasul*”).

The analysis of metal composition of Bagrat’s coin made it clear that its silver content is high (97.18), which is not characteristic of dirhams of the late 10th or the early 11th c. when there was a silver famine in the vast region of the Middle East. On the other hand, similarity is observable between it and some Hermitage imitations (94.25% – 97.54%). The author points out that the period of Bagrat III is sufficiently removed from the time of minting imitations, which raises doubts about the coin belonging to Bagrat III. By way of posing the problem, he suggests that the Bagrat under discussion is Bagrat I, Abkhazian king, who presumably reigned in the last decades of the 9th c. and even till the beginning of the 10th c.

მატრიბული ოქრო XII-XIII სს ქართულ წყაროებში

1938 წ. თ. ლომოურმა ყურადღება მიაქცია „ისტორიათა და აზმათა შარავანდედთანის“ ერთ ცნობას, რომელიც ეხება ოქროს ორ სახეობას: „ოქროჭედილითა“ და „უჭედელთა“.¹ მკვლევარის დაკვირვებით „ოქრო ჭედილი“ აღნიშნავდა ოქროს ფულს, ჭურჭელს, იარაღს, სამკაულს, ხოლო „უჭედელი“ კი – უცილობლად ოქროს ზოდებს. ყველაფერი ეს საჭურჭლეში (ხაზინაში) იდო და იხმარებოდა საჭიროებისამებრ.² იმ პირობებში, როცა რუსთაველის ეპოქის საქართველოში არ იჭრებოდა ოქროს საკუთარი მონეტა, თ. ლომოურს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ დიდი ხარჯების დასაფარავად ფულთან ერთად ასეთი ოქროს ზოდებიც გამოიყენებოდა.³ ეს არის უაღრესად საინტერესო დაკვირვება, რომლის ჭეშმარიტებაც სათანადო კვლევა-ძიებამ უნდა დაადასტუროს. ჯერჯერობით ქართული წყაროებიდან „უჭედელი“ ძვირფასი ლითონის გამოყენებას გადახდის საშუალებად მხარს უჭერს ფავნელის დაწერილი შიო-მღვიმისადმი. აქ ნათქვამია: „მოვიყვანე მთავარი მემღუიმე თევდორე და მივათუალენით სოფელნი და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი, ათიათასი პელპელი“.⁴ ამ ცნობაში სავსებით აშკარად ერთ მხარეზეა ოქროს ფული პერპერა, რომელიც ცალობით არის ათვლილი და ძვირფასი ლითონი – ოქრო და ვერცხლი (ზოდებად), რომელთა გადახდა ხდება წონით (ლიტრებში). რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ერთ სტროფში

პირველად დაიბეჭდა – *მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია*, 4 (1975), 145-51.

¹ ქართულ წყაროში ეს ცნობა მოტანილია თამარის პირველ ქორწინებასთან დაკავშირებით: „ეგრეთ იქმნა ქორწილი სახელდაუდებელი და იგავ-მიუნვდომელი; სიმრავლენი სახეობათანი, მძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, **ოქროჭედილთა და უჭედელთანი**, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი...“ *ქც*, ტ. II, 37. ამ წყაროში ეს ტერმინი სხვაგანაც გვხვდება – გიორგი III-ის მიერ ანისთან მუსლიმთა კოალიციის დამარცხების შემდეგ მოპოვებული ნადავლის აღწერის დროს (გვ. 9).

² თ. ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა* (თბილისი, 1938), 295.

³ იქვე.

⁴ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, *საერო-საკანონმდებლო ძეგლები X-XIX სს.*, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი, 1965), 3.

(1019.3) მოხსენიებულია „სამოცი ლიტრა წითელი, ანონით არ ნაკლულითა“.⁵ აქ შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც „უჭედელი“ ძვირფასი ლითონი – ბაჯალლო-ოქრო, ისე წონით ერთეულში გამოხატული მაღალხარისხიანი ოქროს მონეტების საერთო რაოდენობა.⁶

ოქროსა და ვერცხლის ზოდების გამოყენება გადახდის დროს გვხვდება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა⁷ და რუსეთში.⁸ ვერცხლის ზოდებით ვაჭრობა დადასტურებულია ფატიმიანთა ეგვიპტეში,⁹ რომლის ეკონომიკაც „უაღრესად მონეტიზებული“¹⁰ იყო და, საერთოდ, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა: „ოქროს მონეტა და ოქროს ზოდი იმთავითვე მხოლოდ გარეგნობით განირჩევიან ერთმანეთისაგან და ოქრო მუდამ შეიძლება გარდაიქმნას ერთი ფორმიდან მეორედ. ზარაფხანიდან გამომავალი გზა კი ამავე დროს გადასადნობი ქვაბისკენ მიმავალი გზაა...“¹¹

XII-XIII სს საქართველოს ეკონომიკაში „უჭედელი ოქროს“ როლი ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ერთი საკითხი: საიდან იღებდა ამ ოქროს საქართველო.

XII-XIII სს პირველ ორ ათეულში ოქროს მიღების წყარო იყო ძლევა მოსილი ომები და, აქედან გამომდინარე, – სამხედრო ნადავლი და კონტრიბუციები. მოსალოდნელია საკუთარი საბადოების ექსპლოატაცია, მაგრამ საამისო ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ოქროს მიღების მესამე წყარო იყო საერთაშორისო ვაჭრობა,¹² უცხოური ოქრო.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში დამონშმებული „მალრიბული“ ოქრო.

მალრიბული ოქრო გვხვდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

⁵ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტექსტი და ვარიანტები (თბილისი, 1966).

⁶ ნ. ქოიავა ვარაუდობს, რომ აქ გვაქვს „სრულფასიანი, გაუფუჭებელი“ მონეტები. ნ. ქოიავა, „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში“, *ენიმკის მოამბე*, III (1938), 106. ჩვენ უფრო პირველი შესაძლებლობისაკენ ვიხრებით.

⁷ Ф. И. Михалевский, *Очерки истории денег и денежного обращения*, т. I (Ленинград, 1948), 83-84.

⁸ И. Г. Спасский, *Русская монетная система* (Ленинград, 1970), 62-63.

⁹ S. D. Goitein, *A Mediterranean Society*, vol. I (Berkeley and Los Angeles, 1967), 236, 388-89.

¹⁰ გამოთქმა ეკუთვნის ს. გოიტეინს. Goitein, *A Mediterranean Society*, 230.

¹¹ კ. მარქსი, *კაპიტალი*, ტ. I, ნ. I (თბილისი, 1954), 161.

¹² საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ამ პერიოდში იხ. ვ. გაბაშვილი, „საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში“, *თსუ შრომები*, ტ. 121 (1967), 201-24.

„მეფემან ბრძანა „მოკაზმეთ საწოლი უფლისწულისა დაუდგეს ტახტი ოქროსი, წითლისა მალრიბულისა“ (1188.2).

მალრიბული ოქრო აქ განმარტებულია როგორც წითელი, ე.ი. ბაჯალლო, უმაღლესი ხარისხისა.

„აბდულმესიანში“ იოანე შავთელი ასე მიმართავს თამარ მეფეს:

„ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა / მუშკს სურნელება შენგან მიეცა, ყანდარს შაქარ, მალრიბს ოქროს ქან / ბარან მარგალიტი სადაფი ეცა“. ¹³

მალრიბის ოქროს ქანი ანუ მადანი საკმაოდ სახელგანთქმული უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტი მას თამარ მეფის სახელს არ დაუკავშირებდა.

ჩახრუხაძე „თამარიანში“ მოგვითხრობს იმ პირთა შესახებ, რომლებიც, თამარის სიდიადით მოხიბლულნი, სხვადასხვა ქვეყნიდან მოდიოდნენ მის სანახავად; ამათგან, რომლებმაც

„მალრიბსა დაყვნეს ჟამნი მრავალნი

აჰვაზს მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის“. ¹⁴

ი. ლოლაშვილის განმარტებით ქვა-ოქრო ძვირფასი ქვები და ოქროა. ¹⁵ მაგრამ შესაძლებელია, რომ ქვა-ოქრო უბრალოდ ოქროს ზოდია. პარალელი მოიძიება არაბულშიც: ჰაჯარ-ჟიდედა, ე.ი. ქვა-ვერცხლი ფატიმიანთა ეგვიპტეში ვერცხლის ზოდის მნიშვნელობით იხმარებოდა. ¹⁶ როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: ოქრო მოაქვთ თამარის იმ თაყვანისმცემელთ, რომელთაც მალრიბში დაუყვიათ დიდი ხანი, მალრიბიდან მოდიან. ეს ოქრო მალრიბული ოქროა.

რას ნიშნავს „მალრიბული ოქრო“ და საიდან მომდინარეობს ის?

ნ. ქოიავა, „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ სტროფთან დაკავშირებით, მალ-

¹³ იოანე შავთელი, „აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა“, *ძველი ქართველი მეხოტბენი*, წ. II, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა (თბილისი, 1964), 136, 58.2. ნ. მარის გამოცემაში ვკითხულობთ: „მალრიბსა ზარქან“. Н. Марр, „Древнегрузинские одеписцы,“ *Тексты и разыскания*, кн. IV (СПб. 1902), ლთ. ზარქანი და ოქროს ქანი ერთი და იგივეა. ნ. მარის განმარტებითვე (იქვე, გვ. რნვ) ზარქანი – Золотой рудник, или свежее, самородное золото.

¹⁴ ჩახრუხაძე, „ქება მეფისა თამარისი“, *ძველი ქართველი მეხოტბენი*, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა (თბილისი, 1957), 198. VIII ოდა, 53.6-7. ბოლო ტაეპი აქ ასეა: „აჰვაზს, მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის“. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ვარიანტების უმრავლესობა – უძველესი ხელნაწერები ABCFG (გვ. 227) – აჰვაზის ნაცვლად გვაძლევს აფხაზს.

¹⁵ იქვე, 162.

¹⁶ Goitein, *A Mediterranean Society*, 388-89.

რიბულ ოქროს განმარტავს როგორც „დასავლურ ოქროს“, ¹⁷ მისი სადაურობის დაკონკრეტების გარეშე. ¹⁸ „მალრიბული ნიშნავს დასავლურს, ამრიგად ოქრო დასავლეთიდან, ან დასავლეთიდანაც შემოდოდა“ – წერს ის. შემდეგ ნ. ქოიავა ეხება ოქროს მომპოვებელ რაიონებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შუა საუკუნეებში: „XI საუკუნიდან ოქროს საგრძნობი რაოდენობა მზადდება ოილეს მახლობლად. წარმოებდა აგრეთვე გერმანიისა და საფრანგეთის მდინარეების ექსპლოატაცია...“ ¹⁹ ოქროს მოპოვება ხდებოდა ზალცბურგშიც. ოქროს სხვა, რამდენადმე მნიშვნელოვანი საბადოები არაა ცნობილი“. ²⁰ აქედან ცხადია, რომ მკვლევარი მალრიბულ ოქროში ევროპულ ოქროს გულისხმობდა.

მალრიბი როგორც გეოგრაფიული ტერმინი არ არის უბრალოდ დასავლეთი, ევროპა. მალრიბი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას საჰარის ჩრდილოეთით, ეგვიპტის დასავლეთით ატლანტიკის ოკეანემდე. XI-XIII სს-ში მალრიბის ტერიტორიაზე არსებობდა ალ-მორავიდებისა (1056-1147) და ალ-მოჰადების (1130-1269) მძლავრი მუსლიმური სახელმწიფოები. „მალრიბული ოქრო“ ჩრდ. აფრიკისკენ მიგვითითებს.

არსებობს მოსაზრება, რომ „მალრიბული“ ეწოდება ოქროს ფულს, რომელსაც ეგვიპტეში ჭრიდნენ. ჩვენ ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმებით.

მახლობელი აღმოსავლეთის ფულის მიმოქცევის ისტორია იცნობს „მალრიბულ“ დინარებს. ეს დინარები იჭრებოდა ფატიმიანთა მიერ, რომლებიც ეგვიპტეში მალრიბიდან მოვიდნენ. ამ სახელწოდებას ატარებდნენ აგრეთვე მალრიბის ქვეყნებში სხვადასხვა მმართველების მიერ მოჭრილი ოქროს მონეტებიც, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც სხვა დასახელებულ ნაწარმოებებში საუბარია არა ოქროს მონეტებზე, არამედ მალრიბულ ოქროზე, ლითონზე ან ამ ლითონის საბადოზე.

ასეთი საბადო კი მალრიბში არ გვეგულება. შუა საუკუნეებში მალრიბში არავითარი ოქროს მოპოვება არ წარმოებდა. სამაგიეროდ ოქროს მოიპოვებდნენ მალრიბის მომიჯნავე აფრიკის ქვეყნებში.

აფრიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოქროს ექსპორტის საქმეში. მდიდარი საბადოები იყო ეგვიპტის სამხრეთით – ნუბიაში, ძირითადად – ნითელი ზღვის სანაპიროს გასწვრივ და ნუბიის უდაბნოში. აქ რ. ფორბესი 100-მდე ოქროს საბადოს ითვლის. ²¹ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვადი ალ-

¹⁷ ქოიავა, „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში“, 94.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ R. J. Forbes, *Metallurgy in Antiquity* (Leiden, 1950), 146.

‘ალლაკის საბადოები, რომლებიც ოქროთი ამარაგებდნენ ეგვიპტეს, მაგრამ XII ს-ში მათი პროდუქტიულობა ისე დაეცა, რომ მოძიებული ოქრო ძლივს და ფარავდა განუულ ხარჯებს.²²

ნუბიის საბადოებს ესაზღვრებოდა ეთიოპიის საბადოები. უფრო სამხრეთით მოზამბიკის ტერიტორიაზე იყო სოფალას (სოფალათ აზ-ზინჯის) საბადოები – მდიდარი როგორც თვითნაბადი, ისე ალუვიალური ოქროთი.²³ სოფალას ოქრო ძირითადად ინდოეთში გაჰქონდათ²⁴ და არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს წინა აზიის ქვეყნების ეკონომიკაში.

განსაკუთრებით მდიდარი იყო ოქროთი სუდანი, ბილად ას-სუდან – შავკანიანთა ქვეყანა. ამ სახელწოდებით არაბები აღნიშნავდნენ ვრცელ ტერიტორიას საჰარის სამხრეთით, ატლანტიკის ოკეანიდან ვიდრე ეთიოპიის ზეგნამდე.

სუდანში ოქროს ძირითადად მოიპოვებდნენ ღანაში. ეს სახელმწიფო წარმოიქმნა III-IV სს-ში მდ. სენეგალისა და მდ. ნიგერის ზემო დინებაში, დღევანდელი განას რესპუბლიკის ჩრდ. დასავლეთ საზღვრებთან.²⁵ ღანა განთქმული იყო ოქროს სინმინდითა და სიუხვით. ამის შესახებ განცვიფრებით წერდნენ VIII-X სს არაბი გეოგრაფები და ისტორიკოსები: ალ-ფაზარი,²⁶ ალ-იაკუბი,²⁷ მას‘უდი,²⁸ იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი,²⁹ იბნ ჰაუკალი,³⁰ ალ-ჰამადანი.³¹ ოქროს სიუხვე აღვივებდა ფანტაზიას: „ოქრო ღანაში ამოდის ქვიშაში, მცენარესავით, როგორც სტაფილო“ – არწმუნებდა თანამედროვეებს იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი³².

²² H. Rabie, *The Financial System of Egypt A. H. 564-741 / A. D. 1169-1341* (Oxford, 1972), 169.

²³ *Арабские источники X-XII веков по этнографии и истории Африки южнее Сахары*, подготовка текстов и переводы В.В. Матвеева и Л.Е. Куббеля (Москва-Ленинград, 1965), 136, კომენტარი, გვ. 423.

²⁴ Г.А. Шумовский, *Арабы и море* (Москва, 1964), 127.

²⁵ А.А. Жуков, “Гана.” *Африка, Энциклопедический справочник*, I (Москва, 1963), 306.

²⁶ F. Lewicki, “Quelques extraits inédits relatifs aux voyages des commerçants et des missionnaires Ibādites Nord-Africains au pays du Soudan Occidental au Moyen Âge,” *Folia Orientalia*, t. II, f. 1-2 (1960), 15.

²⁷ *Арабские источники VII-X веков по этнографии и истории Африки южнее Сахары*, подготовка текстов и переводы Л.Е. Куббеля и В.В. Матвеева (Москва-Ленинград, 1960), 41.

²⁸ იქვე, 257.

²⁹ იქვე, 83.

³⁰ *Арабские источники X-XII веков*, 63, 67.

³¹ D. M. Dunlop, “Sources of Gold and Silver in Islam according to al-Hamdānī,” *Studia Islamica*, VII (1957), 38; Al-Hamdānī, *Die beiden Edelmetall, Gold und Silber*, herensgegeben and übersetzt von Christopher Toll (Uppsala, 1968), 143.

³² *Арабские источники VII-X веков*, 83.

არაბი ავტორების ყურადღება სუდანის ოქროსადმი შემთხვევითი არ არის. ამას განაპირობებდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების გაცხოველებული ვაჭრობა სუდანთან. სუდანში გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი და სანაცვლოდ კი შემოჰქონდათ ოქრო, რადგანაც, ალ-ბირუნის სიტყვებით, „იქ არაფერი არ იყო ოქროს საბადოების გარდა“.³³ ამავე ავტორის შენიშვნით, სხვა ქვეყნებში არსად არ იყო საბადოები, რომლებიც იძლეოდნენ სუდანის საბადოებზე უფრო უხვსა და წმინდა ოქროს.³⁴

უკვე IX-X საუკუნეებში სუდანიდან მიდიოდა სამი სავაჭრო გზა, ორი კაირუანიდან და ერთი საჯილმასადან.³⁵ ეს უკანასკნელი (მაროკოში) X ს-ში გახდა სუდანთან ვაჭრობის მთავარი თავშესაყრელი პუნქტი. ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბაღდადიდან, ქუფადან და ბასრადან გამოსული ერაყელი ვაჭრები. იბნ ჰაუკალის ცნობით, მათს ქარავნებს უცვლელად მოჰქონდათ დიდი მოგება და სიმდიდრე, რასაც ვერ შეედრებოდა ისლამის სხვა ქვეყნების ვაჭართა შემოსავალი.³⁶

სუდანის (ღანას) ოქრომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა IX-X სს მახლობელი აღმოსავლეთის ოქროთი მომარაგებაში. დიდი იყო სუდანის ოქროს მნიშვნელობა მომდევნო საუკუნეებშიც.³⁷

ღანაში ოქროს მოპოვების შესახებ წერდნენ ალ-ბაქრი (გარდ. 1094) და ალ იდრისი (გარდ. 1165). უკანასკნელის ცნობით, ოქროს მოიპოვებდნენ ღანას მოსაზღვრე ვანკარას ტერიტორიაზე: „ეს არის ოქროს ცნობილი ქვეყანა, რომელიც სახელგანთქმულია ოქროს სიუხვისა და კარგი თვისებების გამო“ – აღნიშნავდა არაბი გეოგრაფი.³⁸

ოქროს მოპოვება ხდებოდა სუდანისა და მალრიბის საზღვართან მდებარე ქ. აუდალოსთან. ეს ქალაქი წარმოადგენდა მთავარ შესაკრებ პუნქტს ვაჭრობისათვის, რომელიც წარმოებდა მაროკოდან სუდანში და სანინალმდეგო

³³ *Арабские источники X-XII веков*, 135.

³⁴ Ал. Бируни, *Собрание сведений для познания драгоценностей (Минералогия)*, перевод А.М. Беленицкого (Москва, 1963), 225.

³⁵ A. Lewis, *Naval Power and Trade in the Mediterranean A. D. 500-1100* (Princeton, New Jersey, 1951), 210.

³⁶ *Арабские источники X-XII веков*, 63.

³⁷ სუდანის ოქროს და მისი მნიშვნელობის შესახებ არსებობს სპეციალური ლიტერატურა. იხ. F. Broudel, “Monnaies et Civilizations. De l’or du Soudan à l’argent d’Amerique,” *Annales* [Economies, Societes, Civilization] I (1946); E. F. Gautier, “L’or du Soudan dans l’histoire,” *Annales d’Histoire, Economique et Sociale*, 32 (1935), 113-23; M. Lombard, “L’or Musulman du VIIe au XIe siecle,” *Annales* [Economies, Societes, Civilization] Anne. 2, N 2 (1947). 143-60; E. W. Bovil, *The Golden Trade of Moors* (London, 1958).

³⁸ *Арабские источники X-XII веков*, 287, კომენტარები, გვ. 389.

მიმართულებით.³⁹ „აუდალოსთის ოქრო არის ყველაზე საუკეთესო და სუფთა ოქრო, რომელიც კი აქვთ დედამინის მკვიდრთ“ – წერდა ალ-ბაქრი.⁴⁰

სუდანის ოქროს მნიშვნელობა აისახა XIV-XV სს. არაბი მწერლების იბნ ხალდუნის (გარდ. 1406) და ალ-კალკაშანდის (გარდ. 1418) შრომებში.

სუდანის ოქრო მიმზიდველი იყო არა მარტო მისი სინმინდისა და მაღალი თვისებების გამო. ვაჭრებს იზიდავდა მისი უაღრესად იაფი ფასი. სუდანში ვაჭრებს მიჰქონდათ ბასრული სამოსი, რომელიც „ბაჯბაჯის“ სახელით იყო ცნობილი,⁴¹ მატყლი, მძივები, ბრინჯი, ხორბალი, ფინიკი, გამომშრალი ყურძენი, მინა, ბრინჯაო, სპილენძი, ტყვია, მარილი.⁴² მარილზე დიდი მოთხოვნა იყო სუდანის შიდა და განაპირა რაიონებში. X ს-ში აქ ერთი ჰიმლი (ე.ი. 250 კგ) მარილი 200-300 დინარი⁴³ (ე.ი. საშუალოდ 1 კგ ოქრო) ღირდა, ხოლო XIV ს-ში ყოველ 100 მისკალ (446 გ) სპილენძში იძლეოდნენ 66 1/2 მისკალ⁴⁴ (290 გ) ოქროს. ამგვარად ოქროსა და სპილენძის რაციო 1:1.5 იყო უაღრესად ხელსაყრელი და მომგებიანი ვაჭრობისათვის.

არაბი გეოგრაფები, რომლებიც შესანიშნავად იცნობდნენ სუდანს, აღნიშნავდნენ, რომ ის უშუალოდ ეკვრის მალრიბს. იბნ ჰაუკალის მითითებით, მალრიბის სამხრეთი საზღვარი გადიოდა ღანასთან და აუდალოსთან,⁴⁵ რომლებიც ოქროთი მდიდარი რაიონები იყვნენ. იბნ ხალდუნი, როცა სუდანს ოქროს მომწოდებელ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ასახელებდა, მიიჩნევდა, მას „მალრიბის მახლობლად“ მდებარე ქვეყანად.⁴⁶ ხოლო ზოგიერთი გეოგრაფი, მაგ., ალ-ჰამდანი, აღნიშნავდა, რომ არაბთა საბადოებიდან ყველაზე პროდუქტიულია ღანას – მალრიბის ქვეყნის, ეგვიპტის მალრიბის ქვეყნის საბადოებიო.⁴⁷ არაბ ავტორებთან

³⁹ G. Iver, „Awdaghost,” *EI2*, vol. I, 762; *Арабские источники X-XII веков*, 379.

⁴⁰ *Арабские источники X-XII веков*, 172.

⁴¹ Ал. Бируни, *Собрание сведений для познания драгоценностей*, 225.

⁴² *Hudūd al-‘Alām. The Regions of the World. A Persian Geography 372 A. H. – 982 A.D.*, translated and explained by V. Minorski (London, 1937), 67, 171; ალ-კალკაშანდი, *სუბჰ ალ-ა‘შა ფი სინა ‘ათ ალ-ინშა‘*, ტ. V (კაირო, თარღის გარეშე), 291; *Voyages d’Ibn Batotah, texte Arabe accompagné d’une traduction par C. Defrémery et Dr B. R. Sanguinetti*, t. IV (Paris, 1858), 378.

⁴³ *Арабские источники X-XII веков*, გვ. ჰუდუდ ალ-ალემის თანახმად, ეგვიპტელი ვაჭრები სუდანში მინაში, ტყვიასა და მარილში იღებდნენ თანაბარი წონის ოქროს. *Hudūd al-‘Alām*, 165. მარილში ოქროს უფრო დაბალ ფასს გვიჩვენებენ იბნ ბატუტა (*Voyages*, 378) და ალ-კალკაშანდი (*სუბჰ ალ-ა‘შა*, 291).

⁴⁴ ალ-კალკაშანდი, *სუბჰ ალ-ა‘შა*, 291.

⁴⁵ *Арабские источники X-XII веков*, 62.

⁴⁶ იბნ ხალდუნი, *მუკადდიმა*, ტ. I (ბეირუთი, 1967), 651.

⁴⁷ Dunlop, „Sources of Gold and Silver in Islam,” 39; Al-Hamdānī, *Die beiden Edelmetall*, 143.

სუდანის მჭიდროდ არის მალრიბთან დაკავშირებული, ისე რომ ზოგჯერ მათ შორის ზღვარი იშლება.

სუდანისა და მალრიბის გეოგრაფიულ სიახლოვეს შორეულ ქვეყნებშიც, კერძოდ კი საქართველოში, შეიძლება ნაეშალა ზღვარი ოქროს მომპოვებელი რაიონების ლოკალიზაციის დროს – უფრო ნაცნობი და დანინაურებული მალრიბის სასარგებლოდ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სუდანში მოპოვებული ოქროს ექსპორტი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში სწორედ მალრიბის გავლით ხდებოდა.

XII ს-ში ალ-იდრისის ცნობით ოქროთი ვაჭრობაში მთავარ როლს მალრიბელი ვაჭრები თამაშობდნენ.⁴⁸ მათი როლის გაძლიერება ამ სფეროში უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც ფატიმიანებმა XI ს. 40-იან წლებში დაკარგეს კონტროლი ჩრდ. აფრიკაზე.

XII ს-ში, როცა დაქვეითდა და ამოიწურა ვადი ალ-‘ალლაკის ოქროს საბადოების პროდუქტიულობა, სუდანის ოქროს მნიშვნელობა საერთაშორისო მასშტაბით კიდევ უფრო გაიზარდა.

XII ს-დან, როცა ევროპელმა ვაჭრებმა ხელთ იგდეს უპირატესობა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ვაჭრობაში, სუდანის ოქროს მძლავრი ნაკადი დაიძრა დასავლეთ ევროპისკენაც.⁴⁹

მალრიბის გავლით წამოსული სუდანის ოქრო საქართველოში შეიძლება გარდასახულიყო მალრიბულ ოქროდ, სუდანის ოქროს საბადოები კი მალრიბულ ოქროს ქანად, ამის მიზეზი იყო არა მარტო სუდანისა და მალრიბის გეოგრაფიული სიახლოვე, არამედ მალრიბის როგორც ოქროს შემკრებისა და გამანაწილებელის დომინირებული როლი.

ასეთი გარდასახვის მაგალითი არაერთი იცის ისტორიამ. მაგ., შუა საუკუნეებში ფუფუნების საგნებსა და ძვირფას ქვათა შორის დიდი მოთხოვნით სარგებლობდა ბადახშანის ლალი. ალ-ბირუნის შენიშვნით, ქ. ბადახშანი არავითარ კავშირში არ იყო ამ ლალის მოპოვებასთან. ლალმა ეს სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ ბადახშანი წარმოადგენდა ადგილს, სადაც თლიდნენ და აპრილებდნენ მას; კარებს, საიდანაც ვრცელდებოდა ის სხვადასხვა ქვეყანაში.⁵⁰

⁴⁸ *Арабские источники X-XII веков*, 287.

⁴⁹ ზეტბერის თანახმად, შუა საუკუნეებში სუდანიდან ევროპაში გადიოდა 3 ათასი კგ ოქრო წლიურად. იხ. Михалевский, *Очерки истории денег и денежного обращения*, 131. აფრიკის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის პ. მონის მიხედვით კი სუდანის ოქროს წლიური პროდუქცია იყო 9000 კგ, საიდანაც 6000 კგ ექსპორტში მიდიოდა. P. Mauny, *Tableau géographique de l'Ouest Africain au moyen Age* (Dakar, 1961), 376; E. Ashtor, *Les métaux précieux et la balance des paiements du Proche Orient à la basse-époque* (Paris, 1971), 26.

⁵⁰ Ал. Бируни, *Собрание сведений для познания драгоценностей*, 74. ქართულ სამეცნიერ-

ასეთ „კარებს“ სუდანის ოქროსთვის წარმოადგენდა მალრიბი.

რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში დამონმებული მალრიბული ოქრო გვაფიქრებინებს, რომ ეს ოქრო საკმაოდ კარგად იყო ცნობილი საქართველოში.

მალრიბთან უშუალო კონტაქტების პირდაპირი საბუთები ჯერ არ გავაჩნია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ XII ს-ში საქართველო ვაჭრობდა ეგვიპტესთან, კერძოდ კი – ქ. ალექსანდრიასთან. ხოლო ყველა ქვეყანა, რომელიც კი ალექსანდრიასთან ვაჭრობდა, პროფ. ვ. გაბაშვილის დასკვნით, მონანილეობდა მსოფლიო ვაჭრობაშიც.⁵¹

შეიძლება ვივარაუდოთ, საქართველოს გარკვეული კავშირი ჰქონდა იმ დიდ ვაჭრობასთან, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოებდა მალრიბის გავლით სუდანთან. ისევე როგორც სხვა ქვეყნებისათვის, საქართველოსთვისაც სუდანის ოქრო მალრიბის გავლით უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

ეს იყო ერთ-ერთი წყარო ამ ძვირფასი ლითონისა, რომელსაც საქართველო საერთაშორისო ვაჭრობით იღებდა.

რო ლიტერატურაში ბადახშანის ლალის შესახებ იხ. ნ. ქოიავა, „ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში“, *ენიშკის მოამბე*, III (1938), 67-74; გ. წერეთელი, „ბალახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში“, *აღმოსავლური ფილოლოგია* (თბილისი, 1972), 35-40.

⁵¹ გაბაშვილი, „საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი“, 207.

ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში

XI-XIII სს. საქართველოში ვერცხლისა და სპილენძის მონეტებთან ერთად ტრიალებდა ოქროს მონეტაც. ეს იყო უცხოური ოქროს საფასე, რომლის მიმოქცევა დასტურდება სამონეტო აღმოჩენებითა და წერილობითი წყაროების ცნობებით.

XI-XIII სს. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები ხშირად ასახელებენ ოქროს მონეტას საქართველოში გადახდის საშუალებად. წყაროებმა შემოგვინახეს ოქროს მონეტის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი,¹ რომელთა ანალიზი, ნუმიზმატიკური მასალების შესწავლასთან ერთად საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ საქართველოში ოქროს მონეტის მიმოქცევის საერთო სურათის შესახებ.

XI-XII საუკუნეებში მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ფულის მიმოქცევაში შეინიშნება ვერცხლის მონეტის თანდათანობითი და შემდგომ სრული გაქრობა. ასეთ პირობებში, საერთაშორისო მიმოქცევის სფეროში იზრდება ოქროს მონეტის როლი და მნიშვნელობა.

XI-XIII საუკუნეებში მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ბევრი მუსლიმი გამგებელი (დიდი სელჩუკები,² აბასელი ხალიფები ერაყში,³ ფატიმი-

პირველად დაიბეჭდა – *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (1976), 84-95.

¹ ფულისა და კონკრეტულად XI-XIII სს. საქართველოში ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ტერმინები პირველად მეცნიერულად შეისწავლა აკად. ივ. ჯავახიშვილმა – „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა მეტროლოგია“, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა*, წიგნი III, ნაკვეთი მესამე (ტფილისი, 1925), 8-14; ამავე საკითხებზე იხ. აგრეთვე, ს. კაკაბაძე, „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“, *საისტორიო მოამბე*, წ. II (ტფილისი, 1925), 5; თ. ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა* (ტფილისი, 1938), 295-97, 300-1; ნ. ქოიავა, „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში“, *ენიშვის მოამბე*, ტ. III (1938), 104-5.

² Т. Ходжаниязов, “К вопросу о начале монетного чекана в государстве Великих Сельджуков,” *НЭ*, т. X (1972), 155-59; Т. Ходжаниязов, “Денежное обращение в государстве Великих Сельджуков (по данным нумизматики),” Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук (Москва, 1971); E. Zambaur, *Die Minzprägungen des Islams*, bd. I (Wiesbaden, 1968), ცხრ. 8 და შმდ.

³ Zambaur, *Die Minzprägungen des Islams*, ცხრ. 12; N. Nakshabandi, *The Islamic Dinar in the Iraqi Museum*, vol. I (Baghdad, 1963), 147-93.

ანები⁴ და აიუბიანები⁵ ეგვიპტესა და სირიაში, ჩრდ. მესოპოტამიის ათაბაგები⁶ და სხვ.) ქრიდა ოქროს მონეტას – დინარს. ოქროს მონეტა – ნომისმა იჭრებოდა ბიზანტიის იმპერიაშიც.⁷ ოქროს როლი მიმოქცევაში ყველგან და ყოველთვის არ იყო ერთნაირი,⁸ მაგრამ ის წარმოადგენდა გადახდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას საერთაშორისო მასშტაბით. მსოფლიო ფულის როლში, ერთი მხრივ, მუსლიმური დინარი, ხოლო, მეორე მხრივ ბიზანტიური ნომისმა გამოდიოდა.

საქართველოს საერთაშორისო კონტაქტებს უნდა განეპირობებინა ადგილობრივ სამონეტო ბაზარზე საკუთარ საფასესთან ერთად მუსლიმური დინარისა და ბიზანტიური ნომისმას თანაარსებობაც. მაგრამ საქართველოს სამონეტო განძებში XI-XIII სს. ოქროს ფულიდან მხოლოდ ბიზანტიური ნომისმა არის წარმოდგენილი.⁹ მუსლიმური დინარი ჯერჯერობით არ გვხვდება.

შესაძლებელია, რომ ქვეყნის საშინაო ბაზარზე დინარის მიმოქცევა შეზ-

⁴ G. Miles, *Fatimid Coins in the Collections of the University Museum Philadelphia and the American Numismatic Society* (New-York, 1951); Zambaur, *Die Minzprägungen des Islams*, ცხრ. 7-11. ფატიმიანთა დინარის იმიტაციები იჭრებოდა აგრეთვე ჯვაროსანთა სამფლობელოებშიც – სირია-პალესტინაში XII-XIII სს. 50-იან წლებში; A. S. Ehrenkreutz, “Arabic Dinar struck by the Crusaders,” *JESHO*, vol. VII, pt. II (1964), 167-82; P. Balog, J. Ivon, “Monnaies a légendes de l’Orient Latin,” *RN*, t. XII (1958), 136.

⁵ Zambaur, *Die Minzprägungen des Islams*, ცხრ. 8 -12; A. S. Ehrenkreutz, “The Crisis of Dinar in the Egypt of Saladin,” *JAOS*, vol. 76, No. 3 (1956), 178-84.

⁶ ალ-ჰუსაინი, *ალ-‘უმლათ ალ-ისლამიაჲ ჭი ‘აჰდ ალ-ათაბაჲი* (ბაღდადი, 1968).

⁷ Ph. Grierson, “Coinage and Money in the Byzantine Empire 498 – c. 1090,” *Moneta e scambi nell’alto medioevo* (Spoleto, 1961), 411-53; Id., “From Solidus to Hyperperon. The Names of Byzantine Gold Coins,” *Ncirc*, vol. LXXIV, No. 15 (1966), 123-24; A. Hendy, *Coinage and Money in Byzantine Empire 1081–1261* (Washington, 1969).

⁸ ოქროს მონეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფატიმიანთა ეგვიპტის (969-1171) ეკონომიკაში, მაგრამ ამ დინასტიის ბატონობის უკანასკნელ წლებში აღინიშნა ოქროს სამონეტო კრიზისი. მართალია, დინარის ემისია გრძელდებოდა აიუბიანთა (1171-1250) დროსაც, მაგრამ კრიზისული მოვლენები არ გამქრალა. ოქროს მონეტას უპირისპირდება დაბალხარისხიანი ვერცხლის საფასე. ბაჰრელ მამლუქთა (1250-1382) დროს კი ეგვიპტეში დასრულდა ოქროს სამონეტო სტანდარტიდან ვერცხლზე გადასვლა – Ehrenkreutz, “The Crisis of Dinar,” 167-82; H. Rabie, *The Financial system of Egypt A.H. 564-741/AD 1169-1341* (Oxford, 1972), 162-84. ირანში აკად. ვ. ბარტოლდის შენიშვნით XI საუკუნეში მოხდა გადასვლა ოქროს სამონეტო სისტემაზე – В.В. Бартольд, “Историко-географический обзор Ирана,” *Сочинения*, т. VII (Москва, 1971), 254. შუა აზიასა და წინა აზიის ქვეყნებში XI-XIII საუკუნეებში ოქროს როლის შესახებ იხ. Е.А. Давидович, “Из области денежного обращения в Средней Азии X-XII вв.,” *НЭ*, т. II (1960), 110-14; Р.А. Гусейнов, “Из истории денежного обращения в Передней Азии в XI-XII вв.,” *НЭ*, т. X (1971), 103-14.

⁹ საქართველოში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები შესწავლილი აქვს თ. აბრამიშვილს სხვადასხვა სტატიასა და მონოგრაფიაში *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები* (თბილისი, 1959).

ღუდული იყო, მაგრამ ძნელია იგივეს დაშვება საგარეო ურთიერთობათა სფეროში. საქართველოს ფართო სავაჭრო ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან¹⁰ ძნელი წარმოსადგენია მუსლიმური დინარის მონაწილეობის გარეშე.

ძლევაძმოსილი ომები (განსაკუთრებით XII საუკუნეში), სამხედრო ნადავლი, ხარკი და ტყვეების გამოსასყიდი ასევე წარმოადგენდნენ ამ ოქროს მონეტის მიღების წყაროს. სამხედრო მარცხის შემთხვევაში იგივე ფაქტორები, რასაც ემატებოდა უცხოეთში ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი გაგზავნილი ფულადი შეწირულობანი, განაპირობებდნენ დინარის უკუდინებას ქვეყნიდან.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გარკვეულ ცნობებს გვანვდიან არაბული წერილობითი წყაროები.

დავით აღმაშებლისა და დემეტრე I-ის დროს დინარი არაერთხელ აქვს მოხსენიებული გადახდის საშუალებად საქართველოში XII ს. არაბ ისტორიკოსს იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის.¹¹ ამავე ავტორის თანახმად, 1154 წ. დემეტრე I-მა ტყვედ იგდო არზან არ-რუმის გამგებელი იზუ ად-დინ სალთუკი, რომელიც ჩრდ. მესოპოტამიისა და სირიის მუსლიმმა გამგებლებმა 100 000 დინარად (აქ და ქვემოთ ხაზგასმა ჩვენია. – გ.ჯ.) გამოისყიდეს. შემდეგ მან, თავის მხრივ, სხვა ტყვეებიც დაიხსნა, რაც დიდი ფული დაუჯდა.¹²

იბნ ალ-ასირის ცნობით, ტყვეების დახსნაზე ზრუნავდა მოსულის ათაბეგის ვეზირი ცნობილი ქველმოქმედი ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანი. ის ყოველწლიურად სირიასა და საქართველოში ყიდულობდა და ათავისუფლებდა 10 000 დინარის ღირებულების ტყვეს.¹³

ბაჰა ად-დინის თანახმად, 1192 წ. ქართველებმა 200 000 დინარი შესთავაზეს სალაჰ ად-დინს (1171-1193) იმ ჯვართა-ჯვარში, რომელიც სულტანმა იერუსალიმში იგდო ხელთ, მაგრამ მან უარი განაცხადა.¹⁴

1210 წ. ხლათში დატყვევებულ ივანე მხარგრძელს თავის გაათავისუფლება სხვა პირობებთან ერთად 100 000 დინარი დაუჯდა¹⁵ და სხვ.

¹⁰ ვ. გაბაშვილი, „საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში“, *ოსუ შრომები*, ტ. 121 (1967), 201-24.

¹¹ გ. წერეთელი, *არაბული ქრესტომათია* (თბილისი, 1949), 68, 71, 72; V. Minorsky, „Caucasica in the History of Mayyāfariqin,“ *BSOAS*, vol. XIII, pt. I (1949), 32, 34.

¹² V. Minorsky, *Studies in Caucasian History* (London, 1953), 87.

¹³ Ibn-el-Athiri, *Chronicon quod perfectissimum inscribitur*, ed. C. J. Tornberg, t. XI (Lugduni Batavorum, 1851), 204.

¹⁴ Beha ad-Din, *The life of Saladin* (London, 1953), 335.

¹⁵ Ibn Wasil, *Mufarrij al-Kutub fi Akhbar Bani Ayyub*, vol. III, ed. by Gamal el-Din el-Shayyal (Cairo, 1960), 201.

წერილობით წყაროებში ყურადღებას იპყრობს ტერმინები: *ნითელი დინარი*, *ნითელი ოქრო*, *ნითელი*.

საქართველოსთან დაკავშირებით ნითელ დინარებს პირველად იხსენიებს ალ-ფარიკი. ის გადმოგვცემს საკუთარი თვალით ნანახს, თუ როგორ შეწირა თბილისის მეჩეთს დემეტრე მეფემ 200 ნითელი დინარი (*დინარ ჰამრა*).¹⁶

ქართული წერილობითი ძეგლებიდან *ნითელი* ფულთან დაკავშირებით პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ („ასი ათასი *ნითელი* შენ ქრთამად შეინიერე“, 743.1).¹⁷ გარდა ამისა, პოემაში ნითელი ოქროს ხარისხსაც განსაზღვრავს („დაუდგეს ტახტი ოქროსი, *ნითლისა* მალრიბულისა“, 1182.2).

1258 წ. მონღოლ-ქართველთა ლაშქრის მიერ ბაღდადის აღებასთან დაკავშირებით ნითელს იხსენიებს ჟამთააღმწერელი (XIV ს.). ქართველებმა ამ დროს ნადავლის სახით დიდძალი *ნითელი ოქრო* იგდეს ხელთ.¹⁸ ეს ფული რომ საქართველოშიც შემოიტანეს, დასტურდება 1260 წ. ძაგან აბულეთის ძის დანერილში, სადაც მოხსენიებულია „სოფელი ანგროინი... ნაყიდი... ბაღდადს ნაშობითა ოქროითა“.¹⁹

ივ. ჯავახიშვილი და ნ. ქოიავა მართებულად აიგივებენ ამ ტერმინს ბაჯალ-ლო ოქროს ფულთან.²⁰ მონითალო ელფერი, მართალია დაჰკრავს სპილენძნარეც ოქროს, მაგრამ სიტყვათა შეთანხმება ნითელი ოქრო მხოლოდ ბაჯალ-ლო ოქროს აღნიშნავდა. ამ მნიშვნელობით გვხვდება ის მრავალ ევროპულ და აღმოსავლურ ენებში.

XI-XIII სს. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სამონეტო ტერმინოლოგიაში ნითელი ოქრო, ნითელი დინარები ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ტერმინით აღინიშნებოდა მაღალხარისხიანი ოქროს მონეტები. მათი გამოყენება ფიქსირდება შუა აზიაში,²¹ ირანში,²² სირიაში,²³ ეგვიპტეში.²⁴ ისინი უპირისპირდ-

¹⁶ წერეთელი, *არაბული ქრესტომათია*, 72.

¹⁷ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტექსტი და ვარიანტები, თბილისი, 1966.

¹⁸ ქც, ტ. II (თბილისი, 1958), 233.

¹⁹ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, *საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.)*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1965), 70.

²⁰ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 14; ქოიავა, „ფულის ტრიალი“, 104.

²¹ Давидович, „Из области денежного обращения,“ 12.

²² Ходжаниязов, „Денежное обращение,“ 12.

²³ E. Ashtor, *Historie des Prix et des Salaries dans l'Orient Médiéval* (Paris, 1969), 239.

²⁴ ალ-მაკრიზი, *ითთ'იაზ ალ-ჰუნაჰა' ბი-ახბარ ალ-ჰატიმინ ალ-ხულაჰა'* (კაირო, 1972), 164; Ehrenkreutz, „The Crisis of Dinar,“ 173.

ებიან დაბალხარისხიან დინარებს, რომელთა მიმოქცევას ასევე ჰქონდა ადგილი და რომელთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა სხვადასხვა ზედსახელი: მაგ., *თეთრი დინარები*²⁵ – ეგვიპტეში ფატიმიანთა ბატონობის დასაწყისში, ანდა *რუქნი*²⁶ ირანში დიდ სელჩუკთა ბატონობის ხანაში.

ქართული წერილობითი წყაროების *წითელი*, *წითელი ოქრო*, ვფიქრობთ, მუსლიმური დინასტიების მაღალხარისხიანი ოქროს მონეტებია. ჟამთააღმწერელის ცნობაში შეიძლება მათი იდენტიფიკაცია აბასელთა დინარებთან.

აბასელთა დინარები იგულისხმება „ისტორიათა და აზმათა შარავანდედთანის“ ერთ ცნობაში. ქართული წყარო მოგვითხრობს, რომ შამქორის ომში მუსლიმთა კოალიციას ბაღდადის ხალიფამ 1 000 „ოქრო ხალიფური“ გაუგზავნა.²⁷

აბასელთა ხალიფებმა ოქროს მონეტის ემისია ერაყში XII ს. 50-იანი წლებიდან განაახლეს. მათი დინარები ვრცელდებოდა მეზობელ ქვეყნებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ირანსა და რუმის სელჩუკთა სახელმწიფოში მათ იცნობდნენ, როგორც *ხალიფურს* (خليفة),²⁸ *ხალიფურ ოქროს* (خليفة التونلر),²⁹ სწორედ იმ ზედსახელით, რაც ქართულ წყაროშიც არის დამოწმებული.

XI-XIII სს. ქართული წყაროები არ იცნობენ ტერმინ დინარს. რიგ შემთხვევაში მას ცვლის *ოქრო* (მაგ. ოქრო ხალიფური...), ანდა ტრადიციული, ძველთაგან დამკვიდრებული *დრაჰმანი*. მაგ., „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში სპარსული ორიგინალის დინარს *დრაჰმანი* შეესატყვისება.³⁰

ამავე დროს, XI-XIII საუკუნეებში დრაჰმანი ბიზანტიურ ნომისმასაც შეესაბამებოდა და როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ის იყო „ზოგადი ტერმინი ოქროს საფასეს ძირითადი ერთეულის აღსანიშნავად“.³¹

²⁵ ალ-მაკრიზი, 164. თეთრი დინარები ალბათ ელექტრუმის დინარებია. მათგან განსხვავებით, ფატიმიანთა დინარები უაღრესად მაღალი სინჯადობით ხასიათდება. საკმაოდ ბევრია ისეთი დინარები, რომელთა სინჯი 98%-100%-ია. A. S. Ehrenkreutz, “Studies in the Monetary History of the Near East in the Middle Ages,” II, *JESHO*, vol. VI, pt. III (1963), 259, 260, 262.

²⁶ Ходжаниязов, “Денежное обращение.” 12. რუქნი ელექტრუმის დინარია. სინჯი სელჩუკთა იმ დინარებისა, რომელთა გაიგივებაც ჩვენ შეგვიძლია წითელი ოქროს (*ზარ-ე სორბ*) მონეტებთან – 90%-95% და უფრო მაღალია. Ehrenkreutz, “Studies,” 262, 263.

²⁷ ქც, ტ. II, 67.

²⁸ Рашид ад-Дин, *Сборник летописей*, т. III, перевод с персидского А. К. Арендса (Москва, 1946), 277; (Москва, 1956), 280, 492.

²⁹ В.А. Гордлевский, “Государство Сельджукидов Малой Азии,” *Избранные сочинения*, т. I (Москва, 1960), 151.

³⁰ *ვისრამიანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარამ და მ. თოდუამ (თბილისი, 1962), 71, 96, 736.

³¹ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 14.

ბიზანტიური ნომისმა საქართველოს სამონეტო განძებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ³² ხელახლა XI საუკუნიდან ჩნდება. მიზეზი ამისა იყო საერთოდ ნომისმას გააქტიურება საშინაო და საგარეო ბაზარზე, რაც თავის მხრივ იმპერიის საშინაო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს – საქალაქო ცხოვრების აღმავლობა-აღორძინებასა³³ და ბიზანტიის აქტიურ საგარეო პოლიტიკას უკავშირდებოდა.

X ს-ის II ნახევარში ფატიმიანებთან და ადგილობრივ ამირებთან ბრძოლაში ბიზანტიამ განამტკიცა თავისი პოზიციები ჩრდ. სირიის ნანილში (ანტიოქია), ხელთ იგდო ჩრდ. მესოპოტამიაში თეოდოსიპოლის რაიონი, სადაც თეოდოსიპოლის თემა შექმნა. ამიერკავკასიაში ბიზანტია უშუალოდ დაემუქრა საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ბასილ II-ის (976-1025) მმართველობის დასასრულს იმპერიამ შეიერთა ვასპურაქანის სამეფო და დავით კურაპალატის სამფლობელოები ტაოში. შეიქმნა ვასპურაქანის და ივერიის თემები. მოგვიანებით, ბიზანტიამ გააუქმა და შეიერთა ანისის სამეფო.

ხელსაყრელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში ბიზანტიური ნომისმა სწრაფად გავრცელდა დაპყრობილ ტერიტორიებზე და მათ გარეთ სავაჭრო ურთიერთობათა შედეგად. ამით აიხსნება ბიზანტიური ოქროს მონეტის ფართო გავრცელება ამიერკავკასიაში XI საუკუნეში. XI ს-ის ბიზანტიური ნომისმას აღმოჩენის მრავალი შემთხვევაა ფიქსირებული საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.³⁴

ბიზანტიური ნომისმას ფართოდ გავრცელების პერიოდში ცვლილებები ხდება მის ნონით სტანდარტსა და სინჯში. ნიკიფორე ფოკას (963-968) დროიდან პირველად ბიზანტიის სამონეტო საქმის ისტორიაში, იჭრება ორი განსხვავებული ნონითი სტანდარტის მქონე მონეტა: სრულწონიანი – *ჰისტამენონ*

³² ბიზანტიური სოლიდი, იგივე ნომისმა, ითვლებოდა მთავარ საერთაშორისო ვალუტად ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში VIII ს-მდე. ვრცელდებოდა ის რუსეთსა და ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოშიც. არაბთა დაპყრობითი ომების შემდეგ ნომისმას პრესტიჟი დაეცა, მისი ემისია შეიკვეცა და მიმოქცევის არეალი შეიზღუდა. ნომისმას ადგილი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში დაიკავა არაბულმა დინარმა და დირჰამმა. ეს უკანასკნელი იყო ძირითადად გაბატონებული VIII-X სს. საქართველოს ფულის მიმოქცევაში.

³³ А.П. Каждан, “Экономическое развитие империи в XI-XII вв.,” *История Византии*, т. III (Москва, 1967), 250.

³⁴ აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 131-34; В.В. Кропоткин, *Клады византийских монет на территории СССР* (Москва, 1962), 41-42, 184.

ნომისმა (4.40 გ)³⁵ და შემსუბუქებული წონის (3.81-4.08 გ.)³⁶ – ტეტარტერონ ნომისმა.³⁷

მიხეილ IV-ის (1034-1041) დროიდან ჰისტამენონს ეძლევა ჩალრმავებული ფორმა და მისი განსხვავება ტეტარტერონისაგან, რომლის ფორმაც ტრადიციულად ბრტყელი დარჩა, ძნელი აღარ არის.³⁸

მიხეილ IV-ის დროიდანვე, XI ს-ის 30-იანი წლებიდან, იწყება ნომისმას სინჯის დაცემა, რაც არნახული მოვლენა იყო ბიზანტიის სამონეტო საქმის ისტორიაში. მომდევნო იმპერატორები თანამიმდევრულად აუარესებდნენ ნომისმას ხარისხს და თეორიულად 24 კარატიდან ჰისტამენონის სინჯი XI ს-ის 70-იან წლებში 8 კარატამდე (33%), ხოლო ტეტარტერონის – 9 კარატამდე (38%) დაეცა.³⁹ ამის შემდეგ უკანასკნელის ემისია შეწყდა კიდევ.⁴⁰

XI ს-ის საქართველოში, სამონეტო აღმოჩენების თანახმად, ძირითადად ტრიალებდა ჰისტამენონ ნომისმა. ტეტარტერონთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა მხოლოდ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055) ერთი ნომისმა.⁴¹ საფიქრებელია, რომ საქართველოს სამონეტო ბაზარზე ტეტარტერონი უაღრესად იშვიათი იყო.⁴² ამიტომ ნომისმას დიფერენციაცია წონითი სტანდარტის მიხედვით საქართველოში შექმნილ წერილობით ძეგლებში არ აისახა.

³⁵ Hendy, *Coinage and Money*, 5.

³⁶ C. Morrison, *Catalogue des monnaies Byzantines de la Bibliothèque Nationale*, t. II (Paris, 1970), 616.

³⁷ ნომისმას დაყოფა ტეტარტერონად და ჰისტამენონად სამეცნიერო ლიტერატურაში, შედარებით ახალი ამბავია. ბიზანტიურ დოკუმენტებში მოხსენიებული ტეტარტერონი შემსუბუქებული წონის ნომისმას პირველად გაუიგივა R. S. Lopez-მა. *La Crise du Byzant au Xe siècle et la date du Livre du Préfet, Mélanges Henri Grégoire*, III, *Annuaire de l'Institut de Philologie et d'Historie Orientales et Slaves*, X (1950), 403-18; შდრ. Grierson, "From Solidus to Hyperperon," 123-24. ნომისმას დიფერენციაცია წონითი სტანდარტის მიხედვით, ამ სახელწოდებების შესაბამისად, ასახულია მ. ჰენდის, ს. მორისონის და სხვ. თანამედროვე ნაშრომებში ბიზანტიური ნუმიზმატიკის შესახებ.

³⁸ Grierson, "From Solidus to Hyperperon," 123; Hendy, *Coinage and Money*, 6.

³⁹ ნომისმას სინჯის დაცემის პროცესი XI საუკუნეში დანვრილებით შეისწავლა ფ. გრირონმა. Ph. Grierson, "The Debasement of Byzant in the Eleventh Century," *BZ*, Bd. 47, Heft 2 (1954), 379-93; მისივე, "Notes on the Fineness of the Byzantine Solidus," *BZ*, Bd. 54, Heft 1 (1961), 91-97.

⁴⁰ ტეტარტერონის, როგორც სპილენძის მონეტის, ემისია განახლდა XII საუკუნეში.

⁴¹ აღმოჩენილია ავჭალაში 1956 წ. იხ. აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 98, № 380, 132, № 154.

⁴² ვარაუდობენ, რომ ტეტარტერონის ემისია უკავშირდებოდა ბიზანტიის ტერიტორიულ მონაპოვრებს სირიაში და გამიზნული იყო მისი მოსახლეობისათვის, რომელიც ადრე იყენებდა ანალოგიური წონითი სტანდარტის მქონე ტულუნთანა დინარებს. A. S. Ehrenkruetz, "Byzantine Tetrartera and Islamic Dinar," *JESHO*, vol. III, pt. II (1964), 183-90.

მაგრამ ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში ჰისტამენონი და ტეტარტერონი ფიქსირებულია სტამენონისა და ტარტარონის ფორმით.⁴³

სინჯადობის თვალსაზრისით XI ს-ის საქართველოში ტრიალებდა სრულიად სხვადასხვა ხარისხის ნომისმები. გვხვდება კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) ნომისმები, რომელთა ხარისხი, საერთოდ, ფ. გრირსონის თანახმად, მაღალია – 22-23 1/2 კარატი⁴⁴ და კონსტანტინე X-ის (1059-1067), რომანოზ IV-ისა (1067-1071) და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) ოქროს მონეტები,⁴⁵ რომელთა ხარისხი დაბალია.⁴⁶

სხვადასხვა ხარისხის ნომისმების ემისიამ (XI ს-ში) და მიმოქცევამ იმპერიაში და მის ფარგლებს გარეთ განაპირობა ნომისმების მთელი რიგი ზედსახელების გაჩენა. ეს ზედსახელები მონეტის მომჭრელ რომელიმე იმპერატორს, ანდა მონეტის გარეგნულ სახეს უკავშირდებიან და სხვადასხვა ღირებულების ნომისმებს აღნიშნავენ. XI ს-ის ბიზანტიურ დოკუმენტებში ხშირად არის მითითებული, თუ რომელი ნომისმებით წარმოებს ფულადი თანხების გადახდა.⁴⁷

ქართულ წერილობით წყაროებში დამონმებულია ბევრი ასეთი ზედსახელი: კოსტანტინატი, მიხაილატი, დუკატი, რომანატი, ექუსთავი, დუკატ-მიხაილატი, ბოტინატი და სხვ. მათი ნაწილი გვხვდება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ (ათონის ივერიის და პეტრიწონის მონასტრებში) შექმნილ წერილობით ძეგლებში და საინტერესოა მხოლოდ ბიზანტიური ნუმიზმატიკისათვის. ამ თვალსაზრისით შეისწავლა სწორედ ბიზანტიური ოქროს საფასეს ტერმინები ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ბლეიკმა.⁴⁸ ჩვენ ამჯერად შევეხებით რამდენიმე მათგანს, რომლებიც ქართულ წყაროებში დამონმებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მთიან რაიონებშიც კი) გადახდის საშუალებად და ღირებულების საზომად. ესენია: კოსტანტინატი, დუკატი და ბოტინატი.

ბოტინატი (ბოტანატი, პოტინატი, ვოტანიატი) ათონის ივერიის მონასტრის აღაპებს გარდა გვხვდება დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძში, 1204-1234 წწ. ვაჰანის ქუაბთა განგებაში⁴⁹ და სხვ.

⁴³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თფილისი, 1901, 22, № 30, 226, № 43.

⁴⁴ Grierson, "The Debasement," 392.

⁴⁵ აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 131-34.

⁴⁶ Grierson, "The Debasement," 392-93.

⁴⁷ А.П. Каждан, "Из экономической жизни Византии XI-XII вв. Натуральное и денежное хозяйство," *Византийские очерки* (Москва, 1971), 195.

⁴⁸ R. Blake, "Some Byzantine Accounting Practices Illustrated from Georgian Sources," *Harvard Studies in Classical Philology*, 51 (1940), 11-33.

⁴⁹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, 222, № 30, 265, № 159. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 20; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო-

მკვლევართა მართებული განსაზღვრით, ბოტინატი ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) ნომისმა.⁵⁰ საერთოდ, ამ იმპერატორის ნომისმების სინჯი 8 კარატია (33%-34%).⁵¹ მათ ელექტრუმის კვალიფიკაციასაც აძლევენ.⁵² საქართველოს სამონეტო განძებში ყველაზე ხშირად დაბალხარისხიანი ბოტინატები გვხვდება.

დუკატი (დოკატი, დრაჰკანი დუკატი) დამონმებულია XI ს. მიწურულის ნიკორწმინდის დანერილში, დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძში, ვაჰანის ქუაბთა განგებაში, 1245-1250 წწ. გრიგოლ სურამელის დანერილში⁵³ და სხვ.

ივ. ჯავახიშვილისა და თ. ლომოურის აზრით დუკატი მიხეილ VII დუკას (1071-1078) ოქროს მონეტაა.⁵⁴ ს. კაკაბაძე ამ ზედსახელს კონსტანტინე X დუკასა (1059-1067) და მიხეილ VII დუკას უკავშირებდა.⁵⁵ უფრო მართებული უნდა იყოს რ. ბლეიკი, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა კონსტანტინე X დუკას,⁵⁶ რადგანაც მიხეილ VII დუკას ნომისმები დუკატ-მიხაილატად იხსენიებიან.

რ. ბლეიკს დუკატი სრულწონიან და მაღალხარისხიან ოქროს მონეტად მიაჩნდა.⁵⁷ მაგრამ მის დროს ნომისმას სინჯი ჯერ კიდევ არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი. ფ. გრინსონის თანახმად, კონსტანტინე X დუკას ნომისმების სინჯი საშუალოდ 18 კარატია (75%).⁵⁸

საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ (თბილისი, 1970), 140.

⁵⁰ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 16; ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 296; Blake, „Some Byzantine Accounting Practices,“ 26.

⁵¹ Grierson, „The Debasement,“ 386, 393 (№ 81, 82, 84).

⁵² აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 108-9. ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში (რ. ფასმერი, ე. პახომოვი, ვ. კროპოტკინი) საქართველოში აღმოჩენილი ნიკიფორე III-ის ნომისმები ვერცხლის მონეტებად იხსენიება (იხ. აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 134). ბოტინატს ვერცხლის ფულად მიიჩნევდა ს. კაკაბაძეც („საფასის ისტორიისათვის“, 134). შესაძლებელია, რომ ის გამოდიოდა იმ სასისხლო სიგელებიდან, რომლებიც იხსენიებენ „ბოტინატურ თეთრს“ (ს. კაკაბაძე, „სასისხლო სიგელების შესახებ“, *საისტორიო მოამბე*, II (1924), 64.

⁵³ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, 20, 43, ტ. III, 33-34, 140-41; შდრ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, 253, № 141, 258, № 163.

⁵⁴ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 16; ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 296.

⁵⁵ კაკაბაძე, „საფასის ისტორიისათვის“, 5.

⁵⁶ Blake, „Some Byzantine Accounting Practices,“ 25-26, n. 7.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ Grierson, „The Debasement,“ 393. საქართველოში კონსტანტინე X-ის ნომისმების აღმოჩენის შესახებ იხ. აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 101-3, № 408-428.

კოსტანტინატი (კოსტანატი, კუსტანატი, დრაჰკანი კოსტანტინატი) დამონმებულია ნიკორწმინდის დაწერილში, დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წწ. ანდერძებში,⁵⁹ ფავნელთა დაწერილში, რომელიც უმართებულოდ არის დათარიღებული IX საუკუნით⁶⁰ და სხვ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კოსტანტინატი დაკავშირებულია კონსტანტინე X დუკას სახელთან.⁶¹ მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ იმპერატორის ნომისმების ზედსახელი უნდა იყოს დუკატი. კოსტანტინატი უფრო კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055) ნომისმებს გულისხმობს.⁶² ამ იმპერატორის ზეობის წლებში იჭრებოდა 4 ტიპის ჰისტამენონ ნომისმა,⁶³ რომელთაც განსხვავებული სინჯადობა ახასიათებდათ. ყველაზე გავრცელებული ტიპის სინჯი 20-22 1/2 კარატია (83%-94.5%).⁶⁴

დაბალხარისხიანი ნომისმების სისტემური ემისია ბიზანტიაში XI ს-ის 80-90-იან წლებში შეწყდა. მაგრამ ამ მონეტების მიმოქცევა როგორც იმპერიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა. ქართულ წყაროებში ეს მონეტები, როგორც ვნახეთ დამონმებულია XII და XIII საუკუნეებშიც.

ამავე საუკუნეებში ქართულ წყაროებში გვხვდება ახალი სამონეტო ტერმინიც – პერპერა (დრაჰკანი პერპერა, პერპერატი, პელპელი). ეს არის ბიზანტიური ოქროს მონეტა ჰიპერპერონი, ჩალრმავებული ფორმისა, რომლის მოჭრაც უკავშირდება ალექსი I კომნენის (1081-1118) სამონეტო რეფორმას დაახლოებით 1092 წელს.

ჰიპერპერონი მკვლევართა მიერ განმარტებულია, როგორც $\sigma\pi\epsilon\rho\pi\epsilon\rho\alpha$, რაც უაღრესად გავარვარებულს ნიშნავს და განმენდილ ოქროს (ლათ. *aurum coctum*) შეესაბამება.⁶⁵ მისი სინჯი – 20-21 კარატი, მართალია, უფრო დაბალი იყო, ვიდრე კლასიკური სოლიდისა (24 კარატი), მაგრამ საკმაოდ მაღალი და წმინდა – ალექსი I კომნენის უშუალო წინამორბედების ნომისმებთან შედარებით.⁶⁶

⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 13, 19, ტ. III, 31.

⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 3. დათარიღების უსაფუძვლობას ვეხებით ქვემოთ, შენ. 71.

⁶¹ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 16; ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 296.

⁶² ეს შეხედულება გავრცელებულია ბიზანტიური ნუმისმატიკის შესახებ არსებულ უცხოურ გამოკვლევებშიც. იხ. Morrison, *Catalogue des monnaies*, 616.

⁶³ *Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and the Whittemore Collection*, vol. II, part 2, ed. by Ph. Grierson (Washington, 1973), 734.

⁶⁴ Grierson, „The Debasement,” 384, 392-93. ძალზე იშვიათია კონსტანტინე X-ის ნომისმები (IV ტიპი), რომელთა რევერსზე ვარსკვლავებია გამოსახული და რომელთაც ამის გამო სტელატი ეწოდებოდა. მათი სინჯადობა 18-19 კარატია. იხ. Grierson, „The Debasement,” 384.

⁶⁵ Grierson, „From Solidus to Hyperperon,” 124; Henny, *Coinage and Money*, 34.

⁶⁶ Grierson, „From Solidus to Hyperperon,” 124. დაწერილებით ჰიპერპერონის სინჯის შესახებ იხ. Henny, *Coinage and Money*, 10-12.

ფ. გრიროსონის თანახმად, ჰიპერპერონი არის ბიზანტიური ოქროს მონეტის ერთადერთი სახელწოდება – ნომისმას ნაცვლად – XII-XIII და XIV ს. I ნახევარში.⁶⁷

ჰიპერპერონი ორიგინალურ ბიზანტიურ წყაროებში სისტემატურად 1093 წლიდან გვხვდება.⁶⁸ მართალია, ტერმინი დამონმებულია 1017, 1018/19 და 1081 წწ. რიგ დოკუმენტებშიც, მაგრამ ისინი გვიანდელ ნუსხებში არიან შემონახულნი. მ. ჰენდის კატეგორიული განცხადებით, არ არსებობს არავითარი დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ამ ტერმინის შემოღება წინ უსწრებდა ალექსი I კომნენის მმართველობას და კერძოდ კი, რეფორმისეული ოქროს მონეტის გამოშვებას.⁶⁹

ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება კორექტივი შევიტანოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებაში,⁷⁰ რომ პერპერა საქართველოში X ს-დან ვრცელდება. ეს მხოლოდ XI ს. 80-90-იანი წლების შემდეგ არის მოსალოდნელი.⁷¹

სამონეტო განძებში XII ს. პერპერები შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოში. ესენია კერძოდ გურჯაანში აღმოჩენილი⁷² ალექსი I-სა და იონე II კომნენის (1118-1143) ოქროს მონეტები.

წერილობითი ძეგლებიდან ეს ტერმინი დამონმებულია ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში,⁷³ დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძში, „ვეფხისტყაოსანში“⁷⁴ და სხვ.

⁶⁷ Grierson, “From Solidus to Hyperperon,” 124.

⁶⁸ Hendy, *Coinage and Money*, 34.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 16; ქოიავა, „ფულის ტრიალი“, 104. მართალია, თ. ლომოურმა აღნიშნა („ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 296), რომ პერპერა იხსენიება მხოლოდ XI-XIII სს-ის ქართულ წყაროებში, მაგრამ ეს მითითება შემდეგ არ იქნა გათვალისწინებული. იხ. დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969), 173; Д. Капанадзе, *Грузинская нумизматика* (Москва, 1955), 140.

⁷¹ ამის გამო შეუძლებელია IX ს-ით დავათარილოთ შიო-მღვიმისადმი ფავნელთა დაწერილი, სადაც მოხსენიებულია *პელპელი* (პერპერა). ეს საბუთი კი ითვლება „ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ წერილობით საბუთად, რომელშიც აისახა ვალდებულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები“ (*ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, 589).

⁷² აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 135; Т.Я. Абрамишвили, “Находка византийских золотых монет в Гурджаани,” *ВВ*, т. XIII (1958), 282-84.

⁷³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, 219 № 14, 221 № 22, 223 № 32, 224 № 33, 225 № 39, 227 № 45, 231 № 57 და სხვ. არც ერთი მათგანი არ შედის იმ 21 აღაპის რიცხვში, რომლებიც ჩაწერილია კრებულის პირველი რედაქტორის მიქელ დაღალისონელის ხელით 1074 წ. (ნ. ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის“ რედაქცია“, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. IV (თბილისი, 1967), 201-2). საერთოდ, ხელნაწერის დათარიღება 1074 წლით პირობითია. მან რამდენიმე რედაქცია განიცადა, მათ შორის XI ს. 80-იანი წლების ბოლოს და XII ს. 40-იან წლებში. აღაპების უმრავლესობა ჩაწერილია სხვადასხვა რედაქტორთა მიერ. გარდა ამისა, ხელნაწერში არის უფრო გვიანდელი ხანის ჩანამატებიც. დაწვრილებით ხელნაწერის რედაქციებისა და აღაპთა კუთვნილების შესახებ იხ. ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის“ რედაქცია“, 196-216.

⁷⁴ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, 13; შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, 1436.4.

უცხოური წერილობითი წყაროების თანახმად პერპერა ფართოდ იყო გავრცელებული XIII ს. ამიერკავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

ჯუვეინი ასახელებს პერპერას (დინარ ბარბარი) დიდ თანხებს, რომლებითაც აზერბაიჯანის გამგებელი უზბეგი 1213/14 წ. მასთან სტუმრად მყოფ ისმაილიტა წინამძღოლის ჯალალ ად-დინის მხლებლებს ასაჩუქრებდა.⁷⁵

ნესევი ჯალალ-ად-დინის ლაშქრობის აღწერის დროს რამდენჯერმე იხსენიებს პერპერას გადახდის საშუალებად შირვანსა⁷⁶ და სომხეთში – ხაჩენისა⁷⁷ და სურმარის⁷⁸ გამგებლების მიერ.

პლანო კარპინის ცნობით კი ქართველები 1246 წლისათვის მონღოლებს 40-50 000 პერპერას უხდიდნენ ხარკად.⁷⁹

აღსანიშნავია, რომ 1204 წლიდან, როდესაც კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა აიღეს და ბიზანტიის ტერიტორიაზე ლათინთა, ტრაპიზონის და ნიკეის იმპერიები ჩამოყალიბდა, ოქროს მონეტის ემისია წარმოებდა მხოლოდ ნიკეაში. სხვა ერთეულებში იჭრებოდა მხოლოდ ვერცხლისა და ბილონის მონეტები.⁸⁰ ნიკეის იმპერატორთა პერპერები საქართველოში აღმოჩენილი არ არის. მაგრამ ის დიდი ფულადი თანხები, რომელთა გადახდა დამონმებულია წყაროებში XIII ს-ის I ნახევრისათვის, შეუძლებელია მხოლოდ XII ს-ის მარაგის საფუძველზე მომხდარიყო. XIII ს-ის I ნახევარში მისი შევსების წყარო კი იყო მხოლოდ ნიკეის იმპერია.

1261 წლიდან, ბიზანტიის იმპერიის მთლიანობის მეტ-ნაკლებად აღდგენის შემდეგ ჰიპერპერონის ემისია ბიზანტიაში კვლავ განახლდა. ბიზანტიური ოქროს მონეტის გავრცელება საქართველოში არც ამის შემდეგ წყდება. აღმ. საქართველოში აღმოჩენილია ანდრონიკე II-ის (1282-1328) ერთი ოქროს მონეტა⁸¹ – პერპერა.

საქართველოს სამონეტო ბაზარზე პერპერას ფართოდ გავრცელებამ შეიყვანა ალბათ შეცდომაში ზაქარია ალ-კაზვინი. 1275 წ. შედგენილ „კოსმოგრაფიაში“ მან პერპერა „აბხაზთა ქვეყნის ფულად“ მიიჩნია, რომელსაც „ამ

⁷⁵ Juvaini, *The History of the World Conqueror*, tr. by J. A. Boyle, vol. II (Manchester, 1958), 701.

⁷⁶ Ан-Насави, *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны*, пер. с арабского, комментарии, примечания и указатели З.М. Буниятова (Баку, 1973), 222.

⁷⁷ იქვე, 211.

⁷⁸ იქვე, 252.

⁷⁹ Плано Карпини, *История Монголов*, редакция, вступительная статья и примечания Н. П. Шастиной (Москва, 1957), 57.

⁸⁰ Hendy, *Coinage and Money*, 320.

⁸¹ აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 135.

ქვეყნის მეფეები ქრიდნენ“. პერპერას მისეული აღწერა „(პერპერა) არის კარგი დინარი, ჩამოსხმული, ჩალრმავებული... თითოეული დინარი ერთი მისკალი კარგი ოქროა“⁸² შეესაბამება ბიზანტიური ჰიპერპერონის გარეგნულ სახესა და მის მეტროლოგიურ შინაარსს.⁸³

ამრიგად საქართველოში XI-XIII საუკუნეში გავრცელებული ოქროს მონეტის ტერმინოლოგია მრავალფეროვანია.

ტერმინების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამონეტო ბაზარზე ტრიალებდა სხვადასხვა ხარისხისა და ღირებულების ოქროს მონეტები (*ნითელი ოქრო, კოსტანტინატი, დუკატი, ბოტინატი, პერპერა...*).

სავარაუდოა, რომ დიდი თანხების დასაფარავად ოქროს ზოდებიც – „უჭედელი ოქროც“⁸⁴ გამოიყენებოდა. საგულისხმოა, რომ სწორედ საკვლევ პერიოდში „ოქრო“ გადაიქცა ფულის აღმნიშვნელ საზოგადო ტერმინად, რასაც თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა.⁸⁵ ეს ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ოქროს მონეტა, არსებული მასალით, არ იჭრებოდა, მონმოზს, რომ ოქროს როლი ან ხანებში მიმოქცევაში არ იყო უმნიშვნელო.

⁸² Zakarija e l-Kazwini's *Kosmographie*, zweiter theil, hrsg. von F. Wüstenfeld (Göttingen, 1848), 348.

⁸³ ზაქარია ალ-კაზვინის პერპერა ბიზანტიურ ოქროს მონეტას ჯერ კიდევ XIX ს-ში გაუიგივა ვ. ლანგლუამ. M. L. Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie* (Paris, 1860), 135. შდრ. А. Комаров, “Чеканилась ли в Грузии золотая монета?” *Известия Кавказского общества истории и археологии*, т. I, в. II (1884), 6.

⁸⁴ ამ ტერმინის შესახებ იხ. ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 295. დამატებით იხ. გ. ჯაფარიძე, „მალრიბული ოქრო XII-XIII სს. ქართულ ნყაროებში“, *მაცნე, ეკონომიკის, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია*, 4 (1975), 146-51.

⁸⁵ ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, 11.

თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ

|

1974 წელს თამაზ ნატროშვილთან ერთად თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად 1210 წელი (ამ წლის I ნახევარი) განვსაზღვრეთ.¹ ერთი წლის შემდეგ, სომხური ლაპიდარული წარწერების საფუძველზე, იმავე აზრამდე მივიდა შანშე დარჩიაშვილი.² ამის შემდეგ ქართველი ისტორიკოსები სამ ბანაკად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა მიიღო ეს თარიღი, მეორე ერთგული დარჩა ტრადიციული 1212-13 წლისა, მესამე კი – მიიჩნევს, რომ თამარი აღესრულა 1207 წელს.³ დიდი ხნის მანძილზე ამ საკითხზე საგანგებო ნაშრომი არ დაწერილა. ვითარება შეიცვალა 2004-2012 წლებში. ჯერ გვანცა აბდალაძემ ორ სტატიაში⁴ და შემდეგ მიხეილ ბახტაძემ⁵ დაასკვნეს, რომ თამარი გარდაიცვალა 1210 წელს. შანშე დარჩიაშვილმა 2010 წელს ხელახლა დაადასტურა თავისი თვალსაზრისი ამ თარიღის შესახებ.⁶ მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასევე უკანასკნელ ხანებში, ციალა ღვაბერიძემ მხარი დაუჭირა 1207 წელს, ხოლო თემურ კენკე-ბაშვილი დარწმუნებულია, რომ თამარი აღესრულა 1215 წელს.

გ. აბდალაძისა და თ. ბახტაძის ნაშრომების გარჩევას აქ არ შევეუდგები. დავიწყებ თ. კენკებაშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღით – 1215 წლით.

პირველად დაიბეჭდა – *საისტორიო კრებული*, 2 (2012), 348-63.

¹ თამაზ ნატროშვილი, გოჩა ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, *მაცნე (ელს)*, 1 (1974), 151-65; 2 (1974), 168-89.

² შანშე დარჩიაშვილი, „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის“, *მნათობი*, 2 (1975), 151-58.

³ გოჩა ჯაფარიძე, „ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი“, *თსუ შრომები*, ტ. 205 (1979), 125-26. დამატებით, იხ. მიხეილ ბახტაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, *თსუსიი შრომები*, II (2011), 215-27.

⁴ გვანცა აბდალაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე“, *თსუ სფსკ*, V (2004), 7-15; მისივე, „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან“, *თსუ შრომები*, ტ. 359 (2005), 106-7.

⁵ ბახტაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, 215-27.

⁶ შანშე დარჩიაშვილი, „თამარ მეფის, დავით სოსლანის გარდაცვალებისა და ლაშა-გიორგის გამეფების საკითხისათვის“, კრ. *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან* (თბილისი, 2010), 55-69.

||

თ. კენკებაშვილმა თავისი თვალსაზრისი 2010 წლიდან დღემდე სამჯერ მანც გააცნო საზოგადოებას.⁷ თუ წინა წლებში ახალგაზრდა მკვლევრის ასეთ აქტივობას სერიოზულად არ ვიღებდი, მისმა უკანასკნელმა პუბლიკაციამ ამ თემაზე – სტატიების მოზრდილ კრებულში *ქრონოლოგიური პარადიგმები*, აზრი შემაცვლევინა. კენკებაშვილი, ჩანს, თვლის, რომ ასეთი სიხშირით ბეჭდვა სხვა ისტორიკოსებზე გავლენას მოახდენს და დაარწმუნებს მათ საკუთარ სიმართლეში.

ცნობილი ქართველი არქეოლოგი, ბატონი იულონ გაგოშიძე, რომელიც აღნიშნული წიგნის ერთ-ერთი რედაქტორია (პროფ. სერგო ვარდოსანიძესთან ერთად) და მკითხველს წარუდგინა თ. კენკებაშვილი, წერს, რომ არ მოითხოვს მკითხველისგან შემწყნარებლობას ავტორის ასაკის გამო. ამას ნამდვილად არ ვაპირებ. როდესაც ნაშრომი იბეჭდება, თანაც რამდენჯერმე და ასეთი სიხშირით, ასაკზე საუბარი ზედმეტია. ავტორი უნდა აცნობიერებდეს თავის პასუხისმგებლობას სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ისტორიკოსობა ძნელი და მძიმე შრომაა, რომელიც მოითხოვს ფართო წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზას. ასეთი ბაზა ნებისმიერმა მკვლევარმა თავად უნდა შეიქმნას ხანგრძლივი, დაუღალავი შრომით და ამასთან, უცხო ენების ცოდნით, რაც მას ვურჩიე კიდევ ერთ-ერთი შეხვედრის დროს. სამწუხაროდ, კენკებაშვილს ასეთი ბაზა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ჯერ-ჯერობით არ გააჩნია.

თ. კენკებაშვილის სტატია თამარის გარდაცვალების შესახებ („სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის საკითხისათვის“) პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ნაწილში (გვ. 17-41) ავტორი უარყოფს იმის შესაძლებლობა, რომ თამარი გარდაიცვალა 1207 ანდა 1210 წლებში. აქ ის განიხილავს ქართულ და უცხოურ წყაროებს, რომლებიც დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის⁸ და — ნუმისმატიკურ

⁷ თემურ კენკებაშვილი, *გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა* (თბილისი, 2010), 4-12; მისივე, „სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?“ *ქრონოლოგიური პარადიგმები* (თბილისი, 2011), 5-42; მისივე, „სად და როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?“, *საისტორიო პარადიგმები*, ტ. I (თბილისი, 2012), 17-42.

⁸ კენკებაშვილი იმონმებს ვახუშტისაც, რომელიც თამარის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1201 წ. და იქვე მსჯელობს იმის თაობაზე, რომ „საერთოდ, ვახუშტის „ისტორიაში“ XV საუკუნეზე ადრინდელი პერიოდის ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების თარიღები გადაწეულია წინ დაახლოებით ათი წლით“ (გვ. 38). მკვლევარი უკრიტიკოდ მისდევს ი. ლოლაშვილს („თამარის აღსრულების თარიღისათვის“, 32-33) და არ იცნობს ამ საკითხ-

ფაქტებსაც, ც. ღვაბერიძის მიხედვით. სტატიის მეორე ნაწილში ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ თამარი გარდაიცვალა 1210 წლის შემდეგ (გვ. 41-52). მისი მთავარი არგუმენტია ის, რომ თამარი „1212 წლის შემდეგაც ცოცხალია, რადგანაც 1212 წელს გარდაიცვალა ზაქარია სპასალარი და ამის შემდეგაც თამარი კვლავაც ცოცხლად ჩანს“ (გვ. 41).

სომხური ნარატიული წყაროების მიხედვით, ზაქარია გარდაიცვალა სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, ვარდანისა და სტეფანოს ორბელიანის თანახმად – 1212 წელს.⁹ ამ დროს სომხური ეპიგრაფიკული წარწერებით, თამარი ცოცხალი აღარ არის.¹⁰ ეს ყველაზე კარგად ჩანს 1210 წლის ჰალბატის წარწერიდან, რომელიც „ამოიკვეთა ღმრთისა [მიერ] მეფეთა მეფის გიორგის, დიდი მეფის თამარის ძის კურთხევის წელს“. წარწერა მრავალგზის არის გამოცემული და მისი დათარიღება ეჭვს არ იწვევს. ეს თარიღი, როგორც აღნიშნავს შ. დარჩიაშვილი, კარგად იკითხება იმ პალეოგრაფიულ პირში, რომელიც კ. ლაფადარიანის მიერ გამოცემულ ამ წარწერას აქვს დართული.¹¹

როცა ზაქარია გარდაიცვალა, მგლოვიარეთა შორის კირაკოზ განძაკელი თამარს არ ასახელებს.¹² ი. ლოლაშვილმა ამ ფაქტს თავისებური ახსნა მოუძებნა: „რაკი კირაკოზ განძაკელი თამარს ლაშა-გიორგისა და ივანე ათაბაგის გვერდით არ ახსენებს, ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ ისტორიკოსმა არ იცის, ზაქარიას გარდაცვალებამ თამარზე რა რეაგირება მოახდინა და ამიტომაც მასზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს“.¹³

ლოლაშვილის თვალსაზრისი, რომელსაც უკრიტიკოდ იმეორებს კენკე-ბაშვილი (გვ. 47), არადამაჯერებელია. უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ

ში სხვა თვალსაზრისებს. თამარის ეპოქისთვის რ. კიკნაძე თვლიდა, რომ ვახუშტის ქრონოლოგიაში იყო 6-წლიანი შეცდომა, ხოლო მე დასაბუთებული მაქვს, რომ არც 6 და არც 10-წლიანი კორექტივი არ იძლევა რეალურ თარიღს. რ. კიკნაძე, *ფარსადან გორგჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“* (თბილისი, 1975), 129-32; ჯაფარიძე, *„ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი“*, 127.

⁹ *Всеобщая история Вардана Великого*, перевод Н.О. Эмина (Москва, 1861), 172; ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ (თბილისი, 2004), 158; *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 45.

¹⁰ დარჩიაშვილი, *ძიებანი*, 56, 150-51.

¹¹ იქვე, 56.

¹² Киракоз Гандзакеци, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян (Москва, 1976), 129.

¹³ ივანე ლოლაშვილი, „თამარის აღსრულების თარიღისათვის“, *მრავალკარედი* (თბილისი, 1984), 111.

მეფეთ მეფე თამარს არ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება, წუხილი –საქართველოს ამირსპასალარის გარდაცვალების შესახებ და ის უცნობი დარჩენილიყო ქვეშევრდომთათვის. კირაკოს განძაკეცი დაიბადა 1200-1202 წლებში, წერდა ზაქარიას გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ და გარდაიცვალა 1271 წ.¹⁴ მას ჰქონდა საკმაო დრო, რომ მიეღო სათანადო ინფორმაცია თამარის ეპოქაში მომხდარი ამბების შესახებ და თუ თამარის რეაგირებაზე სომეხი მემატინე არაფერს წერს, მხოლოდ იმიტომ, რომ ზაქარია მხარგრძელის აღსრულების ჟამს ის ცოცხალი აღარ იყო.

„მეფეთ მეფის“ გიორგის მეფედ კურთხევა 1210 წლის ჰალბატის წარწერაში ნიშნავს **ცვლილებას** საქართველოს სამეფო ტახტზე. ეს კი შეიძლება მომხდარიყო თამარის გარდაცვალების შემთხვევაში. ლოლაშვილის სკეპტიციზმი ამ დათარიღებისადმი არ არის დასაბუთებული. ხოლო კენკეზაშვილი კი მას საერთოდ გვერდს უვლის.

კენკეზაშვილი უპირატესობას ანიჭებს თამარის პირველ ისტორიკოსს, რომელიც თარიღებს ჩვეულებრივ არ ასახელებს და მოვლენებსაც ყოველთვის საჭირო თანამიმდევრობით არ იძლევა.¹⁵ ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ის მოგვითხრობს მთიულთა აჯანყების შესახებ. კენკეზაშვილი ვარაუდობს, რომ აჯანყება (რომლის თარიღი ქართულ წყაროში არ სახელდება) მოხდა 1213 ან 1214 წლის ივნის-ივლის-აგვისტოს თვეებში (გვ. 47-48), როცა თამარი, მისი აზრით, ჯერ კიდევ ცოცხალია და საბოლოოდ თვლის, რომ მეფე აღესრულა 1215 წ. 27 იანვარს (გვ. 48).

კენკეზაშვილი, თავისი თვალსაზრისის ჩამოყალიბების დროს, ეყრდნობა უკვე კარგად ცნობილ წყაროებს, რომლებიც გარჩეულია ქართველი მკვლევრების მიერ. ამასთან, ის არ ითვალისწინებს შედარებით ახალ, საკვლევი საკითხისთვის მნიშვნელოვან პუბლიკაციას, კერძოდ, სომეხი ავტორის სმბატ სპარაპეტის (1208-1276) „მატიანეს“. არ არის აუცილებელი, ვიცოდეთ სომხური, მაგრამ მისი გაცნობა შეიძლება რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ თხზულების რუსული თარგმანი 1975 წ. გამოიცა ერევანში¹⁶ და ის დევს ინ-

¹⁴ კირაკოს განძაკეცის ბიოგრაფიული მონაცემები იხ. ლ. ხანლარიანის შესავალ წერილში ამ მემატინის შესახებ: Киракос Гандзакеци, *История Армении*, 24-25.

¹⁵ კიკნაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“*, 108; ჯაფარიძე, „ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი“, 107-8. იქვე (შენ. 13 და 14) დასახელებულია სხვა ლიტერატურაც ამ საკითხზე.

¹⁶ Смбат Спарпет, *Летопись*, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна (Ереван, 1974).

ტერნეტშიც, აღმოსავლური ლიტერატურის საიტზე.¹⁷ „მატიანის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული აშშ-ში მცხოვრები სომეხი მკვლევრის რობერტ ბედროსიანის მიერ, განთავსებულია მის ვებგვერდზე.¹⁸

სმბატ სპარაპეტი, სომეხი სახელმწიფო მოღვაწე, კილიკიის სომხეთის მეფის ძმა, დიპლომატი, მხედართმთავარი და ისტორიკოსი, თავის „მატიანეს“ იწყებს 951 წლიდან (სომეხი მეფის გაგიკ ბაგრატიუნის გამეფების დროიდან) და მოჰყავს 1272 წლამდე. მემატიანე იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების: მათეოს ურჰაეცის, სამუელ ანეცის, მიხეილ სირიელისა და სხვ. თხზულებებს, საარქივო მასალებს, თანამედროვეთა ინფორმაციას და ასახელებდა იმ მოვლენებს, რომელთა თვითმხილველიც იყო. მას ბევრი ცნობა აქვს XIII ს-ის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ, აგვინერს მანასკერტის ბრძოლას 1071 წ., საკმაოდ დანვრილებით ეხება სომხებისა და ჯვაროსნების, სომხებისა და მონღოლების ურთიერთობებს და სხვ. ორიგინალურად ითვლება მისი თხზულების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1163 წლიდან – 1271 წლის ჩათვლით.¹⁹

სმბატ სპარაპეტის სახელი უცხო არ არის ქართული ისტორიოგრაფიისთვის.²⁰ ამას განაპირობებს ის, რომ სომეხ მემატიანეს აქვს ცნობები საქართველოს შესახებაც.²¹ სწორედ სმბატ სპარაპეტის თხზულებაში ერთდროულად, ორიოდე წინადადებაში, დასახელებულია, როგორც ზაქარია მხარგრძელის, ისე თამარის გარდაცვალების თარიღები, რაც უცნობი დარჩა, როგორც კენკებაშვილისთვის, ისე ამ საკითხის სხვა ქართველ მკვლევართათვის, რომლებისთვისაც მიუღებელია 1210 წ.

¹⁷ Смбат Спарает, *Летопись*, Восточная литература, Средневековые исторические источники Востока и Запада (<http://www.vostlit.info/haupt-Dateien/index-Dateien/I.phtml>).

¹⁸ Smbat Sparapet's Chronicle (<http://rbedrosian.com/css15.htm>). თხზულების ინგლისურ თარგმანს წინ უძღვის რ. ბედროსიანის შესავალი წერილი, რომელშიც განხილულია „მატიანის“ სომხური გამოცემები და მისი სხვადასხვა ნაწილის თარგმანები ვ. ლანგლუას მიერ.

¹⁹ სმბატ სპარაპეტის ცხოვრების და მოღვაწეობის და მისი „მატიანის“ მნიშვნელობის შესახებ იხ. Галстян, „Введение,“ წიგნში Смбат Спарает, *Летопись*, IX-XL.

²⁰ ა. აბდალაძე, „სომხური წყაროები“, სინ, ტ. III, საქართველო XI-XV საუკუნეებში (თბილისი, 1979), 37 (დასახელებულია გალსტიანის მიერ შესრულებული სმბატ სპარაპეტის თხზულების რუსული თარგმანი);

²¹ იხ. ე. ცაგარეიშვილი, „სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში“, *მრავალთავი*, II (1973), 200-4; მ. გაბაშვილი, „დავით კურაპალატის გარდაცვალების საიდუმლოება და მისი პოლიტიკური მოტივი“, *ნოდარ შენგელია 75* (თბილისი, 2008), 97-118, 100 და სხვ. გ. ჯაფარიძემ დაიმონმა „მატიანის“ ერთი პასაჟი ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებით ს. დერ ნერსესიანის სტატიის (Sirarpie der Nersessian, „The Armenian Chronicle of the Constable Smpad or of the “Royal Historian,” *DOP*, vol. 13 (1959), 141-68) საფუძველზე: გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII – XIII ს-ის I მესამედში* (თბილისი, 1995), 153.

სმბატ სპარაპეტი 1211 წლის ამბებში მოგვითხრობს:

„ამ წელს მოკვდა დიდი მთავარი ზაქარე, ანისის მფლობელი, ივანეს ძმა, სპარაპეტი ქართველი დედოფლის – თამარის, მეფე გიორგის ასულისა, რომელიც ლევონის²² დროს იყო საქართველოს დედოფალი. ის [თამარი] მოკვდა ერთი წლით ადრე და ამ დროს უკვე მეფობდა მისი ვაჟი ლაშა“.²³

სმბატ სპარაპეტის მიერ დასახელებული თარიღი ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალებისა – 1211 წ., მართალია, განსხვავდება ვარდანის თარიღისგან, მაგრამ ძალიან ახლოსაა მასთან. მთავარია ის, რომ მემატინის თანახმად, ზაქარია თამარის შემდეგ გარდაიცვალა. რაც შეეხება თამარის გარდაცვალების სუმბატისეულ თარიღს – 1210 წ., ის ემთხვევა ჰალბატის წარწერის ინფორმაციას, რომელშიც საუბარია 1210 წ. გიორგი ლაშას მეფედ კურთხევაზე.

საბოლოოდ, სმბატ სპარაპეტის თანახმად, ზაქარია მხარგრძელი გარდაიცვალა 1211 წელს, ხოლო თამარი – ერთი წლით ადრე. ეს მოხდა 1210 წელს და არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ამ ინფორმაციის ჭეშმარიტებაში.

1215 წელი, როგორც თამარის გარდაცვალების წელი, არარსებული თარიღია, რომელიც არ გვხვდება არცერთ წყაროში. მიუხედავად კენკებაშვილის დიდი მცდელობისა, მისი მიღება შეუძლებელია.

III

ქართულ ისტორიოგრაფიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „თამარის თანამედროვე „ქართლის ცხოვრების“ სამივე თხზულება არაზუსტ ქრონოლოგიურ მონაცემებს გვანვდის, არა მარტო გარდაცვალებისა, არამედ სხვა თარიღების შემთხვევაშიც. ამდენად, უფრო მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს სხვა დოკუმენტურ და ნივთიერ წყაროებს, რომელთაც, გადამწერის და სხვა მიზეზთა გამო, არ განუცდიათ რაიმე ცვლილება“.²⁴ ასეთ ნივთიერ წყაროებს მიეკუთვნება თამარის ეპოქის ნუმიზმატიკური ძეგლები. ისინი გახდა მნიშვნელოვანი დამათარიღებელი წყარო, როცა თამარის გარდაცვალება 1210 წლით განვსაზღვრეთ. მაგრამ იგივე მასალები საფუძველს აძლევს ციალა ღვაბერიძეს, თამარის გარდაცვალების თარიღად მიიჩნიოს 1207 წელი.²⁵ როგორია მისი თვალსაზრისი?

²² ლევონ I (1198/99-1218) რუბენიანი, კილიკიის სომხური სამეფოს პირველი მეფე.

²³ Смбат Спарпет, *Лемонучь*, 122; Smbat Sparapet's *Chronicle*, 101.

²⁴ აბდალაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე“, 10.

²⁵ ციალა ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX (2009), 97-104.

1. თამარის ეპოქის ნუმიზმატიკურ მასალაზე დაკვირვებამ საშუალება მისცა ღვაბერიძეს დაესკვნა, რომ გიორგი III-ის დროიდან დამკვიდრდა წესი, როდესაც მონეტაზე მოთავსებული თარიღი მოჭრის დროს კი არ ასახავს, არამედ სამონეტო ტიპის დამტკიცების თარიღს, ყოველგვარი შესამჩნევი ცვლილების გარეშე.²⁶

2. დამტკიცებული სამონეტო ტიპი ამა თუ იმ ქართველი მეფის მმართველობის მთელ მანძილზე იჭრება ერთი თარიღით. ასეა გიორგი III-ის, თამარის, გიორგი ლაშას და რუსუდანის დროს. როგორც ჩანს, ეს იყო საქართველოს სამეფო კარის დადგენილი წესი. უდავოა, იგი ძალაშია მეფე თამარის 407 ქორონიკონის – 1187 წლის სამონეტო ემისიის დროსაც.²⁷

3. მართალია, არსებობს თამარის მონეტები, რომლებზედაც თარიღია ქორონიკონის 430/1210 წელი, მაგრამ ეს თარიღი შეცდომის შედეგია. ქორონიკონის 430/1210 წელი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი თამარის ამ სამონეტო ტიპზე კითხულობს, სიქაზე „მექანიკურად დაშვებული შეცდომაა“.²⁸ კერძოდ, ეს თარიღი 407 ქორონიკონის შემადგენელი ასოების „ხ“ – „ზენი“-სა და „ზ“-„ლას“-ის გრაფიკული მოხაზულობის მსგავსების ნიადაგზე წარმოიშვა. ცნობილია, რომ ასომთავრულ ანბანში ამ ორ ასონიშანს მხოლოდ მარცხენა მხარეს ჩამოშვებული მცირე ვერტიკალური ხაზი განასხვავებს („ხ“-„ზენი“ და „ზ“-„ლასი“).²⁹ ამრიგად, ც. ღვაბერიძის თანახმად, მეფე თამარმა პირველი საკუთარი სამონეტო ემისია განახორციელა ქორონიკონით 407/1187 წ. მოიჭრა არასწორი ფორმის სპილენძის მონეტა, რომელიც, მისი მმართველობის დასრულებამდე, ამ ერთი თარიღით იჭრებოდა.³⁰

ღვაბერიძე თავის სასარგებლოდ იმონშებს ე. პახომოვს, რომელიც გაცემებით აღნიშნავდა, რომ 1210 და 1187 წლის მონეტები ერთნაირად ხშირი იყო. გარდა ამისა, 1210 წელს უკვე იწყება გიორგი ლაშას მონეტების ჭრა და ამდენად თამარის 1210 წლის მონეტების გამოშვებისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, არაუმეტეს წლისა.³¹ ამავე დროს, პახომოვი იმასაც წერდა, რომ „ხ“-ს და „ზ“-ს აღრევის დაშვება ძნელად თუ შეიძლება, ვინაიდან ორივე ფორმა ძალზე ნათლად და გარკვევით არის შემუშავებული და ჩანს, გრავიორს ესმოდა, რას კვეთდა“.³² პახომოვის ამ ციტატას ღვაბერიძე აღარ იმონშებს,

²⁶ იქვე, 99.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ Е. Пахомов, Монеты Грузии (Тбилиси, 1970), 94; ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, 98.

³² “Ошибку в смешении ̄х и ̄з едва ли можно допустить, так как обе формы выработаны очень

ვინაიდან არ აწყობს, ეწინააღმდეგება მის თვალსაზრისს და ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის მის ნაშრომში.

ღვაბერიძის თვალსაზრისს თუ მივიღებთ, მხოლოდ თამარის ეპოქის ნუმისმატიკური ძეგლებით ვერ განვსაზღვრავთ ვერც თამარის გარდაცვალებისა და ვერც გიორგი ლაშას გამეფების თარიღებს. თამარისა და გიორგი ლაშას მონეტები თავად საჭიროებენ ახსნა-განმარტებას. ამას მკვლევარი გრძნობს და ამიტომ მიმართავს წერილობით წყაროებს. ქართული წყაროები მას აძლევს უფლებას დაასკვნას, რომ თამარი აღესრულა 1207 წელს და ის ნამდვილად აღარ არის ცოცხალი 1210 წლამდე.

რომელია ეს ქართული წყაროები?

ესენია თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსები და ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატრიანე. მაგრამ, თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს მხოლოდ მეფის გარდაცვალების თვესა და რიცხვს. მეორე ისტორიკოსის – ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობები ურთიერთსაწინააღმდეგოა და მათი ახსნა მოტანილია გ. აბდალაძის და მ. ბახტაძის შრომებში, რომელთაც ღვაბერიძე, იმედიან, გაეცნობა. ამავე დროს, ც. ღვაბერიძე მიმართავს ჩვეულ ხერხს და გვერდს უვლის ჟამთააღმწერელს, რომლის დამონმებაც არ აწყობს:

„ამას სანატრელსა სიცოცხლესა შინა თვისა დაედგა გვრგვნი ძისა მისისა გიორგისდა, რომელსაც ლაშობითცა უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვრგვნი მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა, ხოლო რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათვრამეტისა წლისა“.³³

გიორგი ლაშას დაბადების თარიღის (1192) გათვალისწინებით, ჟამთააღმწერელის ცნობა გვაძლევს (1192+18) 1210 წელს.

ღვაბერიძე იმონმებს არაბული და სომხური ნარატიული წყაროების მონაცემებს, რომლებიც, ისევე როგორც ყველა სხვა, კარგად იყო ცნობილი ნატროშვილისა და ჯაფარიძისთვის. სამწუხაროდ, დიდი მოცულობის გამო, მათ ნაშრომში („ცდა..“) საკითხის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა მინიმუმზე იქნა დაყვანილი და მასში ყველაფერი ვერ აისახა. შეფასება მივეციტ არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობასაც და მას აღარ გავიმეორებ.

ღვაბერიძე თავის თვალსაზრისს ამაგრებს სომხური წყაროების (ვარდანი, სამუელ ანეცი) ცნობებით. სომხური წყაროების მოტანა მეც შემოიძლია. უფრო მეტიც, ისეთის, რომელიც საწინააღმდეგოს იუწყება. ესაა ზემოხსენებული სმბატ სპარაპეტის „მატიანე“. ამ წყაროს არცოდნის გამო მე შეღავათი არ გა-

ясно и отчетливо, и видно, что гравер понимал то, что вырезывал.” Пахомов, *Монеты Грузии*, 94.

³³ ქც, ტ. II, 151.

ეუნიე ახალგაზრდა თ. კენკებაშვილს და მითუმეტეს, არ გავუწევ შეღავათს ისეთ გამოცდილ მკვლევარს, როგორც ღვაბერიძეა. ის ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა სმბატ სპარაპეტის თხზულება. ვალდებული იყო, მაგრამ არ გააკეთა და დაკმაყოფილდა (როგორც კენკებაშვილი) იმ წყაროებით, რომლებიც უკვე მრავალგზის იყო გამოყენებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სმბატ სპარაპეტი, რომელიც 1211 წლით ათარილებს ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალებას, წერს, რომ თამარი მოკვდა მანამდე, ერთი წლით ადრე (ე.ი. 1210 წელს) და ამ დროს უკვე მეფობდა მისი ვაჟი ლაშა.

სკეპტიკოსები არ დაილევან. მაგრამ, იმისდა მიუხედავად, დავეთანხმებით თუ არა სმბატ სპარაპეტს, ერთი რამ აშკარაა. არც სომხური წყაროებია **ერთ-გვაროვანი** თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, და არც ქართულ და უცხოურ წყაროებში არ არის **ისეთი ერთსულოვნება**, როგორც ეს ღვაბერიძეს აქვს წარმოდგენილი.³⁴

დავუბრუნდეთ ისევ ნუმიზმატიკურ მასალას. ღვაბერიძე, როგორც ითქვა, ქორონიკონის 1210 წელს თამარის მონეტებზე, გრავიორის მექანიკურ შეცდომად მიიჩნევს. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ამას გამორიცხავდა პახომოვი, რაც მართებულად მიმაჩნია. ასეთი შეცდომა უაღრესად საეჭვოა იმის გამო, რომ გვხვდება სხვადასხვა სიქით მოჭრილ თამარის მონეტებზე. გარდა ამისა, არის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც: ზარაფხანის პასუხისმგებლობა დადგენილი ტიპის (მეფის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის წელი) გამოშვებაზე.


ზარაფხანა იყო არა საქველმოქმედო, არამედ სახელმწიფო დაწესებულება. ცნობილია, რომ მონეტის მოჭრა სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ პრეროგატივას წარმოადგენდა. მონეტა იჭრებოდა მხოლოდ სახელმწიფო ზარაფხანაში, ხოლო მის გარეთ, ყველა ქვეყანაში, ისჯებოდა კანონით. ზარაფხანას ჰქონდა თავისი შტატი: მუშები და ის ხელოსნები, რომლებიც ადნობდნენ სამონეტო ლითონს, ამზადებდნენ ფირფიტებს მონეტებისთვის, სიქებს ქართული და არაბული წარწერებით და სხვა გამოსახულებებით, ქვედა სიქაზე დებდნენ ლითონის გავარვარებულ ფირფიტას და ურტყამდნენ ზედა სიქით. სპეციალური მოხელე ამონმებდა სინჯს, მაგრამ თამარის ეპოქაში, როცა იჭრებოდა მხოლოდ სპილენძის საფასე, ის საჭირო არ იქნებოდა. თუმცა, იმ პირობებში, როცა უცხოური ოქროს და ვერცხლის საფასე დაიშვებოდა მხოლოდ სამონეტო ბაზარზე, მას შეეძლო, ზარაფხანაში შემოსული ამ ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული მონეტების გადადნობისას, მათი სინჯის შემოწმებაც.

³⁴ ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, 102.

აკონტროლებდა თუ არა ვინმე მონეტების ზედწერილებს ზარაფხანაში? უეჭველია, ასეთი მოხელე იქნებოდა. ის შეამომწმედა სიქებზე სარკისებურად ამოჭრილ ზედწერილებს, რომ არ გაპარულიყო შეცდომა მმართველის სახელსა და ტიტულატურაში და ისიც უეჭველია, რომ მასობრივ ემისიამდე გადაამონწმედა საკონტროლოდ მოჭრილ ეგზემპლარს.

ზარაფხანას ისლამურ აღმოსავლეთში ხელმძღვანელობდა ნაზირ ას-სიქქა ან ნაზირ დარ ად-დარბ (მონეტის ჭრის ან ზარაფხანის ზედამხედველი). ასეთი მოხელე იქნებოდა თამარის ეპოქის ქართულ ზარაფხანაშიც. ასე, რომ ზარაფხანაში ზედწერილების სისწორის კონტროლის არსებობაში მე ეჭვი არ მეპარება და მმართველის ზეობის წელში მექანიკური შეცდომა და ასეთი ხარვეზით მიმოქცევაში მონეტის გაშვება სრულიადაც არ იქნებოდა ადვილი. ეს დღეს, ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა მართლაც არ იცის ასომთავრული და შეიძლება ვერ გაარჩიოს „ხ“-ს „ზ“-საგან, მაგრამ იმ დროს, მოსახლეობის ზედა და, უეჭველია, საშუალო ფენებმაც, ისევე როგორც ზარაფხანის გრავიორმა, ეს ანბანი უეჭველად იცოდნენ.


ქვემომოტანილი სამი ნიმუში კერძო კოლექციიდან და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძებისა და ქართული მონეტების ძირითადი ფონდიდან,³⁵ გვიჩვენებს, თუ როგორ იყო გამოსახული ასო „ხ“ თამარის მონეტებზე.



სსმ გფ, №25784




კერძო კოლექცია



კერძო კოლექცია

1210 წლით დათარიღებულ სხვადასხვა სიქით მოჭრილ თამარის მონეტებზე ასო „ხ“ ჯერ ერთი, პალეოგრაფიულად არ არის ერთგვაროვანი და მეორე - ადვილად განსხვავდება „ზ“-სგან. მაგალითად:

³⁵ მითითებული შემოკლებები ასე იხსნება: სსმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გფ – განძების ფონდი, ქძ – ქართული მონეტების ძირითადი ფონდი.



სსმ, ნიჩბისის განძი სსმ გვ, №25916 სსმ გვ, №10670

ასეთი შემთხვევები ცოტა არ არის და ძნელი დასაჯერებელია, რომ გრაფიკორები, თითქოსდა ერთმანეთთან შეთანხმებით, ერთნაირად უშვებდნენ „მექანიკურ“ შეცდომას სიქებზე „ზ“-ს ამოკვეთის დროს.

უაღრესად საყურადღებოა ის, რომ რომ „ზ“-ს „ზ“-საგან“ მარტო ამ ასონიშნის ზემო ჰორიზონტალის მარცხენა მხარეს ჩამოშვებული მცირე ვერტიკალური ხაზი არ განასხვავებს. ის ზემო ჰორიზონტალის შუა ნაწილშიც გვხვდება. მაგალითად:




სსმ გვ, №10649




სსმ გვ, №10666



სსმ ქძ, №4179



სსმ ქძ, №149



სსმ ქძ, №157

ამ სახით ასო „ზ“, მაგრამ უფრო დახვეწილი ფორმით, გიორგი ლაშას 1210 წ. მონეტაზე გვაქვს:



სსმ გვ, №7788

მოიცავს პერიოდს რუსტამის დაბადებიდან 1814 წლამდე, ფრანგულად პირველად გამოსცა კოტენმა 1888 წ.⁵ XX საუკუნის დამდეგამდე ის კიდევ ოთხჯერ გამოიცა ფ. მასონის რედაქციით. 1997 წელს რუსტამის მემუარები სომხებმა თარგმნეს როგორც რუსულად,⁶ ისე – სომხურად. რაც შეეხება სარეცენზიო წიგნს, მისი თარგმანი ემყარება 1911 წლის ფრანგულ გამოცემას.⁷ თარგმანი შესრულებულია კარგი ქართულით. მთარგმნელებმა გაითვალისწინეს „მემუარების“ რუსული თარგმანიც, რომელშიც ა. მიქაბერიძემ, ფრანგული ორიგინალისგან განსხვავებით, გამოავლინა არაერთი უზუსტობა და შეუსაბამობა.

„მემუარების“ ქართული თარგმანის 21-გვერდიან პროფესიულ დონეზე დანერილ წინასიტყვაობაში ა. მიქაბერიძე ასახელებს ძირითად შრომებს რუსტამის ბიოგრაფიის შესახებ; მოგვითხრობს, თუ როგორ გაყიდეს ის ეგვიპტეში და როგორ აღმოჩნდა 1799 წ. ნაპოლეონის სამსახურში. რუსტამი თან ახლდა ნაპოლეონს თითქმის ყველა სამხედრო კამპანიაში, როგორც მისი პირადი მცველი და მოსამსახურე. მაგრამ რუსტამი არ ნაჰყვა ნაპოლეონს, როცა ის კ. ელბაზე გაასახლეს. ამიტომაც, როცა იმპერატორი საფრანგეთში დაბრუნდა 1815 წ. მარტში, არ დააბრუნა რუსტამი თავის სამსახურში. ა. მიქაბერიძე მოკლედ მოგვითხრობს რუსტამის სიცოცხლის ბოლო 30 წლისა და მისი ოჯახის შესახებ. რუსტამი გარდაიცვალა 1845 წ. 7 დეკემბერს საფრანგეთში, ღურდანში, სადაც ის დასახლდა. მკვლევარი განიხილავს რუსტამის ურთიერთგამომრიცხავ დახასიათებებს, მისი მემუარების პუბლიკაციებსა და ეხება საქართველოში გავრცელებულ თვალსაზრისს რუსტამის ქართული წარმომავლობის შესახებაც (გვ. 3-24).



როგორც დასავლეთში, ისე საქართველოშიც, რუსტამი დიდ ინტერესს იწვევდა. მინდა ამ საკითხს უფრო დანვრილებით შევხებო, ვიდრე ა. მიქაბერიძის წინასიტყვაობაშია. ეს იმ ქართველ ავტორთა საყურადღებოდ, რომლებიც ხშირად საკითხის შესწავლას სათანადო დროს არ უთმობენ; ავინყდებათ, რომ ამა თუ იმ პიროვნების ეროვნების მიჩქმალვა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მეზობლებისთვისაც გამაღიზიანებელია.

⁵ “Mémoires inédits de Roustam, mamelouk de Napoléon I^{er},” *Revue rétrospective*, T. 8 (1888), 3-37, 49-78, 97-140, 145-68.

⁶ *Моя жизнь рядом с Наполеоном. Воспоминания мамлюка Рустама Раза, армянина*, перевод с французского Григора Джаникяна, Ирины Карумян (Ереван, 1997). რუსული გამოცემის სათაური არ შეესაბამება ფრანგულს იმ ნაწილში, რომელიც ეხება რუსტამის სომხობას, რაც „მემუარების“ ფრანგულ გამოცემებში არ გვხვდება.

⁷ *Souvenirs de Roustam, mamelouk de Napoléon I^{er}*, introduction et notes de P. Cottin, préface de F. Masson, Quatrième édition (Paris, 1911). ა. მიქაბერიძე აღნიშნავს, რომ მემუარების უკანასკნელი ფრანგული რედაქცია 2010 წელს გამოვიდა: *Le mamelouk de Napoléon: les memoires de Roustam, le garde du corps de l'Empereur* (Paris, 2010).

რუსტამს საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, ქართველად თვლიდნენ. ნაპოლეონის მუდმივი თანმხლების – რუსტამის ქართველობა, რის გარკვეულ საფუძველსაც იძლეოდა XIX-XX სს-ის დამდეგის ფრანგული პუბლიკაციები, მაგნიტივით იზიდავდა ქართველ მწერლებსა და მკვლევრებს.

მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელმაც რუსტამის ბიოგრაფიაც იცოდა და ლარუსის დიდი ენციკლოპედიაც გამოიყენა, „არსენა მარაბდელში“ რუსტამი, წარმოშობით კუმისის ტბის მიდამოებიდან, იდეალიზებული მარაბდელი მეამბოხე არსენას დეიდაშვილად გამოიყვანა. დიდი მწერლის წარმოსახვით, მან წერილიც კი მისწერა უკვე ლონდონში მცხოვრებ რუსტამს, სთხოვდა საქართველოში დაბრუნებულიყო და ერთად ებრძოლათ ბატონებისა და რუსების წინააღმდეგ: „ახლა: ერთი ნაპალავანი ჩვენც გვინდა და ვერ გვიშოვია. მოდი და შენ ინაპალავნეო“.⁸

კონსტანტინე გამსახურდია „დიონისოს ღიმილში“ მოგვითხრობს, თუ როგორ უამბო კონსტანტინე სავარსამიძეს პარიზელმა მოხუცმა ბუკინისტმა შარტრიემ „ქართველი ავანტურისტის რუსტომის შესახებ“. შარლერუას ბრძოლაში მოკლულს, თურმე მას ნაპოლეონმა ძეგლი დაუდგა შემდეგი წარწერით: „აქ ასვენია მონა ღვთისა, რუსტომი. დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი, ქართველი-საქართველოდან“. უფრო მეტიც, სავარსამიძემ შარლერუას პატარა კათოლიკური ეკლესიის გალავანში მიაგნო კიდევ როსტომის საფლავს და თეთრი ყვავილების გვირგვინით შეამკო მისი სამარე.⁹ შარლერუას ბრძოლა კუნძულ ელზადან საფრანგეთში დაბრუნებული ნაპოლეონის ასი დღის ტრაგიკული ფინალის უვერტიურა იყო. 1814 წლის 15 ივლისს, საფრანგეთის საზღვართან, იმ დროს ჰოლანდიის, დღეს კი ბელგიის ქალაქ შარლერუასთან შეტაკებაში, ნაპოლეონმა სძლია პრუსიელებს, გადალახა მდ. სამბრა და დაიძრა ვატერლოოსკენ, სადაც 18 ივლისს დამარცხდა ინგლისელებისა და პრუსიელების არმიასთან ბრძოლაში. ამ დროს რუსტამი არ იმყოფებოდა ნაპოლეონთან, რადგან ელზადან დაბრუნებულმა იმპერატორმა ის აღარ მიიღო.

რუსტამს საგანგებო რომანი მიუძღვნა ირაკლი უგულავამ.¹⁰ ამ წიგნში რუსტამი ასევე ქართველია, ხოლო მამამისი ჰონანი – ანანია გახდა. რუსეთის კამპანიის დროს, ნაპოლეონმა რუსტამი თურმე პეტრე ბაგრატიონს ელჩადაც კი გაუგზავნა.¹¹

⁸ მ. ჯავახიშვილი, *არსენა მარაბდელი, რჩეული თხზულებანი*, ტომი IV (თბილისი, 1961), 417.

⁹ კ. გამსახურდია, *დიონისოს ღიმილი, რჩეული თხზულებანი*, ტომი V (თბილისი, 1961), 630-31.

¹⁰ ი. უგულავა, *დურდანში არის საფლავი* (თბილისი, 1986).

¹¹ აი როგორ წარმოიდგინა მწერალმა ამ ორი პიროვნების საუბრის ფინალი: ბაგრატიონი – „სადაური ხარ, საიდან გაგიტაცეს? რუსტამი: საქართველოდან! ბაგრატიონი წამოდგა, სულ ახლოს მივიდა მამლუქთან, თვალებში ჩააშტერდა. – ქართული იცი? – არა. არც მან

მწერალს აქვს უფლება, თავისი წარმოსახვით შექმნას გმირები და არარსებული ეპიზოდებიც, მაგრამ ცუდია ის, რომ მერე ამ სახით ისინი სხვა ავტორების სამეცნიერო-პოპულარული წერილების ფურცლებზე გადაინაცვლებენ; როცა, მაგალითად, თბილისში დაბადებული სომხური წარმომავლობის რუსტამი მაინც მარაბდელად და ქართველად გამოცხადდება¹² და იწერება ლექსებიც.¹³ ქართული ინტერნეტის სივრცეში ქვეყნდება პატრიოტული მასალები რუსტამის შესახებ და მხატვრულ-ისტორიული ნარკვევებიც,¹⁴ ზოგჯერ ერთი რომელიმე საერთო წყაროდან გადმონერილი ტყუილი და მართალი.¹⁵

ნაწილი ქართველი მკვლევრებისა, რომლებმაც იცოდნენ რუსტამის მემუარები, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში (მ. ხუხუნი,¹⁶ ი. ტაბალუა¹⁷) მაინც მიიჩნევდნენ მას ქართველად. ამასთან, გაუგებარი მიზეზებით, მკითხველს აწვდიდნენ რუსტამის ქართულ გვარს, რომელსაც საერთო არ ჰქონდა სინამდვილესთან. მ. ვადბოლსკიმ, ჭადრაკის ისტორიისა და ქართული ჰერალდიკის მკვლევარმა, რომელმაც რუსტამი ქართველად გამოაცხადა, დაასახელა მისი გვარიც – ხონამაშვილი.¹⁸

(ე.ი. ბაგრატიონმა) იცოდა... რუსტამს უხაროდა, ასეთი მტკიცე ხასიათის, შეუვალი და შეუპოვარი თანამემამულე რომ იხილა“ (გვ. 152-53, 156).

¹² მ. თარხნიშვილი, „მარაბდელი მამლუქი“, *ახალგაზრდა კომუნისტი*, 20.1, №9 (1962).

¹³ მაგალითად, ორი ლექსი („ნაპოლეონ ბონაპარტი“ და „მამლუქის საფლავზე“), ანონიმი ავტორისა (levan63), რომელიც ააღივსა ქართველი რუსტამის ცხოვრებამ (ინტერნეტრესურსი: <http://urakparaki.com/?m=4&ID=49260>). პარიზში ნაპოლეონის საფლავთან მდგომი ის წერს: „სიმართლეს გეტყვით, აქ რომ ვიდექი, ამაყი ვიყავ, რომ ვარ ქართველი, რადგან ბონაპარტს პირადი მცველი, ქართველი ჰყავდა, თან ავლაბრელი... ზუსტად ამიტომ მეამაყება, იმპერატორის კუბოსთან დგომა, როცა ვფიქრობ, რომ მას გვერდში ედგა ქართველი ბიჭი, თავისი ბედის ამაყი მონა“. დურდანში, რუსტამის საფლავთან კი წერს: „მეც რითი მოგცე ნუგეში? მხოლოდ მაქვს თაფლის სანთელი, და ერის შენის ქართველთა, ნაკვესი დანაბარები: მშვიდად ებარე ფრანგთ მიწას, ჩაფლულს ია და ვარდებში, ჩვენ გვეხსომები მარადუამს, შეგამკობთ შარავანდებში“. (ინტერნეტრესურსი: <http://urakparaki.com/?m=4&ID=44513>)

¹⁴ გიორგი მახარაძე, „ვინ იყო ნაპოლეონის პირადი მცველი? რუსტამი ანუ თბილისელი მამლუქის ისტორია“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 1. V (2011).

¹⁵ ნონა შელია, „ნაპოლეონის მამლუქი როსტომ რაზმაძე (1780-1845)“, საიტის: *ქართული მინავ დასაფიცარო*, სად არ წასულან შენი შეილები (ინტერნეტრესურსი: <http://mdinareebimwerlobashi-nonka.blogspot.com/2012/01/blog-post.html>).

¹⁶ მამია ხუხუნი, „მამლუქი რუსტამი“, *მნათობი*, 3 (1984), 170-3.

¹⁷ ი. ტაბალუა, „რუსტამის მოუსვენარი ახალგაზრდობა, ანუ როგორ გახდა იგი ნაპოლეონის მამლუქი“, *თბილისი*, 12.VI. (1986).

¹⁸ მ. ვადბოლსკი, „რუსტამ მამლუქის თავგადასავალი“, *სოფლის ცხოვრება*, 11, VIII (1967); იგივე სტატია უცვლელად დაბეჭდა გაზეთში *ტყიბული*, 22.VIII (1967). ქართველად არის ის დასახელებული ერთი ანონიმი ავტორის მიერ: „რუსტანი“, *აფანგარდი* (ცხაკაია), 30.VIII (1959).

ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა გივი ჟორდანიამ რუსტამი რაზმაძის გვარით შეიტანა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“. ¹⁹ გ. ჟორდანია, ჩანს, ენდო ქართველ ემიგრანტ-მკვლევარს იტალიაში შალვა ბერიძეს, ²⁰ რომელიც, თავის მხრივ, იმონებდა იტალიელი ისტორიკოსის გ. გუატერის გამოკვლევას რუსტამის შესახებ. ²¹

გუატერის წიგნი, რომელიც, ჩემი თხოვნით, თავაზიანად მომანოდა ა. მიქაბერიძემ, მნიშვნელოვნად არის დავალებული რუსტამის მემუარების-გან. მასში საერთოდ არ არის ნახსენები გვარი რაზმაძე და ის, შალვა ბერიძის „შემოქმედება“.

ცხადია, საქართველოში იყვნენ მკვლევრები, რომლებმაც იცოდნენ რუსტამის ეთნიკური წარმომავლობა. მათ შორის, ალბათ, პირველია გიორგი ბეი-მამიკონიანი, ევროპული ენების შესანიშნავი მცოდნე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ერაყისა და ეგვიპტის ქართული წარმოშობის მამლუქების ისტორიის კვლევას. 1957 წელს, ალი ბეის შესახებ დაწერილ ნარკვევში, ის წერდა: „ეგვიპტის შეიარაღებული ძალების წმინდა მამელუკური ნაწილის შემადგენლობაში ცოტა როდი იყვნენ არაქართველნი. ცნობილია, მაგალითად, რომ ეგვიპტიდან წამოყვანილი პირადი მამელუკი რუსთაში სომეხი იყო“. ²²

სამწუხაროდ, რუსტამის ცხოვრებით დაინტერესებულ პირთ არ ნაუკითხავთ, არც გიორგი ბეი-მამიკონიანის აღნიშნული სტატია და არც მის მიერ მითითებული რუსტამის მემუარები. შეუმჩნეველი დარჩა კონსტანტინე კოტრიკაძის სტატიაც, რომელმაც საგაზეთო სტატიაში, მრავალრიცხოვანი მასალის საფუძველზე, კვალიფიციურად და ობიექტურად გააშუქა რუსტამის ცხოვრება და ყ. სავანის მიხედვით აღნიშნა მისი სომხური წარმომავლობაც. ²³ სარეცენზიო ნაშრომის გამოცემამდე რუსტამის სომხურ წარმომა-

¹⁹ გ. ჟორდანია, „რუსტამი“, *ქსე*, ტ. 8 (თბილისი, 1984), 515 და ეს გვარი – რაზმაძე უკვე მეორედება ვიკიპედიის უცხოურ ვერსიებშიც.

²⁰ შალვა ბერიძე, „ნაპოლეონის მხლებელი – როსტომი“, *კავკასიონი*, XII (პარიზი, 1967), 96. ინფორმაცია ამის შესახებ იხ. გურამ შარაძე, „შალვა ბერიძე“, *სახალხო განათლება*, 18. I (1989), 9.

²¹ Gualtiero Guatteri, *Roustam: il mammalucco di Napoleone; storia, memorie, aneddoti* (Napoli, 1935).

²² გ. ბეი-მამიკონიანი, „ქართველი მამელუკები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში“, *მნათობი*, 9 (1957), 130.

²³ К. Котрикадзе, „Телохраниитель Наполеона – уроженец Тифлиса,“ *Свободная Грузия*, 27.09 (1998).

ვლობაზე წერდნენ ამ სტრიქონების ავტორი²⁴ და მერაბ კალანდაძე.²⁵ მაგრამ ასეთი შრომები იშვიათი იყო, ხოლო უკანასკნელ ხანებში ინტერნეტის ქსელში გავრცელებულ მასალებში მის შესახებ კიდევ მრავალი სიურპრიზი იხილა ქართველმა მკითხველმა.

მითები რუსტამის გარშემო მარტო საქართველოში არ იქმნებოდა. მ. ნეიმანი 1899 წ. წერდა, რომ რუსტამი, რომელიც დაიბადა ყარაბაღში, ნაპოლეონის პირველად გადადგომის შემდეგ, მარსელიდან ზღვით გაემგზავრა აღმოსავლეთში. მან მიაღწია თეირანს და იქიდან დაბრუნდა კავკასიაში, მონანილეობა მიიღო 1826-28 წლების რუსეთ-სპარსეთის ომებში და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა შუშაში.²⁶

უნდა ითქვას, რომ სომხებმა დააგვიანეს რუსტამის პოპულარიზება. მხოლოდ 1983 წ. ვ. პოლოსიანმა სომხეთის აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მაცნეში დაბეჭდა ნაწყვეტები რუსტამის ბიოგრაფიიდან.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში რუსტამის ვინაობა გარკვეულია, ინტერნეტის ზოგიერთ საიტზე მაინც გვხვდება ასეთი რამ: ის არის როსტომ ოგანესის ძე ხაჩატრიანი, დაბადებული თბილისში, შუშელის ოჯახში.²⁸

მითები რუსტამის შესახებ შეიქმნა თურქეთში და გადაინაცვლა აზერბაიჯანში. 2001 წ. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზულის სახელობის ხელნაწერთა ფონდს საჩუქრად გადაეცა თურქი მკვლევრის ალთან არასლის „თურქული ნაკვალევი ევროპაში“ (Altan Arasli, „Aavrup’ada Türq izleri“). ავტორი ამტკიცებს, რომ რუსტამს თავდაპირველად ეძახდნენ იაჰიას და ის იყო წარმოშობით დაღესტნიდან. ამ წიგნზე დაყრდნობით აზერბაიჯანელი ი. რუსტამოვი თვლის, რომ ის დაღესტნელი თურქია, კუმიკი ან აზერბაიჯანელი.²⁹ ამ შემთხ-

²⁴ გ. ჯაფარიძე, „იყვნენ ქართველები ნაპოლეონის არმიაში?“, *ჩვენი მწერლობა*, 8. VIII, (2011), 4-5.

²⁵ მერაბ კალანდაძე, „რუსტამი – ნაპოლეონის მამლუქი“, *ისტორიანი*, IX (2011), 46-49.

²⁶ М. Нейман, *Армяне* (СПб, 1899), 160-63.

²⁷ В. Погосян, „Материалы о телохранителе Наполеона армянине Рустаме,“ *ВОНАССР*, 7 (1983), 77-90.

²⁸ ინტერნეტრესურსი: <http://forum.hayastan.com/lofiversion/index.php/t25142.html>.

²⁹ Я. Рустамов, „Верный слуга и телохранитель Наполеона был этническим азербайджанцем,“ *ЦентрАзия*, 180 (1661), 29 Сентября (2007) (ინტერნეტრესურსი: http://www.echo-az.com/archive/2007_11/1686/istoriya01.shtml). სხვა აზერბაიჯანულ საიტზე წერია: „Рустам Роза, Рустам Рза, Рустам Реза – (Яхья Эйсан Ибрагим Одлу), родился в семье крестьянина Ибрагима Одлу из тюркского племени Караманлы Караманиды, попал в рабство в конце 18 века и вошел в многочисленный отряд тюрко-черкесских мамлюков, захваченных армией Наполеона в 1798 году“ (ინტერნეტრესურსი: <http://otvet.mail.ru/question/29830901/>). არასლის წიგნმა და აზერბაი-

ვევაში რატომღაც ივინყებენ იმას, რომ ეს იაჰია უეჭველად მუსლიმი უნდა ყოფილიყო, ხოლო მუსლიმს, შარიათით მონად ვერ გაყიდდი და, შესაბამისად, ის ვერც მამლუქი გახდებოდა.

„მემუარების“ გამოცემები ქართულ (და რუსულ) ენებზე, იმედია, ბოლოს დაუდებენ რუსტამის წარმომავლობის შესახებ უსაფუძვლო საუბრებს.

●

„მემუარებიდან“ ჩანს, რომ ეგვიპტეში მონად გაყიდვის შემდეგ, რუსტამმა, როგორც ყველა მამლუქმა, ისლამი მიიღო და მას იაჰია (Ijahia) უწოდეს (გვ. 50). ქართულ პუბლიკაციებში (მაგ. ხუხუნი) აღნიშნულია, რომ რუსტამს არ ახსოვდა ბავშვობის სახელი.³⁰ მაგრამ „მემუარებიდან“ ჩანს, რომ ასე არ არის. ნაპოლეონმა მას სწორედ ის სახელი – რუსტამი დაუბრუნა (გვ. 50), ბავშვობაში რომ ერქვა და ეს სახელი საფრანგეთში ზოგჯერ ჟღერდა, როგორც რუსტანი.

გასარკვევია რუსტამის გვარი. ამ მხრივ რუსტამის მიერ ცუდი კალიგრაფიით, ანდა მისი კარნახით დანერილი „მემუარები“ პირველივე სტრიქონში გაუგებრობას ქმნის. აქ დასახელებული იყო მამის სახელი „ლ ოვან“. შემდეგ პოლ კოტენმა დაასკვნა, რომ სახელი უნდა ნავიკითხოთ, როგორც „რუსტამ ჰონანი“.³¹ „მემუარების“ რუსულ თარგმანში ჰონანის ნაცვლად წერია უნანი. გამოდის, რომ რუსტამის მამასაც იგივე სახელი ჰქონდა და ჰონანი მაშინ პაპის სახელი იქნება, საიდანაც შეიძლებოდა ეწარმოებინათ გვარი უნანიანი, თუმცა კი ის არსადაა დაფიქსირებული. მაშ საიდან გაჩნდა რაზა, როგორც რუსტამის გვარი, რომელიც ამოტვიფრულია მისი საფლავის ქვაზე დურდანში? სავანი თვლის, რომ რუსტამის მამას ერქვა რაზა და იწოდებოდა რაზა ჰონანად (რაზა ძე ჰონანისა), ხოლო რუსტამი გახდა რუსტამ რაზა (რუსტამი ძე რაზასი).³² სავანის მიერ მოტანილ მამლუქთა სიაში 151-ე ნომრად რუსტამი სწორედ ასეა შეტანილი (ილს დე ლეზა ონან).³³ რაზა მამლუქი რუსტამის მამის სახელად მიანია ვ. პოლოსიანსაც.³⁴ მაგრამ „ლ ოვან“ ფრანგულ, რუსულ და ქართულ გამოცემებში აღდგენილია როგორც „რუსტამ“ და არა „რაზა ჰონანი“.

ჯანში გამოქვეყნებულმა ამ საიტმა გამოიწვია მკვეთრი რეაქცია სომხეთში. ერთ სომხურ ფორუმზე ის ასე შეაფასეს: “Воистину, нет предела наглости и маниакальному рвению этих закомплексованных писак, задавших целью присвоить или опорочить все армянское” (ინტერნეტრესურსი: <http://artsakhwebcombat.am/forum/showthread.php?t=258>).

³⁰ ხუხუნი, „მამლუქი რუსტამი“, 172.

³¹ აქედან უნდა მოდიოდეს ვადბოლსკისეული რუსტამის არარსებული გვარი ხონამაშვილი.

³² Savant, *Les Mamelouks de Napoleon*, 325.

³³ იქვე, 453.

³⁴ В.А. Погосян, *Армяне – сподвижники Наполеона: история и мифы* (Ереван, 2009), 22.

რაზა (რიზა, რეზა, რიდა, რედა) წმინდა ისლამური სახელია: *أرض*, ან *أرض*, გავრცელებული სპარსულ, თურქულ, ეგვიპტურ და სხვა ქვეყნების ისლამურ ანთროპონომიკაში და ნიშნავს „კეთილგანწყობას“, „კმაყოფილებას“. ის გვხვდება დამოუკიდებლად და შედგენილ სახელებშიც. შეიძლება დავასახელო შიიტი იმამიტების მე-8 იმამი, ‘ალი **არ-რიდა**’ (გარდ. 818 წ.), ანდა ირანის შაჰი მოჰამედ **რეზა** ფეჰლევი (1941-1980). 1819-20 წ., ეგვიპტეში მოგზაურობის დროს, გიორგი ავალიშვილს შეხვდა მუჰამედ ალი ფაშას სამსახურში მყოფი, ავალიშვილების ყოფილი ყმა, მარტყოფელი ანდრეა კნოტისშვილი, გამუსლიმებული მაჰმად ალა მუსტოფი ქაია **რაზა**.³⁵

ძნელი სათქმელია, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ XVIII ს-ში რაზა დაერქმიათ სომეხი ქრისტიანისთვის. სომხურ ანთროპონომიკაში, რომელიც მოტანილია ინტერნეტის ქსელში, სახელი რაზა (რეზა) საერთოდ არ ჩანს.³⁶

მე მაქვს ეჭვი, რომ ეგვიპტეში გამუსლიმების შემდეგ, რუსტამს ეწოდა ორმაგი სახელი: იაჰია რაზა და ამ სახელის მეორე ნაწილი – რაზა საფრანგეთში გაიაზრეს როგორც გვარი. რუსტამისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თავის მხრივ, რაზა შალვა ბერიძემ გაიაზრა როგორც „რაზმაძე“ და ის ამჟამად დამკვიდრდა ქართულ გამოცემებში და შევიდა ვიკიპედიას სხვადასხვაენოვან ვერსიებშიც.³⁷

რუსტამმა პატარაობისას დატოვა თბილისი. ის მოიტაცეს განჯაში მაშინ, როცა აპერკანიდან (ყარაბახი) ყაზახში მიდიოდა მამასთან. რუსტამი კარგად აცნობიერებდა, ვინ იყო ეროვნებით. განჯაში ერთი უცნობი ახალგაზრდის კითხვაზე, საუბრობდა თუ არა ის სომხურად, მან უპასუხა, რომ სომეხი იყო და ენაც იცოდა (გვ. 31). როდესაც რუსტამი მიჰგვარეს ნაპოლეონს, კითხვაზე, საიდან იყო ის, რუსტამი უეჭველია უპასუხებდა – საქართველოდან, რადგანაც სომხეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული იმ დროს არ არსებობდა. ნაპოლეონმა რუსტამი აღიქვა, როგორც ქართველი. არ ვიცი, ოფიციალურ დონეზე რუსტამი ამჟღავნებდა თუ არა თავის ეროვნებას, მაგრამ უეჭველია, ამით ამაყობდა. აი, რას წერს ის „მემუარებში“ მამლუქებთან დაკავშირებით:

„ბევრი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ქართველებს და მეგრელებს ... შეუძლი-

³⁵ გიორგი ავალიშვილი, *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი, 1967), 128, 136 და სხვ.

³⁶ Armenian Male Names – Armeniapedia.org (ინტერნეტრესურსი: http://www.armeniapedia.org/index.php?title=Armenian_Male_Names).

³⁷ მაგალითად, Рустам Раза. Материал из Википедии – свободной энциклопедии (ინტერნეტრესურსი: http://ru.wikipedia.org/wiki/Рустам_Раза); Rustam Raza. Wikipedia, la enciclopedia libre (ინტერნეტრესურსი http://es.wikipedia.org/wiki/Rustam_Raza)

ათ გახდნენ კარგი მამლუქები. არ ვიცი, რა განაპირობებს ამ დამოკიდებულებას, არადა, სომხები სხვა ერებზე ბევრად მამაცები არიან“ (გვ. 38).³⁸

ეს უნდა გაითვალისწინონ იმ ქართველმა მკვლევრებმა, რომლებიც რუსტამის ქართველობაზე აკეთებენ აქცენტს.

რუსტამის „მემუარებში“ მკითხველი ნაიკითხავს მისი ცხოვრების ეპიზოდებს ოჯახში – მონად გაყიდვამდე, ეგვიპტეში, სადაც შეიძინა წარმოშობით ქართველმა სალიჰ ბეიმ; იმის თაობაზე, თუ როგორ აჩუქა ის ცნობილმა თეოლოგმა შეიხმა ალ-ბაქრიმ ნაპოლეონ ბონაპარტეს, როგორ გახდა მისი პირადი მცველი და როგორ ემსახურებოდა იმპერატორს 1814 წლამდე.

რუსტამის ეგვიპტური ცხოვრების ეპიზოდებიდან განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია მისი პატრონის ვინაობა. მის სახელს რუსტამი არასწორად ასახელებს – სალა ბეი. ასეთ პიროვნებას მამლუქთა ზედაფენაში ვერ ვნახავთ. „მემუარების“ ქართულად გამოცემის შემდეგ ნათელი ხდება, რომ იგულისხმება სალიჰ ბეი, რომელიც 1797 წ. გახდა მუსლიმ პილიგრიმთა ქარავანის ხელმძღვანელი, ამირ ალ-ჰაჯი, რაც აღნიშნულია კიდევ ა. მიქაბერიძის მიერ კომენტარში (გვ. 37).³⁹

სალიჰ ბეის შესახებ დანვრილებით მოგვითხრობს მამლუქთა ეგვიპტის ისტორიკოსი აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბართი. სალიჰი იყო მუჰამედ ბეი აბუ ზ-ზაჰაბის (1882-1775) მამლუქი, ეკავა ჩავუშთა კორპუსის ქათხუდას პოსტი და სანჯაყ ბეიდ ალავლინეს ჰიჯრის 1212/1797-98 წ. იმავე წელს დაინიშნა ამირ ალ-ჰაჯად და ხელმძღვანელობდა პილიგრიმთა ქარავანს მექაში (პილიგრიმობა დაიწყო 1798 წ. 17 მაისიდან). ის ახლოს იყო იბრაჰიმ ბეისა (შინჯიკაშვილის) და მურად ბეის დუუმვირატთან, განსაკუთრებით – უკანასკნელთან, რომელმაც მას აუშენა სახლი გიზაში, თავისი სახლის მახლობლად. ალ-ჯაბართი წერს, რომ სალიჰ ბეი სარგებლობდა შესანიშნავი რეპუტაციით, მასზე არავინ ჩიოდა და არავისთვის მოჰქონდა ზიანი. იყო მჭევრმეტყველი და განათლებული, მოსაუბრეებს ყოველთვის ეგონათ არაბი, უყვარდა მუსიკა, სიმებიანი ინსტრუმენტები, თავადაც უკრავდა და საერთოდ, უყვარდა გართობა.⁴⁰

³⁸ ოსმალთა ხანის მამლუქთა ეგვიპტეში ასე არ იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის II ნახევრის ეგვიპტეში მამლუქთა ოლიგარქიაში (ბეილიქათში) და ქვეყანაში დისლოცირებული 7 სამხედრო კორპუსის ხელმძღვანელობაში (ალეზი და ქეთხუდეზი) სომეხი საერთოდ არ გვხვდება.

³⁹ სარეცენზიო წიგნის საძიებელში (გვ. 147), რომელიც რედაქციის მიერ არის მომზადებული, შეცდომით წერია ამირ ალ-ჯაბარი.

⁴⁰ ‘Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в период экспедиции Бонапарта (1798-1801)*, перевод, предисловие и примечания И.М. Фильштинского, т. III, ч. I (Москва, 1962), 196-98, 500, пр. 330.

სალიჰ ბეი, რომელიც ქართველი იყო, დაწვრილებით ესაუბრა რუსტამს ქართულად. ქართული კი რუსტამმა, რომელმაც პატარაობისას დატოვა საქართველო ოჯახთან ერთად, ცუდად იცოდა. სალიჰ ბეიმ ჰკითხა, თბილისიდან ხომ არ ხარო და საუბარში გაირკვა, რომ ის კარგად იცნობდა მამამისს, ვინაიდან ხშირად მოგზაურობდა სომხეთში. უფრო სავარაუდოა, საქართველოში. მაგრამ რისთვის და რა მიზნით, უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ რუსტამმა, რომელსაც ქართული დავინწყებული ჰქონდა და არაბული ჯერ კიდევ არ იცოდა, კარგად ვერ გაიგო სალიჰ ბეის ნაამბობი. ალ-ჯაბართის ცნობით, სალიჰ ბეი 1790-92 წლებში რამდენჯერმე იმყოფებოდა სტამბოლში იბრაჰიმ ბეის (შინჯიკაშვილის) და მურად ბეის დავალებით, 1787 წ. ჰასან კაპუდან ფაშას მიერ მძევლებად წაყვანილი მამლუქი (მათ შორის ქართველი) ბეიების თაობაზე.⁴¹ არ არის გამორიცხული, რომ მამინ ისარგებლა შემთხვევით და ჩავიდა საქართველოში.

რუსტამი ორი თვის მანძილზე სწავლობდა ცხენოსნობას და შემდეგ ჩაირიცხა სალიჰ ბეის მამლუქთა რაზმში. ორი წლის შემდეგ კი ის სალიჰ ბეის ნაჰყვა მექაში საპილიგრიმოდ. პილიგრიმობიდან დაბრუნებულმა სალიჰ ბეიმ აკაბაში შეიტყო ამბავი ფრანგების შემოჭრისა. ფრანგებმა მას მისცეს შეუვალობა და შესთავაზეს მცირე რაზმთან ერთად კაიროში დაბრუნებულიყო. მაგრამ იბრაჰიმ ბეიმ სალიჰ ბეის მოსთხოვა ბილბეისში გამგზავრებულიყო და სალიჰ ბეიც ასე მოიქცა.

ალ-ჯაბართიმ იცის, რომ სალიჰ ბეი მოკვდა სადღაც სირიაში.⁴² რუსტამი გვანჯდის უნიკალურ ცნობას, რომ სალიჰ ბეის თავი შეუფარებია აქქას გამგებელთან ჯაზარ ფაშასთან, რომელმაც ის მონამლა (გვ. 41). თუმცა, რა მიზეზით, რუსტამი არ წერს. რამდენიმე ხნის შემდეგ სალიჰ ბეის ცხედარი ცოლმა სირიიდან გადმოსვენებინა და დაკრძალა ალ-მუჯავირინის სასაფლაოზე.⁴³

ამრიგად, რუსტამის ცნობის საფუძველზე, სალიჰ ბეის სახით, ნაპოლეონის ეგვიპტეში შემოჭრის წინ, მამლუქთა ბეილიქათის შემადგენლობაში შეიძლება კიდევ ერთი ქართველი დავადასტუროთ.⁴⁴ სამწუხაროდ, სხვა რაიმე ფასეული ცნობა ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიის შესახებ „მემუარებში“ მე ვერ ვნახე.

⁴¹ ‘Абд ар-Рахман ал-Джабарти, *Египет в канун экспедиции Бонапарта 1776-1798*), перевод, предисловие и примечания Х.И. Кильберг (Москва, 1978), 299, 352-53, 355.

⁴² ал-Джабарти, *Египет в период экспедиции Бонапарта*, 18.

⁴³ იქვე.

⁴⁴ XVII-XVIII სს-ის ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიაში ქართველების შესახებ იხ. Daniel Crecelius, Gotcha Japaridze, “Georgians in the Military Establishment in Egypt in the Seventeenth and Eighteenth Centuries,” *AI*, 42 (2008), 313-37.

აქედან კაიროში დაბრუნებული რუსტამი ჩადგა შეიხ ალ-ბაქრის სამსახურში და სწორედ ამ უკანასკნელმა აჩუქა ის ნაპოლეონ ბონაპარტეს.

„მემუარებში“, უპირატესად, რუსტამის ყოველდღიური ცხოვრებაა ასახული. ის წერდა იმის შესახებ, რასაც ხედავდა და მისთვის დიდი პოლიტიკის ნიუანსები უცნობი რჩებოდა. რუსტამის სუბიექტურობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია მემუარული ჟანრის ავტორებისთვის, აღნიშნული აქვს სავანს.

„მემუარებში“ კარგად ჩანს, როგორ იცავდა რუსტამი თავის ინტერესებს, იქნებოდა ეს ეგვიპტეში, თუ – საფრანგეთში, მუქარით (მაგალითად შეიხ ალ-ბაქრის მიმართ), დაშინებით, დაბეზღებით, ან ერთგულების უზომო გამოხატვით – ნაპოლეონთან ურთიერთობაში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ის პრაგმატული იყო და კ. ელბაზე იმპერატორის გასახლების დროს მას არ წაჰყვა. ამ ფაქტს უარყოფითად აფასებდნენ თანამედროვენი და ასევე უაღრესად მკაცრი შეფასება მისცა სომეხმა მკვლევარმა ვ. პოლოსიანმა.⁴⁵

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1810 წ., როცა ნაპოლეონის დეკრეტით გაუქმდა იტალიის სამეფოს ყველა მონასტერი, რუსტამის შუამდგომლობით გამონაკლისი გაკეთდა მხოლოდ მხითარისტთა კონგრეგაციის მონასტრისათვის,⁴⁶ ხოლო როცა 1812 წ. ფრანგებმა დაიკავეს მოსკოვი, სწორედ მისი წყალობით გადარჩა გადაწვას სომხური უბანი ამ ქალაქში.⁴⁷ ამ ფაქტების შესახებ მემუარებში ვერაფერს ვნახავთ. რუსტამი, რომელიც შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები და დამსახურებები, ამ შემთხვევებში დუმს, რაც, ბუნებრივია, ზემოთქმულის მიმართ ეჭვს ბადებს.

წერენ, რომ რუსტამი დაჯილდოებული იყო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენით. რუსტამი ამის შესახებაც დუმს. მართალია, ასეთი ცნობა არის 1825 წ. გამოქვეყნებულ ერთ ფრანგულ ბიოგრაფიულ ცნობარში,⁴⁸ მაგრამ სხვა გამოკვლევებში (სავანი, დერიბერი, პოლოსიანი) ის ვერ დავადასტურე.⁴⁹ ა. მიქაბერიძემ პირად მიმოწერაში მაცნობა, რომ მან შეამონმა საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოებული პირების ადრეული სიები, მაგრამ იქ რუსტამი ვერ აღმოაჩინა.

⁴⁵ Погосян, “Материалы о телохранителе Наполеона армянине Рустаме,” 53-55.

⁴⁶ იქვე, 45.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ *Biographie nouvelle des contemporains*, t. XVIII (Paris, 1825), 263.

⁴⁹ ასახელებენ დებრეს ნახატს, რომელზეც ასახულია საპატიო ლეგიონის ორდენის დაჯილდოების ფაქტი. სურათზე ჩანს რუსტამი, მაგრამ ძნელი სათქმელია, უკეთია თუ არა მას ორდენი.

მცირე ხნით რუსტამი ირიცხებოდა ნაპოლეონის გვარდიაში, რომელშიც შედიოდა მამლუქთა ესკადრონი. მაგრამ ის არ იხსენიებს თავის თანამემამულე სომეხს, ანდა ქართველ მამლუქებს, მაშინ როცა ასეთი ცნობები, თუნდაც საარაკოდ მამაც თბილისელ მამლუქ შაჰინზე,⁵⁰ რომელიც მართლაც გახდა საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, უაღრესად ფასეული იქნებოდა.

რუსტამის თვალსაწიერი შეზღუდული იყო. არ დაგვაზინყდეს, რომ ის დიდი პიროვნების მხოლოდ პირადი მცველი და მსახური იყო, ითავსებდა მისი საჭურველთმცირთველის ფუნქციებსაც, ეხმარებოდა იმპერატორს ჩაცმადანაში, ძვირფას სამოსში გამონყობილი, განუყრელი ჩალმით, ის მუდმივად და ყველგან თან ახლდა მას, ვერცხლის მათარით შეასმევდა ხოლმე კონიაკს, ღამ-ღამობით ეძინა ხოლმე მოსაცდელში იმპერატორის საძინებელ ოთახთან და თუ არსებობდა შეთქმულების საშიშროება, ამ ოთახის კარის წინ წევებოდა. დიდი პოლიტიკა მის მიღმა რჩებოდა. მაგრამ ნაპოლეონის გარემოცვაში ყოფნით, რუსტამს უფრო გაუმართლა ცხოვრებაში, ვიდრე ნაპოლეონის სხვა მამლუქებს. მათ შესახებ ხომ არ დაწერილა წიგნები! იმიტაც გაუმართლა, რომ, სხვებისგან განსხვავებით, არაერთხელაა გამოსახული მხატვრულ ტილოებზე (ანნა-ლუი ჟიროდე, კლოდ გოტერო, დებრე და სხვ.) ნაპოლეონთან ერთად. რაც მთავარია, მან შეძლო ის, რაც სხვა მამლუქებმა ვერ გააკეთეს. დაგვიტოვა „მემუარები“ – ნაშრომი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორი იყო ერთი მამლუქის ყოფა და ცხოვრება ეგვიპტეში და შემდეგ – საფრანგეთში.

დასასრულ, ქართულ ენაზე რუსტამის „მემუარების“ გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. რაც მთავარია, ალექსანდრე მიქაბერიძისა და ნიკა ხოფერიას პუბლიკაცია, იმედია, საბოლოოდ მოუღებს ბოლოს საქართველოში უსაფუძვლო თვალსაზრისებს რუსტამის წარმომავლობაზე. ქართველთა რიგებიდან არაერთი დიდი მამლუქი გამოვიდა, რომლებიც, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ხმლით იცავდნენ ერაყის, ეგვიპტის თუ თუნისის სუვერენიტეტს და არც სამშობლოს ივინყებდნენ. ქართველი მკვლევრების ვალი, სწორედ მათი ისტორიის შესწავლაა.

⁵⁰ ჯაფარიძე, „იყვნენ ქართველები ნაპოლეონის არმიაში?“; უფრო ვრცლად იხ. ალექსანდრე მიქაბერიძე, „ამბავი ერთი მამლუქისა: ჟან შაჰინის მოღვაწეობა (ინტერნეტრესურსი:

<http://www.facebook.com/notes/alexander-mikaberidze/ambavi-ertimamluqisa/10150470316995849%20=EF=BB=BF>).

სოსო მარგიშვილი. მითები და რეალობა
დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა
სამყაროს წინააღმდეგ.
თბილისი, გამომცემლობა „სიესტა“, 2006. 363 გვ.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ყოველთვის იპყრობდა და იპყრობს ქართველ მკვლევართა ყურადღებას. ამის მაგალითია, თუნდაც, არქეოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის, უდროოდ გარდაცვლილი მკვლევრის სოსო მარგიშვილის სარეცენზიო ნაშრომი, რომელიც დიდი მეფის ეპოქას ეხება.

ამ ნაშრომს, ავტორის სიცოცხლეშივე, გამოეხმაურნენ ქართველი მკვლევრები: დადებითად (დ. მუსხელიშვილი)¹ და კრიტიკულადაც (ჯ. სამუშია, მოგვიანებით – დ. სანდოძე)². მისი განხილვა მოენყო საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე. მეც ვაპირებდი მამინ რეცენზიის გამოქვეყნებას, მაგრამ დამაყოვნა საზღვარგარეთ დიპლომატიურ სამუშაოზე მივლინებამ, ხოლო შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, გარდაიცვალა წიგნის ავტორი. ასეთ ვითარებაში იოლი არ იყო მსჯელობა წიგნის ავ-კარგიანობაზე. კრიტიკულ შენიშვნებზე მთავარი მოპასუხე ამ ქვეყნად აღარ არის. მაგრამ ნაშრომში დასმული და ახლებურად განხილული პრინციპული საკითხების სიმრავლე მიბიძგებს დავებურუნდე მის განხილვას.

ს. მარგიშვილი წინასიტყვაობაში წერდა, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ კონცეპტუალურ შეხედულებებში აშკარად შეიმჩნევა წინააღმდეგობები, რომლებიც ამ პერიოდის უფრო ღრმად შესწავლისა და ისტორიული სინამდვილის უკეთ გააზრების მიზნით, ახსნას მოითხოვს. კერძოდ,

პირველად დაიბეჭდა – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XVI (2017), 383-416.

¹ დავით მუსხელიშვილი, „საინტერესო მონოგრაფია დიდგორის ბრძოლის შესახებ“, *რეზონანსი*, 28.II (2007), 6.

² ჯაბა სამუშია, „ქართველთა დიდი მეფე და მუსლიმთა კოალიციის სარდალი დიდგორთან ხელახლა ხვდებიან ერთმანეთს. რამდენიმე მოსაზრება სოსო მარგიშვილის ნაშრომზე „მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 16.II (2007); ხელახლა დაიბეჭდა ორჯერ: *მესხეთი*, X (2008), 157-66, და ჯ. სამუშია, *საქართველოს სამხედრო ისტორია* (თბილისი, 2017), 327-40. მკვეთრად კრიტიკული და უარყოფითია დ. სანდოძის „როდესაც თქმა სჯობს...“, *ამერ-იმერი*, 2 (2013), 107-10.

„– სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ახსნილი (ყოველ შემთხვევაში დამაჯერებლად), თუ რატომ დატოვა უყურადღებოდ სელჯუკთა იმპერიამ საქართველოს სამეფოს მხრიდან ხარკის შეწყვეტა?

– როგორ მოხდა, რომ როდესაც დავით აღმაშენებელი საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ თუ სამომთაბაროდ შემოსულ თურქმენებს ებრძოდა და ანადგურებდა, სელჯუკთა იმპერია და მთლიანად სელჯუკთა სამყარო ამ პროცესში არ ერეოდა და ნეიტრალურ მაცურებლად რჩებოდა?

– რატომ ითვლებოდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში სელჯუკები მომთაბარეებად, როდესაც ცხოვრების ეს ფორმა მათ დიდი ხნის დატოვებული ჰქონდათ და იმ დროისათვის სავსებით განვითარებულ (თუმცა აგრესიულ) სახელმწიფოებს ედგნენ სათავეში?

– რატომ იყო მიჩნეული დავით აღმაშენებელი ჯვაროსანთა მოკავშირედ და იერუსალიმის აღების მონაწილედ, როდესაც ამის შესახებ ჯვაროსნული ლაშქრობების მრავალრიცხოვანი ქრონიკები არაფერს იუწყებიან?

– როგორ მოახერხა დავით აღმაშენებელმა 220 ათასი ყივჩაღის საქართველოში გადმოყვანა და დასახლება, როდესაც ამ რაოდენობის მომთაბარეები თავის მშობლიურ სტეპებშიც ვერ ახერხებდნენ კონსოლიდირებას?

– როგორ შეძლო საქართველოს მეფემ მათგან მუდმივი არმიის შექმნა, როდესაც მუდმივი არმიები იმ ეპოქაში არ არსებობდნენ?

– როგორ აღმოჩნდნენ ჯვაროსანი რაინდები დიდგორის ველზე, როდესაც იქ მოხვედრა მათ ფიზიკურად არ შეეძლოთ?

– როგორ შემოვიდა საქართველოში ილ-ლაზის 300 ათასიანი არმია, როდესაც ხალხის ასეთ მასას არათუ ერთად ბრძოლა, არამედ გადაადგილებაც კი არ შეეძლო?“ (მითები, გვ. 8-9).

ს. მარგიშვილი აღნიშნავდა, რომ მისი ნაშრომი იყო დასახელებულ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა და ამის გაკეთებას გულმოდგინედ შეეცადა. მკვლევარი დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ გამოთქმული ბევრი მოსაზრება და მიღებული დასკვნა საკამათო იქნებოდა და საამისოდ მზადყოფნას გამოთქვამდა (გვ. 9).

საკამათო საკითხები და მიუღებელი თვალსაზრისებიც მართლაც რომ ბევრია და შევეცდები ვუჩვენო, თუ რა არის დადებითი და რა – მიუღებელი ს. მარგიშვილის ნაშრომში, რომელიც გამიზნულია არა იმდენად ფართო მკითხველისთვის, რამდენადაც სპეციალისტებისთვის. მე მიზნად არ ვისახავ შევეხო ყველა საკითხს, მით უმეტეს, რომ არაერთი მათგანი საკმაოდ დაშორებულია საკვლევო თემისგან. არც წმინდა სამხედრო საკითხებს შევეხები, მაგრამ რჩება საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემები პოლიტიკური ისტორიიდან.

სარეცენზიო ნაშრომის 10 თავში თანამიმდევრულად არის განხილული

გეო-პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიასა და წინა აზიაში XI საუკუნის II ნახევარში (მითები, გვ. 10-21); ცვლილებები გეო-პოლიტიკურ ვითარებაში ამიერკავკასიისა და წინა აზიის რეგიონებში XI-XII საუკუნეების მიჯნაზე (მითები, გვ. 22-36); ჯვაროსანთა შეტევა სელჯუკებზე. ბიზანტიელთა კონტრშეტევა სელჯუკებზე; საქართველოს სამეფო. აქტიური პოლიტიკის დასაწყისი (ხარკის შეწყვეტა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასაწყისი. ბრძოლა თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ) (მითები, გვ. 37-49); საქართველოს სამეფო სელჯუკთა იმპერიის წინააღმდეგ: სამშვილდე – ომის დასაწყისი სელჯუკთა იმპერიასთან. თრიალეთის ბრძოლა. 1115-1120 წლების კამპანია (მითები, გვ. 50-61); მუსლიმური კოალიცია დიდგორის ბრძოლის წინ (ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ. კოალიცია და მისი მხედართმთავრები. კოალიციის სამხედრო ძალების რაოდენობა. სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა (გვ. 62-92); საქართველოს სამეფოს არმია დიდგორის ბრძოლის წინ (მითები, გვ. 93-121); დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიასა და წერილობით წყაროებში (მითები, გვ. 122-169); დიდგორი – ომის კულმინაცია (მითები, გვ. 137-169); ომის დასასრული სელჯუკებთან: თბილისის აღება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასასრული. ლაშქრობა შირვანში და ზავი სელჯუკებთან. 1124 წლის კამპანია. ანისი – ახალი სტრატეგიული მიმართულება (მითები, გვ. 170-181); ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ხანაში (სამხედრო რეფორმა. შეიარაღება, მეომრები, არმია და ბრძოლის წარმოების მეთოდები. დავით აღმაშენებელი, თავისი ეპოქის დიდი მხედართმთავარი) (მითები, გვ. 182-202). გარდა ამ ძირითადი საკითხებისა, მკვლევარმა ჩაატარა საკმაოდ ხშირი ექსკურსები საქართველოს ისტორიაში, როგორც დავით IV-ის წინა, ისე შემდეგდროინდელ ეპოქებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოვლენების შეფასებებისას, მისი ტონი ხშირად კატეგორიულია.

სარეცენზიო წიგნის უკვე შესავალ თავებსა და პარაგრაფებში გვხვდება ისეთი თვალსაზრისები, რომლებიც ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ და საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებებთან წინააღმდეგობაშია. არაკვალიფიციურად არის დანერგილი გეოპოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიასა და სელჩუკთა ექსპანსიის წინა პერიოდში. უხეში შეცდომებია დაშვებული მომცრო პარაგრაფში „სელჯუკთა ექსპანსიის წინა პერიოდი“ (მითები, გვ. 10-11). სრულიად მოულოდნელად, ვიგებთ, რომ „სელჯუკთა გამოჩენამდე აღნიშნული რეგიონების პოლიტიკურ დომინანტებს ბიზანტიის იმპერია და არაბ აბასიდთა და ფატიმიდთა სახალიფოები წარმოადგენდნენ. XI საუკუნის შუახანებისთვის არაბთა ხალიფატი უკვე დაშლილ იმპერიას წარმოადგენდა, რომლის ნაწილებზეც წარმოქმნილი იყო რამდენიმე დამოუკიდებელი მუსლიმური

სახელმწიფო, რომელთაგანაც ორი, აბასიდებისა და ფატიმიდების სახალიფოები, მართალია კვლავ უძლიერეს ქვეყნებად რჩებოდნენ, მაგრამ სრულ ჰემონობასა და „მსოფლიო ბატონობაზე“ პრეტენზიას ვეღარც აცხადებდნენ“ (მითები, გვ. 10).

სინამდვილეში აბასიანთა სახალიფო ფაქტობრივად დაიშალა უკვე X საუკუნის შუა ხანებში და 945 წელს, როცა ბუვეიანებმა დაიკავეს ბაღდადი, მათ ჩამოართვეს აბასიან ხალიფას საერო ფუნქციები და შეუნარჩუნეს მხოლოდ სასულიერო ხელისუფლება. ამიერიდან, ხალიფებს იხსენიებდნენ ხუტბასა და მონეტებზე, მაგრამ მათ აღარ ჰქონდათ რეალური პოლიტიკური ძალაუფლება და, ცხადია, სელჩუკთა გამოჩენისას სახალიფო აღარ წარმოადგენდა უძლიერეს ქვეყანას. სელჩუკებმა ბოლო მოუღეს ბუვეიანებს და ხალიფას უწინდებურად სასულიერო მეთაურის ფუნქცია დაუტოვეს. რაც შეეხება მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიას, ეს სელჩუკთა გამოჩენისას ჯერ კიდევ ჰქონდა ფატიმიანთა სახალიფოს და ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში სწორედ ფატიმიანები და ბიზანტიელები უწევდნენ ერთმანეთს მეტოქეობას.

ს. მარგიშვილის თანახმად, ბიზანტიასა და არაბულ სამყაროს შორის გაველენის სფეროების ახალი გადანაწილების შემდეგ, XI საუკუნის შუა ხანებისთვის, არაბული სამიშროება საქართველოსთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა (მითები, გვ. 10). ცხადია, ასე იყო, მაგრამ არაბთაგან ეს საფრთხე უკვე დიდი ხნით ადრე შეწყდა. არც ის შეესაბამება სინამდვილეს, რომ სელჩუკთა შემოსევების წინ „ასევე კლებულობდა საფრთხის ხარისხი ბიზანტიის იმპერიის მხრიდანაც, რომლის შეტევებისგან თავის დაცვა საქართველომ, გიორგი I-ს (1014-1027) მეფობისას, საკმაო წარმატებით მოახერხა“ (მითები, გვ.10). სინამდვილეში, გიორგი I დამარცხებული გამოვიდა ბასილ II-სთან მძაფრ კონფრონტაციაში და იძულებული გახდა თავისი ვაჟი ბაგრატე მძევლად გაეგზავნა კონსტანტინოპოლში, რაც არ შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს. თავისი მეფობის დასაწყისში ბიზანტიელთაგან დიდი პრობლემები ჰქონდა ბაგრატ IV-საც, ხოლო შემდეგ ამ პრობლემებს მას უქმნიდა ლიპარიტ ბაღვაში, რომლის უკანაც ბიზანტია იდგა.

შემდეგ პარაგრაფში „სელჯუკთა ექსპანსია“ (მითები, გვ. 11-15) მკითხველი იგებს, რომ „სხვადასხვა თურქულ-თურქმენული ტომების მარბიელი შემოსევები ბიზანტიის ტერიტორიებზე, მცირე აზიაში, სელჯუკთა გამოჩენამდეც, საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული იყო. ბიზანტიის ხელისუფლებას მათ წინააღმდეგ, ჯერ კიდევ იმპერატორ ბასილ II-ის დროიდან, მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა შექმნილი, რის მეშვეობითაც იმპერია თურქულ-თურქმენული ტომების შემოსევებს მეტ-ნაკლები წარმატებით უმკლავდებოდა“ (გვ.

13). ეს პასაჟი მოტანილია სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმების გარეშე და არცაა გასაკვირი. ბასილ II-ის დროს ბიზანტიაზე თურქულ-თურქმენული ტომების შემოსევები არ მომხდარა. სხვა ამბავია, რომ იმპერიას სერიოზულ პრობლემას უქმნიდნენ პაჭანიკები, ან უზები, რომლებიც თურქული მოდგმის კი იყვნენ, მაგრამ არა თურქმენები და თანაც ეს არ ხდებოდა მცირე აზიაში.

პარაგრაფში „საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში“ (მითები, გვ. 16-21) მარგიშვილს გაუჩნდა კითხვა, თუ რატომ თქვეს უარი ჯერ კიდევ მალიქ-შაჰის დროს „თავისი ძლიერების ზენიტში სელჯუკებმა საქართველოს სამეფოს (და მასთან ერთად, კახეთის სამთავროსა და დერბენდ-შირვანის) დაპყრობაზე და ყოველწლიური ხარკის მიღებით დაკმაყოფილდნენ. ერთადერთი ლოგიკური მოტივაცია უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ამ დროისთვის ახალი ტერიტორიების შეყვანა იმპერიის შემადგენლობაში აღარ წარმოადგენდა სელჯუკთა სტრატეგიულ მიზანს“ (მითები, გვ. 17). აქ, მარგიშვილმა შემოიტანა სელჩუკთა დაპყრობითი პოლიტიკის ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რასაც პირობითად „სელჯუკური მარაო“ უწოდა. სელჩუკთა მიერ ტერიტორიების დაპყრობა და ათვისება ხდებოდა მარაოსებურად, „საკმაოდ მკაცრი თანამიმდევრობით და როგორი წარმატებულებაც არ უნდა ყოფილიყო მათი მარბიელი ლაშქრობა შორეულ დისტანციებზე, თუ დარბეული ერთეული არ მდებარეობდა უკვე დაპყრობილისა და ათვისებულის გვერდით, ისინი მის შენარჩუნებას არ ცდილობდნენ“ (მითები, გვ. 17).

სელჩუკებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „სელჯუკური მარაო“ და მისი შეფასება³ უკანასკნელ ხანებამდე არ შემხვედრია და ჩანს, ის მარგიშვილის შექმნილია. სიახლეს, თუ ის დასაბუთებულია, მივესალმები. სხვა საქმეა, რამდენად მართებულია ეს ტერმინი. მკვლევარმა მოიტანა „სელჯუკური მარაოს“ მაგალითები, აღნიშნა, რომ „1067 წელს აღფარსლანმა ქართლიც უპრობლემოდ დაიკავა და თბილისიც იოლად აიღო, მაგრამ ისინი სელჯუკთა უშუალო მმართველობაში არ შეუყვანია, რადგან სელჯუკური მარაო“ (ე.ი. მათ მიერ ათვისებული ტერიტორიები) ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებისგან. „სელჯუკური მარაო“ მას მიადგა მაშინ, როდესაც სელჯუკთა დაპყრობითი პოტენციალი უკვე დაქვეითების გზაზე იდგა, ხოლო სელჯუკთა იმპერიის წინაშე ახალი ამოცანები იყო ჩამოყალიბებული იმპერიის საზღვრების მთლიანობისა და ცენტრალური ხელისუფლების ჰეგემონიის შენარჩუნების სახით უკვე დაპყ-

³ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. „სელჯუკური მარაოს“ კრიტიკული შეფასება იხ. ირაკლი ფაღავა, „მანსურ II ჯა'ფარიანთა სამონეტო ემისია მალიქ-შაჰის სახელით – თბილისი და ქვემო ქართლი ბაგრატიონთა და დიდ სელჩუკთა შორის“, *საისტორიო კრებული*, 5 (2015), 20, შენ. 52.

რობილ ტერიტორიებზე“ (მითები, გვ. 18). იმ ვითარებაში, როცა დაიწყო დაპირისპირება რუმის სულტანთან და დასავლეთით დაბრკოლდა ექსპანსია, „სელჯუკებისთვის ისე აქტუალური აღარ იყო ახალი მიწების შეერთება და სწორედ ეს იყო მიზეზი იმ ვითარებისა, რომ გიორგი II-ის მხრიდან ხარკის გადახდის ვალდებულებას შემდგომ წლებში აღარ მოჰყვა მთელი სამეფოს ოკუპაცია“ (მითები, გვ. 19).

საქმე ასე არ არის. დასავლეთით სელჩუკთა ექსპანსია ასე მარტივად არ შეჩერებულა. თურქ-სელჩუკებმა სწორედ XI ს. 89-90-იან წლებში დაიპყრეს საბოლოოდ ჩრდილოეთი მესოპოტამია, სადაც არაბი უკაილიანები და ქურთი მარვანიანები ბატონობდნენ. მათ ხელთ იგდეს აგრეთვე ვანის ტბის საამიროები. ამ დროისთვის ე. წ. „სელჯუკური მარაო“, თუ ამ ტერმინს მაინც გამოვიყენებთ, საქართველოს მიმართულებით უკვე გაშლილი იყო. სელჩუკებმა გააუქმეს განჯის შედადიანთა საამირო. სულტანმა განჯა უბოძა სავ-თეგინს, რომელიც 1085-86 წ. გარდაიცვალა. არრანი და, საერთოდ, აღმოსავლეთი ამიერკავკასია, მტკვრის და არეზის აუზები იკტებად დაურიგდა თურქ ამირებს. არრანი და აზერბაიჯანი წარმოადგენდნენ კარგ ბაზებს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობებისთვის. ამდენად, ამ დროისთვის სელჩუკთა სამხედრო პოტენციალი სრულიადაც არ იყო ამონურული. მაგრამ, განსხვავებით მუსლიმიური ახლო აღმოსავლეთისაგან, სადაც იდეოლოგიური დაპირისპირება დამპყრობლებთან არ მომხდარა და ერთი მუსლიმი (არაბი თუ ქურთი) გამგებელი მეორემ (თურქმა) შეცვალა, განსხვავებით სომხეთისგან, რომელიც დატოვა დამარცხებულმა ბიზანტიურმა არმიამ და ადმინისტრაციამ, ხოლო დემორალიზებულ და მცირერიცხოვან სომხეთის ფეოდალთა კლასს ფაქტობრივად არ გაუწევია არავითარი წინააღმდეგობა სელჩუკებისთვის, ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ, ქართულმა სახელმწიფოებრიობამ იხმარა ყველა ღონე: შეიარაღებული თუ მშვიდობიანი, რათა თავიდან აეცილებინა სელჩუკებისგან ქვეყნის სრული ოკუპაცია. ეს გზა იყო თუნდაც გიორგი II-ის თანხმობა სათურქო ხარკის გადახდაზე (და არა ე.წ. „სელჯუკური მარაო“), რითაც საქართველოს სულის მოთქმის საშუალება მიეცა.

ომის და მშვიდობის ისლამური კონცეფციით, როცა მოწინააღმდეგე მხარე თანხმდებოდა ომის გარეშე ხარკის გადახდაზე, მუსლიმები მოვალენი იყვნენ ეს წინადადება მიეღოთ. გიორგი II სწორედ ხარკის (ამ შემთხვევაში ჯიზიას) გადახდის პირობით დამორჩილდა მალიქ-შაჰს და ამით, მისი სამფლობელო გადაიქცა მუსლიმ თურქ-სელჩუკებისთვის ზავის, საზავო ხელშეკრულების (დარ ას-სულჰ) მხარედ. საფიქრებელია, რომ, თანდათან, ხარკის დამძიმებასთან, და, შესაბამისად, ქართველების წინააღმდეგობასთან ერთად, სელჩუკები თავად დაარღვევდნენ ზავს და საქართველოს ანექსიის საკითხი უეჭველად

დადგებოდა დღის წესრიგში. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მალიქ-შაჰის გარდაცვალებისთანავე (1092 წ.) დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში დაიწყო შინაბრძოლები, რამაც მისი დასუსტება განაპირობა.

II თავში ს. მარგიშვილმა განიხილა ცვლილებები გეოპოლიტიკურ ვითარებაში XI-XII სს. მიჯნაზე: ჯვაროსანთა გამოჩენა, ბიზანტიელთა და ფატიმიანთა კონტრშეტევები სელჩუკებზე, ისმაილიტთა გამოსვლები, სელჩუკთა იმპერიის რღვევის პროცესი. ის **მართებულად** წერდა, რომ შიდა დაპირისპირება სელჩუკთა სამყაროს შიგნით არანაკლებ მწვავე იყო, ვიდრე მთლიანად სელჯუკებისა – ჯვაროსნებთან, ან ისმაილიტებთან.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის წინ დიდ სელჩუკთა სახელმწიფო არ წარმოადგენდა მონოლითს. ჯვაროსანთა გამოჩენამ განაპირობა ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის გადანაწილება. ს. მარგიშვილი ასევე **მართებულად** აღნიშნავდა, რომ ამ დროს საქართველოს სამეფოსთვის ძირითადი საფრთხე მომდინარეობდა მისი საზღვრების სამხრეთით განფენილი სელჯუკური საემიროებიდან, რომლებიც სელჯუკთა (ან უკვე ერაყ-ირანის) იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ და როგორც ტერიტორიების სიდიდით, ასევე სამხედრო პოტენციალითაც გამოირჩეოდნენ (მითები, გვ. 32). ყველაზე საშიშად ის მიიჩნევა განძის (განჯის) საემიროს, შემდეგ ხლათის საემიროს, აქტივობით გამოირჩეულ ბითლისისა და არზანის აჰდაბიან ემირს თუღან არსლან კუზიანს (მითები, გვ. 32-33). საქართველოსთვის ერთგვარ ბარიერს ქმნიდა ტრაპიზონის „ფემა“ (სიც) სელჯუკთა ძლიერი ერთეულების, რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიანების საემიროსთან, რომლებისთვისაც საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში აშკარად არ წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესის სფეროს. ნაკლებ საშიშროებას ქმნიდა საქართველოსთვის ანისის, ყარსისა და ერზრუმის საემიროები (მითები, გვ. 32). ხელსაყრელმა გეო-პოლიტიკურმა ვითარებამ შესაძლებლობა მისცა საქართველოს სამეფოს დაეწყო აქტიური ქმედებები სელჯუკთა წინააღმდეგ (მითები, გვ. 37).

ისევ და ისევ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი საგარეო-პოლიტიკური ფაქტორი იყო მთავარი და ხელშემწყობი სათურქო ხარკის შეწყვეტისას. ან რატომ არ მოჰყვა ხარკის შეწყვეტას სელჯუკთა მხრიდან დამსჯელი ღონისძიება.

ს. მარგიშვილმა გაიზიარა ის თვალსაზრისი, რომ დავით აღმაშენებლის მიერ სელჯუკებისთვის ხარკის შეწყვეტა მოჰყვა ჯვაროსნების მიერ ანტიოქიისა (1097 წ.) და იერუსალიმის აღებას (1099 წ. 15 ივლისი). ის მიიჩნევა, რომ, ჯერ ერთი, ანტიოქიასთან „ბერკიარუკის განკარგულებით ჯვაროსანთა წინააღმდეგ გამოვიდა მოსულის ემირი კერბოგა, რომლის სარდლობის ქვეშაც უზარმაზარმა არმიამ მოიყარა თავი... კერბოგას ლაშქრობით ბერკიარუკი

აშკარად ორმაგი მიზნის მიღწევას ცდილობდა, ჯვაროსნების განდევნასა და სელჯუკთა იმპერიისაგან სირია-პალესტინის ნახევრად გამდგარი ემირების იმპერიის შემადგენლობაში დაბრუნებას“. მაგრამ „ბერკიარუკის გეგმა ვერ განხორციელდა, 1098 წლის ივლისში ანტიოქიასთან კერბოგას არმია... ჯვაროსნებმა გაანადგურეს. ამ დამარცხებას სელჯუკთა იმპერიაში შოკის მსგავსი ეფექტი ჰქონდა, რადგან მსგავსი მასშტაბის სამხედრო კატასტროფა სელჯუკთა იმპერიას ჯერ არ ჰქონდა განცდილი“. ჯვაროსანთა წინააღმდეგ გამოსული მოსულის ემირის კერბოგას უზარმაზარი არმიის დამარცხებამ **ძალიან დაასუსტა** სელჯუკთა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება და ურთულესი პრობლემები შეუქმნა ბერკიარუკს. ხოლო მეორე – სულტანს აუჯანყდა მისი ძმა მუჰამედ ტაფარი. ხუთი გენერალური ბრძოლა სულტან ბერკიარუკსა და მუჰამედ ტაფარს (რომლის ხელშიც, მარგიშვილის მართებული შენიშვნით, „მოცემული მომენტისათვის კონცენტრირებული იყო საქართველოს სამხრეთით განფენილი სელჯუკთა სამფლობელოების პოტენციალი“ (მითები, გვ. 38) და „ტახტისათვის ატეხილი ამ გრანდიოზული ომის მასშტაბები იმის მაჩვენებელია, რომ სელჯუკთა ის სამხედრო პოტენციალი, რომელსაც უნდა აღედგინა მათი ჰეგემონობა საქართველოზე, მთლიანად ამ კონფლიქტში იყო ჩართული“ (მითები, გვ. 39). დასკვნა ასეთია: „ამგვარად, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დავით აღმაშენებლის ნაბიჯის (ხარკის შეწყვეტის) შეფასება და იმის ახსნა, თუ რატომ დატოვეს უპასუხოდ ეს აქტი სელჯუკებმა, საკმაოდ ადვილი უნდა იყოს. სულტან ბერკიარუკს, რომელსაც სამართლებრივი ლოგიკით უნდა მოეთხოვა ხარკის გადახდის აღდგენა დავით აღმაშენებლისგან, საქართველოსთვის აღარ ეცალა და, ალბათ, არც სამხედრო ძალების გაგზავნა შეეძლო მის წინააღმდეგ, ბერკიარუკის სამხედრო პოტენციალი მთლიანად დაკავებული იყო ჯერ ჯვაროსნებთან, ხოლო შემდეგ მუჰამედ ტაპართან ბრძოლაში“ (მითები, გვ. 39).

დავით აღმაშენებლის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტა და სელჩუკთა უმოქმედება მის ამ ნაბიჯზე დანვრილებით არის შესწავლილი ჩემ მონოგრაფიაში „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო“ (თბ. 1995). აქ განხილულია ის საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მეფეს შეენყვიტა სათურქო ხარკი. ქართულ ისტორიოგრაფიაში საკამათოდ ქცეულ ორი შესაძლებელი ფაქტორიდან: ჯვაროსანთა გამოჩენა და იერუსალიმის აღება და შინაბრძოლები დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში, უპირატესობა მიენიჭა ამ უკანასკნელს. მოკლედ, მაგრამ ამომწურავად იქნა დახასიათებული ის რეგიონი, სადაც გამოჩნდნენ ჯვაროსნები 1097 წელს. ნაჩვენებია, რომ მცირე აზიას, ჩრდილოეთ მესოპოტამიას (ედესა), ჩრდილოეთ სირიას (ანტიოქია) და პალესტინას, სადაც ჯვაროსნებს წარმატებები ხე-

დათ წილად, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, **1097-1099 წლებში** არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოსთვის. ერთადერთ სახელმწიფოს, რომელის დასუსტებაც, უდავოდ, ხელსაყრელი იყო მისთვის, წარმოადგენდა რუმის – მცირე აზიის სელჩუკთა სასულტნო. მაგრამ 1097-1099 წლებში მცირე აზიის სელჩუკები ჯერ კიდევ შორს იყვნენ საქართველოს საზღვრებიდან და არ უქმნიდნენ პირდაპირ სამხედრო საფრთხეს დავით IV-ის სამეფოს.

საკამათო არ არის ის, რომ 1097-1099 წლებში, როცა ჯვაროსნებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში, საქართველო პოლიტიკურად დაკავშირებული იყო **დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილთან – დასავლეთ ირანთან და ერაყთან**, რომელთაც ჯვაროსნული ლაშქრობა არ შეხებია. სელჩუკი სულტნები საქართველოზე თავიანთ კონტროლს ახორციელებდნენ ჯვაროსანთა ლაშქრობების მიღმა დარჩენილ აზერბაიჯანსა და არრანში კონცენტრირებული თურქმენების მეშვეობით.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც იხსენიებს ფრანკების გამოსვლას, ე.ი. ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობას, ამავე დროს **არ ეხება** უმნიშვნელოვანეს ძვრებს, რომლებიც მოხდა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ. ეს იყო დიდი აშლილობა, რამაც უკიდურესად დაასუსტა იმპერია და გამოიწვია მისი დაშლა. ნაწილი ქართველი ისტორიკოსებისა ზოგადად აღნიშნავს ამ ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობას დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტის საქმეში. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში მიმდინარე შიდაბრძოლები სასულტნო ტახტისათვის დაწვრილებით ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ჩემს მონოგრაფიაში იქნა განხილული. 1099-1104 წლებში მალიქ შაჰის ვაჟები ბარქიარუკი და მუჰამადი ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებნენ. „ამ ხანგრძლივმა შინაომმა გამოფიტა და დააუძლურა ირან-ერაყის და არრან-აზერბაიჯანის სელჩუკთა სამხედრო ძალები. ამიერიდან, 1104 წლამდე, სასულტნო ტახტისთვის მებრძოლ მალიქ შაჰის ვაჟებს საქართველოსთვის აღარ **ეცალათ** (ვწერ იმას, რასაც ჩვენი ნაშრომის ციტირების გარეშე იმეორებდა მარგიშვილიც). სწორედ ეს მომენტი გადამწყვეტი იყო იმისთვის, რომ გაძლიერებულ დავით IV-ს, რომელმაც მანამდე წარმატებით გადაჭრა საშინაო პრობლემები, ხარკი შეეწყვიტა თურქ-სელჩუკებისთვის და აშკარად დაპირისპირებოდა მათ“ (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 24).

1099 წ. შემოდგომას, როცა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილში აშლილობა დაიწყო, მე განვიხილავ დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად.

აქცენტირება ქერბოლას ლაშქრობის შედეგად ბარქიარუკის დასუსტება-

ზე და დამარცხებით გამოწვეულ შოკზე, რაზედაც საუბრობს ს. მარგიშვილი (მითები, გვ. 38), გადაჭარბებულია. მოსულის – ამ ნახევრადავტონომიური ათაბაგის განკარგულებაში იყო ჩრდ. მესოპოტამიისა და სირიის სამხედრო რესურსები. მას შეეძლო გამოეყენებინა მოხალისეებიც ისლამური სამყაროს სხვა ნაწილებიდანაც. მაგრამ ის, თუ რა სამხედრო ძალები გაუგზავნა ბარქ-იარუკმა ქერბოლას, უცნობია. ორიენტალისტები (კ. ბოსვორთი, კლ. კაენი, ბ. ლუისი),⁴ რომლებიც წერდნენ სელჩუკებისა და ჯვაროსნების ურთიერთობების საწყისი ეტაპის შესახებ, **ერთსულოვანნი არიან იმის თაობაზე**, რომ დიდი სელჩუკებისთვის ჯვაროსანთა პრობლემა იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა და ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობას არ მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება ისლამის სამყაროზე. ცნობილი ინგლისელი ორიენტალისტი ჰამილტონ გიბი წერდა: „არცერთი აღმოსავლური წყარო არ ადასტურებს, რომ ქერბოლას ჰყავდა უფრო მეტი ძალები, ვიდრე ეს იყო საკუთარი და თავისი მცირე ვასალების – დამასკოს და ჰიმსის ჯარები. საჭიროა გავიხსენოთ, რომ ქერბოლამ, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად იყო აღიარებული მოსულის გამგებლად, ეს ქალაქი ხელთ იგდო ავანტურისტთა ძალით მხოლოდ 2 წლით ადრე და რომ ჯვაროსანთა მოსვლამდე სელჩუკთა არმიები ჩაბმული იყვნენ სამხედრო მოქმედებებში და შემდეგ თითქმის დაუყოვნებლივ ხანგრძლივ სამოქალაქო ომებში ბარქიარუკსა და მუჰამედს შორის. საეჭვოა, რომ ქერბოლას ძალებში იყო სელჩუკთა ერთი ესკადრონიც კი და მისი საკუთარი ჯარის რაოდენობა შეიძლება შეფასდეს... 3 ათასი მხედარით“.⁵

ს. მარგიშვილი წერს: „ჯაფარიდის მიხედვით, ჯვაროსნულ ფაქტორს მხოლოდ მორალური მხარდაჭერის მნიშვნელობა ჰქონია საქართველოსთვის; როგორ შეიძლება „მორალურ მხარდაჭერას“ მიეკუთვნოს ის გარემოება, რომ ჯვაროსანთა გამოჩენით, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (განსაკუთრებით მეფობის პირველ პერიოდში, ხარკის შეწყვეტის მომენტში) ამიერკავკასიის პოლიტიკური ასპარეზიდან სავსებით გამოთიშული აღმოჩნდნენ ისეთი აგრესიული და ამბიციური ერთეულები, როგორებიც იყვნენ რუმის სასულთნო და დანიშმენდიდების საემირო, რითაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიმართულება სრულიად უსაფრთხო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის შედეგადაც საქართველოს მეფეს ნაკლებად უხდებოდა აქეთ ყურადღების

⁴ C. E. Bosworth, “The Political and Dynastic History of the Iranian World (A.D. 1000-1217),” in *CHI*, vol. 5 (Cambridge, 1968), 103; C. Cahen, “A Turkish Invasion: The Selchukids,” in *A History of Crusades*, ed. K. M. Setton, vol. 1 (Wisconsin, 1969), 166; B. Lewis, “Politics and War,” in *The Legacy of Islam*, 2nd ed. (Oxford, 1974), 187.

⁵ H. A. R. Gibb, “Notes on the Arabic Materials for the History of the Early Crusades,” *BSOS*, vol. 7, no. 4 (1935), 742.

კონცენტრირება და სამხედრო ძალების დაკავება. „მორალურ მხარდაჭერაზე“ მეტი იყო 1099 წელს ჯვაროსანთა მიერ სელჯუკთა იმპერიის უზარმაზარი არმიის განადგურება ანტიოქიასთან მოსულის ათაბეგ კერბოგას მეთაურობით, რამაც სელჯუკები სრულ შოკში ჩააგდო. როგორ უნდა მივაკუთვნოთ „მორალური დახმარების“ ფაქტორს ის გარემოება, რომ ისეთი ძლიერი სელჯუკური ერთეულების, როგორც იყო მარდინის, ხლათის, ბითლისის, მოსულის და სხვა უფრო წვრილი საემიროების და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამიერკავკასიის სამხრეთ რეგიონებში გაფანტული მომთაბარე თურქმენების სამხედრო პოტენციალი თითქმის მთლიანად ჯვაროსანთა სახელმწიფოებზე აღმოჩნდა მიჯაჭვული, რის გამოც დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, საქართველოს წინააღმდეგ მობილიზება და კონსოლიდირება, მათ მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. ადვილი წარმოსადგენია საით შეიძლებოდა მიმართულიყო ეს გიგანტური ძალა და რამდენი „დიდგორის“ გამართვა დასჭირდებოდა საქართველოს, ჯვაროსნების სახით ამ ძალისთვის მუდმივი მიზიდულობის ვექტორი რომ არ შექმნილიყო. რასაკვირველია, სელჯუკთა იმპერიაში მიმდინარე შიდა წინააღმდეგობრივი პროცესები ასევე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იყო საქართველოსთვის, მაგრამ იმის „ანონვა“ თუ რომელი იყო უფრო მნიშვნელოვანი, შეუძლებელია და არც არის საჭირო. საქართველოს იმდროინდელი წარმატებები მრავალი სხვადასხვა პროცესის (პირველ რიგში, სწორი მმართველობის შედეგად საქართველოს გაძლიერების, ჯვაროსნების გამოჩენისა და სელჯუკთა იმპერიის რღვევის) კომპლექსურად მიმდინარეობის შედეგი იყო“ (მითები, გვ. 218).

ასეთი ვრცელი ამონარიდი შემთხვევით არ მოვიტანე.

წინასწარ აღვნიშნავ, რომ ასეთ „ანონვას“ (რაც, სხვათა შორის, ისტორიკოსის მოვალეობაა) ს. მარგიშვილი დროდადრო თავს არიდებდა, როცა ეს აწყობდა, მაგრამ მის გარეშე, ფაქტობრივად, იოლადა ფონს ვერ გადიოდა. მას დაავიწყდა, რაც დაწერა: რომ „რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიანების საემიროებისთვის საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში აშკარად არ წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესის სფეროს. ხოლო ანისის, ყარსისა და ერზრუმის საამიროები ნაკლებ საშიშროებას ქმნიდა საქართველოსთვის“ (მითები, გვ. 32).

ჯვაროსანთა ლაშქრობების ეპოქალური მნიშვნელობის შესხენება ჩემთვის ზედმეტია. მე არ მიხსენებია სიტყვა „მორალური მხარდაჭერა“, აღვნიშნე, რომ **1097-1099 წლებში** (და არა **მომდევნო პერიოდში**) ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებას მხოლოდ **მორალური მნიშვნელობა** შეიძლება ჰქონოდა საქართველოსთვის, ვინაიდან ანტიოქიასა და იერუსალიმში ჯვაროსანთა პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბების შემდეგ საქართ-

ველო მარტოდმარტო აღარ რჩებოდა ისლამურ გარემოცვაში. მის ბრძოლას ისლამურ ექსპანსიონიზმთან, რასაც თურქ-სელჩუკები ახორციელებდნენ, ახალი სტიმული ენიჭებოდა.

უფრო მეტიც, აღვნიშნე ისიც, რის გაუთვალისწინებლობაც, ფაქტობრივად აკრძალული ილეთის გამოყენებით, მისაყვედურა ს. მარგიშვილმა. „XII ს. დასაწყისიდან ჯვაროსნებმა თავიანთ ფრონტებზე მიიზიდეს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში კონცენტრირებული თურქმენები, ხოლო 1110-1115 წლებში კი დიდ სელჩუკთა რეგულარული სამხედრო შენაერთებიც და ამით ობიექტურად შეუწყვეს ხელი ქართველი ხალხის ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ“ (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 22). ეს იმდენად თვალში საცემია, რომ გამიჩნდა კითხვა: ხომ არ არსებობდა რაიმე კავშირი ედესის გრაფ ბალდუინ II-სა და დავით IV-ს შორის ამ დროს? სამწუხაროდ, საამისო პასუხს წერილობითი წყაროები არ გვაძლევენ. მაგრამ ასეთი კავშირი რომც გამოვრიცხოთ, „ჯვაროსანთა ბრძოლები თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ამ დროს ამსუბუქებდა საქართველოს მდგომარეობას და პირიქით“ (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 30).

ხომ შეიძლებოდა საქართველოს მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტას სელჩუკთა სხვა პოლიტიკური ერთეულების რეაქცია გამოეწვია? ეს არ მოხდა და სოსო მარგიშვილი წერდა: „ხარკის შეწყვეტის წარმატებით განხორციელებას უდავოდ შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ საქართველოსთვის სელჯუკური სამყაროს დანარჩენ ნაწილებსაც არ ეცალათ. მცირე აზიის რუმის სასულთნო და დანიშმენდიდების საემირო, ჯვაროსნებსა და ბიზანტიის იმპერიას ეომებოდნენ“ (მითები, გვ. 40). შეიძლება გაჩნდეს კითხვა, **ეცალათ** კი მანამდე ამ პოლიტიკურ ერთეულებს საქართველოსთვის? იქნებ საქართველოს ისინი თავიანთ ვასალად, ან მომავალ ვასალად განიხილავდნენ? **ცხადია, არა.**

შეტაკებები დანიშმენდიანებსა და ქართველებს შორის, როგორც ეს უჩვენა გ. ალასანიამ, უეჭველად იყო, მაგრამ არაარსებითი. რუმის სელჩუკთა სასულტნო კი იმ დროს საქართველოს ტერიტორიულად არ ესაზღვრებოდა. ჩემი კრიტიკის დროს მარგიშვილს ერთხელ კიდევ დაავინწყდა, ადრე რას წერდა: „რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიანების საემიროებისთვის საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში აშკარად არ წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესის სფეროს“ (მითები, გვ. 32), რომ „ამ სელჯუკურ ერთეულებს, პირველ რიგში, საქართველოსთან ახლოს მდებარე რუმის სასულთნოს და დანიშმენდიდების საემიროს, რამდენადაც ისინი უკვე გამოყოფილნი იყვნენ სელჯუკთა იმპერიიდან, არ გააჩნდათ არავითარი სამართლებრივი მოტივაცია საქართველოსთან ურთიერთობებში ჩარევისა“ (მითები, გვ. 40). მაშასადამე, თუ მათ არ ჰქონდათ

რაიმე მოტივაცია, აქ სადაო აღარაფერია და საჭირო ყოფილა რაღაცეების „ანონვა“?⁶

დავით IV-ის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტაზე სელჩუკთა პასიურობა მარგიშვილს მაინც აოცებდა, საკმარისი არ არის ის, რომ ომებით გამოფიტულ სასულტნო ტახტის პრეტენდენტებს საქართველოსთვის მართლაც არ ეცალათ. ის ეძებდა სხვა მიზეზებსაც და როგორც თავად ფიქრობდა, ნახა ისინი. **მკვლევარი, რომელიც დაუპირისპირდა მითებს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესახებ, ამ შემთხვევაში თავად მოგვევლინა ახალი მითოლოგიის შემქმნელად.**

„სელჯუკთა მხრიდან სრულმა უმოქმედებამ აშკარად დაარწმუნა საქართველოს მეფე შემდგომი ქმედებების შესაძლებლობებში, რის შემდეგაც ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დადგა ორი გლობალური ამოცანა:“ ქვეყნის გაერთიანების პროცესის დასრულება და თურქმენ მომთაბარეთა თარეშის აღკვეთა. „ორივე ამოცანის რეალიზაცია ადრე თუ გვიან სელჯუკთა სამყაროსთან ომს ნიშნავდა. დავით აღმაშენებლის წინაშე იდგა ურთულესი სტრატეგიული პრობლემა: მას რაც შეიძლება დიდხანს უნდა შეენარჩუნებინა მშვიდობა სელჯუკთა იმპერიასთან და მათთან ომის დაწყებამდე უნდა მოეხდინა ქართული ტერიტორიების ნაწილობრივი გაერთიანება მაინც“ (მითები, გვ. 40-41).

დავითი მშვიდობის შესანარჩუნებლად საჭიროებდა მოკავშირეს და ასეთი მოკავშირე, მარგიშვილის თანახმად, გახდა, არც მეტი და არც ნაკლები, ბარქიარუკი. ამაში თურმე თავად სულტანი იყო დაინტერესებული: „ჯვაროსნებთან ბრძოლაში დასუსტებული სელჯუკთა დიდი სულტანი (ვიმეორებ, ასეთი რამ არ მომხდარა – გ.ჯ.) რამდენჯერმე იდგა დამარცხების პირზე და ასეთ ვითარებაში, მუჰამედ ტაპარის მხარეს დამატებითი სამხედრო მოკავ-

⁶ „ანონვის“ მიღმა დარჩა თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ. მარგიშვილი წერს, რომ „თბილისის აღების დროის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მონაცემით დავით აღმაშენებელს თბილისი დიდგორის ბრძოლის დამთავრებისთანავე აუღია, ზოგიერთი კი, 1122 წლის დასაწყისში (შ. მესხია, *ძლევაჲ საკვირველი* (თბილისი, 1972), 112-13). ფიქრობთ, ამის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ერთი რამ ფაქტია: თბილისის აღება დიდგორის ბრძოლის შემდგომ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა, რაც ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირ კავშირზე უნდა მიუთითებდეს“ (მითები, გვ. 323). თბილისის აღების მნიშვნელობა განუზომელია და როცა მეფემ დაიბრუნა ქალაქი „ოთხას წელ ქონებული სპარსთა“, იმსახურებს იმას, რომ თარიღიც მივუთითოთ. მითუმეტეს, თუ სამხედრო ისტორიას ვწერთ, რადგანაც თარიღის მიხედვით ვიგებთ, ქალაქი იერიშით აიღეს თუ ალყის შედეგად. ქართული წყაროთი ეს მოხდა დიდგორის ბრძოლიდან მეორესა წელსა, აღ-ფარის ცნობით – ჰიჯრით 515 წლის ბოლოს, ხოლო ჩემი გაანგარიშებით, 1122 წ. 10-18 თებერვალს (ჯაფარიძე, საქართველო, გვ. 50-52), რის შესახებაც მარგიშვილი დუმს.

შირის გამოჩენა, როგორც საქართველოს სამეფო შეიძლებადა ყოფილიყო, ომის ბედს ალბათ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება იყო ის მოტივაცია, რის გამოც დავით აღმაშენებლის ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ, სელჯუკთა ირან-ერაყის სასულთნო საქართველოს მხრიდან ხარკის შეწყვეტას დათანხმდა და მისი სრული დამოუკიდებლობა ამით იურიდიულადაც აღიარა“ (მითები, გვ. 39).

არის კი ამის დამადასტურებელი წერილობითი წყარო?

ასეთი წყარო არ არსებობს, ამას მარგიშვილიც აღნიშნავდა, მაგრამ თვლიდა, რომ „ხარკის შეწყვეტაზე სელჯუკთა სასულთნოს სრული უმოქმედობა, შესაძლოა, სწორედ ამის მაჩვენებელი იყოს“ (მითები, გვ. 39). მან არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მუჰამედ ტაფარი, რომელსაც თავად ჰქონდა ტახტზე პრეტენზია, სრულიადაც არ იქნებოდა მონადინებული, რომ დავითს მისთვის ხარკი შეეწყვიტა.

ჭეშმარიტება არის ის, რომ ბარქიარუკისა და მუჰამადისთვის უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო სასულტნო ტახტი და ისინი იმ დროს არ ფიქრობდნენ საქართველოს მომავალ გაძლიერებაზე. მათ საქართველოსთვის არა მარტო არ **ეცალათ**, არამედ უბრალოდ, დიდი სურვილის მიუხედავადაც, არ ჰქონოდათ უნარი, რომ მოეხდინათ რეაქცია მეფის ნაბიჯზე.

სოსო მარგიშვილის თვალსაზრისით, კახეთის შემოერთებას სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერია გასაკვირი სიმშვიდით შეხვდა, რაც სწორედ დავით აღმაშენებლის და სელჯუკთა დიდი სულთნის, ბარქიარუკს შორის არსებული სავარაუდო შეთანხმებით შეიძლება აიხსნას.

მაგრამ რით ავხსნათ ერწუხის ომი, რომელიც თარიღდება 1104 წლით. ის ხომ მოჰყვა კახეთის შემოერთებას? ეს ბრძოლა მარგიშვილის აზრით არ უნდა იქნას განხილული, როგორც სელჩუკთა იმპერიის ქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებელს კახეთისა და განძის საემიროს გაერთიანებული ძალები დაუპირისპირდნენ. განძის საემირო მოცემულ მომენტში თურმე თავად იყო დაპირისპირებული იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. განძის საამირო ამ შემთხვევაში მოქმედებდა როგორც ლოკალური ერთეული ლოკალური ინტერესების შესაბამისად (მითები, გვ. 43). ერწუხის ომში ის „მონაწილეობდა არა როგორც სელჯუკთა იმპერიის ნაწილი და იმპერიული პოლიტიკის რეალიზატორი, არამედ როგორც საქართველოს სამეფოს უშუალო მეზობელი სახელმწიფო ერთეული, რომელიც კარგად ხედავდა იმ საფრთხეს, რასაც მას უქმნიდა საქართველოს სამეფოს გაძლიერება“ (მითები, გვ. 44).

ეს კიდევ ახალი მითია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობიდან, მითი, რომელიც ჩვენ თვალწინ შეიქმნა და რომელსაც ჰყავს კონკრეტული ავტორი – სოსო მარგიშვილი.

სინამდვილეში (იხ. ჯაფარიძე, საქართველო, 27) განჯა და არრანი წარმოადგენდნენ ტახტის პრეტენდენტ მუჰამედ ბ. მალიქ შაჰის დასაყრდენს ტახტისათვის ბარქიარუკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დროს განჯაში დაიდგა სასულტნო ტახტი, რომლის შესახებაც მოგვიანებით წერდა ან-ნასავი.⁷ განჯა ფაქტობრივად იყო სელჩუკ უფლისწულთა, ამ შემთხვევაში ტახტის პრეტენდენტ მუჰამედის დომენი. მუჰამედმა განჯა 1092 წელს მიიღო სამართავად (ჯაფარიძე, საქართველო, 16). იყო მკვლევართა ცდა, რომ 1104 წლისთვის განჯა შარვან-შაჰების სამფლობელოსთვის მიეკუთვნებინათ, რისი უსაფუძვლობაც ნაჩვენებია ჩემს მონოგრაფიაში. 1004 წ. იანვარში ბარქიარუკმა და მუჰამედმა გაიყვეს დიდ სელჩუკთა სახელმწიფო და ორივემ მიიღო სულტნის ტიტული. მუჰამედს მიეკუთვნა ჩრდილო-დასავლეთი ირანი, სირია, ალ-ჯაზირა (დიარ-ბაქრი ქ. მახსილითურთ) და ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, **არრანთან და სომხეთთან ერთად — საქართველოც** (ჯაფარიძე, საქართველო, 17).

ამის შესახებაც საუბარია ჩემი მონოგრაფიის I თავში, მაგრამ, როგორც ჩანს მარგიშვილმა არ ჩათვალა ის ყურადღების ღირსად. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობიდან აშკარაა, რომ 1104 წელს, იმ წელს, როცა მოხდა ერნუხის ბრძოლა, სულტანი მუჰამადი იყო არა **ლოკალური ინტერესების მქონე ლოკალური გამგებელი, არამედ იმპერიის ინტერესების გამომხატველი**. სწორედ დიდ სელჩუკთა იმპერიის ინტერესების გამომხატველმა და სულტნის რანგში აღვლენილმა მუჰამედმა და არა ბარქიარუკმა მოახდინა რეაქცია კახეთის შეერთებაზე. ამიტომაც არის აღნიშნული ქართულ წყაროში, რომ ერნუხთან **სულტნის** ურიცხვი სპა ომობდა (და აქ დაილუჰა მისი ათაბაგიც).⁸

ს. მარგიშვილი სხვა არგუმენტებითაც შეეცადა თავისი თვალსაზრისის დასაბუთებას: „ის გარემოებაც, რომ აღმოსავლური წყაროები (პირველ რიგში, ალ-ჰუსაინის, იბნ ალ-ასირისა და სხვა ავტორთა ე.წ. „მსოფლიო ისტორიები“), რომლებიც საკმაოდ დეტალურად აღწერენ სელჯუკთა იმპერიაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს და, განსაკუთრებით, ომებს, ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებენ ერნუხის ბრძოლას, განსხვავებით დიდგორის ბრძოლისა და შირვანში დავით აღმაშენებლის ლაშქრობისაგან, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ერნუხის ბრძოლა არ განიხილებოდა როგორც სელჯუკურ სივრცეში მომხდარი მოვლენა და სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიას მის მიმართ არანაირი ინტერესები არ გააჩნდა“ (მითები, გვ. 43).

არაბი თუ სპარსელი ავტორები წერდნენ თავიანთ და არა საქართველოს

⁷ Шихаб ад-дин Мухаммад ан-Насави, *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны*, пер. З.М. Бунятова (Баку, 1973), 286.

⁸ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ქც, ტ. 1, 328.

ისტორიას. ამდენად, აღმოსავლურ წყაროებში შეუძლებელია ასახულიყო საქართველოსთან დაკავშირებული ყველა ბრძოლა. მაგალითად, ისინი დუმან საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობაზე, ანდა აბუ ლ-კასიმ იბნ აბის-საჯის შემოსევებზე. არაბი ავტორებიდან ბასიანის ბრძოლაზე (1202 წ.) საუბრობს მხოლოდ იბნ ალ-ასირი და ისიც გაკვრით. ის რომ აღმოსავლურ წყაროებს ერწუნის ბრძოლა გამორჩა, სრულიადაც არ იძლევა საფუძველს შორსმიმავალი დასკვნისათვის.

მარგიშვილის მიერ შეთხზული მორიგი მითია დავით IV-ის და სელჩუკი სულტნის შეთანხმება თურქმენტა თაობაზე.

ის გარემოება, რომ სელჩუკებს რეაქცია არა ჰქონდათ თურქმენტებთან მეფის ბრძოლებზე, ს. მარგიშვილს მათ შორის კავშირს აფიქრებინებს. მკვლევრის აზრით, თურქმენტები სელჩუკებისთვის კანონგარეშე (?) იყვნენ. დავითი ებრძვის თურქმენტებს, მათ კი არ ეხმარებიან. „თურქმენ მომთაბარებთან საბრძოლველად დავით აღმაშენებელს საკმაო თავისუფლება გააჩნდა, რადგან მათ წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციები საკუთრივ სამეფოს შიდა ტერიტორიაზე, ვერ გამოინვევდა ომს სელჯუკებთან, რომლებსაც არავითარი სამართლებრივი მოტივაცია (და ალბათ არც სურვილი) არ ექნებოდათ, ფაქტიურად, კანონგარეშე მყოფ თურქმენტა დასაცავად, რომელთა გამოც მასშტაბურ ომს საქართველოს სამეფოსთან ისინი არ დაიწყებდნენ“ (მითები, გვ. 45).

ს. მარგიშვილის დასკვნით: „სელჯუკთა იმპერია დავით აღმაშენებლის ბრძოლას თურქმენტებთან არ განიხილავდა როგორც ბრძოლას მათ წინააღმდეგ, რადგანაც საქართველოს მეფე (სელჯუკებისაგან აღიარებული) თავისი ქვეყნის საზღვრებიდან აძევებს მომთაბარეებს, რაც საქართველოს სუვერენულ უფლებას წარმოადგენდა და როგორც ჩანს, სელჯუკთა ხელისუფლება ამ უფლების რეალიზაციას სავსებით კანონიერ ქმედებად მიიჩნევდა დავით აღმაშენებლის მხრიდან“ (მითები, გვ. 46).

ამრიგად, ს. მარგიშვილმა ჯერ გამოიგონა შეთანხმება დავითსა და ბარქიარუკს შორის, და მერე ამ შეთანხმების საფუძველზე დავით აღმაშენებელს მიაღებინა უფლება დაუსჯელად ებრძოლა თურქმენტებთან. მაგრამ შეუთანხმდა დავითი მუჰამედ ტაფარს, რომელიც ოფიციალურად სულტანი გახდა 1104 წელს? ამაზე პასუხს მკვლევარი არ იძლევა.

ის, რომ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს მესვეურები ცდილობდნენ მომთაბარე თურქმენტების განსახლებას სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილის გარეთ, დიდი ხანია ცნობილი ფაქტია მკვლევართათვის. ბიზანტიის საზღვრებზე განსახლებულმა თურქმენტმა ლაზიებმა დიდი როლი ითამაშეს იმპერიის დასუსტებაში. მძლავრ ფაქტორს საქართველოს ხელისუფლების და-

სუსტებაში ასევე საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული თურქმენები წარმოადგენდნენ. გამოდის, რომ სელჩუკი სულტნები, რომლებმაც თავიდან მართლაც მოიშორეს ურჩი ელემენტი, ახლა მათ კანონგარეშე განიხილავდნენ და ცდილობდნენ მათ საერთოდ მოსპობა-განადგურებას, იმ ტოტის მოჭრას, რომელიც მეზობელ ქვეყანაში მათ საყრდენი უნდა გამხდარიყო.⁹

საქართველოს სამეფოს რომელ სუვერენულ უფლებაზეა საუბარი სელჩუკთა თვალში? რომელ სუვერენულ უფლებას აღიარებდნენ სელჩუკი სულტნები, რომლებიც საქართველოს იმპერიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ? ჩვენ ვნერთ ისტორიას და არა პოპულარულ-ფანტასტიურ ნარკვევს. როცა გვაქვს რამდენიმე ცნობა და ჯაჭვის შესაკვრელად გვაკლია მხოლოდ ერთ რგოლი, შეიძლება ამ რგოლის შესახებ ვარაუდის გამოთქმა. მაგრამ შეუძლებელია მცდარ წანამძღვრებზე თეორიის შექმნა და ერთი უცნობით მეორე უცნობის ამოხსნა.

დავით აღმაშენებელი და ჯვაროსნები

მარგიშვილის თვალსაზრისით, პოლიტიკური მოკავშირეობის გარეშე სამხედრო თანამშრომლობაც შეუძლებელია. ვინაიდან მან ვერ დაინახა რაიმე პოლიტიკური სიახლოვე ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან, მიიჩნია, რომ „ქართული არმიის შემადგენლობაში ჯვაროსანი რაინდების გამოჩენის ალბათობა ძალიან მცირე (პრაქტიკულად, ნულის ტოლია) უნდა ყოფილიყო“ (მითები, გვ. 108).

იოანე ბაგრატიონის ცნობას ბალდუინის იდუმლად ქართლში მოსვლის შესახებ, რაც არაერთხელ არის დასახელებული ქართველ მკვლევართა მიერ, მარგიშვილი უარყოფს, რაც სავსებით მისაღებია, თუმცა კი ამ ცნობის წარმომავლობა დღემდე გასარკვევია.

სხვა მასალის საფუძველზე, მარგიშვილი უჩვენებს, რომ უშუალოდ დიდგორის ბრძოლის წინ იერუსალიმის სამეფოსა და საქართველოს შორის ფაქტობრივად არ იყო სამხედრო-პოლიტიკური კავშირი (მაგ. მითები, გვ. 113 და შმდ.). ილ-ლაზიმ დიდი დათმობებით მოახდინა იერუსალიმის სამეფოს ნეიტრალიზაცია და ბალდუინ II ამ მხრივ პრაგმატიკოსი აღმოჩნდა. ჩანს, მას არ შეეძლო გამოეგზავნა ჯვაროსანთა რაზმი დავითის დასახმარებლად, რომელსაც დასჭირდებოდა მტრული ვრცელი ტერიტორიის გადმოჭრა. ვინ

⁹ სხვათა შორის, ს. მარგიშვილს ეკუთვნის „აღმოჩენა“ იმის თაობაზე, რომ თურმე არსებობდა განსხვავება მომთაბარე თურქმენებსა და სელჩუკებს შორის, რის არცოდნაშიც მან ქართული ისტორიოგრაფიაც დაადანაშაულა (მითები, გვ. 208-9). მაგრამ ეს დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი ქართველ მკვლევართათვის, იხ. მაგალითად, ნოდარ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში* (თბილისი, 1968), 130-31, 160-63, 352.

იყვნენ ის ფრანკები, რომლებიც გოტიეს ცნობით, მაინც მონაწილეობდნენ ბრძოლაში? მარგიშვილი მიიჩნევს, რომ ისინი იყვნენ ფრანკი მოქირავნეები. მაგრამ თუ ჯვაროსნებისთვის ძნელი იყო გადაელახათ დიდი მანძილი და შემოსულიყვნენ საქართველოში თუნდაც საზღვაო გზით, როგორღა მოახერხეს ეს მოქირავნე ფრანკებმა? ამ კითხვაზე პასუხი არ ჩანს.

ახლა რაც შეეხება ქართველებისა და ჯვაროსნების სხვა შესაძლებელ კავშირებს. ის, რომ ქართველები (იბერიელები) მონაწილეობდნენ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, დასტურდება ფულხერიუსის ცნობით, რაც არა აქვს განხილული მარგიშვილს. უცნობია, ვინ იყვნენ კონკრეტულად ეს იბერიელები, მეფის მიერ წარგზავნილნი, თუ მოქირავნეები. მაგრამ 1110 და 1115 წლების დავითის სამხედრო აქტივობა მოწმობს იმას, რომ ის საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა ჯვაროსანთა ფრონტებზე. წყაროების უქონლობის გამო დღეს შეუძლებელია ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, თუ რა გზით მოიპოვა ამის შესახებ ინფორმაცია მეფემ, მსტოვრების საშუალებით, თუ თვით ჯვაროსნებისგან.

დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობა ჩანს კიდევ ერთი ფაქტით, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა მარგიშვილმა.

1299 წ. ნაშრომში „სხივი დასავალისა“, ზ. ავალიშვილმა სქოლიოში მოკლედ შენიშნა, რომ ევროპულ წყაროებში ზოგჯერ დავითის შესახებ „მცდარი ცნობებიც გვხვდება, მაგალითად, 1136 წ. ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში შემდეგი, ჯვაროსან რაინდთაგან გაგონილი შეუტანია: 1123 – 1124 წლებში დავით ქართველთა მეფეს და თოროს კილიკიის მთავრის ძმას ერთ სულთანთან ტყვედ დაჭერილი რაინდები მათ სახლში ანტიოქიაში წამოეყვანათ“. თავის წყაროდ ზ. ავალიშვილმა ორდერიკ ვიტალის (ორდერიკუს ვიტალისი) „საეკლესიო ისტორია“ დაასახელა, მაგრამ შემდგომი კვლევა აღარ გააგრძელა. მის შემდეგ, რამდენადაც ვიცით, ამ საკითხით სერიოზულად სხვა მკვლევრები არ დაინტერესებულან. საბოლოოდ კი გასარკვევი დარჩა, თუ რატომ იყო, ან იყო თუ არა აღნიშნული ცნობა მცდარი და კონკრეტულად, ვინ იყო ის სულთანი, რომლის მიერ დატყვევებული ჯვაროსნების გამოხსნაში დავითმა მონაწილეობა მიიღო.

მე თვალი გავადევნე ამ ინფორმაციას. ირკვევა, რომ ეს სულთანი ილაზის ძმისშვილი – ბალაკია, რომელმაც 1123 წ. დაატყვევა მეფე ბაღდუინ II და ის ხარპუტის ციხეში გამოკეტა ადრე დატყვევებულ სხვა ჯვაროსან რაინდებთან ერთად. ბაღდუინმა შესძლო ხარპუტის ციხადელში სომხებისა და სირიელების დახმარებით განეიარაღებინა დაცვა და ხელთ იგდო ხარპუტი. ჟოსელინის და რამდენიმე რაინდი მან ჯვაროსნებთან გაგზავნა დასახმარებლად. ბალაკი ხარპუტს შემოენყო, არაერთგზის შესთავაზა ბაღდუინს

დანებება და ბოლოს შტურმით აიღო ქალაქი. დატყვევებული ბალდუინი მან ახლა ჰარანის ციხეში გამოკეტა, ხოლო არაერთი მისი მხლებელი სიკვდილით დასაჯა. ეს ამბავი, რომელსაც ორდერიკ ვიტალისი მოგვითხრობს, შესულია ჯვაროსანთა ომების ისტორიაში და სხვა ავტორებსაც (მათ შორის მათე ედესელს) აქვს მოთხრობილი.

ორდერიკ ვიტალისი გადმოგვცემს, რომ ბალაკმა არაერთგზის მოთხოვა ბალდუინს გაეთავისუფლებინა ხარპუტში დაკავებული მისი ცოლები, რომელთაგან ერთი დამასკოს ათაბეგის ასული იყო. საბოლოოდ ბალდუინი დათანხმდა, გაათავისუფლა ისინი და თან ხუთი რაინდი გააყოლა, რომლებიც ახლა ბალაკმა დააკავა. ქრონიტი აღწერს მათ თავგადასავალს ტყვეობაში. ისინი ბალდადის ხალიფასთანაც გაგზავნეს და ისევ ბალაკთან დააბრუნეს. საბოლოოდ, ართუკიანმა რაინდები გაათავისუფლა და ორდერიკ ვიტალისის თანახმად, ისინი ანტიოქიაში დაბრუნდნენ **ქართველთა მეფის – დავითის** და სომეხი მეფის თოროსის ხელშეწყობით. ცნობაში ასახული ამბების ქარგა ძირითად დეტალებში რეალურია, ასევე რეალურია პერსონაჟები (ბალაკი, ბალდუინი, ჟოსელინი). ჩართულია ქართველთა მეფე დავითი. ჩანს, რომ დავითსა და ჯვაროსნებს შორის მაინც არსებობდა რაღაც ისეთი ახლო კავშირები, რაც მას უზიძგებდა ჩარეულიყო დატყვევებულ ჯვაროსან რაინდთა გამოსხნაში.¹⁰

ჯვაროსნებთან საქართველოს კავშირის უარყოფის დროს, ს. მარგიშვილმა, თავისი ამ თუ იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, გააკეთა ვრცელი ექსკურსები დავით IV-ის შემდეგდროინდელი საქართველოს ისტორიაში. საკმაოდ რთული პრობლემების გადაწყვეტას ის შეეცადა ფორსირებულად. ეს კი ერთ, გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეულ, მონოგრაფიაში, ჩემი აზრით, შეუძლებელია.

მაგალითად, მარგიშვილი გამორიცხავს ჯვაროსნებთან სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას თამარის დროსაც. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ როდესაც ის, თავისი თეზის დასასაბუთებლად, იმონებს სალადინისადმი თამარის ფიცის წიგნს, რომელიც თარიღდება 1185 წლით და მიიჩნევს, რომ ჯვაროსნებთან თამარის შესაძლო მოკავშირეობის საკითხს ეს დოკუმენტი **სავსებით უნდა ხსნიდეს საკვლევი თემების რიგებიდან**, სწორედ ნაჩქარევი დასკვნის შედეგია. მკვლევარი წერს: „ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შინაარსი, სადაც თამარ მეფე ფიცის სახით პირობას აძლევს სალადინს, რომ იგი (ე.ი. საქართველოს სამეფო) თავს არ დაესხმის სალადინის სამფლობელოებს და მისი მტრების მტერი იქნება, არ ტოვებს ეჭვს იმის შეს-

¹⁰ გოჩა ჯაფარიძე, „ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ“, *აღმოსავლეთმცოდნეობა*, 2 (2013), 219-25.

ახებ, თუ რა პოლიტიკურ კურსს ატარებდა საქართველო ჯვაროსნული სახელმწიფოების მიმართ და როგორი იყო მისი „მოკავშირეობის“ ხასიათი დასავლეთ ევროპულ კათოლიკეებთან“ (მითები, გვ. 108).

ს. მარგიშვილი ამ შემთხვევაში არ დაინტერესებულა თუ როგორ და სად უნდა დასხმოდა თამარი სალადინს მაშინ, როცა ორ ქვეყანას შორის საერთო საზღვარი არ არსებობდა. ის უბრალოდ იმეორებს ამ დოკუმენტის აღმომჩენის პროფ. მ. თოდუას თვალსაზრისს და ამავე დროს, იმონებებს ჩემს ზემოხსენებულ მონოგრაფიასაც. მაგრამ, ჩანს, კარგად არ ნაუკითხავს ის. მე და თამაზ ნატროშვილმა ვუჩვენეთ, რომ ამ „ფიცის წიგნის“ შედგენის თარიღი ემთხვევა ვანის ტბის სანაპიროებზე შაჰ-არმენტა სახელმწიფოში წარმოქმნილ კრიზისულ სიტუაციას 1185 წ.¹¹ და მას არა აქვს საერთო ჯვაროსნებთან.

ანტიჯვაროსნულ აქციად მიაჩნია ს. მარგიშვილს თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება (მითები, გვ. 108-109). დავით აღმაშენებლის ეპოქისადმი მიძღვნილ ნაშრომში ტრაპიზონის თემა სრულიად ზედმეტია. მაგრამ ავტორმა, რომელიც გვპირდებოდა ახალ, კარდინალურად განსხვავებულ თვალსაზრისებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, იჩქარა გაეცნო მკითხველისთვის საკუთარი თვალსაზრისი. მარგიშვილი წერდა, რომ „ბასიანის ბრძოლით, თამარ მეფემ, რომელსაც ამ დროისათვის აშკარად უკვე დაგეგმილი ჰქონდა ბიზანტიაზე ლაშქრობა, ნეიტრალიზება გაუკეთა სელჯუკთა რუმის სასულთნოს, რომელიც ამ რეგიონის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა და ადვილად შეეძლო თამარის ბიზანტიაში ლაშქრობისათვის ხელის შეშლა“ (მითები, გვ. 327).

მკვლევარს, რომელიც ფლობდა მონაცემებს იმდროინდელი სამხედრო რესურსების შესახებ, ასეთ შორსმიმავალი დაკვნისგან თავი უნდა შეეკავებინა. გარდა ამისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ომი რუმის სელჩუკებთან თამარს არ დაუწყია, ის დაიწყო რუქნ ად-დინმა და ეს მოხდა 1202 წლის ზაფხულში. სულტანს რომ ომი ადრე დაეწყო, მაშინ თამარი იძულებილი იქნებოდა გამონვევა მიელო. მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებისა, საქართველოს სამეფოს ამ დროს არ გაუვრცელებია თავისი გავლენა არზრუმის მიმართულებით (რაც მოგვიანებით მოხდა), ხოლო რუქნ ად-დინმა შესძლო არზრუმში არალოიალური სალთუკიანის ნაცვლად თავისი ძმა დაესვა ტახტზე.

რაც შეეხება ტერიტორიებს, სადაც ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, იმ დროისათვის ისინი წარმოადგენდა უპირატესად ბიზანტიის სამფლობელოებს და მათზე რუმის სულტანს ხელი არ მიუწვდებოდა (ჯაფარიძე, საქართველო, გვ. 158).

¹¹ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, „თამარის „ფიცის წიგნის“ შესახებ“, ლიტერატურული საქართველო, 22.1 (1982); ჯაფარიძე, საქართველო, გვ. 129-34.

მარგიშვილის თანახმად, „პრობლემები არ უნდა შეექმნათ სელჯუკებსაც, რომელთა სამფლობელოებიც ბიზანტიური ტერიტორიების სამხრეთით იყო გაშლილი. მართალია, კომენოსთა წარმატებით სელჯუკები კარგავდნენ შავ ზღვაზე გასასვლელს სამსუნ-სინოპის რაიონში, მაგრამ თამარს სელჯუკთა საშიშროება უკვე ნეიტრალიზებული ჰქონდა ორი წლით ადრე, ბასიანის ბრძოლაში მათი არმიის სასტიკი დამარცხებით, რის გამოც ისინი განვითარებულ მოვლენებში ჯერ-ჯერობით ვერ ჩაერეოდნენ“ (მითები, გვ. 276).

სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. ერთადერთი პუნქტი, რომელიც წარმოადგენდა სელჩუკთა გასასვლელსა და დასაყრდენს შავ ზღვაზე და რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რუქნ ად-დინის გეგმებში, იყო სამსუნი. ამრიგად, რუმის სულტანი შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვან ნაწილში ვერ დააბრკოლებდა ქართველთა ლაშქრის მოქმედებას. რაც შეეხება მის პასიურობას სამსუნის დაკარგვის დროს, ის შეიძლება აიხსნას სასულტნოს შიდაპოლიტიკური ვითარებით. 1204 წლის პირველ ნახევარში რუქნ ად-დინი დაკავებული იყო თავის ძმასთან მუჰი ად-დინ მას'უდ შაჰთან ბრძოლით და მისი რეზიდენციის – ანკარას ალყით. სულტანმა მხოლოდ 1 ივლისს იგდო ხელთ ეს ქალაქი და სასტიკად გაუსწორა ანგარიში ძმას და მის ოჯახს. ორ ფრონტზე ბრძოლა, ჩანს, აღემატებოდა რუქნ ად-დინის ძალებს. 6 ივლისს ის გარდაიცვალა. მისი მცირეწლოვანი ვაჟის მმართველობა 1204 წ. ბოლომდე გაგრძელდა. ამ პირობებში სელჩუკები იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ სამსუნის დაკარგვას.

დიდგორის ბრძოლა. ს. მარგიშვილმა სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა კანცლერ გოტიეს ცნობის ახალი ინგლისური თარგმანი. სხვა მხრივ, მას არა აქვს მოხმობილი რაიმე ახალი წყარო. ის არ იცნობს საფუძვლიანად აღმოსავლურ წყაროებს, მაგრამ კატეგორიულად მსჯელობს მათ ავკარგიანობაზე. ავიღოთ თუნდაც სიბტ იბნ ალ-ჯაუზის (და არა – არასწორად დასახელებული ალ-ჯაუზის ანდა იბნ ალ-ჯაუზის, რომელიც იყო პაპა სიბტ იბნ ალ-ჯაუზისა) ინფორმაცია, რომელიც მას მიაჩნია ორიგინალურად და ძალზე ღირებულად.¹²

¹² „ძალიან მოკლე, მაგრამ ჩვენი აზრით, ძალზე ღირებულია ალ-ჯაუზის ცნობები დიდგორის ბრძოლის შესახებ. სულ რამდენიმე ფრაზაში ალ-ჯაუზი ახერხებს დასახელოს ბრძოლის მიზეზი (თბილისის შევიწროება დავითის მხრიდან), კოალიციის ორგანიზატორები, ბრძოლის ადგილი (თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე), ბრძოლის ამკარად ჩასაფრებითი ხასიათი (დავით მეფე მთებიდან დაესხა მტერს) და შედეგი, ილ-ლაზის არმიის სასტიკი დამარცხება. აქვეა დაცული ძალიან საყურადღებო მითითებები იმის შესახებ თუ საით მოძრაობდა მუსლიმების არმია (თბილისის კარისკენ) და რომ მისი მოკავშირეები ბრძოლის ველზე მოსულნი არ იყვნენ“ (მითები, გვ. 135). იხ. აგრეთვე გვ. 147, სადაც მეორდება მისი ცნობის აღტაცებული შეფასება: „ძნელი სათქმელია, „რა უნდოდა“ ალ-ჯაუზის, როდესაც იგი წერდა თავის ცნობას დიდგორის ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს ცნობა, რომ ძალიან რე-

სინამდვილეში სიბტ იბნ ალ-ჯაუზი კომპილატორია. ძირითადად მისდევს იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის, ფაქტობრივად ახალს არაფერს იძლევა და, ამასთან, ტოვებს ბრძოლასთან დაკავშირებულ არაერთ დეტალს, თუნდაც დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების თარიღს – ჰიჯრით 515 წლის მიწურულს, რასაც წერს ალ-ფარიკი.¹³ ამაში მკითხველი ადვილად დარწმუნდება, თუ ერთმანეთს შეადარებს იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობებს (ო. ცეციტიშვილის და ე. სიხარულიძის თარგმანებში).

ს. მარგიშვილი აღნიშნავს, რომ ილ-ლაზის, რომლის ინტერესებიც სირიაში იყო კონცენტრირებული, „საქართველოს მიმართ არ გააჩნდა და არც შეიძლება ჰქონოდა რაიმე კონკრეტული მიზანი ტერიტორიის შექმნისა ან ნადავლის მოპოვებისა. ერთადერთი მოტივაცია, რის გამოც მას საქართველოში შეიძლება ელაშქრა, უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური“ (მითები, გვ. 62). საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა წარმატებები შემაშფოთებელი და მიუღებელი იყო სელჯუკთა ცენტრალური თუ რეგიონალური ხელისუფლებისათვის. დავითის წინააღმდეგ სელჯუკთა ხელისუფლებამ გამოაცხადა საღვთო ომი – ჯიჰადი და უხმო „ჯიჰადის გმირსა და რელიგიის დამცველ ილ-ლაზის და მოუწოდა სელჯუკთა ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ქვეყნარს მუსლიმს საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ“ (მითები, გვ. 64)¹⁴.

სხვათა შორის ჯიჰადის არსი, კონკრეტული, მათ შორის ქართული, მასალის მიხედვით, ასევე გვაქვს გარჩეული ჩვენს ზემოხსენებულ მონოგრაფიაში, რომელსაც ს. მარგიშვილმა ამ შემთხვევაშიც გვერდი აუარა. საერთოდ, ქრისტიანული სამყაროს, კერძოდ კი საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი, აგრესიული ომები მიმდინარეობდა ისლამის დროში. რელიგიური მომენტი ჩანს ილ-ლაზიმდეც. ჯიჰადის, საღვთო ომის იდეოლოგია ასაბუთებდა და ამართლებდა თურქ-სელჩუკთა ექსპანსიას და აგრესიას, მაგრამ მხოლოდ ჯიჰადის იდეით ატაცებული ილ-ლაზი არ და ვერ წამოვიდოდა შორეულ საქართველოზე სალაშქროდ.

ალურის შთაბეჭდილებას ტოვებს და ამავე დროს სხვა წყაროებზე უკეთ (შეიძლება ითქვას, დავით აღმაშენებლის მემატთანეზეც კი) რომ წარმოაჩენს დავით აღმაშენებლის სტრატეგიულ ნიჭსა და მხედართმთავრობის უნარს, ეს განვითარებულ მოვლენათა ანალიზით სავსებით ცხადია“.

¹³ იხ. ჯაფარიძე, საქართველო, 47, შენ. 24.

¹⁴ მარგიშვილი წერს, რომ როჯერის დამარცხების შემდეგ ილ-ლაზიმ მიიღო „რელიგიის (ალაჰის) დამცველის“ საპატიო ტიტული“ (მითები, გვ. 62, 83), რაც უხეში შეცდომაა. სახელში ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი, ნაწილი ნაჯმ ად-დინ არის ტიტული (ლაკაბი) და ნიშნავს სარწმუნოების ვარსკვლავს, ხოლო მეორე – ილ-ლაზი (‘ალამი, საკუთარი სახელი) შედგება ორი სიტყვისაგან: თურქ. ილ (ხალხი) და არაბ. ღაზი (მებრძოლი) და ნიშნავს ხალხთმბრძოლს. იხ. გ. წერეთელი, *არაბულ-ქართული ლექსიკონი* (თბილისი, 1951), 173.

მარგიშვილი ახასიათებს კოალიციის მონაწილეებს, ილ-ლაზის, ტულრილ იბნ მუჰამედს, ტულან-არსლანს და დუბაის იბნ სადაკას. მკვლევარი გამოორიცხავს ტულრილის მონაწილეობას კოალიციაში მისი ასაკის გამო და იმის საფუძველზე, რომ დიდგორის ბრძოლამდე განჯის ლაშქარი გაანადგურა დავით აღმაშენებელმა.

დავითის ლაშქრობები ტულრილის სამფლობელოებზე დიდგორის ბრძოლამდე ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამის შესახებ ვნერდი მეც და დამატებითი არგუმენტიც მოვიტანე დავითის ღონისძიებების რეალურობის სასარგებლოდ. მაგრამ, ბარდავამდე თურქმენების დარბევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს განჯის არმიის განადგურებას. ჩემ ნაშრომში განხილულია მათე ურჰაეცის ცნობაც: დიდგორის ომამდე საქართველოზე განძაკის ქვეყნის ერთ-ერთი ამირას ხაზის თავდასხმა. ეს თავდასხმა სასტიკი მარცხით დასრულდა.

ამირა ხაზის, რომლის ვინაობაც დაუდგენელია, მარგიშვილი მიიჩნევს რამდენიმე ტომის გაერთიანების ლიდერად, ვინაიდან მომთაბარეები მაშინ ერთიანდებოდნენ, როდესაც ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ (მითები, გვ. 140) და ეს ლაშქრობა იქნებოდა დიდგორის ბრძოლა. მაგრამ მათე ურჰაელი სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ ხაზი, რომელიც მანამდე „კეთილგანწყობით მორჩილებაში იმყოფებოდა საქართველოს მეფე დავითთან“ დაესხა თავს ქართველებს.

მე მივუთითე, რომ ეს ამირა უცნობია აღმოსავლური წყაროებისთვის. ხაზი არ არის არც ტულრილი და არც მისი ათაბაგი ქენტოლდი, რომ ის ალბათ იყო არრან-საქართველოს სასაზღვრო ზოლში რომელიმე ამირა, რომ სახელი ხაზი, იგივე არაბ. ლაზი, რაც მეზობლს ნიშნავს, ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ეპითეტად თურქი და საერთოდ მუსლიმი ამირებისთვის, რომლებიც საღვთო ომს აწარმოებდნენ „ურნმუნოთა“ წინააღმდეგ. მარგიშვილი, რომელიც ხშირად გვერდს უვლის ჩემს ნაშრომს, ფაქტობრივად მის ვინაობაზე ახალს ვერაფერს ამბობს, სამაგიეროდ უშვებს ტერმინოლოგიურ შეცდომებს, წერს ჰაზის, ჰაზავათს (მითები, გვ. 232-233), ნაცვლად ლაზის და ლაზავათისა. კიდევ გვექნება საშუალება მსგავსი შეცდომების დაფიქსირებისა.

იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი ერთადერთი წერდა, რომ კოალიციის მონაწილეებს ვერ შეუერთდა ტულრილი. ჯერ კიდევ ვ. მინორსკი ფიქრობდა, რომ ამის მიზეზი იყო სულთან მაჰმუდთან მისი დაპირისპირება და ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სადაო გახდა. მარგიშვილის თანახმად, დავითმა დიდგორამდე ორი თვით ადრე გაანადგურა განძის არმია. ეს, ტულრილის მცირეწლოვანებასთან ერთად გახდა იმის მიზეზი, რომ ტულრილმა ვერ მი-

ილო კოალიციაში მონაწილეობა.¹⁵ მაგრამ რა ფუყოთ სხვა წყაროთა ერთსულოვან მონაცემებს? საქართველოში ტულრილის მარცხს აღნიშნავენ XII ს. ისტორიკოსები: ალ-‘აზიმი¹⁶ (გარდ. 1161 წ.) – ჰალაბიდან და მათე ურჰაელი¹⁷ – ედესიდან, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იღებდნენ თავიანთ ინფორმაციას. დამასკოელი იბნ ალ-კალანისი (გარდ. 1161 წ.) რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეხო ილ-ლაზის კამპანიას, მართალია, კონკრეტულად არ ასახელებს დამარცხებულთ, მაგრამ მიუთითებს კოალიციაში ტულრილის მონაწილეობაზე.¹⁸ მოგვიანებით იმავეს აღნიშნავს იბნ ალ-‘ადიმი.¹⁹ იბნ ალ-ასირი კი, რომლის ორიგინალური ინფორმაციის წყარო დიდგორის ბრძოლის შესახებ, დღემდე უცნობია, ბრძოლის ველიდან გაქცეულთა შორის ასახელებს ტულრილსაც.²⁰ ეს ცნობები ალ-ფარიკისთან შედარებით უფრო სანდო და მისაღები ჩანს.²¹ მიუხედავად იმისა, რომ ალ-ფარიკი კარგი და სანდო ავტორია, არაა უშეცდომო და არ შეიძლება ყველა მის ინფორმაციას ბრმად ვენდოთ.

რაც შეეხება ტულან არსლანს, ისევე ალ-ფარიკის თანახმად, ის ვერ შეუერთდა ილ-ლაზის. სხვა რაიმე წყარო, განსხვავებით ტულრილისგან, არ გვაქვს და ამდენად, ალ-ფარიკის ცნობის ჭეშმარიტების დადასტურების საშუალება არ გაგვაჩნია. მარგიშვილმა, მიუხედავად ამისა, მისი მონაწილეობა ბრძოლაში უეჭველად მიიჩნია.

ილ-ლაზის მოკავშირე იყო მისი სიძე დუბაის იბნ სადაკა. როცა ისტორიულ

¹⁵ მარგიშვილის აზრით (მითები, გვ. 141), დიდგორამდე დავითმა განახორციელა ღრმა პრევენციული რეიდი განძის საემიროს ტერიტორიაზე და გაანადგურა ფორმირების პროცესში მყოფი განძის არმია, რის გამოც განძა გამოაკლდა მოკავშირეებს.

¹⁶ C. Cahen, “La Chronique abrégée d’al-‘Azimi,” *JA*, t. 230 (1938), 388.

¹⁷ ლ. დავლიანიძე, „მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ“, *სრხ* (თბილისი, 1966), 246.

¹⁸ *History of Damascus 363-555 A.H. by Ibn al-Qalānisi from the Bodleian M.S. Hunt. 125, being a Continuation of the History of Hilāl as-Sābi*, ed. by H.F. Amedroz (Leiden, 1908), 326.

¹⁹ იბნ ალ-‘ადიმ, *ზუბდათ ალ-ჰალაბ*, II, გვ. 200; გ. კუტალია, „ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ“, *სმა მოამბე*, ტ. 74/2 (1974), 503.

²⁰ Ibn al-Athir, *al-Kamil fi’l-tarikh*, vol. X (Beyrouth, 1966), 567.

²¹ ალ-ფარიკის ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევდა ვ. მინორსკი. იბნ ალ-ასირზე დაყრდნობით ის თვლიდა, რომ ტულრილი ვერ შეუერთდა ილ-ლაზის და მისი გეგმები ჩაიშალა იმიტომ, რომ სულტანმა მის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები (V. Minorsky, *Studies in Caucasian History* (London, 1953), 30), მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იბნ ალ-ასირის თანახმად, კონფლიქტი ტულრილსა და მაჰმუდს შორის მოხდა დიდგორის ომამდე – არა უგვიანეს 1121 წ. მარტისა და მაშინაც საქმე ომამდე არ მისულა. ცხადია, ეს ამბავი ვერ შეუშლიდა ხელს არრანის გამგებელს მონაწილეობა მიეღო კოალიციურ ლაშქრობაში. ასევე მიიჩნევდა შ. მესხიაც (*ძლევაჲ საკვირველი*, 99-100). მიუხედავად იმისა, რომ მაჰმუდს კოალიციის ინიციატორად თვლიდა, რ. კიკნაძემ გაიზიარა ვ. მინორსკის თვალსაზრისი („XI-XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან“, *იჯიი შრომები*, ტ. V, ნაკვ. I (1960), 122-23).

პიროვნებებს ვახასიათებთ, სიზუსტის დაცვაა საჭირო. დუბაისის ტიტულია ნურ ად-დაულა/დავლა (შუქი დინასტიისა, ან სახელმწიფოსი) და არა ად-დაული. მარგიშვილი წერს, რომ ის ატარებდა არაბეთის მეფის ტიტულსაც და შემდეგ ეჭვი შეაქვს ამ ტიტულის რეალურ ძალაში, რომ „ეს ასე არ იყო. არაბეთის სამეფო და შესაბამისად, არაბეთის მეფის ტიტული, არ არსებობდა“ (მითები, გვ. 69). **ცხადია, არ არსებობდა.** უბრალოდ, დუბაისი, მამის მსგავსად, ატარებდა არა არაბეთის მეფის (როგორც ამას მარგიშვილი შეცდომით გვთავაზობს), არამედ არაბთა მეფის (*მალიქ ალ-‘არაბ*) ტიტულს. სხვათა შორის, დუბაისის სურვილზე, საქართველოდან დაბრუნების შემდეგ, ილ-ლაზისგან მიეღო ჰალაბი, პირველად მე აღვნიშნე, ილ-ლაზისადმი მიძღვნილ სტატიაში.²²

მარგიშვილი აღნიშნავდა, რომ დიდგორის ბრძოლაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას 200-300 ათასი მუსლიმი. სანინალმდეგო არაფერი მაქვს. სხვა რომ არა, ეს საკითხი მარგიშვილამდე 16 წლით ადრე განვიხილე სტატიაში „ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი“ და აღმოსავლური წყაროების საფუძველზე ვუჩვენე კოალიციის მონაწილეთა (ილ-ლაზი, დუბაის იბნ სადაკა და ტულ-რილი) შესაძლებელი სამხედრო რესურსები. აღვნიშნე, რომ ეს მონაცემები გასათვალისწინებელია მკვლევართა მიერ, რომლებიც დიდგორის ბრძოლის შესახებ წერენ. გარდა ამისა, იბნ ალ-ასირი ილ-ლაზის ლაშქარს 30,000-მდე მეომრით საზღვრავს.²³ არსებობდა სკეპტიციზმი ამ რიცხვისადმი და პირველად ვუჩვენე მისი უსაფუძვლობა.²⁴ ეს რაოდენობა ფიგურირებს ამ ავტორის

²² გ. ჯაფარიძე, „ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი“, კრ. *დავით აღმაშენებელი* (თბილისი, 1990), 212.

²³ იქვე, 224, შენ. 96.

²⁴ იბნ ალ-ასირის თხზულების *ალ-ქამილ ფით-თა’რიხ* კრიტიკული ტექსტის გამოცემამდე, მ. დეფრემერიმ თავის ვრცელ ნაშრომში (C. Defrémery, “Fragments de géographes et d’historiens Arabes et Persans inédits relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie méridionale,” *JA*, XIII (1849), 457-522) შეიტანა ამ ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ, მის ხელთ არსებული ხელნაწერის საფუძველზე. დიდგორის ბრძოლის აღწერის დროს (გვ. 483) ხელნაწერში ილ-ლაზის ლაშქრის რაოდენობა არასრულად იყო დასახელებული: „ის აღწევდა ... ათასს“. ნაკლები ციფრი – „30“ დეფრემერიმ აღადგინა აბუ ლ-ფარაჯ იბნ ალ-‘იბრის ცნობით, რომელიც დაიმონმა სენ-მარტენისა და დ’ოსსონის მიხედვით (J. Saint-Martin, *Memoires sur l’Armenie*, t. II (Paris, 1828), 265; D’Ohsson, *Voyage d’Abou-el-Cassim* (Paris, 1828), 166). ასეა იბნ ალ-‘იბრის თხზულების „თა’რიხ ალ-მუხთასარ ად-დუვალ“ თანამედროვე გამოცემაშიც (დარ ალ-მასირა, ბაზრუთ, თარიღის გარეშე, გვ. 202). ივ. ჯავახიშვილს ეჭვი შეჰქონდა დეფრემერისეულ აღდგენაში („თავდაპირველს იბნ ალ-ასირის დედანში იქნებ 300 000, ან 400 000 აქვს“, *ქართველი ერის ისტორია*, II, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II (თბილისი, 1983), 202, შენ. 4; იხ. აგრეთვე მესხია, *ძლევა საკვირველი*, 103). მაგრამ „30“ კარგად იკითხება იბნ ალ-ასირის თხზულების ერთ-ერთ უძველეს, 1287 წ. ნუსხაში (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი,

თხზულების დღემდე არსებულ გამოცემულ ყველა და მის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერშიც. ამ დაზუსტებისა და შემდეგ მუსლიმთა კოალიციის სამხედრო რესურსებისთვის მასალის მოძიებისათვის რამდენიმე წელი დამჭირდა. საბოლოოდ, ერთ სქოლიოში ჩაეტია ის, რის ჩვენებასაც ხელახლა და უფრო ვრცლად შეეცადა მარგიშვილი. სწორედ ეს ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ ის სოლიდურ კრებულში დაიბეჭდა და იცოდა კიდეც, მარგიშვილმა შეგნებულად არ დაასახელა,²⁵ ვინაიდან „სიახლე“, რასაც გვთავაზობს თავის წიგნში, სხვასთან უნდა გაეყო და სხვისი პრიორიტეტი ელიარებინა.

მარგიშვილის მთელ წიგნს გასდევს იმის მტკიცება, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქაში დიდი სამხედრო შენაერთები არ მონაწილეობდნენ ბრძოლებში. ეს ზოგჯერ მომაბეზრებელიც ხდება. როგორც არ უნდა შევიტანოთ ეჭვი სამხედრო ძალების გაზვიადებულ რაოდენობაში, პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტი რიცხვების დასახელება. ყველა ის რიცხვი, რასაც მარგიშვილი გვთავაზობს, ემპირიულია, ბუნებაში არ არსებობს და მხოლოდ მისი თვალსაზრისია. ამას სოსო მარგიშვილი თავადაც აღიარებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, კოალიციური ლაშქარი სულტანმა შეჰყარა. ვინ იყო სულტანი? ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ, რომ ის მაჰმუდ ბ. მუჰამადია. პირველად სარგის კაკაბაძემ გამოთქვა მოსაზრება და შემდეგ მე დავასაბუთე, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო სანჯარი (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 48-49). ამ დასკვნამდე მიდის მარგიშვილიც (მითები, გვ. 235), მაგრამ წინამორბედთა დაუსახელებლად, რაც მეცნიერული ეთიკის დარღვევაა. სამწუხაროდ ასეთი შემთხვევები მის ნაშრომში სხვაგანაც გვხვდება.

მარგიშვილი დამონმების გარეშე იმეორებს ჩემ მიერ 1110 წლის სტრატეგიული ვითარების განხილვა-შეფასებას, სადაც ცნერდი ორ ფრონტზე (ჯვაროსნებთან და საქართველოსთან) სელჩუკთა ბრძოლის შესახებ (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 26-27, 30; შდრ. მითები, გვ. 53, 55).

ის ასევე იმეორებს ჩემეულ მიგნებას, როდესაც ჯუვეინისა და ალ-ჰუსაინის ცნობების საფუძველზე საერთო დავინახე იმ ბრალდებებს შორის, რომელსაც მუსლიმები უყენებდნენ ქართველებსა და ბიზანტიელებს (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 222-223; შდრ. მითები, გვ. 272); კვლავ დამონმების გარეშე!

№373, პაგინაციის გარეშე, 514 წლის ამბები, ქვეთავი: „ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ ქართველთა გამოსვლის მოხსენიება“) და ასეა იზნ ალ-ასირის თხზულების ყველა გამოცემაში. ამდენად, სკეპტიციზმი არაბი ისტორიკოსის ცნობისადმი უსაფუძვლოა.

²⁵ ეს ჩანს მარგიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მის წიგნში, სადაც ჩემი ზემოაღნიშნული სტატიის დამონმებული: *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში* (თბილისი, 2008), 244, შენ. 61.

ხანდახან საქმე იქამდეც მიდის, რომ მარგიშვილი თითქმის უცვლელად იმეორებს ჩემს წინადადებებს. მე ვწერ: „დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ის დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე წელს სახელმწიფოს დასავლეთ საზღვრებთან გამოჩნდნენ ჯვაროსნები“ (ჯაფარიძე, საქართველო, გვ. 16). მარგიშვილი იმეორებს: „სტაბილურობა მისთვის დიდხანს არ გაგრძელებულა. 1098 წელს ბერკიარუკის იმპერიის ფარგლებში გამოჩნდნენ ჯვაროსნები“ (მითები, გვ. 37).

სხვა მკვლევრების დამონშების გარეშე მარგიშვილი ეხება საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობას და მათი განსახლების ადგილებს. ს. პლეტენევამ პირველად ივარაუდა, რომ საქართველოში გადმოსულ ყივჩაღთა რაოდენობა იყო 25-30 ათასი.²⁶ 25 ათასს, ამ ავტორის დაუსახელებლად, წერს მარგიშვილიც (მითები, გვ. 98).

ვ. შუშარინი და მ. მურღულია აღნიშნავენ, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაღებს თურქმენებისგან განმედილი საძოვრები დაუთმო.²⁷ იმავეს, ამ ავტორების დაუსახელებლად, აღნიშნავს მარგიშვილიც: დავითს ყივჩაღები თურქმენების საძოვრებზე უნდა დაესახლებინა და „მათ (ან მათმა გარკვეულმა ნაწილმა) ნამდვილად მიიღო თურქმენ მომთაბარეთაგან განმედილი საძოვრები“ (მითები, გვ. 48-49, 102-103).

ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა მანგლისიდან ვერის ხეობაში შემავალი გზა, რისთვისაც მოიხმო დასტურლამალის მონაცემები ფანჯების გზის კეთილმონყობაზე.²⁸ იგივე გაიმეორა მარგიშვილმა, სათანადო დამონშების გარეშე (მითები, გვ. 319-320).

ასევე არ „გაუმართლა“ მაია სტეფნაძეს, რომლის სტატიაში „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისთვის“²⁹ გამოთქმული მოსაზრებები რამდენჯერმე აქვს გამოყენებული მარგიშვილს დამონშების გარეშე (სტეფნაძე, გვ. 165, 168, 170; შდრ. მარგიშვილი, მითები, გვ. 108, 110, 274, 277).³⁰ სამაგიეროდ,

²⁶ С.А. Плетнева, *Половцы* (Москва, 1990), 96.

²⁷ М.П. Мургулия, В.П. Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках* (Москва, 1998), 150.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი, *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში* (თბილისი, 1966), 54.

²⁹ მაია სტეფნაძე, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის“, *ქართული დიპლომატია*, 7 (2000).

³⁰ მაგალითად, მ. სტეფნაძე წერს: „IV ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორებმა საქართველოს მთავრობას დაასწრეს კონსტანტინოპოლის დაპყრობა“, რის გამოც თამარიც და ალექსი კომნენოსიც კონსტანტინოპოლის ნაცვლად ტრაპიზონის სამეფო ტახტს დასჯერდა (დასახ. ნაშრომი, გვ. 168). იმავეს იმეორებს მარგიშვილი, რომ ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება მ ხელი შეუშალა თამარის გეგმის განხორციელებას (მითები, გვ. 274) და შემდეგ: „თამარი აშკარად დაკმაყოფილდა ტრაპიზონის იმპერიის ფორმირებით“ (მითები, გვ. 110).

ის ქმნის კიდევ ერთ ახალ მითს, რომ „არსებობს მტკიცე არგუმენტაცია იმისა, რომ თავისი მეფობის დასასრულს, თამარ მეფემ ომიც კი დაიწყო ჯვაროსნების წინააღმდეგ“ (მითები, გვ. 108).

ს. მარგიშვილის თანახმად: „როგორც ჩანს, დიდგორში მუსლიმური არმიის განადგურების შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ დამკვიდრდა ის ძირითადი ვერსია, რომლის მიხედვითაც მუსლიმური არმია შეტყუებულ და დამარცხებულ იქნა ჩასაფრებით ბრძოლაში“ (მითები, გვ. 135-136). მე კარგად ვიცი ალმოსავლურ წყაროებს, მაგრამ ასეთი „ვერსია“, „ჩასაფრებითი ბრძოლა“ დიდგორში არ შემხვედრია. ის მარგიშვილის თვალსაზრისია, რომლის წინააღმდეგაც მეტყველებს ყველა წყარო.

როგორც ითქვა, მარგიშვილის თანახმად ილ-ლაზის მხოლოდ რელიგიური მოტივი ამოძრავებდა („ერთადერთი მოტივაციაა, რის გამოც ილ-ლაზი საქართველოში უნდა წასულიყო, რჩება მხოლოდ „რელიგიის დამცველის ტიტული“, რომელსაც ილ-ლაზი, როგორც ჩანს, ძალიან უფრთხილდებოდა“ (მითები, გვ. 234). წყაროების მიხედვით კი ჩანს, რომ ილ-ლაზის მოღვაწეობაში რელიგიურ მოტივს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

მარგიშვილი მე მაკრიტიკებს და უსაფუძვლოდ მიიჩნევს თურქმენულ ფაქტორს, რაც მისი ლაშქრობის ერთ-ერთი განმაპირობებელი მოტივი შეიძლება გამხდარიყო. მარგიშვილი წერს: ის „რომ ილ-ლაზიმ საქართველოში ილაშქრა თურქმენების (ე.ი. მომთაბარეების) დასახმარებლად, რომელთაც ეომებოდა დავით აღმაშენებელი, არ უნდა იყოს რეალური... დავით აღმაშენებელი მომთაბარეებს უკვე 20 წლის განმავლობაში (სელჯუკებისთვის ხარკის შეწყვეტის შემდეგ) ეომებოდა და ამ დროის მანძილზე სელჯუკთა ხელისუფლები მათ არ დახმარებინან. საეჭვოა, რომ ილ-ლაზის ისეთი ძლიერი სურვილი გასჩენოდა მათი დახმარებისა მომთაბარეებთან დავითის ბრძოლის 21-ე წლისთავზე, რომ შეეწყვიტა ჯვაროსნებთან წარმატებით მიმდინარე ომი და წასულიყო საქართველოში მათ გადასარჩენად“ (მითები, გვ. 234).

ილ-ლაზი იყო არა სელჩუკიანი, არამედ მომთაბარე თურქმენთა, კერძოდ დოგერის ტომის ბელადი. ზემოხსენებულ მონოგრაფიაში მე ვწერდი, რომ ილ-ლაზის საქართველოზე ლაშქრობას განაპირობებდა არა უბრალოდ თურქმენების დახმარება ანდა გადარჩენა, არამედ „თურქმენული ფაქტორიც“, მათი საჩივრების დაკმაყოფილება. ქართველთა სანიმუშოდ დასჯა კარგ შანსს აძლევდა ართუკიანს განემტკიცებინა თავისი გავლენა მომთაბარეებზე, რაც ერთგვარად შეირყა 1120 წ. ანტიოქიაზე მისი ლაშქრობისას (ჯაფარიძე, საქართველო, გვ. 45).

აღ-ფარისის თანახმად, თბილისის მუსლიმმა მოსახლეობამ სწორედ ილ-ლაზის სთხოვა ჩაებარებინა ქალაქი (ე. სიხარულიძე, გვ. 87). მე ვწერდი,

რომ საქართველოზე ძლევამოსილი ლაშქრობა და თბილისის დაუფლება სა-
შუალებას მისცემდა ართუკიანს შეექმნა ვრცელი სახელმწიფო თბილისი-
დან ჰალაბამდე და თურქმენებზე დაყრდნობით ჩარეულიყო იმ ბრძოლაში,
რომელიც სელჩუკებსა და დავით IV-ს შორის ამიერკავკასიაში გასაბატონე-
ბლად მიმდინარეობდა (ჯაფარიძე. საქართველო, გვ. 46). მარგიშვილს ეს
შეუძლებლად მიაჩნია, ვინაიდან ილ-ლაზის საამისო რესურსი არ გააჩნდაო.
მაგრამ განა ასე ფიქრობდა ართუკიანი? გამარჯვებებით აღლავებულს შეი-
ძლებოდა საამისო ილუზიები ჰქონდა. ფაქტია, მან რეალურად ვერ შეაფასა
მონინალმდეგე.

ს. მარგიშვილის მონოგრაფიაში ზოგჯერ ზედმეტი ყურადღებაა გამახ-
ვილებული წვრილმანებზე. მაგალითად, დაიჭრა თუ არა თავში ილ-ლაზი და
რითი მოკვდა ის. მე ვერ ვხედავ რაიმე მიზეზს, რომ უარყოფით მისი თავში
დაჭრის ამბავი, რასაც იუნყება კანცლერი გოტიე. სხვა საქმეა, რამდენად
სერიოზული იყო ეს ქრილობა – მძიმე თუ მსუბუქი. ცხადია, მძიმედ დაჭრის
შემთხვევაში ილ-ლაზი ვერ გააგრძელებდა დაუყოვნებლივ თავის აქტივობას.
ამდენად, ქრილობა მსუბუქი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ღირდა კი ამის შესახებ
ვრცელი პასაჟი? ეს არ არის მეცნიერული დისკუსიის საგანი და მას სამეც-
ნიერო პოპულარულ ლიტერატურაში შეიძლება მივუჩინოთ ადგილი.

გაუგებარია სკეპტიციზმი იმის თაობაზე, მოუწოდა თუ არა სიტყვით და-
ვითმა მეომრებს (მითები, გვ. 126-127). მე ვერ ვხედავ საამისო საფუძველს.
ბრძოლის წინ მეომრების სიტყვით გამხნეება იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა.
მთელ ფრონტს მისი სიტყვები ვერ განვდებოდა, მაგრამ მიმართვა თავისუ-
ფლად შეეძლოთ მოესმინათ წინამდგომთ.

მარგიშვილი წერს, რომ აბსოლუტურად ყველა გამოცემაში, რომელიც
დიდგორის ბრძოლას ეხება, მითითებულია, რომ საქართველოს მეფემ სა-
კუთარი არმიის უკანდახვევის თავიდან აცილების მიზნით, ჩახერგა ნიჩბისის
ხეობიდან გამავალი გზები, რაც დიდგორის ბრძოლის მოგების ერთ-ერთ მნიშ-
ვნელოვან პირობად ითვლება (მითები, გვ. 126). ეს უკვე წვრილმანი არ არის.
მარგიშვილმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ხშირად შეგნებულად ან
შეუგნებულად უგულებელყოფს წინამორბედთა შრომებს. ჩემი მონოგრაფია
არ მიეკუთვნება ამ „აბსოლუტურად ყველა გამოცემას“.

ძირითად ტექსტს მოსდევს შენიშვნები და ლიტერატურა (გვ. 204-337),
რომელიც რატომღაც არ აისახა ნაშრომის სარჩევში (მითები, გვ. 4-5), ისევე
როგორც არ აისახა მასში შემოკლებების სია (გვ. 338), ბიბლიოგრაფია (გვ.
339-350) და საძიებლები (გვ. 351-362).

მარგიშვილს დამონმებული და გამოყენებული აქვს უახლესი ლიტერა-
ტურა. მათ შორისა კანცლერ გოტიეს ანტიოქიის ომების ახალი ინგლისური

თარგმანი, ასევე სრული და ნაწილობრივი ინგლისური და რუსული თარგმანები მათე ურჰაელის, ზაჰირ ად-დინ ნიშაპურის, იბნ ალ-ასირის და ჯუვეინის თხზულებებისა, უახლესი დასავლური და რუსული ლიტერატურა, კერძოდ, დასავლეთის მკვლევართა შრომების რუსული თარგმანები (მაგალითად, ჟან რიშარის *Латино-Иерусалимское королевство*). მე პატივს ვცემ ყველა იმ მკვლევარს, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს უახლეს სამეცნიერო პუბლიკაციებს. ამიტომაც, ამ მხრივ პატივისცემა გამიჩნდა განსვენებული მკვლევრის მიმართ. ამავე დროს უგულვებლყოფილია რიგი შრომებისა, რომელთა გამოყენება იყო საჭიროც და აუცილებელიც. გაუგებარია, რატომ არ გამოიყენა მან იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის ინფორმაციის ინგლისური (ვ. მინორსკი) და ქართული (ე. სიხარულიძე) თარგმანები დიდგორის ბრძოლის შესახებ, ანდა ჯუვეინის ცნობების ქართული თარგმანი (რ. კიკნაძე) და მრავალი სხვ.

აღმოსავლური ტექსტების რუსული თარგმანები მოტანილია საკმაოდ დიდი კუპიურებით რუსულად და, როცა ის სისტემატურ ხასიათს იღებს, დამლელია. ცხადია, უკეთესი იქნებოდა ალ-ფარიკი თუ ჯუვეინი მოგვეტანა ქართულ თარგმანებში, რაც დიდი ხანია არსებობს (რ. კიკნაძე, ე. სიხარულიძე).

ბევრი ხარვეზია აღმოსავლური ტერმინების გადმოცემისას. უმეტესობა არასწორადაა მოტანილი. ეს იმის გამო, რომ სოსო მარგიშვილი სუსტად იცნობს ქართულ ორიენტალისტურ ლიტერატურას. უბრალოდ, უნდა ჩაეხედა „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ნარკვევებში“ (თბ. 1957), სხვა ქართულ ორიენტალისტურ პუბლიკაციებში და მაშინ დაწერდა არა მანციკერტს, ხალიფატს, ფემას, საემიროს, ემირს, გულიამს, არამედ – მანასკერტს, სახალიფოს, თემას, საამიროს, ამირას, ლულამს. დაწერდა „ნიზამ ალ-მულქს“ და არა „ნიზამ ალ-მულქს“, „მალიქ შაჰს“ და არა „მალიქ შახს“, „იკტას“ და არა „იქტას“, „სიასეთ ნამეს“ და არა „სიასეტ ნამეს“, „სელჩუკებს“ და არა „სელჯუკებს“. ჩემი მონოგრაფიის ყურადღებით გაცნობის შემთხვევაში (თუმცა საკმაოდ ხშირად იმონმებს მითითების გარეშე) აღარ დაუშვებდა მრავალრიცხოვან უზუსტობას, როცა „გ“-ს, „თ“-ს, „ქ“-ს, „ხ“-ს ნაცვლად წერს „ღ“-ს, „ტ“-ს, „კ“-ს, „ჰ“-ს და პირიქით. არაბი ავტორების სახელები ხშირად გადმოცემულია არასწორად. იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, ან ალ-ფარიკი მისთვის იბნ ალ-ფარიკია, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი – ალ-ჯაუზი, იბნ ალ-კალანისი – ალ-კალანისი, იბნ ალ-ასირი – ალ-ასირი, იბნ ალ-ვარდი – ალ-ვარდი. ჩემთვის პრობლემა არ არის მივხვდე, who is who, მაგრამ რა ვუყოთ სხვა მკითხველს, განსაკუთრებით ახლგაზრდა თაობას, რომელიც ახლა გამოდის სამეცნიერო ასპარეზზე?

საძიებლები სავსეა ხარვეზებით. პირთა საძიებლები დაწყობილია საკუთარი სახელების მიხედვით, მაგრამ პირთა საძიებლის ასეთი დალაგება აბსოლუტურად მიუღებელია. მით უმეტეს, როცა ის იწყება იმ სახელებით, სა-

დაც ფიგურირებს არაბული განსაზღვრული არტიკლი „ალ“. და თუ მაინცა და მაინც საკუთარ სახელებზე ავიღებთ გეზს, მაშინ ალ-ჰუსაინი არის არა საკუთარი სახელი, არამედ ნისბა, მისი საკუთარი სახელია ‘ალი. ისტორიულ პირთა საძიებელში ილლაზის ძმისშვილი ბალაკი სელჯუკი ამირაა და ამავე დროს ართუკიდი, ე.ი. თურქმენი. რა თქმა უნდა, ის თურქმენი იყო, მაგრამ არა სელჩუკთა საგვარეულოდან და სარეცენზიო წიგნის ავტორს, რომელმაც **დამოძღვრა** ქართველი მკვლევრები იმის თაობაზე, თუ რა განსხვავებაა სელჩუკებსა და თურქმენებს შორის, ეს კარგად უნდა ცოდნოდა. დუბაის იბნ სადაკა – საძიებლებში ჰილის (უნდა ჰილას) შეიხად გვევლინება, ტექსტში კი ხან არაბთა და ხან, არაბეთის მეფეა, მაშინ როცა მისი ტიტული იყო არაბთა მეფე (*მალიქ ალ-არაბ*). მონღოლი სარდალი ჯებე – იქცა ჯებედ! ხარვეზებია სხვაგანაც. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში გვაქვს მაზანდარი და არა მაზანდერანი, მაიაფარაკანი და არა მაიაფარიკინი, ხისნი კაიფა და არა ჰისნ ქაიფა. ლიტერატურის რუსულ დასახელებებში მთავრული ასოები არცთუ იშვიათად უადგილოდ არის გამოყენებული (მითები, გვ. 88, 89, 91, 92, 93, 98, 102, 104 და მრავალი სხვ.), ხოლო ზოგჯერ, როცა მთავრული აუცილებელია, იხმარება პატარა ასოები (მითები, გვ. 99, 100 და სხვ.). აზერბაიჯანელი ისტორიკოსის ზია ბუნიატოვის გვარი რუსულად იწერება როგორც Бунятов და არა Бунятов. სხვა მრავალრიცხოვან კორექტურულ შეცდომებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. **ასეთი ტექნიკური ხარვეზებით არცერთი მეტ-ნაკლებად პრესტიჟული გამომცემლობა დასავლეთში მსგავს ნაშრომს არ გამოსცემდა.**

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ს. მარგიშვილის ძირითადი დებულებები ვერ უძლებს ობიექტურ სამეცნიერო კრიტიკას და ახალ მითებად გვევლინება. ეს არც არის მოულოდნელი, ავტორი არქეოლოგი და ანტიკური ხანის სპეციალისტი იყო და არ იყო გარკვეული არც შუა საუკუნეების ისტორიასა და არც აღმოსავლეთმცოდნეობაში. მანამდე მას არ ჰქონია გამოქვეყნებული ერთი სტატიაც კი აღნიშნული თემის გარშემო და სარეცენზიო წიგნი მისი პირველი ცდა იყო. ავტორის გამოუცდელობა ადვილადაა თვალშისაცემი და ამით არის განპირობებული ის მრავალრიცხოვანი შეცდომები, რომლებიც ზემოთაა აღნიშნული.

